K 101.300
3

გ. გოზალიშვილი

# მთიულეთის აჯანყება

გ. გოზალიშვილი

# მითრიდატე პონტოელი

*

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი — 1962

წიგნი ორი ნაწილისაგან შესდგება.

პირველ ნაწილში განხილულია ძველი კაპადოკიისა და პონტოს სამეფოს მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის, აგრეთვე პონტოს მეფის მითრიდატე ევპატორის ვინაობის საკითხი. დადგენილია, რომ ძველი კაპადოკიის ტერიტორიაზე ძირითადად მოსახლეობდნენ მესხების, ტაბალებისა და ხალიბების ტომები; რომ პონტოს სამეფო ჩამოყალიბდა კაპადოკიის ჩრდილოეთ ნაწილში და მისი მოსახლეობა მთელი კაპადოკიის მოსახლეობის ანალოგიური იყო; რომ მითრიდატიდები ადგილობრივი შთამომავლობის იყვნენ.

წიგნის მეორე ნაწილში დახასიათებულია ის სიტუაცია, რომელშიც აღმოცენდა მსოფლიო მნიშვნელობის უდიდესი ბრძოლა მაშინდელი სამყაროს ორ დიდ სახელმწიფოს—რომსა და პონტოს სამეფოს შორის აღმოსავლეთ სარბიელზე, რაც არსებითად მსოფლიოში გაბატონების პრობლემიდან გამომდინარეობდა. განხილულია მებრძოლ მხარეთა შორის 40 წლის მანძილზე წარმოებული ომიანობის უმთავრესი მომენტები მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენებთან ურთიერთკავშირში; მოცემულია ანალიზი იმ მიზეზებისა, რომლებმაც განაპირობეს რომის გამარჯვება და პონტოს სამეფოს მარცხი.

## წინასიტყვაობა

წიგნში წამოჭრილია არა ერთი მნიშვნელოვანი საკითხი და განხილულია ისინი პირველწყაროთა და სამეცნიერო ლიტერატურის იმ მონაცემთა საფუძველზე, რაც ავტორისათვის ხელმისაწვდომი იყო.

აღძრულ საკითხთა საბოლოო გადაწყვეტის პრეტენზია ავტორს სრულიადაც არა აქვს. პირიქით, იგი ფიქრობს, რომ ბევრი საკითხი მხოლოდ ახალი მასალის მოშველიებით ჰპოვებს გადაჭრას შემდგომში.

წიგნის საერთო შინაარსმა და იმ გარემოებამ, რომ მასში ერთიმეორის მომდევნო მომიჯნავე საკითხებია განხილული, გამოიწვია ანალოგიური მასალის გამოყენება, რასაც თან სდევს ზოგი გამეორება. ეს განსაკუთრებით პირველწყაროებს შეეხება.

თავისი შრომის დიდ ნაკლად ავტორს მიაჩნია ის გარემოება, რომ მან ვერ მოახერხა საჭირო ლიტერატურის სასურველი სისრულით გამოყენება.

გ. გოზალიშვილი

K 101.300
3

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ნაწილი პირველი

პირველი განყოფილება

## მითრიდატე პონტოელი და ძველი ქართული სამყარო

### I. შესავალი

მსოფლიო ისტორიის იმ მნიშვნელოვან პერიოდში, როდესაც წყდებოდა მონათმფლობელური რომის რესპუბლიკის ყოფნა-არყოფნის საკითხი, რასაც ისტორიის შემდგომი განვითარებისათვის გარკვეული გეზი უნდა მიეცა, ერთ-ერთ თვალსაჩინო მომენტს წარმოადგენს რომის მიერ თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე წარმოებული ბრძოლა აღმოსავლეთის მძლავრ გაერთიანებასთან, რომელსაც ისტორიოგრაფიაში პონტოს სამეფო ეწოდება და რომელსაც სახელგანთქმული მითრიდატე VI ევპატორი მეთაურობდა.

მსოფლიოში მოქიშპე ამ ორ დიდ ძალას შორის წარმოებული მძიმე და ხანგრძლივი ომიანობის საერთო ვითარება ასე თუ ისე ცნობილია. არ არის გარკვეული ძირითადი საკითხი: პონტოს სამეფოს ეთნიკური სამყარო, თუმცა ეს საკითხი მთლად ახალი არ არის. უკვე კარგა ხანია საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოში სისტემატურად არის იმაზე ლაპარაკი, რომ ტერიტორია, სადაც პონტოს სამეფო წარმოიქმნა, ძველთაგანვე ქართველი ტომების ადგილობრივი საცხოვრისია, ეს ტომები პონტოს სამეფოს ეთნიკურ ბირთვს შეადგენდნენ. ხოლო 1958 წლის გამოცემაში გარკვევით არის ნათქვამი, რომ პონტოს სამეფო „შეიქმნა ძვ. წ. IV ს., მცირე აზიაში,—ქართველი (მეგრულ-ჭანური) და მისი მონათესავე სხვა ტომების მიწა-წყლის ხარჯზე“ [1].

---

[1] საქართველოს ისტორია, I, 1958, გვ. 58.

ორი წლით ადრე გამოსულ წიგნში „პონტოს სამეფო“, მისი ავტორი ლ. სანიკიძე წინასიტყვაობაში წერს, რომ „ხალიბები, ტიბარენები, კოლხები, მოსინიკები, მაკრონები, დრილები, ტაოხები და სხვა ქართველი ტომები სწორედ იმ ტერიტორიაზე და იმ ეპოქაში ცხოვრობდნენ, სადაც და როდესაც პონტოს სახელმწიფო ჩამოყალიბდა“ [1].

1954 წელს თბილისის უნივერსიტეტში, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, დ. ხახუტაიშვილმა დაიცვა დისერტაცია თემაზე „შავი ზღვისპირეთის ქართველური ტომები ბერძენ-ლათინი მწერლების ცნობებით (ძვ. წ. VI—ახ. წ. IV ს.)“. ამ შრომაში დისერტანტი აღნიშნავდა, რომ „ძველი წელთაღრიცხვის IV—II საუკუნის მიჯნაზე შავი ზღვის სანაპიროს ქართველური ტომები ერთ პოლიტიკურ გაერთიანებად არის წარმოდგენილი—ესაა პონტოს სამეფო“ [2]. მეორე ადგილას კი, ხაზს უსვამდა იმას, რომ „პ ო ნ ტ ო ს ს ა მ ე ფ ო ს ი ს ტ ო რ ი ა, ი მ ა ვ ე დ რ ო ს, შ ა ვ ი ზ ღ ვ ი ს ს ა მ ხ რ ე თ ს ა ნ ა პ ი რ ო ს ქ ა რ თ ვ ე ლ უ რ ი ტ ო მ ე ბ ი ს ი ს ტ ო რ ი ა ა“ [3].

საქართველოს ისტორიის მოკლე სახელმძღვანელოში მოსალოდნელი არც იყო და არც ლ. სანიკიძეს და არც დ. ხახუტაიშვილს აქვთ ზემოთ მოტანილი დებულებანი განვითარებული და არა აქვთ მათი მეცნიერული დასაბუთება მოცემული.

პონტოს სამეფოს მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის პრობლემა ზოგად ისტორიულ-მეცნიერული ხასიათის პრობლემაა და იგი ერთბაშად, ალბათ, ვერც გადაწყდება; მუშაობის ამ მიმართულებით დაწყების ცდა კი მეტად დროულია.

რომ შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს აღმოსავლეთი რაიონები ქართველი ტომებით იყო დასახლებული, ეს ყველას მიერ აღიარებულია; დასავლეთ რაიონების მიმართ კი ზოგიერთი მკვლევრისათვის ეს საკითხი ჯერ კიდევ საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის.

პრობლემის სწორედ ეს ნაწილი საჭიროებს პირველყოვლისა გარკვევას.

---

[1] ლ. ს ა ნ ი კ ი ძ ე, პონტოს სამეფო, 1956, გვ. 3.

[2] იხ. სადისერტ. შრ., გვ. 158.

[3] იქვე, გვ. 161; ხაზგასმა ავტორისაა.

## 2. ბერძნული კოლონიზაცია და შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს ქალაქების მოსახლეობის საკითხი

როგორც ცნობილია, პონტოს სამეფოს ცენტრებს წარმოადგენდა შავი ზღვის სანაპიროს ქალაქები: სინოპე, ამისოსი, ტრაპიზონი, უფრო ხმელეთის შიგნით კი, ამასია, გაძიურა და სხვები. ეს ქალაქები სამეცნიერო ლიტერატურაში, ჩვეულებრივ, განიხილებოდა როგორც ბერძნული ქალაქები. მაგრამ ჩვენი დროის მეცნიერულმა გამოკვლევებმა ცხადჰყო, რომ ისინი გაცილებით უხნესნი არიან, ვიდრე შავი ზღვის სანაპირო ბერძენთა კოლონიზაციის სარბიელად გადაიქცეოდა.

როგორც ამ ქალაქთა ირგვლივ, ისე შორს მათს დასავლეთით, არსებობდა ქართველ ტომთა მოსახლეობა, რომელმაც დასახელებულთა გარდა, შექმნა სხვა მრავალი მომსხო პუნქტი, გაცილებით იმაზე ადრე, ვიდრე იქ ბერძენი კოლონისტები გაჩნდებოდნენ... და არსებითად ბერძენი კოლონისტები სწორედ ამ პუნქტებმა მოიზიდა და არა უდაბურმა ადგილებმა.

დიახ, ბერძნები სახლდებოდნენ არა მიყრუებულ ადგილებში, არამედ ისეთ პუნქტებში, სადაც ცხოვრება უკვე მოწყობილი იყო.

გ. მელიქიშვილის გამოკვლევით: „აღმოსავლეთ-შავიზღვისპირეთში ბერძნული ახალშენები, როგორც არქეოლოგიური და სხვა მასალა მოწმობს, როგორც წესი, ეწყობოდა არა უკაცრიელ ადგილებში, არამედ პუნქტებში, სადაც ან რომლის უშუალო მეზობლად ადგილობრივი მოსახლეობანი იყო. კიდევ უფრო მეტი,— ისინი, როგორც ჩანს, ხშირად ჩნდებოდნენ სწორედ ისეთ ადგილებში, სადაც უკვე მათ მოსვლამდე მეზობელი ტომების ადგილობრივი ცენტრები არსებობდა“ [1].

თავიანთ კოლექტიურ ნაშრომში შ. მესხია, ნ. ლომოური და ოთ. ლორთქიფანიძე სამართლიანად ხაზს უსვამენ, რომ: „...საბჭოური მარქსისტული ისტორიოგრაფიის მთავარი მიღწევა იმ ფაქტის დადგენაა, რომ ბერძნული კოლონიზაცია წარმოადგენდა რთულ ორმხრივ პროცესს, რომელიც შეპირობებული იყო ბერძნული და ადგილობრივი მოსახლეობის საწარმოო და სავაჭრო განვითარების გარკვეული შეფარდებით“ [2].

---

[1] გ. მელიქიშვილი, საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხისათვის, 1955, გვ. 108.

[2] **Ш. Месхия, Н. Ломоури, О. Лордкипанидзе**, О происхождении государства и рабовладельческого строя в Грузии, Вопросы истории, 1957, № 7, გვ. 108.

ბერძნები ჩოდიოდნენ აქ ვაჭრობისა და აღებ-მიცემობის გასაჩაღებლად, საამისოდ კი საჭირო იყო ადგილობრივ მოსახლეობასთან მჭიდრო კონტაქტი.

გერმანელი მეცნიერი ფრიდრიხ ბილაბელი სამართლიანად აღნიშნავს, რომ: „...ვაჭრობას უცხო ქვეყანაში, ბუნებრივია, შეუძლია ადვილად მოგვარდეს ისეთ ადგილებში, სადაც უკვე არსებობს სოფელი ან ქალაქის მსგავსი დასახლება და სადაც წინასწარ არსებობს ადგილობრივ მოსახლეობასთან მჭიდრო ურთიერთობის საფუძველი. რომ მილეტელები ხალისით სახლდებოდნენ უკვე არსებულ სამოსახლო პუნქტებში, ეს ყოველ ეჭვს გარეშეა"[1].

როგორც აღვნიშნეთ, კოლონიზაცია იქ შეიძლებოდა, სადაც საამისო ნიადაგი უკვე მომზადებული იყო. ბილაბელი მეორე ადგილას, კვლავ აღნიშნავს, რომ ბერძნები კოლონიებს აწყობდნენ იმ ადგილებში, სადაც სამოქალაქო ცხოვრება უკვე იყო განვითარებული,—შავი ზღვის სანაპიროზე და წერს: „რომ ეს მიდამოები კარგად დასახლებულ სანაპირო ზოლს წარმოადგენდა, ამაზე მიუთითებს თვით არაბერძნული სახელწოდება შემდგომში ბერძნებით დასახლებულ მცირე აზიის მრავალი ქალაქისა"[2].

ეხება რა შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროს კოლონიზაციას, დ. კალისტოვი წერს: „ადგილობრივი საზოგადოების საწარმოო ძალთა განვითარების გარკვეული დონე—აი, ის აუცილებელი საერთო პირობა, ურომლისოდაც კოლონიზაციის რამე წანამძღვარზე ლაპარაკიც კი ზედმეტია"[3].

თუ რამდენად დაუსაბუთებლად უნდა ჩაითვალოს ძველი სამყაროს თვალსაჩინო მკვლევრის ედუარდ მაიერის მტკიცება, თითქოს მხოლოდ ბერძენთა განსაკუთრებულმა ენერგიამ შესძლო შავი ზღვის სანაპიროზე ნავსადგურების მოწყობა[4], აშკარად სჩანს მრავალი მონაცემიდან.

რომ მართალი არ არის ედ. მაიერის აზრი შავი ზღვის სანაპიროზე მხოლოდ ბერძნებმა შესძლეს ნავსადგურების მოწყობაო, ამას სკილაქს კარიანდელის (ძვ. წ. VI საუკ.) ცნობა ადასტურებს, რომელიც 88-ე პარაგრაფში წერს: „ტიბარენების შემდეგ ცხოვ-

---

[1] **Fr. Bilabel**, Die ionische Kolonisation, Leipzig, 1920, გვ. 60—61.

[2] იქვე. გვ. 3.

[3] **Д. Каллистов**, Очерки по истории Северного Причерноморья античной эпохи, Л., 1949, გვ. 12.

[4] **Ed. Meyer**, Geschichte des Königreichs Pontos, Leipzig, 1879, გვ. 9.

რობს ხალიბთა ტომი; მათ აქვთ დახურული ნავსადგური გენეტი"[1].

რ. ლეონჰარდის გამოკვლევით, კავკასიონის შავი ზღვის სანაპიროს კლდოვანსა და ვიწრო ზოლზე მოსახლე ტომები იყვნენ ისინი, რომლებიც სავსებით დაეუფლნენ და დიდ წარმატებას მიაღწიეს გემთმშენებლობისა და ზღვაოსნობის (ცურვის) საქმეში[2]. და იქვე შენიშვნაში დასძენს, რომ ამ სანაპირო ზოლზე ცხოვრობდა ზღვაოსნობაში დახელოვნებული ტომი („Seetüchtige Bevölkerung") და დღესაც ხომ თურქეთის ფლოტში ლაზები საუკეთესო მეზღვაურნი არიანო[3].

მეორე ადგილას ლეონჰარდი აღნიშნავს შავი ზღვის იმ განსაკუთრებულ მნიშვნელობას, რომელიც მას ჰქონდა ბერძნული კოლონიზაციის წ ი ნ ა ხ ა ნ ი ს ა თ ვ ი ს ზღვაოსნობის განვითარების საქმეში[4].

ედ. მაიერს მდ. თერმოდონტის აღმოსავლეთით და დასავლეთით მოსახლე ტომები, რომლებსაც იგი ქართველ ტომებად სთვლის, მიაჩნია ველურ ტომებად.[5] ამ ტომთა შესახებ მცდარი შეხედულებიდან გამომდინარეობს მისივე უცნაური ზერელე აზრი, რომ აქაური ტომების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებას წარმართავდნენ და სიცოცხლის უნარს აძლევდნენ, ერთის მხრივ, ბერძნები და, მეორეს მხრივ, სპარსელი წარჩინებულნი[6].

ედ. მაიერის ეს, მეცნიერული დასაბუთების გარეშე გამოთქმული, მოსაზრება მეცნიერებისათვის დღეს სავსებით შეუწყნარებელია.

ეხება რა აღნიშნული რაიონის ისტორიას, მ. მაქსიმოვა წერს, რომ არქეოლოგიური აღმოჩენები: „...უფლებას გვაძლევს ვივარაუდოთ ამ რაიონებში უწყვეტი კულტურული ცხოვრება, პალეოლითიდან მოკიდებული"[7]. რომ ამ რაიონებში ძველი წელთაღრიცხვის II ათასწლეულის პირველ ნახევარში უკვე ლითონის დამუშავება იყო ცნობილი[8].

---

[1] C. Müller, Geographi Graeci Minores, გვ. 65.

[2] Prof. Doct. Richard Leonhard. Paphlagonia, Reisen und Forschungen im nördlichen Kleinasien, Berlin, 1915, გვ. 310.

[3] იქვე, შენ. 3.

[4] იქვე, გვ. 309.

[5] op. cit. გვ. 10.

[6] იქვე, გვ. 10.

[7] М. Максимова, Античные города юго-восточного Причерноморья, 1956, გვ. 21.

[8] იქვე, 22.

მერე განაგრძობს იგი: „...ბერძენ მოახალშენეებს ამისოსში დახვდათ ძველი და მაღალი კულტურის მქონე მოსახლეობა“ [1].

თავის სხვა ნაშრომში მ. მაქსიმოვას ისიც აქვს დადგენილი, რომ „...ამ ოლქების კულტურა უპირატესად მჭიდროდ იყო დაკავშირებული ამიერკავკასიასთან და კავკასიასთან“ [2].

დღეს უკვე აღიარებულია, რომ „...ახალშენები ჩვეულებრივ უკვე არსებულ სამოსახლოთა ადგილას, ან მათ მეზობლად ეწყობოდა“ [3].

ვ. ლატიშევის სიტყვით, „მოახალშენეები ყოველთვის ახალ ქალაქს როდი აარსებდნენ, ხშირად მათ მიიღებდნენ ხოლმე როგორც "Εποικοι [4] უკვე არსებულ ქალაქებში“ [5].

იყო ისეთი შემთხვევებიც, როდესაც კოლონისტები ძალით იპყრობდნენ ამა თუ იმ დასახლებულ პუნქტს. ამ მხრივ ძვირფას ცნობას გვაწვდის ძვ. წ. IV საუკუნის მწერალი და ჯარის უფროსი ქსენოფონტე, რომლის ბანაკში მისულმა ქ. სინოპეს ელჩებმა (ბერძნები იყვნენ) მას და მასთან მყოფ ბერძნებს უთხრეს ქ. კოტიორის მცხოვრებლებზე: „აი, ეს კოტიორელები ჩვენი კოლონისტები არიან; ჩვენ გადავეცით მათ ეს მხარე, რომელიც ბარბაროსებს წავართვითო“ [6].

ნათქვამიდან ცხადია, რომ კოტიორა ადრევე ადგილობრივი მოსახლეობის საცხოვრებელი იყო და გარკვეული დროიდან (ბერძნული ტრადიციის თანახმად, ძვ. წ. VIII—VII საუკუნეებში), იქ ბერძნული მოსახლეობაც გაჩნდა.

ამასთანავე, ძნელი წარმოსადგენია, რომ ადგილობრივი მოსახლეობა მთლიანად მოსპობილიყო. პირიქით, როგორც ჩანს, მოსული ბერძნები ისე შერევიან ადგილობრივ ელემენტს, რომ მათ (ბერძნებს) ეროვნული გრძნობები ელინებთან ნაკლებად აკავშირებს, რის გამოც მათ ქსენოფონტესთან მყოფი ბერძნები თავიანთ ქალაქში არ შეუშვეს, ჭიშკარი გადაუკეტეს და ავადმყოფთათვის თავშესაფრის მიცემაზეც კი უარი უთხრეს...ამან გამოიწვია ქსენოფონტესა და მასთან მყოფთა ძალდატანება კოტიორის მცხოვრებთა მიმართ [7].

[1] М. Максимова, Античные города юго-восточного Причерноморья, 1957, გვ. 22.

[2] М. Максимова, О выходе хеттов на южный берег Черного моря, ВДИ, 1948, № 4, გვ. 33.

[3] საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო, გვ. 41.

[4] ე. ი. თანამოსახლენი.

[5] В. В. Латышев, Очерк греческих древностей, ч. 1, გვ. 70.

[6] Anabasis წ. IV, თავი,V,10.

[7] იქვე, წ, V, თავი V, 19—20.

შემცდარი არ ვიქნებით, თუ ვივარაუდებთ, რომ კოტიორელ ბერძენთა ასეთი განწყობილება შედეგი იყო იმ გავლენისა, რომელიც კოტიორის არაბერძნული მოსახლეობის მძლავრი ფენიდან მომდინარეობდა.

კოტიორის მოსახლეობა, რომ მხოლოდ ელინური ყოფილიყო, მაშინ კოტიორელები თავის თანამეტომეებს, უეჭველია, ასე მკაცრად არ შეხვდებოდნენ, იმისდა მიუხედავად, რომ ქალაქის მოსახლეობამ ზარალი განიცადა მოლაშქრეთაგან.

სინოპედან კოტიორაში მხოლოდ ბერძენი ელჩები იმიტომ მოვიდნენ, რომ შავი ზღვის სანაპირო ქალაქებში მოსახლე ბერძნები უფრო მეტად იყვნენ ორგანიზებული, მათ ურთიერთ შორის ეკონომიური ინტერესები აკავშირებდათ და ერთიმეორესთან მჭიდრო კონტაქტიც ჰქონდათ, რასაც მათი მთავარი საქმიანობა — ვაჭრობა, აღებ-მიცემობა აუცილებელს ხდიდა და რასაც მათს განკარგულებაში მყოფი მიმოსვლის საშუალებანი ხელს უწყობდა და აადვილებდა; ამას გარდა, ისინი ერთიმეორის მიმართ ერთგვარ გაბატონებულ-დაქვემდებარებულ დამოკიდებულებაში იყვნენ მეტროპოლია-კოლონიის უფლებრივი ურთიერთობის საფუძველზე (კოტიორელი ბერძნები ხომ რაღაც ხარკს აძლევდნენ სინოპელ ბერძნებს), რაც მათ აიძულებდა ერთიმეორის მდგომარეობას ცოცხლად გამოხმაურებოდნენ და ერთიმეორის დასაცავად ხმა აემაღლებინათ, როგორც მოხდა ამჯერად, მოლაშქრე ელინების მიერ კოტიორელი ბერძნების მიმართ ძალდატანების გამო.

ზემოაღნიშნული გარემოება სხვა ქალაქებისთვისაც დამახასიათებელი იყო.

ბერძნული ტრადიციის თანახმად, სინოპეს ტერიტორიაც პირველ ბერძენ კოლონისტებს ძალით წაურთმევიათ ადგილობრივი მოსახლეობისათვის.

ფსევდო-სკიმნის ცნობასთან დაკავშირებით, რომ სინოპეში უწინ ადგილობრივი მოსახლეობა იყო, მ. მაქსიმოვა წერს: „ეტყობა სწორედ ამ სირებს წაართვეს ქალაქი სინოპე პირველმა ბერძენმა კოლონისტებმა“ [1].

მეორე ადგილას კი ამბობს, რომ ბერძნული მითი მოგვითხრობს „თესალიელების მიერ სინოპეს არა უბრალო დასახლებაზე, არამედ იმაზე, რომ მათ ეს პუნქტი წაართვეს მის წინანდელ მფლობელთ“ [2].

---

[1] М. И. Максимова, Античные города юго-восточного Причерноморья, М.—Л., 1957, გვ. 38, 39.

[2] იქვე, გვ. 40.

მაქსიმოვას კარგად ესმის ფსევდო-სკიმნის პერიპლუსში შემონახული ცნობის ლეგენდარული ხასიათი, კერძოდ ქ. სინოპეს სახელწოდების დაკავშირება ამაზონი ქალის სახელთან. მაგრამ მაქსიმოვასთვის ამ მითის შინაარსი სავსებით ნათელი და გასაგებია. სახელდობრ, „მითის მიზანი იყო აეხსნა, ქალაქის სახელწოდების გარდა, ადგილობრივი მოსახლეობის თავდაპირველი წარმომავლობა“ [1].

განაგრძობს რა მსჯელობას, მაქსიმოვა დაასკვნის, რომ შეიძლება დავადგინოთ ორი დებულება, რომლებიც არ ეწინააღმდეგება მეცნიერთა მიერ გამოთქმულ სხვადასხვა შეხედულებებსათ: Это, во-первых, заселение территории будущей Синопы еще в глубокой древности и, во-вторых, сохранение в греческих преданиях представления о том, что первые греческие поселенцы силой отняли эту территорию у местных жителей“ [2].

ჩვენ ქვევით დავინახავთ, რომ სინოპეში თავის დროზე იყვნენ ასირიელი კოლონისტები, რომლებზედაც საუბარია ბერძნულ წყაროებში. აგრეთვე ვეცდებით დავამტკიცოთ, რომ მოხსენებული სინოპეს პირველი მცხოვრები სირები (სირიელები) სრულიადაც არ წარმოადგენდნენ ქალაქის პირველ მოსახლეობას; ისინიც კოლონისტები იყვნენ ბერძნების მსგავსად, მაგრამ მათზე ადრე მოსულნი.

რომ ბერძნების მოსვლამდე (VII საუკ.) სინოპეში ადგილობრივი მოსახლეობა იყო, ამას აღიარებს მეორე რუსი მკვლევარიც, ვ. ლატიშევი, რომელსაც მიაჩნია, რომ ქ. სინოპე, ბერძნული ტრადიციით, არგონავტების მიერ იყო დაარსებული და მილეტელმა კოლონისტებმა მხოლოდ შემდეგში იგდეს იგი ხელთ [3].

სტრაბონი პირდაპირ ამბობს, რომ ბერძნული მითის თანახმად, მილეტელები მოვიდნენ სინოპეში ავტოლიკის მეთაურობით, რომელიც იაზონის თანამგზავრი უნდა ყოფილიყო, და ეს ადგილი დაუპყრიათ. მაგრამ ეს ადგილი უკაცრიელი კი არა, დასახლებული ყოფილა.

ეს ჩანს სტრაბონის მომდევნო სიტყვებიდან. „შემდგომში, როდესაც მილეტელებმა შენიშნეს ადგილმდებარეობის ბუნებრივი

---

[1] М. И. Максимова, Античные города юго-восточного Причерноморья, М.—Л., 1957, გვ. 39—40.

[2] იქვე, გვ. 41.

[3] В. В. Латышев, Очерк греческих древностей, ч. 1, СПБ, 1888, გვ. 86.

ღირსება და მოსახლეობის სისუსტე (უღონობა), მიითვისეს იგი და მოიყვანეს კოლონისტები“ [1].

ამ ცნობიდან აშკარა ხდება, რომ ბერძენი კოლონისტები სინოპეში ცარიელ ადგილზე კი არ მოსულან, არამედ დასახლებულ პუნქტში. ბერძნები აქ მოვიდნენ დასასახლებლად მხოლოდ მას შემდეგ, როცა ხანგრძლივი ურთიერთობის შედეგად. დარწმუნდნენ, რომ მათ საქმიანობას წარმატება ექნებოდა.

გერმანელი მეცნიერი შტროიბერი პლუტარქესა და აპიანეს ცნობათა საფუძველზე დაასკვნიდა, რომ ავტოლიკს ამ ადგილას ქალაქი დახვდა [2].

აქ მოსული ბერძნები შეიქნენ არა ქალაქის დამაარსებელნი, არამედ გახდნენ მისი მოსახლეობის ორგანული ნაწილი, მიიღეს რა ძალით, თუ ნებით, ქალაქის ტერიტორია დასახლებულად, როგორც ეს შემდეგში სხვაგანაც ხდებოდა.

მეორე ადგილას შტროიბერი ამბობს, რომ, როდესაც ბერძენი კოლონისტები სინოპეში მოვიდნენ, იგი უკვე აზიური ვაჭრობის პუნქტს წარმოადგენდა [3].

რაც შეეხება ტერიტორიის წართმევას, აქ ნაწილის წართმევა თუ დათმობა იგულისხმება, მოახალშენეთა დასასახლებლად, რის წყალობითაც იქმნებოდა შერეული მოსახლეობა, პარალელურად რომ ცხოვრობდა.

საქართველოს ისტორიის პირველი ნაწილის მაკეტში აღნიშნულია, რომ კოლხეთის სანაპიროზე არსებული ბერძნული ახალშენების „მოსახლეობა ძველიდანვე ნარევი იყო: მოსულ უცხოელებს, ბერძნებს გარდა. მასში მრავლად შედიოდნენ ადგილობრივი მკვიდრნიც“ [4].

მოსულსა და დამხდურ მოსახლეობას შორის ჩაღდებოდა გაცხოველებული საქმიანი ურთიერთობა და თანამშრომლობა.

მ. მაქსიმოვა ქ. ტრაპიზონზე წერს, რომ ძვ. წ. IV საუკუნიდან მისი მიდამოების ადგილობრივ მოსახლეობას მჭიდრო საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა ელინებთან და რომ: „можно не сомневаться в постепенном их укреплении и расширении, сопровождавшемся, надо думать, увеличением процента местного

---

[1] წ. XII, თავი, III, 11.
[2] Streuber, Sinope, გვ. 12.
[3] იქვე, გვ. 12.
[4] გვ. 4.

элемента в население города и соответственными культурными сдвигами. Сведения, заключающиеся в первых параграфах перипла Арриана, позволяют в известной мере судить о том, как далеко зашла варваризация Трапезунта в 30-х годах II в. н. э.“ [1].

მაქსიმოვას პროცესი სწორად არა აქვს წარმოდგენილი. ტრაპიზონის ბარბარიზაცია კი არ ხდებოდა აქ ადგილობრივი შთამომავლობის მოსახლეობის თანდათან ჩამოსახლებით, არამედ ასეთი მოსახლეობა აქ იმთავითვე იყო.] ტრაპიზონის მიმართ მაინც ეს სადავო არ უნდა იყოს.

ის, რაც მაქსიმოვას „ბარბარიზაციად“ ეჩვენება, სხვა არა იყო რა, თუ არა მხოლოდ ის, რომ ელინური ელემენტი დროთა განმავლობაში თანდათან მცირდებოდა და ქალაქი თავის ბუნებრივ ეთნიკურ სახეს იღებდა.

სწორედ იმის გამო, რომ მაქსიმოვას სწორი წარმოდგენა არა აქვს ტრაპიზონის მოსახლეობაზე, [მასში გაკვირვებას იწვევს ის გარემოება, რომ ქალაქში გამეფებული იყო, მისი თქმით: „божество чужеземное—Митра“, რომლის გვერდითაც სხვა კულტები სრულიად აღარ მოჩანან [2].

მაქსიმოვას განცვიფრების გამომწვევი ფაქტი სრულიად ბუნებრივი იყო ტრაპიზონისთვის. მითრა ჩრდილოეთ მცირე აზიაში მშობლიური კულტი იყო. პონტოს სამეფოში მითრამ დაიჭირა მენ-ის ადგილი [3].

მითრასადმი მიძღვნილი უძველესი წარწერა არის კაპადოკიური ბილინგვა [4].

მითრას კულტი დიდად იყო გავრცელებული ძველ ქართულ სამყაროში, რაც კარგად ცნობილია სამეცნიერო ლიტერატურაში [5].

---

[1] М. И. Максимова, Античные города юго-восточного Причерноморья, М.—Л., 1957, გვ. 407.

[2] იქვე. გვ. 399.

[3] R. Leonhard, Paphlagonia... მითრაზე წერს: „Er hat gerade im nördlichen Kleinasien seine Heimat“, (გვ. 331). მერე: „Im Pontus trat Mithra an Stelle Men“. (იქვე).

[4] იხ. იქვე. მითითებულია: Marquart, Untersuchungen zur Geschichte von Iran, II, Leipzig, 1905, გვ. 121 და შემდ. შდრ. Franz Cumont, Textes et Monuments Figurés relatifs aux mysterès de Mithre, I, Bruxelles, 1899.

[5] კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, გვ. 350—353; ს. მაკალათია, ღვთაება მითრას კულტი საქართველოში, საქართვ. მუზეუმის მოამბე, III, გვ. 179—193. მ. ისიძე, ჯვებ-მისარიონის კულტი საქართველოში, 1937.

## 3. სინოპესა და ამისოსის მოსახლეობის საკითხი

რადგან პონტოს სამეფოს ეთნიკური პრობლემის გასარკვევად დიდი მნიშვნელობა აქვს იმის ცოდნას, თუ ვინ ცხოვრობდა მის უმთავრეს ქალაქებში, ამისათვის საჭიროა დავადგინოთ დედაქალაქების სინოპესა და ამისოსის მოსახლეობის ეთნიკური კუთვნილება.

შავი ზღვის სანაპიროზე ბერძენთა პირველი კოლონიის სინოპეს დაარსებაზე მოთხრობის დროს, ფსევდო-სკიმნი (III—II სს. ძვ. წ.) თავის პერიპლუსში, რომელიც ჩვენამდე ძლიერ დამახინჯებული სახით არის მოსული, გარკვევით ამბობს, რომ: „ოდესღაც იქ ადგილობრივი მკვიდრნი ცხოვრობდნენ“[1].

მართალია, ფსევდო-სკიმნი სინოპეს ძველ მოსახლეობას სირიელებს (სირებს) უწოდებს, მაგრამ, როგორც ქვევით იქნება გარკვეული, სირიელები (ასირიელები) თავის მხრივ აგრეთვე მოსული ელემენტია და ასირიელთა ბატონობის დროს მათ მიერ დაპყრობილ დიდ ქალაქ სინოპეში არიან ჩამოსახლებული, როგორც კოლონისტები. ირკვევა, რომ სირიელები არ არიან პირვანდელი მცხოვრებნი სინოპესი, აქ მათზე ადრე ცხოვრობდა ის ხალხი, რომლებმაც მსოფლიოში სახელი გაითქვა ლითონის დამუშავების ხელობით, რამაც სწორედ მოიზიდა აქეთკენ ასირიელები...

მაგრამ ამაზე ქვევით ვილაპარაკებთ.

თვით მაქსიმოვას ძვ. წ. V—IV საუკუნეებში ქ. სინოპეში ადგილობრივი პირვანდელი მოსახლეობის არსებობა ეჭვს გარეშე მიაჩნია.

იგი წერს: „...не греки в Синопе не допускались, в интересующее нас время, к занятию городских магистратур и не проникали в сословие богатых торговцев, что конечно никак не исключает возможности существования среди населения Синопы не-греческих этнических групп. Как мы увидим позднее, значительное место среди культов Синопы занимал культ подземного, несомненно местного божества и это обстоятельство весьма убедительно говорит в пользу сильного местного элемента среди населения этого города...“[2].

---

[1] Ps. Scymn, Peripl, 941—952, Geographi Graeci Minores, I, ed. K, O. Müller, გვ. 236.

[2] М. Максимова, Античные города юго-восточного Причерноморья, М.—Л., 1956, გვ. 110.

რომ მაგისტრატურები ხელმისაწვდომი არ იყო ადგილობრივი მოსახლეობისათვის, ჯერ კიდევ დადასტურებასა და ახსნასაც მოითხოვს.

მაქსიმოვას მიერ წამოყენებული არგუმენტი, რომ ეპიგრაფიკული მასალის ინიციალები, რომლებიც დღემდე გახსნილია, ბერძნულია,[1] სრულიად არამყარ დასაყრდენს წარმოადგენს ამ საკითხის გადასაწყვეტად.

წარწერებისა და მათში ამოკითხული საკუთარი სახელების ბერძნულობა სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ იქ მხოლოდ ბერძნებზეა ლაპარაკი. ბერძნული საკუთარი სახელები უხვად იყო გავრცელებული ადგილობრივ მოსახლეობაში.

ეს ტრადიცია ახლაც ძალზე თვალსაჩინოა დასავლეთ საქართველოს რაიონებში[2].

ავიღოთ ერთი კონკრეტული მაგალითი.

მითრიდატე ევპატორის ჯარის სარდალს არქელაოსი ერქვა.

ეს სახელი, სხვა ბერძნულ სახელებთან ერთად, გავრცელებული იყო პონტოს სამყაროში. იგი კაპადოკიის სამეფო საგვარეულოშიც იყო მიღებული.

კერძოდ, ძვ. წ. პირველი საუკუნის მეორე ნახევარში კაპადოკიაში მეფობს არქელაოსი, რომელსაც ჰქვია აგრეთვე ადგილობრივი სახელი სისინი[3].

საინტერესოა, რომ არქელაოსი ებრძვის რომაელთა მისწრაფებას, რომელნიც ცდილობდნენ გაეუქმებინათ მეფობა კაპადოკიაში და იგი რომის პროვინციად ექციათ.

არქელაოსი რომში გაუწვევიათ და მისთვის ბრალად დაუდვიათ, რომ მას რომის იმპერიის წინააღმდეგ რაღაც ზრახვები ჰქონია[4]...

რომმა მაინც თავისი ქნა. იმპერატორმა ტიბერიუსმა კაპადოკია ჩამოართვა არქელაოსს და ქვეყანა რომის პროკურატორის

---

[1] М. Максимова, Античные города юго-восточного Причерноморья. М.—Л., 1956, გვ. 109.

[2] ამ გარემოებას დიდად შეუწყო ხელი ქრისტიანობამ, მაგრამ უფრო ადრინდელ ტრადიციასაც ძალა დაკარგული არ უნდა ჰქონოდა. მაგრამ აქ ჩვენთვის, მოტივს რომ თავი დავ ნებოთ, ის ფაქტია საინტერესო, რომ საკუთარი სახელი არ წარმოადგენს ეთნიკურ ნიშანს და ამაზე თეორიების აგება სახიფათოა.

[3] А. Ранович, Восточные провинции Римской империи в I—III вв., გვ. 117.

[4] Dio Cass... LVII, 17.

პროვინციად აქცია[1]. ეს არქელაოსი,[2] განსხვავებით თავისი წინამორბედისა, არ იწოდება φιλορώμαιοι, არამედ იგი თავის თავს უწოდებდა φιλοπάτρις[3].

ამას გარდა, ისიც არის გათვალისწინებული, რომ ქალაქის ადგილობრივი და ბერძნული მოსახლეობა ცალ-ცალკე სექტორებად ცხოვრობდა და საკუთარი თვითმმართველობის ორგანოები გააჩნდა, საერთო საქალაქო მმართველობას დაქვემდებარებული.

ის გარემოება, რომ შავი ზღვის სანაპიროს ანტიკური ქალაქების ყოფილ მიდამოებში ჯერჯერობით მხოლოდ ბერძნულ ენაზე არსებული და ძირითადად ბერძენ მოსახლეობას შორის ურთიერთობა-დამოკიდებულების მომთხრობელი ეპიგრაფიკული მასალაა აღმოჩენილი, გადაიქცა იმ ფაქტორად, რომელმაც ამ ქალაქების ისტორიის გააზრებას მეცნიერთა მიერ, არასწორი გეზი მისცა—არსებული მასალის საფუძველზე გამოიტანეს დასკვნა, რომ ამ ქალაქთა მოსახლეობა მხოლოდ ბერძნული იყო.

ასეთი დასკვნა მცდარია, რადგან არავითარი საფუძველი არ არსებობს იმისათვის, რომ გამოვრიცხოთ ამ ქალაქებში ოდითგანვე ადგილობრივი მოსახლეობის არსებობა, (რასაც მრავალი გარემოება ადასტურებს) და მით უმეტეს—ბერძენთა ჩამოსახლების შემდეგ მაინც, აქაური მოსახლეობის აქ ჩამოსახლება გამოვრიცხოთ, ურომლისოდაც საქმიანი კონტაქტი, რაც იყო სტიმული ბერძენთა აქ გადმოხვეწისა, ვერ მოხერხდებოდა.

ბერძნულ ენაზე ეპიგრაფიკული მასალის აღმოჩენა, ალბათ, იმას უნდა ადასტურებდეს, რომ ადგილობრივსა და ბერძნულ მოსახლეობას შორის, ბარბაროსულსა და ელინურ სამყაროს შორის საქმიანი კონტაქტი ბ ე რ ძ ნ უ ლ ი ს საშუალებით ხორციელდებოდა.

მაქსიმოვას ხსენებულ დასკვნას არა აქვს ჭეშმარიტი მეცნიერული ღირებულება, რადგან ჯერ ერთი, ის ეპიგრაფიკული მასალა, რომელსაც ეყრდნობა მაქსიმოვა,—მცირეა და სრულიადაც ვერ გამოდგება ასეთი დასკვნის საფუძვლად... და მეორეც, მაქსიმოვა უგულებელყოფს მასალას, რომელიც ქ. სინოპეს მოსახლეობის

---

[1] А. Ранович, Восточные провинции Римской империи... იქვე.

[2] არქელაოსს დაუწერია ტრაქტატი მიწათმოქმედების შესახებ, რასაც იხსენიებს პლინიუს უფროსი Nat. hist. 18,73.

[3] Ранович, იქვე. აღნიშნულზე იხ. W. S. Gwatkin, Cappadocia as a Roman procuratorial Province, The university of Missuri Studies, V, 4(1930), გვ. 7—16; W. Dittenberger, Orientis Graeci inscriptiones selectae. გვ. 357—361.



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

K 101.300 / 3

ადგილობრივსა და მოსულთა შორის შეფარდებას გვაუწყებს, პოლიტიკური ცხოვრების გარკვეულ სურათს იძლევა, და ასეთი მასალის წინაშე უპირატესობას აძლევს ეპიგრაფიკული ინიციალების ამოხსნას...

გაკვირვებასა და სინანულს იწვევს ის გარემოება, რომ მაქსიმოვა, რომელსაც ხელთ ჰქონდა ევროპელ მეცნიერთა ნაშრომები, რომლებშიაც სინოპეს მოსახლეობის შესახებ მეტად საინტერესო მასალაა მოცემული, სრულიად გვერდს უხვევს მათ, მაშინ, როდესაც თავის შრომაში სპეციალურად იხილავს ქალაქების სინოპესა და ამისოსის მოსახლეობის საკითხს[1].

ყველა აღიარებს, რომ სინოპეში შერეული მოსახლეობა იყო, რომელიც ელინური და არაელინური ელემენტისაგან შედგებოდა[2].

ამ უკანასკნელში შტროიბერი არამეული ტომის ხალხს გულისხმობს, რომელიც ასირიელების მიერ აქ კოლონისტების სახით იყო ჩამოსახლებული... ისინი მხოლოდ უმცირესობას შეადგენდნენ.

როგორც თვით შტროიბერი ამბობს, დროთა განმავლობაში არაელინურმა ელემენტმა გადააჭარბა ელინურს და იგი უკანა რიგში მოაქცია („Die Geschichte von Sinope zeigt uns auch, dass das nichthellenische Element zu Zeiten über das hellenische ganz die Oberhand hatte und jenes völlig zurückdrängte“)[3].

ევროპელ მეცნიერთ მიაჩნიათ, რომ ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობის დროისათვის, როგორც შტროიბერი ამბობს, სინოპეში არაბერძნულ ელემენტს მოპოვებული აქვს უპირატესი მდგომარეობა[4].

ხოლო რ. ლეონჰარდი სინოპეზე ამბობს, რომ იქაური წარწერების მიხედვით, „... ბერძნული კოლონია ძლივს ინარჩუნებდა არსებობას ადგილობრივი ელემენტის წინაშე“[5].

და მერე დასძენს, „აქ შერეული მოსახლეობა უნდა ვიგულისხმოთ“[6].

ბერძნები შავი ზღვის სანაპიროზე VII საუკუნის შუა ხანებში არიან მოსული და როგორც ლეონჰარდი ამბობს, „მე-7 საუკუნის

---

[1] М. Максимова, Античные города... გვ. 109.

[2] Streuber, Sinope. გვ. 21.

[3] იქვე, გვ. 21. მითითებს: O. Blau, Zeitschrift der deutschen morgenländischen Gesellschaft. Neunter Band. 1 und 2 Heft, Leipzig, 1855.

[4] იქვე, გვ. 63.

[5] იხ. ლეონჰარდის დასახ. შრ., გვ. 329.

[6] იქვე.

ნახევარზე ადრე შავი ზღვის სანაპიროზე არ არსებობს მილეტელთა არც ერთი დასახლება"[1].

ხოლო IV საუკუნეში, როგორც ამას არიანე გადმოგვცემს, ალექსანდრე მაკედონელმა გამოარკვია, რომ სინოპეს მოსახლეობა ელინებს არ ეკუთვნოდა[2].

ქ. სინოპეში სირიელი კოლონისტების არსებობა ცნობილია. მაგრამ ნათელია, რომ სირიელებამდე აქ არა მხოლოდ მოსახლეობა იყო, არამედ ქალაქიც არსებობდა. თ. ნიოლდეკე პირდაპირ ამბობს, რომ ასირიელები (სირიელები) არ წარმოადგენდნენ ქ. სინოპეს პირვანდელ მოსახლეობას[3].

სირიელები მხოლოდ მოსული კოლონისტები არიან, ისინი არ წარმოადგენენ ადგილობრივ მკვიდრ მოსახლეობას, ამასთანავე, როგორც ბილაბელმა გამოარკვია, ისინი მხოლოდ რაღაც ასიოდე წლის განმავლობაში თუ არიან შესამჩნევი[4].

მაშასადამე, სინოპეში არაელინური მოსახლეობის მასა ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობაა, რომელიც აქ იყო სირიელებისა და ელინების მოსვლამდეც და შემდეგშიაც ყოველთვის ქალაქის მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენდა. მოსახლეობის სწორედ ეს ნაწილია, რომელიც ქალაქის ცხოვრებაში ჰეგემონად მოჩანს. სირიელებს თავისი იმთავითვე სიმცირის გამო, რომელთა რიცხვიც შემდგომში თანდათან მცირდებოდა, არ შეეძლოთ ჰეგემონის როლი შეესრულებინათ ქ. სინოპეს ცხოვრებაში... ეს იყო ხვედრი ადგილობრივი მოსახლეობისა...

რადგან სინოპესა და შავი ზღვის სანაპიროზე ქართველ ტომთა მიწა-წყალზე არსებულ სხვა ძველ ქალაქთა მოსახლეობის საკითხს არსებითი მნიშვნელობა აქვს ისტორიის მრავალი საკითხის გადასაწყვეტად, ამიტომ იძულებული ვართ მოვიტანოთ სინოპეს მოსახლეობის საკითხის ირგვლივ ის მასალა, რომელიც პირველწყაროთა საფუძველზე და შემდგომი დროის მკვლევართა მიხედვით არის წარმოდგენილი შტროიბერის წიგნში: Sinope.

ზემოთ ნათქვამი იყო, რომ ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობის დროს (ძვ. წ. IV ს.) სინოპეში ბატონობს არაელინური ელემენტი, მაგრამ ადგილობრივი ელემენტი იქ გაბატონებული იყო უფრო ადრეც.

---

1 იხ. ლეონჰარდის დასახ. შრ., გვ 327.

2 Arrian, Anabasis, III, 25.

3 Hermes, Fünfter Band, 1871, გვ. 449.

4 ამაზე იხ. ქვემოთ.

მეხუთე საუკუნეში ქ. სინოპეს სათავეში უდგას ტირანი ტიმეზილეოსი. იგი ბარბაროსული შთამომავლობისა იყო და სინოპეში ელინები მის ხელქვეითებად იყვნენ ქცეულნი („Barbarischer Ankunft, Scheint er die Hellenen in Sinope hart bedrängt zu haben")[1].

მეხუთე საუკუნის მეორე ნახევარში პონტოს სანაპიროზე ლაშქრობის დროს, პერიკლემ ცამეტი სამხედრო ხომალდი გაგზავნა ლამაქის მეთაურობით სინოპეს წინააღმდეგ.

მოსულმა ბერძნებმა გააძევეს ტიმეზილეოსი... ხოლო პერიკლემ მიაღებინა ათენის სახალხო კრებას დადგენილება სინოპეში დასასახლებლად 600 ათენელის გაგზავნის შესახებ[2].

როგორც შტროიბერი ფიქრობს, 600 ბერძენს უნდა გაეძლიერებინა სინოპეში ბერძნული ელემენტი[3].

თუკი ტიმეზილეოსი მართლა ადგილობრივი შთამომავლობისა იყო, რაც სრულიად ბუნებრივია,—რომელმაც დათრგუნა სინოპეში ბერძნული მოსახლეობა და პერიკლეს სამხედრო ოპერაცია მდგომარეობის ბერძენთა სასარგებლოდ შეცვლას ისახავდა მიზნად,—მაშინ ჩვენ V საუკუნეში სინოპეს მოსახლეობის გარკვეული ეთნიკური სახე წარმოგვიდგება, რაც ისტორიულ სინამდვილეს უნდა შეეფერებოდეს[4]...

ამასთანავე, ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ სინოპეში მოსახლე ბერძნული ელემენტის გასაძლიერებლად მხოლოდ ექვსასი კაცი გაიგზავნა. დამხმარე ძალის ეს მასშტაბი სინოპეში ბერძნული მოსახლეობის საერთოდ არა მრავალრიცხოვნობის მაჩვენებელი უნდა იყოს...

გერმანელი მეცნიერის ო. ბლაუს აზრით[5], სინოპეში ბერძენთა ძლიერების დაცემის დასაწყისი („Die Anfänge des Verfalls der griechischen Macht in Sinope". იხ. Streuber, Op. cit., გვ. 66) ძველი წელთაღრიცხვის 360-იან წლებს განეკუთვნება.

---

[1] **Streuber**, Sinope, გვ. 64.

[2] პლუტარქე, პერიკლე, 20.

[3] დასახ. შრ., გვ. 64.

[4] კოტიორაში ქსენოფონტესთან მოსული სინოპელი ელჩები (ბერძნები) სინოპეს მოსახლეობის ბერძნული ნაწილის წარმომადგენლებად უნდა მივიჩნიოთ, რომლებიც თავიანთ თანამემამულე ბერძენ მოლაშქრეებთან მოვიდნენ, კოტიორაში მოსახლე ბერძენთა ინტერესების დასაცავად.

[5] ბლაუს შრომა ჩვენთვის ხელმიუწვდომელი აღმოჩნდა, ამიტომ ვსარგებლობთ შტროიბერის წიგნში მოტანილი მასალით.

ამ დროიდან,—განაგრძობს ბლაუ,—სინოპეს განაგებდა ადგილობრივ წარჩინებულთა წრე, რომელიც სპარსეთის მეფის უზენაესობას მხოლოდ ნომინალურად ექვემდებარებოდა[1].

წარჩინებულთა ამ წრიდან არჩეულ ქალაქის მმართველს დროთა განმავლობაში, ეპოქის მოთხოვნილების შესაბამისად, მეფის ტიტული ენიჭება[2].

ზემოხსენებული ტიმეზილეოსის შემდეგ 125 წლის მერე სინოპეში ვხედავთ კვლავ ტირანს, რომლის სახელიც—სკვიდროთემი ბარბაროსულად ჟღერს. ტაციტი მას მეფეს (Rex) უწოდებს[3].

მაქსიმოვა, რომელსაც შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროს ქალაქები მხოლოდ ბერძნულად წარმოუდგენია და მათ ისტორიას ცალმხრივად მხოლოდ ამ მიმართულებით განიხილავს, სკვიდროთემზე წერს: „Судя по его имени, не грек, скорее всего представитель местной знати, в какой-то своей части слившийся с верхушкой греческого общества"[4].

უცნაურია, რომ სხვა ავტორთა მტკიცებას, რომ სინოპეში უმრავლესობას არაბერძენი, ადგილობრივი მოსახლეობა შეადგენდა, მაქსიმოვა ყურად არ იღებს, ანგარიშს არ უწევს, არ ცდილობს მის დასაბუთებულ უარყოფას და ჯიუტად ებღაუჭება თავის აკვიატებულ კონცეფციას.

სკვიდროთემი არ არის ტირანი, რომელსაც ხელისუფლება ძალით აქვს მიტაცებული. იგი არ ხელისუფლობს ხალხისა და კანონის წინააღმდეგ. პირიქით, იგი თავის ძალაუფლებას სახალხო კრების საშუალებით ახორციელებს (Streuber, გვ. 67).

ბლაუმ სინოპეს ფულების არამეული წარწერებიდან დაადგინა კიდევ ერთი მმართველი სინოპისა, რომელიც სკვიდროთემის წინამორბედი ან წინაპარი შეიძლება იყოს. მისი სახელია არიოდატი (Streuber, გვ. 67).

შტროიბერს ორასი წლის განმავლობაში (ძვ. წ. 500—300 წწ.) ქ. სინოპეს შინაგან ცხოვრების დამახასიათებელ მოვლენათა შორის ეგულება ბრძოლა ელინურსა და ბარბაროსულ ელემენტთა შორის („Hellenenthums mit dem Barbarenthum", იქვე, გვ. 67).

განხილული გვაძლევს იმ ურთიერთობის ნათელ სურათს, რომელიც ისტორიული სინამდვილის შესაბამისად, წარმოიდგინება

---

[1] Streuber, დასახ. წ., გვ. 66.
[2] იქვე.
[3] იქვე.
[4] М. И. Максимова, Античные города... გვ. 180.

როგორც სინოპეს, ისე შავი ზღვის სანაპიროს სხვა ქალაქთა მიმართ.

სინოპეს ადგილობრივი პირვანდელი მოსახლეობა, რაზედაც პირველწყაროები მიუთითებს, და რომელთაც მაქსიმოვა „არაბერძნულ ეთნიკურ ჯგუფებს“ [1] უწოდებს, ძირითადად და არსებითად ხალიბებისაგან შედგებოდა, რომელთა ნახელავმა რკინის ნაწარმმაც პირველად მიიქცია ბერძენთა ყურადღება და მოიზიდა ბერძენი კოლონისტები აქეთკენ.

ბერძნებმა რკინას, ფოლადს იმ ხალხის სახელი უწოდეს, ვისი ხელიდანაც მათ იგი პირველად მიიღეს და გაიცნეს.

რიტტერი აღნიშნავს, რომ სინოპეს მიერ ფართოდ წარმოებული ვაჭრობის ერთ-ერთ ძირითად საგანს ლითონის ნაწარმი წარმოადგენდა, რომელსაც ამზადებდნენ ხალიბები და დასძენს, რომ ეს ნაწარმი, ალბათ, თვით სინოპეშიაც მზადდებოდა [2].

შტროიბერის აზრითაც სინოპეს მახლობელ რაიონებში მოპოვებული რკინის მადანი სინოპეში მუშავდებოდა: („Das dort oder anderswo in der Nähe gefundene Eisen scheint auch in Sinope Verarbeitet werden zu sein; es wird wenigstens unter den vorzüglichen Stahlarten auch der sinopische erwähnt“) [3].

ამასთანავე, საინტერესოა, რომ სტეფანოზ ბიზანტიელის მიერ ჩამოთვლილ ოთხ საუკეთესო ჯიშის ფოლადს შორის — ორი აღინიშნება სახელწოდებებით: ხალდური და სინოპური; ორი დანარჩენი კი — ლიდური და ლაკონური [4]. სინოპური და ხალიბური ფოლადი, როგორც საუკეთესო ხარისხისა, იხმარებოდა უპირატესად სადურგლო იარაღების დასამზადებლად [5].

განა ბუნებრივი არ არის ვიფიქროთ, რომ რკინას მისივე მწარმოებელი ჰქიდდა? ნუთუ იმ დროისათვის უფრო ბუნებრივი იქნებოდა გვევარაუდა, რომ ხალიბების მიერ დამზადებული რკინის ნაწარმის გამსაღებელ-გამყიდველად სხვა უცხო ტომი (სირიელები) გამოდიოდა და ხალიბთა რკინის ნაწარმმა მხოლოდ მაშინ და მის შედეგად მოიხვეჭა სახელი, რაც იგი სინოპეში ჩამოსახლებულ უცხოელთა ალებ-მიცემობის ობიექტად გადაიქცა?

---

[1] ხსენ. შრ., გვ. 10.

[2] Ritter, Die Erdkunde, Th. XVIII, Drittes Buch, West-Asien Klein-Asien. Band I, Berlin, 1858, გვ. 101.

[3] Streuber, გვ. 59.

[4] იქვე.

[5] იქვე.

ცნობილი მკვლევარი ჰ. გელცერი ამბობს სინოპეზე: „მეოთხე საუკუნის მონეტები, რომლებზედაც არამეული ლეგენდებია, გვიჩვენებს, რომ ჯერ კიდევ მაშინ მოსახლეობის არაბერძნული ნაწილი თვალსაჩინო იყო“ [1].

რომ ქ. სინოპეს მოსახლეობა ადგილობრივი ტომის ხალხისაგან შესდგებოდა, მაქსიმოვა პირდაპირ აღიარებს. იგი წერს: „О заселении территории Синопы местными племенами свидетельствует и самое негреческое имя этого города“ [2].

ამ არაბერძნული მოსახლეობის ძირითად მასას სწორედ ხალიბები შეადგენდნენ. სინოპეში იმთავითვე ადგილობრივი მოსახლეობის არსებობას გულისხმობენ ევროპელი მკვლევარნი დ. ბლაუ და რიტერი, რის შედეგადაც მათ იქ შერეული მოსახლეობა ეგულებათ [3].

საყურადღებოა ამასთანავე, რომ ქალაქის სახელი არაბერძნულია.

როგორც აღვნიშნეთ, სირიელები და ბერძნები შავი ზღვის სანაპიროზე, არაადგილობრივ, მოსულ ელემენტად ითვლება, ადგილობრივი პირვანდელი მოსახლეობა, გარდა ხალიბებისა, პირ ელ წყაროებში არ მოჩანს. არც ერთი ძველი წყარო ასეთ რამეს არ იცნობს და სარბიელი მხოლოდ ხალიბებისათვის რჩება... მით უმეტეს, რომ როგორც ეს ქვემოთ იქნება გარკვეული, თვით ქალაქის სახელწოდება სინოპე, რა ფორმითაც იგი შემოგვინახა ძველმა წყაროებმა, ქართული სამყაროდან მომდინარეობს.

აღსანიშნავია, რომ როდესაც ქსენოფონტე შავი ზღვის სანაპირო ქალაქებს (ტრაპიზონი, კერასუნტი, კოტიორა) ელინურს უწოდებს, ეს იმას არ გულისხმობს, რომ იქ ადგილობრივი მოსახლეობა არ იყო.

რომ შავი ზღვის სანაპიროზე ძლიერ ადრე არსებობდა ქალაქები, ადგილობრივი მოსახლეობის მიერ შექმნილი და რომ ეს ქალაქები ზოგი, ბერძნების შერევით, იქცა ისეთ ქალაქებად, რომლებმაც იერი იცვალეს და ამიტომ ძველი წყაროები მათ ბერძნულ ქალაქებად იხსენიებს, ზოგი კი—სუფთა ადგილობრივი დარჩა, ამას მოწმობს სკილაქს კარიანდელის (VI — V საუკ. ძვ. წ.), ე. წ.

---

[1] H. Gelzer, Sinope in den Keiltexten, ჟურნალში „Zeitschrift für Ägyptische Sprache und Alterthum“. 1874, გვ. 120.

[2] Античные города, გვ 41, შენ. 1.

[3] D. Blau—ჟურნ. Zeitschrift der deutsch. morgenländischen Gesellschaft, IX, გვ. 82—85.

ფსევდო-სკილაქსის სახელით ცნობილ ფრაგმენტებში შენახული ცნობა.

ამ ცნობაში ავტორი ერთიმეორეს უპირისპირებს კოლხთა ტერიტორიაზე ბერძნულ (როგორც ვთქვით, ესენი სუფთა ბერძნული ქალაქები არ იყო) და ბარბაროსულ ქალაქებს. სახელდობრ, 81 ე ფრაგმენტში, ჩამოთვლილია რა ე. წ. ბერძნული ქალაქები, მდ. ფაზისის შესახებ ნათქვამია, რომ „მდინარის ზევით ცურვით 150 სტადიონია დიდ ბარბაროსულ ქალაქამდე, საიდანაც იყო მედეა"[1]. ეს ცნობა არა მხოლოდ ადგილობრივი ქალაქების არსებობას ადასტურებს, არამედ შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ მედეას სამშობლო ქალაქი დიდ ქალაქად არის მოხსენებული, რომელიც სხვა ქალაქთა შორის გამოირჩეოდა.

რომ მედეას სამშობლო ქალაქი მართლაც საგანგებოდ უნდა აღნიშნულიყო, როგორც დიდი ქალაქი და ეს ეპითეტი მის მიმართ შემთხვევითი არ იყო, ეს ამავე ფრაგმენტის მასალით უდავო ხდება.

ფრაგმენტის ცნობის ავტორი დასაწყისში იხსენიებს არაელინურ ქალაქს დიოსკურიადას, რამე მსგავსი ეპითეტის გარეშე[2].

ამგვარად, ამ ერთ-ერთ უძველეს ცნობაში დადასტურებული გვაქვს შავი ზღვის სანაპიროზე და ხმელეთის შიგნითაც ადგილობრივი მოსახლეობის მიერ შექმნილი ქალაქების (რომელთაგან ზოგი დიდიც იყო) არსებობა.

ისეთი უძველესი ცნობით, როგორც არის ჰეკატე მილეტელის ფრაგმენტები, დადასტურებულია ხალიბების ქალაქი სტამენა (Fr. 196), ხოლო სკილაქს კარიანდელის მოწმობით, ხალიბებს აქვთ „დახურული ნავსადგური გენეტი"[3].

აქვე ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ, როგორც აღვნიშნეთ, სკილაქს კარიანდელთან აშკარად მოჩანს, რომ შავი ზღვის სამხრეთ სანაპირო ქალაქების ჩამოთვლის დროს, საგანგებოდ არის აღნიშნული ის ქალაქები, სადაც ბერძნული მოსახლეობა, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ბერძენი კოლონისტი-ვაჭრები მოიპოვებიან. სწორედ ამას უნდა ნიშნავდეს მის მიერ ზოგი ქალაქისათვის დართული ეპითეტი „ბერძნული".

რომ მართლაც ეს ასე იყო, რომ აღნიშნული ეპითეტით მითითებული იყო ის ქალაქები, სადაც ბერძნები მოღვაწეობდნენ, და მათ

---

[1] იხ. ВДИ, 1947 წლის № 3. გვ. 242.

[2] იხ. იქვე.

[3] Fr. 88. იხ. Geogr. Graeci Minores, I, გვ. 65.

გვერდით კვლავ არა ერთი ადგილობრივი მოსახლეობის საცხოვრისი ქალაქი იყო, ამას მოწმობს თვით სკილაქს კარიანდელის ფრაგმენტებში შემორჩენილი ცნობა, რომ მოსინიკებს აქვთ ნავსადგური ზეფირიუსი (Ζεφύριος λιμήν)[1], რომელსაც არ ახლავს ბერძნულობის ეპითეტი.

მაგრამ ხსენებული გარემოების ყველაზე მკვეთრი დამადასტურებელი ის არის, რომ სკილაქს კარიანდელი იმავე ფრაგმენტში, რომელშიაც ლაპარაკობს ხალიბების დახურულ ნავსადგურ გენეტზე, ასახელებს „ელინურ ქალაქ სტამენეიას“ (Σταμένεια πόλισ Ἑλληνίς...)[2].

ამავე ქალაქ სტამენეიაზე მოგვეპოვება უფრო ადრინდელი ცნობა ჰეკატე მილეტელისა, რომელიც გვამცნებს: „სტამენია, ხალიბთა ქალაქი“[3].

თხზულება, რომელიც სკილაქს კარიანდელის სახელთან არის დაკავშირებული, მეცნიერთაგან მიჩნეულია ძვ. წ. IV საუკუნის ნახევარში შედგენილად. მაშასადამე, ქ. სტამენეიაზე ორასი წლით უფრო ადრინდელი ცნობა (ჰეკატე) ამბობს, რომ ის ხალიბების ქალაქია, ხოლო IV საუკ. შრომაში კი,—იგი ელინურად არის გამოცხადებული.

მეექვსე საუკუნის ხ ა ლ ი ბ უ რ ი ქალაქი IV საუკუნეში ე ლ ი ნ უ რ ი ვერ გახდებოდა, რადგან, როგორც ცნობილია, ბერძნული კოლონიზაციის ინტენსიური ხასიათი უკვე ადრე იყო დამთავრებული. ცხადია, ამ შემთხვევაში სკილაქს კარიანდელის ცნობაში მხოლოდ ის უნდა იგულისხმებოდეს, რომ ამ დროისათვის სტამენეიაშიც უკვე შეიმჩნეოდა ბერძენ მოვაჭრეთა საქმიანობა.

სწორედ ასევე უნდა გავიგოთ, როდესაც იგი ქ. ფაზისსაც ელინურ ქალაქს უწოდებს[4].

საყურადღებოა, რომ სტრაბონი შავი ზღვის სანაპიროს ქალაქთაგან მხოლოდ ტრაპიზონს უწოდებს πόλιϛ Ἑλληνίς[5], რაც იმის მაჩვენებელი უფროა, რომ ის გარეგნულად ელინურ ქალაქებს მიემსგავსებოდა, ვიდრე იმისი, რომ ის ბერძნებით დასახლებული ქალაქი იყო.

---

[1] Fr. 86, მიულერის გამ., გვ. 64; ჰეკატეს ცნობით კი, მოსინიკებს ჰქონიათ აგრეთვე ქალაქი ხეირადი. Fr. 193.

[2] Fr. 88, მიულერის გამ., გვ. 65.

[3] Fr. 196, ნახე სტეფანე ბიზანტიელი.

[4] Fr. 81, მიულერის გამ., გვ. 62.

[5] XII, 3,17. ლეონჰარდის თქმით, ეს ქალაქები მხოლოდ ნაწილობრივ იყო ელინური („Die Städte waren zum Teil hellenisch, wie Trapezus“. იხ. Leonhard, Paphlagonia.., გვ. 329).

ტრაპიზონის სახელიცა და ისტორიაც მხოლოდ იმას გვიჩვენებს, რომ ის ადგილობრივი მოსახლეობის მიერ დაარსებული და მისი საცხოვრისი იყო.

ხოლო ისეთი უძველესი და უმნიშვნელოვანესი ცენტრი, როგორიც იყო ფაზისი, თავისი მოსახლეობით, ვაჭრობითა და ალებმიცემობით, მთლიანად კოლხურ სამყაროს ჰკუთვნებია, რასაც გვაუწყებს სტრაბონი.

იგი კოლხეთის აღწერილობაში ამბობს: „...ხოლო დანარჩენი კოლხიდა მეტწილად ზღვასთან მდებარეობს: მიმდინარეობს მასზე ფაზისი, დიდი მდინარე... ფაზისზე მდებარეობს მისი მოსახელე ქალაქი, კოლხთა სავაჭრო ადგილი“[1].

ზემოაღნიშნული გვიკარნახებს ვივარაუდოთ, რომ შავი ზღვის სანაპიროზე ადრითგანვე არსებულ ქალაქებში, გარკვეული დროიდან, ბერძენი ვაჭრები და საქმოსნები აჩაღებენ ცხოველ ურთიერთობა-საქმიანობას, რაც ხელს უწყობს მათს იქ მომრავლებას, ისე რომ ზოგიერთ მათგანში ბლომადაც იყვნენ და, ალბათ, ცალკე სექტორად მოსახლეთ, ქალაქის მნიშვნელოვანი ტერიტორიაც ეპყრათ, რაც უცხოელს უმალ თვალში ეცემოდა და რასაც მნახველნი (განსაკუთრებით ბერძნები) საგანგებოდ აღნიშნავდნენ და ტენდენციურად ქალაქს ბერძნულად მიიჩნევდნენ, უგულვებელყოფდნენ რა ადგილობრივ მოსახლეობას. რასაკვირველია, არ არის გამორიცხული, რომ ბევრი მათგანის მომსხო პუნქტად (შესაძლებელია თვით ქალაქადაც) გადაქცევას, ბერძენთა აქ მოსვლის შემდეგ გაჩაღებულმა საერთო საქმიანობამ შეუწყო ხელი...

სინამდვილეში, ბერძნულად წოდებული ქალაქები, იმაზე დიდი ხნის წინათ იყო დაარსებული, ვიდრე იქ ბერძენი მოსაქმენი გაჩნდებოდნენ[2].

აი რას წერს ერთ-ერთ მათგანზე, და დიახაც, საერთოდ, ნ. მარი: „სინოპე დაფუძნებული იყო გაცილებით იმაზე ადრე, ვიდრე მილეტელი[3] ბერძნები მოიფიქრებდნენ იქ თავისი კოლონიის დაარსებას. ეს უნდა გვახსოვდეს შავი ზღვის ჩრდილოეთ

---

[1] *Εμπόριον τῶν Κόλχων*, წ. XI. 2. 17; თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, სტრაბონის გეოგრაფია, 1957, გვ. 123.

[2] რომ ამავე ხანებში საქართველოს სხვა რაიონებშიც და კერძოდ, აღმოსავლეთ საქართველოშიც არსებობდა ქალაქები, თუ ქალაქური ტიპის დასახლებები, ამასადასტურებს არქეოლოგიური მასალა. იხ. საქართველოს არქეოლოგია, გვ. 227—231, 253—257.

[3] სინოპე, ბერძნული ტრადიციით, ქ. მილეტის მცხოვრებთაგან დაარსებული კოლონიად იყო მიჩნეული.

სანაპიროს ქალაქების ისტორიის მიმართ, იქნება ის პანტიკაპეია, თუ რომელიმე სხვა, ჩვენთვის ელინურად როა ცნობილი"[1].

ფრიად საინტერესო ცნობას გვაწვდის პირველი საუკუნის მწერალი პომპონიუს მელა. იგი ამბობს: „პაფლაგონელების მახლობელ მეზობლებს ხალიბებს აქვთ უმნიშვნელოვანესი ქალაქები ამისოსი და სინოპე,... ხოლო მდინარეთაგან ჰალისი და თერმოდონი"[2].

პომპონიუს მელას ცნობა კარგად ეხმაურება და ურყევად ხდის მასალას და მოსაზრებებს სინოპეს პირვანდელი მოსახლეობის— ხალიბების შესახებ და ყველაფერი, ერთად აღებული, ნათელს ხდის ამ საკითხს.

განსაკუთრებით საინტერესოა, რომ ამ მცირე ცნობაში ხალიბთა ადგილმოსახლეობის სამმაგი მითითება მოიპოვება: ა) ისინი პაფლაგონელთა უახლოესი მეზობლები არიან; ბ) აქვთ ქალაქები სინოპე და ამისოსი; გ) მათია მდინარეები ჰალისი და თერმოდონტი.

ასეთი ხასიათის ცნობა არ შეიძლება შემთხვევითი იყოს. მის ავტორს სრულიად გარკვეულად და ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი ხალიბთა საცხოვრებელი რაიონი, რომელიც რამდენიმე ნიშნის მიხედვით მოხაზა, დააფიქსირა (დაახასიათა).

მ. მაქსიმოვა პომპონიუს მელას ცნობას უნდობლად უყურებს;

---

[1] Н. Марр, Яфетические названия красок и плодов в греческом, Изв. ГАИМК, II. გვ. 397.

აქვე შეიძლება გვერდი არ ავუაროთ გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტის" 1959 წლ 22 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნებულ კორესპონდენციას: „ქალაქი წყალქვეშ", რომლის ავტორი ზ. ლომიძე, მოუთხრობს რა სოხუმში წყალქვეშ წარმოებულ არქეოლოგიურ ძიებებსა და აღმოჩენებზე, წერს: „ამ უკანასკნელ ხანს წარმოებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა ცხადყვეს, რომ ეს ქალაქი გაჩნდა ელინთა კოლონიზაციამდე გაცილებით ადრე და იგი ადგილობრივმა მოსახლეობამ დააარსა დაახლოებით 3.000 წლის წინათ.

ნათელი გახდა, რომ დიოსკურია არის ადგილობრივი დაბა, რომელიც გაჩნდა დიდი ხნით ადრე, სანამ აქ ბერძნები მოვიდოდნენ, რომ მარილი ადგილობრივი წარმოების პროდუქტი იყო, ბერძენი ვაჭრები კი მხოლოდ უფრო გვიან ჩაებნენ ამ ვაჭრობაში, როგორც მარილის დამტარებელი შუამავლები.

დაახლოებით 2.500 წელს ჩვენ დრომდე, როცა ადგილობრივმა მოსახლეობამ ფართო სავაჭრო და პოლიტიკური ურთიერთობა დაამყარა ელინური კულტურის სამყაროსთან, დაბის ცხოვრებაში დიდ როლს ასრულებდნენ ბერძენი ვაჭრები და ხელოსნები, რის შემდეგ დიოსკურიას უკვე ძველი საბერძნეთის კოლონიად თვლიდნენ".

[2] Chorographia, წ. 1, 19, 105; ВДИ, 1949, № 1, გვ. 273.

იგი გაკვირვებას გამოთქვამს: „ძნელი სათქმელია საიდან ამოიღო მელამ თავისი მცდარი ცნობებიო“ [1].

მაქსიმოვას წარმოდგენით, მელა „...ასე, თუ ისე შეაცდინა იმ გარემოებამ, რომ სინოპესა და ამისოსის საშუალებით ხდებოდა ექსპორტირება სახელგანთქმული ხალიბური რკინისა“ [2].

იგი კატეგორიულად ამბობს, რომ „...არ არსებობს არავითარი ეჭვი იმის შესახებ, რომ სინოპე პაფლაგონიაში, ხოლო ამისოსი კაპადოკიაში იყო“. და ჰგონია, რომ გეოგრაფიული მდებარეობის გადაწყვეტით, გადაწყვიტა ეთნიკური საკითხი.

ჩვენდა საბედნიეროდ შემცდარია არა პომპონიუს მელა, რომელსაც ხელთ რომელიღაც ძველი წყარო უნდა ჰქონოდა,—ჩვენამდე რომ პირდაპირ არ მოუღწევია—არამედ შემცდარია თვით მ. მაქსიმოვა.

როგორც ცნობილია, პომპონიუს მელას შრომა (რომელიც მას ახ. წ. 44 წელს დაუწერია) ფრიად სერიოზულსა და სანდო წყაროს წარმოადგენს. „Вестник древней истории“ პომპონიუს მელას შრომას შემდეგ დახასიათებას აძლევს: „Землеописание Помпония Мелы, основанное преимущественно на древнеионийских источниках, значительно впрочем подправленных на основании более поздних и современных ему данных, является наиболее выдающимся по полноте и компактности изложения среди немногочисленных латинских географических сочинений. При составлении очерка Черноморской географии Мела пользовался с одной стороны, трудами основанными на „Землеописании“ Гекатея Милетского или на близких ему географических сочинениях, судя по совпадению ряда Кавказских этнических наименований [3].

და მერე,—მელას „Землеописание“,—является необходимым подспорьем для восстановления общей картины причерноморских стран, набросанных Плинием, и для улучшения чтения целого ряда искаженных этнических и местных имен“ [4].

თუნდაც მარტო აღნიშნულის გათვალისწინებით, მაქსიმოვას არ უნდა გამოეტანა ასეთი კატეგორიული დასკვნა და გამოეთქვა გაკვირვება, თუ პომპონიუს მელა საიდან კრებდა მასალას ამა თუ იმ საკითხზე.

---

[1] М. Максимова, Античные города... გვ. 28.
[2] იქვე.
[3] ВДИ, 1949, № 1, გვ. 270.
[4] იქვე, გვ. 271.

რადგან მაქსიმოვა თავის დებულებას, რომ სინოპე პაფლაგონიაში, ხოლო ამისოსი კაპადოკიაში მდებარეობდაო,—იმის დასამტკიცებლად იყენებს, რომ ეს ქალაქები არ შეიძლება ხალიბებს ეკუთვნოდეთ,—საჭირო იყო საკითხის იმ ასპექტში შესწავლა: სინოპე და ამისოსი ყოველთვის შეადგენდნენ თუ არა სათანადოდ პაფლაგონიისა და კაპადოკიის ნაწილს... ისტორიულად რა სურათი წარმოიდგინება ამ მხრივ და რამდენად შეუძლია მკვლევარს მტკიცედ განაცხადოს, რომ ისტორიულად ეს ორი ქალაქი ყოველთვის ამ ორი აღნიშნული ქვეყნის ტერიტორიად მოიხსენიება... თუმცა, ამ შემთხვევაშიაც კი ეთნიკური საკითხი მაინც არ მოიხსნებოდა, რადგანაც პაფლაგონია და კაპადოკია ისტორიის მანძილზე გეოგრაფიულ ცნებებს უფრო წარმოადგენდა, ვიდრე ეთნიკურ ერთეულებს და როგორც პაფლაგონიის ტერიტორიის ნაწილის, ისე განსაკუთრებით კაპადოკიის მოსახლეობის ერთ-ერთ თვალსაჩინო ელემენტს, სწორედ ხალიბთა ტომი შეადგენდა.

რამდენად სწორია მეცნიერულად ამ ვითარებაში ისტორიული წყაროს ერთი ხელის მოსმით გადაგდება და მისი ავტორის შემცდარად გამოცხადება...?

მაგრამ რაც მთავარია, მაქსიმოვას იმისათვის უნდა მიექცია ყურადღება, რომ როგორც ვთქვით, არც პაფლაგონია და მით უმეტეს, არც კაპადოკია, ისტორიულ მანძილზე არ წარმოადგენდნენ რამე დადგენილსა და ურყევ ერთეულს, არც გეოგრაფიული, არც ეთნიკური და არც პოლიტიკური თვალსაზრისით.

რომელიმე წყაროს მიერ სინოპეს პაფლაგონიის შემადგენლობაში, ამისოსისა კი—კაპადოკიაში მოხსენიება, სრულიადაც არ გვაწვდის ამ ქალაქთა მოსახლეობის ეთნიკურ ნიშანს. აკი თვით მ. მაქსიმოვასაც ესმის მაგალითად, რომ „კაპადოკიელთა ეთნიკური შთამომავლობა ჯერჯერობით აგრეთვე გამოურკვეველი რჩება"[1].

პაფლაგონელებზე კი წერს: „პაფლაგონელების ამა თუ იმ ეთნიკური სამყაროსადმი მიკუთვნება არ ხერხდება"[2].

ამა თუ იმ ძველი პუნქტის მიმართ გეოგრაფიულ და ეთნიკურ ნიშანს შორის ყოველთვის იგივეობა არ იგულისხმება; ასეთ ვითარებაში, პომპონიუს მელას ცნობა უაღრესად საინტერესოა და მისი ერთი განცხადებით თავიდან მოშორების ცდა, მკვლევარს ვერ გაანთავისუფლებს მისდამი მეცნიერული პასუხისმგებლობისაგან.

---

[1] М. Максимова, Античные города... გვ. 22.
[2] იქვე, გვ. 19.

რადგან იმ საკითხების გადაწყვეტას: იყო თუ არა სინოპე და ამისოსი ხალიბებით დასახლებული ქალაქები და ეკუთვნოდა თუ არა ხალიბთა ტომი ქართველთა მოდგმას, არსებითი მნიშვნელობა აქვს პონტოს სამეფოს ძირითადი მოსახლეობის ეთნიკური კუთვნილების საკითხის გადასაწყვეტად, საჭიროა ორივე ამ საკითხზე პასუხის გაცემა, რამდენადაც მეცნიერებას თანამედროვე დონეზე ამის შესაძლებლობა გააჩნია.

პომპონიუს მელას ცნობის მიმართ, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში ეჭვი არ ყოფილიყო გამოთქმული, ეს პრობლემა მარტივად გადაწყდებოდა.

მაგრამ მაქსიმოვამ პომპონიუს მელას ცნობა გადაჭრით უკუაგდო და ამით ზემოთ დასახელებული ორივე კითხვა ერთბაშად გადაწყვიტა: სინოპე პაფლაგონიაში იყო, ამისოსი კი—კაპადოკიაში,—მაშასადამე, არც ერთი და არც მეორე ხალიბებს არ ეკუთვნოდათ [1].

თანამედროვე მკვლევრის განკარგულებაში მყოფი მეცნიერული მასალა ნათლად მეტყველებს მაქსიმოვას დაუსაბუთებელი დებულების წინააღმდეგ.

დავიწყოთ მაქსიმოვას დებულების ძირითადი მოტივით,—გეოგრაფიული მდებარეობით, თუმცა, როგორც დავინახავთ, სინოპესა და ამისოსის გეოგრაფიული მდებარეობა და ამ ქალაქთა მოსახლეობის ეთნიკური საკითხი ერთიმეორესთან მჭიდროდ არის გადაჯაჭვული და მათი ერთიმეორესაგან დაშორება, იზოლირებულად განხილვა მოუხერხებელიც კი არის.

ამგვარად, ქვემოთ მოტანილ მსჯელობაში ერთდროულად იქნება გაცემული პასუხი კაპადოკიასა და ნაწილობრივ პაფლაგონიის ტერიტორიაზე, ისტორიული მოსახლეობის ეთნიკური ხასიათის გარკვევით.

თუ ერთი მხრივ, რამდენად არც იმ კატეგორიული განცხადებისათვის მოიპოვება რაიმე საფუძველი, რომ სინოპე ყოველთვის პაფლოგონიის ტერიტორიის ნაწილს შეადგენდა,—ხოლო მეორეს მხრივ, თუ საისტორიო წყაროები რაოდენ ურთიერთსაწინააღმდეგო ცნობებს შეიცავს და მაშასადამე, რაოდენ საჭიროა თვითეული მათგანის დაწვრილებით შესწავლა, ვიდრე დებულების

---

[1] A priori შეიძლება ითქვას, რომ მაქსიმოვას მიერ საკითხის ამ ასპექტში დასმა ძირითადშივე მცდარია, რადგანაც, როგორც ცნობილია, კაპადოკია გეოგრაფიული ცნებაა და არა ეთნიკური. იგივე შეიძლება ითქვას პაფლაგონიაზეც.

კატეგორიულ მტკიცებას შევუდგებოდეთ—ამაში შემდეგი მასალაც დაგვარწმუნებს.

ქსენოფონტეს „ანაბაზისში" გვხვდება შემდეგი ადგილი: როდესაც ქსენოფონტესთან სინოპელი ელჩები მივიდნენ, მათ შორის მორიგების შემდეგ, დაისვა საკითხი,—თუ კოტიორიდან ბერძენთა ლაშქარი რა გზით უნდა გამგზავრებულიყო.

მგზავრობა შეიძლებოდა ზღვით ან ხმელეთით.

ქსენოფონტე სინოპელი ელჩების მესვეურს ჰეკატონიმეს სთხოვს რჩევა მისცეს ელინებს, როგორც ადგილობრივი პირობების მცოდნემ.

სინოპელი ჰეკატონიმე ურჩევს ბერძნებს ზღვით გაემგზავრნენ.

ჰეკატონიმეს ეს რჩევა იმით იყო გამოწვეული, რომ გადაერჩინა სინოპის მხარე ელინთა მხრივ აოხრებისაგან,—თუ ესენი ხმელეთით გაემგზავრებოდნენ [1].

ჰეკატონიმეს ნათქვამი ელინებმა სხვადასხვანაირად შეაფასეს. ქსენოფონტე ამბობს: „... ხოლო ზოგნი ფიქრობდნენ, რომ მისი მიზანი იყო ხელი შეეშალა ელინებისათვის ხმელეთით გამგზავრების დროს აეოხრებინათ სინოპეს ოლქი" [2].

რადგან ნამდვილი მიზნის თქმა არ შეეძლო, ჰეკატონიმე ხმელეთით მგზავრობის სიძნელეს უსაბუთებს ადგილობრივი ტოპოგრაფიულ-რელიეფური პირობებით.

ქსენოფონტეს ტექსტის მიხედვით ისე გამოდის, თითქოს ელინებს კოტიორას სანახებიდან პირველივე ნაბიჯის გადადგმა პაფლაგონიის ტერიტორიაზე უნდა მოხდენოდათ.

მართლაც, ჰეკატონიმე, ცდილობს რა დაარწმუნოს ქსენოფონტე და მისი თანმხლებნი ხმელეთზე მოგზაურობის სიძნელეში, ჩამოთვლის იმ დაბრკოლებებს, რომლებიც ელინებს მოელის პაფლაგონიაზე გავლის დროს.

იგი ეუბნება ელინებს, რომ მათ მოუხდებათ ხელთ იგდონ ამ ქვეყანაში შესასვლელი ერთადერთი გზა, რომლის ორივე მხარეზეც აღმართულია მაღალი მთის მწვერვალები [3]. რომ ამის მერე ელინები მიადგებიან ფართო და ძნელად გადასალახავ მდინარეებს: ჯერ თერმოდონტს (ანუ თერმოდონს), მერე ირისს და ბოლოს ჰალისს [4].

---

[1] Anabasis, წ. V. თავი VI, 11.

[2] იქვე,

[3] იქვე, 7.

[4] იქვე, 9.

ნათქვამიდან ისე გამოდის, რომ კოტიორას რაიონიდან მოკიდებული, უკვე პაფლაგონიის ტერიტორიაა, და ჩამოთვლილი სამი მდინარე ამ ტერიტორიაზეა. ასეთი ვარაუდი არც ერთი პირველწყაროს მიხედვით არ წარმოიდგინება. „ანაბაზისის" ტექსტს აქ ან რაღაც აკლია, ან ჰეკატონიმე განგებ ყალბ ცნობებს აწვდის ბერძნებს.

ქსენოფონტეს კონტექსტის მიხედვით ივარაუდება, რომ სინოპელ ელჩებსა და ელინებს შორის ხანგრძლივი საუბარი იყო.

ამ საუბრის დროს გაირკვა, რომ საჭირო იყო ელინებს მიეღწიათ ქალ. ჰერაკლეამდე, საიდანაც მანძილითაც და შესაძლებლობითაც (ჰერაკლეა დიდი ბერძნული ზღვისპირა ქალაქი იყო) მათ ადვილად შეეძლოთ პროპონტიდის საშუალებით თრაკიაში შესულიყვნენ და მაკედონიის გავლით, თავიანთ სამშობლოში მისულიყვნენ[1].

ჰერაკლეამდე მისვლა შეიძლებოდა: ა) ან ხმელეთის გზით, რომლის დროსაც, სხვათა შორის, უნდა გაევლოთ პაფლაგონიაზე. ბ) ან ზღვის საშუალებით მისულიყვნენ სინოპემდე და იქიდან კვლავ ზღვით—ჰერაკლეაში მივიდოდნენ.

ასეთ ვითარებაში ჰეკატონიმე, აცნობს რა ელინებს ხმელეთით მგზავრობის მარშრუტს, ჩამოთვლის ყველა იმ სიძნელეს, რაც ელინებს შეხვდებოდათ კოტიორიდან გამგზავრებისთანავე, თუ ისინი ხმელეთის გზით მგზავრობას აირჩევდნენ და, მაშასადამე, პაფლაგონიაზეც უნდა გაევლოთ.

ჰეკატონიმეს ნათქვამიდან ის დასკვნა კი არ გამოიტანება, რომ მის მიერ დასახელებული ტოპოგრაფიული ყველა დაბრკოლებანი პაფლაგონიის ტერიტორიაზეა, არამედ, რომ ეს დაბრკოლებანი ძევს იმ სახმელეთო გზაზე, რომლის არჩევის შემთხვევაშიაც ელინებს პაფლაგონიაზე მოუხდებოდათ გავლა.

ამასთანავე, ისიც არის გასათვალისწინებელი, რომ ჰეკატონიმეს რჩევა, როგორც აღვნიშნეთ, ნაკარნახევი იყო სინოპეს ოლქის ბერძენთა ლაშქრის მიერ აოხრებისაგან გადარჩენის ზრუნვით და ამიტომ იგი არ მოერიდა არასწორი ინფორმაციის მოწოდებას და სიძნელეების გადაჭარბებულად დასახვას.

ამგვარად, ქსენოფონტეს აქ განხილული ცნობიდან იმ დასკვნის გამოტანა, თითქოს სინოპე პაფლაგონიის ტერიტორიაზე მდებარეობდა, დაუსაბუთებელი მოჩანს.

---

[1] **Anabasis**, წ. V, თავი VI, 10.

მაგრამ, რომ სინოპე ძვ. წ. IV საუკუნეში პაფლაგონიის შემადგენლობაში არ იყო, ამის დამადასტურებელია თვით ქსენოფონტეს მიერვე „ანაბაზისში“ შემონახული შემდეგი საინტერესო და სრულიად ეჭვმიუტანელი ცნობა.

როდესაც ბანაკში მისულმა სინოპელმა ელჩებმა უთხრეს ელინებს, რომ თუ ისინი ძალადობას არ მოიშლიან, სინოპელები პაფლაგონელებს შეუკავშირდებიან[1], მაშინ მათ ამაზე თვითონ ლაშქრობის მეთაურმა ქსენოფონტემ უპასუხა, რომ თვით ელინებსაც შეუძლიათ თავის მხრივ შეუკავშირდნენ... პაფლაგონელს[2]... ჩვენ ხომ გაგონილი გვაქვს, რომ მას თვალი უჭირავს თქვენს ქალაქსა და ზღვის სანაპირო სოფლებზე, ჩვენ ვეცდებით დავიგულვოთ მისი მეგობრობა, ხელს შევუწყობთ რა მისი წამოწყების (ე. ი. თქვენი დაპყრობის გ. გ.), განხორციელებაშიო[3].

ნათქვამიდან ცხადია, რომ, პაფლაგონიას, რომელსაც ამ რაიონის უფრო სამხრეთი ტერიტორიები ეპყრა, სინოპესა და მის ოლქზე ხელი არ მიუწვდებოდა.

თუნდაც მარტო ეს ცნობა სინოპეს შესახებ საფუძველს აცლის მაქსიმოვას ზემოთ მოტანილ კატეგორიულ განცხადებას, რომ სინოპე პაფლაგონიის ნაწილს შეადგენდაო მუდამ.

მაგრამ ეს კიდევ არაფერი.

უძველესი ცნობის მიხედვით, სინოპე არა პაფლაგონიაში, არამედ კაპადოკიაში მდებარედაც არის მოხსენიებული.

ჰეროდოტე მოგვითხრობს, რომ, როდესაც კრეზმა თავისი ლაშქრობის დროს გადალახა მდ. ჰალისი, იგი „...მიადგა, ე. წ. პტერიას კაპადოკიაში. პტერია ყველაზე დიდი სიმაგრეა ამ მხარეში; იგი სინოპეს მახლობლად არის, თითქმის ზედ ევქსინის პონტზე“[4].

როგორც ვხედავთ, ეს რაიონი ამ ცნობაში კაპადოკიის ტერიტორიად არის აღიარებული.

ეს კიდევ ერთი მჭევრმეტყველური დადასტურებაა იმ არგუმენტის უსაფუძვლობისა, თითქოს სინოპე ყოველთვის პაფლაგო-

---

[1] ჰეკატონიმეს სიტყვები: „ჩვენ მაშინ მოგვიხდება შევკრათ კავშირი კორილასთან (პაფლაგონელთა ბელადი. გ. გ.) პაფლაგონელებთან და სხვებთან, ვისთანაც ეს შესაძლებელი იქნება“ (წ. V, თავი, V, 12).

[2] იგულისხმება კორილა, რომელიც ამ დროს პაფლაგონიის მოსახლეობის ნაწილს ედგა სათავეში.

[3] Anabasis, წ. V, თავი V, 22.

[4] ჰეროდოტე, 1,76.

ნიაში ყოფილიყოს... და, მაშასადამე, იგი ხალიბებს არ შეიძლება ეკუთვნოდეს[1].

ქსენოფონტეს მეორე ადგილზე ნათქვამი, რომ „სინოპელები პაფლაგონელთა ქვეყანაში ცხოვრობენ“[2], აშკარად ეწინააღმდეგება მის მიერ ზემოთ მონათხრობს და იმ შეცდომის შედეგია, რომ იგი თავის ჩანაწერებში ძნელადღა ერკვეოდა კარგა ხნის გასვლის შემდეგ და იმის გამოც, რომ თვით ადგილზე ადვილი არ იყო სხვადასხვა ტომთა შორის ტერიტორიული საზღვრების დადგენა. რომ ქსენოფონტესათვის და სხვებისათვისაც ადვილი არ იყო მაშინდელ ტომთა და გაერთიანებათა საცხოვრისი ადგილების სწორი მოხაზვა და მათ შორის საზღვრების დადგენა, ეს იქიდანაც ჩანს, რომ თვით ქსენოფონტე მოგვითხრობს, რომ კოტიორას რაიონში დაბანაკებულ ელინთა ლაშქარს შეტაკება უხდებოდა პაფლაგონელებთან[3]. კოტიორა პაფლაგონიის აღმოსავლეთი საზღვრიდან დაშორებული იყო დაახლოებით 200 კილომეტრით[4]. ძნელი დასაჯერებელია, რომ მცირერიცხოვან პაფლაგონიას, რომელსაც კორილას ხელქვეით პაფლაგონიის მთელი მოსახლეობაც კი არ მოჩანს გაერთიანებული, — ძალა შესწევდა ესოდენ ვრცელი ტერიტორია თავისი გავლენის ქვეშ ჰქონოდა და ასეთ შორეულ მანძილზე ჰყოლოდა საბრძოლო ძალები, და ეს მაშინ, როდესაც პაფლაგონიისათვის მახლობელ სინოპესა და მის მეზობელ სოფლებში, კორილას დიდი სურვილის მიუხედავად, ვერ ახერხებდა ფეხის შედგმას, როგორც ეს ზემოთ იყო აღნიშნული[5]. აქ ლაპარაკი უნდა იყოს პაფლაგონიის აღმ. ნაწ. მცხოვრებ ხალიბებზე, რომლებიც ქსენოფონტესათვის უცნობი დარჩნენ, რადგან კოტიორადან ბერძნები ხომალდებით გაემგზავრნენ და პაფლაგონიად წოდებული მხარე და მისი მოსახლეობა მათ უშუალოდ ვერ იხილეს. ქსენოფონტეს ნათქვამი უნდა წარმოადგენდეს მის დასკვნას, რომელიც მან გამოიტანა სინოპელი ელჩის ჰეკატონიმეს ტენ-

---

[1] სხვათა შორის, სინოპე ჩვ. წ. X საუკუნეში კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობით, ე. წ. მესამე კაპადოკიაში მდებარეობს. იხ. De Thematibus არმენიაკის თემა. ს. ყაუხჩიშვილი, Georgica IV, გვ. 299—300.

[2] წ. VI, თავი I, 15.

[3] წ. VI, თავი I, 1—14.

[4] М. И. Максимова, Античные города..., გვ. 103.

[5] Anabasis, წ. V, თავი V, 22.

დენციური ინფორმაციიდან პაფლაგონიის შესახებ, რაზედაც ზემოთ იყო ლაპარაკი.

პაფლაგონია დასახლებული იყო მცირერიცხოვანი ტომით, ედუარდ მაიერის გამოთქმით,—პაფლაგონელთა მცირერიცხოვანი ხალხით (das kleine Volk Paphlagonen)[1].

პაფლაგონელების ეთნიკური კუთვნილება უცნობია[2]. ედ. მაიერის აზრით, ისინიც მცირეაზიელებს (Kleinasiaten) უნდა მიეკუთვნონ[3].

ძვ. წ. IV საუკუნისათვის, როდესაც 400 წ. ქსენოფონტემ და ბერძნებმა ამ მხარის მახლობლად იმოგზაურეს, პაფლაგონელთა ნაწილი გაერთიანებული ყოფილა ვინმე წინამძღოლ კორილას მეთაურობით. მაგრამ „ანაბაზისის“ ტექსტიდან აშკარა ხდება, რომ კორილას ხელმძღვანელობით არ ყოფილან გაერთიანებული ყველა პაფლაგონელები.

პირველად ედ. მაიერმა მიაქცია ყურადღება[4], რომ ქსენოფონტეს მონათხრობში ერთიმეორეს უპირისპირდებიან კორილა და პაფლაგონელების ნაწილი.

ბერძენთა ბანაკში მოსული სინოპელთა წარმომადგენელი ეუბნება მათ, რომ სინოპელებს შეუძლიათ შეუკავშირდნენ „...კორილას, პაფლაგონელებსა და სხვებს“[5].

ხოლო ბერძნებმა მას უპასუხეს „...რაც შეეხება შენს მუქარას, რომ თითქოს, თქვენ განზრახვა გაქვთ შეჰკრათ ჩვენს წინააღმდეგ კავშირი კორილასთან და პაფლაგონელებთან, — ჩვენ, თუ ეს აუცილებელი იქნება,—შევებრძოლებით ერთსაცა და მეორესაცო“[6].

შესაძლებელია, ეს იმასაც ნიშნავდეს, რომ აღმოსავლეთ პაფლაგონიასა ან პაფლაგონიის აღმოსავლეთით მცხოვრები ტომები იმიტომ არ მოსჩანან კორილას ხელქვეით გაერთიანებულ ერთეულში, რადგან ტომობრივად განსხვავდებოდნენ მათგან. ჩვენ ხომ

---

[1] Geschichte d. Königr. Pontos, გვ. 20.

[2] М. И. Максимова, Античные города... გვ. 19.

[3] გვ. 21. პაფლაგონელების სიმცირეზე მიუთითებს აგრეთვე R. Leonhard-ი. როდესაც იგი ლაპარაკობს მისი წარმოდგენით მდ. ჰალისის ორივე მხარეზე მოსახლე პაფლაგონელებზე, აღნიშნავს, რომ ისინი ადგილობრივი ძველი ხალხების მიმართ უმცირესობას შეადგენდნენ. იხ. მისი შრომა Paphlagonia, გვ. 308.

[4] ხსენ. შრ., გვ. 29, შენ. 4.

[5] Anabasis, წ. V, თავი, V, 12.

[6] იქვე, V, 5, 22.

გვაქვს ცნობა, რომელშიაც ხალიბები პაფლაგონიის (თუ პაფლაგონიაში მცხოვრებ) ტომად იწოდებიან (ლიკოფრონის სქოლიასტის ცნობა, იხ. ქვემოთ).

ქსენოფონტეს ცნობა აქაური მოსახლეობის შესახებ ზუსტი არ უნდა იყოს.

რომ პაფლაგონელთა ტომი მრავალრიცხოვანი არ უნდა ყოფილიყო, ეს მოჩანს ჰეროდოტედან.

სპარსეთისათვის ხარკის გადამხდელ მესამე ოლქში შემავალ ხალხთა შორის (ამ ოლქში სულ ექვსი სხვადასხვა ხალხი შედიოდა), ჰეროდოტე პაფლაგონელებს მხოლოდ მეოთხე ადგილას ასახელებს (სახელდობრ: ჰელესპონტელები, ფრიგიელები, აზიის თრაკიელები, პაფლაგონელები, მარიანდინები, სირები. (იხ. ჰერ. III. 90), მაშინ, როდესაც მოსხები, ტიბარენები, მაკრონები, მოსინიკები და მარები მე-19 ოლქს შეადგენდნენ (III, 94).

ამგვარად, პაფლაგონია არ წარმოადგენდა ისეთ ძალას, რომ მას რაიმე მნიშვნელოვანი როლი შეესრულებინა ამ რაიონის ცხოვრებაში და კორილას მიერ მისი ნაწილობრივ ხელში ჩაგდებაც მხოლოდ დროებითი მოვლენა იყო.

მ. მაქსიმოვა წერს: „Роль Пафлагонии в истории греческих припонтийских колоний в эпоху эллинизма была также незначительна. Расцвет этого, повидимому, только еще начавшего слагаться в государство могучего союза племен[1] падает на конец V в. и первую треть IV в. до н. э... Впоследствии Пафлагония сперва принадлежала соперничавшим между собой династам, а затем северная ее часть вошла в состав Понтийского царства, а в южной части, начиная с первых десятилетий II в. появляются мелкие династы. Объединенной Пафлагонии после первой половины IV в. больше не существовало“[2].

განხილული მასალებიდან ცხადი ხდება, რომ არ არსებობს საფუძველი ვამტკიცოთ, სინოპე ყოველთვის პაფლაგონიაში იყო. პირიქით, იგი არც მოჩანს პაფლაგონიის შემადგენლობაში რომ ყოფილიყოს როდესმე. ამდენად, პომპონიუს მელას ცნობის წინააღმდეგ—რომ სინოპე ხალიბებისა იყო—გეოგრაფიული მდებარეობის არგუმენტი უსაფუძვლო გამოდგა.

---

[1] მხედველობაში აქვს კორილას მეთაურობით გაერთიანება.
[2] ხსენ. შრ., გვ. 171—172.

ჩვენამდე მოღწეული ცნობებით, კაპადოკია ზღვამდე აღწევდა[1]. ქ. ამისოსიც, თითქოს, მის ფარგლებში იყო. ქსენოფონტეს შემომოტანილი მონაცემებით კი, — ეს რაიონი პაფლაგონიის ნაწილია.

რომ ქსენოფონტე სცდება და პაფლაგონიის ტერიტორია არ შეიძლება კოტიორადან იწყებოდეს და, მაშასადამე, ამისოსსაც თავის ფარგლებში იტევდეს, რომ კოტიორასა და პაფლაგონიას შორის ქართველი ტომები ცხოვრობდნენ, რომელთაგანაც ხალიბები უშუალო მეზობლები არიან პაფლაგონელებისა, ამას ერთი ძველი ცნობაც ადასტურებს.

ამ ცნობაში ხალიბები პაფლაგონიის ტომადაც კი იწოდებიან. სახელდობრ, ლიკოფრონის, რომელიც ძველი წელთაღრიცხვის მესამე საუკუნეში ცხოვრობდა (285—247), სქოლიასტი გადმოგვცემს: „არის პაფლაგონიაში ტომი — ხალიბები, რომელთაგანც, როგორც ჩანს, პირველად იქნა მოპოვებული რკინა“ [2].

ის გარემოება, რომ კორილას მეთაურობით გაერთიანებულ პაფლაგონელებს უპირისპირდებიან ვიღაც სხვა დანარჩენნი, როგორც ამას ქსენოფონტე გადმოგვცემს[3], აგრეთვე იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ იმ ტერიტორიაზე, რომელიც მაშინ საერთო სახელით აღინიშნებოდა და პაფლაგონიად იწოდებოდა, ცხოვრობდა ხალხი, რომელიც ეთნიკურად არ ენათესავებოდა პაფლაგონელ ხალხს. ასეთები უნდა ყოფილიყვნენ პირველ ყოვლისა ლიკოფრონის სქოლიასტის მიერ მოხსენიებული ხალიბები.

მაგრამ სქოლიასტის ცნობიდან აშკარაა, რომ ხალიბები თვით ლიკოფრონს ჰყავდა მოხსენიებული პაფლაგონიაში მცხოვრებლებად და ამან გამოიწვია სქოლიასტის განმარტება, რომელმაც დაუმატა, რომ პაფლაგონიაში მოსახლე ეს ის ტომია, რომლებმაც პირველად მიჰყვეს ხელი რკინის დამუშავებას[4].

ამრიგად, იმ ცნობებს, რომლებშიაც დამოწმებულია ხალიბთა მოსახლეობის არსებობა ჰალისის დასავლეთით, უნდა მიემატოს ლიკოფრონის ცნობაც, რაც მის სქოლიასტთან ერთად, ორმაგად არის დადასტურებული.

---

[1] სტრაბონი, წ. II. 5, 31, თ. ყაუხჩიშვილის გამოც. გვ. 94; სტრაბონი, წ. XII, თავი XIV, 5,24: თ. ყაუხჩიშვილის გამ., გვ. 222.

[2] ВДИ. № 3. 1947, გვ. 272.

[3] Anabasis, წ. V, თავი, V, 12, 22.

[4] Г. Меликишвили, К истории древней Грузии, გვ. 70. Тб. 1959, Ammian Marc., XXII, 21.

აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ, რომ პომპონიუს მელაც, ზემოთ განხილულ ცნობაში, ხალიბებს იხსენიებს პაფლაგონელთა უ ა ხ ლ ო ე ს მეზობლად, რაც იმას მიუთითებს, რომ მელას, ისევე, როგორც ლიკოფრონს და მის სქოლიასტს, ნათელი წარმოდგენა ჰქონდა ხალიბთა საცხოვრებელი ადგილის შესახებ, და არა რომელიღაც შეცდომის შედეგად თხზავდა თავის ცნობას (როგორც მაქსიმოვა მას აბრალებს).

ამ ცნობასთან დაკავშირებით, დიდი მნიშვნელობა ენიჭება სტრაბონის ცნობას მითრიდატე ევპატორის სამეფოს ტერიტორიული მოცულობის შესახებ.

სტრაბონი მოგვითხრობს: „პონტოს მეფედ იჯდა მითრიდატე ევპატორი, ეპყრო (ქვეყანა) შემოსაზღვრული ჰალისით, ვიდრე ტიბარენებამდე და არმენიელებამდე და ჰალასის შიგნით მდებარე (ადგილებით), რომლებიც ვრცელდებიან, ამასტრიამდე და პაფლაგონიის ზოგ ნაწილებამდე“ [1].

ქ. ამასტრია, რომელიც ძვ. წ. IV—III საუკუნეთა მიჯნაზე გაშენებულად ითვლება [2], სინოპეს გაცილებით დასავლეთით მდებარეობდა, რომ თვით ამასტრია და პაფლაგონიის ზოგიერთი ნაწილი მითრიდატე ევპატორის მიერ სამემკვიდრეოდ მიღებულ პონტოს სამეფოს ძირეულ ნაწილს შეადგენდა და არა მითრიდატეს მიერ შეძენილს, ამაში არავითარ ეჭვს არ სტოვებს სტრაბონის ამავე ცნობის მომდევნო სიტყვები.

ზემომოტანილ ცნობას სტრაბონი ასე განაგრძობს, უშუალოდ: „მან შესძინა თავის ქვეყანას სანაპირო დასავლეთის მხარეს ჰერაკლეამდე, რომელიც არის ჰერაკლიდე პლატონიკოსის სამშობლო“ [3]. ე. ი. მითრიდატემ თავისი მამაპაპეული სამემკვიდრეო სამფლობელო განავრცო ამასტრაის დასავლეთი რაიონების დაპყრობით.

სტრაბონის ცნობიდან ცხადი ხდება, რომ სინოპეს უფრო დასავლეთითაც შორს ვრცელდებოდა პონტოს სამეფოს შემადგენლობაში მყოფი ქართველი ტომების მიწა-წყალი და თვით სინოპე მისი ძირეული ნაწილი იყო.

სხვათა ცნობების მიმართ უპირატესობა უნდა მიეცეს სტრაბონს, როგორც ადგილობრივ მცხოვრებს (ის ხომ კაპადოკიის

---

[1] გეოგრაფია, წ. XII, თავი III, 1, თ. ყაუხჩიშვილის გამ., გვ. 200.
[2] ВДИ, № 4, 1947, გვ. 233, შენ. 17.
[3] იქვე.

ქალ. ამასიიდან იყო) და როგორც საკმაოდ ძველი ხანის მოღვაწეს[1].

მართალია, სტრაბონი მეორე ადგილზე ამბობს, რომ, პაფლაგონელების აღმოსავლეთი საზღვარი მდ. ჰალისიაო, მაგრამ ეს ეხება არა ზღვის სანაპიროს, არამედ სამხრეთის ხმელეთის საზღვარს.

ჰომეროსიც ხალიბებს პაფლაგონელების მახლობლად იხსენიებს[2]. სახელდობრ, იქ ვკითხულობთ: „უძღოდნენ ჰალიძონთ კვალად ოდიოსი და ეპისტროფე შორეულ ალიბების მხრიდან, სად სამშობლო ვერცხლისა არს".

ჰომეროსის ამ სტრიქონებიდან პროფ. ს. ყაუხჩიშვილი დაასკვნის, რომ „ჰალიძონებში იგულისხმებიან ის ხალიბები, რომლებიც ძველთაგანვე ცნობილი იყვნენ როგორც ლითონთა დამმუშავებელნი"[3]. და რომ ტროადელთა ბანაკში არიან მცირეაზიელი „ბარბაროსი" ტომები და ქართველ ტომთაგან „ხალიბები"[4].

ამ ცნობაში, რომელიც „ილიადას" ტექსტში ჰომეროსის შემდეგ ჩანამატად ითვლება, ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ჰალიძონ-ხალიბები მოხსენიებული არიან იმ ეთნიკურ-გეოგრაფიულ გარემოში, რომელიც კარგად არის ცნობილი ისტორიული ტრადიციით: პაფლაგონელები და ხალიბები ყოველთვის ერთიმეორის მეზობლად იხსენიებიან.

„ილიადაში" განმეორებულია (თუ თვითონ პირველწყაროს არ წარმოადგენს შემდგომი ხანის ავტორთათვის) მცირე აზიის გარკვეულ გეოგრაფიულ მონაკვეთზე ტომთა მოსახლეობის ის ჩვეულებრივი სურათი, რომელიც ძველ წყაროებში არა ერთხელ არის გადმოცემული, და ნიშანდობლივ მიუთითებს ხალიბთა საცხოვრებელ ტერიტორიაზე. ჩამოთვლა ასე მისდევს:

10. პაფლაგონია
11. ჰალიძონები
12. მიზიელები
13. ფრიგიელები

---

[1] ძვ. წ. 60-იანი წლ., ახ. წ. 20 წ.

[2] „ილიადა", II, 856.

[3] ს. ყაუხჩიშვილი, ჰეროდოტეს „ისტორიის" I, 2—3 თავი და ჰომეროსის „ხომალდთა კატალოგი", თბილისის უნივერსიტეტის შრომები XXXIV a—b, გვ. 369, 1948 წ.

[4] იქვე, გვ. 370.

როგორც ვხედავთ, აქ ჩამოთვლილია რიგზე ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მოსახლე ტომები, რომლებიც მდ. ჰალისის დასავლეთით ცხოვრობენ, და მათ შორის ხალიბებიც არიან.

რომ ხალიბები მართლაც ჰალისის დასავლეთით ცხოვრობენ, ამას ამავე ცნობის კიდევ ერთი დეტალიც ადასტურებს.

ამ ცნობაში პაფლაგონელებზე ნათქვამია, რომ „ისინი ცხოვრობენ მდინარე პართენიოსის გარშემო. პართენიოსი ჰალისის მახლობლად არის"[1].

როგორც ცნობილია, მდ. პართენიოსი ჰალისის კარგა დასავლეთით მიმდინარეობს.

ამავე დროს ძველი წყაროს ყველა ცნობით, პაფლაგონელები ყოველთვის მდ. ჰალისის დასავლეთით მცხოვრებად იგულისხმებიან.

ძველ წყაროებში, სადაც კი გვხვდება გეოგრაფიული ხასიათის ცნობა პაფლაგონიასა და პაფლაგონელებზე, ყველგან გადაჭრით არის მითითებული, რომ ეს ქვეყანა და ხალხი მდ. ჰალისის დასავლეთით არიან და რომ მათი აღმოსავლეთი საზღვარია თვით ეს მდინარე ჰალისი. გამონაკლისს წარმოადგენს ძველ ავტორთა შორის მხოლოდ ქსენოფონტე, რაზედაც ზემოთ იყო უკვე საუბარი.

დავიწყოთ ჰეროდოტედან.

ჰეროდოტე ორჯერ იხსენიებს ჰალისს პაფლაგონელებისა და კაპადოკიელების საზღვრად, მათს ურთიერთშორის გამყოფად.

ერთხელ მას ნათქვამი აქვს, რომ ლიდიის მეფე კრეზი ბატონობდა ყველა ხალხებზე „...მდინარე ჰალისის აქეთა მხარეს[2], რომელიც დის სამხრეთიდან სირიელებსა[3] და პაფლაგონელებს შორის და ჩაედინება ჩრდილოეთში ეხლა ეგრეთ წოდებულ ევქსინის პონტში"[4].

მეორე ადგილზე კი ამბობს: „კაპადოკიელები ელინების მიერ სირიელებად იწოდებიან... ჰალისი... უხვევს ჩრდილოეთისაკენ და გადის მარჯვნით სირიელ კაპადოკიელებსა და მარცხნით პაფლაგონელებს შორის"[5].

როგორც ვხედავთ, ჰეროდოტესთან ორგზის ზუსტად არის მითითებული, რომ პაფლაგონელები ჰალისის დასავლეთით ცხოვრობენ და ეს მდინარე მათი აღმოსავლეთი საზღვარია.

---

[1] ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. შრ., გვ. 370.

[2] ე. ი. მდინარის დასავლეთით.

[3] ჰეროდოტესთან სირიელები უდრის კაპადოკიელებს, როგორც ეს მომდევნო ციტატიდან ჩანს.

[4] Herod. I, 6.

[5] Herod. I, 72.

არანაკლები სიმკვეთრითა აქვს აგრეთვე დადასტურებული სტრაბონსაც, რომ პაფლაგონელები ჰალისის დასავლეთით ცხოვრობენ და მათი აღმოსავლეთის საზღვარი მხოლოდ ამ მდინარემდე აღწევს.

სტრაბონი ჰალისის შიგნითაც (ე. ი. ჰალისის დასავლეთით) წოდებული ქვეყნის მცხოვრებლებად ასახელებს „პაფლაგონელებს, ბითვინიელებსა და მისიელებს“ [1].

მეორეჯერაც სტრაბონის ცნობაში პაფლაგონელები ჰალისის დასავლეთით მცხოვრებად მოსჩანან.

სტრაბონი, ამბობს რა, რომ ერთ ენაზე მოლაპარაკე კაპადოკიელები ჩრდილოეთით ევქსინამდე და ჰალისის შესართავამდე ცხოვრობენ, მათს დასავლეთ მეზობლებად (მოსაზღვრეებად) ასახელებს პაფლაგონელებს [2]. ცხადია, რომ კაპადოკიელების, რომლებიც მდ. ჰალისამდე ტერიტორიაზე ცხოვრობენ, დასავლეთის მეზობლები მხოლოდ ჰალისის დასავლეთით მოსახლე შეიძლება იყვნენ.

მესამეჯერაც პაფლაგონია ჰალისის დასავლეთით მდებარედ არის მოხსენიებული.

სტრაბონი მითრიდატე ევპატორზე ამბობს, რომ მას „...ეპყრო (ქვეყანა) შემოსაზღვრული ჰალისით, ვიდრე ტიბარანებამდე და არმენიელებამდე და ჰალისის შიგნით მდებარე (ადგილებით), რომლებიც ვრცელდებიან ამასტრიამდე და პაფლაგონიის ზოგ ნაწილებამდე“ [3].

როგორც აღნიშნული იყო, ჰეროდოტესთანაც და სტრაბონთანაც ჰალისის შიგნით მხარეებად იწოდებიან ჰალისის დასავლეთით მდებარე ქვეყნები და მოტანილ ცნობაშიც პაფლაგონია სწორედ ჰალისის დასავლეთით იხსენიება.

მომდევნო პარაგრაფში უფრო მკვეთრად აქვს ნათქვამი სტრაბონს ისიც, რომ პაფლაგონელების აღმოსავლეთი საზღვარი ჰალისია, და ისიც, რომ ეს მდინარე არის საზღვარი პაფლაგონელებსა და კაპადოკელებს შორის.

სტრაბონი ჩამოთვლის ე. წ. პონტოს მარჯვენა მხარეებსა და ხალხებს და ამბობს: „პირველნი მათში არიან ბითვინიელნი, შემდეგ მარიანდინები, მერე პაფლაგონიელები, ვიდრე ჰალისამდე,

---

[1] წ. II, თავი V, 31; თ. ყაუხჩიშვილის გამოც., გვ. 94.
[2] წ. XII, თ. I, 1; თ. ყაუხჩიშვილის გამოც., გვ. 199.
[3] წ. XII, თ. III; 1; თ. ყაუხჩიშვილის გამოც., გვ. 200.

მერე კაპადოკელთაგან ისინი, რომლებიც პონტოსთან ცხოვრობენ, და მათ შემდეგ ისინი, რომლებიც კოლხიდამდე არიან“[1].

სტრაბონის ცნობები პაფლაგონელთა მოსახლეობის შესახებ სავსებით ემთხვევა ჰეროდოტეს ცნობებს და დასტურდება, რომ პაფლაგონელები მუდამ მდ. ჰალისის დასავლეთით ცხოვრობდნენ და მათი გავრცელების საზღვარი აღმოსავლეთით არასოდეს ამ მდინარეს არ გადმოსცდენია.

უფრო მეტის თქმაც შეიძლება.

მდ. ჰალისის ქვემო დინების რაიონში პაფლაგონელებსა და კაპადოკიელებს შორის საზღვარი გაცილებით დასავლეთით იდვა.

როგორც მარკიანეს მიერ შემონახული ცნობა[2] ადასტურებს, სტრაბონის თანამედროვე ავტორი მენიპე კაპადოკიასა და პაფლაგონიის საზღვრად სწორედ ჩრდილოეთის სექტორში, ზღვის სანაპიროს რაიონში, მდ. ეუარქოსს (Εὔαρχοσ) მიიჩნევდა.

ეს მდინარე სინოპეს აღმოსავლეთით 80 სტადიუმით, $10\frac{2}{3}$ მილით არის (თანამედროვე ორი მილით) დაშორებული[3].

რომ ამ რაიონში პაფლაგონიასა და კაპადოკიას შორის საზღვარი მყარი არ იყო, შემჩნეული აქვს თ. ნიოლდეკეს[4].

ნათქვამით ცხადად დასტურდება, რომ ხალიბები, პაფლაგონელთა სხვა მეზობელ ტომებთან ერთად, მდინარე ჰალისის დასავლეთით ცხოვრობენ.

ხოლო რამდენადაც ხალიბების მდ. ჰალისის აღმოსავლეთით მოსახლეობის ფაქტში ეჭვი არავის ეპარება, ამდენად ურყევ დებულებად უნდა იქნეს მიჩნეული, რომ ხალიბები უძველეს დროს მდ. ჰალისის ორივე მხარეზე ცხოვრობდნენ.

„ილიადას“ აღნიშნული ცნობიდან კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დასკვნა შეიძლება მივიღოთ ხალიბების თაობაზე.

აქ ერთიმეორის მეზობლად ჩამოთვლილ ხალხთა შორის 10—16-მდე, ე. ი. სულ შვიდი სახელწოდების ხალხიდან, ხუთს ორ-ორი წინამძღოლი ჰყავს, ორს კი—თითო. ამათგან ორი წინამძღოლი ჰყავთ ჰალიძონებს (ოდიოსი, ეპისტროფე), ერთი ჰყავთ

---

[1] წ. XII, თ. III, 2; თ. ყაუხჩიშვილის გამოც., გვ. 201.

[2] Marciani Heracleensis Epitome Periple Menippi, 9.

[3] Anonymi (Arriani ut fertur) Periplus Ponti Euxini, 23; K. Müller, Geogr. Graeci Minores, გვ. 407.

[4] „Hermes“, Fünfter Band, 1871, გვ. 449.

პაფლაგონელებს (პილემენე). წინამძღოლთა რიცხვი ხალხის სიმრავლეზე უნდა იყოს დამოკიდებული.

მაშასადამე, ხალიბების მოსახლეობა (ჰალისის ორივე მხარეზე, რასაკვირველია) რიცხობრივად სჭარბობდა პაფლაგონელთ, რაც სხვა ასპექტშია საინტერესო და ამაზე ქვემოთ იქნება ლაპარაკი.

ჰომეროსის აღნიშნულ ცნობასთან დაკავშირებით, ჯერ ისევ ძველ სამყაროში ატეხილ კამათიდან, როგორც ეს მოჩანს სტრაბონთან, აგრეთვე ირკვევა, რომ ჰომეროსის ჰალიძონები მდ. ჰალისის დასავლეთით ცხოვრობენ.

სტრაბონი რამდენიმეჯერ უბრუნდება ამ საკითხს.

იგი ვრცლად განიხილავს მასზე ადრინდელი ავტორების მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს, მარჯვედ ეკამათება მათ საჭირო შემთხვევაში და იცავს იმ აზრს, რომ ჰომეროსის ცნობაში ლაპარაკია ჰალიძონებზე, იგივე ხალიბებზე, რომლებიც მდ. ჰალისის გაღმა-გამოღმივ ცხოვრობენ [1].

კერძოდ, ეფორესთან კამათის დროს სტრაბონი ერთ ადგილზე ამბობს „... ჯერ უნდა შევეკითხოთ ეფორეს, რატომ ათავსებს ხალიბებს ნახევარკუნძულის შიგნით, ასე შორს აღმოსავლეთით სინოპესა და ამისოსისაგან?“ [2].

ხოლო მეორე ადგილას: „...რატომ ათავსებს იგი შუა ხმელეთზე ხალიბებს, რომელთაც პოეტი (ჰომეროსი) ჰალიძონებს უწოდებს, როგორც ჩვენ უკვე დავამტკიცეთ“ [3].

ამ კამათიდან საინტერესოა ორი მომენტი: ა) სტრაბონი აიგივებს ჰალიძონებსა და ხალიბებს და ბ) ისინი მიაჩნია მდინარე ჰალისის დასავლეთით მოსახლედ.

მაშ რას ნიშნავს მითითება იმაზე, რომ არ შეიძლება ხალიბები სინოპეს აღმოსავლეთით შორს მოვათავსოთ? ეს ნიშნავს იმას, რომ ხალიბთა მოსახლეობა სინოპედან შორს არ არის დაშორებული და იგი მდ. ჰალისის დასავლეთით ივარაუდება. და რომ ეს სწორედ ასეა, ისიც ადასტურებს, რომ სინოპეს გარდა, ამისოსზეც არის მითითებული. სტრაბონს რომ ეფორის მიმართ სასაყვედურო ჰქონოდა მდ. ჰალისის აღმოსავლეთით ნავარაუდევ ხალიბთა მოსახლეობის შესახებ, მაშინ სავსებით საკმარისი იქნებოდა ამისოსზე მითითება, და სინოპეს ხსენება, რომელიც დასავლეთით

---

[1] წ. XII, 3, 20—24, თ. ყაუხჩიშვილის გამ., გვ. 205—211.
[2] XIV, 5, 24, თ. ყაუხჩიშვილის გამ., გვ. 221.
[3] იქვე.

შორს მდებარეობს, სრულიად უადგილო იქნებოდა. სტრაბონის მიერ ქ. სინოპეს ხსენება სრულიადაც შემთხვევითი არ არის და პომპონიუს მელას ცნობას, რომ სინოპე და ამისოსი ხალიბებისაა, კარგად ეხმაურება. სტრაბონის ეს კონცეფცია და პომპონიუს მელას ცნობა ერთი საერთო წყაროდან უნდა მომდინარეობდეს.

სტრაბონის ამ ცნობიდან მხოლოდ იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ მას მხედველობაში აქვს ხალიბთა მოსახლეობა მდ. ჰალისის ორივე ნაპირზე.

სტრაბონი ეფორთან ორი მიმართულებით აწარმოებს კამათს ხალიბების ლოკალიზაციის თაობაზე.

ერთ შემთხვევაში ის უკიჟინებს ეფორს იმის გამო, რომ მან ხალიბები სინოპესა და ამისოსსაც კი, აღმოსავლეთის მიმართულებით შორს მოათავსა და მეორე შემთხვევაში კი უსაყვედურებს, რომ ეფორმა ხალიბები მხოლოდ ხმელეთის შიგნით მოათავსა, მაშინ როდესაც,—სტრაბონის სიტყვით: „უმჯობესი იყო გაეყო და ერთნი ეჩვენებინა ზღვის ნაპირას, ხოლო მეორენი შუა ხმელეთზე“ [1].

ამ კამათიდან მნიშვნელოვანი სწორედ ის არის, რომ აქ ლაპარაკია ერთ შემთხვევაში ხალიბების სინოპესაგან დაშორებაზე და ისიც აღმოსავლეთით, მეორე შემთხვევაში კი—მათს დაშორებაზე ზღვის სანაპიროდან, ე. ი. სამხრეთით.

კამათიდან ცხადი ხდება, რომ სტრაბონი ხალიბებს გულისხმობს სინოპესთან, ყოველ შემთხვევაში მისგან არა შორს; ამის უარყოფა შეუძლებელია.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია აგრეთვე ის გარემოება, რომ სტრაბონის აქ განხილული ცნობის ობიექტია ხალიბთა ვრცელი სამყარო, რომლის დასავლეთი საზღვარი სინოპეს ირგვლივ ივარაუდება და არა ხალიბთა ის მცირე ელემენტი, რომელიც ლოგოგრაფოსების მიხედვით, მდ. თერმოდონტთან მოსახლეობს და ქსენოფონტეს მოწმობით, სხვისი ქვეშევრდომნი არიან.

სინამდვილეში რომ ხალიბთა სამყარო მხოლოდ ამით ყოფილიყო შემოფარგლული, მაშინ რის საფუძველზე უნდა წამოეწყო სტრაბონს დავა მათი არსებობის შესახებ არა მხოლოდ ამისოსის, არამედ მის გაცილებით შორს დასავლეთით თვით სინოპემდე? ეს უმნიშვნელო, სხვისი ქვეშევრდომი ელემენტი, სტრაბონსა და ეფორს შორის დავის საგანი, იმ ასპექტში, როგორც სტრაბონთან

[1] XIV, 5, 24, თ. ყაუხჩიშვილის გამოც., გვ. 222.

ვხედავთ,—ვერ გახდებოდა. ცხადია, რომ სტრაბონს საუბარი აქვს ხალიბთა ცნობილ ვრცელ სამყაროზე.

ხალიბები რომ მცირე ყოფილიყვნენ და მხოლოდ თერმოდონტზე ეცხოვრათ, მაშინ უძველეს ცნობებში (სკილაქს კარიანდელი, ფრაგმ. 88; ჰეკატე მილეტელი, ფრაგმ. 196) როგორ არის დასახელებული ხალიბთა დახურული ნავსადგური გენეტი და მათივე ქალაქი სტამენეა.

და ბოლოს, ეფორე ხომ თვითონ გვაწვდის ცნობას ხალიბების მდ. ჰალისის დასავლეთით მოსახლეობისა და ფრიგიელების მეზობლობაზე.

ეფორეს თხზულებას ჩვენამდე არ მოუღწევია, ხოლო, როგორც სტრაბონი გვაუწყებს, ეფორე სთვლიდა, რომ ნახევარკუნძული დასახლებულია 16 ტომით, რომელთაგანაც, მისი (ეფორეს) ცნობით, ზოგნი ზღვის სანაპიროზე ცხოვრობენ, ხოლო „შუა ქვეყანაში მოსახლეობენ: პისიდიელები, მისიელები, ხალიბები, ფრიგიელები“[1].

მაშასადამე, ეფორე ხალიბებს, რომელნიც ჰომეროსთან ჰალიძონებად იწოდებიან, მიიჩნევდა ჰალისის დასავლეთით მოსახლედ, მას ისინი აქ ეგულება და აკი იხსენიებს კიდეც აქაურ ხალხთა შორის და სწორედ იმ გარემოცვაში, როგორც ეს სხვა წყაროებიდანაც არის ცნობილი[2].

მისიელებსა და ფრიგიელებს შორის მოსახლე ხალხი არ შეიძლება ჰალისის აღმოსავლეთით ვეძიოთ.

თვით სტრაბონიც ხომ პაფლაგონელებს, ბითვინიელებს, მისიელებს და ფრიგიელებს „ჰალისის შიგნითად წოდებული ქვეყნის“, ე. ი. ჰალისის დასავლეთით მდებარე მიწა-წყლის მოსახლეებად იხსენიებს[3].

სტრაბონის კამათი ეფორესთან არსებითად იმას კი არ ეხება, თუ სად მოსახლეობენ ხალიბები: მდ. ჰალისის აღმოსავლეთით, თუ დასავლეთით, არამედ იმას, რომ ეფორე, რომელმაც იცის, რომ ხალიბები ჰალისის ორივე მხარეზე ცხოვრობენ, ფიქრობდა, რომ ტროადის ომში მონაწილედ მხოლოდ მდინარის დასავლეთით მობინადრე ხალიბები არიან მისაჩნევი, რადგან მდინარის გაღაღმიდან გაუჭირდებოდათ იქაურ ხალიბებს დიდ მანძილზე მოსვლა.

---

[1] წ. XIV, თავი V, 23. თ. ყაუხჩიშვილის გამოც., გვ. 220.

[2] შეად: 1) ჰომეროსთან—ჰალიძონები, მისიელები, ფრიგიელები; 2) ჰეროდოტესთან—ფრიგიელები, მისიელები, მარიანდები, ხალიბები, პაფლაგონელები.

[3] წ. II, თავი V, 28. თ. ყაუხჩიშვილის გამ., გვ. 94.

სტრაბონი კი ირწმუნება, რომ სიშორის არგუმენტი დამაჯერებელი არ არის და შორი მანძილი ვერ შეუშლიდა ხელს ჰალისის აღმოსავლეთით მოსახლე ხალიბებს მიეღოთ მონაწილეობა ტროადის ლაშქრობაში, ისევე როგორც არ იყო იგი ამ საქმეში ხელისშემშლელი ლაშქრობაში მონაწილე, ჰალისის აღმოსავლეთით მოსახლე, სხვა ხალხებისათვის.

აი, ეს არის ძირითადი არსი ამ კამათისა.

საკმარისია ადამიანი გულდასმით გაეცნოს იმ კამათს, რომელსაც ესოდენი სერიოზულობით და მეცნიერული გაზრძნილობითა და საბუთიანობით აწარმოებს სტრაბონი იმათთან, ვინც უარყოფს, რომ ჰომეროსის ჰალიძონები არიან ხალიბები, რათა დარწმუნდეს ჰომეროსის ცნობის უარყოფის უსაფუძვლობაში[1].

მოტანილი ცნობებით ხელთ გვეძლევა კიდევ ერთი მითითება იმაზე, რომ ძველად ხალიბები მდ. ჰალისის დასავლეთითაც მოსახლეობდნენ.

ჰომეროსის, ჰეროდოტეს (V ს.), ეფორეს (IV ს.), ლიკოფრონისა (III ს.) და მისი სქოლიასტის ცნობები ხალიბთა დასავლეთის რაიონებში მოსახლეობის საკითხს მტკიცე ნიადაგს უქმნის, რასაც ურყევად ხდის შემდგომი დროის ავტორთა (პომპონიუს მელა, სტრაბონი) მოწმობანი.

გერმანელი მკვლევრის რ. ლეონჰარდის აზრით, ჰომეროსის Alybe არის ილირიის მთიანეთი და თვით სახელიც ილირიულ დიალექტში პოულობს ახსნას[2]. მას ჰალიძონები მიაჩნია არა მცირე აზიის, არამედ ეპირის ჩრდილოეთით მთიანეთში მოსახლედ[3].

ამ თავის მოსაზრებას ლეონჰარდი ძირითადად იმით ასაბუთებს, რომ როგორც ის ამბობს, ჰალიძონების მოსახლეობის მცირე აზიის ჩრდილოეთის რაიონში ვერცხლის მადანი არსად იპოვება და სტრაბონის ცნობა, რომ ხალიბები უწინ ვერცხლსაც ამუშავებდნენ, სანდო არ არისო[4].

ამასთანავე დასძენს, ეს მხარე ძალიან შორს არისო.

ლეონჰარდი აღნიშნავს ამასთანავე, რომ ისტორიამ არ იცის ამ ადგილებში ვერცხლის საბადოები და რომ ასეთები მხოლოდ ტავრშია (იქვე).

ლეონჰარდის ჰალიძონებისა და ხალიბების მიმართ არასწორი ვარაუდის შესახებ, ჯერ ერთი ის უნდა ითქვას, რომ ხალიბები

---

[1] სტრაბონის გეოგრაფია, წ. XII, თავი III, 19—24.
[2] R. Leonhard, Paphlagonia.., გვ. 305.
[3] იქვე, გვ. 304—305.
[4] იქვე, გვ. 304.

ძველად მცირე აზიის ვრცელ ტერიტორიაზე იყვნენ გავრცელებული და ის ადგილები, სადაც ლეონჰარდსაც ვერცხლის საბადოები ეგულება, ხალიბების ხელში იყო. მარტო იმის თქმა იკმარებდა, რომ ისტორიის უკანასკნელ პერიოდამდე Argirokastron-ი Chaldia-ს დედაქალაქი იყო.

ამას გარდა, ლეონჰარდი ანგარიშს არ უწევს სტრაბონის სხვა, ფრიად საყურადღებო არგუმენტებს, რომლებითაც ის ჰალიძონებისა და ხალიბების იგივეობას ამტკიცებს[1].

ამდენად, და სწორედ ამიტომ უფრო, ლეონჰარდის მიერ მოტანილი მასალაცა და მსჯელობაც ჰალიძონებისა და ვერცხლის საბადოების შესახებ, დამაჯერებლობას მოკლებულია. სხვათა შორის, ო. გრუპეზე დაყრდნობით იმის აღიარება, რომ ჰალიძონთა წინამძღოლების ჰოდიუსისა და ეპისტროფოსის სახელები ბერძნულ სამყაროს უნდა ეკუთვნოდესო, ზემოხსენებული საკითხის ლეონჰარდისეულ გადასაწყვეტად დიდმნიშვნელოვან არგუმენტს არ უნდა წარმოადგენდეს, რადგან ადვილი დასაშვებია, რომ შორეული ქვეყნიდან მოსულთ მათთვის უცხო ქვეყანაში ადგილობრივი პირნი წინამძღოლობდნენ, რომელთა საშუალებითაც, ალბათ, იყო დამყარებული კონტაქტი ადგილობრივ ელემენტსა და ჰალიძონებს (ხალიბებს) შორის.

გარდა ამისა, საკუთარ სახელთა ანალოგიების მოძებნა სხვადასხვა გეოგრაფიულ რაიონში ხომ ძნელი არ არის საერთოდ. მით უმეტეს, რომ მოტანილი ორი სახელიდან ოდიუსი და ეპისტროფოსი, პირველი—არაელინური სამყაროსთვის კუთვნილად უფრო გამოიყურება და ჟღერს.

თუ ადრევე ისეთი მასალა, როგორიც არის ქართული გვარი ოდიშელი, მამაკაცის სახელი ოტია, აქედან გვარი ოტიაშვილი გვაფიქრებინებდა, რომ ოდიუსი ქართული სამყაროსათვის უცხო არ იყო,—ახლა ამის გადაჭრით თქმა შეიძლება, რადგან როგორც ვუკ. ბერიძემ გაარკვია, ოდი ქართული წარმართული პანთეონის ერთ-ერთი თვალსაჩინო ღვთაება იყო[2].

ამასთანავე, ანგარიშგასაწევია ის გარემოება, რომ ასურულ წყაროებში ხშირად არის მოხსენიებული ხალიბების სავარაუდებელი და მათი მონათესავე ტომების საცხოვრებელი რაიონიდან წაღებულ ალაფში ვერცხლის ნივთები, რაც ადგილობრივი ნაწარმი უნდა იყოს.

[1] სტრაბონი, გეოგრაფია, წ. XII, თ. III, 20—27.

[2] იხ. ვუკ. ბ ე რ ი ძ ე, ოდი, ოდიში და ოდოია, ჟურნ. „მნათობი“, 1959 წ. № 12, გვ. 168—170.

ამას გარდა, თუკი ხომალდთა სია 630 წ. შეიქმნა[1] და მაშინ შესაძლებელი იყო ჰალიძონების ანალოგია ხალიბებთან,— ცხადია, რომ ხალიბები ამ დროსაც და უფრო ადრეც ამ ადგილას ცხოვრობდნენ და ეს არის ჩვენთვის სწორედ ყველაზე მნიშვნელოვანი.

არც ის არის უმნიშვნელო, რომ სტრაბონიც ამ ანალოგიას არა მხოლოდ შესაძლებლად მიიჩნევს, არამედ მას თავგამოდებით იცავს, რის შესაძლებლობასაც მას მაშინდელი სამყაროს საერთოდ და კერძოდ, ხალიბთა სამყაროს ცოდნა აძლევდა.

თუ რამდენად არა ღრმა მეცნიერული გააზრებით არის წარმოდგენილი ლეონჰარდის აქ მოტანილი მსჯელობა, ამას მოწმობს ის გარემოება, რომ იგი შეურიგებელ წინააღმდეგობაში ვარდება და თავის აქ ნათქვამს თვითონვე სავსებით უარყოფს თავისი ამავე ნაშრომის მეორე ადგილას, როდესაც აღიარებს; რომ ადვილი დასაჯერებელია სტრაბონის ნათქვამი, რომ წინათ ხალიბები ვერცხლის მადანსაც ამუშავებდნენო[2].

როგორც ვხედავთ, ლეონჰარდი იმას, რასაც ზემოთ დაუჯერებელს უწოდებდა, ეხლა დასაჯერებლად მიიჩნევს.

ფრიად ანგარიშგასაწევი მოსაზრება აქვს გამოთქმული ედ. მაიერს. ლაპარაკობს რა იმაზე, რომ ბერძნები ძალიან ადრიდან იცნობდნენ ხალიბურ ფოლადს და რომ ხალიბებში ვერცხლიც ძველთაგანვე უნდა ყოფილიყო ცნობილი, იგი მიაქცევს ყურადღებას, რომ ხალიბთა მოსახლეობის ადგილებში აღმოჩენილია ვერცხლის მადნების საწარმო და დაასკვნის, რომ ჰომეროსის ცნობა „ალიბების შესახებ, უნდა ეხებოდეს ხალიბებს, როგორც ამას სტრაბონი ამტკიცებდაო“[3].

ა. რანოვიჩის ვარაუდით, კაპადოკიაში უნდა ყოფილიყო ვერცხლის საბადო, რის გამოც რომაელებმა მაძაკაში (კესარიაში) შექმნეს ცენტრი: „...по чеканке римской монеты, при том серебряной“[4].

რანოვიჩი დაასკვნის, რომ ეს: „... позволяет предполагать, что здесь разрабатывались серебряные руды“[5].

---

[1] R. Leonhard, გვ. 302. შენ.
[2] R. Leonhard, Paphlagonia..., გვ. 319.
[3] Ed. Meyer, Geschichte d. Königreichs Pontos, გვ. 12.
[4] А. Ранович, Восточные провинции Римской империи, გვ. 120.
[5] იქვე.

რომაელები კაპადოკიაში ვერცხლის ფულსა სჭრიდნენ[1].

როგორც აღიარებულია მეცნიერთა მიერ, მეტალურგიის სამშობლოდ ითვლება მცირე აზიის ჩრდილოეთი, პონტოს სამხრეთი სანაპირო (ლეონჰარდი, გვ. 316), ის ტერიტორია, რომელზეც ცხოვრობდნენ ძველი ქართველი ტომები და რომელიც, თვით ლეონჰარდის აღიარებით, შემდგომი დროის ჭანეთს უდრის (იქვე).

პონტოს სამყაროს, ლეონჰარდის თქმით, ძვ წ. III ათასწლეულშივე ჰქონია ურთიერთობა ეგეოსის სამყაროსთან[2].

მისივე თქმით, აქილევსის კულტის პონტოს სამყაროდან გადმოღება წინ უსწრებდა მილეტელთა კოლონიზაციას.

და მართლაც, თუკი ლითონთა დამუშავების პირველი სამშობლო ხალიბების ქვეყანაა, როგორ უნდა ესწავლათ სხვა ხალხებს ეს ხელობა, თუ არა ამ ქვეყნის უშუალოდ გაცნობის შედეგად?

თავისთავად ცხადია, რომ პონტოს სანაპიროზე მოსახლე ტომთა და გარე სამყაროს შორის ურთიერთობა იმაზე გაცილებით ძველია, ვიდრე აქ მილეტელი მოახალშენეები გაჩნდებოდნენ (VII ს.). მილეტელთა აქტიური ლტოლვა პონტოსკენ არის მხოლოდ ერთერთი, შეიძლება ითქვას, ყველაზე უფრო ინტენსიური ეტაპი იმ ხანგრძლივი და გაცხოველებული ურთიერთობისა, რომელსაც ელინურსა და პონტოს სამყაროთა შორის დიდი ხანია გზა დაქნილი ქონდა.

ლეონჰარდი აღნიშნავს, რომ მილეტელთა კოლონიზაციაზე გაცილებით ადრე იცნობდნენ ბერძნები კოლხეთსაცა და ფაზისსაც კი.

მილეტელთა აქტივიზაცია, ამასთანავე, ემთხვევა დიდმნიშვნელოვან საერთაშორისო ხასიათის პოლიტიკურ მოვლენას—ასირელთა ბატონობის დაცემას, რამაც ბერძნებს გზა გაუხსნა პონტოსაკენ. ამიერიდან პონტოში ასირიელთა ადგილას ბერძნები ავითარებდნენ თავიანთ აქტიურ საქმიანობას.

ლეონჰარდის აღიარებით, შეიძლება კაცმა მიიჩნიოს, რომ წარმოებდა პირდაპირი ვაჭრობა ჰალისისპირა ქვეყანასა და ბაბილონს შორის (გვ. 317). და ეს სავსებით დასაშვებია, თუკი გავიხსენებთ, რომ მეტალურგიის სამშობლო სწორედ ჰალისის მიდამო

---

[1] Теодор Моммзен, История Рима, Перевод с немецкого проф. Н. А. Машкина, V, Провинции от Цезаря до Диоклетиана, М., 1949. გვ. 417.

[2] იქვე. გვ. 316.

იყო და აქაური ტომები მეშეხი და თობალი თავიანთი ნაწარმით ვაჭრობდნენ ქვეყნის სხვადასხვა ხალხებთან, როგორც ამას „დაბადების“ ტექსტი ადასტურებს [1].

ლეონჰარდი საბუთიანად ამტკიცებს, რომ ტროია II მეგარონი პონტოდან არის გავრცელებული ბერძნებში; მას კიდევაც სამართლიანად უწოდა „pontische Haus“ [2].

ასეთ ვითარებაში ხალიბთა სამყარო სრულიადაც უცნობი არ შეიძლებოდა ყოფილიყო ბერძენთათვის მილეტელთა უწინ და მით უმეტეს, ეს ქვეყანა არც თუ ისე „შორეული“ უნდა ყოფილიყო ელინური სამყაროსათვის, როგორც ეს ლეონჰარდს ჰგონია.

ყველა ზემოაღნიშნულის საფუძველზე, ლეონჰარდის მიერ მოტანილი, ვითომდა, სიშორის მომენტი არსებითი მნიშვნელობისა არ უნდა იყოს.

ჰომეროსის შემდეგ ქრონოლოგიურად მომდევნო უძველესი ცნობა სკილაქს კარიანდელს ეკუთვნის.

მართალია, ამ ცნობაში ასირიად წოდებულ ტერიტორიაზეა მოხსენიებული ის ქალაქები (მაგ. სინოპე) და მდინარეები (მაგ. ჰალისი), რომელთა თვით სახელებიც ააშკარავებს მათს ქართულ, კერძოდ, ხალიბურ სამყაროსადმი კუთვნილებას, მაგრამ ეს გარემოება არ წარმოადგენს დაბრკოლებას, მივიჩნიოთ ხალიბები ჰალისის დასავლეთით მცხოვრებლებად, რადგან, როგორც უკვე იყო ნათქვამი და აქვე იქნება დასაბუთებული, ასირიელები აქ, ხალიბთა მიწა-წყალზე, მოსულად ითვლებიან. არც ერთ ძველ ცნობაში ასირიელები აღნიშნული ქალაქებისა და მით უმეტეს, მდინარეების, არა თუ მფლობელებად არ ითვლებიან, არამედ მხოლოდ ზოგიერთ მათგანში მოსახლეობის ნაწილს შეადგენენ ისინი, ოღონდ მდ. ჰალისის დასავლეთით კი მოჩანან ძირითადად.

ამასთანავე, ისიც არის სავარაუდებელი, რომ სკილაქს კარიანდელს თავისი ცნობა ამოღებული უნდა ჰქონდეს ისეთი წყაროდან, რომელშიაც მოთხრობილი იყო სინოპეში და ზღვის სანაპირო სხვა რაიონებში ასირიელთა კოლონიების არსებობაზე... მით უმეტეს, რომ, როგორც თ. ნიოლდეკემ გამოარკვია, ბერინები, ასირიის სამეფოს დამხობის შემდეგ, დიდხანს აღნიშნავდნენ ამ სახელით იმ ქვეყნებსა და ხალხებს, რომლებიც ოდესღაც მათს

---

[1] შდრ. Kurt Bittel, Grundzüge der Vor-und Frühgeschichte Kleinasiens. 2e Auflage. Tübingen, გვ. 27.

[2] ხსენ. შრ., გვ. 244, 287, 321.

ქვეშევრდომობაში იყვნენ, და რომ აქედან ეთნოლოგიური დასკვნები არ გამოიტანება[1].

განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ ნიოლდეკეს, ზემოთქმულის საილუსტრაციო მაგალითად, სწორედ ქალაქი სინოპე აქვს აღებული, რომელიც, მისი გამოთქმით, საკოლონიზაციო რაიონის ცენტრალურ პუნქტს (Mittelpunkt) წარმოადგენდა[2].

Philipp-ი ფიქრობს, რომ სირიელების სახელწოდება ასირიელთა კაპადოკიაში ბატონობის ანარეკლია და ალბათ, სინოპეში ძველი დროიდან არსებული კოლონიის ფაქტზეა აღმოცენებული[3].

როდესაც პომპონიუს მელას ცნობას იმის შესახებ, რომ სინოპე ხალიბების ქალაქია, აგრეთვე სხვა ცნობებს, რომელთა მიხედვითაც ხალიბთა მოსახლეობა ჰალისის დასავლეთით ივარაუდება, უარჰყოფენ,—ჩვეულებრივ, მხედველობაში აქვთ ფსევდო-სკიმნის ცნობა, რომლის მიხედვითაც ვარაუდობენ, რომ სინოპეს პირვანდელ მოსახლეობას სირები (სირიელები) შეადგენდნენ.

ამ მხრივ, მეცნიერებაში უკანასკნელი სიტყვა ეკუთვნის მ. მაქსიმოვას, რომელიც გადაჭრით ამტკიცებს, რომ სინოპეს დამაარსებელნი სირები იყვნენ.

მაგრამ როგორ გამოიყურება ის წყარო, რომელსაც ეყრდნობა მაქსიმოვა.

როგორც ცნობილია, სკიმნის შრომა ითვლება ისეთ კომპილაციად, რომელსაც არა აქვს ისტორიული ღირებულება, არ არის სანდო[4].

მ. მაქსიმოვა ფიქრობს, რომ სკიმნს სინოპეს შესახებ ცნობა ამოღებული უნდა ჰქონდეს, რომელიღაც ძველი შრომიდან[5].

არც ჩვენ მიგვაჩნია გამორიცხულად, რომ, შესაძლებელია, სკიმნი ძველი წიგნებიდან კრეფდა ცნობებს. მაგრამ სხვა საქმეა თვით ფსევდო-სკიმნის ჩვენამდე მოღწეული ტექსტის შინაარსის გაგება.

მ. მაქსიმოვა, ეხება რა ქ. სინოპეს დაარსების საკითხს, იყენებს ფსევდო-სკიმნის 941—952 სტრიქონებში მოთხრობილ ცნობას.

---

[1] Th. Nöldeke, *Ασσυριος Συριος Συρος*. ჟურნ. Hermes. V, 1870 წ., გვ. 449—450.

[2] იქვე, გვ. 450.

[3] Berlin. Philolog. Wochenschr. 1917, გვ. 709.

[4] Fr. Bilabel, ionische Kolonisation, გვ. 32.

[5] М. И. Максимова, Античные города юго-восточного Причерноморья, გვ. 50—51.

იგი მიუთითებს, რომ სკიმნის პერიპლუსის ის ნაწილი, რომელიც შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროს ეხება: „дошел до нас в очень плохом состоянии, с большими лакунами и с испорченным текстом"[1], რომლის აღდგენაზეც მეცნიერებმა დიდი შრომა გასწიეს, და დასძენს: „Мы принимаем текст в том виде, в каком он дан К. О. Мюллером"[2].

აღნიშნული შენიშვნა გამოიწვია ფსევდო-სკიმნის ტექსტის იმ ადგილმა, სადაც ლაპარაკია სინოპეს ძველ მოსახლეობაზე.

როგორც ცნობილია, ფსევდო-სკიმნი სინოპეს ადრინდელ მოსახლეობად ასახელებს სირეებს ამ კონტექსტში: ἥν ποτε μὲν ᾤκουν ἐυγενεῖς ὄντες Σύροι"[3].

მ. მაქსიმოვას ფსევდო-სკიმნის ტექსტის უკანასკნელი სამი სიტყვა თავისებურად აქვს მოტანილი: „...'εγγενεῖς ὄντες Σύροι"[4], და სწორედ ამასთან დაკავშირებით აკეთებს შენიშვნას, რომელშიაც აცხადებს, რომ ის იღებს ტექსტს „в том виде, в каком он дан К. О. Мюллером".

როგორც ვხედავთ, მიულერისეულ ტექსტსა და მაქსიმოვასეულ ტექსტს შორის ფრიად არსებითი განსხვავებაა. მიულერთან წერია Ευγενεῖς, მაქსიმოვასთან კი 'εγγενεῖς, რაც თვით ფსევდო-სკიმნის ტექსტის შინაარსს სრულიად სხვ ნაირად წარმოგვიდგენს.

მიულერით, ფსევდო-სკიმნის ტექსტი გულისხმობს სირების კეთილშობილებას, მაქსიმოვათი კი—ავტოხთონობას.

მაქსიმოვას, მიუხედავად მისი განცხადებისა, რომ იგი იღებს ტექსტს იმ სახით, როგორც მიულერს აქვს წარმოდგენილი,— ფსევდო-სკიმნის ტექსტი თავის ნებაზე გადაუკეთებია.

მაშ რა საფუძველი აქვს მას განაცხადოს, რომ იგი იზიარებს და მიჰყვება მიულერისეულ ტექსტს?

მაქსიმოვას, ალბათ, ის გარემოება აქვს მხედველობაში, რომ მიულერის მიერ ფსევდო-სკიმნის ბერძნული ორიგინალისათვის დართულ ლათინურ თარგმანში ბერძნული ἐνγενεῖς-ის პარალელურ შესატყვისად დაწერილია ლათინურად indigenae, მაგრამ მიულერმა სათანადო (განსხვავებული) შრიფტით გამოხატა, რომ ეს

[1] მაქსიმოვა, ხსენ. შრ., გვ. 37, შენ. 2.
[2] იქვე.
[3] Peripl., 943, მიულერის გამოცემაში Geographi Graeci Minores, I, გვ. 236
[4] მაქსიმოვა, იქვე, გვ. 37.

მხოლოდ ვარაუდია და არ ეკუთვნის ფსევდო-სკიმნის ორიგინალს. ამას გარდა, იქვე დართულ კომენტარებში სრულიადაც არ არის წარმოდგენილი იმის დასაბუთება, რომ ფსევდო-სკიმნს სწერებოდეს ἐγγενεῖς.

მაგრამ ფსევდო-სკიმნის ძირითად ტექსტს, დედანს. ხომ ბერძნული ორიგინალი წარმოადგენს და მაქსიმოვასაც ამონაწერი ბერძნულიდან მოაქვს, მაშ როგორ აცხადებს მიულერისეულ ტექსტს მივსდევო, როდესაც მიულერს სულ სხვა რამ უწერია ე. ი. უწერია ის, რასაც პირველწყარო შეიცავს...

ეს გამოწვეულია მაქსიმოვას იმ სურვილით, რათა ხელთ ჰქონდეს ცნობა, რომელიც სირებს ქ. სინოპეს უძველეს და ავტოხთონურ მოსახლეობად წარმოგვიდგენდა...

მართლაც, იმ საკითხის გადაწყვეტას, თუ ფსევდო-სკიმნის ტექსტი რას გვეუბნება სირებზე, აქვს დიდი მეცნიერული მნიშვნელობა პონტოს სანაპიროს მოსახლეობის ეთნიკური პრობლემის გადასაწყვეტად და კერძოდ, ქ. სინოპის ისტორიისა და მოსახლეობის საკითხის გადასაწყვეტად, რაც მნიშვნელოვანია იმავე ეთნიკური პრობლემის ასპექტში.

ქ. მიულერს თავისი ვარაუდის დასაბუთება არა აქვს მოცემული (ეგებ ასეთი რამ მას არც მიაჩნდა შესაძლებლად), მას მხოლოდ ვარაუდი აქვს წარმოდგენილი, რომ იქნებ εὐγενεῖς მაგიერ ἐγγενεῖς წერებულიყოს, რადგან, მისი აზრით, სირები ან ამაძონელ ქალ. სინოპესაგან, ან ასოპის ამავე სახელის მქონე ასულისაგან ჩამომავლობენ.

მაგრამ ეს ხომ მითის უკრიტიკოდ მიღება იქნებოდა, ხოლო მითს კი მეცნიერული დასაბუთება სჭირია. მაგრამ თუნდაც იმის გამო, რომ სირები ამაძონი ქალის შთამომავალნი არიან და ამიტომ ავტოხთონებად უნდა მივიჩნიოთ, ბუნებრივი არ იქნება ვაღიაროთ ისინი ასირიელთაგან განსხვავებულად და არა მათს განაყოფად?

ამასთანავე, ფრიად საყურადღებოა, რომ ქალაქის მოსახლეობა ადგილობრივ—ამაძონურ სამყაროდან მომდინარედ ჩანს და მათი დაკავშირება სირებთან მერმინდელი აღრევის შედეგია. ამას გარდა, მითის თხრობა ხომ მარტო აღნიშნული მომენტით არ ამოიწურება, იგი ხომ ქ. სინოპეს მოსახლეობის მამის ხაზით შთამომავლობაზეც მიუთითებს.

არც მაქსიმოვას შეუწუხებია თავი და მიულერის მიერ გამოთქმული ვარაუდი მან დებულებად გაასაღა, სრულიად დაუსაბუთებლად.

ფსევდო-სკიმნის ორიგინალში ცვლილების შეტანა ამ შემთხვევაში გამ ოთლებული არ უნდა იყოს. შინაარსეულად ἐυγενεῖς არაფერს ისეთს არ წარმოადგენს, რომ იგი შეუსაბამო იყოს და მკითხველს ეუცხოვოს. პირიქით, კონტექსტის მიხედვით, სწორედ მოსალოდნელია, რომ წერებულიყო ἐυγενεῖς და არა ἐγγενεῖς, რადგან ფსევდო სკიმნს თავისი ეს ცნობა დაძყარებული აქვს ქ. სინოპეს დაარსების შესახებ ცნობილ მითზე, და სწორედ მან აქ ხაზი გაუსვა იმას, რომ ქალაქის ეს ძველი მოსახლეობა კ ე თ ი ლ შ ო ბ ი ლ ი, ღ მ ე რ თ თ ა შ თ ა მ ო მ ა ვ ა ლ ი ი ყ ო. ეს სავსებით ბუნებრივი რამ არის მაშინდელი შეგნებისათვის.

რომ ეს სწორედ ასე იყო, ამას ის გარემოებაც ადასტურებს, რომ ძველ ხელნაწერებში უფრო ადვილი მოსალოდნელი იყო ἐυγενεῖς ქცეულიყო ἐγγενεῖς-ად, ვიდრე პირიქით: გადამწერს, შემდეგ ხანებში, უფრო ბუნებრივად უნდა მოსჩვენებოდა, რომ საქმე ეხებოდა მოსახლეობის ავტოხთონობის აღნიშვნას და ἐυγενεῖς უნდა შეეცვალა ἐγγινεῖς-ად. მაგრამ ფსევდო-სკიმნის ორიგინალში რომ ἐγγενεῖς წერებულიყო, საეჭვოა, ვისმე ფიქრად მოსვლოდეს, რომ ეს შეცდომაა და ქალაქის მოსახლეობის ა ვ ტ ო ხ თ ო ნ ო ბ ი ს მაგიერ, მათ კ ე თ ი ლ შ ო ბ ი ლ უ რ შთამომავლობაზე უნდა იყოს ლაპარაკი, და დაეწეროს ἐυγενεῖς.

ამდენად, რაკი სკიმნის ორიგინალში წერია ἐυγενεῖς. ეს იმის მაჩვენებელია, რომ თვით ავტორის მიერ არის დაწერილი და მის შესაცვლელად არ არსებობს რამე საბაბი.

პირუთვნელი მეცნიერული ობიექტურობით უნდა ითქვას, რომ არ მოეპოვება საფუძველი და დასაბუთება ცდას, რათა ფსევდო სკიმნის ტექსტის ორიგინალში ცვლილება შევიტანოთ და იქ წარმოდგენილი ἐυγενεῖς-ის მაგიერ ἐγγεςνεῖς ჩავწეროთ.

ძალაუნებურად ადამიანის ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ძველ წყაროთა გამოყენების დროს, მაქსიმოვა ძალზე ადვილად, სრულიად უყოყმანოდ, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, უკუაგდებს იმას, რაც წყაროებით არის ჩვენამდე მოღწეული და ასევე ადვილად და დასაბუთების გარეშე, ცდილობს წყაროში ის შეიტანოს, რაც იქ არ მოიპოვება.

ასე მოიქცა მაქსიმოვა ჰეროდოტეს იმ ცნობის მიმართ, რომელშიაც ჩამოთვლილია მდ. ჰალისის დასავლეთით მოსახლე ტომები.

მაქსიმოვას ამ გადაწყვეტილებისთვის საკმარისი გამოდგა შტეინის მიერ გამოთქმული მოსაზრება ჰეროდოტეს ტექსტში ამ ადგილის შემდეგ ხანებში ჩამატების შესახებ. ამ მოსაზრების რამე

დასაბუთება არც მის პირველ ავტორს მოუცია და არც თვით მაქსიმოვას არც ერთი სიტყვით არ უცდია.

ასევე გადაჭრით უკუაგდო მაქსიმოვამ პომპონიუს მელას ცნობა სინოპესა და ამისოსის ხალიბების კუთვნილების თაობაზე, ვითომდა გეოგრაფიული პრინციპის საფუძველზე, რაც სრულიად უნიადაგო და უადგილო აღმოჩნდა.

ასევე დაუსაბუთებლად ცდილობს მაქსიმოვა ფსევდო-სკიმნის ცნობაში სინოპეს მოსახლეობის შესახებ, შეიტანოს შესწორება და ტექსტში მოცემული სიტყვა შეასწოროს ἐγγενεῖς-ად.

ზემონათქვამის მიხედვით, ცხადი უნდა იყოს, რომ სირიელები არ შეიძლება მივიჩნიოთ სინოპეს პირველ, მკვიდრ მცხოვრებლებად.

სამაგიეროდ, სხვა მხრივ არის ფსევდო-სკიმნის ცნობა სასარგებლო: იგი გადმოგვცემს ქ. სინოპეში უცხო კოლონისტთა თანმიმდევრობით ცვლას: ჯერ სირები, შემდეგ ბერძნების ადრეული ტალღა, მერე კიმერიელები და ბოლოს მილეტელები, რაც ისტორიულ სინამდვილეს სავსებით ემთხვევა.

რომ ეს ასეა, რომ სირების მიართ ფსევდო-სკიმნს იმის მითითება კი არ სურდა, რომ ისინი ადგილობრივი მკვიდრნი არიან, არამედ—იმისა, რომ ისინი, მითის თანახმად, კეთილშობილი შთამომავლობისანი არიან, ქალაქი კი ადგილობრივი მოსახლეობის,—თუნდაც ამაძონების მიერ არის დაარსებული—სინოპე ამაძონი ქალის სახელია—ეს ნათლად მოჩანს მისი ტექსტიდან: „შემდეგ სინოპე, მოსახელე ერთ ერთი ამაძონელი ქალისა, რომლებსაც[1] მახლობელი ციხე-სიმაგრე აქვთ[2], აქ[3] ჯერ ცხოვრობდნენ კეთილშობილი სირები, მერე, როგორც ამბობენ, ბერძნები, ამაძონების წინააღმდეგ გალაშქრებულნი,.. შემდეგ ჰაბრონდა, შთამომავლობით მილეტელი; ეტყობა იგი კიმერიელების მიერ იქნა მოსპობილი. კიმერიელების შემდეგ კვლავ კოოსი და კრეტინე, რომელნიც მილეტიდან იყვნენ გამოქცეულნი. ესენი დაესახლნენ (συνοικίζουσι) მაშინ, როდესაც კიმერიელთა ლაშქარი მოედო აზიას"[4].

ამ ციტატიდან ცხადია, რომ ქალაქის მკვიდრნი არიან არასირები; ქალაქი ამაძონების შვილის სახელს ატარებს.

---

[1] ე. ი. ამაძონებს.

[2] τὸ χωρίον მიულერი თარგმნის ლათინურად **Castellum**, მაქსიმოვა კი თარგმნის რუსულად—**область**.

[3] ე. ი. სინოპეში;

[4] **Müller**, გვ. 236; **Максимова**, ნხ. შრ., გვ. 37.

რომ ფსევდო-სკიმნს, სინოპეს მოსახლეობაზე ლაპარაკის დროს სურდა მიეთითებინა სწორედ მის ღვთაებრივ, კეთილშობილ შთამომავლობაზე და მაშასადამე, მის ხელნაწერში εὐγενεῖς სრულიად ბუნებრივად არის მისაჩნევი, ამას ისიც ამტკიცებს, რომ პლუტარქესაც სინოპეს მოსახლეობაზე ლაპარაკი აქვს როგორც ღმერთების შთამომავალ ელემენტზე.

მისი თქმით, სინოპე „...როგორც ამბობენ, აპოლონისა და ასოპოსის ასულ სინოპეს ძის, სიროსის ნაშიერ სირიელებს ეკავათ“[1].

პლუტარქეს ნათქვამიდან, როგორც ამბობენო, აშკარა ხდება, რომ იგი ამ ცნობის გადმოცემის დროს სარგებლობდა ან მითის ცნობილი შინაარსით, — რაც აგრეთვე ფსევდო-სკიმნისთვისაც უნდა ყოფილიყო წყარო, — ან ფსევდო-სკიმნის თხზულებით, თუ სხვა რომელიმე წერილობითი წყაროთი, რომელშიაც სინოპეს მოსახლეობა ღმერთების კეთილშობილ შთამომავლად ყოფილა წარმოდგენილი.

ხოლო რომ აქ აშკარადა აქვს ხაზი გასმული სირიელთა ღმერთებისაგან შთამომავლობის მომენტს, — ეს გარემოება ურყევად ხდის იმ ვითარებას, რომ ფსევდო-სკიმნი სწორედ ამაზე მიუთითებს თავისი ნათქვამით, რომ სინოპეში ცხოვრობენ კეთილშობილი (εὐγενεῖς) სირიელები.

როგორც ვხედავთ, მაქსიმოვას მიერ ფსევდო-სკიმნზე დაყრდნობით მიღებული დებულება, რომ ვითომც, სიროები ქ. სინოპეს მკვიდრნი და მისი დამაარსებელნი არიან, სრულიადაც დასაბუთებული არ არის და მეცნიერებას გაუძნელდება მისი გაზიარება[2].

კვლავ ხაზი უნდა გაესვას, რომ რამე საფუძველი ფსევდო-სკიმნის ტექსტში შ ე ს წ ო რ ე ბ ი ს შესატანად არ არსებობს.

---

[1] პლუტარქე, ლუკულუსი, 23, ა. ურუშაძის თარგმანი, გვ. 80.

[2] ამასთანავე, ფსევდო-სკიმნის ამ ცნობაში ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ მისი თქმით, სინოპეში ბერძნები თოკულან ამაძონები, წინააღმდეგ ლაშქრობის დროს. ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ ამ რაიონებში ამაძონები ცხოვრობენ, ვინც შეადგენენ ადგილობრივ მკვიდრ მოსახლეობას, რომელთაც, ამავე ცნობით, ეკუთვნით სინოპეს მახლობლად მდებარე ციხე-სიმაგრე. აქაური ადგილობრივი მოსახლეობა რომ სირიელი ყოფილიყო, მაშინ ბერძნებს მათ წინააღმდეგ მოუხდებოდათ ლაშქრობა და არა ამაძონების წინააღმდეგ. ქ. სინოპეც ბერძნებს სწორედ ამაძონების დამარცხების შედეგად უნდა ეგდოთ ხელთ. ფსევდო-სკიმნის ცნობებში ეს დეტალიც იმაზე მეტყველებს, რომ სიროები არ ეკუთვნიან სინოპეს მკვიდრ მოსახლეობას.

თვით მაინეკე, რომელზე დაყრდნობითაც მიულერი შესაძლებლად მიიჩნევს, ხოლო მაქსიმოვა კი დაჯერებულია, რომ ᾿εὐγενεῖς მაგიერ შეიძლება ყოფილიყო ᾿ἐγγενεῖς, მერყეობს და თ. ნიოლდეკე მას ამ საკითხთან დაკავშირებით კიდეც უკიჟინებს, რომ მას, მაინეკეს, პირველს დაებადა აზრი, რომ ფსევდო სკიმნის ᾿εὐγενεῖς უნდა აღნიშნავდეს სინოპეს მოსახლეობის კეთილშობილ შთამომავლობას ღმერთ აპოლონისაგან,—მაინც სურს შესცვალოს იგი ἐγγενεῖς-ად [1].

ნიოლდეკეს სირიელები არ მიაჩნია სინოპეს პირვანდელ მცხოვრებლებად [2].

სკიმნის ცნობა, რომელიც სირიელებს ქ. სინოპეს მკვიდრად მიიჩნევს, შეიცავს პოლიტიკურსა და არა ეთნოგრაფიულ მომენტს. ამის მსგავსი მაგალითი სხვაც მოგვეპოვება.

ჰეკატე ფილისტიმერთა ქალაქს გაზას უწოდებს სირიელთა დიდ ქალაქს, რასაც მხოლოდ პოლიტიკური შინაარსი აქვს და არა ეთნოგრაფიული [3].

ნიოლდეკეს აზრით, შესაძლებელია, ამ ძველი ტრადიციით აღნიშვნა ყველაზე მეტხანს შემორჩა საკოლონიზაციო რაიონის შუა გულში ქ. სინოპეში, მაგრამ აქედან ეთნოლოგიური დასკვნები არ გამოიტანება [4].

ქ. სინოპეს პირველი მოსახლეობის ვინაობა, სინოპესა და ჰალისის ტერიტორიებზე მოსახლე ხალხის ტომობრივი იგივეობა, თუ ნათესაობა, გადმოცემულია განხილული ლეგენდის აპ. როდოსელის მიერ დაფიქსირებულ იმ ვარიანტში, რომლის მიხედვითაც, აზოპის ასულ სინოპესთან (რომლის სახელთანაც, ვითომდა, დაკავშირებულია ქალაქ სინოპეს სახელწოდება) დაწოლა მოუსურვებია ჯერ ზევსს, მერე აპოლონს და ბოლოს მდინარე ჰალისს [5].

ლეგენდის მიხედვით, ვერც ერთ მოტრფიალეს სურვილი ვერ შეუსრულებია, მაგრამ, პლუტარქეს მოწმობით, ქალაქი ჰკუთვნებიათ აპოლონისა და სინოპეს შთამომავალთ [6].

---

[1] იხ. Th. Nöldeke—᾿Ασσύριος Σύριος Σύρος „Hermes". V, გვ. 447, შენ. 4, 1871 წ.

[2] იქვე, გვ. 449.

[3] Nöldeke, დასახ. შრ., გვ. 451.

[4] იქვე, გვ. 450.

[5] აპოლონიოს როდოსელი, არგონავტიკა, აკ. ურუშაძის თარგმანი, 1948, გვ. 99.

[6] პლუტარქე, ლუკულუსი, 23, აკ. ურუშაძის თარგმანი.

რაკი აზოპის ასულ სინოპეს შთამომავლობა მაინც ჰყოლია, ბუნებრივად საფიქრებელია, რომ მის შთამომავლობად გაგებულ ქ. სინოპეს მოსახლეობას, ეთნიკური ნათესაობა უნდა ჰქონოდა მდ. ჰალისის ირგვლივ მოფენილ მოსახლეობასთან, რაც მხატვრული ფორმით არის ლეგენდაში არეკლილი.

თავისთავად ცხადია, რომ ლეგენდა მაშინ არის შექმნილი, როდესაც ქ. სინოპეს არსებობა ფაქტია და მდინარის სახელწოდებაც – ჰალისი საყოველთაოდ ცნობილი იყო. რამდენადაც ცნობილია, რომ მდინარის სახელწოდება ხალიბებთან არის დაკავშირებული, ამიტომ ლეგენდაში მდ. ჰალისის გამოყვანა აზოპის ასულ სინოპეს მოტრფიალედ, მხოლოდ იმის მომასწავებელია, რომ მასში ჰპოვა გამოხატულება აღნიშნული ორივე რაიონის მოსახლეობის სისხლით მონათესავეობის სინამდვილემ.

ზევსიცა და აპოლონიც ფიქციებია. ასოპის ასულის რეალური თანამეცხედრე მხოლოდ ჰალისისპირელი მზეჭაბუკია სავარაუდებელი. ეს არის ლეგენდის ის მარცვალი სინამდვილისა, რაზედაც იგი არის აღმოცენებული.., აპოლონი, ბერძნების მიერ პერსონიფიცირებული, ეს ჰალისელი მზეჭაბუკია. მაგრამ სინოპეს პირველი მოსახლეობის ჰალისის მიდამოებიდან შთამომავლობა მითითებულია ამავე ლეგენდის სხვა ვარიანტებშიც, რომლის მიხედვითაც სინოპე არის არა ასოპის ასული, არამედ ამაზონელი ქალი. ამგვარად, მეორე ხაზითაც, ე. ი. დედის ხაზითაც, ქ. სინოპეს მოსახლეობის წარმომავლობა ჰალისის მიდამოებში იგულისხმება. ხოლო, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, მდინარის სახელი ხალიბების სახელთან არის დაკავშირებული,—ქ. სინოპეს მოსახლეობაც ხალიბურ შთამომავლობისად არის მისაჩნევი.

ამაზონი ქალი და ჰალისელი ჭაბუკი ის რეალური არსებანია, რომელნიც სინამდვილიდან აღებულნი, ბერძნულ მითში ფანტასტიკური კატეგორიებით გვევლინებიან.

როგორც ყოველ სხვა ლეგენდაში, ისე სინოპეს შესახებ ლეგენდაშიც, თუ ამოიკითხება რამე გონივრული, ეს, პირველ ყოვლისა, ის არის, რომ ლეგენდის ორივე ვარიანტში დადასტურებულია ქ. სინოპეში როგორც ხალიბთა, ისე სირიელების მოსახლეობა.

როგორც სწორად აღნიშნავს მაქსიმოვა ლეგენდის ერთი ვარიანტის მიმართ, იგი გვიხსნის ქალაქში სირიელების მოსახლეობის გაჩენას[1].

---

[1] М. Максимова, Античные города... გვ. 38—40.

იგივე ითქმის ლეგენდის მეორე ვარიანტის მიმართაც,—რომელშიაც სინოპეში ხალიბური მოსახლეობის გაჩენის ახსნაა მოცემული. ლეგენდის ორივე ვარიანტის შინაარსი, მიზანდასახულობის თვალსაზრისით, სრულფასოვანია და მათი გამოყენებაც, როგორც ისტორიული მასალისა, ერთნაირადვეა კანონზომიერი[1]. ხოლო რამდენადაც თვით ლეგენდაში დაცული რეალიები (მდ. ჰალისი),—ორმაგად მითითება მოსახლეობის შთამომავლობისა (ჰალისი და ამაძონი ქალი), აგრეთვე ყველაფერი ის, რაც ვიცით მცირე აზიის აქაური რაიონების მოსახლეობასა და ხალიბთა ტომის სიმრავლესა და სიმძლავრეზე, თვალსაჩინოა, ამდენად საფიქრებელია, რომ ლეგენდის პირველი ვარიანტი ის უნდა ყოფილიყო, რომელშიაც ჰალისისპირელ ჭაბუკზეა ლაპარაკი, ხოლო მის ადგილას აპოლონის, მით უმეტეს აპოლონის ძის სიროსის გაჩენა, მეორადი მოვლენა უნდა იყოს[2]...

თუმცა არც ის არის გამორიცხული, რომ ჰალისელი ჭაბუკი და აპოლონი ერთი და იგივე პერსონაა: ჰალისელი ჭაბუკი ბერძენთა ფანტაზიაში აპოლონთან გაიგივდა... და თვით აპოლონის კულტიც ხომ კაპადოკიისათვისაც უცხო არ იყო.

სტრაბონის მოწმობით, კატაონიაში „არის ტაძარი აპოლონ კატაონელისა, რომელსაც თაყვანს სცემენ მთელს კაპადოკიაში"[3].

ამგვარად, ქ. სინოპეს შესახებ ლეგენდის შინაარსი ყველაზე უფრო უხვსა და დამაჯერებელ მასალას იმისათვის იძლევა, რათა დადასტურდეს ხალიბთა მოსახლეობის არსებობა სინოპეში და პომპონიუს მელას ცნობაც, რომ სინოპე ხალიბებს ეკუთვნით, სინამდვილის მომთხრობელად იქნეს მიჩნეული.

---

[1] ამასთანავე, თუ ლეგენდის ვარიანტებს განვიხილავთ დაპლასტების თვალსაზრისით, ქრონოლოგიურ ასპექტში,—ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ხალიბური სამყარო უფრო ადრე იყო ხელშესახები.

[2] კრაპეს აზრით, ეს სიროსი შეიძლებოდა მიჩნეულიყო, როგორც საწყისი ეპონიმი, რომლის სახელიც შემდეგში გაგებული იქნა როგორც ტომის სახელი, მაგრამ,—მისივე თქმით,—ასეთი ფორმალური (მარტივი) ახსნა უკუგდებულია სხვა ფაქტებით. იხ. მისი წერილი The Leukosyrians, ჟურნ. Armenian Quarterly, 1946, Yolume 1. Number, 1. New Iork. გვ. 102; აპოლონიოს როდოსელის მიერ შემონახული ვარიანტი სინოპეს შესახებ ლეგენდისა უძველესი და უფრო სრული უნდა იყოს და ამდენად, კვლევის ამოსავალ მასალას წარმოადგენს.

[3] XII, 2,5, ხოლო ფრ. ჰომელის მტკიცებით, აპოლონი ბერძნებს აღმოსავლეთიდან აქვთ შეთვისებული. იხ. Fr. Hommel, Grundriss der Geographie und Geschichte des Alten Oriеnts, München, 1904, გვ. 53, შენ 2; აგრეთვე გვ. 232, შდრ. გვ. 52, 65.

სინოპეს პირვანდელ მოსახლეობად ხალიბების აღიარებას იზიარებს საბჭოთა ისტორიული მეცნიერება [1].

ფრიდრიხ ბილაბელის აზრით, ძველი წყაროების, ასირიელების სინოპეში ყოფნის შესახებ ცნობებში, ლაპარაკია არა მათს იქ მუდმივ მოსახლეობაზე, არამედ მხოლოდ ერთ თაობაზე და წყაროების ცნობებიც მხოლოდ ერთ საუკუნეს ეხება [2].

ერთ გერმანელ მკვლევარს (Movers) სინოპე ასირიელების მიერ დაარსებული ჰგონია, მეორეს კი (Blau), იგი მხოლოდ მათს კოლონიად მიაჩნია [3].

მოვერსის სიტყვით, ნინევიის მბრძანებელთ პონტოს სანაპიროსკენ იზიდავდა მისწრაფება, ხელთ ჰქონოდათ შიდა აზიის სახმელეთო ვაჭრობის ყველა მნიშვნელოვანი პუნქტი პონტოს მხარისა მდ. ჰალისამდე [4].

შტროიბერის ვარაუდით, ასირიელების მიერ სინოპეს კოლონიზაცია ძვ. წ. 720 წელს განეკუთვნება, ხოლო ასიოდე წლის შემდეგ კი — 630 წლიდან, იქ უკვე ბერძენი (მილეტელი) კოლონისტები ჩნდებიან [5].

ის გარემოება, რომ სტრაბონის მოწმობით, ჯერ კიდევ მის დროს, მდ. ჰალისისის შესართავამდე კაპადოკიაში ერთ ენაზე მოსაუბრე ხალხი მოსახლეობს, ცხადჰყოფს, რომ სკილაქს კარიანდელის ასირია, ხალიბთა ქვეყანას აღნიშნავდა მაშინ.

ისიც საყურადღებოა, რომ ასირიის შემდეგ, რაშიაც, როგორც ვთქვით, ხალიბთა ტერიტორია იგულისხმება, — სკილაქს კარიანდელი იხსენიებს პაფლაგონიას (§ 90), რითაც ვიდასტურებს ხალიბებისა და პაფლაგონელების უშუალო მომიჯნავეობას (მეზობლობას) ჰალისის დასავლეთით.

---

[1] Древняя Греция, Ответственные редакторы: акад В. В. Струве и доктор историч наук Д. П. Каллистов, АН СССР, Институт истории, М., 1956, გვ. 118; აქ სინოპეზე გადაჭრით არის ნათქვამი, რომ „.. она возникла в 812 г. до н. э. на месте туземного поселения.. местное население—племя халибов".

[2] Fr. Bilabel, Geschichte Vorderasiens und Ägyptens von 16-11 Jahrhundert v. Chr., გვ. 253; მისივე, Die ionische Kolonisation, „Philologus", supplementband, XIV, I, გვ. 34 და შემდ.

[3] Streuber, Sinope, გვ. 16, 17.

[4] იქვე. გვ 16.

[5] იქვე, გვ. 40.

რომ ხალიბები მდ. ჰალისის დასავლეთით ცხოვრობდნენ, ამაზე მჭევრმეტყველურად მოგვითხრობს აგრეთვე უძველესი ცნობა, რომელიც ჰეროდოტეს კალამს ეკუთვნის.

ჰეროდოტე მოგვითხრობს: „დროთა განმავლობაში კრეზმა დაიპყრო ჰალისის აქეთა მხარეს[1] მოსახლე ყველა ხალხები კილიკიელებისა და ლიკიელების გარდა, სახელდობრ: „ლიდიელები, ფრიგიელები, მისიელები, მარიანდები, ხალიბები, პაფლაგონელები, თრაკიელები...“ და სხვა[2].

აქ ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ, გარდა იმისა რომ ხალიბები პირდაპირ არიან დასახელებული მდ. ჰალისის დასავლეთით მცხოვრებად, ისინი ამასთანავე, მოხსენიებული არიან პაფლაგონელებისა და ამ რაიონის მოსახლე სხვა ხალხებს შორის და მათ უშუალო მეზობლად. და ეს ორმაგი ნიშანი უეჭველ ხდის მათი მოსახლეობის არსებობას აღნიშნულ მიდამოებში.

ჰომეროსისა და ჰეროდოტეს ცნობები ერთიმეორეს ემთხვევა და ამაგრებს.

განსხვავება მათ ცნობათა შორის მხოლოდ იმაშია, რომ, თუ „ილიადაში“ ხალხები ჩამოთვლილია ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მიმართულებით, ჰეროდოტესთან, პირიქით, ძირითადი ხალხები სამხრეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებით არიან დასახელებული და არსებითად იმავე გარემოსა და მეზობლობაში, — თუ არ მივიღებთ მხედველობაში, რომ ჰეროდოტესთან მისიელებსა და ხალიბებს შორის ჩამატებული არიან მარიანდები. რომელიმე საკითხზე ამ ორი, ერთიმეორეს მომდევნო უძველესი წყაროს ერთიმეორის დამადასტურებელი ცნობის იშვიათი დამთხვევაა ხალიბების თაობაზე მონათხრობი.

ამ ორ ცნობას მხარს უჭერს აგრეთვე ქრონოლოგიურად ახლომდგომი ცნობა ფსევდო-სკიმნისა. იგი თავის Orbis descriptio-ში ხალიბებს აგრეთვე პაფლაგონელების მეზობლად იხსენიებს (935—937).

მიუხედავად ცნობათა ასეთი უწყვეტელობისა, მ. მაქსიმოვა უნდობლად ეკიდება ამ ანტიკურ ავტორებს და აცხადებს, რომ „...свидетельства о пребывании халибов к западу от Галиса оказываются весьма шаткими“[3].

---

[1] ე. ი. დასავლ. მხ.

[2] I, 28.

[3] М. Максимова, Античные города... გვ. 28.

ეს დასკვნა მას გამოაქვს უმთავრესად იმიტომ, რომ მისი აზრით, პომპონიუს მელას ცნობა, სინოპესა და ამისოსის ხალიბთა კუთვნილების შესახებ, მცდარია; აგრეთვე იმიტომ, რომ ჰეროდოტეს ცნობაში ხალხების ჩამოთვლას მიიჩნევს შემდგომ ჩანართად.

პომპონიუს მელას ცნობის თაობაზე ჩვენ ვრცლადა გვაქვს საუბარი, სადაც მკითხველს თვითონ შეუძლია პირუთვნელი დასკვნა გამოიტანოს. და სხვათაშორის, მარტო ის გარემოება, რომ სტრაბონის დროს, მისივე მოწმობით, კაპადოკიელთა ძირითადი მოსახლეობა ჰალისის შესართავამდე აღწევდა, უდავოდ ხდის პომპონიუს მელას ცნობას, რომ ამისოსი ხალიბებს ეკუთვნით: ამისოსი ხომ ჰალისის მარჯვენა მხარეზე მდებარეობს, მდინარის აღმოსავლეთით, მაშასადამე, იმ ტერიტორიაზე, რომელიც ხალიბებით იყო დასახლებული მდინარის შესართავამდე, ტერიტორიაზე, რომელიც უკანასკნელ წლებამდე ჭანებითა და ლაზებით, ე. ი. ხალიბებით იყო დასახლებული.

თუნდაც მარტო აღნიშნული გარემოება სარწმუნოს ხდის პომპონიუს მელას ცნობას და მაქსიმოვას ეჭვს სრულიად უადგილოდ წარმოაჩენს.

რაც შეეხება ჰეროდოტეს ცნობაში ჩანართობას—ეს რომ ოდესმე კიდევაც დამტკიცდებოდეს, ამ ცნობას თავისი ისტორიული მნიშვნელობა მაინც არ დაეკარგებოდა; თავისთავად ცხადია, რომ ეს „ჩანართი“ ან რომელიმე ძველ წყაროზე დაყრდნობით არის გაკეთებული, ან ავტორის დროსაც,—რომლის გამორკვევაც ვეჭვობთ, რომ შესაძლებელი იყოს,—სინამდვილე სწორედ ისეთი იყო, როგორც იქ არის დაფიქსირებული.

მაგრამ რატომ უნდა მივიჩნიოთ ხალხების ეს ჩამოთვლა ჩანამატად? რა არის აქ ისეთი უჩვეულო, რაც ჰეროდოტეს ტექსტისათვის შეუსაბამო და შეუთავსებელი იყოს?

ჰეროდოტე ხომ ამ ხალხებს კარგად იცნობს და მათ რამდენჯერმე კიდეც ჩამოთვლის. იგი ჩამოთვლის მათ ელადაზე ქსერქსეს ლაშქრობის დროს[1], მიუთითებს რა თვითეული მათგანის შეიარაღებაზე. იგი ჩამოთვლის მათ, როდესაც ლაპარაკობს იმაზე, თუ რომელი ხალხი რა გადასახადს უხდიდა სპარსელთა სამეფოს[2]. თუ აღნიშნულ შემთხვევებს ჰეროდოტეს ტექსტისათვის ბუნებრივად მივიჩნევთ, რატომ ასევე ბუნებრივად არ უნდა მივიჩნიოთ

[1] VII, 61—80.

[2] III, 90—97.

კროზის მიერ დაპყრობილი ხალხების ჩამოთვლა... რა არგუმენტი უშლის ამას ხელს?[1].

თუ ადამიანი ჩაუკვირდება ჰეროდოტეს შრომის არქიტექტონიკას და კერძოდ, მოცემულ კონტექსტს, არ შეიძლება ცხადი არ გახდეს, რომ მის მიერ ჰალისის დასავლეთით მოსახლე ტომების ჩამოთვლა ორგანული ნაწილია მისი შრომისა. შრომის 28-ე თავი ავტორს განკუთვნილი აქვს სწორედ იმისათვის, რომ მკითხველს გააცნოს ჰალისის დასავლეთით მოსახლე ტომები. ეს რომ ასე არა ყოფილიყო, მაშინ 28-ე თავი უადგილო იქნებოდა. ტომების ჩამოთვლა რომ გამოვაკლოთ ამ თავის შინაარსს, მხოლოდ რამდენიმე სიტყვისაგან შემდგარი ერთი წინადადება და დარჩება, რისთვისაც ცალკე თავის გამოყოფა გამართლებული არ იქნებოდა. ამ თავში, შრომის შინაარსის ასპექტის მიხედვით, ჰეროდოტეს სწორედ განზრახული ჰქონდა გარკვეული რაიონის მოსახლეობის ეთნიკური სურათის გადმოცემა. *აქაური ტომების ჩამოთვლა შეადგენს 28-ე თავის იდეურსა და ფიზიკურ შინაარსსა და ნაწილს.*

28-ე თავი ჰეროდოტეს მიერ განკუთვნილია იმისათვის, რათა ჩამოთვალოს კროზის მიერ დაპყრობილი ხალხები. რომ ეს სწორედ ასეა, ამას მოწმობს ის, რომ ამ თავში ნათქვამია კროზმა ჰალისის დასავლეთით მოსახლე თითქმის ყველა ხალხები დაიპყრო, გარდა კილიკიელებისა და ლიკიელებისაო. ამის შემდეგ ბუნებრივი იყო, რომ მას უნდა დაესახელებინა ის ხალხები, რომლებიც კროზის მიერ იყვნენ დაპყრობილი.

სწორედ იმიტომ, რომ მას ეს ხალხები აქ ჩამოთვლილი ჰყავდა, მან მომდევნო 29-ე თავი ამ სიტყვებით დაიწყო: „ამ ხალხების დაპყრობის შემდეგ"... და სხვა.

28-ე და 29-ე თავების კონტექსტის ასეთი ურთიერთშორის დამოკიდებულება უეჭველად უნდა ხდიდეს იქ ჩამოთვლილი ხალხების ჰეროდოტეს კალმისადმი კუთვნილებას[2].

ჰამილტონი, რომელმაც 1835 წ. იმოგზაურა მცირე აზიასა და პონტოში, ამ ადგილებში მადნეულობის შემცველი პუნქტებისა და მოსახლეობის გაცნობის შედეგად დაასკვნის, რომ ძველი წყა-

---

[1] ჩრდილოეთ მცირე აზიის ერთ მკვლევარს რ. ლეონჰარდს ჰეროდოტეს ეს ცნობა სარწმუნოდ მიაჩნია. იხ. ხსენ. შრ., გვ. 327.

[2] სწორედ ასე მიიჩნევს თინა ყაუხჩიშვილი; იხ. მისი, ჰეროდოტეს ცნობები საქართველოს შესახებ, 1960, გვ. 32—34.

როების Ἀλυβες და χαλύβες ერთი და იგივეა და ხალიბებს აღნიშნავს[1].

მოგზაურმა ქ. ამისოსის აღმოსავლეთით უნიეს მიდამოებში ინახულა ძველი ხალიბური რკინის დამუშავების ადგილები და ამბობს, რომ მადანი ადვილი მოსაპოვებელი არ არის და ხალიბებს თავის დროზე მძიმე შრომითი ცხოვრება უხდებოდათ.

ჰამილტონი ირწმუნება, რომ ეს სწორედ ის ადგილია, სადაც ძველი წყაროები ათავსებდნენ ხალიბებს და მათს სამთომადნო საწარმოებს.

იგი თავის თავს ბედნიერად თვლის, რომ ინახულა ეს უძველესი ხალხი, რომელთა ცხოვრება და შრომის სახეობა და ვითარება ესოდენ ზედმიწევნით ემთხვევა აპოლონიოს როდოსელის მიერ დატოვებულ ხალიბთა აღწერილობას[2].

„მე დიდად ბედნიერი ვიყავი, რომ შევხვდი ამ უძველეს მთიელ მოსახლეობას (uralten Bergleute), რომელთა ცხოვრებაცა და მუშაობის ხერხი და ვითარებაც ზუსტად ემთხვევა აპოლონიოს როდოსელის მიერ დატოვებულ ხალიბთა ესოდენ ცხოველ აღწერილობას"[3].

ამგვარად, დასტურდება, რომ ამისოსი ხალიბთა მოსახლეობის რაიონში ყოფილა.

კარგად ცნობილია, რომ ხალიბებს ვრცელი ტერიტორია ეპყრათ.

მ. მაქსიმოვა, რომელმაც სპეციალურად შეისწავლა ხალიბების ადგილმოსახლეობის საკითხი, სწორად დაადგენს, რომ „имеются все основания считать халибов... исконным населением северо-восточного Причерноморья, тесно связанными с рудными богатствами страны, разработка которых и была основой их хозяйства"[4].

ისიც სწორად აქვს გაგებული მაქსიმოვას, რომ ანტიკური ცნობების საფუძველზე ირკვევა, რომ ხალიბების ერთი ნაწილი ზღვის სანაპიროსთან ცხოვრობდა, მეორე კი სამხრეთით, მთიან რაიონებში ჭოროხის სათავეებთან[5].

---

[1] W. I. Hamilton, Reisen in Kleinasien, Pontus und Armenien, Deutsch von Otto Schomburgk., 1843, Leipzig, გვ. 244.

[2] იქვე, გვ. 258.

[3] იქვე, გვ. 259.

[4] М. И Максимова, ხსენ. შრ., გვ. 31.

[5] იქვე, გვ. 28—30, სხვათა შორის, პროკოპი კესარიელის მიხედვით, ასეთივე სურათი გვაქვს, თითქმის იმავე რაიონში, ჭანების მიმართ.

ამასთანავე, ზღვის ხალიბები დადასტურებული არიან ქსენოფონტეს მიერ კერასუნტის დასავლეთით [1].

სწორედ აქა აქვს ნათქვამი ქსენოფონტეს, რომ ხალიბები უპირატესად რკინის მოპოვებითა და დამუშავებით ცხოვრობენ [2]... მაგრამ სადამდე ვრცელდებოდა ზღვის სანაპიროზე დასავლეთის მიმართულებით ხალიბთა მოსახლეობა?

ამის შესახებ ქსენოფონტეს „ანაბაზისი“ სდუმს და სდუმს სრულიად ბუნებრივად, რადგან, როგორც ცნობილია, მოლაშქრე ბერძნებმა კოტიორადან მიატოვეს ხმელეთით მოგზაურობა და სინოპელთა რჩევის თანახმად, ზღვით განაგრძეს მოგზაურობა, კოტიორადან დასავლეთით შორს მდებარე ჰერაკლეამდე.

კოტიორასთან შეწყვეტილი ქსენოფონტეს თხრობა წამოჭრის საკითხს: ხალიბების მოსახლეობა აქ თავდებოდა, თუ დასავლეთით ვრცელდებოდა და სადამდე?

მართალია, ზღვისპირა, მისგან ნახულ რაიონში მცხოვრებ ხალიბებზე, ქსენოფონტე ამბობს, რომ ისინი მცირერიცხოვანი არიან და მოსინიკებს ემორჩილებიანო, მაგრამ უფრო ძველი ცნობების მიხედვით, ხომ ხალიბები თვით მდ. ჰალისის დასავლეთითაც ცხოვრობენ (ჰომეროსი, ჰეროდოტე, ფსევდო-სკიმნი, შემდეგ ეფორე, ლიკოფრონი სქოლიასტითურთ, პომპონიუს მელა).

გამოდის რომ: ა) ჰომეროსის დროს ხალიბები ჰალისის დასავლეთით არიან, ჰეროდოტეც მათ აქვე იხსენიებს; ბ) ლიკოფრონისა და მისი სქოლიასტის მიხედვით, ხალიბები პაფლაგონიას უშუალოდ ესაზღვრებიან, ისინი პაფლაგონიის ტომადაც კი იწოდებიან; გ) ბოლო პაფლაგონიის აღმოსავლეთ საზღვრად ყველას მიერ ჰალისია აღიარებული; დ) ქსენოფონტეს ცნობები, დასახელებული მიზეზის გამო, კოტიორასთან წყდება; ე) და პომპონიუს მელა (I ს. ძვ. წ.) თვლის, რომ ქალაქები სინოპე და ამისოსი, მდინარეები ჰალისი და თერმოდონტი ხალიბებს ეკუთვნით.

ცხადი ხდება, რომ კოტიორადან სინოპემდე ხალიბთა მოსახლეობა ყოფილა.

თვით ქსენოფონტეს ცნობიდან ირკვევა, რომ ხალიბების მოსახლეობა მრავალრიცხოვანი უნდა ყოფილიყო იმდენად, რომ მათი ნაწილი სპარსეთის ჯარში მოქირავნეებად არიან. ქსენოფონტე ამას შემდეგ კონტექსტში გადმოგვცემს.

---

[1] V. 5, 1.

[2] იქვე.

ელინთა ბანაკში დაკითხულმა ტყვე სპარსელმა თქვა, რომ სპარსელთა ჯარის სარდალს ტირიბაზს თან ახლავს ჯარი, „დაქირავებულ ხალიბებსა და ტაოხებთან ერთად“ [1].

მოგზაურობის ერთ მომენტში ბერძნების წინააღმდეგ საბრძოლველად განეწყვნენ: „ხალიბები, ტაოხები“ [2].

საყურადღებოა, რომ თუ შემთხვევითი არ არის, ორივეჯერ პირველად ხალიბები არიან დასახელებული, მერე კი—ტაოხები, ხოლო ტაოხები რომ მრავალრიცხოვან ტომს წარმოადგენდნენ, ეს ცნობილია [3].

თავის თხრობაში ქსენოფონტე საგანგებოდ ჩერდება ხალიბებზე, რომელთა ქვეყანაც ბერძნებს გაუვლიათ შვიდი გადასავლით 50 ფარასანგით [4].

ქსენოფონტეს თქმით: „ხალიბთა ტომი ყველაზე უშამაცესია იმ ტომთა შორის, ვის მიწა-წყალზეც კი გავლა მოუხდათ ელინებს“ [5].

მერე აღწერს მათს საკმაოდ რთულსა და მრავალრიცხოვან შეიარაღებას და ამბობს, რომ „ისინი გამაგრებულ ადგილებში ცხოვრობდნენ და სანოვაგეც იქვე ჰქონდათ შეგროვილი“ [6].

საინტერესოა, რომ ჰეროდოტეც ცალკე აბზაცს უთმობს ხალიბების შეიარაღების აღწერილობას, რითაც ხაზი აქვს გასმული მათს მნიშვნელობას.

ჰეროდოტეს მიერ მოცემულ სხვადასხვა ხალხთა შეიარაღების აღწერილობიდან და ქსენოფონტეს აღწერილობიდან ირკვევა, რომ ხალიბები ძლიერ კარგად ყოფილან შეიარაღებული და სხვათა მიმართ ერთი უპირატესობაც კი ჰქ-ნიათ.

სახელდობრ, ჰეროდოტეს მოწმობით, მხოლოდ ხალიბები ატარებენ სპილენძის მუზარადს (медные шлемы) [7] მაშინ, როდესაც მის მიერ აღწერილი სხვა ყველა ხალხთა მეომრების მუზარადები ხისაა, ან დაწნულია.

ლითონის ნაწარმის ამ უპირატესობიდან ჩანს, რომ აქ ლაპარაკია ზღვის სანაპიროზე მოსახლე ხალიბებზე, რომელთაც ჰერო-

---

[1] IV, 4, 18.

[2] IV, 5,5.

[3] „Самым крупным из политических образований южного Закавказья в древневосточную эпоху являлось Диаухи“ (Г. Меликишвили, Наири-Урарту, გვ. 55, 411).

[4] „ანაბაზისი“, IV, 7.15:

[5] იქვე.

[6] IV,7, 17.

[7] VII, 76.

დოტე სხვა ადგილზეც იხსენიებს, როგორც ჰალისის დასავლეთით მცხოვრებლებს, სადაც ისინი პაფლაგონელების მეზობლად არიან მოხსენებული[1].

აქ მოტანილ ცნობებში გადმოცემულია ხალიბთა სამყაროსთვის დამახასიათებელი რამდენიმე არსებითი ხასიათის ნიშანი, სახელდობრ:

ა) ხალიბები ირანის ჯარში არიან მოქირავნეებად; ეს კი მხოლოდ იმის მაჩვენებელია, რომ ხალიბების მოსახლეობა მრავალრიცხოვანი იყო.

ბ) ხალიბები ყველაზე უმამაცესნი არიან. ასეთი შთაბეჭდილება 10 000 მოლაშქრე ბერძენს შეიძლებოდა მიეღო მხოლოდ მრავალრიცხოვანი მებრძოლი მასისაგან.

გ) ხალიბებს აქვთ გამაგრებული ადგილები და სანოვაგეც აქვთ მომარაგებული. ეს შეეძლო მხოლოდ მრავალრიცხოვანსა და ეკონომიურად კარგად უზრუნველყოფილ ძლიერ ტომობრივ კოლექტივს.

დ) ხალიბები უპირატესად გამოირჩევიან სხვებისაგან თავიანთი შეიარაღებით. რაც აგრეთვე მათი სამყაროს სიმაღლავრეზე მიუთითებს.

ყველა ზემოთქმულიდან აშკარად გამოსჭვივის ხალიბთა სამყაროს სიდიადე.

მაქსიმოვას მიაჩნია, რომ ჰეროდოტე სრულიად არ იხსენიებს ხალიბებს. კერძოდ, მიშჩენკოს კონიექტურას, რომელიც ელადაზე მოლაშქრე ხალხებს შორის ათავსებს ხალიბებს[2], მიუღებლად აცხადებს[3]. მაგრამ მარტო მაქსიმოვა იმაღლებს ხმას ამის წინააღმდეგ. მეცნიერების მიერ არ ითვლება ეს მიუღებლად,[4] ამის საწინააღმდეგო დასაბუთება არც თვით მაქსიმოვას და არც სხვას ვისმე არ წარმოუდგენია. მისი დადასტურება კი შესაძლებელია ამოიკითხოს კაცმა ხალიბთა შეიარაღების იმ აღწერილობაში, რომელიც მოცემული აქვთ, ერთი მხრივ, ჰეროდოტეს და, მეორე მხრივ, ქსენოფონტეს[5].

---

[1] 1, 28.

[2] ჰეროდ. VII, 76.

[3] M. Максимова, Античные города..., გვ. 31, შენ. 1.

[4] შდრ. ВДИ, 1947, № 4, გვ. 237, შენ. 6; ВДИ, 1952, № 2, გვ. 270, შენ. 2; БСЭ, ტ. 46, გვ. 39; R. Leonhard, Paphlagonia.., გვ. 327; თ. ყაუხჩიშვილი, ჰეროდოტეს ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 34.

[5] Herod. VII, 76; Xen., წ. IV, თავი VII. 15—16.

რაც შეეხება იმას, რომ ჰეროდოტეს მიერ ირანის მოხარკე მცირეაზიელ ხალხებს შორის არ იხსენიებიან ხალიბები, ეს იმით კი არ აიხსნება, როგორც მაქსიმოვას ჰგონია, რომ ხალიბები მცირერიცხოვანი იყვნენ და მოსინიკებს ემორჩილებოდნენ[1], არამედ იმის შედეგია, რომ ხალიბების სამყარო, თავისი სიძლიერის გამო, არ უხდიდა ირანს ხარკს, ისევე როგორც თავისუფალი იყო ამისგან ხალიბების მეზობელი მეორე ძლიერი სამყარო — ტაოხების ქვეყანა, რომელიც აგრეთვე არ იხსენიება ჰეროდოტესთან, მაგრამ რომლის შესახებაც არ შეიძლება ითქვას, რომ ის მცირერიცხოვანი და სუსტი იყო. პირიქით, როგორც ცნობილია, ტაოხების გაერთიანება ყველაზე დიდი გაერთიანება იყო.

მაშასადამე, თუკი ხალიბების, აგრეთვე ტაოხების (მკვლევარისთვის ესეც ხომ საინტერესო უნდა იყოს) ჰეროდოტესთან მოუხსენებლობის ახსნას დავისახავთ მიზნად, ჩვენთვის დასაყრდენი ის კი არ უნდა იყოს, რომ ქსენოფონტე ხალიბების ერთ ნაწილს მოიხსენიებს მოსინიკების ქვეშევრდომად, ხომ ის გარემოება, რომ ქსენოფონტე ორჯერ შეხვდა და ორჯერ აქვს თავის თხრობაში საუბარი ხალიბებზე, რომლებიც სხვადასხვა რაიონებში ცხოვრობენ, თვით მაქსიმოვას აზრითაც, შეიძლება ქსენოფონტეს ცნობის არასიზუსტით აიხსნას. და თუკი დასაშვებია ქსენოფონტეს ტექსტში არასიზუსტე,—ასეთი რამ უფრო ბუნებრივი არ იქნებოდა გვეფიქრა ქსენოფონტეს იმ შედარებით მოკლე ცნობის მიმართ, რომელიც ხალიბების სხვათა ქვეშევრდომობაზე ლაპარაკობს[2] და რასაც მაქსიმოვა თავის დასაყრდენად გამოიყენებს, ვიდრე იმ ვრცელი და მრავალმხრივ შინაარსიანი ცნობის მიმართ, რომელშიაც ქსენოფონტე მოგვითხრობს, რომ ხალიბები ყველა ხალხებზე უმამაცესნი არიან, შეიარაღებული არიან საუცხოოდ, მატერიალურადაც უზრუნველყოფილი არიან და აქვთ გამაგრებული ციხე-ქალაქები[3].

მაგრამ სინამდვილეში ქსენოფონტესთან არავითარი შეცდომა და არა სიზუსტე არ არის საგულვებელი. ქსენოფონტე გადმოგვცემს იმას, რაც მან თავისი თვალით ნახა. ხალიბების ნაწილი, მართლაც, შეიძლება მოსინიკების ქვეშევრდომობაში იყო. ერთი ტომის რომელიმე ნაწილის მეორე ტომის სფეროში მოქცევის

---

[1] М. И. Максимова, Ксенофонт. Анабазис. გვ. 273—274.

[2] ასეთ ცნობას მხოლოდ ქსენოფონტე გვაწვდის ძველ ავტორთაგან.

[3] Xen. წ. IV, თავი VII, 15—17.

შემთხვევაში ხომ ესოდენ ჩვეული მოვლენაა ისტორიაში. მით უმეტეს ეს სავარაუდებელია, რომ ის დიდი ხალიბური სამყარო, რომელსაც უფრო ადრინდელი წყაროები ძვ. წ. VII საუკუნიდან იცნობენ, ქსენოფონტეს დროისათვის ისე მთლიანად აღარ მოჩანს.

მოსინიკების ქვეშევრდომი ხალიბები ეკუთვნოდნენ ხალიბთა იმ სამყაროს, რომელიც ძვ. წ. VII საუკუნეში მესხების ჩრდილოეთით ცხოვრობდნენ და რომელიც მოხსენებულია ურარტუს მეფის რუსა II-ის 627 წლის წარწერაში ხალიტუს სახელით[1].

ის გარემოება, რომ ჰეროდოტე ხარკის გადამხდელთა შორის ჩამოსთვლის მცირე აზიის ისეთ შედარებით მცირერიცხოვან ეთნიკურ ჯგუფებს, როგორც იყვნენ: მარიანდინები, მიზიელები, სირები და პაფლაგონელები, და არ იხსენიებს ისეთ ძლიერ ხალხებს, როგორც ხალიბებსა და ტაოხებს,—მხოლოდ იმით აიხსნება, რომ ესენი არ ითვლებოდნენ მოხარკეებად. მართალია, ამ დროისათვის ხალიბთა სამყაროს მთლიანობა დარღვეული ჩანს, მაგრამ იგი ხომ ცოტა ხნის წინათ მძლავრ გაერთიანებას წარმოადგენდა[2], ხოლო ქსენოფონტეს დროს ხალიბები ჯერ კიდევ ყველაზე უმამაცესნი არიან და მრავალრიცხოვანნიც იმდენად, რომ სპარსეთის ლაშქარში მოქირავნეებად არიან[3].

ამგვარად, არ უნდა იყოს მართებული, ქსენოფონტეს ზემოაღნიშნული ცნობის საფუძველზე, რომლის სიზუსტეშიც, ამასთანავე, ეჭვი ეპარება მაქსიმოვას, გადაჭრით იმ დასკვნის გამოტანა, რომ ხალიბების სამყარო უმნიშვნელო იყო და ამიტომ არ არის შეტანილი ხარკის გადამხდელთა სიაში.

როგორც ვნახეთ, ჯერ ერთი, ქსენოფონტეს ცნობა ხალიბთა ქვეშევრდომობაზე სხვა ახსნას პოულობს; მეორეც—თუ ამ ცნობის მიხედვით, ხალიბებს უმნიშვნელო ელემენტად მივიჩნევთ, მაშინ რას ვეუბნებით,—თუნდაც სხვა ცნობებს თავი დავანებოთ,—იმავე ქსენოფონტეს ვრცელსა და დაწვრილებით ცნობას ხალიბთა ძლიერი სამყაროს შესახებ.

---

[1] **Г. Меликишвили, Наири-Урарту**, გვ. 315; **И. М. Дьяконов, Эпиграфика Востока VI**, გვ. 111—112.

[2] გ. მელიქიშვილი, იქვე, გვ. 411.

[3] **Xen.**, წ. IV, თავი IV, 18. როგორც ცნობილია, სოფოკლესთან მოხსენებული არიან: კოლხები, ხალდები და სირიელები (*κόλχοσ τε χαλδαῖος τε καί, Σύρων ἔθνος*. იხ. **St. ph. Byzant**). სოფოკლეს მიერ მოხსენებული ხალდები (ხალიბები) არ შეიძლება იყვნენ სხვისი ქვეშევრდომი, უმნიშვნელო, არამედ ისინი კოლხების გვერდით, ძლიერსა და მრავალრიცხოვან ტომს წარმოადგენენ.

ამას გარდა, აქ კიდევ ერთი რამ არის გასათვალისწინებელი: ქსენოფონტეს ცნობა ზღვის სანაპიროს ხალხებზე სრული არ უნდა იყოს. მოლაშქრე ბერძნებმა ხომ კოტიორადან გზა ზღვით განაგრძეს სინოპემდე და ქსენოფონტესთვის კოტიორას დასავლეთი რაიონების მოსახლეობა, იმ რაიონებისა, სადაც ხალიბები ცხოვრობდნენ და სადაც ეს უკანასკნელნი წარმოდგენილი არიან XIX საუკუნეში ჭანების სახელწოდებით, უცნობი დარჩა.

მაგრამ, რომ სპარსეთისათვის ხარკის გადამხდელთა შორის ჰეროდოტეს მიერ ხალიბებისა და მათთან ერთად აგრეთვე ტაოხებისაც, მოუხსენებლობა იმით აიხსნება, რომ ესენი ხარკისაგან თავისუფალი იყვნენ, ამის დადასტურებას ვპოულობთ ჰეროდოტეს უშუალოდ მომდევნო პირველწყაროში.

როგორც ჩანს, სპარსეთის ჰეგემონია მცირე აზიის იმ რაიონებში, სადაც ქართველი ტომები ცხოვრობდნენ, არც თუ ისე მყარი ყოფილა.

თუ ხალიბებისა და ტაოხების, ეს ორი ყველაზე ძლიერი, გაერთიანება სპარსეთის ხარკისაგან თავისუფალი იყო ჰეროდოტეს დროს, მალე ასეთივე თავისუფლება და დამოუკიდებლობა მოუპოვებიათ მათ მეზობელ სხვა თანამეტომეებსაც, როგორც ამას ქსენოფონტეს „ანაბაზისში“ დაცული ცნობა გვაცნობს.

„ანაბაზისის“ დასკვნით აბზაცში, სადაც ჩამოთვლილი არიან სპარსელ ხელისუფალთა მიერ სხვადასხვა ქვეშევრდომ მხარეებში დაყენებული მმართველები, სათანადო ადგილას ნათქვამია, რომ „კარდუხები, ხალიბები, ხალდები, მაკრონები, კოლხები, მოსინიკები, კეტები და ტიბარენები დამოუკიდებელნი არიან“[1].

რომ ხალიბები კოტიორადან დასავლეთით ცხოვრობდნენ, ამას ადასტურებს ჩვენი დროის ევროპელ მოგზაურთა ცნობები (იხ. ჰამილტონი, რიტერი და სხვ.).

ფრიად ანგარიშგასაწევი მოსაზრება აქვს გამოთქმული ედ. მაიერს. ლაპარაკობს რა იმაზე, რომ ბერძნები ძალიან ადრიდან იცნობდნენ ხალიბურ ფოლადს და რომ ხალიბებში ვერცხლიც ძველთაგანვე უნდა ყოფილიყო ცნობილი[2], იგი მიაქცევს ყურა-

---

[1] VII, 8, 25. „ანაბაზისის“ რუსულად მთარგმნელი და გამომცემელი მ. მაქსიმოვა. თხზულების ამ ადგილის კომენტარში ამბობს, რომ ეს ადგილი „...по общему мнению всех современных ученых, принадлежит не Ксенофонту, а какому-то другому, хорошо осведомленному лицу“. იხ. М. И. Максимова, Ксенофонт. Анабазис, გვ. 286. ვის კალამსაც არ უნდა ეკუთვნოდეს, აღნიშნული მაინც ფაქტად რჩება.

[2] Gesch. d. Königr. Pontos, გვ. 12.

დღებას, რომ ხალიბთა მოსახლეობის ადგილებში აღმოჩენილია ვერცხლის მადნების საწარმო და დაასკვნის, რომ ჰომეროსის ცნობა ხალიბების შესახებ „ნამდვილად, როგორც ამას სტრაბონი ამტკიცებდა, ხალიბებს ეხება“ [1].

რომ ხალიბებს მართლა ამისოსისა და სინოპეს მიდამოებში უნდა ეცხოვრათ, ამაზე კიდევ ერთი ცნობა მიუთითებს.

ფსევდო-სკიმნი თავის Orbis descriptio-ში ხალიბებს ათავსებს პაფლაგონელებისა და კაპადოკიელების მეზობლად, ქვეყნის შიდა რაიონში [2].

ერთი მხრივ. ცნობილია, რომ ზოგი ძველი წყარო ამ რაიონის კაპადოკიელებში გულისხმობს სირიელებს [3], ხოლო ეს უკანასკნელნი, ყველა ცნობის და თვით ფსევდო-სკიმნის მიხედვითაც, ქალაქების სინოპეს, ამისოსისა და აგრეთვე მახლობელი მიდამოების მცხოვრებნი არიან.

ВДИ-ის კომენტარებში ვკითხულობთ ლევკოსირებზე (იგივე სირები არიან); „Это наименование, прилагавшееся к населению северной Каппадокии, области Амиса и Синопы (схол. к Apoll. Rhod, II, 946), знает Страбон (XII, 3, 59), распространяющий его на каппадокийцев вообще“ (ВДИ, 1949, № 1, გვ. 288, შენ. 9).

ხოლო მეორე მხრივ, ჰეროდოტესთან მოთხრობილია, რომ, როდესაც კრეზი სპარსეთის სამფლობელოებს შეესია და მდ. ჰალისი გადალახა, მივიდა „ე. წ. პტერიაში, კაპადოკიაში“ [4]; ეს პუნქტი ძლიერ სიმაგრეს წარმოადგენდა და თითქმის ზღვის სანაპირო ზოლზე მდებარეობდა სინოპეს მახლობლად.

კრეზმა პტერიე და სხვა ქალაქები აიღო და განდევნა სირები, ააოხრა მათი მინდორ-ველი [5].

ამ ცნობიდან აშკარაა, რომ სინოპესა, პტერიასა და მის მიდამოებში ცხოვრობენ სირები, რომელთა ქვეყანასაც კაპადოკია ეწოდება, ამ მხარის მოსახლეობასაც მეორე სახელად კაპადოკიელები ეწოდებოდა, როგორც ეს არა ერთხელ სხვა წყაროებშიც გვაქვს დადასტურებული. ხალიბები სწორედ პაფლაგონელებისა და აქ კაპადოკიელების გვერდით ჰყავს მოხსენებული ფსევდო-სკიმნს.

---

[1] იქვე.

[2] Geographi Graeci Minores. I, 935, 940; გვ. 235.

[3] ჰეროდ. V, 49; VII, 72; სტრაბონი, XVI, 1, 2.

[4] ჰეროდ. I, 76.

[5] იქვე.

თავისთავად ცხადია, რომ ხალიბები სინოპ-პტერიის რაიონში მოსახლეობდნენ.

ჰომეროსისა და ლიკოფრონთან ერთად, ქრონოლოგიურად ეს ყველაზე უძველესი ცნობაა, რომელიც ხალიბებს მდ. ჰალისის დასავლეთით და სინოპეს რაიონში მცხოვრებლებად წარმოგვიდგენს.

რომ სირები მდ. ჰალისის დასავლეთით ცხოვრობდნენ და, მაშასადამე, ხალიბებიც სწორედ იქ იყვნენ მათი მეზობლები, ამას ჰეროდოტეს მეორე ცნობაც გვიმოწმებს, როდესაც იგი ამბობს, რომ მდ. ჰალისი დის სამხრეთიდან სირებსა და პაფლაგონელებს შორის და ჩამდინარებს ეხლა ევქსინად წოდებულ პონტოში[1].

სტრაბონიც პონტოსთან მცხოვრებ კაპადოკიელებს უშუალოდ პაფლაგონელების მეზობლად იცნობს[2].

სტრაბონის ეს ცნობა, თუ კაპადოკიელებში პირდაპირ არ გულისხმობს ხალიბებს, იმას კი კვლავ ადასტურებს, რომ ფსევდო-სკიმნის ხალიბები სწორედ ამ ევქსინის პონტოსთან მოსახლე კაპადოკიელების (სირების), რომლებიც თავის მხრივ პაფლაგონელებს ემეზობლებიან—მეზობლად ცხოვრობენ.

მაგრამ სტრაბონის კაპადოკიელები ამ შემთხვევაში სწორედ ხალიბებს უნდა გულისხმობდეს, რადგან ძველ ავტორებთან კამათის დროს ის ამბობს, რომ, როგორც ის ფიქრობს, ხალიბებს იხსენიებს ჰომეროსი „ალიძონებად „კატალოგში" პაფლაგონელების შემდეგ"[3].

ამგვარად, ხალიბების მდ. ჰალისის დასავლეთით, კერძოდ სინოპეს რაიონში მოსახლეობა, ძველ წყაროებში რამდენიმეგზის არის მითითებული სხვადასხვა კონტექსტით და დადასტურებულია არა ერთი მკვლევრის მიერ.

ხალიბების მოსახლეობის დიდ ტერიტორიაზე გავრცელების ვარაუდმა გაუგებრობა არ უნდა გამოიწვიოს. ამაზე მითითება ძველი წყაროებიდან მომდინარეობს.

„...ცნობა, რომელიც ხალიბთა ტერიტორიის მოცულობას ეხება, პირველად აპ. როდოსელთან გვხვდება .. I წიგნში (I. 323) ხალიბთა მიწას უსაზღვროს უწოდებს. მრავალგონიერი მისნის გლავკოსის პირით იგი ამას ასე გადმოგვცემს: „პოლიფემეს კი უწერია,

---

[1] I, 6.

[2] წ. XII, თავი III, 2.

[3] წ. XII, თავი III, 20; თ. ყაუხჩიშვილის გამ., გვ. 205.

რომ მიზიელებს ბრწყინვალე ქალაქი დაუარსოს და შემდეგ ხალიბთა უსაზღვრო მიწაზე (χαλύβων ἐναπείρονι γαίη) აღასრულოს თავისი სიცოცხლე“ [1].

ამასთანავე, ეს ცნობა იმ მხრივ არის ძვირფასი და საყურადღებო, რომ აქ ხალიბების მიწა-წყალი მიზიელების მეზობლად მოჩანს, რაც ერთხელ კიდევ ადასტურებს ხალიბების ჰალისის დასავლეთითა და, კერძოდ, სინოპეს მიმართულებით მობინადრეობას.

ამგვარად, ჩვენ ვხედავთ, რომ ჰომეროსიდან მოკიდებული, მთელი რიგი ავტორები ხალიბებს მდ. ჰალისის დასავლეთით მობინადრედ მიიჩნევენ.

როდესაც ვიხილავთ ძველ მწერალთა (განსაკუთრებით ქილოგოგრაფოსების) ცნობებს, რომლებიც ხალიბთა საცხოვრებელ ადგილს თერმოდონტის რაიონში გვამცნებს, უნდა გათვალისწინებული გვქონდეს, უფრო ადრინდელი ხანის ავტორთა მიმართ, მათი ცნობების ფრაგმენტულობა და რამდენიმე ხელში გამოვლა, — ნაგვიანევი დროის ავტორთა მიმართ კი — ის ცვლილებები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა საუკუნეთა მანძილზე მცირე აზიაში მოსახლე ტომთა ცხოვრებაში.

აღნიშნული გარემოების დავიწყებამ შეიძლება გაუგებრობა გამოიწვიოს.

მართლაც, ერთი მხრივ. მოგვეპოვება ცნობები ვრცელი ხალიბური სამყაროს არსებობაზე, იმ სამყაროზე, რომელიც მეტალურგიული ინდუსტრიის სამშობლოდ ითვლება, და, მეორე მხრივ, გარკვეული დროიდან ძველი ავტორები ლაპარაკობენ ხალიბებზე, რომლებიც მცირე გეოგრაფიულ ნაკვეთზე მოსახლეობენ და სხვისი ქვეშევრდომნი არიან. ჩვენ რომ ხალიბთა სამყარო მხოლოდ აღნიშნულ ფარგლებში წარმოგვედგინა, მაშინ მოგვიხდებოდა უარყოფა და უკუგდება ყველაფერ იმისა, რაც მეცნიერებამ იცის ხალიბთა მძლავრი სამყაროს შესახებ. რომ ხალიბთა სამყარო მხოლოდ თერმოდონტის მიდამოების მასშტაბით განისაზღვრებოდეს, მაშინ რაზე უნდა იყოს აღმოცენებული პირველწყაროთა მონათხრობი ხალიბთა ვრცელი სამყაროს შესახებ [2].

---

[1] აკ. ურუშაძე, აპოლონიოს როდოსელი—არგონავტიკა, 1948, გვ. 221.

[2] სხვათა შორის, ჰეკატე მილეტელზე დაყრდნობით მარტო იმის აღიარება, რომ ხალიბები მდ. თერმოდონტზე ცხოვრობენ, ნიშნავს იმას, რომ წყაროს მხოლოდ ერთი ნაწილი მივიღოთ და მეორე უკუვაგდოთ. იმავე ცნობაში ხომ ნათქვამია, რომ „ხალიბებს სამხრეთით ესაზღვრებიან არმენები“ (Fr., 195, ВДИ, 1947, № 1, გვ. 301). მაშასადამე, ჰეკატე იცნობს ხალიბების სამყაროს ჩრდილოეთითაც და სამხრეთითაც. ამასთანავე, ჰეკატე მილეტელი ასახელებს ხალი-

აპოლონიოს როდოსელის თხზულებაში შემონახული შემთხვევითი ცნობა ძვირფასი მანიშნებელია უწინ არსებულ ხალიბთა ვრცელი სამყაროს მიმართ. თვით აპოლონიოს როდოსელი კი გადმოგვცემს ტომთა განსახლების (ლოკალიზაციის) იმ სურათს, რომელიც შედეგი იყო წინა ხანებში მომხდარი ცვლილებებისა, როდესაც ხალიბთა სამყარო შეიზღუდა და გაითიშა. აპ. როდოსელის მიერ გადმოცემული სურათი მხოლოდ მისი დროის მდგომარეობას ასახავს.

ხომ ცნობილია, რომ „Используя древние сказания, Аполлоний Родосский приводил их, однако, в соответствие с географическими и этнографическими представлениями своего времени“ [1].

ცხადი ხდება, რომ აპ. როდოსელის ცნობა ხალიბთა მოსახლეობის შესახებ უნდა შეფასდეს გარკვეული ისტორიული მოვლენების ფონზე.

აპ. როდოსელისა და მისი დროის, აგრეთვე ნაგვიანევი ხანის ავტორთა, ხალიბების შესახებ ცნობათა ინტერპრეტირების დროს, უნდა გვახსოვდეს ის გარემოება, რომ ამ დროისათვის ხალიბთა დიდი სამყაროს მთლიანობა დარღვეულია; მდ. ჰალისის დასავლეთით, დროთა განმავლობაში, ხალიბთა მოსახლეობა თანდათან შემცირდა და უკვე აღარ იყო ის სურათი, როგორსაც ჰეროდოტესთან ვხედავთ და როგორიც დადგენილია მეცნიერებაში უფრო ადრინდელი ეპოქისათვის.

გ. მელიქიშვილის გამოკვლევით: „... в VII в. до н. э. к северу от территории мушков у южного побережья Черного моря, образуется крупное об'единение халдов... Об'единение халдов Халиту являлось значительной величиной“ [2].

გრ. გიორგაძეს, პირველწყაროების და სამეცნიერო ლიტერატურის საფუძველზე, დადგენილი აქვს, რომ ხალიბთა გაერთიანება: „მუშქების ქვეყნის ჩრდილოეთით უნდა ყოფილიყო გადაჭიმული“ და რომ მას „საკმაოდ ვრცელი ტერიტორია უნდა ჰქონოდა დაკავებული“ [3].

---

ბების ქალაქ სტამენეს (fr., 196). აქაც დადასტურებულია ის გარემოება, რომ ძველი დიდი ხალიბური სამყარო გათიშულია, გაბზარულია.

[1] ВДИ, 1947, № 3. გვ. 279.

[2] Г. Меликишвили, Наири-Урарту, გვ. 401.

[3] გრ. გიორგაძე, ხეთების სახელმწიფოს ჩრდილოეთითა და ჩრდილო-აღმოსავლეთით მცხოვრები ტომების ისტორიიდან (ქაშქები). საკანდიდ. დისერტაცია, 1955, გვ. 269, 270.

თუ რაოდენ დიდი სივრცე უნდა ჰკუთვნებოდა ხალიბთა გაერთიანებას, იქიდან ჩანს, რომ მისი საზღვრები სამხრეთით არზრუმამდე აღწევდა, ხოლო მისი ჩრდილოეთი მხარე „ყოველ ეჭვს გარეშე, შავი ზღვის სანაპიროზე იყო გადაჭიმული“[1].

სხვა ადგილას გრ. გიორგაძე ამბობს, რომ მეშვიდე საუკუნეში ჩამოყალიბებული ხალიბთა „დიდი გაერთიანება, უეჭველია, დიდ როლს ასრულებდა სამხრეთ შავიზღვისპირეთში წარმოებულ ტომთა კონსოლიდაციის საქმეში, რომ მე-7 საუკ. პირველ ნახევარში ჰეგემონობა ამ ხალიტუს გაერთიანებას აქვს მოპოვებული“[2].

ხოლო შემდეგ: „უდავოა, მრავალი ტომი შედიოდა ხალიტუს დიდ გაერთიანებაში“[3].

რომ ძველად არსებობდა ხალიბთა ვრცელი სამყარო და იგი შემდეგში იქნა გაბზარული და გათიშული, ამას მოწმობს ძველ წყაროთა ცნობა, რომლის მიხედვითაც ხალიბები იხსენიებიან პარიადრის მთის სამხრეთი კალთების მოსახლეობადაც და შავი ზღვის სანაპიროს მოსახლეობადაც[4].

განმარტავს რა ძველ წყაროთა აღნიშნული შინაარსის ცნობას, ქსენოფონტეს ცნობებთან დაკავშირებით, რომ ხალიბები მოსინიკების ქვეშევრდომნი არიან, მაქსიმოვა შესაძლებლად მიიჩნევს, რომ: „... халибы были исконными обитателями юго-восточного Причерноморья, частично покоренными пришедшими туда в начале первого тысячелетия из более южных областей Малой Азии племенами... Часть племени халибов откололась, ушла в горы“[5].

პომპონიუს მელას ცნობას, რომ ხალიბებისაა ქალაქები სისინოპე და ამისოსი, მდინარეები ჰალისი და თერმოდონტი, — ВДИ ასეთ კომენტარს ურთავს: „Распространение имени халибов, живших во времена Страбона (XII, 3. 20) близ города Фарнакии, вплоть до реки Галиса, от которого, быть может, и происходит наименование этого племени (ср. Her. 1, 28), характерно для

---

[1] გრ. გიორგაძე, ხეთების სახელმწიფოს ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით მცხოვრები ტომების ისტორიიდან (ქაშქები), საკანდიდ. დისერტ-ცია, 1955, გვ. 270.

[2] იქვე, გვ. 271.

[3] იქვე, გვ. 274.

[4] Anab. V. 51; IV, V, 34; IV, VI, 5.

[5] Ксенофонт, Анабазис. Перевод, статья и примечания М. И. Максимовой, 1951, გვ. 273—274.

древнеионийских источников, легших в основу осведомленности Мелы"[1].

ძველ იონურ ისტორიოგრაფიაში ცოცხალი იყო ტრადიცია და ხსოვნა ხალიბთა მოსახლეობის იმ გეოგრაფიულ გავრცელებაზე, როგორსაც გადმოგვცემს პომპონიუს მელა, ხალიბთა სამყარო მხოლოდ თანდათან შემცირდა და დაკნინდა.

ერთ ასურულ წყაროში, რომელშიაც ჩამოთვლილია მეფე სუპილულიუმას შამის დროს ასურეთის წინააღმდეგ აჯანყებული მცირეაზიული ტომები, ნათქვამია. რომ მათ შორის იყვნენ „die Bergländer Haliwa" (მთის მცხოვრებნი (მთიელნი) ჰალივა)"[2].

გერმანელი მკვლევარი ბილაბელი იქვე შენიშნავს, რომ Haliwa უნდა ნიშნავდეს ხალიბებს[3].

Haliwa (Halina) და ხალიბების იგივეობის საკითხს შეეხო გრ. გიორგაძე, რომელიც ეთანხმება სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას და დასძენს, რომ არ არსებობს რაიმე დაბრკოლება არც ისტორიული, არც გეოგრაფიული და არც ფილოლოგიური თვალსაზრისით, რათა ვაღიაროთ აღნიშნულ სახელთა მსგავსება, და რომ ბუნებრივია „ისტორიული განვითარების თვალსაზრისით... მცირე აზიის უძველეს მოსახლეობასთან ხალიბების ტომთა დაკავშირება"[4]. მკვლევარს მხოლოდ ის აეჭვებს, რომ ხალიბთა ტომი საკმაოდ ვრცელ გეოგრაფიულ არეში გავრცელებული გამოდის და რომ ხალიბური მოსახლეობა „მოგვიანო ხანებში მცირე აზიის დიდ ტერიტორიაზე გავრცელდა", ამას დამტკიცება სჭირია[5].

აქ შეიძლება მხოლოდ იმ შენიშვნით დავკმაყოფილდეთ, რომ იმის გათვალისწინების შემდეგ, რაც ამჟამად იცის მეცნიერებამ დიდი ხალიბური სამყაროს შესახებ, გრ. გიორგაძის მიერ გამოთქმული ეჭვისათვის ხალიბთა დიდ ტერიტორიაზე გავრცელების თაობაზე, ადგილი არ უნდა რჩებოდეს. გრ. გიორგაძე რატომღაც იმასაც კი აღარ იხსენებს, რაც ამ საკითხზე მის მიერ შესანიშნავად არის გაკეთებული მის სადისერტაციო შრომაში[6].

---

[1] ВДИ. 1949, № 1, გვ. 273, შენ. 8.

[2] Fr. Bilabel, Geschichte Vorderasiens..., გვ. 262.

[3] იქვე. გვ. 262, შენ. 1.

[4] გრ. გიორგაძე, ხეთების სამეფოს აღმოსავლეთი პერიფერიის ზოგიერთი პუნქტის ლოკალიზებისათვის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XXIII, № 3, 1959, გვ. 304.

[5] იქვე, გვ 305.

[6] იხ. გვ. 269, 271 274.

თვით მდინარე ჰალისის სახელიც ძველია და იმავე ასირიულ წყაროებში იგი იხსენიება როგორც Hulaijaš [1].

ჟურნალ „Вестник древней истории"-ს პირველწყაროთა კომენტარებში ვკითხულობთ: „В пользу соображений, высказанных Страбоном за отожествление гализонов и Алибы с Халибами, говорит, помимо того, что их имя не может быть оторвано от имени реки Галиса, также и то обстоятельство, что в глубокой древности халибы отмечены на пространстве, значительно менее удаленном от западного берега Малой Азии, чем в более позднее время. По Геродоту (I, 28) халибы живут по сию сторону, т. е. к Западу от Галиса" [2].

ამავე ჟურნალის სხვა ნომერში ვკითხულობთ, რომ ხალიბების სახელი „... имя распространялось на каппадокийскую территорию, вплоть до реки Галиса, в самом названии которой слышится отзвук этого племенного наименования. Сюда же относится и гомеровская Алиба (Hom. II, 856), отожествляемая с областью халибов Страбоном" [3].

გერმანელ მკვლევარს რ. ლეონჰარდს ჰეროდოტეს ცნობა ხალიბების მდ. ჰალისის დასავლეთით მოსახლეობის შესახებ, რაზედაც ლაპარაკია ჰეროდოტეს შრომაში (1, 28), სარწმუნოდ მიაჩნია. იგი წერს: „კრეზის მიერ დაპყრობილ ხალხთა შორის ასახელებს ჰეროდოტე აგრეთვე ხალიბებს" [4].

დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში ვკითხულობთ: „**Х а л и б ы**— древние племена, обитавшие на южн. берегу Черного моря. В 6 в. до н. э. халибы жили на Западе от реки Галис" [5]...

გასაკვირია, რომ მ. მაქსიმოვა, თავისი მსჯელობის დროს ხალიბთა ტომის შესახებ, საჭიროდ არ მიიჩნევს, თუნდაც საბჭოთა მეცნიერებაში მიღებულ აზრს ხალიბების მდ. ჰალისის დასავლეთით ცხოვრების შესახებ ანგარიში გაუწიოს.

ძველი ისტორიიდან ცნობილია, რომ ხალიბებს ძველი წელთაღრიცხვის VII საუკუნეში ტომთა ძლიერი გაერთიანება გააჩნდათ.

გ. მელიქიშვილის გამოკვლევით: „В VII в. до н. э. к северу от территории мушков у южного побережья Черного моря, об-

---

[1] ბილაბელი, იქვე, გვ. 269, შენ.; გვ. 277.
[2] ВДИ, 1947, № 4, გვ. 237, შენ. 4.
[3] ВДИ, 1952, № 2, გვ 270, შენ. 2.
[4] R. Leonhard, Paphlagonia, გვ. 327.
[5] БСЭ, ტ. 46, გვ. 39.

разуется крупное об'единение племени халдов... Об'единение халдов Халиту являлось значительной величиной. Население „Страны Халиту" (ср. арманск. „Халтик", припонтийские „халды" античных авторов) принадлежали, по всей вероятности, к западной (мегрело-чанской) ветви грузинского племени. Об этом свидетельствует факт употребления в древнеармянских источниках синонимами друг друга названий „халдов" и „чанов"[1].

იქვე შენიშვნაში ამბობს გიორგი მელიქიშვილი, რომ „ხალდი" შეიძლება იყოს „ქართუ"-ს დიალექტური ვარიანტი და მომდინარეობდეს უძველესი, ჯერ დაუნაწევრებელი ერთიანი ქართული ეთნიკური ჯგუფის არსებობის დროიდან[2].

ძველი ხალდებისა და ხალიბების იგივეობის საკითხის სპეციალური განხილვა ჩვენს მიზანს სცილდება.

მართალია, სტრაბონი ამბობს, რომ ეხლანდელი ქალდები ხალდებად იწოდებოდნენო, მაგრამ მას არა წინააზიის ხალდებისა და პონტოს სანაპიროს ხალდების იგივეობა აქვს მხედველობაში, არამედ ის, რომ ზღვის სანაპიროს ხალიბები ძველ წყაროებში ხან ხალდებად და ხან ხალიბებად არიან მოხსენებული[3].

ჩვენთვის მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, გაირკვეს შავის ზღვის სანაპიროზე ხალიბთა ტომის მოსახლეობის გავრცელების რაიონი და, მეორე მხრივ, დადგინდეს, რომ ეს ტომი ქართულ მოდგმას ეკუთვნოდა.

ი. მ. დიაკონოვი ხალიბებზე წერს, რომ პიოტროვსკიმ დაამტკიცა, რომ მათი სახით „...речь идет об иберском народе саннов (чанов) или лазов"[4].

---

[1] Г. Меликишвили, Наири-Урарту, გვ. 411.

[2] იქვე. დას. შრ., შენ. 3.

[3] წიგნი XII, თავი III, 19, თ. ყაუხჩიშვილის გამ., 204.

[4] И. М. Дьяконов, Заметки по урартской эпиграфике, გვ. 111. „Эпиграфика Востока", VI, 1952. Пиотровский, Припонтийские Халды и Урарты, „Краткое сообщение инст. матер. культуры Ак. Наук. СССР, V, 1940; მისივე, История и культура Урарту, გვ. 326—341.

ერთგვარი უკმაყოფილებით უნდა შევნიშნოთ, რომ ახალგაზრდა მკვლევარი დ. ხახუტაიშვილი თავის სადისერტაციო ნაშრომში, რომელსაც ეწოდება „შავიზღვისპირეთის ქართველური ტომები ბერძენ-ლათინი მწერლების ცნობებით (ძვ. წ. VI—IV სს.)", ხალიბებზე მხოლოდ ნეგატური მსჯელობით კმაყოფილდება (გვ. 47—51) და პირველწყაროთა არსებითი განხილვის გარეშე გამოაქვს დაუსაბუთებელი დასკვნა, რომ ხალიბთა მოსახლეობა „...სილრმეში

თვით დიაკონოვი რუსა II-ის წარწერაში ხედავს მესხებსა და ზღვისპირა ხალიბებს [1].

რომ ხალიბთა მოსახლეობა შავი ზღვის სანაპიროზე და მცირე აზიის გარკვეულ რაიონებში ძველადვე არსებობდა, ამის დამადასტურებელია თვით მდ. ჰალისის სახელწოდება და ის ფაქტი, რომ აქაურ ხალხთა შორის იხსენიება ხალხი Haliwa, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი.

ჰომეროსის ჰალიძონები უნდა ნიშნავდეს ზანებს—ჭანებს.

განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ ჰომეროსის ცნობა ჰალიძონების ქვეყანაში ვერცხლის საბადოების არსებობის შესახებ, კარგად ეთანხმება ხალიბების ქვეყნის რკინისა და სხვა მადნეულით სიმდიდრის შესახებ სინამდვილეს.

აკი ქსენოფონტე ამბობს, რომ „ხალიბები... უპირატესად რკინის მადნის მოპოვებითა და დამუშავებით ცხოვრობენო" [2].

ხოლო გიუმიშხანე ისტორიულ მანძილზე, თვით უკანასკნელ ხანამდე, განთქმული იყო თავისი ვერცხლის საბადოებით. გიუმიშხანე ტრაპიზონის ოლქშია. იგი ხალდიის მთავარი ქალაქი იყო და ეს სახელი ვერცხლისაგან ჰქონდა მინიჭებული.

საკმარისია ადამიანმა დახედოს მ. მაქსიმოვას მიერ შედგენილ რუკას, რომელზედაც აღნიშნულია მადანთა საბადოები ჩრდილო ანატოლიისა [3], რათა დარწმუნდეს, რომ ეს სწორედ ის რაიონია, სადაც უწინ ხალიბებად წოდებული, შემდეგში კი ჭანებად მოხსენებული ქართველი ტომი ცხოვრობდა და რომ სწორედ ეს რაიონი იყო მეტალურგიის პირველი კერა.

სავსებით დამსახურებულად მიუზღავდა ივ. ჯავახიშვილი ქართველთა წინაპრებს, როდესაც აღნიშნავდა: „ქართველ ტომებს მადნეულობის შემუშავებაში საპატიო ღვაწლი მიუძღვით განათლებული კაცობრიობის წინაშეო" [4].

ამგვარად, ირკვევა, რომ უძველესი ცნობების მიხედვით, ხალიბთა მოსახლეობა მდ. ჰალისის დასავლეთით ვრცელდებოდა.

მართლაც, როგორც დავინახეთ, ჰომეროსი, ჰეროდოტე, ფსევდო-სკიმნი, ლიკოფრონის სქოლიასტი, სტრაბონი, პომპონიუს

---

ვრცელდებოდა ფართოდ, ხოლო სანაპიროზე არც ისე დიდი ზოლი ეჭირა" (გვ. 48).

[1] იქვე.

[2] Anabasis, V, 5, 1.

[3] М. Максимова, Античные города..., გვ. 23.

[4] ქართველი ერის ისტორია, I, 1928, გვ. 20.

მქონე ხალიბებს პაფლაგონელთა უახლოეს მეზობლად იცნობენ, ხოლო პაფლაგონელები მათ მიაჩნიათ მდ. ჰალისის დასავლეთით მცხოვრებად. ამდენად, ხალიბებიც მათ მდ. ჰალისის დასავლეთით ეგულებათ.

ჩვენამდე მოღწეული ყველა პირველი წყარო პაფლაგონელებს მხოლოდ ჰალისის დასავლეთით იცნობს და არც ერთი შემთხვევა არ მოგვეპოვება, რომ რომელიმე წყაროში ისინი ჰალისის აღმოსავლეთით იყვნენ მოხსენებული, როგორც ადგილობრივი მკვიდრნი.

ძველი ისტორიის სპეციალური ჟურნალის კომენტარში ვკითხულობთ: „Пафлагонцы— жители черноморской береговой области Малой Азии между Вифинией и Понтом, ограниченной реками: Парфением с запада и Галисом с востока“ [1].

რაც შეეხება ქსენოფონტეს ცნობას (VI, 1), რომ კოტიორაში დაბანაკებულ ელინებს უხდებოდათ შეტაკება პაფლაგონელებთან,—შედეგია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქსენოფონტეს იმ მცდარი კონცეფციისა, რომელიც მას შეექმნა სინოპელთა ელჩის ყალბი ინფორმაციის შედეგად... ყოველ შემთხვევაში, პაფლაგონელების ამ რაიონში ყოფნა მხოლოდ შემთხვევითი იყო და შედეგად მოჰყვა პაფლაგონელების მიერ კაპადოკიის ჩრდილოეთი ნაწილის დროებით ხელში ჩაგდებას და როგორც მაქსიმოვა ამბობს: „...Основная область пафлагонцев ограничена с востока нижним течением реки Галиса“ [2].

ის გარემოება, რომ სინოპე, ამისოსი და სხვა მრავალი რაიონი თავიდანვე არ შედიოდა მითრიდატიდების მიერ შექმნილ პონტოს სამეფოში, რომელმაც შემდგომში თანდათან შემოკრიბა შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთის სანაპიროზე მცხოვრები ტომები და მათი ტერიტორიები თავის ფარგლებში,—არ შეიძლება ეთნიკურად განმასხვავებელ მომენტად იქნეს მიჩნეული.

თვით კაპადოკია, რომელიც ძირითადად ქართველი ტომებით იყო დასახლებული, გაითიშა და მითრიდატიდების სამეფოში მხოლოდ ჩრდილოეთი ნაწილი (პონტოს კაპადოკია) მოექცა, სწორედ აქედან დაუმკვიდრდა მას სახელი პონტოს სამეფო.

არც ის გარემოება, რომ ახლად შექმნილ პონტოს სამეფოს შემადგენლობაში პაფლაგონელი და კაპადოკიელი ტომები შევიდნენ, გულისხმობს აღნიშნულ ტომთა და ქართველ ტომთა შორის უცხოობას.

---

[1] ВДИ, 19·7, № 4, გვ. 194.

[2] Максимова, ხსენებ. შრ., გვ. 103.

პაფლაგონიისა და განსაკუთრებით კი კაპადოკიის ტერიტორიაზე, მთელ ისტორიულ მანძილზე ქართველ ტომთა ცხოვრება არა ერთი ცნობით არის დადასტურებული.

მცირე აზიის სხვა რაიონების მსგავსად და უფრო მეტადაც გართულებულია კაპადოკიის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის გარკვევა.

ძველი წყაროები ხშირად ასახელებენ კაპადოკიასა და მის მცხოვრებ კაპადოკიელებს ზოგადად, მაგრამ რამე ეთნიკურ ნიშანს არ იძლევიან.

ალექსანდრე სვანიძე, მცირე აზიისა და საქართველოს გეოგრაფიულ სახელწოდებათა შედარებით შესწავლის საფუძველზე, შემდეგ დასკვნამდე მისულა: „...эти географические названия дают основание предполагать, что значительная часть первоначального населения Малой Азии была этнически однородна с грузинскими племенами“ [1].

როგორც აღვნიშნეთ, სინოპე ძვ. წ. 183 წლიდან პონტოს სამეფოს დედაქალაქი იყო.

პაფლაგონია პონტოს სამეფოს შემადგენლობაში არ შედიოდა თავიდანვე. პონტოს სამეფო არ იყო ბერძნული სახელმწიფო... პირიქით, როგორც მითრიდატეს ელჩის დიპლომატ პელოპიდის რომაელ ჯარის სარდალთა წინაშე წარმოთქმული სიტყვიდან ჩანს, პონტოს სანაპიროს ბერძნები მხოლოდ გვიან მოექცნენ პონტოს სამეფოს ორბიტში.

პელოპიდე, სხვათა შორის, ეუბნება რომაელებს: „...მითრიდატე მეფობს თავის სამემკვიდრეო ქვეყანაში, რომელიც გადაჭიმულია ოცი ათასი სტადიონის სიგრძეზე და ამას გარდა, მან თითონ მოიპოვა მრავალი მოსაზღვრე ქვეყანა: კოლხები, ეს ომიანობისათვის გიჟი ტომი, ხოლო ელინთაგან ისინი, ვინც პონტოს სანაპიროზე ცხოვრობენ“ და სხვ. [2]

ხოლო ანონიმურ Periplus-ში პონტოს სამეფო იწოდება ბარბაროსულად, რომელიც დასახლებულია ტიბარენებით, ს(ე)ანიკებითა და კოლხებით. მისი მეზობელი მხარეები კი აგრეთვე ბარბაროსებს ეკუთვნით [3].

---

[1] А. Сванидзе. Материалы по истории алародийских племен. 1937, გვ. 30.

ანალოგიები თუ იგივეობანი ძველი კაპადოკიისა და თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე გეოგრაფიული სახელებისა იხ. ბატონიშვილი ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია, მ. გ. ჯანაშვილის რედაქციით. 1904, გვ. მა.

[2] აპიანე, 15.

[3] XLII, 14.

როგორ შეეძლო სინოპეს დედაქალაქობა გაეწია არაბერძნული სახელმწიფოსათვის, თუ ქალაქში ადგილობრივი მოსახლეობა არ იყო?.. მართალია, პონტოს სამეფო კარი და უთუოდ წარჩინებული წრეებიც, ძლიერ ელინიზებული იყო, მაგრამ ადგილობრივი დასაყრდენი ძალის გარეშე დედაქალაქის არსებობა სხვათა შერქვეშ შეუძლებელი იქნებოდა. ელინიზებული იყო (ამ სიტყვის ზოგად ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობით) იბერიის დედაქალაქი მცხეთა და არაქართული ეთნიკური ელემენტიც იქ უხვად მოიპოვებოდა... ჩვენამდე მოღწეულია მხოლოდ ბერძნული წარწერები იმ დროისა...

მაგრამ განა ეს ნიშნავს იმას, რომ მცხეთაში იბერული მოსახლეობა არ იყო?

როგორც მცხეთაში, ისე სინოპეში ქართულ (თუ ქართული შინაარსის) წარწერათა აღმოუჩენლობა იმის საბუთად როდი გამოდგება, რომ იქ ადგილობრივი მოსახლეობა არ იყო, არამედ ეს უცნაური და მეტად დამაფიქრებელი მოვლენაა, რომელიც თავის ახსნას ელის.

სხვას რომ თავი დავანებოთ, სინოპე ხომ პონტოს სამეფოს დედაქალაქი იყო, სადაც ცნობილი მითრიდატე ევპატორი დაიბადა და მოღვაწეობდა.

კარგად ცნობილია, რომ პომპეუსმა მითრიდატეს პირადი არქივი იგდო ხელთ[1].

უფრო ვრცელ ცნობას გვაწვდის პლინიუსი, რომელიც მოგვითხრობს, რომ მითრიდატეს თავის საკუჭნაოებში დაუტოვებია „თხზულებები კიდობნებით". ეს თხზულებები სამედიცინო შინაარსისა იყო. პომპეუსმა ისინი ათარგმნინა ლათინურ ენაზე[2].

როგორც ცნობილია, კაპადოკიაში, ბერძნული ენის გვერდით, ხმარებაში იყო არამეული, რომელიც აქ ასირიელთა დროიდან ოფიციალურ ენად იყო მიღებული[3]. და თვით რომაულ ეპოქაშიც ბერძნული და ლათინური მხოლოდ ქალაქების მოსახლეობის ძალიან განსაზღვრული ნაწილის სახმარი იყო[4].

ნუთუ ესოდენ ძლიერი სახელმწიფოს ცხოვრების არც ერთი მომენტი წერილობით არ იყო დაფიქსირებული... რა ენაზეც უნდა ყოფილიყო?!.. ნუთუ თვით ბერძნულადაც არა იყო რა სრულიად დაწერილი?

---

[1] პ ლ უ ტ ა რ ქ ე, პომპეუსი, 37.
[2] Natur. Historia, წ. XXV, 5.
[3] А. Р а н о в и ч, Восточн. провинции..., გვ. 117.
[4] იქვე.

ნუთუ ამოდენა სახელმწიფოს ცხოვრების არც ერთმა მოვლენამ არ დასტოვა თავისი კვალი ამა თუ იმ ენაზე დაწერილ რომელიმე სახის წერილობით წყაროში?

ეს ხომ წარმოუდგენელია...

მაგრამ წარმოუდგენელია აგრეთვე ჩვენამდე მოღწეული მეტად მწირი ეპიგრაფიკული მასალის მიხედვით ისეთი კარდინალური საკითხების, როგორიც არის ამა თუ იმ პუნქტის მოსახლეობის ეთნიკური კუთვნილების საკითხის—გადაწყვეტა. მცხეთისა და განსაკუთრებით კი სინოპეს მაგალითები, ამ მხრივ ძლიერ ბევრი რამის მთქმელია და თავის მიმართ სერიოზულ მეცნიერულ ყურადღებას მოითხოვს.

იქ, სადაც ორიოდე ინიციალის გაშიფრვის (ვინ იცის რამდენად სწორედ!) საფუძველზე მნიშვნელოვანი მეცნიერული დასკვნების გამოტანას ვცდილობთ, არა გვმართებს დავივიწყოთ მომსხო ფაქტები, რომელთა მიმართაც ხსენებული მასალა (ინიციალები), როგორც წვეთი ზღვაში, ისეთი მნიშვნელობისაა.

არ შეიძლება მთავარი ვერ შევნიშნოთ და წვრილმანის საფუძველზე ყალბი კონცეფციები შევქმნათ.

გარდა მოსახლეობისა, სინოპე მატერიალურადაც სასიცოცხლო წყაროს ტრაპიზონის ოლქიდან იღებდა. ამ მხრივაც ქართველ ტომთა ძირითადი სამყარო ჰკვებავდა მას იმთავითვე და შემდგომშიც, რომაელთა ბატონობის ხანაშიც (ძვ. წ. პირველი საუკუნიდან).

მ. მაქსიმოვა ზემოდასახელებულ ნაშრომში წერს: „Несмотря на то, что районы Трапезунта, Керасунта, Котиоры, с давних времен служившие основной сырьевой базой для синопской торговли железом, были теперь оторваны от Синопы, металл повидимому вывозился оттуда на внешних рынках. Другими словами, Синопа продолжала и при Римском владычестве оставаться главным транзитным портом юго-восточного побережья Черного моря“ [1].

სინოპეს დიდი პოლიტიკური და ეკონომიური მნიშვნელობის წყალობით, იგი იქცა პონტოელ ქართველ ტომთა სახელმწიფოს დედაქალაქად. დაბოლოს, თუნდაც ქსენოფონტეს თანახმად (წ. VI, თ. I, 1), პაფლაგონიის მმართველთა ხელისუფლება ჰალისის აღმოსავლეთ რაიონებში ფაქტად მივიჩნიოთ, ეს ეთნიკურ მომენტს არ მოხსნიდა. ეს მხოლოდ პოლიტიკურ ვითარებაზე შეიძლება

---

[1] М. И. Максимова, ხსენ. შრ., გვ. 398.

მიუთითებდეს, ვითარებაზე, რომლის ქრონოლოგიური ფარგლებიც ჩვენთვის სრულიად უცნობია და შეიძლება სულ უმნიშვნელო ხანასაც მოიცავს.

ამგვარად, ყველა გარემოება იმის სასარგებლოდ ლაპარაკობს, რომ სინოპე ქართულ სამყაროს ეკუთვნოდა და პომპონიუს მელას ცნობაც, რომ ის ხალიბების ქალაქია, ჭეშმარიტებას შეიცავს. ამიტომაც, სავსებით სამართლიანად არის მითითებული უახლეს საბჭოურ ლიტერატურაში, რომ სინოპე აღმოცენდა „...на месте туземного поселения... местное население—племя халибов...“ [1].

ყველა ზემოთქმულის შემდეგ, ბუნებრივად გამოსჩანს ნ. მარის ვარაუდი, როდესაც ის, ენობრივი მასალის საფუძველზე, ქ. სინოპეს ძველ ქართულ სამყაროს კუთვნილებად თვლიდა და შავი ზღვის მთელ სამხრეთ სანაპიროს, სინოპედან ანაპამდე, ჭანმეგრელებით დასახელებულად მიიჩნევდა [2].

როგორც ვნახეთ, მ. მაქსიმოვას ეჭვი პომპონიუს მელას ცნობის მიმართ ქ. სინოპეს ხალიბებისადმი კუთვნილების თაობაზე, უსაფუძვლო აღმოჩნდა. ხოლო თუ ამისოსი როგორ და რა პირობებში წარმოუდგენია მაქსიმოვას კაპადოკიაში, რაც, მისი აზრით, იმის დამამტკიცებელი უნდა იყოს, რომ ქალაქი ხალიბებს არ შეიძლება ეკუთვნოდეთ, ამის შესახებ ჩვენ არა ვიცით რა.

როგორც მეცნიერებაში გარკვეულია, გეოგრაფიული ტერმინი კაპადოკია გვიან ჩნდება და თვით მაქსიმოვას დადგენილი აქვს ქ. ამისოსის მიდამოებისათვის, რომ ამ უკანასკნელი ხანის არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა ცხადჰყო შავი ზღვის სანაპიროს ამ რაიონში ადამიანის ცხოვრების უძველესი კვალი [3];

რომ ეს აღმოჩენები უფლებას გვაძლევს ვივარაუდოთ ამ რაიონებში კულტურული ცხოვრების უწყვეტობა, პალეოლითიდან მოკიდებული [4].

---

[1] Древняя Греция. Академия Наук СССР. Институт истории: Ответственные редакторы академик В. В. Струве, доктор историч. наук Д. П. Каллистов. Москва. 1956, გვ. 118.

კრებულის წინასიტყვაობაში ნათქვამია, რომ აღნიშნული მასალა ამოღებულია „из рукописи, подготовленной в 1938—41 гг. авторским коллективом, возглавлявшимся академиком С. А. Жебелевым“, იქვე, გვ. 4.

[2] Н. Марр. Термин „скиф“, Яфетический сборник. I, Петербург. 1922, გვ. 105.

[3] М. Максимова, Античные города..., გვ. 21.

[4] იქვე, გვ. 22.

მკვლევართა აზრით,—როგორც ამბობს მაქსიმოვა,—ამ მხარისათვის დამახასიათებელია: „ლითონის ადრე გაჩენა და, კერძოდ, რკინის დამუშავების დაწყება ძვ. წ. მეორე ათასწლეულის პირველ ნახევარში, რაც დაკავშირებულია ჩრდილო-ანატოლიის მთების ლითონის მდიდარ საბადოებთან, რომლის ექსპლოატაციაც იზიდავდა კაპადოკიისაკენ ასირიელ კოლონისტებს, ჯერ ისევ III ათასწლეულის პირველ ნახევარში“ [1].

მერე განაგრძობს: „ჩამოსახლებულმა ბერძნებმა ჰპოვეს ამისოსთან ძველი და მაღალი კულტურის მქონე მოსახლეობა“ [2].

მაქსიმოვას დასკვნით, ორდუში (ყოფ. კოტიორა, რომელიც ამისოსიდან შორს არ იყო) და ანატოლიის სხვა რაიონებში აღმოჩენილი არქეოლოგიური ნაშთები ანალოგიურია კოლხურ-ყობანური კულტურის ნაშთებისა [3].

იგი წერს, რომ დასახელებულ ადგილებში აღმოჩენილი ....შრომის იარაღები (ისევე, როგორც საჭურველი) თავის უახლოეს პარალელს ფორმითაცა და დანიშნულებითაც პოულობს კოლხეთში და ამიერკავკასიის სხვა რაიონებში. ეს მიუთითებს არა მხოლოდ კულტურათა მსგავსებაზე, არამედ მეურნეობის ფორმათა იგივეობაზეც“ [4].

ერთს თავის ადრინდელ ნაშრომში მაქსიმოვა უფრო ვრცლად ლაპარაკობს იმაზე, რომ თვით შავი ზღვის სანაპიროს ზოლის გეოგრაფიულმა პირობებმა განსაზღვრა მისი მოსახლეობის ისტორიული განვითარების გზაც; რომ ამ ოლქების კულტურა მჭიდრო კავშირში იყო ამიერკავკასიასთან და კავკასიასთან, ამას მოწმობს აღმოჩენილი განძები და სხვა ნივთები, ბრინჯაოს შრომის იარა-

---

[1] М. Максимова, Античные города... გვ. 21. მცირე აზიის მეტალურგიული საბადოებისაკენ ლტოლვა შემდეგშიაც გრძელდება. გ. მელიქიშვილი წერს: „Известно, что уже в эпоху существования могучего Хеттского государства Малая Азия славилась как место обработки железа“ (იხ. Наири-Урарту, გვ. 243). მერე განაგრძობს: „По мнению ряда исследователей, специально изучавших данный вопрос, железо, употреблявшееся в первой половине I тысячелетия до н. э. на Переднем Востоке, добывалось в основном в Каппадокия, Комане, Киликии... Очевидно, именно, поэтому рвались с такой энергией к этим районам ассирийцы, а также урартийцы, которые при этом преследовали также цель нанести сильный удар Ассирии, отрезав ее от основных источников получения ею металла“ (იქვე, გვ. 344).

[2] მაქსიმოვა, იქვე, გვ. 22.

[3] მაქსიმოვა, იქვე, გვ. 24.

[4] იქვე, გვ. 25.

ლები და საჭურველი, ძვ. წ. 1000 წლის მახლობელი ხანისა, რომელშიაც ძირითადად მოცემულია ყობანური კულტურის ტიპები[1].

გ. მელიქიშვილის თქმით: „...არქეოლოგიურ გამოკვლევათა შედეგებით მჟღავნდება მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთის ოლქების კულტურის მჭიდრო კავშირი დასავლეთ საქართველოსთან უძველეს ეპოქაში (ყოველ შემთხვევაში ძვ. წ. II ათასწლეულიდან)"[2].

მატერიალური კულტურის ნაშთების დამთხვევა, რაც თავისთავად ფრიად მნიშვნელოვანია, სრულიადაც შემთხვევითი არ არის. ამ რაიონების მოსახლეობა ერთსა და იმავე ეთნიკურ ოჯახს ეკუთვნოდა.

ფრიად საყურადღებოა, რომ ბიზანტიელებმა იმ ტერიტორიას, რომლის ერთ-ერთ ცენტრალურ ნაწილსაც ქ. ამისოსის ოლქი წარმოადგენდა, ხალდიის თემა უწოდეს. ეს ის ტერიტორიაა, რომელიც შემდეგში სხვა რაიონებთან ერთად ბიზანტიას გამოეყო ცალკე სახელმწიფოს—ტრაპიზონის იმპერიის სახით[3].

თურქული ადმინისტრაციული დანაწილების მიხედვით, ყოფილი ტრაპიზონის იმპერიის დასავლეთ რაიონს ეწოდება „Джаник или Самсунь"[4], რომელიც ჭანებით იყო დასახლებული[5].

თ. უსპენსკი, უდარებს რა ერთიმეორეს ტრაპიზონის იმპერიისა და თურქული დროის ტრაპიზონის ვილაიეტის გეოგრაფიულ საზღვრებს, დაასკვნის: „...в общем можно наблюдать почти полное совпадение границ не только на в. и з. (Батум и Самсун), но и на юге". და ამბობს, რომ ამას აქვს თავისი საფუძველი იმდენადვე გეოგრაფიულ პირობებში, რამდენადაც „... в этнографических условиях страны в направлении к в. и з. от намеченных пунктов"[6].

უფრო ზევით კი, ტრაპიზონის იმპერიისა და შემდგომი დროის ვილაიეტის ერთნაირად სამ ნაწილად გაყოფასთან დაკავშირებით, უსპენსკის ნათქვამი აქვს: „Таким образом, в этих подразделениях даются прямые этнографические группы, из коих состояло пограничное население империи: со стороны нынеш-

---

[1] მაქსიმოვა, იქვე, გვ. 24.

[2] Г. Меликишвили, Наири-Урарту, გვ. 401.

[3] Ф. Успенский, Трапезунтская империя, ჟურნ. „Анналы", ტ. IV, გვ. 26.

[4] ქ. ამისოსს თურქებმა სამსუნი უწოდეს.

[5] თ. უსპენსკი, დასახ. შრ., გვ. 25.

[6] იქვე, გვ. 26; ხაზგასმა ჩემია. ზ. ზ.

него Батума лазы, со стороны Каппадокии[1],—цаны и, наконец, с юга в области минеральных богатств империи, Халды и Халивы с городом Гюмишхане, что значит серебряный город“[2].

როგორც ცნობილია, ხალდ-ხალიბები და ჭანები ეთნიკურად ერთი და იგივე ტომს წარმოადგენენ და სამეცნიერო ლიტერატურაში მათ სამყაროს უკავშირებენ მდ. ჰალისის სახელს, რაც, მარის თქმით, „об'ясняется по чански, как нарицательное имя, именно река“[3].

მაშასადამე, ჭანების (ხალიბების) მოსახლეობა სამსუნის (ძველი ამისოსის) დასავლეთით მდ. ჰალისამდე აღწევდა, რადგან ცნობილია, რომ თურქები ტრაპიზონის ვილაიეტში მდ. ჰალისის ირგვლივ მოსახლეობას აქცევდნენ[4].

ამგვარად, უდავოა, რომ ჯერ კიდევ XIX საუკუნეში მდ. ჰალისზე ძველი ხალიბებისა და ჭანების შთამომავალნი ცხოვრობდნენ.

მაშასადამე, ქ. ამისოსი ჭანების (ხალიბების) ქვეყანაშია ძველადაც, VIII, XIII და XIX საუკუნეებშიაც, ხოლო, რადგან ჭანების იქ მისვლა არ არის სავარაუდებელი რომელიმე მახლობელ ისტორიულ ხანაში, ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ იქ ისინი თავიდანვე ცხოვრობდნენ, როგორც უფრო ძველი ცნობები ამგვარი ვარაუდის შესაძლებლობას იძლევა.

ნათქვამიდან ცხადია, რომ ქ. ამისოსი დასახლებული იყო უძველესი და მაღალი კულტურის მქონე ხალხით, რომელიც ეთნიკურად უკავშირდება კოტიორას, კერასუნტისა და სხვა ქალაქთა მოსახლეობას.

აღნიშნული პუნქტების მოსახლეობა, პირველწყაროთა ერთსულოვანი მოწმობით, ქართველი ტომებისაგან შესდგებოდა, როგორც ამას მაქსიმოვაც აღიარებს, რომელიც სხვათა შორის წერს: „Область моссиников находилась у моря между городами Керасунт и Котиоры. Область была гористой и густо населенной“[5].

[1] ე. ი. სამსუნის, ძველი ამისოსის მხრიდან.

[2] თ. უსპენსკი, იქვე, გვ. 25.

[3] Н. Марр, Поездка в Турецкий Лазистан, Изв. Импер. Акад. Наук, 1910, № 8, გვ. 609.

[4] პალჰერის ცნობა ჭანეთის ვილაიეტზე, რომელიც ქვემოთ იქნება მოტანილი.

[5] ВДИ, 1951, № 1; М. И. Максимова, Местное население юго-восточного Причерноморья по „Анабазису“ Ксенофонта. Дрилы и моссиники. გვ. 259.

თავისთავად ცხადია, რომ ქ. ამისოსის მოსახლეობაც ქართულ ეთნიკურ სამყაროს ეკუთვნოდა. ამისოსი ხომ ჭანიკის ოლქის მთავარი ქალაქი იყო, ოლქისა, რომელიც თვით XIX საუკუნეშიც ჭანებითა და ლაზებით იყო დასახლებული.

ამდენად, ამ პუნქტის გეოგრაფიული ტერმინის—კაპადოკიის—ქვეშ მოქცევა, ვერ გამოსთიშავს მას ძველი ქართული სამყაროდან, მით უმეტეს, რომ ცნება კაპადოკია ხელოვნურად არის შექმნილი და ისიც ნაგვიანევად, ხოლო ამისოსისა და ორდუს შორის ხალიბთა მოსახლეობის არსებობა დაადასტურა მეცხრამეტე საუკუნეშიც მოგზაურმა ჰამილტონმა, როგორც ზემოთ ვნახეთ.

როგორც ცნობილია ტრადიციული ვერსიით, პონტოს სამეფოს დამაარსებლად ითვლება მითრიდატ II, რომელმაც მას შემდეგ, რაც (301 წ.) დამარცხდა ალექსანდრე მაკედონელის სარდალი ანტიგონი, დიადოხთა შორის უკანასკნელი, რომელიც ცდილობდა ალექსანდრეს სამეფოს აღდგენას საკუთარი ძალაუფლების ქვეშ,—შექმნა შავი ზღვის სანაპიროზე მცხოვრებ ტომთაგან ახალი სახელმწიფოებრივი ერთეული, პონტო, პონტოს სამეფოს სახელით რომ არის ცნობილი.

ამ ახალი სახელმწიფოებრივი ერთეულის დედაქალაქი იყო ქ. ამასია.

შეუძლებელია, ამ დროს ქ. ამისოსი, რომელიც ზღვის პირად მდებარეობდა, განსხვავებულ ეთნიკურ სამყაროში წარმოვიდგინოთ. ეს კაპადოკიის ჩრდილოეთი ტერიტორია იყო გეოგრაფიულად, ეთნიკურად კი ამასია და ამისოსი ერთ სამყაროს ეკუთვნოდნენ. ეს სამყარო ადრიდანვე მოკიდებული უკანასკნელ დრომდე, ჭანიკად იწოდება, ხოლო ჭანები და ხალდები ერთსა და იგივე ეთნიკურ სამყაროს (ქართულს) ეკუთვნიან. ქ. ამისოსი, რომ იმთავითვე ქართველ ტომთა საცხოვრისი ადგილი იყო, ამას შემდგომი დროის ცნობებიც ადასტურებს.

სტრაბონის ნაკლოვანი ცნობა, თითქოს ამისოსი ვინმე კაპადოკიელს დაეპყროს ერთ ხანს (XII, 3, 14), არ არის იმის მთქმელი, რომ კაპადოკიელები და ამისოსის მცხოვრებნი ერთიმეორისათვის ტომობრივად უცხონი იყვნენ.

ამ ფრაგმენტულ ცნობაში ლაპარაკი უნდა იყოს ვინმე დაწინაურებულ კაპადოკიელზე, რომელიც, ალბათ, კაპადოკიაში გაბატონებისაკენ მიიკვლევდა გზას და მისი ამ მიმართულებით მცდელობის ერთ-ერთი მომენტი იყო ქ. ამისოსის ხელთგდება.

ქ. ამისოსს ამგვარი როლი შემდეგშიაც შეუსრულებია.

XI საუკუნეში ქ. ტრაპიზონში ძალაუფლება ეკუთვნის თეოდორე გაბრას, რომელმაც ჯერ სელჯუკების, შემდეგ კი დავით აღმაშენებლის შემოსევა მოიგერია და ტრაპიზონში თვითონ განიმტკიცა ძალაუფლება[1].

გერმანელი მკვლევრის ფალმერაიერის აზრით, გაბრა ქალდური შთამომავლობისა იყო[2].

თეოდორე გაბრამ ტრაპიზონი ჩამოაშორა ბიზანტიის ხელისუფლებას.

ბიზანტიის იმპერატორმა ალექსი კომნენმა თეოდორეს შვილი გრიგოლ გაბრა დაამარცხა ციხე-სიმაგრე Colonia-ს მახლობლად 1107 წ. და იგი ტყვედ წაიყვანა კონსტანტინეპოლში.

ერთი წლის შემდეგ, მისი მეგობრების ენერგიული ჩარევის წყალობით, გრიგოლი განთავისუფლებულ იქნა და ტრაპიზონის ხელისუფლად დაინიშნა 1108 წელს[3].

გრიგოლის შვილმა კონსტანტინემ კვლავ გადაიგდო ბიზანტიის უღელი და იგერიებდა იმპერატორის იერიშებს[4].

აკადემიკოს უსპენსკის გამოკვლევით, „Гавра был из местных князьков Халдии, местными силами добыл себе Трапезунд и правил им самостоятельно. В середине XII в. Трапезунд опять оказался в руках Гавра“[5].

განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ თვით ჯვაროსანთა IV ლაშქრობის დროს, მართალია, ტრაპიზონში ხელისუფლება პალეოლოგს ეკუთვნის, მაგრამ ქ. ამისოსში (შემდ. ქ. სამსუნი) თეოდორ გაბრა იყო განმკარგულებელი (იქვე, 600).

---

[1] Jac. Ph. Fallmereyer, Geschichte des Kaiserthums Trapezus, München. 1827, გვ. 18—19.

[2] „...Gabras ein althaldäisches Wort ist und vorzugsweise einen Mann, einen Helden bezeichnet“ (იხ. დას. შრ., გვ. 19). გაბრა ძველი ქალდური სიტყვაა და უპირატესად ნიშნავს ვაჟკაცს, გმირს. შეადარე ქართული სახელი გაბრა. გაბრო, გვარი—გაბარაშვილი, გაბრიაძე, ქართული—გმირი. ამისივე სახესხვაობა უნდა იყოს სოფ. ლავრა ლაზისტანში და იქვე გვარი ლებრაძე.

[3] Fallmereyer, op. c. გვ. 20.

[4] იქვე.

[5] Ф. Успенский, История Визант. имп., т. III. გვ. 600. თუ ვისი თავადი იყო თეოდორე გაბრა და ვისგან შეადგინა ადგილობრივი ძალა, ამაზე ისიც მიუთითებს, რომ ეს რაიონი VIII საუკუნეში ხალდიად იწოდება (ბიზანტიური თემა ხალდია), XII და XIX საუკუნეებში კი ჭანიკად, იმის გამო, რომ იქ ჭანები (ხალიბები) მოსახლეობდნენ.

ეს გარემოება იმაზე მიუთითებს, რომ ქ. ამისოსში იმთავითვე ადგილობრივ ქართველ ტომთა მოსახლეობა იყო; როგორც ქვემოთ დავინახავთ, ქალდია ქართველ ტომთა სამშობლო იყო.

შესაძლებელია, ქ. ამისოსი გაბრათა საგვარეულოს სამფლობელო ცენტრი იყო.

ზემოთ მოტანილი ცნობების შემდეგ, პომპონიუს მელას ცნობაში ეჭვის შეტანა, ყოველ შემთხვევაში, იმის განცხადება, რომ არავითარი ეჭვი არ არსებობს იმაში, რომ სინოპე და ამისოსი პაფლაგონიასა და კაპადოკიაში მდებარეობდნენო და ამის გამო ისინი, მაშასადამე, ხალიბებს არ შეიძლება ჰკუთვნებოდა, რაიმე სერიოზულ მეცნიერულ საფუძველს მოკლებულად უნდა ჩაითვალოს.

პომპონიუს მელას ცნობა, რომელიღაც ძველი წყაროდან ამოღებული, სრულიად ჭეშმარიტად და ძვირფას ცნობად არის მისაჩნევი, რომელიც სხვა წყაროთა ცნობებს ეთანხმება და ადასტურებს.

აქ არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ერთ ახალგაზრდა ქართველ ისტორიკოსს, რომელიც პომპონიუს მელასა და სხვათა ცნობების განხილვის შედეგად იმ დასკვნამდე მისულა, რომ „...შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე ყველაზე უფრო დასავლეთით მცხოვრები ქართველი ტომების, ხალიბების ტერიტორია გადაჭიმული იყო მდ. თერმოდონის მიდამოებიდან სინოპის სანახებამდე, ე. ი. მოიცავდა მდ. ჰალისის ორივე სანაპიროს და თავის ტერიტორიულ ერთეულში მიითვლიდა ცნობილ ბერძნულს ქალაქებს ამისოსსა და სინოპს“[1].

თვით ქალაქი ამისოსი, ეხლანდელი სამსუნი, იმთავითვე დღევანდლამდე ხალიბებით (=ჭანებით, ლაზებით) დასახლებული რაიონის ცენტრს, მთავარ ქალაქს წარმოადგენდა.

ამ რაიონს, რომელიც ბიზანტიურ ხანაში (VIII საუკ.) ხალდიის, შემდეგში კი ტრაპიზონის იმპერიის ნაწილს შეადგენდა, თურქები უკანასკნელ დრომდე უწოდებდნენ ჭანიკს, რადგან რაიონი დასახლებული იყო აქ იმთავითვე მობინადრე ხალდურ-ჭანური ტომით. რაიონის ეს სახელწოდება გააუქმეს თურქებმა, იმ მოსაზრებით, რომ თვალში აღარავის სცემოდა მისი ეთნოგრაფიული შინაარსი; მას ჭანიკის მაგიერ სამსუნი უწოდეს.

პროფ. დ. ზავრიევი წერს: „სიტყვისაგან ზანი ანუ ლაზი წარმოსდგება ვილაიეტის სახელწოდება ჭანიკი (ლაზების ქვეყანა).

---

[1] ლ. სანიკიძე, პონტოს სამეფო, გვ. 11, შენ. 3. სამეცნ. ლიტერატურაში მიღებული ნომენკლატურის საფუძველზე, სანიკიძე ამისოსსა და სინოპეს ბერძნულ ქალაქებს უწოდებს.

ვილაიეტის ეს სახელწოდება ქემალისტების დროს შეცვლილ იქნა სამსუნით (ვილაიეტის მთავარი ქალაქის სახელით)“[1].

ალ. ხახანაშვილის გამოკვლევით, ჭანიკი აღწევს მდ. ჰალისზე მდებარე ქალაქ ბაფრამდე[2].

თურქეთის აღმოსავლეთი რაიონების ისტორიის ერთი უახლესი გამოკვლევის ავტორი, ხსენებული პროფ. ზავრიევი, მოხაზავს რა, მისი სიტყვით, თურქეთის მიერ მიტაცებული ქართული სამყაროს საზღვრებს, წერს: „ამ ტერიტორიას ბევრი მოგზაური ლაზისტანს უწოდებს და თურქეთის ეხლანდელი ადმინისტრაციული დაყოფით მოიცავს მთლიანად: ჭოროხის, რიზეს, ტრაპიზონის, გირესუნის, ორდუს, სამსუნის (ჭანიკის), გიუმიშხანეს ვილაიეტებსა და აგრეთვე სხვა ვილაიეტების ზოგიერთ კაზებს (მაზრებს)“[3].

აკად. ნ. მარის მიერ შემონახული ერთი ცნობის თანახმად, კონსტანტინოპოლში ლაზებს უწოდებენ შავი ზღვის სანაპიროს მთელ მოსახლეობას, თვით ამისოსისა და სინოპეს მოსახლეობის ჩათვლით[4].

რათა სინოპესა და ამისოსის მოსახლეობის სურათი ნათელი გახდეს, ერთხელ კიდევ დავუბრუნდეთ ქართველი ტომების მდ. ჰალისის დასავლეთით მოსახლეობის საკითხს.

მდ. ჰალისის დასავლეთით ქართველ ტომთა მოსახლეობის შესახებ ძვირფას ცნობას გვაწვდის სტრაბონი.

როდესაც სტრაბონი იძლევა კაპადოკიის აღწერილობას და აღნიშნავს, რომ იქაური მოსახლეობა ერთ ენაზე მოლაპარაკეა, იგი იქვე მიუთითებს ამ მხარის გეოგრაფიულ საზღვრებს,—უკეთ რომ ვთქვათ, ამ ერთ ენაზე მოლაპარაკე მოსახლეობის გავრცელების საზღვრებს,—პონტოსთან ჰალისის შესართავამდე, და ჰალისის დასავლეთით კი, ეს კაპადოკიელები ისაზღვრებიან „...პაფლაგონიელთა ტომით და გალატელთა ტომით, რომელიც ფრიგიაში მოსახლეობს ლიკაონელებამდე და იმ კილიკიელებამდე, რომელნიც კლდოვან კილიკიაში ცხოვრობენ“[5].

მაშასადამე, კაპადოკიური მოსახლეობა, ერთ ენაზე მოსაუბრე როა, ჰალისის დასავლეთით მოსახლე ტომებს ემეზობლება.

---

[1] Д. С. Завриев, К новейшей истории восточных вилайетов Турции, 1947, გვ. 166, 177.

[2] А. С. Хаханов, Древнейшие пределы расселения Грузин по Малой Азии, Тифлис, 1903, გვ. 14.

[3] იქვე, გვ. 165.

[4] С. Джанашия, Лазистан, გვ. 25—36.

[5] XII, 1, 1; თ. ყაუხჩიშვილის გამოცემა, გვ. 199.

როგორც ცნობილია, მესხები (მეშეხები, მუსკები) ძვ. წ. XII საუკუნეში ცხოვრობდნენ იმ ტერიტორიაზე, რომელიც შემდეგში გალატიად და ფრიგიად არის წოდებული[1], ე. ი. მესხები მდ. ჰალისის დასავლეთით დიდ მანძილზე იყვნენ გავრცელებულნი.

ამასთანავე აქ ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ სტრაბონი გადმოგვცემს არა საერთოდ კაპადოკიისა და კაპადოკიელებად წოდებული ხალხის გეოგრაფიულ საზღვრებს, არამედ, მხოლოდ იმათი, ვინც, მისივე თქმით, ყველაზე უფრო ერთიან მასას წარმოადგენენ იმ ენის მიხედვით, რომელზედაც ისინი ყველანი მეტყველებენ. აღნიშნული გეოგრაფიული საზღვრებით ამ ერთ ენაზე მეტყველი ხალხის საზღვრებია მოხაზული... მაგრამ, თუკი სტრაბონის დროს ერთიანი კაპადოკიური ეთნიკური სამყაროს საზღვარი ჩრდილო-დასავლეთით მდ. ჰალისის შესართავი იყო, ხოლო მდინარის შუა დინებაზე კი ეს საზღვარი მის დასავლეთით გადიოდა, ძნელი არ უნდა იყოს იმის ვარაუდი, რომ უფრო ადრეულ ხანაში ამ ხალხის დასავლეთით გავრცელების არე უფრო შორეულ რაიონებს მოიცავდა, ალბათ სინოპეს ჩათვლით.

აქ უნდა გავიხსენოთ, რომ სტრაბონის დროინდელი მწერალი მენიპე კაპადოკიელთა და პაფლაგონელთა საზღვარს ჰალისის გაცილებით დასავლეთით, სინოპეს მახლობლად სდებს, როგორც ამაზე ზემოთ იყო მითითებული[2].

ვინ შეადგენდა კაპადოკიის ამ ერთ ენაზე მოლაპარაკე მოსახლეობის მასას? ესენი არიან, ვისაც: ა) ასურული წყაროები იცნობენ აქ ძვ. წ. XII საუკუნიდან მუშქ-მესხების, ტაბალებისა და ხალიტუ-ხალიბების სახით; ბ) კლასიკური ხანის მრავალი ცნობა იხსენიებს მოსხების, ტიბარენების, ხალდ-ხალიბების, მაკრონების, მოსინიკების სახელით; გ) ეს ისინი არიან, ვინც VI საუკუნეში ბიზანტიელებისათვის ცნობილი არიან ჭანების სახელით და რომლებიც ისეთი ძლიერი არიან, რომ, პროკოპი

---

[1] ВДИ, 1947, № 1, გვ. 266.

[2] სტრაბონის მიერ საგანგებოდ აღნიშვნა, რომ ის შემოხაზავს იმ კაპადოკიელთა გეოგრაფიულ საზღვრებს, რომელნიც გამოირჩევიან ერთ ენაზე მეტყველებით, საფიქრებელია იმით იყო ნაკარნახევი, რომ კაპადოკიის საზღვარი საერთოდ უფრო ვრცელი იყო და, კერძოდ, ჩრდილოეთ სექტორში მდ. ჰალისის დასავლეთით მიემართებოდა, როგორც ამას მენიპეც მოწმობს. მით უმეტეს, რომ თვით სტრაბონი თავისი შრომის სხვა ადგილას გადმოგვცემს კაპადოკიის ტერიტორიის საერთო სივრცეს. იხ. XII, 2, 10.

კესარიელის მოწმობით, არც უწინ და არც მის დროს არავის არ ემორჩილებოდნენ და სრულიად თვითთავადნი იყვნენ; დ) ეს ისინი არიან, რომლებმაც თავისი მასიური მოსახლეობის გამო, VIII საუკუნეში ბიზანტიის სახელმწიფოს ერთ-ერთ სამხედრო-ადმინისტრაციულ რაიონს (ოლქს) თავისი სახელი „ხალდიის თემა“ მისცეს; ე) ეს ისინი არიან, ვინც ტრაპიზონის იმპერიის ძირითად მოსახლეობას შეადგენდნენ, რომელთა ხელითაც შეიქმნა ეს პოლიტიკური ორგანიზმი და რომელნიც წარმართავდნენ მის სახელმწიფოებრივსა და საზოგადოებრივ ცხოვრებას; ვ) ეს ისინი არიან, ვინც შეადგენდა ძირითად მოსახლეობას ტრაპიზონის ვილაიეტისა უკანასკნელ ხანამდე.

სტრაბონის ეს ცნობა, ერთი მხრივ, გვიმოწმებს, რომ ქართველი ტომები ჰალისის დასავლეთით ცხოვრობდნენ და, მეორე მხრივ, გვიდასტურებს, რომ კაპადოკიის ერთ ენაზე მოლაპარაკე მოსახლეობის ძირითადი მასა ქართველი ტომებისაგან შესდგებოდა.

რავლინსონის აზრით, ასურეთის აყვავების ხანაში მეშეხები წარმოადგენდნენ „გაბატონებულ ხალხს (principal people) ჩრდილოეთ სირიაში, ტავრსა და კაპადოკიაში“ [1].

სავსებით მართალია ედ. მაიერი, რომელიც ფიქრობს, რომ ბერძნული წყაროების ტიბარენებს შემდგომში ეწოდათ კაპადოკიელები და კატაონები [2]. მასვე მესხები და ტიბარენები მიაჩნია ამ რაიონის ძირითად მოსახლეობად („als Hauptvölker“) [3].

მისივე სიტყვით: „ტაბალები არიან მცხოვრებნი მთელი შიდა კაპადოკიისა“ [4].

ხოლო რავლინსონის აზრით: „...мосхи составляли substratum населения в классическую эпоху“ [5].

ქართველი ტომების მდ. ჰალისის დასავლეთით მოსახლეობის საკითხზე თავისი სიტყვა აქვს ნათქვამი ცნობილ ქართველ მკვლევარს ალექსანდრე ხახანაშვილს.

იგი წერს: „მეშეხი და ტუბალი ბიბლიურ ეპოქაში ცხოვრობენ (იხ. რუკები Sprunner-ისა, კიპერტისა, ლენორმანისა და

---

[1] მომყავს წიგნიდან А. С. Хаханов, Древнейшие пределы расселения грузин по Малой Азии, 1903, Тифлис, გვ. 2, შენ. 3.

[2] Ed. Meyer, Geschichte d. Alterthums, გვ. 298.

[3] Ed. Meyer, Gesch. d. Königr. Pontos, გვ. 13.

[4] იქვე.

[5] ლაპარაკია კაპადოკიის მოსახლეობაზე. მომყავს ა. ხახანაშვილის დასახელებული წიგნიდან, გვ. 25, შენ. 122.

სხვებ.) შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროს გასწვრივ მიდამოზე, ვრცელდებოდნენ რა მდ. ჰალისის დასავლეთით"[1].

მეორე ადგილას კი ნათქვამი აქვს: „მიდოქალდეურ ეპოქაში ნაბუქოდონოსორის (604—561) დროს ტიბარენები, ე. ი. მოსეს მიერ მოხსენებული ტუბალი, და მოსინიკები, ქართველურად ცნობილ სხვა ხალხებთან ერთად, ცხოვრობენ, იმავე მიდამოზე, რომელზედაც VI საუკუნემდე ცხოვრობდნენ, ოღონდ ისინი უკვე შევიწროვებიათ და მათ აღმოსავლეთით დაუხევიათ მდ. ჰალისისაკენ"[2].

მაშასადამე, ქართველი ტომები, მდ. ჰალისის დასავლეთის მიდამოზე შევიწროვებულნი, თანდათან აღმოსავლეთით, მდ. ჰალისისკენ იხევდნენ.

ალ. ხახანაშვილს დადგენილი აქვს, რომ ჭანეთი დღესაც კი ჰალისამდე აღწევს, იგი წერს: „...Тзаника простирается до гор. Бафра при устье р. Кизил-Ирмак или Галиса древних географов"[3]. ხოლო ცოტა ზევით კი ეწერა: „...и Джаника—земля тзанов—также оттеснялась к Лазике"[4].

მაშასადამე, ჭანეთი, რომელიც XIX საუკუნეში ჰალისის აღმოსავლეთ სანაპიროს შეიცავს, ძველად დასავლეთით ვრცელდებოდა და მდ. ჰალისი მის შიდა ნაწილში იყო მოქცეული. ამას, სხვათა შორის, თვით მდინარის სახელიც ამჟღავნებს, როგორც დღეს აღიარებულია და ძველი წყაროებიც (ჰომეროსი, სტრაბონი) ხომ ამ ხალხს ჰალიძონებად—ჰალისის ჭანებად იცნობდნენ. მათთვის ასეთი სახელწოდება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება გაჩენილიყო, თუ ჭანები მდინარის ორივე მხარეზე ცხოვრობდნენ... სხვა რომ არა იყოს რა, მდინარის დასავლეთ ნაპირზე რომ სხვა ეთნიკური სამყაროსადმი კუთვნილ ხალხს ეცხოვრა, ხომ შეეძლოთ მათაც თავის მხრივ საკუთარი სახელი ეწოდებინათ მდინარისათვის. მაგრამ ასეთი რამ ისტორიამ არ იცის. მდ. ჰალისის სახელი მხოლოდ ხალიბურ-ჭანურ ეთნიკურ სამყაროსთან არის დაკავშირებული[5]. ეს სამყარო თავის დროზე მოიცავდა არა მხოლოდ ქ. ამისოსს (ეხლ. სამსუნი), არამედ ჰალისის დასავლეთით სინოპსაც.

ნ. მარის აზრით, ჭანებითა და მეგრელებით იყო დასახლებული „все Черноморское побережье от Синопа с Halys?-ом до

[1] А. С. Хаханов. Древнейшие пределы расселения грузин по Малой Азии, Тифлис, 1903, გვ. 2.

[2] იქვე, გვ. 2.

[3] იქვე, გვ. 10

[4] იქვე, გვ. 14.

[5] ВДИ, 1947, № 4, გვ. 237, შენ. 6; 1952, 2; გვ. 270, შენ. 2.

Анапы и Пантикапеи. Ныне береговое распространение чанов-мегрелов сокращено: на южном берегу они отброшены на восток от Синопа вплоть до Кемера, далее Атины, на восточном берегу на юг от Пантикапеи и Анапы до р. Джамеш, между Сухумом и Очемчиром“ [1].

ამგვარად, ცხადი ხდება, რომ კაპადოკიის ძირითადი მცხოვრებნი ქართველი ტომები იყვნენ და მათი მოსახლეობა უძველესი დროიდანვე მდ. ჰალისის დასავლეთით შორს ვრცელდებოდა.

რომ ქალაქების სინოპესა და ამისოსის მკვიდრი მოსახლეობა ძველ ქართულ ეთნიკურ სამყაროს ეკუთვნოდა, ამას ადასტურებს აქაური ტოპონიმიკაც.

მეცნიერების მიერ გამორკვეულია, რომ ქალაქების სინოპესა და ტრაპიზონის სახელები ქართული სამყაროდან მომდინარეობს.

სინოპეს ეტიმოლოგიის საკითხს ორჯერ შეეხო ივ. ჯავახიშვილი და საბოლოოდ გაარკვია, რომ სინოპე ორი სიტყვისაგან შედგება: სინ და ოპე, რომელთაგან პირველი ნიშნავს წყალს, მეორე წყალს, ნაპირს, ხოლო „მთლიანად ორივე ნაწილი თავდაპირველად წყლის-პირის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო“ [2].

უფრო ადრე, რუსულად დაწერილ თავის გამოკვლევაში— Основные историко-этнографические проблемы ист. Грузии, Кавказа и Ближнего Востока древнейшей эпохи—წერდა სინოპეზე, რომ „...это имя состоит из син и опэ... Синопэ представляет собою туземное наименование и должно быть первоначально обозначать „берег“ или „устье реки“ [3].

მ. მაქსიმოვა შენიშნავს, რომ „...предполагаемое И. А. Джавахишвили толкование слова „синопа“ (ივ. ჯავახიშვილს სინოპეზე აქვს მსჯელობა და არა სინოპაზე—გ. გ.), как „устье реки“, не согласуется с географическими данными, так как в Синопе и ее окрестностях сколько-нибудь значительных рек не имеется“ [4].

ჯერ ერთი, სახელწოდების წარმოსაქმნელად საჭირო და სავალდებულო არ არის მოზრდილი მდინარე, ამისათვის სრულიად

---

[1] Н. Марр, Термин скиф; Яфетический сборник, 1. Петербург, 1922, გვ. 105.

[2] ქართველი ერის ისტორიის შესავალი, წიგნი პირველი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული პრობლემები, 1950, გვ. 111.

[3] ВДИ. 1939, № 4, გვ. 43—44.

[4] М. Максимова, ხს. შრ., გვ. 41, შენ. 1.

პატარა წყალიც საკმარისია. მეორეც, სინ ნიშნავს არა მხოლოდ მდინარეს, არამედ წყალს, ზღვას.

ჯავახიშვილი წერს, რომ: „სინ... ან ხევის, ან მდინარის, ან წყლის, ან ზღვის სახელად არის საგულისხმებელი[1].

მაშასადამე, სინოპე უფრო უნდა ნიშნავდეს წყლის, ზუსტად კი—ზღვის სანაპიროს, ზღვის უპე უდრის ძლევანდელ ქართულ ზღვის უბეს.

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონით უბე ნიშნავს სიღრმეს.

როგორც ცნობილია, ქ. სინოპეს მდებარეობის ადგილას ზღვა სამი კილომეტრის სიღრმეშია შეჭრილი ხმელეთზე[2].

ბუნებრივია, რომ სწორედ ასეთი ადგილის მიმართ აღმოცენებულიყო ხსენებული სახელწოდება: წყლის ანუ ზღვის უპე, უბე, სიღრმე. სტრაბონი იხსენიებს სინოპეს უბეს[3].

მართალია, თავის ადრინდელ ნაშრომში ივ. ჯავახიშვილი სინოპეზე წერდა, რომ ეს სიტყვა „...об'яснимо только при посредстве адыгейских и лезгинских языков"[4].

მაგრამ უკვე 1950 წ. გამოქვეყნებულ, ზემოთ დასახელებულ შრომაში გარკვეული აქვს, რომ სინ—წყლის მნიშვნელობით ფართოდ ყოფილა გავრცელებული ჩრდ. კავკასიის ენებსა და ქართულშიც (იხ. გვ. 110—111).

ხოლო ქართულში ცნობილია თვალის უპე.

მაშასადამე, სიტყვა სინოპეს ორივე ნაწილს ქართულ სამყაროში აქვს ბინა.

რომ სინოპე ადგილობრივი წარმოშობისაა და ეს ქალაქი დასახლებული იყო ბერძნების მოსვლამდე ადგილობრივი ელემენტით, ამაში არავითარი ეჭვის შეტანა აღარ შეიძლება, რაზედაც უკვე იყო ლაპარაკი.

ქ. სინოპე, შავი ზღვის სანაპიროზე ბერძენთა კოლონიზაციის დაწყებამდე, ქართული სამყაროს მნიშვნელოვან პუნქტს წარმოადგენდა, რომელმაც, საფიქრებელია, პირველ ყოვლისა თავისი რკინის ინდუსტრიით გაითქვა მაშინდელ მსოფლიოში სახელი.

აქ მოსულმა ბერძნებმა მისი სახელწოდების შეცვლაც კი ვერ მოახერხეს... იქნება არც კი უცდიათ.

[1] ქართველი ერის ისტორიის შესავალი, წ. I, გვ. 111.
[2] იხ. Максимова, ხსენ. შრ., გვ. 32.
[3] თ. ყაუხჩიშვილის გამ., გვ. 219.
[4] ВДИ, 1939, № 4, გვ. 43—44.

ასევე როგორც ვერ მოახერხეს ფაზისის, ბიჭვინთისა და სხვათა სახელების შეცვლა...[1]

ბერძნების მიერ შავი ზღვის სანაპიროების კოლონიზაციის ისტორიაში ერთი საყურადღებო მომენტი შეინიშნება: სამხრეთ სანაპიროს პუნქტთა სახელები არაბერძნულია, ადგილობრივია, ჩრდილოეთ სანაპიროსი კი, ბერძნულია და მხოლოდ ზოგიერთ მათგანზეა გადასული ადგილობრივი სახელი, და ისიც ისეთებზე, რომლებიც „...возникли вблизи, или на месте уже ранее существовавших туземных пунктов“[2].

თუ შავი ზღვის სანაპიროს ჩრდილოეთ პუნქტებში, ჩვეულებრივ, ბერძნული სახელებია. შემონახული და ადგილობრივ სახელს მხოლოდ რამდენიმე პუნქტი ატარებს, სამხრეთ სანაპიროზე, პირიქით, ყველა ცნობილი პუნქტი ადგილობრივი სახელწოდებით აღინიშნება.

ეს გარემოება იმაზე მიუთითებს, რომ ბერძენი კოლონისტების აქ მოსვლის დროს, ეს პუნქტები საკმაოდ მნიშვნელოვანი და სახელმოხვეჭილი იყო, აქ ბერძენი კოლონისტების სამყოფელად ამ პუნქტის მხოლოდ ნაწილად გადაქცევის საკითხი იდგა და არა ბერძენთა მიერ ახალი პუნქტის დაარსების საკითხი. სახელებიც ამიტომ ამ პუნქტებს ძველი, ადგილობრივი შერჩა.

ასევე მოიქცნენ თურქები, კერძოდ, სინოპეს მიმართ. შეიძლება ითქვას, რომ ეგების თურქებმა მისი ნამდვილი ძველი ქარ-

---

[1] თუ მართალია ბლაუს მოსაზრება, რომ ქალაქის სახელი სინოპე უკავშირდება ძველი საბეური რელიგიის ღვთაება სინ-ის სახელს, რომელიც მთვარის ღვთაება (Mondgott) იყო (იხ. შტროიბერის წიგნში Sinope, გვ. 30), შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ბერძნულ მითში რეალური ვითარებაა არეკლილი და ღვთაების სახელი სინამდვილიდან არის აღებული. ამასთან დაკავშირებით, საჭიროა აღინიშნოს შემდეგი.

ივ. ჯავახიშვილმა დაადგინა, რომ „ყველგან, სადაც ქართველებს უცხოვრიათ, მთვარის თაყვანისცემის კვალი შერჩენილა; ამის გამო, მთვარის, ვითარცა მთავარ-მეუფისა და ღვთაების თაყვანისცემა, ყველა ქართველი ტომების უძველეს რწმენად უნდა ჩაითვალოს“ (იხ. ქართველი ერის ისტორია, წიგნი პირველი, გვ. 60, თბილისი, 1937, ხაზი ავტორისაა).

იხილავდა რა იმ ფაქტს, რომ მთვარის ღვთაების თაყვანისცემა გავრცელებული იყო ერთის მხრივ ქარანელებსა და, მეორეს მხრივ, ქართველ ტომთა შორის, ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა: „ვინ ვისგან შეითვისა მთვარის თაყვანისცემა, ამ საკითხის გადაწყვეტა ჯერ შეუძლებელია... ამიერიდან ამ საკითხის გადაწყვეტის დროს მეცნიერებას ქართველების მთვარის თაყვანისცემაც უნდა გათვალისწინებული ჰქონდეს“-ო (იქვე, 61).

[2] В. Гайдукевич, Боспорское царство, გვ. 30.

თული სახელწოდება შემოგვინახეს. თურქები ამ ქალაქს სინუ-ბეს უწოდებენ.

მცირე აზიის ტერიტორიაზე დღემდეა შემონახული ტოპონიმიკური მასალა, რომელიც მხოლოდ ქართულის საშუალებით ჰპოვებს ახსნას და რომელიც ჯეროვან გამოკვლევას საჭიროებს.

დღეისთვის ამ მიმართულებით ძალიან ცოტაა გაკეთებული, მაგრამ ეს ცოტაც თავისი მნიშვნელობით მეტად საგულისხმოა.

პროფ. აკ. შანიძემ მცირე აზიის ერთი პუნქტის შესახებ ფრიად საინტერესო გამოკვლევა გამოაქვეყნა. მან ცხადჰყო, რომ ხეთური დამწერლობის „ტოპადა" ქართულიდან მომდინარეობს.

იგი წერს: „...занская (т. е. мегрело-чанская) ტობა ṭoba и есть та самая разновидность, которая лежит в основе первой части названия хеттского озера, а затем и селения Топада"[1].

შემდეგ კი პირდაპირ ამბობს, რომ „...малоазийское селение Топада (Topaďa)... сохранило нам синтаксическую особенность, характеризующую картвельские языки на более ранней стадии развития"[2].

ეს მაგალითიც, სინოპესთან ერთად, იმის მკვეთრი მაჩვენებელია, რომ ქართული ტოპონიმიკა მცირე აზიაში უძველესი დროისაა და იგი ნაკლებ განიცდიდა ცვლილებას.

ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა ტრაპიზონი, რომელიც ერთ-ერთი უძველესი ქალაქია. იგი ძველი წ. 756 წ. დაარსებულად ითვლება.

ქალ. ტრაპიზონში ჯერ ისევ ძვ. წ. IV საუკ. საკუთარი მონეტა იჭრებოდა[3].

ამ ქალაქისა და მისი შორეული რაიონების მოსახლეობა იმთავითვე ჭანებისა და ლაზებისაგან შესდგებოდა, რაც მთელ ისტორიულ მანძილზე პირველწყაროთა უამრავი ცნობით დასტურდება.

ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ქალაქის სახელწოდება დაკავშირებული უნდა იყოს ზანების-ჭანების სახელთან, როგორც ამას გულისხმობდა ალექსანდრე სვანიძე[4].

---

[1] А. Шанидзе, К этимологии названия „Топада". Известия института языка, истории и материальной культуры им акад. Н. Я. Марра (1937), გვ. 83.

[2] იქვე, 86.

[3] М. Максимова, Античные города..., გვ. 74.

[4] А. Сванидзе, Материалы по истории алародийских племен, გვ. 125.

როგორც ცნობილია, ქ. ტრაპიზონის სახელწოდების აღმოცენება ბერძნული სიტყვიდან Τραπέζα არ ითვლება დამაჯერებლად [1].

ქალაქის სახელწოდების გარკვევასთან დაკავშირებით, საყურადღებოა აღინიშნოს, რომ ლაზეთში არსებობს აგრეთვე „ძველი ტრაპიზონიც", რომლის სახელწოდებაც თურქულად არის შემონახული „ესკი ტრაპიზონი".

ნ. მარის ცნობით, მდ. ათინასა და ფორტუნას შორის მდებარეობს „Эски-Трапезон, т. е. Старый Трапезунд" [2].

იოსებ ყიფშიძის უფრო ზუსტი ცნობით, ესკი ტრაპეზონი ყოფილა ქ. ათენიდან ხუთი კილომეტრით დაშორებული [3].

გერმანელი მოგზაური Koch-იც, რომელმაც XIX საუკუნის პირველ მესამედში პონტოს სანაპირო ოლქებში იმოგზაურა, ადასტურებს, რომ არსებობს „ძველი ტარაპოზანი", „ესკი ტრებიზონი" [4].

კოხს უცდია ამ სახელწოდების ახსნა, მაგრამ ვერაფერს გამხდარა [5].

როგორც ვთქვით, ესკი ტრაპეზონი თურქული სახელწოდებაა. მაგრამ ამ ადგილისათვის ლაზებსაც თავისი სახელწოდება ჰქონიათ შემონახული.

ნ. მარი გადმოგვცემს: „... Этот старый Трапезунд у лазов носит свое особое название, именно, смотря по говору, კუწუმი или კუწუბი или კუწუმბრი".

ამასთანავე, ლაზებს ამავე დროს დღევანდელი ტრაპეზონისათვის სხვა სახელი ჰქონიათ: „Кстати,—განაგრძობს მარი,— и для настоящего Трапезунда у лазов существует особое название Трамтра (ტრამტრა) или Тамтра (ტამტრა)" [6].

„კუწუბი", „კუწუმბრი"-სთან დაკავშირებით ზედმეტი არ იქნება აღინიშნოს, რომ ქიზიყში კუწუბს უწოდებენ სწორ ზედაპირზე ამოზიდულ (ამოზრდილ) ბორცვს. აქედან არის ხმარებული „კუწუბიანი ნაქსოვი" (ქსოვილი), როდესაც სწორი ქსოვილის ზედაპირზე ნაკვანძები აქვს გაკეთებული ალაგ-ალაგ.

---

[1] М. Максимова, Античные города юго-восточн. Причерноморья, გვ. 71, შენ. 4, М.—Л., 1956, Линч-Армения, т. I, გვ. 18.

[2] Н. Марр, Из поездки в Турецкий Лазистан, გვ. 610.

[3] ი. ყიფშიძე, საანგარიშო მოხსენება ჭანეთში სამეცნიერო მივლინებისა 1917 წ. ზაფხულს, ენიმკის მოამბე, ტ. I, გვ 147.

[4] Reise im pontischen Gebirge, 1846, გვ. 123.

[5] იქვე, გვ. 123, 124.

[6] ნ. მარი, დასახ. ნაშრ., გვ. 610—611.

ტრაპიზონის მიდამოების რელიეფის გამო უნდა ეწოდებინათ მისთვის ეს სახელი.

ქალაქის მდებარეობას ინგლისის ელჩი პალგრევი (პალჰერი) ასე აგვიწერს: „Старый город очень пал, он построен на скале, между двумя глубокими ущельями и подымается высоко и круто над морем“ (გვ. 20).

XVII საუკუნის ცნობილ თურქ მოგზაურს ევლია ჩელების ქ. ტრაპიზონის სახელწოდების რამდენიმე ვარიანტი აქვს შემონახული და თითქმის ყველა ისინი ასე თუ ისე საქართველოსთან და ქართულ ელემენტთან კავშირს ამჟღავნებენ.

ამათგან განსაკუთრებით საინტერესოა, რომ ევლია ჩელების ცნობით, ერთი ვარიანტის თანახმად, ტრაპიზონის „ერთი სახელიც ქალაქ ქვემო ბათუმი არის“, მეორე ვარიანტით კი, „ერთი სახელიც ლაზიკის ქალაქი არის“ [1].

ეს ორივე სახელწოდება, საფიქრებელია, გვიან უნდა იყოს წარმოშობილი, ტრაპიზონის ერთგვარ ყოფაცხოვრებით ეპითეტს უნდა წარმოადგენდეს და ქალაქის პირვანდელ სახელწოდებასთან საერთო არაფერი უნდა ჰქონდეს.

მაგრამ ეს სახელწოდებები აშკარად მიუთითებენ ტრაპიზონის ქართულ სამყაროსადმი კუთვნილებაზე.

განსაკუთრებით საინტერესოა, რომ ტრაპიზონი ლაზიკის ქალაქად იწოდება.

თუ რამდენად ცოცხალი იყო XVII საუკუნის განთიადზე იმის ხსოვნა, რომ ტრაპიზონი და მისი ოლქი ქართველ ტომთა სამშობლო იყო, ამას მჭევრმეტყველურად ღაღადებს შემდეგი.

ევლია ჩელების თავის მოგზაურობის აღწერილობათა ის პარაგრაფი, სადაც ლაზეთში მოგზაურობაზე მოგვითხრობს, დასათაურებული აქვს ასე: „აღწერა დიდი ქალაქისა და კეთილნაშენი ციხისა ლაზიკის ძველი ვილაიეთისა, ე. ი. ქალაქისა ტრაპიზონისა“ (ტ. II).

ხოლო ჩელების მიერ ლაზისაგან ჩაწერილ ერთ ბაიათში ნათქვამია: „ტრაპეზონია ჩვენი მიწაწყალი“ [2].

ეს ლექსი უთუოდ ადრეა შექმნილი, მაგრამ მაინც საინტერესოა, რომ XVII საუკ. ლაზებს თავიანთ სამშობლოდ ტრაპიზონი მიაჩნიათ.

---

[1] ტ. II, გვ. 82, ს. ჯიქია, ევლია ჩელები ლაზებისა და ლაზურის შესახებ, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. VI, 1954, გვ. 246.

[2] ტ. II, გვ. 92. ს. ჯიქია, დას. შრ., გვ. 250.

ს. ჯიქიას აღნიშნული აქვს, რომ ევლია ჩელების მოხსენებული აქვს აგრეთვე ქალაქის ხალხურ-მდაბიური სახელი „ტარაბუზან“, რაც მას მიაჩნია ტრაპიზონის სახელის ჭანურ ფორმად[1].

ყურადღებას იპყრობს, რომ არსებობს რამდენიმე გეოგრაფიული პუნქტი, რომლებიც ალ. სვანიძეს მიაჩნია: „...связанные с Занами“. ესენი არიან: Iarbasan, Iarapasan, Themisonium, Taraposan[2].

ყველა ეს სახელწოდებანი სვანიძეს მიაჩნია ჰალიძონებისა და ზანების ეთნიკური სახელიდან მომდინარედ.

იგი წერს: „Кто такие Гализоны, участвовавшие в Троянской войне согласно сообщения Гомера на стороне Троянцев. Вероятно те же Зани из областей реки Гала (Галиса). Название Гали мингрельское и обозначает по мингрельски реку. Нам кажется, что не только Гализоны, но и географическое название вроде Ярабазан, Тарабазан и др. также включают племенные названия мингрельцев“[3].

გრ. ღაფანციანი თავის ცნობილ შრომაში: „Хайаса—колыбель армян“ ერთ ადგილას იხილავს ზოგიერთ ხურიტულ სიტყვასა და სახელს მცენარეთა სამყაროდან, რომლებიც უხვად არის შემორჩენილი სომხურში[4].

იგი წერს: „особенно интересны некоторые имена хурритских божеств растительного олицетворения с суф. ḫi или uḫḫi как, наприм. Tarpantuḫi, приводимые в богазкейских клинописных документах (მითითებულია см. в статье И. Фридриха, напеч. в Analecta Orientalia, № 12, Рим, 1936, стр. 127). Остановимся на Tarpantuḫi, которое я считаю обожествлением растительного мира“[5]. შემდეგ განაგრძობს: „Первое имя (Tarpantuḫi) с суф. uḫi, или uḫe следует сближать с малоазийским и субарским tarpant, заимствованными, по моему, греками в форме terebinthos, (ср. подобные же заимствования малоазийских labyrinthos, Karynthos и пр.), т. е. с именем известного хвойного дерева,

---

[1] ტ. II, გვ. 92. ს. ჯიქია, დას. შრ., გვ. 247.

[2] А. Сванидзе, Материалы по истории алародийских племен, გვ. 125.

[3] А. Сванидзе, დასახ. შრ., გვ. 27.

[4] Гр. Капанцян, Историко-лингвистические работы. К начальной истории армян. Древняя Малая Азия, Ереван, 1956, გვ. 231.

[5] იქვე, გვ. 232.

из подрезов которого выходит жидкость терпентин, отсюда терпентинное масло—скипидар“ [1].

აღნიშნული გარემოება ძვირფას მასალას იძლევა ქ. ტრაპიზონის სახელის ასახსნელად.

მოტანილი ცნობა უდავოდ ხდის ტრაპიზონის სახელწოდების პირველი ნაწილის იგივეობას Tarapant-თან და შეიძლება, აღნიშნავდეს სათანადო მცენარეს, რომლისაგანაც ზეითუნის ზეთი მზადდება და რომელიც ტრაპიზონის მიდამოებში იზრდებოდა, ან რაც უფრო საფიქრებელია, აღნიშნავდეს ღვთაების სახელს.

ორივე შემთხვევაში ქალაქის სახელწოდება ტრაპიზონის (ძველი გამოთქმით ტარაპაზონი) ეტიმოლოგია იქნებოდა: ზანთა ტარაპისა, ან ზანური ტარაპისა, რაც მცენარის მიმართ და ღვთაების მიმართ ერთნაირად შეიძლება ყოფილიყო გამოთქმული. საკვლევია, რომელი მათგანი იგულისხმება.

ტრაპიზონი ქართულ სამყაროსთან მჭიდროდ დაკავშირებული მოჩანს IX—X საუკუნეებში.

საეკლესიო ეპარქიების შესახებ ცნობების შემცველ, ე. წ. ეკთეზისებში, დაცულია ცნობა იმის შესახებ, რომ IX—X საუკუნეებში ტრაპიზონი ცნობილი იყო როგორც ლაზიკის ქალაქი.

ერთ-ერთ ასეთ წყაროში (ნოტაცია $X^6$), რომელიც პროფ. ს. ყაუხჩიშვილის გამოკვლევით, შედგენილია ლეონ VI-ის დროს, სახელდობრ 901—907 წლებში, სწერია „Τῇ Τραπεζοῦντι τῆς Λαζικῆς“ [2].

ამავე რედაქციიდან მომდინარე უნდა იყოს აგრეთვე ნოტაცია X-ში (რომელიც XV—XVI საუკუნეების ხელნაწერებშია შემონახული, იხ. იქვე, გვ. 144) დაცული ანალოგიურივე გამოთქმა [3].

ამავე წყაროებში დაცული ცნობების მიხედვით, 901—907 წლებიდან ტრაპიზონის ეპისკოპოსი გადაიქცა მთელი ლაზიკის მიტროპოლიტად [4].

ზემოთ განხილული მასალიდან ცხადი უნდა იყოს, რომ ქართველი ტომები ცხოვრობდნენ მდ. ჰალისის დასავლეთით, და არა მხოლოდ ამისოსის, არამედ სინოპეს მათ სამყაროსადმი კუთვნილება

---

[1] Гр. Капанцян, Историко-лингвистические работы. К начальной истории армян. Древняя Малая Азия, Ереван, 1956, გვ. 232.

[2] ს. ყაუხჩიშვილი, Georgica, ტ. IV, ნაკვ. II, გვ. 276.

[3] იქვე, გვ. 146.

[4] იქვე, გვ. 199.

იქვს არ იწვევს; პომპონიუს მელას ცნობა სინოპესა და ამისოსის ხალიბებისათვის მიკუთვნების შესახებ ჭეშმარიტი წყაროდან მომდინარეობს და არ არსებობს არავითარი საფუძველი მის უარსაყოფად[1].

## 4. სირიელებისა (სირებისა) და ლევკოსირიელების საკითხი

რათა სინოპესა და ამისოსის მოსახლეობის საკითხი საბოლოოდ გაირკვეს, რაც შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი სანაპიროს, აგრეთვე კაპადოკიისა და პონტოს სამყაროს მოსახლეობის საკითხის გარკვევასაც შეუწყობს ხელს,— საჭიროა შევეხოთ

---

[1] სამეცნიერო ლიტერატურაში მცირე აზიის ჩვენთვის საინტერესო რაიონებში ქართული ელემენტის დადგენის ერთი შემთხვევა არ გვინდა დაიკარგოს და ამიტომ მოგვყავს „Сборник сведений о Кавказе", т. I-დან ამ ორგანოს 326-ე გვერდზე დაბეჭდილია წერილი სათაურით: „Грузинские племена в Малой Азии".

წერილი ხელმოუწერელია და ასე იწყება: „В статье журнала Atheneum, озаглавленной „Об амазонках в древности", автор ея Гайд Кларк (Hyde Clarke) приводит много грузинских имен, свидетельствующих о распространении в глубокой древности грузинского племени на соседние с Закавказьем страны Малой Азии". მერე „...он пришел к заключению, что много названий в Малой Азии доказывают иверское их происхождение".

ამაძონური ქალაქების სახელები კი ლაზური არისო, ლაზები ხომ ეხლაც ცხოვრობენ ამ მხარეში თვით ტრაპიზონამდეო (იქვე, გვ. 3 6).

კლარკის მიერ იმის შენიშვნა, რომ მცირე აზიაში „იბერიული", ხოლო ამაძონთა ქვეყანაში კი ლაზურია გავრცელებული, ავტორის გონებამახვილობაზე მიუთითებს. მართლაც, მცირე აზიის სხვა რაიონებში მესხურ-იბერული კილოკავი უნდა ყოფილიყო, ხოლო ამაძონების მხარეში კი, ე. ი. მდ. თერმოდონტის აუზში კი—ლაზური, ანუ უფრო ძველად—ხალიბურ-ჭანური.

მერე ვკითხულობთ დასახელებულ სტატიაში: „В статье своей об иверцах в Малой Азии автор признавал некоторые формы за иверские, а теперь он считает их грузинскими" (გვ. 326).

ჟურნალის რედაქცია ამას ურთავს ასეთ შენიშვნას: „Упоминаемая Гайд Кларком прежняя статья его в настоящее время нам недоступна, тем более мы сочли нужным познакомить лиц, интересующихся Кавказом и его народностями, с последним произведением английского ученого, найденного нами в журнале „Ausland", № 51, 1870 г."

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მცირე აზიაში ადგილობრივი ელემენტი ისტორიის მანძილზე არა თუ მხოლოდ ინარჩუნებდა საკუთარ მეობას, არამედ უცხო ელემენტზე ახდენდა დიდ გავლენას, რასაც ზოგჯერ მსოფლიო მნიშვნელობა ჰქონდა. იხ. Ешевский. Центр римского мира и его провинции. Соч., ч. I, М., 1870, გვ. 212—213.

სირიელებისა და ლევკოსირიელების საკითხს, რომელთა მოსახლეობასაც პირველწყაროები ამ პუნქტებში იცნობს.

მიუხედავად იმისა, რომ სირიელებზე საკმაო გამოკვლევები არსებობს, საბოლოო სიტყვა მათი ვინაობის შესახებ ჯერ მაინც ნათქვამი არ არის.

ედ. მაიერის აზრით, ბერძნები კაპადოკიელებს ძველად სირიელებად და თეთრსირიელებად (ლევკოსირიელებად) უწოდებდნენ; და ეს იქიდან მომდინარეობს, რომ როგორც კაპადოკიელები, ისე სირიელებიც ასირიელების ბატონობის ქვეშ იყვნენ [1].

ქალაქების სინოპესა და ამისოსის ისტორიისადმი მიძღვნილ 1956 წელს გამოსულ ერთ ნაშრომში ვკითხულობთ: „არსებობს საკმაოდ მნიშვნელოვანი ლიტერატურა იმ საკითხზე, თუ ვინ იყვნენ ის სირიელები, რომელნიც ცხოვრობდნენ მომავალი სინოპეს ადგილას, რა ურთიერთობაა მათსა და წინა აზიის სირიელებსა და ასირიელებს შორის და რატომ უწოდებდნენ ბერძნები ამ სირიელებს თეთრსირიელებს. ჩვენ არ ვაპირებთ დაწვრილებით შევეხოთ ყველა ამ სადავო საკითხს, რადგან გადამწყვეტი სიტყვა, ალბათ, მომავალ არქეოლოგიურ გათხრებს მიეკუთვნება“-ო [2].

ფრიდრიხ ბილაბელი, რომელიც ვრცლად განიხილავს სირიელებისა და ლევკოსირიელების პრობლემას, უარჰყოფს ედუარდ მაიერის ზემოთ მოტანილ აზრს და იზიარებს შეხედულებას, რომ სირიელები კაპადოკიელები არიან, ე. ი. არა ასირიიდან მოსული, ოღონდ ამ უკანასკნელებში იგი ხედავს ხეთურ ტომს [3].

სტრაბონის ლევკოსირიელებთან დაკავშირებული ცნობის „Вестник древней истории“-ს კომენტარში ვკითხულობთ, რომ ამ სახელწოდებით აღინიშნებოდა აღმოსავლეთ კაპადოკიის მოსახლეობა, და ფრჩხილებში განმარტებულია, რომ ეს მოსახლეობა ხეთების შთამომავალი (потомки хеттов) იყო [4].

როგორც ვხედავთ, მეცნიერთა ერთი წყება ე. წ. სირიელებსა და ასირიელებს, რომლებსაც პირველწყაროები სინოპესა და ამისოსის მოსახლეობის შორის იხსენიებენ,—ასირიულ, მეორე წყება კი—ხეთურ შთამომავლობის ხალხად მიიჩნევს.

მეორეს მხრივ, ჰეროდოტესა და სტრაბონის ცნობებზე დაყრდნობით, მეცნიერთ მიაჩნიათ, რომ ცნებები „სირიელები“,

---

[1] Ed. Meyer, Gesch. d. Königr. Pontos, გვ. 15—16.
[2] М. Максимова, Античные города..., გვ. 40—41.
[3] Fr. Bilabel, Die ionische Kolonisation, 1920, გვ. 34.
[4] ВДИ, 1947, № 4, გვ. 297.

გინდ „ლევკოსირიელები“ და „კაპადოკიელები“ ერთიმეორის გამომხატველია, ერთიმეორეს ჰფარავენ და იდენტური არიან, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თითქოს აღნიშნული წყაროები მთელი იმ ტერიტორიის მოსახლეობას, რომელიც კაპადოკიის სახელით არის ცნობილი, იხსენიებენ ორმაგი სახელით: ხან სირიელები, ხან კი კაპადოკიელები, და რომ ეს ცნებები ეკვივალენტურია, რომ იმით მთელი კაპადოკიის მოსახლეობა აღინიშნება.

აღნიშნული დასკვნები სწორი არ არის და ყალბად გამოტანილია ჰეროდოტესა და სტრაბონის ცნობებიდან.

როგორც ცნობილია, კაპადოკია გეოგრაფიული ცნებაა, რომელიც იმაზე გაცილებით გვიან არის წარმოშობილი, როდესაც ამ ტერიტორიაზე სირიელებიცა და სხვა ტომის ხალხებიც ცხოვრობდნენ; ყველა ისინი მერე მოექცნენ საერთო სახელწოდებაში „კაპადოკიელები“, რაშიც გადმოცემული იყო არა ეთნიკური, არამედ გეოგრაფიული მომენტი.

ცნება „კაპადოკიელები“ გეოგრაფიული შინაარსის ცნებაა და არა ეთნიკური შინაარსის. ამდენად, ერთის მხრივ, „სირიელები და „ლევკოსირიელები“ და, მეორეს მხრივ, „კაპადოკიელები“ არ არის ერთიმეორის შესადარი და მით უმეტეს, არ არის ერთიმეორის დამფარავი ეთნიკური შინაარსის ცნებები; ესენი სხვადასხვა კატეგორიის ცნებებია.

სახელწოდება სირიელები (Σύροι) წინ უსწრებს სახელწოდებას „კაპადოკიელები“ და ძველბერძნულ სამყაროში იგი იხმარებოდა მოსხების, ტაბალ-ტიბარენების, ხალიბებისა და სხვათა პარალელურად, გარკვეული გეოგრაფიული რაიონის მოსახლეობის სათანადო ნაწილის აღსანიშნავად.

შემდეგში სახელწოდება „კაპადოკიელები“, რაც სპარსელებმა შემოიღეს, მოიცავდა ყველა იმ ხალხებს, რომლებიც სპარსელების მიერ კაპადოკიად წოდებულ ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ, და სრულიად ბუნებრივად, ამ სახელწოდების ქვეშ მოექცნენ სირიელებიც, სხვა თავიანთ მეზობლებთან ერთად.

სწორედ ამ გარემოებას უსვამს ხაზს ჰეროდოტე თავის ცნობებში.

ჰეროდოტე ერთ ადგილას ამბობს: „კაპადოკიელები ელინების მიერ სირიელებად იწოდებიან“-ო[1], ე. ი. ვისაც ელინები სირიელებად იცნობენ, ისინი კაპადოკიელებადაც იწოდებიან.

---

[1] 1, 72.

ხოლო მეორე ადგილას კვლავ განმარტების სახით იმეორებს: „ფრიგიელებს ესაზღვრებიან კაპადოკიელები, ჩვენთან სირიელებად წოდებულნი“ [1].

მესამე ადგილას კი, აღნიშნავს რა, რომ სირიელები ისევე იყვნენ შეიარაღებული, როგორც პაფლაგონელები, უმატებს: „ეს სირიელები სპარსელების მიერ კაპადოკიელებად იწოდებიან“[2].

მოტანილი მასალიდან აშკარად გამოსჭვივის ის პერიოდი, როდესაც იმ ეთნიკური ელემენტისათვის, რომელიც ბერძნულ სამყაროში სირიელების სახელით იყო ცნობილი, შემოსულია ახალი, გეოგრაფიული შინაარსის ზოგადი ცნება „კაპადოკიელები“, რაც ჯერ ნაკლებად იყო ცნობილი და ამის გამო, ჰეროდოტეს უხდება განმარტების მიცემა.

მართლაც, როგორც გელცერი აღნიშნავდა, ცნებები კაპადოკია და კაპადოკიელები ჰეროდოტეს დროის ბერძენთათვის სრულიად უცხო იყო და გელცერის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ჯერ ისევ ჰეროდოტეს დროს ეს სახელი მისი თანამემამულეებისათვის იმდენად უცხო იყო, რომ ის იძულებული გახდა მისი განმარტება მიეცა“ [3].

როგორც ჩანს, ჰეროდოტეს მიერ მოწვდილი ცნობებიდან ის დასკვნა ვერ გამოიტანება, რომ „სირიელები“ და „კაპადოკიელები“ იდენტური ეთნიკური შინაარსის და ამასთანავე, ორივე შემთხვევაში, მთელი კაპადოკიის მოსახლეობის აღმნიშვნელი ცნებებია.

მოტანილი ცნობებიდან აშკარაა: ჰეროდოტეს მხოლოდ იმის განმარტება სურდა, რომ ელინური სამყაროსათვის ცნობილი სირიელები, ეხლა ახალი სახელწოდების—„კაპადოკიელების“ ქვეშ არიან მოქცეული.

მართალია, ჰეროდოტე ერთ ადგილას ამბობს, რომ მდ. ჰალისი დის „სირიელებსა და პაფლაგონელებს შორის“ [4] და აქედან, თითქოს, უნდა გამომდინარეობდეს დასკვნა, რომ ჰალისის მარჯვნივ კაპადოკიის მოსახლეობას სირიელები უნდა შეადგენდნენ, მაგრამ ჰეროდოტეს მიერ მოწვდილი შემდგომი მასალა ცხადჰყოფს, რომ აღნიშნული ტერიტორიის მოსახლეობა სირიელებად მხოლოდ ბერძნების მიერ არის წოდებული და ჰალისის მარჯვენა ნაპირის ტე-

[1] V, 49.
[2] VII, 72. ხაზგასმა ჩემია.
[3] იხ. მისი შრომა Kappadocien und seine Bewohner, გვ. 25.
[4] I, 6.

რიტორია ჰეროდოტეს ეგულება კაპადოკიელებით დასახლებული, რომელთაც ბერძნების მიერ შერქმეული აქვთ სირიელების სახელი.

ჰეროდოტე პირდაპირ ამბობს: „კაპადოკიელები ელინთა მიერ სირიელებად იწოდებიანო“[1].

ხოლო მეორე ადგილას უფრო ნიშანდობლივ ამბობს არისტაგორას სიტყვით, რომ ფრიგიელების მოსაზღვრე კაპადოკიელები ჩვენთან სირიელებად იწოდებიანო[2].

აქვე ისიც გავიხსენოთ, რომ, იმავე ჰეროდოტეს თქმით, სპარსელები ამ სირიელებს კაპადოკიელებად უხმობენ[3].

მაშასადამე, ჰალისის აღმოსავლეთით ტერიტორიის მოსახლეობას კაპადოკიელები შეადგენენ და სწორედ ამაზე აქვს ჰეროდოტეს საუბარი, უწოდებს რა მათ, ბერძნულ ყაიდაზე, სირიელებს.

ჰეროდოტემ კარგად იცის, რომ მას საუბარი აქვს კაპადოკიელებზე. ამას იგი განმეორებით გვანიშნებს პირველი წიგნის 72-ე თავში, სადაც კვლავ გვაუწყებს, რომ მდ. ჰალისი ჰმიჯნავს ერთიმეორისაგან პაფლაგონელებსა და სირიულად წოდებულ კაპადოკიელებს (Συρίους Καππαδόκας).

აქ განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი იმ გარემოებას, რომ ჰეროდოტე არ აიგივებს სირიელებსა და კაპადოკიელებს. მას სირიული მოსახლეობა ეგულება კაპადოკიის ტერიტორიის გარკვეულ სექტორში და სირიელთა ეს მოსახლეობა არის მდ. ჰალისის დასავლეთით[4].

ჰეროდოტე ხომ მოგვითხრობს, რომ კრეზმა, მდ. ჰალისის გადალახვის შემდეგ, კაპადოკიაში დაიკავა ძლიერ გამაგრებული პუნქტი პტერია, რომელიც სინოპეს მახლობლად არის[5].

„აქ კრეზმა დაიბანაკა და აოხრებდა სირიელთა მინდვრებს“[6].

აშკარაა, რომ ჰეროდოტე კარგად არჩევს სირიელებისა და კაპადოკიელების ვინაობას, მათს სხვადასხვაობას; მან იცის; რომ ერთია — სირიული მოსახლეობა, რომელიც მის მიერ ზემოთ აღნიშნულ რაიონში მოიპოვება და მეორეა — კაპადოკიელები, უკეთ.

---

[1] 1, 72. *„οἱ δὲ Καππαδόκαι ὑπ' Ἑλλήνων Σύριοι ὀνομάζονται“.*

[2] V, 49.

[3] VII, 72.

[4] ამან გაოცება არ უნდა გამოიწვიოს. ჰეროდოტეს არა ერთი ცნობა მოწმობს, რომ მის დროს გეოგრაფიული ცნება კაპადოკია უფრო ფართო მნიშვნელობით იხმარებოდა და უფრო ვრცელ არეს მოიცავდა.

[5] 1, 76.

[6] იქვე. კრეზის მიერ ჰალისის გადალახვის ფაქტი ჰეროდოტეს შეცდომით უნდა ჰქონდეს დასახელებული.

კაპადოკიის მოსახლეობის ნაწილი, რომლებსაც ბერძნების მიერ შერქმეული აქვთ სირიელების სახელი.

ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღების ღირსია, რომ სირიელებთან დაკავშირებული თავისი მეორე ცნობა, როდესაც ჰეროდოტე ამბობს, რომ ფრიგიელების მეზობლები არიან კაპადოკიელები, რომლებიც ელინებში სირიელებად იწოდებიანო (V, 49)—გარკვეულ ვითარებაზე აქვს დამყარებული და ამას სრულიად ზუსტი ახსნა მოეპოვება. ეს ახსნა დაკავშირებულია სარგონ II-ის მიერ კაპადოკიის ტერიტორიაზე სირიელების მასიურად ჩამოსახლების ფაქტთან, რაზედაც ქვემოთ იქნება საუბარი. ს წ ო რ ე დ კ ა პ ა დ ო კ ი ი ს მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ი ს ა მ ს ი რ ი უ ლ ნ ა წ ი ლ ზ ე ა ჰ ე რ ო დ ო ტ ე ს თ ა ნ ს ა უ ბ ა რ ი.

რომ სირიელების სახით ჰეროდოტეს თავის ცნობებში კაპადოკიის მოსახლეობის მ ხ ო ლ ო დ ნ ა წ ი ლ ზ ე აქვს საუბარი, ამას მისი ის ცნობაც ადასტურებს, სადაც ის გვაუწყებს, რომ „ეს სირიელები სპარსელების მიერ კაპადოკიელებად იწოდებიანო"[1].

ხოლო როდესაც კი ჰეროდოტეს კაპადოკიის მოსახლეობაზე კონკრეტულად აქვს ლაპარაკი, სირიელებს აღარ ახსენებს და ჩამოსთვლის აქაურ ავტოხთონურ ტომებს.

ყურადღება უნდა მიექცეს განსაკუთრებით იმ დეტალს, თუ ჰეროდოტეს მიერ სად არიან ლოკალიზებული სირიელები. ირკვევა, რომ ჰეროდოტე თითქმის არ იხსენიებს სირიელებს ს ა კ უ თ ა რ ი ვ კ ა პ ა დ ო კ ი ი ს ფ ა რ გ ლ ე ბ შ ი, ე. ი. იმ ტერიტორიაზე, რომელსაც მეცნიერება შემდგომში იცნობს კაპადოკიის სახელწოდებით.

სტრაბონიდან კარგად არის ცნობილი კაპადოკიის გეოგრაფიული საზღვრები, საიდანაც ჩანს, რომ კაპადოკიის დასავლეთი საზღვარია მდ. ჰალისი.

ჰეროდოტე კი თავის ცნობებში სირიელებს ყოველთვის, როდესაც კი მათს მასიურ მოსახლეობაზე აქვს ლაპარაკი, მდ. ჰალისის დასავლეთით ათავსებს, გარდა იმ ერთი შემთხვევისა, როდესაც იგი აღნიშნავს, რომ მდ. ჰალისი დის სირიელებსა და პაფლაგონელებს შორის, რაც უკვე განვმარტეთ.

კრეზის კაპადოკიაში ლაშქრობასთან დაკავშირებით ცნობაში ჰეროდოტე გადმოგვცემს, რომ მან, კრეზმა დაიპყრო ქ. სინოპეს მახლობლად მდებარე ციხესიმაგრე პტერია და მოაოხრა სირიელთა სოფლები[2].

[1] VII, 72.
[2] 1, 76.

როგორც ცნობილია, სინოპე ჰალისის კარგა დასავლეთით არის და პტერიაცა და სირიელთა სოფლებიც, კრეზის მიერ აოხრებული, ჰალისის დასავლეთით მდებარეობს.

მეორე ადგილას ჰეროდოტე სირიელთა მოსახლეობის რაიონს ასე განსაზღვრავს: „ფრიგიელებს ესაზღვრებიან კაპადოკიელები, ჩვენთან რომ სირიელებად იწოდებიანო". [1]

ამ ცნობის მიხედვითაც სირიელები მდ. ჰალისის დასავლეთით მოჩანან. მაგრამ ყველაზე უფრო ნათელ მითითებას, თუ ვინ არიან კაპადოკიელებად წოდებული სირიელები, იძლევა ჰეროდოტეს ის ცნობა, რომელშიაც სპარსეთის მოხარკე მესამე ოლქში გაერთიანებულ ხალხთა შორის, პაფლაგონელებსა და მარიანდინების გვერდით, მოიხსენიებიან სირიელები, სხვა კიდევ სამი სახელწოდების ხალხთან ერთად. [2]

ხოლო როდესაც ჰეროდოტე ამ ხალხების შეიარაღებას აღწერს, ამბობს, რომ სირიელებს, სხვა მის მეზობელ ხალხებთან ერთად, კერძოდ მარიანდინებთან ერთად, ისეთივე შეიარაღება ჰქონდათ, როგორც პაფლაგონელებს, და ამასთანავე განმარტავს, რომ „ეს სირიელები სპარსელების მიერ კაპადოკიელებად იწოდებიან". [3]

აქ მკვეთრად არის გამოხატული სირიელების ვინაობა და სირიელებისა და კაპადოკიელების ურთიერთობა.

ამ ცნობაში სრული სიზუსტით არის გადმოცემული, რომ სირიელებად იწოდებიან კაპადოკიის ტერიტორიის მხოლოდ განსაზღვრულ რაიონში მობინადრე სირიული შთამომავლობის ხალხი [4].

ჰეროდოტესთან სირიელები არა თუ არ არიან მთლიანი კაპადოკიის მცხოვრებნი, არამედ მათ კაპადოკიის მოსახლეობასთან არც კი აკავშირებთ არაფერი, გარდა გეოგრაფიული სამყაროდან მომდინარე საერთო ზოგადი სახელწოდებისა, რაც თავისთავად არ გულისხმობს ეთნიკურ მომენტს.

ყველა ზემონათქვამიდან ცხადი ხდება, რომ: ა) კაპადოკიის ტერიტორიაზე მოიპოვება სირიული მოსახლეობა (მდ. ჰალისის დასავლეთით); ბ) კაპადოკიის ტერიტორიაზე მოსახლეობს ხალხი, რომელსაც ელინების მიერ სირიელების სახელი აქვთ შერქმეული;

---

[1] V, 49.

[2] III, 90.

[3] VII, 72.

[4] სირიელები ლოკალიზებული არიან აგრეთვე სინოპეს რაიონში ჰეროდოტეს თანამედროვე მწერლის ქსანთეს ლიდიელის მიერ, რომლის ფრაგმენტიც შემონახულია ნიკოლოზ დამასკელთან (ძვ. წ. პირველი საუკუნე); იხ. ფრაგმ. 48.

და გ) სირიელები—თავისი ეთნიკური შინაარსით—არ შეიძლება მიჩნეულ იქნან მთელი კაპადოკიის მოსახლეობად.

ჰეროდოტეს ცნობებიდან გამომდინარე აღნიშნული დასკვნები ფრიად მნიშვნელოვანია „სირიელების" ეთნიკური პრობლემის გარკვევის საკითხში და სხვა ცნობებთან ერთად, პრობლემის დაკონკრეტების შესაძლებლობას იძლევა.

ეხლა ვნახოთ, როგორ გამოიყურება სირიელებისა და კაპადოკიელების გაიგივების საკითხი სტრაბონთან.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სტრაბონი არავითარ ისეთ მასალას არ გვაწვდის, საიდანაც სირიელებისა და მთელი კაპადოკიის მოსახლეობის იგივეობა რამენაირად მოჩანდეს.

იგი, ერთხელ, ჰეროდოტეზე ამბობს, რომ მის მიერ: „სირიელებად არიან წოდებული კაპადოკიელები".[1]

მისი სიტყვით კი: „ისინი ეხლა იწოდებიან ლევკოსირიელებად, მაშინ, როდესაც ტავრის იქით მცხოვრებნი იწოდებიან სირიელებად".[2]

სხვა ადგილას, მსჯელობს რა სირიელებზე, სტრაბონი აღნიშნავს, რომ მათი ორივე ნაწილი, რომელთაგან ერთი ტავრზე, მეორე კი—პონტოს სანაპიროზე ცხოვრობს, ჯერ კიდევ იწოდებიან ლევკოსირიელებად, ანუ თეთრსირიელებად.[3]

სტრაბონის მონათხრობიდან საინტერესოა ის, რომ იგი სირიელებს — ლევკოსირიელებს მიიჩნევს კაპადოკიის მოსახლეობის მხოლოდ ნაწილად და რომ ისინი ეხლა იწოდებიან კაპადოკიელებად.[4]

საინტერესოა ისიც, რომ სირიელებისათვის, გარდა კაპადოკიელებად წოდებისა, ჰეროდოტეს შემდეგ გაჩენილა სხვა კიდევ ახალი სახელწოდება „ლევკოსირიელები", რასაც ჰეროდოტე არ იცნობს.

მაშასადამე, არც სტრაბონის ცნობები იძლევა საიმისო მასალას, რომ სირიელები მთელი კაპადოკიის მოსახლეობად განვიხილოთ და ცნებების—„სირიელები" და „კაპადოკიელები" — ეკვივალენტობა სინამდვილედ მივიჩნიოთ.

---

[1] XII. 3, 9.

[2] იქვე.

[3] XVI, 1, 2.

[4] XII, 3, 5. ლევკოსირები, „რომელთაც ჩვენ კაპადოკიელებს ვუწოდებთ".

აღნიშნულის მსგავსი დასკვნისთვის ყველაზე მეტად ეყრდნობიან სტრაბონის იმ ცნობას, რომელშიაც ლაპარაკია სირიელების ორ ადგილას—ტავრთან და პონტოსთან მოსახლეობაზე.

მაგრამ ამ ცნობიდან სრულიადაც არ გამომდინარეობს ის დასკვნა, რომ სირიელები მთელი კაპადოკიის მცხოვრებნი არიან.

სტრაბონის ამ ცნობაში ვკითხულობთ: „საფიქრებელია, რომ ძველად სირიელთა სახელი აღწევდა ბაბილონიიდან ისიკოსის უბემდე, ხოლო აქედან ევქსინამდე. ორივე კაპადოკიელნი, ისინიც, რომლებიც ტავრთან არიან, და ისინიც, რომლებიც პონტოსთან არიან, დღემდე ლევკოსირიელებად იწოდებიან, თითქოს შავი სირიელებიც არსებობდნენ. ეს უკანასკნელნი მოსახლეობენ ტავრის იქითა მხარეს. ვახსენებ რა ტავრს, მე ამ სახელწოდებას ვავრცელებ ამანამდე“ [1].

ერთი შეხედვით, ადამიანს მართლაც შეიძლება ეგონოს, რომ სტრაბონს აქ ლაპარაკი აქვს კაპადოკიის მოსახლეობაზე საერთოდ. მაგრამ საკმარისია ტექსტის ყურადღებით, წინასწარაღებული აზრის გარეშე, წაკითხვა, რათა ნათელი გახდეს, რომ სტრაბონი აქ, ორივე კაპადოკიელების სახით, გულისხმობს არა მთელი კაპადოკიის მოსახლეობას, არამედ სირიელების ორ შტოს, რომელთაგანაც ერთი პონტოს სანაპიროზე, მეორე კი ტავრთან ბინადრობს.

სტრაბონს წინა პარაგრაფში ლაპარაკი აქვს სირიელთა მოსახლეობის გავრცელებაზე და მომდევნო პარაგრაფს კი იწყებს ზემოთ მოტანილი სიტყვებით. ცხადია, რომ სტრაბონის თხრობის (აღწერის) ობიექტია სირიელების მოსახლეობა და მისი გავრცელების ფარგლების შემოსაზღვრა და ამ ასპექტში გვამცნებს, რომ მათი სახელი ძველად უფრო დიდ არეზე ვრცელდებოდა, ეხლა კი სირიელების ძირითადი მოსახლეობის რაიონის (რომელიც მოხაზულია წინამავალ პარაგრაფში) გარეთ, მათი მოსახლეობის ნაშთი მოიპოვება კაპადოკიაში, სახელდობრ, პონტოსთანაც და ტავრთანაც.

სტრაბონი რომ იმ შესაძლებელი სინამდვილიდან ამოდიოდეს, რომ მთელი კაპადოკიის მოსახლეობა სირიელთა მოდგმისა იყო, მაშინ რისთვის დასჭირდებოდა მას განეცალკევებინა ისინი და ცალ-ცალკე აღენიშნა, როგორც ერთნი პონტოსთან და მეორენი კი—ტავრთან მცხოვრებნი... და სპეციალურად აღენიშნა:

---

[1] XVI, 1, 2.

პონტოსთან და ტავრთან,—ხომ იმაზე მიუთითებს, რომ აქ მთელი კაპადოკიის მოსახლეობა არ იგულისხმება და ლაპარაკია მხოლოდ მოსახლეობის იმ ნაწილზე, რომლებიც სირიელებად არიან წოდებულნი და კაპადოკიის სხვადასხვა რაიონში ცხოვრობენ. მთელი კაპადოკიის მოსახლეობა რომ სირიული ეგულვებოდეს სტრაბონს, მაშინ იგი ამას პირდაპირ იტყოდა და არ დასჭირდებოდა გეოგრაფიულ პუნქტებზე მითითება, სადაც სირიული მოსახლეობა მოიპოვებოდა; ცხადია, სტრაბონი ამ პუნქტებზე მითითებით იმ სინამდვილეს გადმოგვცემს, რომ სირიელების მოსახლეობა მხოლოდ აღნიშნულ რაიონებში არსებობდა.

და თვით ჰეროდოტესაც ხომ კარგად ესმოდა, რომ სირიელები მთელი კაპადოკიისა კი არა, მხოლოდ მისი ნაწილის მცხოვრებნი არიან.

იმაზე ლაპარაკის დროს, თუ წინადაცვეთის წესი რომელ ხალხებშია გავრცელებული და რომელმა მათგანმა ვისგან გადმოიღო, ჰეროდოტე წერს: „რაც შეეხება ფინიკიელებსა და პალესტინის სირიელებს, ისინი თვითონ ამბობენ, რომ მათ ეს წესი ეგვიპტელებისაგან აქვთ შეთვისებული, ხოლო ის სირიელები კი, რომლებიც თერმოდონტთანა და პართენიოსზე ცხოვრობენ, თავიანთ მეზობელ მაკრონებთან ერთად, ამტკიცებენ, რომ მათ ცოტახნის წინათ გადმოიღეს წინადაცვეთის წესი კოლხებისაგან". [1]

ჰეროდოტეს ეს ცნობა ეჭვს არა სტოვებს, რომ კაპადოკიის ტერიტორიაზე სირიელები მხოლოდ ხსენებულ რაიონში ეგულვება მას და არა მთელი კაპადოკიის ტერიტორიაზე.

რომ სირიელები, მართლაც, კაპადოკიის მოსახლეობის მხოლოდ ნაწილს წარმოადგენდნენ და ამ ტერიტორიის ძირითადი მოსახლეობა სხვა ტომებისაგან შესდგებოდა,—ეს დასტურდება მეცნიერების განკარგულებაში არსებული უხვი პირველწყაროების ცნობებით.

ამ მხრივ საყურადღებოა, რომ, ერთის მხრივ, ჰეროდოტეს შემდეგ არც ერთი წყარო არ მოგვითხრობს სირიელების მასიურ მოსახლეობაზე კაპადოკიისა და მის მეზობელ ტერიტორიაზე, წყაროთა დიდი უმრავლესობა კი — საერთოდ სდუმს მათზე. მეორეს მხრივ, როდესაც კი პირველ წყაროებში კონკრეტულად არის ლაპარაკი კაპადოკიის მოსახლეობაზე, ყოველთვის იხსენიებიან ის

[1] II. 104—105.

ტომები, რომლებიც აქ ცხოვრობდნენ ისტორიულად და ამ მხარის მოსახლეობის ძირითად მასას შეადგენდნენ, ხოლო სირიელები იშვიათად არიან მოხსენებული და ისიც როგორც ვიწროდ შემოფარგლული ტერიტორიის მცხოვრებნი, როგორც, მაგ., სტრაბონთან, რომელიც მათ მიაკუთვნებს ქ. ამისოსს.

ჰეროდოტეს ცნობა სირიელების შეიარაღებისა და სპარსეთისთვის ხარკის გადახდის შესახებ არის პირველიცა და უკანასკნელი ცნობაც მათი მასიური მოსახლეობის შესახებ, მის იმ ცნობასთან ერთად, რომ სირიელთა სოფლები აოხრა კრეზმა.

შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ ჰეროდოტესა და სტრაბონის ზემოთ განხილულ იმ ცნობებში, რომლებშიაც სირიელებსა და კაპადოკიელებზეა ლაპარაკი, სათანადო ინტერპრეტირების შემდეგ, არ გაგვაჩნია არც ერთი პირველწყარო, რომელშიაც რამე ისეთი მასალა მოიპოვებოდეს, რაც საფუძველს იძლეოდეს სირიელებისა და კაპადოკიელების გასაიგივებლად; არ მოიპოვება საფუძველი იმისათვის, რომ სირიელები მთელი კაპადოკიის მოსახლეობის ეკვივალენტად ვაღიაროთ; არც ერთ წყაროში ისინი ასე რიგად არ არიან განმარტებული და არც დაპირისპირებულნი. წყაროებში ყველგან მხოლოდ გარკვეულ რაიონშია სირიელების მოსახლეობაზე მითითება და მხოლოდ აი ეს ნაწილი უპირისპირდება კაპადოკიის მოსახლეობას.

ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ ჰეროდოტეს უმცროს თანამედროვეს ქსენოფონტეს ძველი კაპადოკიის ტერიტორიაზე არ შეხვდნენ სირიელები; იგი არ იხსენიებს აგრეთვე არც „კაპადოკიელებს", რადგან ასეთი ცალკეული ეთნიკური ელემენტი არ არსებობდა, და თვით გეოგრაფიულ მომენტზე აღმოცენებული ცნებაც კი „კაპადოკიელები", ქსენოფონტესთვის ჯერ უცნობი იყო.

სამაგიეროდ, ქსენოფონტე უხვ ცნობებს გვაწვდის იმ ტომთა შესახებ, რომლებიც მაშინ (მათი უმრავლესობა უფრო ადრეც) კაპადოკიის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ, რითაც მან მოგვცა ცნება „კაპადოკიელების" ნამდვილი შინაარსი. სირიელები აქ სრულებით არ მოსჩანან.

ფრიად საინტერესოა, რომ, ჰეროდოტესთან ქრონოლოგიურად ყველაზე ახლოს მდგომი, ეს პირველწყარო სირიელებზე სდუმს იმ რაიონზე საუბრის დროს, რომელშიაც ჰეროდოტე მათს მასიურ მოსახლეობაზე ლაპარაკობს.

ისეთი ძველი ავტორი, როგორიც არის ეფორე, აგრეთვე არ იცნობს სირიელებს აღნიშნულ რაიონში.

სტრაბონის მოწმობით, ეფორეს, რომელსაც ნახევარკუნძული 16 ტომით დასახლებული მიაჩნდა, ჩამოთვლილი ჰყოლია ჩვენთვის ყველა ცნობილი ტომები: კილიკიელები, პამფილიელები, ლიკიელები, ბითვინიელები, პაფლაგონელები, მარიანდინები, ტროელები, კარიელები, პისიდიელები, მისიელები, ხალიბები, ფრიგიელები და მილიები. [1]

როგორც ვხედავთ, იმ ტომთა წრეში, რომელშიაც ჰეროდოტე იცნობდა სირიელებს, — ეხლა აღარ მოსჩანან ეს უკანასკნელნი.

და რომ ეს შემთხვევითი არ უნდა იყოს, არამედ სინამდვილის აღმნიშვნელი, ისიც მოწმობს, რომ ამის შემდეგაც ამ რაიონში სირიელებზე აღარა ისმის რა და თვით სტრაბონიც, როდესაც ჩამოსთვლის პონტოს მარცხენა და მარჯვენა მხარეების მოსახლე ტომებს, სირიელებს სრულებით არ ახსენებს.

სახელდობრ, სტრაბონს ჩამოთვლილი ჰყავს: „ბითვინიელები, შემდეგ მარიანდინები, მერე პაფლაგონელები ვიდრე ჰალისამდე, მერე კაპადოკიელთაგან ისინი, რომლებიც პონტოსთან ცხოვრობენ, და მათ შემდეგ ისინი, რომლებიც კოლხიდამდე არიან". [2]

ჰეროდოტესთან, როგორც ვიცით, სირიელები პაფლაგონელებთან ერთად არიან მოხსენებული.

აქ, შეიძლება ადამიანმა იფიქროს, რომ სტრაბონი სირიელებს აღარ ახსენებს, რადგან მას კაპადოკიელებზე აქვს საუბარი და კაპადოკიელები და სირიელები კი, სტრაბონის გაგებით, ერთი და იგივენი არიან.

ამგვარი გაგება გამორიცხულია.

როდესაც სტრაბონი, თავისი შრომის სათანადო ადგილას, სახელდობრ, იმავე წიგნის დასაწყის პარაგრაფებში, კაპადოკიის მოსახლეობის კ ო ნ კ რ ე ტ უ ლ ს ა ხ ე ს გადმოგვცემს, იქ მას სრულიად არაფერი აქვს ნათქვამი სირიელებზე და კაპადოკიის ერთ ენაზე მეტყველი მოსახლეობის მასაში, სრულიად ბუნებრივად, სირიელები არ მოსჩანან.

კაპადოკიის მოსახლეობის ერთ ენაზე მოსაუბრე მასა რომ სირიული ყოფილიყო, მაშინ სტრაბონს აღარ დასჭირდებოდა, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, სირიელების მოსახლეობის ცალკეულ გეოგრაფიულ პუნქტებზე მითითება სწორედ კაპადოკიის

---

[1] XIV, 5, 23.

[2] XII, 3, 2.

ტერიტორიაზე... და, ამას გარდა, ხომ სტრაბონისა და მისი შემდგომი დროის პირველწყაროებში, სადაც ჩამოთვლილი არიან კაპადოკიაში მოსახლე ტომები, — ს ი რ ი ე ლ ე ბ ი რ ო მ ე ლ ი მ ე ც ა ლ კ ე უ ლ ი რ ა ი ო ნ ი ს მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ა დ ა ც კ ი ა რ მ ო ჩ ა ნ ა ნ, ა რ ა მ ც თ უ მ თ ე ლ ი კ ა პ ა დ ო კ ი ი ს ა.

საისტორიო წყაროებისთვის, მოკიდებული ჰეროდოტედან და გათავებული უკანასკნელი ხანებით, — ცნობილია კაპადოკიის ტერიტორიაზე მოსახლე ტომების ვინაობა და მათი გაიგივება სირიელებთან წარმოუდგენელია.

განა ის სირიელები, რომლებიც, ჰეროდოტეს მოწმობით, სპარსეთისთვის ხარკის გადამხდელთა მესამე ოლქში ხუთ სხვა ხალხთან (რომელთაც ტერიტორიულად კაპადოკიასთან საერთო სრულიად არაფერი აქვთ) ერთად, ერთ ოლქს შეადგენენ, ის სირიელები, რომლებიც პაფლაგონელებისა და მარიანდინების მეზობლები არიან და მათ მსგავსადვე არიან შეიარაღებულნი, — შეიძლება მიჩნეულ იქნან ისეთ მასად, რომ ისინი მთელს კაპადოკიაში მოსახლეობენ, რის გამოც, ვითომდა, ისინი „კაპადოკიელებად" იწოდებიან?...

თუ სირიელები შეადგენდნენ კაპადოკიის მოსახლეობის ერთ ენაზე მეტყველ მასას, კაპადოკიისა, რომელიც ათ სამგებლო ოლქად იყო გაყოფილი და ოლქთა მოსახლეობას შორის არ შეიმჩნევა განსხვავება ენასა და ზნეჩვეულებებში,[1] მაშინ ჰეროდოტესთან რატომ არიან ისინი ესოდენ მკვეთრად გამიჯნული კაპადოკიიდან და მისი მოსახლეობიდან ტერიტორიულადაც, ადმინისტრაციულადაც და შეიარაღებითაც?

ნუთუ ეს სირიელები მთელი კაპადოკიის მოსახლეობის ეკვივალენტია, მაშინ, როდესაც ხარკის გადამხდელთა მეცხრამეტე ოლქს შეადგენენ კაპადოკიის ძირითად ტერიტორიაზე მოსახლე ტომები: მოსხები, ტიბარენები, მაკრონები, მოსინიკები და მარები, რომლებიც, ამასთანავე, ერთნაირადვე არიან შეიარაღებულნი...

პირიქით, არც ერთ პირველწყაროდან არა ჩანს, რომ სირიელები კაპადოკიის ძირითადი, ცენტრალური ტერიტორიის მცხოვრებნი იყვნენ: ისინი პაფლაგონელების მეზობლად არიან ყოველთვის მოხსენებულნი, ან ქალაქების სინოპესა და ამისოსის მიდამოებში.

---

[1] სტრაბონი, XII, 1. 2, 2

„სირიელები“ და „კაპადოკიელები“ რომ სინონიმები იყოს და აღნიშნავდეს კაპადოკიის მთლიან, საერთო მოსახლეობას, მაშინ როგორ შევათავსოთ ძველ წყაროთა უტყუარი ცნობები კაპადოკიად წოდებულ ტერიტორიაზე კარგად ცნობილ ტომთა მოსახლეობის შესახებ, რომელთა წამყვანი როლიც ისტორიულად კარგად ცნობილია.

ფრიად მნიშვნელოვანია ამ მხრივ თვით სტრაბონის ერთ ადგილას ნათქვამი, რომ კაპადოკიაში მოსახლე სირიელები, ეხლაც ჯერ კიდევ იწოდებიან ლევკოსირიელებად; [1] ხოლო მეორე ადგილას ხაზგასმით აღნიშვნა, რომ „ლევკოსირიელებს ჩვენ ეხლა კაპადოკიელებად სახელსვდებთო“ [2].

სტრაბონს ამით ისა აქვს ნათქვამი, რომ სირიელები კაპადოკიის მოსახლეობის ნაწილია მხოლოდ, და ამასთანავე, აქაც ლევკოსირიელები მხოლოდ გარკვეულ რაიონში არიან ლოკალიზებული.

სირიელების მთელი კაპადოკიის მოსახლეობად აღიარება შეურიგებელ წინააღმდეგობაშია იმასთან, რაც მეცნიერებამ იცის ისტორიის მანძილზე კაპადოკიის მოსახლეობის შესახებ და რის წინააღმდეგაც თვით სტრაბონისავე ცნობები აშკარად ღაღადებს. [3]

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სტრაბონი, გვაუწყებს რა, რომ კაპადოკია ათ ნაწილად იყო გაყოფილი, [4] მის მიერ ჩამოთვლილ ნაწილებში არსად არ მოჩანს სირიელების არავითარი ნიშანწყალი. უფრო მეტიც. სირიელები არ არიან ნახსენები მაშინაც, როდესაც სტრაბონი ჩამოსთვლის ჰალისის დასავლეთით მოსახლე ხალხებს. [5] იგი მათ არ ახსენებს პაფლაგონელებთან ერთადაც კი, რომელთა გვერდითაც ისინი ეგულებოდა ჰეროდოტეს.

აქაც იგივე მოჩანს, რომ ჰეროდოტეს შემდეგ წყაროებში აღარსად არის ლაპარაკი სირიელთა რამდენადმე მაინც მასიურ მოსახლეობაზე.

მაშასადამე, არავითარი საფუძველი არ არსებობს იმის სავარაუდოდ, რომ ის ტერიტორია, რომლის ძირითად მასიურ მო-

---

[1] XVI, 1, 2.

[2] XII, 3, 5.

[3] განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ სტრაბონთან არ მოიპოვება ისეთი ცნობა, სადაც იგი კაპადოკიელებს სირიელებად სახელსდებდეს. სირიელებს რომ კაპადოკიელებად იხსენიებს, ეს კი გასაგებია.

[4] XII, თავი 1, 1, 4.

[5] XII, 1, 3.

სახლეობასაც ჰეროდოტეს დროს მოსხები, ტიბარენები, მაკრონები, მოსინიკები და სხვ. მათი მონათესავე ტომები შეადგენდნენ, და რომელსაც ჰეროდოტეს დროს ახლად ჰქონდა მიღებული ახალი სახელწოდება „კაპადოკია"; რომ ის ტერიტორია, რომელიც სტრაბონის განსაზღვრით,[1] ემთხვევა ტერიტორიას, რომელზედაც ჰეროდოტეს დროს, მის მიერ მოხსენებული ქართველი ტომები ცხოვრობდნენ; რომ ის ტერიტორია, რომელსაც შემდგომი დროის წყაროები მხოლოდ კაპადოკიად იცნობენ და მის ძირითად მოსახლეობად იმავე, ზემოხსენებულ ტომებს იხსენიებენ; რომ ის ტერიტორია, რომლის მოსახლეობასაც სტრაბონი ერთ ენაზე მოლაპარაკედ მიიჩნევს — დასახლებული ყოფილიყო სირიელებით, რის გამოც „სირიელები" თუ „ლევკოსირიელები" უნდა მივიჩნიოთ „კაპადოკიელების" სინონიმად.

რომ პირველწყაროებში გადმოცემული ფაქტიური ვითარება დიამეტრალურად საწინააღმდეგოს გვიკარნახებს, ამის ცხადსაყოფად, თუნდაც, ორი მაგალითიც იკმარებდა.

როგორც ცნობილია, პონტოს სამეფოს ძირითად ტერიტორიას კაპადოკია წარმოადგენდა.

უსახელო Periplus-ში, რომელიც მის ავტორს (ცხოვრობდა ახალი წელთ. V საუკ.) შეუდგენია ძველი, მათ შორის ელინისტური პირველწყაროების საფუძველზე, პონტოს სამეფოზე, ასეთი ცნობაა დაცული: „... პონტოს სამეფო ბარბაროსებისა ტიბარენიაში, ჰანიკეში და კოლხიდაში".[2]

ხოლო სტეფანოზ ბიზანტიელი კი გადმოგვცემს მენაპე პერგამელზე (I საუკ. გეოგრაფოსი) დაყრდნობით, რომ პონტოს სამეფო აღწევს „...ტიბარენიამდე, ქალდიამდე და სანიკემდე".[3]

როგორც ვხედავთ, აღნიშნულ ცნობებში ჩრდილოეთ კაპადოკიის მოსახლეობა წარმოდგენილია იმ ტომებით, რომლებსაც პირველწყაროთა ტრადიცია აქ იცნობს.

სამხრეთ კაპადოკიის დიდ ნაწილს კი შეადგენდა სტრაბონის მიერ Μοσχική-დ წოდებული ქვეყანა, რომელიც კაპადოკიის მის მიერ მოხაზული ტერიტორიის სამხრეთ, ე. ი. სამხრეთ კაპადოკიას შეადგენდა და რომელიც ესოდენ დიდი იყო, რომ მით-

---

[1] XII, 1, 1.

[2] Periplus, 55/14; ВДИ, 1948, № 4, გვ. 231.

[3] ს. ყაუხჩიშვილი, Georgica, ტ. III, გვ. 288.

რიდატეს დამარცხების შემდეგ, მის ერთ ნაწილს კოლხები, მეორეს იბერები და მესამეს არმენიელები დაუფლებიან. [1]

არც ის არის უგულვებელსაყოფი, რომ, პირველწყაროთა მიხედვით, კაპადოკიის დედაქალაქი მაძაკა, რომელიც ერთ-ერთი უძველესი ქალაქია, მესხებისა იყო...

ზემოაღნიშნულის საფუძველზე ცხადი უნდა იყოს, რომ ცნებები „სირიელები“ და „კაპადოკიელები“ არ შეიძლება ერთიმეორის სინონიმებად მივიჩნიოთ, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ისინი სხვადასხვა კატეგორიის ცნებებია: „სირიელები“ ეთნიკური სამყაროს მაჩვენებელია, „კაპადოკიელები“ კი — გეოგრაფიულისა; მეორეც, იმიტომ, რომ კაპადოკიად წოდებული ტერიტორიის მოსახლეობის ეთნიკური ფიზიონომია ისტორიის მანძილზე ცნობილია არა ერთი პირველწყაროს მიხედვით და სირიელები არა თუ არასოდეს მოსახლეობის გაბატონებულ ელემენტს, არამედ რაიმე მნიშვნელოვან ნაწილსაც კი არ შეადგენდნენ.

როგორც ადრინდელ, ისე შემდგომი დროის პირველწყაროთა საშუალებით, მეცნიერებისთვის კარგად არიან ცნობილი კაპადოკიის ტერიტორიაზე მოსახლე ტომები, რომელთა შორისაც სირიელებს—ლევკოსირიელებს განეკუთვნებათ სრულიად მინიმალური ადგილი.

გადავავლოთ თვალი პირველწყაროებს.

კაპადოკიის ტერიტორიაზე სირიელების მოსახლეობაზე ქრონოლოგიურად ყველაზე ადრინდელი ცნობა (თუ სკილაქს კარიანდელის, რომელიც VI საუკუნეში ცხოვრობდა, სახელით ცნობილ შრომას, როგორც საერთოდ მიღებულია, მივიჩნევთ IV საუკუნის ნაწარმოებად) გვხვდება ჰეროდოტესთან, რომლის საფუძველზე აღმოცენდა სირიელებისა და კაპადოკიელების იგივეობის ჰიპოთეზა. [2]

ზემოთ უკვე მივუთითეთ, რომ ჰეროდოტეს სირიელები ეგულება მდ. პართენიოსთანა და ციხექალაქ პტერიასთან [3].

ჰეროდოტე მეორე ადგილას უფრო მკვეთრ მითითებას იძლევა იმაზე, თუ ვინ არიან მის მიერ კაპადოკიელებად წოდებული სირიელები და სად ცხოვრობენ ისინი.

---

[1] XI, 2, 18.

[2] М. Максимова, Античные города..., გვ. 22.

[3] 1, 76.

თავისი შრომის იმ ადგილას, სადაც ლაპარაკი აქვს იმაზე, თუ ე. წ. წინადაცვეთის წესი რომელმა ხალხმა ვისგან გადმოიღო, ჰეროდოტე გადმოგვცემს, რომ ფინიკიელებსა და პალესტინელ სირიელებს ეს წესი ეგვიპტელებისაგან გადმოუღიათ; „ხოლო ის სირიელები, რომლებიც თერმოდონტთან [1] და მდ. პართენიოსზე ცხოვრობენ, თავიანთ მეზობელ მაკრონებთან ერთად ირწმუნებიან, რომ წინადაცვეთის წესი დიდი ხანი არ არის, რაც კოლხებისგან გადმოუღიათ" [2].

ამ ცნობაში ისიც არის მითითებული, რომ სირიელები კაპადოკიის გარკვეულ რაიონში ცხოვრობენ და ისიც, რომ ისინი კაპადოკიის მოსახლეობის მხოლოდ ნაწილს შეადგენენ.

ჰეროდოტეს ესა და ზემოთ მოხსენებული კონკრეტული ცნობები სირიელთა მოსახლეობის შესახებ, რომ თავის დროზე გათვალისწინებული ყოფილიყო, აღარ აღმოცენდებოდა, მის დაუზუსტებელ ცნობებზე დამყარებული, სრულიად უშინაარსო ჰიპოთეზი სირიელებისა და კაპადოკიელების იგივეობაზე.

სკილაქს კარიანდელთან სირიელებზე, ისევე როგორც სხვებზეც, ლაკონიური, მაგრამ ლოკალიზაციის თვალსაზრისით, სრულიად ნათელი ცნობაა შენახული.

სკილაქსთან ვკითხულობთ: „ხალიბების შემდეგ არის ასირიელთა ტომი (Ἀσσυρίας ἔθνος) და მდინარე თერმოდონი" [3]...

სკილაქსი სირიელებს იმავე რაიონში ათავსებს, სადაც მათ ჰეროდოტესთან ვხედავთ, ოღონდ აქ მათი საცხოვრებელი რაიონი უფრო ვიწროდ არის შემოფარგლული და ემთხვევა ჰეროდოტეს ცნობის პირველ ნახევარს.

სკილაქსის ცნობიდან არა ჩანს, რომ ის სირიელებს პართენიოსის რაიონშიც გულისხმობდეს.

დიონისეც (იმპერატორ ადრიანეს დროს ცხოვრობდა) ასირიელების ქვეყანას ხალიბების მახლობლად ათავსებს [4].

ტაციტი კაპადოკიის მოსახლეობას მხოლოდ კაპადოკიელების სახელით იცნობს [5].

სირიელებს აგრეთვე გარკვეულ რაიონში გულისხმობს ის ცნობაც, რომელიც აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაში"

---

[1] ქ. ამისოსის მიდამოები უნდა იგულისხმებოდეს.

[2] II, 104.

[3] Scylacis Caryandensis Periplus, 89, C. Müller, Geographi Graeci Minores, I, გვ. 66.

[4] 774; ВДИ, 1948. № 3, გვ. 241.

[5] Annales, II, 60; ВДИ, 1949, № 3, გვ. 209.

დაცული და რომელშიაც ლაპარაკია, რომ არგონავტები მიადგნენ ასირიის მიწას, განვლეს ჰალისისა და ირისის შესართავები და ჩქარა მოიტოვეს უკან ასირიის სანაპირო[1].

აქ, მართალია, სირიელთა საცხოვრებელი რაიონი დაზუსტებული არ არის, მაგრამ შემდეგი თხრობიდან ირკვევა, რომ იგი ხალიბებისა და ამაძონების დასავლეთით მეზობელი მხარეა.

შემდგომი ცნობა სირიელებზე, მაგრამ უკვე ლევკოსირიელებად მოხსენიებულებზე, ეკუთვნის კურციუს რუფუსს (ახ. წ. I საუკ.), რომელიც, კასპიის ზღვის სამხრეთ სანაპიროდან მიმართული მზერის ქვეშ ჩამოთვლილ ტომთა შორის, ასახელებს მოსინიკებთან და ხალიბებთან ერთად, ლევკოსირიელებსაც,[2] რაც ლიტერატურული წყაროებიდან უნდა მომდინარეობდეს.

აქ განმეორებულია ის ტრადიცია ლევკოსირიელების მოთავსებისა შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროს იმ რაიონში, სადაც, ჩვეულებრივ, ლოკალიზებული არიან მოსინიკები, ხალიბები და ე. წ. ამაძონები.

თუკი კურციუს რუფუსის ცნობას მეცნიერებისათვის რამე მნიშვნელობა მიენიჭება, — ეს ის არის, რომ სირიელები კაპადოკიის მთლოდ განსაზღვრული კუთხის მცხოვრებლებად არიან წარმოდგენილი, რაც სინამდვილეს შეეფერება.

ამავე მოსინიკების მეზობლად არიან ლევკოსირიელები მოხსენებულნი იულიუს ჰონორიუსთანაც (ახ. წ. V საუკ.)[3].

სირიელების ლევკოსირიელებად გადაქცევის მომენტსაც შევვიძლია გავადევნოთ თვალი.

სტეფანოზ ბიზანტიელი, განმარტავს რა ტიბარენიასა და ტიბარენებს, დასძენს: „ეფორე მეხუთე წ ი გ ნ შ ი ამბობს, რომ ტიბარენებს თავისი მისწრაფების მიზნად დაუსახავთ გართობა და სიცილი და ამას უდიდეს ბედნიერებად სთვლიან. მათი მეზობლები არიან ხალიბები და ხალხი ლევკოსირიელები“[4].

ლევკოსირიელებს იხსენიებს აგრეთვე ფსევდო-სკიმნი (II—I საუკ.), რომელიც ამბობს, რომ ქ. ამისოსი ლევკოსირიელების მიწა-წყალზეა („Ἀμισός ἐν τῇ Λευκοσύρων γῇ κειμένη“[5]).

---

[1] Argonautica, II, 999.

[2] VI, 4, 17.

[3] იხ. მისი Cosmographia, A, 38; ВДИ, 1949, № 4, გვ. 276.

[4] იხ. ВДИ, 1948, № 3, გვ. 327.

[5] Ps.-Scymn, 917; C. Müller—Geogr. Graeci Min., I, გვ. 235.

მკვლევართა მიერ დადგენილია, რომ ფსევდო-სკიმნისთვის წყარო, მისი შრომის ამ ნაწილში, იყო ეფორე, რომელიც 405—330 წლ. ცხოვრობდა [1].

მაშასადამე, ლევკოსირიელების ხსენება ამითაც დადასტურებულია ეფორთან.

მეცნიერების განკარგულებაში არსებული პირველწყაროების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ლევკოსირიელების ხსენებას პირველად სწორედ ეფორთანა ვხვდებით და მასზე ადრინდელ წყაროებში იგი არა ჩანს[2].

ამასთანავე, ეფორედან მოკიდებული, ყველა წყარო ლევკოსირიელებს ხმარობს არა საერთოდ, სირიელების აღსანიშნავად და მის სინონიმად, არამედ ამ სახელწოდებით აღინიშნება მხოლოდ გარკვეული რაიონის (ჩვეულებრივ, ქ. ამისოსისა და მისი რაიონის) გარკვეული მოდგმის მოსახლეობა.

ხაზგასასმელია აგრეთვე ის გარემოება, რომ არც ერთ წყაროში არ მოიპოვება რამე ნიშანწყალი იმისა, რომ ლევკოსირიელები, ან თუნდა სირიელები, მთელი კაპადოკიის მოსახლეობად და, მაშასადამე, „კაპადოკიელების" სინონიმად იგულისხმებოდეს.

პირიქით, ამ მხრივ ფსევდო-სკიმნი სრულიად გარკვეულად მიუთითებს, რომ ლევკოსირიელების ქვეყანაა მხოლოდ ის, სადაც ამისოსი მდებარეობს (917), ხოლო შემდეგ ჩამოთვლილი ჰყავს მცირე აზიაში მცხოვრები ტომები და მათ შორის ხალიბები და მათი მეზობელი კაპადოკიელები (Χάλυβες δὲ τὴν μεσόγειον οἵ τε πλησίον Καππάδοκες")[3].

ქრონოლოგიურად მომდევნო ცნობას ვხვდებით აპიანესთან (ახ. წ. II საუკ.), რომელიც გვამცნებს, რომ მითრიდატე ევპატორის მოკავშირეები გახდნენ, სხვადასხვა ტომებთან ერთად „აქეელები, ჰენიოხები, ლევკოსირიელები"[4].

აქაც ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ლევკოსირიელები ისევ და ისევ ერთსა და იმავე, განსაზღვრულ რაიონში მოსახლეობენ.

---

[1] ВДИ, 1948 წ. № 3, გვ. 327, შენ. 2.

[2] იხ. C. Müller—Geographi Graeci Minores, I გვ. 66.

[3] იხ. Ps.-Scymn. 938—939; მიულერის ხსენ. შრ., გვ. 235.

[4] აპიანე, მითრიდატეს ომები, *Μιθριδάτειος*, 69; ВДИ, 1948, № 3, გვ. 284.

იოანე ცეცის (XII საუკ.) მიერ ლიკოფრონის „კასანდრა“-სთვის დართულ კომენტარებში ვკითხულობთ: „კოლხები, რომელნიც ლაზებადაც იწოდებიან, —ეგვიპტიდან არიან გადმოსახლებული, ცხოვრობენ აბასგების მახლობლად; კოლხები იწოდებიან აგრეთვე აზიელ სკვითებად და თეთრსირიელებად, ცხოვრობენ აზიის ფარგლებში, მდ. ფასისთან“ [1].

საინტერესო ცნობაა იმ მხრივ, რომ კოლხთა ამ სხვადასხვა სახელწოდება-ეპითეტებში გადმოცემულია ის ფაქტი, რომ მათში სხვადასხვა დროს შერეული იყვნენ სხვადასხვა ტომის ხალხი.

კოლხების სახელდება თეთრსირიელებად არის იმის ანაქრონიზმი, რომ ოდესღაც კოლხების კუთვნილ ტერიტორიაზე, ცხოვრობდნენ სირიელებიც (ასირიელი კოლონისტები), რომელნიც დროთა განმავლობაში შეერივნენ ადგილობრივ მოსახლეობას, რის შედეგადაც წარმოიშვა ახალი ფიზიკური ტიპი, სირიელებისაგან, პირველყოვლისა კანის ფერით რომ განსხვავდებოდა, რითაც ახალი სახელწოდება „თეთრისირიელები“ დაიმსახურეს.

ეს პროცესი დროთა სვლაში ისე განვითარდა, რომ სირიელების ტომი მთლად შეერწყა ადგილობრივ ხალხს და იქცა მის ორგანულ ნაწილად.

განხილული ცნობებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ: ა) სახელწოდება ლევკოსირიელები პირველწყაროებში დადასტურებულია მხოლოდ ეფორეს დროიდან (ძვ. წ. IV ს.) და იგი მასზე ადრინდელი წყაროებისთვის უცნობია. ბ) სახელწოდება ლევკოსირიელები იხმარება მხოლოდ კაპადოკიის გარკვეულ რაიონში მოსახლე ხალხის მიმართ და არა საერთოდ სირიელების მიმართ ამდენად, სირიელები და ლევკოსირიელები კაპადოკიის ტერიტორიაზე ერთიმეორის სინონიმები არ არის.

ვინ არიან სირიელები ტომობრივად, აბორიგენული ტომი, თუ მოსული?

საისტორიო წყაროებში არ მოიპოვება რამე ისეთი ხელშესახები, მეცნიერული თვალსაზრისით მყარი დასაყრდენისთვის გამოსადეგი, მასალა, რომელიც სირიელების კაპადოკიაში ავტოხთონობაზე მოგვითხრობდეს. ე. წ. კაპადოკიურ ფირფიტებში ის უფრო ამოიკითხება, რომ ასირიული შთამომავლობის ვაჭარ-საქმოსანნი ცხოველ საქმიან ურთიერთობას აჩაღებდნენ ადგილობრივ მოსახლეობასთან.

თავისებური თეორია წამოაყენა პ. კრაპემ.

---

[1] Fr. 887; ВДИ, 1947, № 3, გვ. 368—369.

მისი წარმოდგენით, სირიელები არიული ტომის ხალხი, რომელიც ცხოვრობდა კაპადოკიაში, ჰალისის სამხრეთით. ამ ტომის ნაწილმა დაიპყრო ასირიელები და დამკვიდრდა ტიგრის ზემოთ ვაკეზე. ტომის ნაწილი, რომელიც შინ დარჩა, იწოდება „თეთრსირიელებად"[1].

ამრიგად, კრაპეს სირიელები, ლევკოსირიელები მიაჩნია კაპადოკიად წოდებული ტერიტორიის უძველეს აბორიგენებად, რომელნიც ესოდენ ძლიერნი ყოფილან, რომ „მესამე ათასწლეულის შუახნის მახლობლად, შეიძლება უფრო ადრეც, ხალხის ნაწილს, როგორც ჩანს, მიუტოვებია თავისი სამყოფელი და დაუპყრია ვაკე ტიგრის ზემოთ, სადაც დაუარსებიათ ქალაქი და მძლავრი იმპერია, თუმცა უკუუგდიათ თავიანთი საკუთარი ენა და მიუღიათ დამარცხებულთა სემიტური ენა"[2].

კრაპეს ეს თეორია მეტისმეტად ხელოვნურად გამოიყურება. კრაპე არაფერს გვეუბნება იმაზე, თუ რამ აიძულა, რა პირობებში მოხდა მოსახლეობის აყრა თავის საცხოვრებელი ადგილიდან და ახალი ტერიტორიის დაპყრობა; ან რამ განაპირობა ის, რომ მოსულებმა, რომლებმაც შექმნეს მძლავრი იმპერია, მშობლიური ენა დაპყრობილთა ენაზე გაცვალეს. მშობლიური ენის დაკარგვა, როგორც ცნობილია, ხანგრძლივი ძალდატანებითი ზემოქმედების შედეგადაც კი ყოველთვის როდი ხერხდება...

ამასთანავე, აქვე წამოიჭრება საკითხი: როგორ მოექცნენ თავიანთ ენას შინ, კაპადოკიაში დარჩენილი სირიელები, მათაც უარი სთქვეს მშობლიურ ენაზე, თუ არა? თუ უარი სთქვეს, რით იყო გამოწვეული მათი ეს უჩვეულო, არაბუნებრივი საქციელი, ხოლო თუ მათ მშობლიური ენა შეინარჩუნეს და ამით გაემიჯნენ გარეთ გასულთ, ახალ მიწა-წყალზე დამკვიდრებულ თავიანთ თანამოძმეებს,—მაშინ ისტორიის ვრცელ მანძილზე რაღა აკავშირებდა მათ ერთიმეორესთან, რითი მჟღავნდება მათი ერთიანობა-იგივეობა?

კრაპე მხოლოდ ვარაუდობს, რომ სამშობლოდან გასულთა და შინ დარჩენილთა შორის კავშირ-ურთიერთობა არ უნდა შეწყვეტილიყო, რასაც, მისი აზრით, ამტკიცებს, ერთი მხრივ, ის, რომ მესოპოტამიური ცივილიზაციის გავლენა მოჩანს იქ (შინ დარჩენილთა შორის), კაპადოკიური ფირფიტების შინაარსიდან

---

[1] იხ. H. Krappe-The Leukosyrians. ჟურნ. Armenien Quarterly, 1946, Volume 1, Number 1, გვ. 101—107.

[2] იქვე, გვ. 107.

და, მეორე მხრივ, იმ ფაქტიდან, რომ ასირიის სამეფო ცდილობდა ამ მხარეზე შეენარჩუნებინა თავისი ბატონობა, რაშიაც გამოსჭვივის ასირიელი არისტოკრატიის სენტიმენტალური სიყვარული პირვანდელ სამშობლოსადმი. და ამის საილუსტრაციოდ მიუთითებს პიემონტელების სიყვარულზე სავოიისადმი, როგორც იტალიის პიემონტური დინასტიის სამშობლოზე [1].

კრაპეს მიერ მოტანილი არგუმენტები, ესოდენ დიდი მოვლენის ასახსნელად, დამაჯერებლად არ გამოიყურება.

მესოპოტამიური ცივილიზაციის (კულტურის) რომელიმე ქვეყანაში გასავრცელებლად ეთნიკური ნათესაობა-იგივეობა სრულიადაც აუცილებელი ფაქტორი არ უნდა იყოს.

რაც შეეხება ასირიის სამეფოს ლტოლვას მცირე აზიის, კერძოდ, კაპადოკიის რაიონებისაკენ, ამის სტიმული კარგად არის ცნობილი: ეს იყო სურვილი დაუფლებოდნენ აქაურ მეტალურგიულ რესურსებსა და ნაწარმს.

ამ ეპოქის ცნობილი მკვლევრის გ. მელიქიშვილის თქმით: „მთელ რიგ მკვლევართა აზრით, რომელნიც ამ საკითხს სპეციალურად სწავლობდნენ, რკინა, რომელიც მოიხმარებოდა ძვ. წ. I ათას წლ. პირველ ნახევარში წინა აღმოსავლეთში, ძირითადად მოიპოვებოდა კაპადოკიაში, კომაგენაში, კილიკიაში... ეტყობა სწორედ ამიტომ ისწრაფოდნენ ესოდენი ენერგიით ამ რაიონებისაკენ ასირიელები, და აგრეთვე ურარტელები“ [2].

ხოლო მაქსიმოვას გამოკვლევით, ამ რაიონში რკინის დამუშავება იწყება ძვ. წელთაღრიცხვის მეორე ათასეულის პირველ ნახევარში და სწორედ ლითონის საბადოების ექსპლოატაცია იზიდავდა კაპადოკიისაკენ ასირიელ კოლონისტებს ჯერ ისევ III ათასეულის პირველ ნახევარში [3].

ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ კაპადოკიის ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქაული ენები თავიანთ ახლო ნათესაობას ყველაზე მეტად კავკასიურ და, კერძოდ, ქართველურ ენებთან ამჟღავნებენ, და არაფერი აქვთ საერთო სირიულთან.

და აქ გამოსადეგად გვეჩვენება პროფ. მიხეილ წერეთლის მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომ ისტორიის შორეულ წარსულში (im grauen Altertum) მცირე აზიის აღმოსავლეთი ნაწილი, საქართველო და მის სამხრეთით მდებარე ქვეყნები დასახლებული

---

[1] კრაპე, ხსენ. შრ., გვ. 106.

[2] Г. Меликишвили, Наири— Урарту, გვ. 244.

[3] М. Максимова, Античные города..., გვ. 21.

იყო ერთი ჯგუფის ენაზე მოსაუბრე ქართულ-ჭანურ-მეგრულ-სვანური და სუმერული ტომებით[1]. ამის მიხედვით, მესოპოტამიურსა და მცირეაზიულ სამყაროებს შორის კულტურული, ენობრივი და ეთნიკური კავშირი-ნათესაობა სრულიად ბუნებრივი მოჩანს და კრაპეს თხზულ თეორიას, სირიელებისა და ლევკოსირიელების შესახებ, სრულიად უკუაგდებს.

აქვე ისიც არის მოსახსენებელი, რომ კრაპეს მტკიცებით, სირიელებისა და ლევკოსირიელების სახელწოდება წარმომდგარია მათი მთავარი ღვთაების სახელიდან[2].

არ უარვყოფთ რა მთავარი ღვთაების სახელიდან ხალხის სახელწოდების წარმომავლობის შესაძლებლობას საერთოდ, და არც ამ კერძო შემთხვევაში, ვფიქრობთ, რომ კრაპეს ანგარიში უნდა გაეწია იმისათვის, რომ ხალხის სახელდება ლევკოსირიელებად ოდითგანვე არ მომდინარეობს და იგი ისტორიის გარკვეულ ეტაპზე და გარკვეული ვითარების საფუძველზეა გაჩენილი.

როგორც უკვე იყო აღნიშნული, სახელწოდება „ლევკოსირიელები" პირველად ეფორესთანა გვხვდება და მას არ იცნობს არც ლურსმული წყაროები, არც ჰეროდოტე, არც სკილაქს კარიანდელი, არც ქსენოფონტე. ხოლო სტრაბონი პირდაპირ ამბობს კაპადოკიის სირიელებზე, რომ მათ ჩვენ ეხლა ლევკოსირიელებს ვუწოდებთო[3].

ამასთანავე, არც ერთ პირველწყაროში არ მოიპოვება რამე მასალა, რაც უჩვენებდეს, რომ სირიელები, თუ ლევკოსირიელები მთელი კაპადოკიის მოსახლეობად იგულისხმება. ამ წყაროებიდან, პირიქით, ის ირკვევა, რომ შემდგომში ლევკოსირიელებად წოდებული სირიელების ნაწილი კაპადოკიის ტერიტორიის ჩრდილოეთ მხარეში მოსახლეობს, პონტოს სანაპიროს გარკვეულ რაიონში, ხოლო სირიელების მეორე ნაწილი, კაპადოკიის სამხრეთ მხარეში—ტავრთან მოსახლეობს.

---

[1] Bedi Karthlisa (Le Destin de la Gèorgi) Revue de Karthvelologie № 5 VI—VII. No. 32—33. Paris, 1959, გვ. 77—78. აქ სასარგებლო იქნება იმის გათვალისწინება, რომ არქეოლოგიური მასალის მიხედვით, მჟღავნდება მჭიდრო კავშირი სუმერულ (შუმერულ) და ქართულ ყოფაცხოვრებას შორის. იხ საქართველოს არქეოლოგია, გვ. 99—100, 118. თბილისი, 1959 წ. ავტორთა ჯგუფის მიერ შედგენილი.

[2] ხსენ. შრ., გვ. 106.

[3] XII, 3, 9.

სტეფანოზ ბიზანტიელთან შემონახულ ჰეკატე მილეტელის ორ ფრაგმენტში (194, 350), სადაც ლაპარაკია იმაზე, რომ ქალაქები ტეირია და ხადისია

ჩვენამდე მოღწეულ ყველა წყაროში სირიელებისა თუ ლევკოსირიელების მოსახლეობა ლოკალიზებულია ქალაქების სინოპესა და ამისოსის, ამ ხალიბური სამყაროს ორი ყველაზე მნიშვნელოვანი პუნქტის, რაიონებში. ამით, ერთი მხრივ, ის არის დადასტურებული, რომ ასირიელებს აქეთკენ სწორედ ხალიბური რკინის ინდუსტრია იზიდავდა და, მეორე მხრივ, იმას აქვს ხაზი გასმული, რომ ე. წ. სირიელები და ლევკოსირიელები მხოლოდ გარკვეულ გეოგრაფიულ არეზე მოსახლეობენ და არავითარ შემთხვევაში არ წარმოიდგინებიან ისინი, როგორც მთელი კაპადოკიის მოსახლეობა.

---

ლევკოსირიელებისაა,—გამოთქმა *Λευκοσύρων* ეკუთვნის თვით სტეფანობ ბიზანტიელს და არა ჰეკატეს. განსაკუთრებით კარგად მოჩანს ეს 350-ე ფრაგმენტიდან. აქ სტ. ბიზანტიელი თავისით უწოდებს ქ. ხადისიას ლევკოსირიელების ქალაქს (იხ. **Müller**, Fragmenta historicorum graecorum, Vol. 1, გვ. 13, 28).

იმის ანალოგიური შემთხვევა, როდესაც ავტორი თავისით ხმარობს ახალ სახელს „ლევკოსირიელები" ძველი სირიელების მიმართ, მოგვეპოვება სტრაბონთან. როდესაც სტრაბონი ლაპარაკობს იმაზე, რომ პინდარეს მოწმობით, ამაზონებმა თემისკირა-ამისოსის რაიონში შექმნეს ს ი რ ი უ ლ ი ლაშქარი,—დასძენს, რომ ქ. ამისოსი (*'Αμισός*) არის ლევკოსირიელებისა (XII, 3, 9).

რომ სტრაბონი აქ ხმარობს „ლევკოსირიელებს" თავისით და არა ძველიდგან მომდინარეობისდა მიხედვით, ამას ადასტურებს თვით სტრაბონის მოწმობა, რომ სირიელები ეხლა ლევკოსირიელებად იწოდებიანო (XII, 3, 9).

და თავისთავად, სტრაბონის ეს მოწმობა, რომ სირიელები ეხლა იწოდებიან ლევკოსირიელებად, ხომ მჭევრმეტყველურად ლაპარაკობს იმაზე, რომ ეს უკანასკნელი ტერმინი გვიან არის შემოღებული.

მაგრამ ჰეკატე თუნდაც იცნობდეს ამ სახელს, იგი მაინც მის მახლობელ ხანაში უნდა იყოს წარმომდგარი, როდესაც ბერძნები მასიურად მოვიდნენ მცირე აზიაში და აქ ნახეს მოსახლეობის ერთი ნაწილი, რომელიც აბორიგენებისაგან განსხვავდებოდა და სირიის მოსახლეობას ემსგავსებოდა.

რომ სახელდება „ლევკოსირიელები" ახალი შემოღებულია და იხმარება სხვა ადგილას მოსახლე სირიელებისაგან გასარჩევად, ამას ადასტურებს ძვ. წ. IV საუკ. მწერალ **Andron Tejus**-ის მიმართ აპოლონიოს როდოსელის სქოლიასტის შენიშვნა. ამ ცნობაში ჯერ ლაპარაკია იმაზე, რომ ქ. სინოპეს სახელი წარმომდგარია ასოპის ასულის სახელიდან და მერე სწერია: „*Τὴν δέ τῶν 'Ασσυρίων χώραν Λευκοσύρων φησί καλεῖσθαι "Ανδρων ἐν τω περί Πόντου, κατα ἀντιφρασίν τῶν ἐν τῇ Φοινίκη Σύρων*". (იხ. Schol. Apoll. Rhod. II, 946; Müller, დას. შრ., II, გვ. 348.)

ძველადვე, მაშასადამე, კარგად ესმოდათ, რომ ლევკოსირიელების სახელწოდება წარმოსდგა, ერთი მხრივ, პონტოს სანაპიროსა და, მეორე მხრივ, სხვა ადგილებში მოსახლე სირიელების ერთიმეორისაგან გასარჩევად. ამით ცხადი ხდება, ამ სახელწოდების არა იმთავითვე არსებობა, არამედ შემდეგში გაჩენა, რაც უნდა ემთხვეოდეს პონტოს სანაპიროზე ბერძენი კოლონისტების დამკვიდრებას. (შდ. Th. Nöldeke, *'Ασσύριος, Σύριος, Σύρος*, ჟურნალში Hermes. Fünfter Band, Berlin, 1871 წლ., გვ. 446).

სირიელები—ლევკოსირიელები, რომ ისეთი ძლიერი და მრავალრიცხოვანი ხალხი ყოფილიყო, როგორც ეს კრამეს ჰგონია, ისინი რომ მთელი კაპადოკიის მოსახლეობას შეადგენდნენ, როგორც ზოგ მკვლევარს ჰგონია, მაშინ სად არიან ისინი და რატომ არ ჩანან ჰომეროსის ე. წ. „ხომალდთა კატალოგში“, რომელიც, თუნდაც რომ ჰომეროსის კალამს არ ეკუთვნოდეს, უძველეს დროს (როგორც ვარაუდობენ ძვ. წ. 630 წ.) უნდა იყოს შედგენილი და რომელშიაც დასახელებული არიან მცირე აზიის ხალხები, ტროადის ომში რომ მონაწილეობა მიუღიათ. ვინც არ უნდა იყოს ამ სიის ავტორი, მან, თუკი იცის შედარებით მცირე ტომები, რატომ არ იცნობს იგი ამ უზარმაზარ ლევკოსირიელებს, რატომ მათ სავარაუდებელ საცხოვრებელ ადგილზე მას ჰალიძონები ეგულება?

ცხადია, ჰომეროსმა, თუკი სიას მისი კალმის კუთვნილებად მივიჩნევთ, — თუ სხვა რომელიმე ავტორმა, — ამ თავის ცნობაში გადმოსცა სინამდვილიდან აღებული სურათი[1].

ამგვარად, არ არსებობს საფუძველი სირიელები და ლევკოსირიელები ადგილობრივ, აბორიგენულ ელემენტად მივიჩნიოთ და ისინი „კაპადოკიელების“ პარალელად, მთელი ამ რაიონის მოსახლეობის აღმნიშვნელად ვაღიაროთ. „კაპადოკიელების“ სახელწოდებაში იფარება მოსახლეობის ის მასა, რომელიც ერთ ენაზე მეტყველებს, ე. ი. აქ ოდითგანვე მოსახლე ტომები, რომელთა სამხრეთი ფრთა უჭირავთ მესხებს, ჯერ კიდევ სტრაბონის დროს რომ დიდი სივრცე ეჭირათ და მძლავრ სამყაროს წარმოადგენდნენ; ჩრდილოეთის ფრთა უჭირავთ მათ მოძმეებს, რომლებიც უწინ ხალიბების, შემდეგში კი ჭანებისა და ლაზების სახელით არიან ცნობილი და რომლებიც აქ ცხოვრობდნენ წინათაც, სტრაბონის დროსაც და შემდეგშიაც, თვით XIX საუკუნის ჩათვლით, უკანასკნელ ხანამდეც კი.

ნათქვამიდან ცხადი უნდა იყოს, რომ კრამეს თეორია სრულიად არამყარ, მოლიპულ ნიადაგზეა დამყარებული.

ის გარემოება, რომ სახელწოდება „ლევკოსირიელები“ ახალი გაჩენილია, კრამეს თეორიის წინააღმდეგ ბევრს ლაპარაკობს და ჩვენს ყურადღებას სხვა მხრივ მიმართავს.

---

[1] შდრ. თ. მ ი ქ ე ლ ა ძ ე, ქართველი ტომებისა და ბერძნული სამყაროს ურთიერთობის გენეზისისათვის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა მოამბე, № 2, გვ. 165.

რაკი პირველწყაროები არ უჭერს მხარს კაპადოკიაში სირიელთა ავტოხთონობას, წამოიჭრება საკითხი აქ მათი გარედან მოსვლის შესახებ და, მართლაც, როგორც ცნობილია, არა ერთი მკვლევარი მიიჩნევს მათ ასირიელ კოლონისტებად.

მცირე აზიაში ასირიელი კოლონისტები გაჩნდნენ, მათი სახელმწიფოს მიერ ამ მხარის დაპყრობის შედეგად.

ჰ. გელცერის მიერ სპეციალურად შესწავლილი და დადგენილია, რომ ტიგლატ პილესარისა და სარგონის ლაშქრობებში მოხსენებული ქალაქი Kui, იგივე სინოპეა, რომელიც ადრევე არსებულის ადგილას მილეტელმა ბერძენმა კოოსმა კვლავ აღადგინა, და ამისდა მიხედვით, ეს, ადრინდელთან შედარებით, სინოპე II-ედ მიიჩნევა.

თავისი გამოკვლევის ბოლოში გელცერი დაასკვნის, რომ „მას შემდეგ, რაც ტიგლატ პილესარმა მეორე Kui მოხარკედ აქცია, იგი დაიპყრო სარგონმა 715 წელს, ქალაქიცა და მისი მიდამოებიც გაამაგრა და იქ თავისი მმართველი დააყენა. ყველა ამით დაიწყო ინტენსიური ასირიული კოლონიზაცია"[1].

როგორც ზემოთ იყო მოხსენებული, ფრ. ბილაბელის მიერ დადგენილია, რომ ასირიელები ქ. სინოპეში მხოლოდ დროებით მოჩანან.

სახელდობრ, იგი წერს: „...მე ეხლა დავრწმუნდი, რომ ჩვენამდე მოღწეული ტექსტები მხოლოდ einige Generationen მოიცავს და, მაშასადამე, ჯერჯერობით მხოლოდ ერთ საუკუნეზე შეიძლება ლაპარაკი"[2].

შტროიბერის ვარაუდით, ასირიელების მიერ სინოპეს კოლონიზაცია ძვ. წ. 720 წელს განეკუთვნება, ხოლო ასიოდე წლის შემდეგ კი—630 წლიდან იქ უკვე ბერძენი კოლონისტები ჩნდებიან[3].

ბილაბელი იზიარებს ამასთანავე იმ აზრს, რომ სინოპეში არსებობდა არაბერძნული მოსახლეობაც, როგორიც არიან პომპონიუს მელას მიერ მითითებული ხალიბები[4].

---

[1] H. Gelzer, Sinope im Keiltexten. ჟურნ. Zeitschrift für Äpyptiche Sprache und Altertumskunde, 1874, გვ. 121.

[2] Fr. Bilabel, Geschichte Vorderasiens nnd Ägyptens vom 16—11 Iahrhundert v. Chr., გვ. 253.

[3] Streuber, Sinope, გვ. 40.

[4] იხ. Die ionische Kolonisation von Professor Dr. Friedrich Bilabel. Leipzig. 1920. გვ. 40.

მაშასადამე, სინოპეში სავარაუდებელია, ერთი მხრივ, ასირიელების, უფრო გვიან, კი ბერძენ კოლონისტების, და, მეორე მხრივ, ადგილობრივი (ხალიბური) მოსახლეობის არსებობა.

სინოპესა და საერთოდ შავი ზღვის სანაპიროზე ასირიელ კოლონისტთა არსებობა არა ერთი მეცნიერისაგან არის აღიარებული, თუმცა მოწინააღმდეგენიც არიან.

ამ საკითხს ყველაზე ვრცლად შეეხო ცნობილი მკვლევარი ფრ. ბილაბელი თავის წიგნში Die ionische Kolonisation.

აღნიშნულ ნაშრომში ბილაბელი ორ დებულებას აყენებს: ა) რომ სირიული მოსახლეობა არა ყოფილა სინოპეში და ბ) რომ Σύροι ადგილობრივი ხეთური ტომია.

ამასთანავე, ავტორის აზრით, სირიელები (Σύροι) და კაპადოკიელები ერთიმეორის შინაარსის გამომხატველი ცნებებია.

რომ ეს ასე არ არის, რომ სირიელებისა და კაპადოკიელების გაიგივება არ შეიძლება, ჩვენ ამაზე ზემოთ ვილაპარაკეთ, აქ კვლავ ხაზს გავუსვამთ იმას, რომ პირველწყაროებში სირიელები მთელი იმ ტერიტორიის მოსახლეობად, რომელშიაც ტრადიციულად იგულისხმება კაპადოკია,—არასოდეს არ იხსენიებიან; ისინი მოსახლეობენ კაპადოკიის (ყოველ შემთხვევაში, იმ დროიდან მაინც, როცა ეს ტერმინი ჩნდება) ჩრდილოეთით, ერთ გარკვეულ რაიონში—უმთავრესად ქ. ამისოსსა და მის რაიონში.

სწორედ ამ დროს კაპადოკიის მოსახლეობის ძირითად მასას, იმავე ჰეროდოტეს ცნობით, რომელზე დაყრდნობითაც ბილაბელს ზემოაღნიშნული დასკვნა გამოაქვს,—შეადგენენ მოსხები, ტაბალ-ტიბარენები და სხვები.. ხოლო შემდგომი ხანის ცნობებში ხომ ეს უფრო ნათლად ჩანს.

ვარაუდი, რომ ძველად „სირიელები" იხმარებოდა „კაპადოკიელების" სინონიმად და რომ „კაპადოკიელები" ცალკე ხალხი (ტომი) იყო, როგორც ამას გულისხმობენ ბილაბელიც და ვინკლერიც, რომლის მიერ წარმოებულ არქეოლოგიურ გათხრებსაც ეყრდნობა ბილაბელი,—სწორი არ არის.

„კაპადოკიელი" ხალხი, ტომი, ცალკეული ეთნიკური ელემენტი არ არსებობდა ბუნებაში[1]... ისე, როგორც არ არსებობდა და არ არსებობს ცალკეული ეთნიკური ელემენტი „ამიერკავკასიელები" (თუნდა „კავკასიელებიც").

როგორც ცნობილია, ეს ტერმინი „კაპადოკიელები" გარკვეული დროიდან (VI ს.) შემოდის ხმარებაში და აღნიშნავს მცი-

[1] ამაზე იხილე მომდევნო ნაკვეთში.

რე აზიის გარკვეულ ტერიტორიაზე მცხოვრებ სხვადასხვა ტომებს ერთობლივ და არა ერთს რომელიმე ხალხს ან ტომს. ისევე, როგორც „ამიერკავკასიელები“ არ აღნიშნავს ერთს რომელიმე ეთნიკურ ელემენტს, არამედ მოიცავს ამიერკავკასიად წოდებულ ტერიტორიაზე მოსახლე მრავალ სხვადასხვა ტომს.

როდესაც სპარსელებმა VI საუკუნეში ტერმინი კაპადოკია შემოიღეს, მაშინ იმ ტერიტორიაზე, რომელსაც ეს ახალი სახელი ეწოდა, მოსახლეობდნენ ძველი ავტოხთონური ტომები, რომელთაც საკმაოდ იცნობს ისტორიოგრაფია; ისევე, როგორც XIX საუკ. შემოღებულ იქნა ახალი გეოგრაფიული ტერმინი ამიერკავკასია,—ამ სახელით აღნიშნულ ტერიტორიაზე ცხოვრობდა ადგილობრივი, ამასთანავე, ეთნიკურად სრულიად განსხვავებული, ბევრი ტომი.

ამდენად, თვით საკითხის დაყენება იმ ასპექტში, როგორც ბილაბელთანა და ვინკლერთან დგას, უსაფუძვლოა. მაშასადამე, მცდარია მათ მიერ მიღებული დასკვნა, რომ კაპადოკიელები ხეთური ტომი უნდა იყოს[1].

როგორც აღინიშნა, „კაპადოკიელები“ არავითარ ცალკე ტომს არ წარმოადგენდნენ და მათი ამ მიმართულებით ეთნიკური გენეზისის ძებნა ამაოა. „კაპადოკია“ და „კაპადოკიელები“ გეოგრაფიული და არა ეთნიკური შინაარსის შემცველი ცნებებია.

ტერმინით „კაპადოკიელები“, როგორც ეს პირველწყაროთა შინაარსის ანალიზიდანა ჩანს, აღინიშნებოდა კაპადოკიად წოდებულ ტერიტორიაზე მოსახლე ტომები, რომელთა შორისაც ყველაზე მრავალრიცხოვანი იყვნენ: მესხები, ტაბალები, ხალიბები, ხოლო მათ გვერდით, ზოგიერთ სხვა წვრილ-წვრილ ტომებთან ერთად, ზოგადად სირიელებიც იგულისხმებიან.

ყველაფერი ის, რაც არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზე, ვინკლერმა მის მიერ ნავარაუდევ, მაგრამ სინამდვილეში არარსებულ Kappadokiches Volk-ის მიმართ გაარკვია, ამ ხალხის ავტოხთონობის თვალსაზრისით,—უნდა განეკუთვნოს კაპადოკიად წოდებული ტერიტორიის მოსახლეობის ძირითად მასას: მესხების, ტაბალებისა და ხალიბების ტომებს, რომლებიც, როგორც საერთოდ არის აღიარებული, აღნიშნულ ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ გაცილებით იმაზე ადრე, ვიდრე სახელწოდება „კაპადოკია“ გაჩნდებოდა და ამ ტომების აღსანიშნავად შემოღებუ-

[1] ხეთებსა და კაპადოკიაში მოსახლე ხალხს შორის ნათესაობის მაუწყებელი მასალა შედეგია იმისა, რომ კაპადოკიური ცხოვრების ელემენტი უხვად ძევს საფუძვლად ხეთური სამყაროს ყოფიერებას.

ლი იქნებოდა გეოგრაფიულ მომენტზე აღმოცენებული შემკრებელობითი ტერმინი „კაპადოკიელები“, რომელმაც დაფარა მათი ცალკეული სახელები.

აღნიშნულის საფუძველზე ნიადაგი ეცლება ბილაბელის ვარაუდს, რომ ფსევდო-სკიმნი Σύροι-ში გულისხმობდა კაპადოკიელებს, ე. ი. ძველ წინაბერძნულ, ალბათ, ხეთურ ტომს („die Kappadoker. d. h. ältere vorgriechische, wahrscheinlich hettitische, Stämme)[1].

სრულიად ზედმეტი ხდება აგრეთვე ბილაბელის მსჯელობა-ვარაუდი, რომ კაპადოკიის ტერიტორიაზე მოსახლე „კაპადოკიელთა“ ტომის გავლენისა და შერევის საფუძველზე უნდა გაჩენილიყო სინოპეს არემარეში მოსახლეობა, რომელიც გარეგნულად სირიის მოსახლეობას წააგავდა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ სახის ფერი უფრო თეთრი ჰქონდა, და როდესაც აქ მოსულმა ბერძნებმა ისინი ნახეს, მათ ლევკოსირიელები, ანუ თეთრი სირიელები უწოდესო[2].

ამ ხელოვნურად შექმნილ ვარაუდს უპირისპირდება ის ბუნებრივი სინამდვილე, რომ სინოპეში ძველი ასირიელი კოლონისტები მოსახლეობდნენ, რომელთაც სინამდვილეში ხედავდნენ ბერძნები და კიდევაც უწოდებდნენ მათ სათანადო ეთნიკურ სახელს— სირიელებს. ხოლო რომ აქ დიდი ხნის მოსახლე ასირიელები უნდა შერეოდნენ ადგილობრივ მოსახლეობას, რის შედეგადაც მათ შთამომავლებს უნდა სახის ფერი უფრო თეთრი ჰქონოდათ, ვიდრე სირიის მკვიდრ მოსახლეობას, — და სწორედ ამიტომ ამათ ბერძნებმა თეთრი სირიელები უწოდეს, — აგრეთვე სრულიად ბუნებრივია.

ედ. მაიერის აზრით, ბერძნებმა სინოპესა და მის მიდამოებს ასირია უწოდეს, იმის გამო, რომ მათ აქ მჭიდრო ურთიერთობა სწორედ ასირიელებთან დაამყარეს და რომ გეოგრაფიული ტერმინი კაპადოკია ბერძნებისთვის უცნობი იყო[3].

და მართლაც, ტერმინი კაპადოკია ხომ VI საუკუნეში ჩნდება და ის ვერ იქნებოდა იონიელ ბერძნებისთვის ცნობილი ერთი საუკუნით ადრე.

სინოპეში არსებული ადგილობრივი მოსახლეობა კი, რო-

---

[1] იხ. Die ionische Kolonisation, გვ. 36.
[2] ხსენებ. შრ., გვ. 38—40.
[3] Ed. Meyer, Geschichte d. Alterthums, II გვ. 456.

გორც ამას, პომპონიუს მელას ცნობაზე დაყრდნობით, თვით ბილაბელიც აღიარებს[1], და რასაც სხვა მკვლევარნი, აგრეთვე მრავალი გარემოება ადასტურებს, ხალიბებისაგან შესდგებოდა.

რაც შეეხება ბილაბელის მოსაზრებას, რომ Σύροι ადგილობრივი და ამასთანავე, ხეთური ტომი უნდა ყოფილიყო, ამაზე ის უნდა ითქვას, რომ თუკი ეს ტომი ადგილობრივად მიიჩნევა, — იგი არ შეიძლება ხეთური ყოფილიყო, რადგან როგორც დადგენილია, შავი ზღვის სანაპიროზე, არა თუ გამორიცხულია ხეთური მოსახლეობის არსებობა, არამედ ხეთების სამეფოს თავისი ძალაუფლებაც კი არ გაუვრცელებია ამ მიდამოებში[2].

ამგვარად, სირიელების საკითხი უნდა გადაწყდეს იმ ვარაუდის სასარგებლოდ, რომ ისინი მოსული კოლონისტები არიან.

მაგრამ ბილაბელი უარჰყოფს სინოპეში ასირიელ კოლონისტთა არსებობას იმ მოტივით, რომ ასირიელ მეფეთა ანალებში, რომლებსაც ულაშქრიათ ამ მხარეში, ლაპარაკი არ არის მათ მიერ სინოპეში კოლონიის დაარსებაზეო.

ვფიქრობთ, ასეთი ნეგატიური ხასიათის მოსაზრებით, ესოდენ მნიშვნელოვანი საკითხი ვერ გადაწყდება.

ჯერ ერთი, უნდა გავარჩიოთ, რომ სულ სხვაა კოლონიის დაარსება, ცალკე დასახლებული პუნქტის შექმნა და სულ სხვაა ამა თუ იმ პუნქტში კოლონისტების არსებობის საკითხი.

კოლონიის დაარსება უფრო თვალსაჩინო, ოფიციალური, სახელმწიფოებრივი აქტი შეიძლება იყოს და მაშინ, მართლაც, მოსალოდნელია, რომ იგი რომელიმე ოფიციალურ დოკუმენტში ასახულიყო... მაგრამ გვაქვს კი უფლება მოვედავოთ ვისმე, თუ ეს ასე არ მოხდა? ან შეგვიძლია წარუდგინოთ ისტორიას პრეტენზია, რატომ არ შემოგვინახა მან ყველა ასეთი ცნობა?..

ასირიის მეფეების ზემოხსენებული დოკუმენტები, რომელთა მიხედვითაც ბილაბელს თავისი ნეგატიური დასკვნა გამოაქვს, ხომ წარმოადგენენ, როგორც იგი აღნიშნავს „Siegesberichte"[3], რომლებშიაც მოთხრობილია მათ მიერ მოპოვებულ გამარჯვებებზე და რომლებშიაც არ შეიძლება ყოფილიყო ლაპარაკი რომელიმე კოლონიის დაარსებაზე იმ მომენტში: კოლონიის დაარსება არ შეიძლებოდა თანადროული ყოფილიყო გამარჯვების აქტისა... ეს მხოლოდ შემდეგში შეიძლებოდა მომხდარიყო.

---

[1] ბილაბელი, იქვე, გვ. 40.

[2] М. Максимова, К вопросу о выходе хеттов на южный берег Черного моря. ВДИ, 1948, № 4, გვ. 24—34.

[3] ბილაბელი, იქვე, გვ. 36.

რაც შეეხება იმას, რომ ხეთების სამეფოს არსებობა ხელს უშლიდა ასირიის მეფეებს შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროსკენ წინსვლაში და, მაშასადამე, მათ არ შეეძლოთ იქ კოლონია დაეარსებინათო, ამ არგუმენტს ბილაბელი თითონვე აბათილებს, აღიარებს რა ასირიელი მეფეების ლაშქრობის ფაქტს შავი ზღვის მიდამოებში.

მაგრამ, როგორც ვთქვით, უნდა გავარჩიოთ ერთიმეორისაგან კოლონიის დაარსება და კოლონისტების არსებობა.

როდესაც სინოპეში ასირიელებზეა ლაპარაკი, — ეს უსათუოდ იმას როდი გულისხმობს, რომ ის მათ მიერ დაარსებული კოლონია იყო, არამედ ეს გულისხმობს ამ პუნქტში ასირიელი კოლონისტების არსებობას,—და სწორედ ეს არის ყველაზე უფრო მართალი.

ასირიის მეფეთა მიერ შავი ზღვის სამხრეთ სანაპირო პუნქტების იარაღით დაპყრობის გარეშე, რატომ არ შეიძლებოდა იქ ასირიელი კოლონისტები გაჩენილიყვნენ, ისევე, როგორც შემდეგში იქ ბლომად გაჩნდნენ ბერძენი კოლონისტები, რომლებიც უხვად მოედვნენ სანაპიროს.

ამგვარად, სინოპეში ასირიელი კოლონისტების არსებობა გამორიცხული სრულიადაც არ უნდა იყოს, არამედ, პირიქით, ასეთ ვარაუდს არაფერი არ ეწინააღმდეგება. აკი თვით ბილაბელიც თავის სხვა ნაშრომში აღიარებს სინოპეში ასირიელ კოლონისტთა არსებობას, თუმცა მხოლოდ გარკვეულ პერიოდში, როგორც ეს ზემოთ იყო აღნიშნული.

ხოლო მცირე აზიაში ასირიელ კოლონისტების არსებობას დღეს მეცნიერება ერთხმად აღიარებს.

გ. გიორგაძის 1955 წ. დაწერილ სადისერტაციო შრომაში: „ხეთების სახელმწიფოს ჩრდილოეთითა და ჩრდილო-აღმოსავლეთით მცხოვრები ტომების ისტორიიდან (ქაშქები)“, ვკითხულობთ: „ხეთების სახელმწიფოს წარმოშობამდე რამდენიმე საუკუნით ადრე, ცენტრალური და აღმოსავლეთი მცირე აზიის რიგი რაიონებისა ასირიული სავაჭრო კოლონიებით იყო მოფენილი, როგორც უკვე მიუთითებენ სამეცნიერო ლიტერატურაში“ [1].

ასირიელთა სავაჭრო კოლონიების სხვადასხვა ტიპიც კი არსებობდა: Kárum- კოლონია „უცხო მოსახლეობას შორის დასახლებული პუნქტი“ და nabartum—„სადგური“, „ფაქტორია“ [2].

---

[1] გ. გიორგაძის სადის. შრ., გვ. 3. მითითებულია: Gelb, Inscriptions from Alischar and Vicinity. Chicago 1935.

[2] იქვე; მითითებულია ვრცელი ლიტერატურა.

გ. გიორგაძის დისერტაციის მეორე ადგილას ვკითხულობთ: „კაპადოკიური ფირფიტებიდან კარგად ჩანს, რომ მცირე აზიაში მესამე ათასწლეულის დასასრულსა და მეორე ათასწლეულის დამდეგს, ასურული ვაჭრობა დიდად ყოფილა განვითარებული. ასურელი ვაჭრები თავიანთ კოლონიებს აშენებდნენ პროტოხეთებით დასახლებულ ტერიტორიაზე და მათთან გაცხოველებული ვაჭრობა ჰქონდათ. დოკუმენტებში უამრავი მცირეაზიული გეოგრაფიული სახელია დასახელებული“[1].

ასეთი სახელები ჩამოთვლილია შრომის 162—164 გვერდებზე და ავტორი აქვე დაასკვნის: „ზემოდასახელებული ქალაქები მცირე აზიის ცენტრალურ, მისგან ჩრდილოეთითა და ჩრდილო აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიაზე არიან საძებარნი“[2].

ასირიელთა სავაჭრო კოლონიების მცირე აზიაში ბლომად არსებობის გამო, აქ მომრავლდა მათი მოსახლეობა.

გ. გიორგაძის გამოკვლევით: „კაპადოკიური დოკუმენტებიდან ჩანს, რომ II ათასწლეულის დამდეგისთვის... მცირე აზიაში უკვე ოთხი, ერთიმეორისაგან განსხვავებული ეთნიკური ჯგუფი მოსახლეობდა: პროტოხეთური, ასურულ-ბაბილონური, ხურიტული და ინდოევროპული“.[3]

სრულიად ბუნებრივად, როგორც შენიშნავს გ. გიორგაძე, „...ასურელი ვაჭრები მცირე აზიის მოსახლეობის მნიშვნელოვან მასას არ შეადგენენ“[4].

რაკი შორეულ წარსულში ასეთი ინტენსიური ხასიათი ჰქონდა ასირიელთა კოლონიზაციას მცირე აზიის ტერიტორიაზე, სრულიად ბუნებრივად შეიძლება მივიჩნიოთ ისიც, რომ მათი სავაჭრო საქმიანობა ზღვის სანაპირო პუნქტებსაც სწვდებოდა, რაც, უთუოდ, იმ დროიდანვე ხორციელდებოდა, ვიდრე ჰალისის შუა წელში ხეთების ძლიერი სახელმწიფო ჩამოყალიბდებოდა.

„Всеобщая история“-ს პირველ ტომში ვკითხულობთ: „ალბათ, ძვ. წ. უკვე მესამე ათასწლეულის შუახანის მახლობლად მცირე აზიაში ჩნდებიან აქადელი (аккадские) ვაჭრები, რომლებიც, შესაძლებელია. ჰქმნიდნენ აქ რაღაც სავაჭრო კოლონიებს

---

[1] გ. გიორგაძის სადის. შრ., გვ. 162.

[2] იქვე, გვ. 164.

[3] იქვე, გვ. 166.

[4] იქვე.

მსგავსს. ძვ. წ. მესამე ათასწლეულის დასასრულს აქადელი ვაჭრები გამოდევნეს ასირიელებმა"[1].

მერე: „ძვ. წ. II ათასწლეულის პირველ ნახევარში ასირიელ ვაჭართა კოლონიები, კერძოდ, მითანის გაძლიერებასთან დაკავშირებით, — იწყებენ დაკნინებას. ასურეთი მაშინ დროებით სუსტდება და უკვე აღარ შეუძლია უწინდებურად ხელი შეუწყოს თავის სავაჭრო კოლონიებს მცირე აზიაში"[2].

Kurt Bittel-ს ძვ. წ. 20—19-ე საუკუნეში მიაჩნია ასირიელთა კოლონიის გაჩენა კესარიიდან 20 კილომეტრის დაშორებით, რასაც ადასტურებსო „urkunden von Kültepe, Alischar und Boghazköy"[3].

ხოლო ა. დესნიცკაია წერს: „ძვ. წ. XX საუკუნეს განეკუთვნება ცნობილი კაპადოკიური ფირფიტები—კაპადოკიაში მყოფ ასირიელ ვაჭართა სავაჭრო ჩანაწერები (უძველეს ასირიულ ენაზე)"[4].

უფრო მოგვიანო ხანის შესახებაც დოკუმენტური მასალა მოგვეპოვება.

სალმანასარ III-ის (859—824) ანალებში ნათქვამია, რომ მან დაიპყრო „страну хатти до ее крайнего предела"[5].

მცირე აზიაში ასირიელთა მასიურ ჩამოსახლებაზე კი ერთ-ერთი ლურსმული წარწერა შემდეგს მოგვითხრობს.

ე. წ. „საზეიმო წარწერაში" სარგონ II (722—705) მოგვითხრობს: „... თავის დიდ გამარჯვებაზე ტაბალის მეფე ამბარისზე და მუსკების მეფე მიტაზე, ამბობს, რომ ამბარისი მთელ მის ოჯახთან და მსახურეულთან, მისი საგვარეულოს წევრებთან ერთად, ...გარეკა ასურეთში... ასირიელები, რომლებიც ჩემს ბატონობას აღიარებდნენ, მე იქ დავასახლე, დავუდგინე მათ ჩემი ნდობით აღჭურვილი პირი, ოლქის უფროსი და დაუწესე მათ ხარკი და გადასახადი"[6].

აქ აშკარაა, ლაპარაკია ასირიელთა მასიურ დასახლებაზე მცირე აზიის ტერიტორიაზე, რადგან მათ სარგონი უნიშნავს ოლ-

---

[1] Всеобщая история, ტ. I, გვ. 367.

[2] იქვე.

[3] Kurt Bittel, Grundzüge der Vor- und Frühgeschichte Kleinasiens. 2e Auflage. Tübinglin., გვ. 26.

[4] იხ. „Вопросы языкознания", 1952. № 4, გვ. 50. А. Б. Десницкая. Вопросы изучения древних языков Малой Азии и сравнительная грамматика индоевропейских языков.

[5] ВДИ, 19₅7, № 1, გვ. 264.

[6] ВДИ, 1951, № 1, გვ. 209.

ქის უფროსსა და, ამას გარდა, უწესებს ხარკ-გადასახადებს; ასეთი ღონისძიებები გამართლებული და საჭირო შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ მრავალრიცხოვანი მოსახლეობის მიმართ. ეს იყო, ასე ვთქვათ, ორგანიზებული ჩამოსახლება სირიელებისა მცირე აზიის მიწაზე, იყო სახელმწიფოებრივი ოფიციალური აქტი.

აქ ხაზგასმულია, რომ ასირიელი კოლონისტები სახლდებიან ტაბალების (და, ალბათ, მუსკებისაც) ტერიტორიაზე, იმ ტომთა მიწაწყალზე, რომლებიც ავტოხთონები იყვნენ.

ამ ფაქტის შემდეგ გასაგები ხდება, თუ ჰეროდოტე რატომ ასახელებს ფრიგიელების მეზობლებად კაპადოკიელებს, რომლებიც ელინებში სირიელებად იწოდებიან[1], და ისიც, როდესაც იგი განმარტავს, რომ კაპადოკიელები ელინებში სირიელებად იწოდებიანო[2].

ამასთანავე, აქვე აშკარად მოჩანს, რომ ჰეროდოტეს მხედველობაში სწორედ ეს ასირიელი კოლონისტები ჰყავს, ე. ი. კაპადოკიის მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილი და არა მთელი კაპადოკიის მოსახლეობა.

გასაგები ხდება აგრეთვე სტრაბონის საუბარი კაპადოკიის ტერიტორიის ორ სხვადასხვა სექტორში—პონტოსთან და ტავრთან—მცხოვრებ სირიელთა ორ შტოზე, რომელთაგანაც პირველნი ძველ ასირიელ კოლონისტებიდან მომდინარეობენ, მეორენი კი, სარგონის მიერ აქ ჩამოსახლებულთა შთამომავალნი არიან.

მოტანილი მასალის საფუძველზე შეიძლება დადასტურებულად მივიჩნიოთ, რომ:

ა) მცირე აზიის ტერიტორიაზე II ათასწლეულიდან ასირიელი ვაჭრები ავითარებენ გაცხოველებულ საქმიანობას, რაც, უთუოდ, შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროს პუნქტებსაც მოიცავდა.

ბ) ასირიელი კოლონისტები, ჩვეულებრივ, უკვე ადგილობრივ არსებულ თვალსაჩინო პუნქტებში თავსდებიან.

გ) ასირიელი მოსახლეობის არსებობა, თუმცა ადგილობრივ ტომებთან შედარებით მცირედი რაოდენობით, მცირე აზიის ტერიტორიაზე უეჭვოა.

მაშასადამე, სირიელები—ლევკოსირიელები, იქნებიან ისინი გაგებული როგორც ხეთების შთამომავალნი, როგორც ასირიელი კოლონისტების შთამომავალნი, თუ, დაბოლოს, როგორც ადგილობრივი ამორიგენული მოსახლეობა.—ერთი რამ ცხადია, რომ

---

[1] V, 49.
[2] I, 72.

ისინი არ წარმოადგენენ კაპადოკიის მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს.

საყურადღებოა, რომ პაფლაგონელების არაერთგზის მოხსენების დროს, ქსენოფონტე არც ერთხელ არ იხსენიებს სირიელებს, რომლებიც ძველი ცნობის მიხედვით (ჰეროდოტე) პაფლაგონელების მეზობლები იყვნენ.

ეს იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ სირიელები, თვით მცირე აზიის, მათი ძირითადი მოსახლეობის სავარაუდევ რაიონში, არ წარმოადგენდნენ თვალში საცემ მასას, რომ მას ქსენოფონტეს ყურადღება რითიმე მიეპყრო. ამით უნდა აიხსნებოდეს ისიც, რომ შემდგომი დროის მწერლები სირიელებს არ იხსენიებენ სტრაბონამდე, მცირე გამონაკლისის გარდა, და თვით სტრაბონსაც ეს მიკვლეული უნდა ჰქონდეს თავისი სწავლულობის მეოხებით, წიგნიერი გზით, პირველწყაროთა გამოკვლევის შედეგად.

ყველა ზემოთქმულის შემდეგ, ჩვენს ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ისტორიის გარკვეულ პერიოდში ჩნდება ხალხის ერთი კოლექტივის აღსანიშნავად სახელწოდება ლევკოსირიელები, ე. ი. თეთრი სირიელები.

კრაპე, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ფიქრობს, რომ ეს სახელწოდება ღვთაების სახელიდან უნდა მომდინარეობდეს, მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია უგულვებელვყოთ ის ფაქტი, რომ ხალხის ამ სახელწოდებას არ იცნობს პირველწყაროები ეფორემდე (405—330). მას არა ვხვდებით არც ჰეროდოტესთან და არც სხვა ვისთანმე [1].

კრაპეს თეორიით, როგორც ვნახეთ, ლევკოსირიელების ნაწილმა სამშობლო მიატოვა და სირიაში შექმნა იმპერია. მაშასადამე, უნდა ვიგულისხმოთ, რომ სამშობლოდან გასული ლევკოსირიელთა ძირითადი მასა თუ არა, უმრავლესობა მაინც; შინ კი მცირე ნაწილი უნდა დარჩენილიყო. და თუ ეს ასეა, მაშინ ეს, ადგილზე დარჩენილი მცირე ნაწილი, უკვე აღარ შეიძლება წარმოადგენდეს მთელი კაპადოკიის მოსახლეობას.

მაგრამ წარმოვიდგინოთ, რომ შინ დარჩენილი ლევკოსირიელები მაინც ბლომად იყვნენ და ქვეყნის მოსახლეობის მასას ესენი შეადგენდნენ,—მაშინ რატომ არ მოსჩანან ისინი ჰეროდო-

---

[1] სკილაქს კარიანდელის სახელით ცნობილი თხზულება, რომელშიაც ქ. ამისოსი ლევკოსირიელების ქვეყანაშია მოხსენებული, ითვლება IV საუკუნის ნაწარმოებად. იხ. ВДИ, 1947, № 3, გვ. 240.

ტესთან, რომელიც არა ერთხელ ჩამოსთვლის მცირე აზიაში და, კერძოდ, კაპადოკიაში მოსახლე ტომებს?

ლევკოსირიელებს არ იხსენიებს ჰეროდოტე არც მაშინ, როდესაც ის ქსერქსეს ლაშქრობის მონაწილე ხალხებს გვაცნობს თავისი ისტორიის VII წიგნში (VII, 61—80), არც მაშინ, როდესაც სპარსეთის მოხარკე ხალხებს ჩამოთვლის (III, 90—96); არც მაშინ, როდესაც მიდიასა და კოლხეთს შორის მოსახლეობაზე აქვს საუბარი (1, 104); არც მაშინ, როდესაც ორ ზღვათა შორის მოსახლედ ასახელებს: სპარსებს, მიდიელებს, სასპეირებს, კოლხებს და აცხადებს, რომ „ამ ოთხ ხალხს უკავია მიდამო (სივრცე) ზღვიდან ზღვამდეო“ (IV, 37)[1].

კრაპეს ვარაუდი რომ მართალი იყოს და მის მიერ ნაგულისხმევი ე. წ. ლევკოსირიელები რომ იმდენად მრავალრიცხოვანი ყოფილიყვნენ, რომ მხოლოდ სამშობლოდან გასულმა ნაწილმა იმპერია შექმნა და შინ დარჩენილნიც იმდენი არიან, რომ მთელი კაპადოკიის მოსახლეობას შეადგენენ, რატომ არ შეიმჩნევიან ესენი იმის მიერ, ვინც აქაურ ტომებს ასახელებს!

თავისთავად ცხადია, რომ ეთნიკური ელემენტი „ლევკოსირიელები“ ჰეროდოტეს დროს არ არსებობდა. ეს სახელწოდება მცირე აზიის გარკვეულ რაიონში მოსახლე ერთი ჯგუფისთვის აღმოცენებულია ჰეროდოტეს შემდგომ ხანაში.

განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ სტრაბონის მიერ მოწვდილი ცნობიდან აშკარა ხდება, რომ სახელწოდება ლევკოსირიელები ოდინდელი არ არის.

სტრაბონი, გადმოგვცემს რა, რომ ჰეროდოტე სირიელებს იხსენიებს კაპადოკიელებად, განაგრძობს: „...ეხლა მათ ეწოდებათ ლევკოსირიელები, მაშინ როდესაც ტავრის გადაღმა მცხოვრებთ ეწოდებათ სირიელები“[2].

სტრაბონის გამოთქმა, რომ ე ხ ლ ა მ ა თ ე წ ო დ ე ბ ა თ ლ ე ვ კ ო ს ი რ ი ე ლ ე ბ ი ო, ერთი მხრივ, იმაზე მიუთითებს, რომ ეს სა-

---

[1] ძნელი გასაგებია, რას ემყარება მ. მაქსიმოვა, როდესაც აცხადებს, თითქოს მოიპოვებოდეს „...совершенно определенное свидетельство Геродота о том, что греки называют сирийцами или левкосирийцами каппадокийцев“. აქ ჩვენ ყურადღებას მივაქცევთ სიტყვას „левкосирийцами“. (М а к с и м о в а, Античные города..., გვ. 40).

[2] XII, 3, 9. სტრაბონის ეს ცნობაც ადასტურებს იმას, რომ ძველი სამყარო საკუთრივ სირიასა და კაპადოკიის ნაწილში მოსახლე სირიელებს შორის გენეტიკურ კავშირს გულისხმობდა.

ხელწოდება უწინ არა ჰქონდათ სირიელებს და, მეორე მხრივ, ამ სახელწოდების წარმოშობის პერიოდზეც მიგვანიშნებს: რომ სირიელები, რომელნიც ჰეროდოტეს დროს კაპადოკიელებად იწოდებოდნენ, ეხლა ლევკოსირიელებად იწოდებიან; მაშასადამე, მათ მიმართ ეს ახალი სახელწოდება ჰეროდოტეს შემდეგი დროის მოვლენაა. და მართლაც, როგორც პირველწყაროთა განხილვამ დაგვანახვა, ამ სახელწოდებას პირველად ეფორესთან ვხვდებით.

საკმარისია ადამიანმა გულდასმით წაიკითხოს სტრაბონის თხზულების ეს პარაგრაფი, რათა დარწმუნდეს, რომ მის მიერ სირიული მოსახლეობის ერთი გარკვეული ნაწილისთვის ლევკოსირიელებად წოდება სრულიადაც შემთხვევითი არ არის და რომ მას მსჯელობა აქვს დროთა განმავლობაში შექმნილ ვითარებაზე; აქვე ის მომენტიც არის გადმოცემული, რომ სწორედ ერთსა და იმავე რაიონში მოსახლე ეთნიკური ელემენტი, უწინ რომ სირიელებად იწოდებოდნენ, ეხლა ლევკოსირიელებად იწოდებიან.

სტრაბონი არა კმაყოფილდება მარტო იმის აღნიშვნით, რომ საკუთრივ სირიაში მოსახლე სირიელები ასეთებად იწოდებიან, ხოლო მცირე აზიაში მოსახლენი კი ლევკოსირიელებად, არამედ იგი მიუთითებს იმ ფაქტორზე, რამაც გამოიწვია ახალი სახელწოდება — ეს არის მათ შორის კანის ფერის განსხვავება. უფრო მეტიც, სტრაბონს ის დეტალიცა აქვს გადმოცემული, რომ სწორედ თერმოდონტის რაიონში მობინადრე სირიული მოსახლეობის ნაწილია, ვისაც ეხლა ლევკოსირიელები ეწოდება და წინათ რომ სირიელები ეწოდებოდათ.

ეს გამომდინარეობს სტრაბონის შემდეგი სიტყვებიდან, რომელიც უშუალოდ მოსდევს კანის ფერის განსხვავებაზე საუბარს.

იგი წერს: „პინდარე ამბობს, რომ ამაძონებმა შეჰქმნეს სირიული ძლევამოსილი ლაშქარი, ამით ის ადასტურებს (სირიელთა) მოსახლეობას თემისკირაში. ხოლო თემისკირა ამისელთა, (ამისენე) კი არის ლევკოსირიელებისა"[1].

სტრაბონის ამ ნათქვამიდან ჩანს, რომ პინდარეს ლაპარაკი ჰქონია სირიელებზე, იგი არ იცნობს ლევკოსირიელებს და რომ ეს სახელწოდება ახლად არის წარმოშობილი — პინდარესა (VI—V ს.) და ჰეროდოტეს შემდეგ.

რომ არც პინდარე და არც ჰეროდოტე არ იხსენიებენ ლევკოსირიელებს, ეს მხოლოდ იმის დამადასტურებელია, რომ მათ

---

[1] XII, 3, 9; თ. ყაუხჩიშვილის გამოც., გვ. 201.

დროს ეს სახელწოდება სირიული მოსახლეობის გარკვეული ნაწილისთვის ჯერ არ არსებობდა და იგი მერე წარმოშობილი და შედეგი უნდა იყოს ბერძენთა გაცხოველებული ურთიერთობისა შავი ზღვის სანაპიროს რაიონებთან, რაც დროის აღნიშნულ პერიოდზე მოდის სწორედ.

ამასთანავე, ამ ცნობიდან კიდევ ერთი რამ გამოსჭვივის, სახელდობრ ის, რომ კაპადოკიად წოდებულ ტერიტორიაზე მოსახლე სირიული შთამომავლობის ხალხის სახელწოდება ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე იცვლება.

ჩვენს წინაშეა ერთი შემთხვევა, როდესაც სახელწოდების შეცვლა გეოგრაფიულმა ფაქტორმა გამოიწვია: VI საუკუნეში მცირე აზიის ერთ ნაწილს სპარსელებმა კაპადოკია უწოდეს, რის შემდეგაც ამ ტერიტორიაზე მოსახლე სხვადასხვა ტომები, მათ შორის სირიელებიც, აღინიშნებოდნენ საერთო, შემკრებელობითი სახელწოდებით „კაპადოკიელები", ისე როგორც ეს მოხდა შემდეგში ამიერკავკასიის მოსახლეობის მიმართ.

მეორე შემთხვევას წარმოადგენს სირიელების სახელდება ლევკოსირიელებად (თეთრსირიელებად).

რასთან უნდა იყოს დაკავშირებული ამ ახალი სახელწოდების წარმოშობა და საიდან უნდა მომდინარეობდეს იგი?

ამის გასარკვევად თვით სტრაბონი გვაწვდის საინტერესო მასალას.

ლევკოსირიელებზე ზემოთ მოტანილ ცნობას სტრაბონი ურთავს განმარტებას, რომლის მიხედვითაც მათ ეს სახელწოდება მიიღეს იმის გამო, რომ მათი კანის ფერი განსხვავდებოდა ტავრის გადაღმა მცხოვრები სირიელების კანის ფერისაგან, რაც, სტრაბონის მოწმობით, იმის შედეგი იყო, რომ კაპადოკიის ტერიტორიაზე მოსახლე სირიელები, ურთიერთშორის მოლაპარაკებისა და შეთანხმების საფუძველზე, კანს თეთრად ივარვარებდნენ[1].

სტრაბონის ეს ახსნა, რომელიც გულუბრყვილოდ გამოიყურება, გადმოგვცემს ფრიად მნიშვნელოვან სინამდვილეს, რაც ისტორიული ცხოვრების პროდუქტი იყო: საკუთრივ სირიაში, და კაპადოკიაში არსებული სირიული მოსახლეობის გარეგნობაში, საფუძვლიანი ცვლილება იყო მომხდარი, —ეს კი გამოიწვია კაპადოკიელი სირიელების ადგილობრივ მოსახლეობასთან ხანგრძლივმა ასიმილაციამ.

---

[1] XII, 3, 9.

სტრაბონის ეს ცნობა გვაუწყებს, რომ უკვე ძველადვე ესმოდათ, რომ კაპადოკიურ სინამდვილეში ცნება სირიელები რეალური წინაარსის მქონე აღარ იყო. ოდესღაც აქ არსებული უცხო ტომი უკვე იმდენად იყო გათქვეფილი ადგილობრივ მოსახლეობაში, რომ მას თავისი ოდინდელი სახე დაკარგული ჰქონდა. და ეს მოვლენა იმდენად თვალშისაცემი იყო, რომ მისი ახსნა-განმარტება საჭირო ხდებოდა.

სახელწოდება „თეთრი სირიელები“ სწორედ ამ ახალი, მოსახლეობის შერევის შედეგად წარმოშობილი, ფიზიკური ტიპის შექმნამ გამოიწვია [1].

მოსახლეობის შერევისა და მის შედეგად ახალი ფიზიკური ტიპის შექმნის პროცესი ხანგრძლივი დროის მოვლენაა, ოღონდ ჰეროდოტეს დროისთვის ჯერ არ არის მთლად გამოვლინებული, მაგრამ სულ მალე ეს მოვლენა იმდენად თვალსაჩინო გამოდარა, რომ ეფორეს მოწმობით, უკვე არსებობს სახელწოდება თეთრსირიელები. რომ ეს სახელწოდება შედარებით გვიან წარმოშობილი იყო, სწორედ ამიტომ ამბობს სტრაბონი ისინი ეხლა იწოდებიანო ლევკოსირიელებად.

პროცესი სირიელთა შემდგომი ასიმილირებისა ადგილობრივ მკვიდრ მოსახლეობასთან ისტორიის შემდგომ მანძილზე უფრო უნდა გაინტენსივებულიყო, რის შედეგადაც სირიელებმა დაკარგეს თავისი ეთნიკური სახეცა და ენაც, თუმცა იმ რაიონს, სადაც ისინი თავიდანვე მოსახლეობდნენ, მათი სახელით აღნიშვნის ტრადიცია შემდეგში კარგა ხანს შემორჩა ისტორიულ ლიტერატურაში.

ჩვენამდე მოღწეული ერთი ცნობიდან აშკარად გამოსჩანს ისიც, თუ როგორ დასრულდა სირიელთა ასიმილაცია, და ისიც, თუ ვისთან მოხდა მათი საბოლოო შერწყმა. ვგულისხმობთ იმ ცნობას, რომელიც იოანე ცეცის (XII საუკ.) კალამს ეკუთვნის და რომელიც ზემოთ იყო მოტანილი.

---

[1] ლევკოსირიელების სახელწოდების ამგვარად წარმოშობაზე Ruge ამბობს, რომ ეს მკვლევართა ნაწილმა გაიზიარა, როგორც მაგ.: Ed. Meyer, Nöldeke, Philipp, Bilabel, Robinson: Am Journ. Philolog. XXVII, 147. ხოლო ნაწილი, როგორც, მაგ., ვინკლერი და ლეონჰარდი, ამას არ იზიარებენ. იხ. RE. Leukosyroi.

ამ ცნობაში ავტორი გვამცნობს, რომ „კოლხები იწოდებიან აგრეთვე აზიელ სკვითებად და თეთრსირიელებად“[1]

როგორც დავინახეთ, საისტორიო წყაროებში მცირე აზიის ტერიტორიაზე ჯერ იხსენიებიან სირიელები და სირიელები—კაპადოკიელები (ჰეროდოტე), მერე—სირიელები—კაპადოკიელები—ლევკოსირიელები (სტრაბონი), შემდეგ, ჩვეულებრივ, თეთრსირიელები და ბოლოს კოლხები—თეთრსირიელები (იოანე ცეცი).

ხსენებული სახელწოდებანი აღნიშნავს ცალკეულ ეტაპებს სირიელთა ეთნიკური ტრანსფორმირების პროცესში.

ამგვარად, აშკარა ხდება, რომ ძვ. წ. VIII საუკუნეში და უფრო ადრეც, მცირე აზიის ტერიტორიაზე, კერძოდ, კაპადოკიაში ჩამოსახლებული ასირიელები, განიცდიან ასიმილაციას ადგილობრივ მკვიდრ მოსახლეობასთან. ასიმილაციის პროცესის ინტენსიურობაზე მიუთითებს ის გარემოება, რომ უკვე ეფორეს (IV ს.) დროს ასირიელთა (სირიელთა) ფიზიკური ტიპი სახეცვლილია და ასიმილაციის შედეგად წარმოშობილ მოდგმას უკვე უწოდებენ ახალი სახელწოდებით—თეთრსირიელები.

ასიმილაციის პროცესის გაღრმავებამ ისტორიის სივრცეზე სირიელებს მთლად დააკარგვინა საკუთარი ეთნიკური სახე და ენა და ისინი მთლიანად შეერწყნენ ადგილობრივ მკვიდრთ, თუმცა მათი სახელწოდება აქა-იქ კვლავ გამოკრთის წყაროებში. მაგრამ ეს ლიტერატურული ტრადიცია, თუ პოლიტიკური ანაქრონიზმია მხოლოდ.

ამას თვალსაჩინოდ ადასტურებს ქართული ისტორიული სინამდვილე.

როგორც ცნობილია, საქართველოში VI საუკუნეში ქრისტიანულ სარბიელზე სამოღვაწეოდ მოსულა 13 სირიელი მამა.

დ. ჩუბინაშვილი მათზე წერდა: „ისინი არ იყვნენ მესოპოტამიელნი, არამედ კაპადოკიელნი, ამიტომ რომ ძველნი მწერალნი კაპადოკიელთა რაცხამდნენ სირიელად, ან მესოპოტამიელად“[2].

---

[1] ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს, რომ თანამედროვე თურქულ სტატისტიკურ ცხრილებში იმ რაიონისათვის, სადაც ძველად სირიელებს უნდა ეცხოვრათ (ხალდია-კოლხეთის მიდამოზე), აღნიშნულია ეროვნება „სირო ქალდები“, რაც იმ შორეული წარსულის ცოცხალ გამოხატულებას წარმოადგენს, როდესაც ხდებოდა სირიელების ასიმილაცია ადგილობრივ მოსახლეობასთან.

[2] დ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, ეთნოგრაფიული განხილვა ძველთა და ახალთა კაპადოკიის ანუ ჰანეთის მკვიდრთა მოსახლეთა, გაზ. „ივერია“, 1877, №14, გვ. 10.

აკად. კ. კეკელიძის დასკვნით, მამები ქართველები არიან და სირიიდან მოსული, სადაც ისინი, მისი აზრით, საქართველოდან იყვნენ წასული სამოღვაწეოდ და მერე, მონოფიზიტელთა დევნის გამო, იძულებული გახდარან კვლავ სამშობლოსათვის მიეშურებინათ[1].

თუ გავითვალისწინებთ ყველაფერ იმას, რაც ითქვა სირიელთა ასიმილაციის შესახებ, უფრო ბუნებრივი იქნება ვივარაუდოთ, რომ 13, ე. წ. სირიელი მამა სწორედ იმ სამყაროდან იყო, სადაც სირიელთა ასიმილაციის პროცესი დიდი ხნის დამთავრებული იყო და იქაური მოსახლეობა მხოლოდ ადგილობრივი, ქართული იერის მატარებელი და ქართულ ენაზე მეტყველი იყო.

ის უფრო ბუნებრივი და სინამდვილის გამომხატველი იქნება ვიფიქროთ, რომ კაპადოკიიდან, ან თუნდა საკუთრივ სირიიდან, რომელნიც ქრისტიანობის უძველესი, ძირითადი კერები იყო, —საქართველოში მოსულიყვნენ ქრისტიანი მამები სამოღვაწეოდ, ვიდრე, პირიქით,—საქართველოდან ამ მიზნით წასულიყვნენ იქ.

კაპადოკიასთან საქართველოს მჭიდრო კავშირი ქრისტიანობის გავრცელების ასპექტში ხომ ილუსტრირებულია ისეთ თვალსაჩინო მოვლენებში, როგორიც არის კაპადოკიიდან ნინოს მოსვლა საქართველოში ქრისტიანობის საქადაგებლად, რასაც ქართლის მოქცევა მოჰყვა; ხოლო კაპადოკიელმა მხედარმა ჭაბუკმა გიორგიმ საქართველოში უწინდელი წარმართული რელიგიის მთავარი ღვთაების მთვარის კულტის ადგილი დაიმკვიდრა.

ნინო და გიორგი, ცამეტი მოღვაწე და ყველაფერი ის, რაც ისტორიამ იცის კაპადოკიასა და საქართველოს ურთიერთობაზე, მტკიცე ნიადაგს ჰქმნიან იმისათვის, რომ აღიარებულ იქნას კაპადოკიური და იბერულ-ქართული ძველი სამყაროების ეთნიკურ-კულტურული ერთიანობა.

კვლავ დასკვნის სახით რომ გავიმეოროთ, მივიღებთ, რომ „სირიელები“ და „კაპადოკიელები“ სხვადასხვა კატეგორიის ცნებებია; სირიელები არ წარმოადგენენ მთელი კაპადოკიის მოსახლეობას, არამედ ცხოვრობენ კაპადოკიის მხოლოდ გარკვეულ რაიონებში; სირიელები არ არიან აბორიგენები, არამედ ასირიული კოლონისტები, რომელთა ნაწილიც უფრო ადრეულ ხანაში მცირე აზიაში ჩნდება სავაჭრო საქმიანობასთან, ხოლო უფრო

[1] კ. კეკელიძე, საკითხი სირიელ მოღვაწეთა ქართლში მოსვლის შესახებ. ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, ტ. 6, 1926, გვ. 105.

მოგვიანებით, მათ სარგონ II მასიურად ჩამოასახლებს აქ; სირიელები (ლევკოსირიელები) მოსულ ელემენტს წარმოადგენენ და კაპადოკიის ტერიტორიაზე მოსახლე ავტოხთონურ ტომთა შორის უმცირესობას შეადგენენ; მათ არ შეუძლიათ ქვეყნის ცხოვრებას რომელიმე ასპექტში რამე კვალი დაამჩნიონ, რამე ნიშანი შესძინონ, ჯერ თავისი იმთავითვე სიმცირის გამო, შემდეგში კი იმის გამო, რომ დროთა განმავლობაში ეს მოსული ელემენტი ასიმილირებულ იქნა და ოდესღაც კუთვნილი საკუთარი ეთნიკური ნიშანთვისებანი დაკარგა, გარდა სახელისა, რომელიც აგრეთვე დროის სივრცეში იკარგება და საისტორიო წყაროების შინაარსში ესეც აღარ ჩანს.

## 5. კაპადოკიის ძველი მოსახლეობა და „კაპადოკიელთა“ ვინაობა

როგორც წინა ნაკვეთში დავინახეთ, ერთი მხრივ, სირიელები არ არიან მთელი კაპადოკიის მცხოვრებნი და, მეორე მხრივ, კაპადოკიელების სახელწოდებით აღინიშნებიან კაპადოკიად წოდებულ ტერიტორიაზე მოსახლე სხვადასხვა ტომები და არა ერთი რომელიმე ეთნიკური ელემენტი.

ეხლა გავარჩიოთ კაპადოკიაში მოსახლე ტომებისა და „კაპადოკიელთა“ ვინაობის საკითხი.

უკვე იყო ნათქვამი, რომ სპარსელებმა შემოიღეს კაპადოკიის ტერიტორიაზე არსებული მოსახლეობის აღნიშვნა კაპადოკიელებით.

მცირე აზიის იმ ტერიტორიისათვის, რომელიც ძველ წყაროებში კაპადოკიის სახელით არის ცნობილი, ეს სახელწოდება შემოიღეს სპარსელებმა მისი დაპყრობის შემდეგ. ამ სახელწოდებას არ იცნობს ლურსმული დამწერლობის ტექსტები და საერთოდ მე-6 საუკუნეზე ადრე (ძვ. წ.) გ ე ო გ რ ა ფ ი უ ლ ი ტერმინი კაპადოკია სრულიად უცნობია.

ცნობილი მკვლევარი ჰ. გელცერი წერს: „კაპადოკია, რომელიც მნიშვნელოვანი ცნობების მიხედვით, როგორც პონტოს, ისე დიდ კაპადოკიას მოიცავდა, ასირიულ წყაროებში სრულებით არა გვხვდება“[1].

---

[1] იხ. დასახ. შრ. **Kappadocien und seine Bewohner**, გვ. 14.

კაპადოკია, როგორც გარკვეული ტერიტორიის გეოგრაფიული სახელი, პირველად იხსენიება ბეჰისტუნის წარწერაში (ძვ. წ. 6 საუკ.), აგრეთვე ნაქშირუსტამის წარწერაში (ძვ. წ. 6 საუკ.).

ორივეჯერ კაპადოკია მოხსენებულია როგორც მხარე არმენიის გვერდით[1].

ამაზე ადრე ამ სახელწოდებას „კაპადოკია", საისტორიო წყაროები არ იცნობს.

პაულის ცნობილ ლექსიკონში ვკითხულობთ: „სახელი კაპადოკია მომდინარეობს სპარსელებიდან, სადაც ეს ქვეყანა აღინიშნება, როგორც Katpatuca, რაც ნიშნავს ტუხას, ანუ დუხას ქვეყანას, ე. ი. ლამაზი ცხენების ქვეყანას"[2].

ამრიგად, ძვ. წ. 6 საუკუნიდან ჩნდება ახალი გეოგრაფიული ტერმინი კაპადოკია, რომლითაც აღინიშნება ის ტერიტორია, ლურსმული წარწერების ცნობათა მიხედვით, მოსხ—ტაბალ—ტიბარენებს რომ ეკავათ.

კარგი, თუ ლამაზი ცხენების ქვეყანად სახელდება ამ მხრივ —ძვირფასი მანიშნებელია. როგორც ცნობილია, კარგი ცხენებით განთქმული იყვნენ ტაბალ-ტიბარენები. საფიქრებელია, რომ ამ ქვეყანას ხსენებული სახელი სპარსელებმა იმიტომ შეარქვეს, რომ მაშინ იქ სწორედ ეს ტომი ცხოვრობდა.

რომ ამ ქვეყანას სპარსელებმა კაპადოკია იმიტომ უწოდეს, რომ ქვეყანა განთქმული იყო, მესაქონლეობის სხვა დარგებთან, ჯიშიან ცხენების მოშენებითაც, ამაზე მიუთითებს ის ცნობა, რომ ეს მხარე ე. ი. კაპადოკია, სპარსელებს უხდიდა „...ყოველწლიურად ფულად გადასახადებს გარდა, 1500 ცხენს, 2000 ჯორს, 50.000 ცხვარს"[3].

ხოლო აქ აღნიშნული 50.000 ცხვრის ხარკი აგრეთვე კარგად ეთანხმება ძველი მწერლების ცნობას ტიბარენების ცხვარმრავლობის შესახებ.

აპოლონიოს როდოსელის (ძვ. წ. III ს.) „არგონავტიკაში" ვკითხულობთ: „ხალიბების მახლობლად ცხოვრობენ ცხვრით მდიდარი ტიბარენები"[4].

---

[1] იხ. ВДИ, № 1, 1947, გვ. 277, 279.

[2] იხ. Paulys Real-Encyclopädie der klassischen Altertumswissenschaft, ტ. X, გვ. 1911.

[3] სტრაბონი, გეოგრაფია, წ. XI, თავი XIII, 8, თ. ყაუხჩიშვილის გამოც., გვ. 183.

[4] იხ. აკ. ურუშაძე, აპოლონიოს როდოსელის არგონავტიკა, გვ. 81.

რუგე კაპადოკიაზე წერს: „ცხოველთა სამყაროდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ცხენი“ [1].

იქვე მოხსენებულია „კაპადოკიური ცხენი საუკეთესო ჯიშთა შორის“ [2].

სტრაბონი, აღწერს რა კაპადოკიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრს, თავის სამშობლო ქალაქს ამასიასა და მის მიდამოებს,—ამბობს, რომ ეს მიდამოები ხელსაყრელია ცხენებისა და სხვა პირუტყვის მოსაშენებლადაო [3].

საბჭოთა მკვლევარი რანოვიჩი წერს: „მეცხენეობა განვითარებული იყო კაპადოკიაში ჯერ ისევ ხეთების სამეფოს დროიდან და მას თვალსაჩინო ადგილი უკავია ამ მხარის მეურნეობაში“ [4].

კაპადოკიაში ცხენის მოშენებასთან უნდა იყოს დაკავშირებული ქრისტიანული ცხენოსანი რაინდის წმინდა გიორგი კაპადოკიელის ტიპის შექმნა, რაც, სხვათა შორის, გენეტიკურ კავშირში უნდა იყოს ქართული ზღაპარ-თქმულებების გმირთან, რომელიც ფრთოსან რაშზე მჯდომი, ლახვარით განგმირავს ვეშაპს და ხალხს გაუთავისუფლებს წყალს.

აქ ძალიან საინტერესო მოვლენასთან უნდა გვქონდეს საქმე: ქრისტიანულ სამყაროში წარმართული ელემენტის შეჭრა-შერწყმასთან, რის მაგალითი საქართველოში სხვაც მოიძებნება.

როგორც ცნობილია, ევმენმა 323—322 წლებში კაპადოკიაში შეაგროვა 6500 ცხენოსანი მებრძოლი, რომლითაც მან განთქმული მაკედონური ფალანგა დაამარცხა.

ო. კუდრიავცევი, მოუთხრობს რა, რომ კაპადოკია რომის არმიას აწვდიდა საკუთარ რაზმებს, ამბობს: „ძირითადად ესენი იყვნენ ცხენოსნები: კაპადოკიელი მხედრები განთქმული იყვნენ ალმოსავლეთში“ [5].

---

[1] RE. Zenter Band, გვ. 1913.

[2] იქვე.

[3] XII, 3, 39.

[4] А. Ранович, Восточные провинции Римской империи в I—III вв. გვ. 120.

კაპადოკიაში უძველესი დროიდან ცხენების გამოყენების შესახებ იხ. August Köster, Die Herkunft des Pferdes in Babylonien, მოთავსებულია: Ianus I, Festschrift für C. F. Lehman-Haupt, 1921; იხ. აგრეთვე W. S. Gwatkin, Cappadocia as a Roman procuratorial Province. The University of Missuri Studies, V, 4 (1930), გვ. 22.

[5] О. В. Кудрявцев, Каппадокия в системе римской провинциальной политики, ВДИ, 1955, №2, გვ. 63.

მაშასადამე, გეოგრაფიული ტერმინი კაპადოკია ჩნდება VI საუკუნიდან, მაგრამ იგი იხმარება გარკვეული ტერიტორიული რაიონის აღსანიშნავად: იგი წარმომდგარია აქაური სამეურნეო ცხოვრების თვალსაჩინო მომენტის—ჯიშიანი ცხენშენებლობის—საფუძველზე.

ჯერ ისევ 1903 წელს ალექსანდრე ხახანაშვილმა, პირველწყაროთა მონაცემების საფუძველზე, გამოიტანა დასკვნა, რომ: „...Каппадокия служила географической номенклатурой известной части Малой Азии, а „табаренские народности" этнографическим указателем той же части Малой Азии"[1].

ხოლო ამ „табаренские народности"-ს მიათვლის იგი ძველ ქართველ ტომებს: ხალდებს, ტაბალ-ტიბარენებს, ჭანებს, მესხებს და სხვა[2].

ერთ ადგილას კი პირდაპირ ამბობს ხახანაშვილი, რომ „სკვითთა შემოსევის ეპოქაში... ჩნდება ახალი გეოგრაფიული ტერმინი კაპადოკია, მოსხებისა და ტიბარენების უწინდელი ტერიტორიის აღსანიშნავად"[3].

სრულიად ვერ ჰპოვებს რამე დასაბუთებას ჰ. გელცერის მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომ ვითომც სახელწოდება კაპადოკია წარმომდგარია იმ ხალხის სახელწოდებიდან, რომელიც აქ უნდა გადმოსახლებულიყო საიდგანღაც, სპარსელების ძალაუფლების აქ გავრცელების შემდეგ[4].

ამას გელცერი მხოლოდ უფრო იმიტომ სთვლიდა შესაძლებლად, რომ, მისი აზრით, ამ რაიონის მოსახლეობა, ე. ი. მესხები და ტაბალები, განადგურებული იყო შემოსევების წყალობით[5].

გელცერს თავისი მოსაზრების დამადასტურებელი ვერავითარი საბუთი ვერ მოჰყავს. მართალია, ამ ტერიტორიაზე მოსახლე მესხებმა და ტაბალებმა ჯერ ასირიელების, მერე კიმერიელებისა და სპარსელების შემოსევათა დროს, დიდი ზიანი განიცადეს, მაგრამ ეს ტომები ამ მხარის ძირითად მცხოვრებლებად მაინც რჩებოდნენ.

---

[1] А. С. Хаханов, Древнейшие пределы расселения грузин по Малой Азии. 1903, Тифлис, გვ. 7.

[2] იქვე, 34.

[3] იქვე, 59.

[4] გელცერის ხსენებ. შრ., გვ. 25.

[5] იქვე.

ჰეროდოტე პირდაპირ ამბობს, რომ „...კიმერიელთა შემოსევა... არ იყო სახელმწიფოთა დაპყრობა, არამედ მხოლოდ მტაცებლური თარეში". (1, 6).

კურტ ბიტელმა, არქეოლოგიური ნაშთების მიხედვით, დაადგინა, რომ კიმერიელების შემოსევის შემდეგ, ჰალისის ორივე მხარეს მდებარე ქალაქები განვითარებასა და აყვავებას განიცდიან, შეუწყვეტლივ აგრძელებენ რა წინამორბედი ხანის კულტურას და რომ მოსახლეობის რამე მნიშვნელოვან ცვლილებას ადგილი არა ჰქონია [1]. და იქვე განაგრძობს, რომ სპარსელების მიერ დაპყრობის (546 წ.) შემდეგ, მცირე აზიაში განვითარება მშობლიურ ნიადაგზე გაგრძელდა და აქ არ მოჩანს არც სპარსელთა ჩამოსახლება, არც აქემენიდთა რაიმე გავლენა [2].

რ. ლეონჰარდის გამოკვლევით, ძვ. წ. მეორე ათასწლეულის დასასრულს, ხეთების მაგიერ კაპადოკიაში ვხედავთ ტიბარენებს (Tabal) და მოსხებს (Musci) [3].

მისივე თქმით, კაპადოკიაში რომ მე-9—7 საუკუნეებში მოსხები მოსახლეობდნენ, ეს ცნობილია [4].

მნიშვნელოვანია აგრეთვე კ. ბიტელის მეორე დასკვნა: „ამ უკანასკნელი ოცდაათი წლის გამოკვლევებმა ცხადჰყო, რომ... ნახევარკუნძულს გააჩნდა მესამე ათასწლეულიდან მაინც, თუ უფრო ადრე არა, თავისი სპეციფიკური მცირეაზიული კულტურა" [5].

მაშასადამე, ჩვენ არ მოგვეპოვება არავითარი ცნობა იმის შესახებ, რომ კაპადოკიის ძველ რაიონებში იქ ადრითგანვე არსებული ტომების (მუსკ—ტაბალ—ტიბარენები) მოსახლეობა მოსპობილიყოს შემოსევათა და აოხრებათა შედეგად... და ეს ადვილი დასაშვები არც არის... ისტორიამ რამდენი მაგალითი იცის, რომ შემოსევათა შედეგად, ამა თუ ქვეყანაში, მკვიდრი მოსახლეობა არ მოსპობილა და ხანგრძლივ ისტორიულ მანძილზე განაგრძობს არსებობას... ხოლო ქართული მოდგმის გამძლეობა საყოველთაოდ ცნობილია. ამის მშვენიერ მაგალითს იძლევა ძველი საქართველოს ის რაიონები, რომლებიც თავის დროზე უშუალოდ ემეზობლებოდნენ კაპადოკიის რაიონებს, და სადაც დღემდე ბლო-

---

[1] Kurt Bittel, Grundzüge... გვ. 97.
[2] იქვე, გვ. 103.
[3] R. Leonhard, Paphlagonia.. გვ. 290.
[4] იქვე, გვ. 295.
[5] დასახ. შრ., გვ. 115.

მად არის გადარჩენილი ქართველი მოდგმის მოსახლეობა ჭანებისა და ლაზების სახით.

მეორე მხრივ, ჩვენ არ მოგვეპოვება რამე დამადასტურებელი ცნობა არც იმის შესახებ, რომ სპარსელებს კაპადოკიად წოდებულ რომელიმე რაიონში, რომელიმე ხალხი ჩამოესახლებინოთ და ისიც იმ რაოდენობით, რომ მთელი ამ ქვეყნისთვის ახალი სახელწოდება მიეცეს.

ძველი სამყარო კაპადოკიის ტერიტორიაზე ძირითადად მესხებსა და ტაბალებს იცნობს, როგორც კარგი ცხენების მომშენებელთ.

ასეთი კარგი ცხენების პატრონი სხვა რომელიმე ხალხი, რომელსაც, გელცერის აზრის თანახმად, შეეძლო წარმოეშვა ეს სახელწოდება „კაპადოკია", არც ადრე და არც შემდეგში, ამ ტერიტორიაზე საისტორიო წყაროებმა არ იცის.

ადრინდელ საისტორიო წყაროებში, სახელდობრ, ჰეროდოტესთან, ეფორთან, ქსენოფონტესთან სრულებით არ მოსჩანს „კაპადოკიელი" ტომი.

კაპადოკიელები ჰეროდოტესთან არიან სირიელები, სწორედ ამ სირიელებს, ერთი მხრივ ელინები—და რაც მნიშვნელოვანია—თვით სპარსელებიც, ჰეროდოტეს მოწმობით, კაპადოკიელებად უწოდებენ [1].

სხვა შინაარსი ცნებას „კაპადოკიელები" ჰეროდოტესთან არ მოეპოვება; არც მათი დამახასიათებელი რამე ნიშანია მოცემული. კაპადოკიელები რომ ცალკე ტომი ყოფილიყო, თანაც ესოდენ მნიშვნელოვანი და მრავალრიცხოვანიც, რომ მას შესძლებოდა ქვეყნის ერთი რაიონისათვის თავისი სახელი მიეკუთვნებინა, —შეუძლებელია ჰეროდოტეს გამორჩენოდა და მათი არსებობა ვერ შეენიშნა... და, რაც მთავარია, მათი სახელწოდება სხვაზე (სირებზე, სირიელებზე) გადაეტანა და ეს რამოდენიმეჯერ გაემეორებინა.

ქსენოფონტეს სულ არ იცის კაპადოკიელები, როგორც რომელიმე ტომობრივი კატეგორია. იგი თვით კაპადოკიასაც მხოლოდ სამჯერ იხსენიებს, რომელთაგან უკანასკნელი შემთხვევა, როდესაც ჩამოთვლილი არიან სხვადასხვა ქვეყნის მმართველნი და მათ შორის კაპადოკიისაც, —მკვლევართა დასკვნით,—„ანაბა-

[1] ჰეროდ. I, 72, V, 49, VII, 72.

ზისის“ ძირითად ტექსტს არ ეკუთვნის და შემდგომი დროის ჩანართად ითვლება[1].

ხოლო ორ შემთხვევაში კაპადოკია დასახელებულია, ერთხელ ამ კონტექსტში: „ხოლო კიროსმა დანარჩენი ჯარით გაიარა კაპადოკია ოთხ გადასვლად 25 პარასანგად“[2]. მეორეჯერ კი: „როდესაც მამამ გაგზავნა კიროსი ლიდიის, დიდი ფრიგიისა და კაპადოკიის სატრაპად...“[3].

როგორც ვხედავთ, ქსენოფონტესათვის კაპადოკია მხოლოდ ზოგადი გეოგრაფიული ტერმინია და მისთვის ხალხი, რომელსაც ვითომ უნდა მიეცა ამ ქვეყნისათვის ეს სახელი,—სრულებით უცნობია... მის დროს კაპადოკიის მოსახლეობას შეადგენდნენ ის ტომები, რომელთა შესახებაც მან ესოდენ ძვირფასი ცნობები დაგვიტოვა.

ამგვარად, ჩვენ არ მოგვეპოვება არც ერთი პირველწყარო, რომელშიაც ლაპარაკი იყოს მოსახლეობის ისეთ რომელიმე ეთნიკურ ელემენტზე, რომელიც ამ ტერიტორიაზე სპარსელთა ბატონობის დროს უნდა მოსულიყო და ამ მხარისათვის თავისი სახელწოდება მიეცა.

პირიქით, ორივე უძველესი წყარო, ყველაზე ახლო მდგომი იმ დროსთან, როდესაც წარმოიშვა (VI საუკ.) ახალი ტერმინი „კაპადოკია (ჰეროდოტე და ქსენოფონტე), ასეთ ეთნიკურ ელემენტს არ იცნობენ და მათ მიერ ერთ შემთხვევაში იმის აღნიშვნა, რომ კაპადოკიელებში სირები იგულისხმებიან (ჰეროდოტე), მეორე შემთხვევაში კი—კაპადოკიელების, როგორც ტომის, სრულიად მოუხსენებლობა და მათს რაიმე ეთნიკურ ნიშანზე მიუთითებლობა (ქსენოფონტე), მხოლოდ იმაზე ღაღადებს, რომ ეს სახელწოდება „კაპადოკიელები“ წარმოადგენს ზედმეტ, შერქმეულ სახელს, რომლითაც სპარსელთა ბატონობის შემდეგ აღინიშნება კაპადოკიად წოდებული ტერიტორიის ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობა, უწინ და შემდეგშიც მოსხ-ტაბალებისა და ხალიბების სახელით რომ იყო ცნობილი.

მაშასადამე, ვარაუდი, სპარსელთა ბატონობის დროს, იმ ტერიტორიაზე, რომელიც მოსხ-ტაბალებსა და ხალდ-ხალიბებს

---

[1] იხ. Максимова, Ксенофонт. Анабасис, გვ. 286.

[2] 1, 2,20.

[3] 1, 9, 7.

ეკავათ, ახალი ხალხის ჩამოსახლებისა, ვისგანაც ვითომდა წარ-
მოსდგა ამ ქვეყნის ახალი სახელწოდება კაპადოკია,—გამორიცხუ-
ლად უნდა ჩაითვალოს.

ამას გარდა, არც ის მოსჩანს, რომ ე. წ. კაპადოკიელები, რომლებიც შეიძლება იფიქროს ადამიანმა, ადგილობრივ მკვიდრთ წარმოადგენენ და რომელთაგანაც, ეგების, მიიღო ამ მხარემ სახელწოდება კაპადოკია,—ცალკე, თავისთავადს, რომელიმე გარკვეულ ეთნიკურ კატეგორიას წარმოადგენენ. მეცნიერებისათვის ასეთი რამ სრულიად უცნობია...

პირიქით... ასეთი ელემენტის არსებობა არაფრით არა მტკიცდება და სწორედ ამიტომ ედ. მაიერი, ლაპარაკობდა რა კაპადოკიელებზე, აღიარებდა, რომ „ისინი ისტორიაში არასოდეს არ მოსჩანან, როგორც დამოუკიდებელი ხალხი“ [1].

კაპადოკიის ტერიტორიაზე არც უწინ და არც მერე საისტორიო წყაროები არ იხსენიებენ მუსკებისა, ტაბალებისა და ხალიბების გარდა, არც ერთ ხალხს, რომელიც ქართული ეთნიკური სამყაროს გარეშე იდგეს, თუ არ მივიღებთ მხედველობაში სირიელებსა და ლევკოსირიელებს, რომლებზედაც ზემოთ იყო ლაპარაკი და რომლებიც უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ ასირიელ კოლონისტების ნაშთს შეიძლება წარმოადგენდნენ [2].

როგორც ზემოთ დავინახეთ, ასირიელი კოლონისტები ჩნდებიან სინოპეში, რომელიც ადგილობრივი მოსახლეობის მიერ იყო შექმნილი. აქაური ადგილობრივი მოსახლეობა კი ხალიბთა ტომს ეკუთვნოდა, რასაც, სხვა გარემოებასთან ერთად, თვით ქალაქის ქართული სახელწოდება ამჟღავნებს.

სხვა ქართველი ტომების მოსახლეობაც ამ უძველეს დროსვე ზღვის სანაპიროს აღწევდა.

ეს ჩვენ დადასტურებული გვაქვს შემდგომი დროის წყაროებითაც, სადაც შავი ზღვის სანაპიროს მცხოვრებად იხსენიებიან, ხალიბებთან ერთად, ტიბარენები, მოსინიკები, კოლხები.

განსაკუთრებით საყურადღებოა ჩვენთვის ტიბარენები.

როგორც ცნობილია, ტაბალი და ტიბარენები ერთსა და იმავე ტომს წარმოადგენენ [3].

---

[1] დასახ. შრ. გვ. 19.

[2] მოხსენებულია წყაროებში აგრეთვე გიმირი, რომელიც, როგორც ჩვეულებრივ ფიქრობენ, შეიძლება იყოს კიმერიელთა უმნიშვნელო ნაშთი.

[3] იხ. H. Gelzer, Sinope in den Keiltexten, გვ. 117, ს. ჯანაშია, ენიმკის მოამბე, ტ. 1.

აღნიშნულ ტომებს იქვე იხსენიებს ქსენოფონტე.

აგრეთვე აპოლონიოს როდოსელი (ძვ. წ. III ს).[1]

ჯერ ისევ ივ. ჯავახიშვილი წერდა: „...ტაბალებს სწორედ ის მიწები ეჭირათ, რომელსაც შემდეგ დიდ კაპადოკიას ეძახდნენ“[2]. მკვლევარს ეს დასკვნა გამოაქვს ასირიული წყაროების საფუძველზე.

აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ ადგილას ჩამოყალიბდა ახალი სახელმწიფო. ეს შეიქმნა მომავალი ძლიერი პონტოს სამეფოს კერა, რომელსაც უკანასკნელი სახელწოდება—პონტოს სამეფო—გვიან მიეკუთვნა და ძველ წყაროებში კაპადოკიად იხსენიება.

პოლიბიოსი ჯერ არ იცნობს პონტოს სამეფოს, მას იგი უწოდებს სახელმწიფოს „კაპადოკია ევქსინის პონტოსთან“. (Καππαδοκία ἡ περὶ τόν Εὔξεινον)[3].

ედ. მაიერის თქმით: „ტაბალები შეადგენენ მთელი შიდა კაპადოკიის მოსახლეობას“[4].

თითქოს ნათელი უნდა იყოს, რომ „კაპადოკიელებს“, როგორც ცალკე ეთნიკურ ელემენტს, ძველი სამყარო არ იცნობს. ამ სახელწოდებით ძველი წყაროები იხსენიებენ იმ ქვეყნის მოსახლეობას, რომელსაც სპარსელებმა კაპადოკია უწოდეს, იმის გამო, რომ აქაური მოსახლეობა განთქმული იყო კარგი, ჯიშიანი ცხენების მოშენებით.

მაშინდელ სამყაროში კარგი ცხენების მომშენებლად ტაბალები ითვლებოდნენ, რომლებიც სწორედ ამ ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ, სპარსელებმა რომ კაპადოკია უწოდეს.

ამგვარად, კაპადოკიელებში ყოველთვის ეს ტაბალები და მისი მონათესავე სხვა ძირითადი ქართველი ტომები იგულისხმებიან, ამ ტერიტორიას რომ ფლობდნენ ისტორიულად, რომლებზედაც ეს ახალი სახელწოდება დამპყრობლებმა მექანიკურად გაავრცელეს.

შემდგომი დროის წყაროებშიც, თუ სადმე მოხსენებულია გეოგრაფიული ტერმინი კაპადოკია, ამ ტერმინით აღნიშნულ ტერიტორიაზე, ჩვეულებრივ, იგივე ტომები არიან ჩამოთვლილი და ბრსად არის ლაპარაკი კაპადოკიელთა როგორც ცალკე ტომზე.

---

1 არგონავტიკა, II.

2 ქართვ. ერის ისტ., წ. I, გვ. 404.

3 Polyb., V, 41, 1; ედ. მაიერის ხსენ. შრ. გვ. 2.

4 იქვე, გვ. 13.

მაშასადამე, ცხადი ხდება, რომ როდესაც ამ მხარეზე გამარჯვება წილად ხვდათ სპარსელებს, მათზე პირველი ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა აქაურმა ჩინებულმა ცხენებმა, რომლებსაც საჭიროებდა მათი არმია, და ქვეყანას შეარქვეს კაპადოკია. მერე, ბუნებრივად, ეს სახელი გავრცელდა მთელი მხარის მოსახლე ტომებზე.

სწორედ ამ ზოგად გეოგრაფიული მნიშვნელობით აქვს ნახმარი სტრაბონს „კაპადოკიელები“, როდესაც იგი პონტოს სანაპიროს მოსახლეობის შესახებ მოგვითხრობს და ამბობს, რომ პაფლაგონელების მერე ცხოვრობენ „...კაპადოკიელთაგან ისინი, რომლებიც პონტოსთან ცხოვრობენ, და მათ შემდეგ ისინი, რომლებიც კოლხიდამდე არიან“[1].

როგორც სხვა წყაროებით ცნობილია, ამ მიდამოებში მთელი ისტორიის მანძილზე, და თვით სტრაბონის დროსაც, ქართველი ტომები ცხოვრობდნენ. კ ა პ ა დ ო კ ი ე ლ ე ბ ა დ  ს წ ო რ ე დ  ე ს ე ნ ი  ა რ ი ა ნ  წ ო დ ე ბ უ ლ ი. მაგრამ აქაური მოსახლეობის აღსანიშნავად ტერმინი კაპადოკია შედარებით გვიან შემოდის ხმარებაში.

ჩვენ ვნახეთ, რომ ეს ტერმინი ჰეროდოტეს დროს ბერძნებისათვის უცხო იყო და ჰეროდოტე იძულებულია იგი განმარტოს.

ამ ტერმინს ვერ მოუხერხებია დამკვიდრება ვერც ჰეროდოტეს შემდეგ. მას არ იცნობს ძვ. წ. IV საუკუნის ისტორიკოსი ეფორე (დაახლ. 405—330 წლ. ცხ.), რომელმაც პირველმა დაწერა „მსოფლიო ისტორია“.

სტრაბონი გაკვირვებას გამოსთქვამდა, რომ ეფორე კაპადოკიას არც კი იხსენიებს[2].

შემდეგში „კაპადოკია“ უკვე ჩვეულებრივ გეოგრაფიულ ტერმინად იქცევა და სტრაბონი ხმარობს დანაწევრებულადაც კი: ზემო და ქვემო კაპადოკიის, ზემო და ქვემო კაპადოკიელების აღნიშვნით, რომ კაპადოკიელების ერთი ნახევარი ტავრთანა ცხოვრობს, მეორე—პონტოსთან[3].

ამასთანვე, იგი ამ ქვემო კაპადოკიას „დიდ კაპადოკიას“ უწოდებს[4].

---

[1] წ. XII, თავი III, 2, თ. ყაუხჩიშვილი, გვ. 201.
[2] XIV, თ. 5, 24, თ. ყაუხჩიშვილი, გვ. 222.
[3] იხ. წ. XVI, 1, 2, წ. XIV, 5,24, წ. XI, თავი 12, 2, წ. XII, თავი I, 3.
[4] წ. XII, თავი II, 11.

გარდა ამისა, იგი პონტოსა და კაპადოკიას შორის საზღვარსაც ასახელებს,—ტავრის პარალელურ მთაგრეხილს [1].

ზემო კაპადოკია მოხსენებულია აგრეთვე ძვ. წ. პირველი საუკუნის მოღვაწის პოსიდონიოს აპამეელის (ანუ როდოსელის) „ისტორიაში“ [2].

სტრაბონი თითონაც ხედავდა, რომ კაპადოკიად წოდებულ ტერიტორიაზე მობინადრე მისი დროინდელი მოსახლეობა ეთნიკურად ერთფეროვან მთლიანს წარმოადგენდა.

საკუთარ დაკვირვებას იგი უპირისპირებს ძველ მწერალთა წარმოდგენას—კაპადოკიაში სხვადასხვა ტომთა მოსახლეობის შესახებ (წ. XII, თავი 1, 2) და განცვიფრებული ამბობს: „რადგან არ შეიმჩნევა არავითარი განსხვავება ამ ხალხების ენასა და ზნეჩვეულებებში,—დანარჩენ კაპადოკიელებთან,—გასაკვირია, როგორ წაიშალა სრულიად მათი სხვადასხვა ტომობრიობის ნიშანიო“ [3].

სტრაბონის ეს ცნობა ადასტურებს, რომ ვარაუდი სირიელების ადგილობრივ მოსახლეობასთან ასიმილირების შესახებ, რაზედაც ზემოთ ვილაპარაკეთ, სწორია.

კაპადოკიაში სხვადასხვა ტომთა მოსახლეობაზე ლაპარაკის დროს, სტრაბონს ძირითადად ძველ წყაროთა სირიების (სირიელების) შესახებ ცნობები უნდა ჰქონდეს მხედველობაში.

სტრაბონის ამ ცნობიდანაც ის გამოსჭვივის, რომ „კაპადოკიელები“ საერთო სახელწოდება იყო იმ ხალხისა, რომელიც დიდი ხანია აქ ცხოვრობდა, ერთ ენაზე მოსაუბრე იყო, საერთო ზნეჩვეულებები ჰქონდათ. სხვა წყაროების მოწმობით, ასეთებად ძველი ქართველი ტომები აღინიშნებიან.

ამასთანავე საყურადღებოა სტრაბონის ამ ცნობაში ის გარემოება, რომ იგი კაპადოკიელთა მოსახლეობას იცნობს პაფლაგონელთა მეზობლად.

ზევით დადგენილი იყო, რომ ყველა პირველწყარო პაფლაგონელთა აღმოსავლეთის საზღვრად მდ. ჰალისს მიიჩნევდა. მაშასადამე, კაპადოკიური მოსახლეობის დასავლური ფრთა ამ მდინარის ირგვლივ არის საგულისხმებელი. ამგვარად, პირველ საუკუნეში კიდევ იყო შესაძლებელი იმის დადასტურება, რომ მდ. ჰალისზე და მის დასავლეთითაც ქართველი ტომების მოსახლეობა იყო.

---

[1] წ. XII, თავი III, 10, იხ. აგრეთვე წ. XII, თავი 1,4.
[2] ВДИ, 1947, № 3, გვ. 314.
[3] იქვე.

ჩვენამდე მოღწეული საისტორიო წყაროები კაპადოკიაში ძვ. წ. IV—III საუკუნეებში ჯერ ისევ ძირითად მოსახლეობად ტიბარენებს გვისახელებს (ქსენოფონტე, აპოლონიოს როდოსელი).

მეცნიერის ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ძველი დროის IV—III საუკუნეების ჩათვლით, ამ მხარეთა და ტომთა შესახებ თითქმის მხოლოდ ისეთი ცნობები გვაქვს შემორჩენილი, რომლებიც შენახულია ზღვაზე, ან ზღვის სანაპირო ზოლზე მოგზაურთა თხზულებებში და, ამდენად, იქ შიდა რაიონებზე ლაპარაკი არ არის. რაც შეეხება ქსენოფონტეს, ამანაც ხომ მხოლოდ გარკვეული მიმართულებით, შედარებით ვიწრო ზოლზე, გაიარა ამ რაიონებში.

მაშასადამე, ამ შიდა რაიონების შესახებ ჩვენ უშუალო ცნობები არ გაგვაჩნია, მაგრამ რადგანაც ვიცით, რომ ასირიული ხანის დასახელებულ ტომთა მოსახლეობა ზღვის სანაპირომდე მიდიოდა და მათ იქვე იხსენიებენ შემდგომი დროის წყაროებიც, ჩვენ არა გვაქვს საბუთი ვივარაუდოთ, რომ ქვეყნის შიგნით ამოწყდა მათი მოდგმა და მხოლოდ სანაპირო ზოლზეღა გადარჩა.

ელინისტური დროის ჩვენამდე მოღწეული მწირი წყაროები კი, დასახელებული ტომების ამ რაიონში კვლავ სიმრავლეს აღნიშნავენ.

უსახელო Periplus-ში, რომელიც მის ავტორს (ცხოვრ. ახ. წ. V ს.) შეუდგენია ძველი, მათ შორის ელინისტური პირველწყაროების საფუძველზე, — ფრიად საინტერესო ცნობაა დაცული.

იქ ვკითხულობთ: „...პონტოს სამეფო ბარბაროსებისა ტიბარენიაში, ჭანიკეში და კოლხიდაში“[1].

ხოლო სტეფანოზ ბიზანტიელი კი გადმოგვცემს, მენაპე პერგამელზე (1 საუკ. გეოგრაფოსია) დაყრდნობით, რომ პონტოს სამეფო აღწევს: „...ტიბარენიამდე, ქალდიამდე და სანიკემდე“[2].

ეს ცნობები, რომლებიც სხვა ასპექტშიაც იყო გამოყენებული ცხადჰყოფენ, რომ პონტოს სამეფოს ძირითად მოსახლეობას ტიბარენები, ჭანები (ანუ ხალდები) და კოლხები შეადგენდნენ. პონტოს სამეფო კი სრულიადაც ზღვის სანაპირო ზოლის სახელმწიფოს არ წარმოადგენდა მხოლოდ. პირიქით, იგი ხმელეთის შიგ-

---

[1] იხ. Periplus, 55/14, ВДИ, 1948, № 4, გვ. 231. აქ ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ პონტოს სამეფო იწოდება ბარბაროსთა სამეფოდ, რაც გამორიცხავს იმ ვარაუდს, რომ ჰეგემონობა იქ ბერძნებს ეკუთვნოდათ.

[2] იხ. ს. ყაუხჩიშვილი — Georgica, ტ. III, გვ. 288.

ნით წარმოიშვა და ზღვის სანაპიროსაკენ თანდათან გაიკვლია გზა და თავის ხელქვეით მოაქცია იგი.

მართალია, პონტოს სამეფოს დედაქალაქი და უმნიშვნელოვანესი ცენტრები შემდეგ ხანაში სწორედ ზღვის სანაპიროზე მდებარეობდნენ (სინოპე, ამისოსი, ტრაპიზონი), მაგრამ მის ძირითად კერას ხმელეთის შიგნითა რაიონები წარმოადგენდა (ამასია, გაძიურა).

მაგრამ კაპადოკიის მოსახლეობისა და, კერძოდ, „კაპადოკიელთა" კონკრეტული შინაარსი დგინდება შემდგომი დროის წყაროებითაც.

სტრაბონისდროინდელი კაპადოკიის ერთ ენაზე მოსაუბრე ელემენტს ხალდები—ჭანები, ლაზები, მესხები, ტიბარენები შეადგენდნენ.

როგორც ვნახეთ, პირველი საუკუნეების ცნობით, პონტოს სამეფო ტიბარენების, ქალდების, სანიკების (ჭანების), კოლხების მიწაწყალზეა.

ბიზანტიელი მწერლების ცნობით, VI საუკუნეში აქ ძლიერი ტომია ჭანების.

VIII საუკუნეში ბიზანტიელებმა აღნიშნულ მიწაწყალზე შექმნილ ადმინისტრაციულ-სამხედრო ოლქს ხალდიის თემა უწოდეს.

ტრაპიზონის იმპერიის დასავლეთ სექტორის მოსახლეობის ძირითად ნაწილს ჭანები—ხალდები შეადგენენ, ხოლო თურქების მიერ ეს სექტორი, რომლის დასავლეთი საზღვარიც მდ. ჰალისია და მთავარი ქალაქი კი ამისოსი (სამსუნი), ჭანიკის ოლქად იქნა წოდებული.

მოტანილი ცნობები, ერთი მხრივ, იმაში გვარწმუნებს, რომ აღნიშნული ტომები მუდამ აქ ცხოვრობდნენ და, მეორე მხრივ, რომ კაპადოკიის მოსახლეობა სწორედ ამ ტომებისაგან შედგებოდა. „კაპადოკიელების" კონკრეტული ეთნიკური შინაარსი ამ ტომთა ზოგადი სახელია.

ამასთანავე, განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ ე. წ. სირიელები და ლევკოსირიელები, „კაპადოკიელების",—კაპადოკიის მოსახლეობის კონკრეტული შინაარსის გახსნის დროს,—არსად არ მოსჩანან, ისინი სრულებით არსად ამჟღავნებენ თავის თავს.

ჰ. გელცერმა, რომელიც სპეციალურად იკვლევდა ძველი კაპადოკიის მოსახლეობის საკითხს, ლურსმული დამწერლობის წყაროების მიხედვით, დაადგინა, რომ ასირიელთა შემოსევების დროს,

კერძოდ, ტიგლატ-პილასარის ლაშქრობის დროს (1100 წ. ძვ. წ.) „მუსკები მოსახლეობდნენ შემდეგი დროის პონტოს სამეფოში“ [1].

მერე აზუსტებს მათ საცხოვრებელ ადგილს და მიუთითებს მაძაკაზე კაპადოკიაში.

იგი ამბობს: „ამ ხალხის საცხოვრებელი ადგილი გაცილებით სამხრეთით უნდა ვეძიოთ და სრულიად თამამად მივიჩნიოთ ასეთად Μαζάκα და Μαζακῆναι კაპადოკიაში“ [2].

ამავე ადგილებში გელცერს შემდეგ ხანაში ტაბალები ეგულება: „შემდგომი მეფეების დროს ამ მიდამოებში უპირატესობას მოიპოვებს ტაბალის ტომი“ [3].

აქაც მერე აზუსტებს და ამბობს, რომ ტაბალების საცხოვრებელი ადგილი უნდა კაპადოკიაში ვეძებოთ: „ისინი ჩვენ უდავოდ დიდ კაპადოკიაში უნდა ვეძიოთ“ [4].

მაშასადამე, ტიგლატ-პილასარისა და მის მომდევნო დროს კაპადოკიაში მესხები და ტაბალები ცხოვრობდნენ.

სწორედ მოსახლეობის ამ ძირითად მასას უნდა გულისხმობდეს სტრაბონი, როდესაც შემდეგს მოუთხრობს: „...კაპადოკიაც რამდენიმე ნაწილისაგან შედგება და ხშირ ცვლილებებს განიცდიდა. ერთ ენაზე მოლაპარაკენი არიან განსაკუთრებით ისინი, ვინც შემოსაზღვრულნი არიან სამხრეთისაკენ ე. წ. კილიკიის ტავრით, აღმოსავლეთისაკენ არმენიით, კოლხიდით და მათ შორის მოსახლე სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ტომებით, ჩრდილოეთისაკენ ევქსინით, ვიდრე ჰალისის შესართავებამდე, დასავლეთით პაფლაგონიელთა ტომით“ [5].

სტრაბონი იქვე, ცოტა ქვემოთ, ეხება რა იმას, რომ კაპადოკია ათ საგამგებლო ერთეულად იყო გაყოფილი, კვლავ ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ კატაონიასა და მელიტენეს, აგრეთვე დანარჩენ კაპადოკიელთა შორის „არ შეიმჩნევა რაიმე განსხვავება ამ ხალხთა ენასა და ზნეჩვეულებაში“. [6]

---

[1] იხ. ჟურნ. Zeitschrift für Ägypt. Sprache..., 1875 წ. გვ. 14.

[2] იქვე.

[3] იქვე.

[4] იქვე, გვ. 15.

[5] წ. XII, თავი I, 1; თ. ყაუხჩიშვილის გამოცემა, გვ. 199.

[6] XII, თავი 1, 2.

სტრაბონის ეს ცნობა მრავალმხრივ არის საინტერესო და პირველ ყოვლისა კი ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ სტრაბონი კაპადოკიის ძირითად მოსახლეობას არ იხსენიებს „კაპადოკიელთა“ სახელწოდებით, მაშინ, როდესაც ბუნებრივი იყო ეთქვა, რომ მას ლაპარაკი აქვს კაპადოკიელ ტომზე, თუკი ასეთი იქნებოდა.

ვფიქრობთ, ეს კიდევ ერთი საბუთია იმის ცხადსაყოფად, რომ კაპადოკიელები—როგორც ცალკე თავისთავადი ტომი, თავისი რამე დამახასიათებელი ატრიბუტით: ტომობრივი სახელობა, ენა, მეურნეობა, კულტურა,—არ მოჩანს.

ისიც ცხადია, რომ სტრაბონის ცნობაში ლაპარაკია კაპადოკიად წოდებული ტერიტორიის მოსახლეობის იმ მასივზე, რომელსაც შეადგენდნენ მოსხ—ტაბალ—ტიბარენები და ხალიბები, ისინი ვინც აქ ცხოვრობდნენ ასირიელთა ბატონობის დროს,—როგორც ამას ადასტურებს ლურსმული წყაროები,—ცხოვრობდნენ სპარსელთა ბატონობის დროს,—როგორც ამას ადასტურებს ჰეროდოტე, ამბობს რა, რომ კასპიის ზღვიდან შავ ზღვამდე ოთხი დიდი ხალხი, მათ შორის სასპეირები და კოლხები ცხოვრობენო[1], როგორც ამას ადასტურებს შემდგომი ხანის მწერალთა ცნობები[2].

განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ აღნიშნულ ტომთა მოსახლეობა, სტრაბონის ამ ცნობის თანახმად, ჩრდილო-დასავლეთით მდ. ჰალისის შესართავამდე აღწევდა, რომლის იქითაც სინოპე მდებარეობდა. ამით კვლავ ხაზი აქვს გასმული ამ ტომთა ოდითგანვე ამ მიდამოებში ცხოვრებას, რაც ძველ წყაროებში არა ერთხელ არის აღნიშნული.

ფრიად საყურადღებო გარემოებაა, რომ ჰეროდოტე, როდესაც ჩამოთვლის ქსერქსეს ელადაზე ლაშქრობის მონაწილე ხალხებს და ახასიათებს თვითეული მათგანისათვის დამახასიათებელ შეიარაღებას, კაპადოკიად წოდებულ ტერიტორიაზე ასახელებს: ხალიბებს,[3] მოსხებს, ტიბარენებს, მაკრონებს, მოსინიკებს და თანაც დასძენს, რომ ტიბარენები, მაკრონები და მოსინიკები მოსხების მსგავსად იყვნენ შეიარაღებულნი.[4] ამასთანავე, მოსხებსა და

---

[1] IV, 37.

[2] ეფორე (ძვ. წ. IV ს.), შესაძლებელია, ლიკოფრონი (ძვ. წ. III საუკ.), პომპონიუს მელა (ძვ. წ. I), პერიპლუსები.

[3] VII, 76.

[4] VII, 78.

ტიბარენებს ერთი საერთო წინამძღოლი (სარდალი) ჰყავდათ; მაკრონებსა და მოსინიკებსაც ერთი პირი სარდლობდა[1].

ჰეროდოტესვე ცნობით, მოსხები, ტიბარენები, მაკრონები, მოსინიკები და მარები ერთად შეადგენდნენ სპარსეთის სახელმწიფოს მე-19 საგადასახადო ოლქს.[2].

აღნიშნულ ტომთა მოსახლეობა ამ უძველეს ცნობაშიც ამ რაიონის ძირითად, კომპაქტურ, ტომობრივად ერთფეროვან მასად გამოიყურება.

ჰეროდოტეს ამ ცნობაში სრულიად არაფერია ნათქვამი ე. წ. კაპადოკიელებზე, რომლებმაც, თითქოს, ამ მხარეს სახელწოდება მიანიჭეს[3].

ზოგი მეცნიერის მიერ ნავარაუდევი კაპადოკიელები რომ მართლაც არსებულიყვნენ, როგორც ირანული ტომი, რომლისაგანაც ამ მხარემ სახელწოდება მიიღო, მათი სახე პირველყოვლისა სწორედ აქ უნდა გამოჩენილიყო, აქ ისინი წამყვან ძალას უნდა წარმოადგენდნენ და სხვებისთვის, სახელდობრ, ძველი ქართული ტომებისათვის, თუკი ისინი მოსპობილი იყვნენ, ადგილი აღარ უნდა დარჩენილიყო. ჰეროდოტე ხომ გარკვევით ამბობს, რომ დარიოსმა, დაჰყო რა თავისი სამეფო ოც სამმართველო ოლქად, ანუ სატრაპიად: „... მან მთავარ ეროვნებათა მიხედვით განაწესა გადასახადები. ამასთანავე, თვითეულ ხალხზე მითვლილი იყო მოსაზღვრე ახლო მეზობლები, უფრო შორეული რაიონების მოსახლეობა კი განაწილებული იყო სხვადასხვა ეროვნებათა შორის“[4].

ამისდა მიხედვით, „კაპადოკიელთა“ ტომი ერთი რომელიმე ერთეულის ძირითად ეროვნულ ბირთვს მაინც უნდა წარმოადგენდეს. სინამდვილეში კი ეს—ე. წ. „კაპადოკიელები“ სრულებით არა ჩანან არც შეიარაღებულთა და არც ხარკის გადამხდელთა შორის. არ ჩანან იმიტომ, რომ ჩამოთვლილი არიან ხალხები და არა გეოგრაფიული რაიონები, ხოლო „კაპადოკია“ გეოგრაფიულ მომენტს აღნიშნავდა.

---

[1] VII, 78.

[2] III, 94.

[3] ისევე არაფერია ნათქვამი სირიელებზე, რომლებიც ზოგიერთის წარმოდგენით, მთელი კაპადოკიის მოსახლეობას შეადგენდნენ.

[4] III, 89.

მხოლოდ პირველ შემთხვევაში ჰეროდოტე მათ იხსენიებს, მაგრამ ამ კონტექსტიდან აშკარაა, რომ „კაპადოკიელები", როგორც ასეთნი, ცალკე ტომს არ წარმოადგენენ.

სახელდობრ, აღწერს რა პაფლაგონელების შეიარაღებას, ჰეროდოტე დასძენს: „სირიელებიც ასევე იყვნენ შეიარაღებულნი, როგორც პაფლაგონელებიო"[1] და იქვე განმარტავს: „ეს სირიელები სპარსელების მიერ კაპადოკიელებად იწოდებიანო"[2].

აი, ვინ არიან ამ უძველესი დროის კაპადოკიელები.

კაპადოკიელებს სრულებითაც არ მოიხსენიებდა ჰეროდოტე იმ ასპექტში, რომელშიაც ის ხალხებს ჩამოთვლის, მაგრამ ეს მას დასჭირდა იმის განსამარტავად, რომ იმ ხალხს მცირე აზიაში, რომელსაც ბერძნული სამყარო სირიელების სახელით იცნობს, ეხლა სპარსელები კაპადოკიელებს უწოდებენო. რაც იმის შედეგად მოხდა, რომ სპარსელებმა ეს სახელწოდება გაავრცელეს (VI ს.) ყველა იმ ხალხებზე, რომლებიც ცხოვრობდნენ იმ ტერიტორიაზე, მათ რომ კაპადოკია უწოდეს.

აი, ეს არის და ეს. ამით ამოიწურება ცნობა „კაპადოკიელების" შესახებ, როგორც შეიარაღების, ისე ხარკის გადახდასთან დაკავშირებით თხრობაში, რომელშიაც სპარსეთის სახელმწიფოს ყველა ქვეშევრდომი ხალხია დასახელებული.

ამგვარად, ირკვევა, რომ ცნება „კაპადოკიელები" არავითარი დამოუკიდებელი შინაარსის შემცველი არ არის; რომ იგი აღნიშნავს კაპადოკიად წოდებულ ტერიტორიაზე მოსახლეობას საერთოდ, და ჰეროდოტესთან კი, ამ მოსახლეობის ერთ-ერთ ტომს სირიელებს. მაგრამ ეს სირიელებიც თავის მხრივ რაიმე მნიშვნელოვან ელემენტს არ წარმოადგენენ. არც შეიარაღების და არც ხარკის გადამხდელთა შორის ისინი მთავარ ეროვნებას არ წარმოადგენენ და მხოლოდ სხვებში არიან გათქვეფილნი მაშინ, როდესაც, მაგ., მოსხ-ტიბარენები, მაკრონები და მოსინიკები ცალკე ოლქად არიან გაერთიანებული და ამ მხარის ძირითად ეროვნებას, აქაური მოსახლეობის მთელს ერთფეროვან სიმრავლეს შეადგენენ.

---

[1] VII, 72.

[2] იქვე.

ყურადღებას იპყრობს ის გარემოებაც, რომ ორივეჯერ — შეიარაღებასა და ხარკთან დაკავშირებით—სირიელები მოხსენიებული არიან პაფლაგონელების გვერდით, შეიარაღებული არიან მათ მსგავსად და ხარკს იხდიან მათთან ერთად[1].

ამით მითითებულია ის რაიონი, სადაც სირიელები მოსახლეობდნენ და აშკარაა, რომ ეს ტერიტორია მცირე ფარგლებით არის შემოზღუდული. ხოლო ის გარემოება, რომ სირიელები ყველაფრით პაფლაგონელებთან დგანან ახლოს და სწორედ ესენი არიან, ვისაც „კაპადოკიელები" ეწოდებათ,— მიუთითებს იმაზე, რომ კაპადოკიელები არ შეიძლება იყვნენ სპარსულ-ირანული ტომი, როგორც ამას გელცერი ვარაუდობდა და რომელთაგანაც სატომო სახელი, ვითომდა, დაიმკვიდრა აქაურმა მხარემ—კაპადოკია.

ამავე დროს ყურადსაღებია ის გარემოება, რომ ჰეროდოტემ კარგად იცის, რომ ამ მხარის ძირითად მოსახლეობას სასპეირები და კოლხები შეადგენდნენ.

მისი გადმოცემით: „აზიაში მოსახლეობენ სპარსელები თვით სამხრეთის ზღვამდე... სპარსელებს ზევით ჩრდილოეთის მხრივ ცხოვრობენ მიდიელები, მიდიელებს ზევით—სასპეირები, სასპეირებს ზევით—კოლხები, რომლებიც გავრცელებული არიან ჩრდილოეთის ზღვამდე, რომელშიც ჩაედინება მდ. ფაზისი. ამ ოთხ ხალხს უჭირავს მიდამო ზღვიდან ზღვამდე[2].

ჰეროდოტეს მეორე ცნობიდან კვლავ დასტურდება, რომ კოლხეთსა და მიდიას შორის მხოლოდ სასპეირები ცხოვრობენ.

იგი ამბობს: „გზა კოლხეთიდან მიდიამდე გრძელი არ არის. ამ ორ ქვეყანას შორის ცხოვრობს მხოლოდ ერთი ხალხი სასპეირები"[3].

ძველი ბერძნული წყაროები „სასპეირებს" უწოდებდნენ იმ ძლიერ პოლიტიკურ გაერთიანებას, რომელიც ურარტუს სახელმწიფოს ნანგრევებზე ჩამოყალიბდა აღმოსავლურ-ქართული ელემენტის ჰეგემონობით[4], და რომლის ცენტრიც სპერის (ჭოროხის ზემო დინებაში) ოლქში იყო[5].

---

[1] ჰეროდოტე, VII, 72, III, 90.

[2] IV, 37. როგორც ვხედავთ, არც აქა ჩანს რაიმე ნიშანკვალი არც „კაპადოკიელების" და არც სავარაუდებელი ირანელებისა კაპადოკიის ტერიტორიაზე.

[3] I, 104.

[4] გ. მელიქიშვილი, ურარტუ, თბ., 1951, გვ. 137.

[5] Г. Меликишвили, Наири-Урарту, გვ. 416.

ჰომეროსიდან მოკიდებული, მთელ ისტორიულ მანძილზე, შავი ზღვის სანაპიროს იმ რაიონში, რომელიც შემდეგში პონტოს სამეფოს ცენტრს წარმოადგენდა და მისი ძლიერების კერა იყო, ქართველი ტომები ცხოვრობდნენ, როგორც ამას ჰეროდოტეს, ფსევდო-სკილაქსის, ფსევდო-სკიმნის, ლიკოფრონის, სქოლიასტის, პომპონიუს მელას, სტრაბონის, უსახელო პერიპლუსისა და სხვათა ცნობები ადასტურებს და რასაც მხარს უჭერს ჩვენი დროის მოგზაურთა მიერ ამ მხარეში ნახული ნივთიერი კულტურის ძეგლები (ჰამილტონი და სხვ.).

თუ ჩვენ ძველ წყაროებში დადასტურებული გვაქვს, რომ ქართველ ტომთა მოსახლეობა მდ. ჰალისის შესართავამდე [1] და მის დასავლეთითაც ვრცელდებოდა, რაც სინოპეს მაგალითით ცხადი ხდება და რაც ნათლად მოჩანს აგრეთვე ადრეულ შუა საუკუნეებში ბიზანტიელების მიერ შექმნილ ხალდიის თემში,—იგივე არის გამოვლინებული თურქების მიერ შექმნილ ე. წ. ჭანიკის ოლქში, რომელიც ჰალისის შესართავამდე ვრცელდება [2].

რიტერის სიტყვით, ჭანიკის სახელწოდება ნიშნავს ჭანების ქვეყანას (Land der Tzanen) [3] და წარმოსდგება ამ ქვეყნის უძველესი მოსახლეობის სახელწოდებისაგან [4].

მეორე ადგილას კი აღნიშნავს რიტერი, რომ ჭანიკის ზღვის სანაპირო რაიონი უკანასკნელ დრომდე საკუთარი, დამოუკიდებელი ცხოვრებით ცხოვრობდა, რომ თურქები განიხილავდნენ მას როგორც ბარბაროს ქვეყანას და ამის გამო იგი დიდხანს დამოუკიდებელი იყო პორტასაგან და, მაშასადამე, იქ რაიმე ცვლილებებს, განსაკუთრებით ეთნიკური ხასიათისა, ადგილი არ შეიძლებოდა ჰქონოდა [5].

აქ საჭიროა შევნიშნოთ, რომ ჭანეთის აღნიშნული მდგომარეობა იმის შედეგი კი არ იყო, რომ თურქები მას, როგორც ბარბაროსების ქვეყანას, ერიდებოდნენ, არამედ თურქებს არ შესწევდათ ძალა ეს მრავალრიცხოვანი და ძველითგანვე მებრძოლი ხალხი, რომელთა დამარცხებაც ბიზანტიელებზე ადრე ვერავის

---

[1] სტრაბონი, XII, თავი 1, თ. ყაუხჩიშვილი, გვ. 199.

[2] იხ. Ritter, Die Erdkunde. Th. XVIII, Drittes Buch. West-Asien Kleinasien, Band. I, გვ. 101.

[3] იქვე, გვ. 101.

[4] იქვე.

[5] იქვე, გვ. 808.

შოუხერხებია და ეს მაღალ ღმერთს მხოლოდ იუსტინიანე პირველისათვის მიუნიჭებია,—თავის მორჩილებაში ჰყოლოდათ.

აკი თვით რიტერი წერს, რომ ჭანებში ხელისუფლება ადგილობრივ წარჩინებულთ ეპყრათ და რომ ჭანეთის მმართველი სრულიად დამოუკიდებელი იყო და პატრიარქალური ძალაუფლებით იყო შემოსილი[1].

რიტერს ისე წარმოუდგენია, თითქოს ჭანების, სანების მოსახლეობა, რომელიც ქსენოფონტეს დროს მხოლოდ ტრაპიზონის აღმოსავლეთით მოიპოვებოდა, შემდეგში თანდათან გავრცელდა დასავლეთით და ჰალისამდე მიაღწია[2]. მაგრამ, როგორც უკვე იყო გარკვეული, ეს ტომები გაცილებით ადრე ცხოვრობდნენ აქ და უფრო დასავლეთითაც.

ზემოთქმულიდან ცხადი ხდება, რომ: ა) **იმ ტერიტორიაზე, რომელსაც ძვ. წ. VI საუკუნის შემდგომი დროის წყაროები კაპადოკიად იხსენიებენ, ჰეროდოტეს დროს[3], ისევე, როგორც მასზე ადრე და მის შემდგომ ხანაშიც, ძირითადად ერთი და იგივე ხალხები მოსახლეობდნენ.**

ბ) ე. წ. სირიელები მოსახლეობენ მხოლოდ შავი ზღვის სანაპირო რაიონებში, პაფლაგონიის გვერდით და წარმოადგენენ არამკვიდრ, მოსული მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილს.

გ) „კაპადოკიელები", როგორც ცალკე ეთნიკური ელემენტი, არსად მოჩანს, გარდა იმისა, რომ, ჰეროდოტეს მოწმობით, სპარსელები სირიელებს უწოდებდნენ კაპადოკიელებად.

ცნებები „კაპადოკია" და „კაპადოკიელები" მხოლოდ კრებითი, შერქმეული სახელებია, რაც იქიდან წარმოსდგა, რომ ამ მხარეში სპარსელებმა ჰპოვეს საუკეთესო ცხენები.

რომ „კაპადოკიელები" არ არის აღმნიშვნელი რომელიმე ცალკეული ეთნიკური ელემენტისა, ისიც იმ გაგებით, რომ მათ მიერ ყოფილიყოს დასახლებული „კაპადოკიად" წოდებული ტერიტორია, რომელსაც, ვითომდა, მათვე მისცეს სახელი,—ეს იქიდანაც ჩანს, რომ დღემდე არც ერთი მკვლევრისთვის ნათელი და გარკვეული არ არის ამ „კაპადოკიელთა" ვინაობა და არც ვისმეს უცდია ამისი გარკვევა.

---

[1] იხ. Ritter, Die Erdkunde. Th. XVIII, Drittes Buch. West-Asien. Kleinasien, Band. I. გვ. 108.

[2] იქვე, 102.

[3] 482—425 წლ.

პონტოს სამეფოს ერთ-ერთი პირველი მკვლევარი Reinach-ი კაპადოკიელებს უწოდებს: „უაღრესად შერეულ ხალხს"[1] და ამით კმაყოფილდება.

ედ. მაიერი კი ამბობდა კაპადოკიელებზე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ისინი ისტორიაში არასოდეს არ გვევლინებიან, როგორც თავისთავადი დამოუკიდებელი ხალხით[2].

დამახასიათებელია, რომ RE-ში საკმაო საფუძვლიანობით არის (რუგეს მიერ) განხილული კაპადოკიის გეოგრაფიული მდებარეობა, რელიეფი, მდინარეები, ჰავა, ფლორა და ფაუნა, პროდუქცია, გზები, კაპადოკიური კალენდარიც კი,—მაგრამ აქ გვერდი აქვს ავლილი მოსახლეობის საკითხს.

ამგვარად, ჩვენ არც ერთი ცნობა არ მოგვეპოვება, რომელიც დაადასტურებდა სპარსელების მიერ კაპადოკიაში რომელიმე ტომის ჩამოსახლებას, საიდანაც, თითქოს, წარმომდგარიყოს ეს გეოგრაფიული ტერმინი. სამაგიეროდ, მოგვეპოვება ისტორიული კვლევა-ძიების საფუძველზე მიღებულ შედეგთა[3] გვერდით, პირველი წყაროები, რომლებიც ცნება „კაპადოკიელების" კონკრეტულ შინაარსს გვიხსნის.

ერთი ასეთი ძირითადი ცნობა, მართალია ჰეროდოტეს და ქსენოფონტესთან შედარებით, ცოტა ნაგვიანევია, მაგრამ მით უფრო დამაფიქრებელია, რადგან ეს ცნობა, ერთი მხრივ, რაღაც უფრო ადრინდელ ცნობებზე, და, მეორე მხრივ, მისი დროის რეალურ ვითარებაზე უნდა იყოს წარმომდგარი.

ანტიოქიის არქიეპისკოპოსი ევსტათე, რომელიც ახ. წ. IV საუკუნის პირველ ნახევარში ცხოვრობდა (+360),[4] თავის ერთ-ერთ თხზულებაში, ჩამოთვლის რა სხვადასხვა ხალხთა მამამთავრებს, ამბობს, რომ დაასახლეს „...ობელმა-თობელები, ეხლანდელი იბერები: ოსოხმა—მესხენები, ეხლანდელი კაპადოკიელები"[5].

როგორც ვთქვით, ევსტატის ეს ცნობა მაშინდელ ვითარებასაც ასახავს („მესხენები, ეხლანდელი კაპადოკიელები") და ძველ წყაროებსაც ემყარება.

---

[1] ხსენებ. შრ., 233.

[2] ხსენებ. შრ., გვ. 19.

[3] იხ. H. Gelzer—Kappad. und seine Bewohner. გვ. 14.

[4] Migne, Patrologie cursus completus, series graeca, XVIII, გვ 753 ბ.

[5] ВДИ, 1948 წ., № 3, გვ. 237.

ამ ცნობაში ის არის ყველაზე მნიშვნელოვანი, რომ კაპადოკიის ტერიტორიაზე ახ. წ. IV საუკუნეში ჯერ კიდევ მოსახლეობენ მესხები, რომლებიც კაპადოკიელებად იწოდებიან.

ჩვენ არ ვიცით, სახელდობრ, რომელი წყარო ჰქონდა ხელთ ევსტატეს, მაგრამ დასაშვებად მიგვაჩნია, რომ იგი სარგებლობდა ახ. წლ. I ს. ცნობილ მოღვაწის იოსებ ფლაბიუსის ცნობებით.

რადგან ევსტატის ცნობაში ჩვენთვის არა მარტო ის არის საინტერესო, რომ ის გვიხსნის მესხ-კაპადოკიელების დამოკიდებულებას, არამედ ისიც, რომ იბერები გაიგივებული არიან ტაბალებთან, რომელნიც კაპადოკიის მოსახლეობის თვალსაჩინო ნაწილს შეადგენდნენ, ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია მოვიტანოთ, ევსტატეს ცნობის დამადასტურებელი, იოსებ ფლაბიუსის ცნობაც, როგორც მესხ-კაპადოკიელებზე, ისე ტაბალ-იბერებზე. სწორედ ეს ორი დიდი ტომი შეადგენდა კაპადოკიის მოსახლეობის ძირითად მასას.

იოსებ ფლაბიუსი გადმოგვცემს: „ხოლო ტობელებს კი ასახლებს ტობელი, რომლებსაც ეხლა იბერები ეწოდება“[1].

უფრო საინტერესოა და ფრიად მნიშვნელოვანიც იოსებ ფლაბიუსის მეორე ცნობა, რომელშიც იგი გვაუწყებს: „მესხნიც დასახლებულნი არიან მესხის მიერ, რამეთუ კაპადოკიელებად ისინი ცოტახნის წინათ იქნენ წოდებულნი, მაგრამ გამოსჩანს მათი ძველი სახელწოდების ნიშანი, რამეთუ მათ ეხლაც აქვთ ქალაქი მაძაკა, მაჩვენებელი იმათთვის, ვისაც აზროვნების უნარი აქვს, რომ ოდესღაც ასე იწოდებოდა თვით ხალხიც“[2].

აქ ჩვენ არ შევუდგებით მოსახლეობის განლაგების შესახებ ცნობის ანალიზს. აქ ჩვენთვის საინტერესო მომენტი ის არის, რომ იოსებ ფლაბიუსმა კარგად იცის, რომ მესხები ის ხალხია, რომელიც ძველ წყაროებში კაპადოკიელების ადგილზეა საგულისხმებელი, ე. ი. რომ კაპადოკიელები იგივე მესხები არიან.

ჩვენ აქ მხოლოდ იმაზე მივუთითებთ, რომ ამავე მიდამოებში მცხოვრებ მესხებს იცნობს ჰეკატე მილეტელი[3].

როგორც ვნახეთ, ი. ფლაბიუსი ფიქრობს, რომ მაძაკა (მაზაკა) წარმომდგარია მესხთა წინაპრისაგან[4].

---

[1] იხ. ВДИ, 1948, № 3, გვ. 237, შენ. 3.

[2] იქვე, გვ. 237, შენ. 4; გვ. 293.

[3] Fr. 188.

[4] შეად. კონსტანტინე პორფიროგენეტი, ჰ. გელცერი, გრ. ღაფანციანი და სხვ.

ი. ფლაბიუსის ცნობაში ყურადღებას იპყრობს კიდევ ერთი დეტალი, საიდანაც ჩანს, რომ მას, მისი ცნობის ჩაწერის დროს, მხედველობაში ჰქონდა თავისი დროის სინამდვილე, მხედველობაში ჰყავდა ცოცხალი ობიექტი—მესხების ტომი. ამ ტომს მაშინ უცხოვრია კაპადოკიის ტერიტორიაზე, რაც აშკარად გამოსჭვივის ფლაბიუსის სიტყვებიდან: „...რამეთუ მათ ეხლაც აქვთ ქალაქი მაძაკა“. ქ. მაძაკა კი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლებოდა ჰქონოდათ მესხებს, თუ ისინი ე ხ ლ ა ც, ე. ი. როდესაც აღნიშნული ცნობა იწერებოდა,—მაძაკაში ცხოვრობენ.

თუმცა შედარებით ნაგვიანევი, მაგრამ დიდმნიშვნელოვანია ცნობა, რომელსაც გვაწვდის ახ. წ. IV საუკ. მოღვაწე კვირელი ეპისკოპოსი თეოდორიტე, რომელიც წინასწარმეტყველ ისაიას ზოგიერთი ადგილის განმარტებაში ამბობს, რომ ისაია „...მოსოხებში—კაპადოკიელებს, თობელებში კი — იბერიელებს გულისხმობდაო“ [1].

ე. ი. თეოდორიტე კვირელს იმის თქმა უნდა, რომ მისი დროის კაპადოკიელებად იწოდებიან ძველი დროის მესხები.

ეს ცნობა, მისი ნაგვიანევობისდა მიუხედავად, ძლიერ საინტერესოა იმ მხრივ, რომ IV საუკუნეში კარგად ესმოდათ ცნება „კაპადოკიელების“ შინაარსი, სახელდობრ, რომ ამ სახელწოდებით აღინიშნებოდა მესხების მოსახლეობა, მესხების ტომი.

როგორც მეცნიერებაში ცნობილია, ამ ტომის სამშობლო იყო ასურეთის (ასირიის) მეფეთა დაპყრობის ობიექტი და სწორედ ამ ობიექტს ეწოდა შემდეგში სპარსელების მიერ კაპადოკია.

გრ. ღაფანციანი, ეხება რა სარგონ II-ის ლაშქრობას ტაბალისა და მუშკის (მესხების) ქვეყანაში,—ამ ლაშქრობის თაობაზე წარწერაში მოხსენიებულ ქვეყანას აიგივებს შემდგომი დროის კაპადოკიასთან: „Хилакку—совр. Каппадокия“ [2].

რომ მოსხების (მესხების) მიერ დასახლებულ ქვეყანას ეწოდა კაპადოკია და აქედან წარმოსდგა ხალხის სახელწოდებაც კაპადოკიელები, რაც მესხებზე გადავიდა, ამას, ვფიქრობთ, კიდევ ერთი გარემოებაც ამტკიცებს: ცნობილი ქართველი მოღვაწის ექვთიმე მთაწმინდელის (963—1028) ერთ თხზულებაში, რომელიც „ნაწილობრივ ნათარგმნი და ნაწილობრივ ორიგინალურია“ [3] და

---

[1] ВДИ, 1948, № 3, გვ. 293.

[2] იხ. Гр. Капанцян, Историко-лингвистические работы, გვ. 144. Ереван. 1956.

[3] გ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, მეხურელნი, გვ. 7.

რომელშიაც ძირითადად მოცემულია ბერძენი მოღვაწის (VII საუკ.) მაქსიმე აღმსარებლის შრომა „Questiones Thalassium“, საინტერესო მასალაა დაცული.

ექვთიმეს ამ ნაშრომში ჩამოთვლილ ქართველ ტომთა შორის, როგორც არიან: ჰერნი (ʽΕρραῖοι), მეგრელნი (Λαζοί), ტიბარელნი (Τιβαρηνοί), ქალიბელნი (Χαλύβες), მოსინიკელნი (Μοσσύνοικοι), კოლხელნი (Κόλχοι), არ არის მოხსენიებული ერთ-ერთი უძველესი და ძირითადი ქართველი ტომი: მესხები, რასაც ყურადღება მიაქცია გ. ჟორდანიამ, მაგრამ მას მისი ახსნა არ მოუცია[1].

თუ ზემოთ ჩვენს მიერ მუშკ-მოსხ-მესხებისა და კაპადოკიის შესახებ მონათხრობს გავითვალისწინებთ, მაშინ ცხადი გახდება, რომ ექვთიმესთან და მის წინამორბედებთანაც, მესხების ადგილას იხსენიება ე. წ. კაპადოკიელები Καππάδοκες.

სწორედ ასეთსავე სურათს ვხედავთ ახ. წ. III საუკ. მოღვაწე იპოლიტე პორტელის თხზულებაში Liber Generationis, სადაც ხალხების ჩამოთვლაში, პაფლაგონელების წინ დასახელებული არიან კაპადოკიელები, სწორედ მესხების ადგილას[2].

კაპადოკიელები მოხსენიებული ჰყავს ექვთიმეს მის მიერ ჩამოთვლილ ხალხთა შორის 43-ე ადგილზე. მესხების მოუხსენებლობა მხოლოდ იმით უნდა აიხსნას, რომ მათს ეთნიკურ სახელწოდებას ჰფარავს ახალი სახელი კაპადოკიელები, რაც ისტორიული თავგადასავლის შედეგია. ეს გარემოებაც უკუუქცევითი დასკვნით იმასვე ადასტურებს, რომ კაპადოკიელები იგივე ძველი მესხები არიან.

აქი თვითონვე ექვთიმე განმარტავს: „ხოლო სახელები ამათ ნათესავთა, უკეთუ რომელთამე აწ არა ესრეთ ეწოდების, ვითარცა აქა წერილ არს ნუ გიკვირს, რამეთუ ჟამთა სიგრძემან სახელნი მრავალნი შეცვალნა“[3].

აგრეთვე საინტერესო ცნობას გვაწვდის კონსტანტინე პორფიროგენეტი, რომლის მიხედვითაც კაპადოკიელთა პირველი წინაპარი მოსხი (მესხი) ყოფილა.

ლაპარაკობს რა კაპადოკიის დედაქალაქ კესარიაზე, იგი ამბობს, რომ მას „წინათ ერქვა მაზაკა კაპადოკიელთა პირველი წინაპარის მოსოხისაგან“[4].

---

[1] გ. ჟორდანია, მეხურელნი, გვ. 22.
[2] იხ. ВДИ, 1949, №3, გვ. 249.
[3] გ. ჟორდანია, მეხურელნი, გვ. 15.
[4] De Thematibus, პროფ. ს. ყაუხჩიშვილის Georgica, ტ. IV, გვ. 299.

მოტანილი ცნობებით კიდევ ერთხელ თვალსაჩინო ხდება, რომ ცნება „კაპადოკიელები“-ს კონკრეტული (ნამდვილი) შინაარსია ძველ ქართველ ტომთა მოსახლეობა, რომელთა ქვეყანასაც სპარსელებმა ახალი სახელი უწოდეს, მათ მიერ მოშენებული საუკეთესო ცხენების მიხედვით.

ხოლო რაც შეეხება იმას, რომ მესხ-კაპადოკიელების მოსახლეობა ჯერ პონტოს სანაპიროს იყო, მერე სამხრეთისაკენ და შემდეგ კი ისევ ჩრდილოეთისაკენ ვრცელდებიან, ამაზე ის უნდა ითქვას, რომ უფრო ბუნებრივია იმისივარაუდი, რომ მესხ-კაპადოკიელთა მოსახლეობა აღნიშნულ ტერიტორიაზე მუდამ იყო, შესაძლებელია, სხვადასხვა კომპაქტური დახასიათებით.

მცირე აზიის ჯერ კიდევ ნაკლებად გარკვეული და შესწავლილი ისტორიიდან ცხადი ხდება, რომ კაპადოკიად წოდებული კრებული ისტორიულად სხვადასხვა შინაარსით წარმოიდგინება გეოგრაფიულადაც, პოლიტიკურადაც და ეთნოგრაფიულადაც. ყველა ეს ასპექტი მეცნიერულად, თვითეული ისტორიული ეპოქის მიმართ, ჯერჯერობით სრულიადაც შესწავლილი და დადგენილი არ არის.

კაპადოკიის ტერიტორიაზე ისტორიის მანძილზე მრავალ ცვლილებებს ჰქონია ადგილი პოლიტიკურ-ეთნიკური ცხოვრების თვალსაზრისით.

ამ ცვლილებათა თვალის გადევნება სპეციალური მეცნიერული კვლევა-ძიების საქმეა.

სტრაბონი მოგვითხრობს: „კაპადოკიაც რამდენიმე ნაწილისაგან შესდგება და ხშირ ცვლილებებს განიცდიდაო“[1].

ჰ. გელცერი, ეხება რა მოსხებისა და ტიბარენების იგივეობას დაბადების მეშეხებთან და ტუბალებთან, ამბობს, რომ ამ ხალხების სახელი დიდ ფართო მანძილზე ვრცელდებოდა. ... რომ მუშკები და ტაბალი შეესატყვისებიან მერმინდელ პონტოს სამეფოსა და კაპადოკიას.[2]

ფრიდრიხ ბილაბელის გამოკვლევით, ხეთების სახელმწიფოს დაღუპვის შემდეგ, მის აღმოსავლეთ ნაწილში,—შემდეგში რომ კაპადოკია ეწოდა,—შეიქმნა მუშკების სახელმწიფო ჰალისისა და ზემო ტიგრის შორის. იგი დიდხანს ასრულებდა ფრიად მნიშვნელოვან როლს.[3]

---

[1] XII, I, 1; თ. ყაუხჩიშვილის გამოც., გვ. 199.
[2] იხ. Zeitschrift für Ägypt. Sprache, 1874, გვ. 118.
[3] Fr. Bilabel, Geschichte Vorderasiens..., გვ. 182.

კურტ ბიტელი გადაჭრით ამბობს, რომ „ძველი აღთქმის მეშეხი (Mesech) და თუბალი (Thubal) სხვა არავინ არიან, თუ არა ჩვენთვის უკვე ცნობილი მუშკები—მოსხები და ტაბალები, რომლებიც კიმერიელთა შემოსევამ შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროსაკენ განდევნაო“ [1].

სომეხ მეცნიერის გრ. ღაფანციანის თქმით: „Мушки были в Каппадокии и у Чороха“.[2]

რ. ლეონჰარდი, ლაპარაკობს რა მცირე აზიის ეთნიკურ სამყაროზე, ამბობს, რომ მცირე აზიის შესაცნობად დიდი მნიშვნელობა ექნებოდა იმ ვარაუდის (Annahme) დადასტურებას, რომ დღევანდელი ქართველების წინაპრები ძველი მოსხები და ასირულ წყაროებში ცნობილი მუსკები, ერთი და იგივენი არიანო[3].

ცნობილი სომეხი მკვლევარი აკად. გრ. ღაფანციანი მუშკებზე წერს, რომ „Эти племена впервые выступают на историческую сцену с двенадцатого века до н. э., когда, как говорят, в Малую Азию вторгаются с Эгейских островов и Балкан разные племена и народности—фригийцы, лидийцы, ликийцы и вифинийцы и др., к которым хотят причислить и мушков“[4].

შემდეგ, მიაქცევს რა ყურადღებას, რომ „Езекиил, живший в 592—570 годах до н. э., всегда вместе упоминает Мосоха и Тобала (Thobel-Thabal), т. е. мушков и тибаренов“, უშუალოდ განაგრძობს: „Эти племена, несомненно, грузинского происхождения, и напрасно многие ученые отожествляют мосхов и фригийцев, считая первых также индоевропейцами“.[5]

ი. მ. დიაკონოვი თავის რეცენზიაში გ. მელიქიშვილის შრომების შესახებ, აგრეთვე ადასტურებს მუშქებისა და მესხების იგივეობას.

იგი ამ შემთხვევაში გადაჭრით უჭერს მხარს გ. მელიქიშვილს და წერს: „Автор вполне правильно отожествляет царство мушков ассирийских источников с Фригией античных авторов и не менее

---

[1] ხსგნ. შრ.,

[2] Гр. Капанцян, Историко-лингвист. работы, გვ. 171.

[3] R. Leonhard, Paphlagonia..., გვ. 289.

[4] Гр. Капанцян, Историко-лингвист. работы, გვ. 142.

[5] იქვე, გვ. 145.

справедливо отожествляет этнический термин „мушки“ с „мосхами“ греческих источников и „месхами“—грузинских“.[1]

იგივე დიაკონოვი, ტიგლატ პილესარ პირველის ანალების (1115—1077 წ. ძვ. წ.) იმ ადგილის კომენტარში, რომელიც ეხება მუშქებს, წერს: „Muškāja, Это этнонимическое название, идентичное с др.-евр. „Мешек“ и греч. Μόσχοι, нередко относится ассирийскими надписями также к фригийцам... Возможно, однако, здесь имеются в виду мосхи в узком смысле слова—племена, вероятно, родственные позднейшим иберам.“[2]

მუსკებისა და მესხების იგივეობას აღიარებს ედ. მაიერიც.

იგი, ლაპარაკობს რა იმაზე, რომ ძვ. წ. 1175 წელს მუშქების ხუთმა მეფემ დაიპყრო კუმუხის ქვეყანა (კომაგენა) და ასურეთს ალძი და პურუკუცი წაართვეს,—ამბობს: „Die Muškaja sind höhst warscheinlich, die Moscher, d. h. die Gebirgsvölker des ostlichen Kleinasiens“.[3]

ჯერ ისევ 1903 წ. ალ. ხახანაშვილი, მეცნიერების მაშინდელი მიღწევების საფუძველზე, უყოყმანოდ აღიარებდა: „Итак, Мешех, Месех, Мосх, месхи современные—один и тот же народ грузинского племени“.[4]

კ. წერეთელმა სპეციალურ გამოკვლევაში ლინგვისტიკურად ცხადჰყო ძველი წყაროების მეშეხ, მოსხ, მუშკისა და ქართულ ეთნიკურ სახელ მესხ-ის იგივეობა.[5]

მან დაამტკიცა, რომ ბიბლიური მეშეხ წარმოსდგა ქართული მესხი-საგან, რომ ქართული მესხის აქადური ფორმაა mušk-ი. მკვლევარმა აქედან გამოიტანა საგულისხმო დასკვნა, რომ „მუშქები“ არ არიან, როგორც ზოგი მეცნიერი ფიქრობდა, ფრიგიელები“.[6]

რომ მუშქები, ყოველ შემთხვევაში ის ტომები, რომლებიც მუშქების სახელმწიფოში იყვნენ გაერთიანებული, ვრცელ ტერი-

---

[1] იხ. И. М. Дьяконов—Г. А. Меликишвили, Урарту. Научно-популярный очерк по истории предков грузинского народа. Тбилиси. 1951 (на груз. яз.). Он же, О происхождении грузинского народа, Тбилиси, 1952, ВДИ, 1954, № 3, გვ. 93.

[2] ВДИ, 1951, № 2, გვ. 275, შენ. 1.

[3] Ed. Meyer, Gesch. d. Alterthums, I, გვ. 319.

[4] ხსენებ. შრ., გვ. 4, შენ. 15.

[5] იხ. კ. წერეთელი, ქართული ეთნიკური ტერმინი „მესხ“-ის ისტორიისათვის, საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. XV, №2, 1954.

[6] იქვე, გვ. 118.

ტორიაზე ცხოვრობდნენ და მათი მოსახლეობა მრავალრიცხოვანი იყო, ამას ადასტურებს ის, რომ ტიგლატ პილესარ I დროს მუშკების სახელმწიფოს შეეძლო ხუთი ე. წ. მეფის მეთაურობით 20.000 ლაშქარი გამოეყვანა.[1]

აქ ქართულ ტომთა სიმრავლე მტკიცდება იმითაც, რომ შემდეგში, დაახლოებით ამავე რაიონში, ცხოვრობდნენ ჭანები, რომლებიც ესოდენ მრავალრიცხოვანი და ძლიერი იყვნენ VI საუკუნეში, ბიზანტიური წყაროების თანახმად.[2]

ედუარდ მაიერს მესხები და ტიბარენები მიაჩნია აღნიშნული რაიონების ძირითად მოსახლეობად (als Hauptvölker [3]); ხოლო, მისივე სიტყვით, „ტაბალები ძრიან მცხოვრებნი მთელი შიდა კაპადოკიისა“.[4]

გრ. ღაფანციანის გამოკვლევით: „მესხი ტომების ძირითადი ადგილსამყოფელი იყო კაპადოკია, რომლის დედაქალაქსაც ბერძნები მაზაკას უწოდებდნენ („Основное место мосохских племен была Каппадокия, столица которой называлась у греков Мазака“)[5].

როგორც ზემოთ ვნახეთ, კაპადოკიის დედაქალაქის ეს სახელწოდება მოსხთა წინაპრისაგან მომდინარეობს, კონსტანტინე პორფიროგენეტის მოწმობით [6].

ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ახ. წ. X საუკუნეში ჯერ კიდევ ცოცხალია ცოდნა და ტრადიცია მესხების კაპადოკიასთან დამოკიდებულების,—უფრო სწორად რომ ვთქვათ,— იგივეობის შესახებ.

საუკუნეთა განმავლობაში, ჩანს, მოსხებს კვლავ დიდი ტერიტორია ეკავათ, რადგან, სტრაბონის მოწმობით, მითრიდატეს გარდაცვალების შემდეგ: „მესხების ქვეყანა... სამ ნაწილს შეიცავს: ერთი მისი ნაწილი აქვთ კოლხებს, მეორე იბერებს და მესამე არმენიელებს“ [7].

---

[1] იხ. Fr. Bilabel, Gesch. d. Vorderasiens..., გვ. 183.

[2] XIX საუკ. ცნობილ ქართველ მოღვაწის დ. ი. ჩუბინაშვილის თქმით „ყოფილ პონტოს სამეფოში ან აწინდელ ტრაპეზონის საფაშოში მკვიდრი მოსახლენი იყვნენ ჭანელნი, რომელთა ენაც სრულიად ემსგავსება მეგრელთა ენას“ (ეთნოგრაფიული განხილვა ძველთა და ახალთა კაპადოკიის ანუ ჭანეთის მკვიდრთა მოსახლეთა, გაზ. „ივერია“, 1877, № 17, გვ. 10).

[3] ხსენ. შრ., გვ. 13.

[4] იქვე, გვ. 13.

[5] Гр. Капанцян, ხსენებ. შრ., გვ. 146.

[6] იხ. ს. ყაუხჩიშვილი, Georgica, ტ. IV, გვ. 299.

[7] წ. XI, თავი 18. თ. ყაუხჩიშვილის გამოც., გვ. 125.

მაშასადამე, პონტოს სამეფოს დაშლის შემდეგ, მისი მხოლოდ ერთი შემადგენელი ნაწილის—მოსხების ქვეყნის (ἡ Μοσχική) ტერიტორიაზე სამი სხვადასხვა ერთეული წარმოშობილა, უკეთ რომ ვთქვათ, მესხების ძირითად ნაწილს—იბერების სახით რომ დარჩა—ჩამოსცილებია მნიშვნელოვანი რაოდენობა.

ძვ. წ. VI საუკუნიდან გეოგრაფიულ ტერმინ „კაპადოკია"-ს შემოღებამ გაჰკვეთა ძველი ქართული სამყაროს მთლიანობა...

დროთა განმავლობაში ამ გარემოებამ თანდათან გათიშა ერთიმეორისაგან ამ მთლიანი ეთნიკური სამყაროს ნაწილები და დაბნელა მათი ერთიანობის შესახებ წარმოდგენა. სახელწოდებამ „კაპადოკიელები" შთანთქა იქ მოსახლე ქართველ ტომთა: მესხების, ტაბალ-ტიბარენების, ხალიბებისა და ზოგ სხვათა სახელები... აღნიშნულ ტომებს თავიანთი სახელწოდება შერჩათ მხოლოდ საქართველოს სამხრეთსა და აღმოსავლეთ ნაწილებში.

თავის დროზე მესხების მოსახლეობა მოფენილი იყო აღმოსავლეთ საქართველოდან კაპადოკიამდე, მდ. ჰალისის ორივე ნაპირის ჩათვლით. მაგრამ ახალმა სახელწოდებამ „კაპადოკიამ" ჯერ წარმოდგენაში გათიშა იგი ორ ნაწილად, მერე კი, კაპადოკიის ნაწილში ხანგრძლივ ისტორიულ მანძილზე მესხური მოსახლეობის თანდათანობით შედარებით შემცირებამ, ნელნელა დააშორა ამ ოდესღაც ერთიანი სამყაროს ნაწილები ერთიმეორეს.

თუ რა კომპაქტური იყო და რა დიდ სივრცეზე იყო მოფენილი მესხური მოსახლეობა, ჩანს, თუნდაც, სტრაბონის ზემოთ მოტანილი ცნობიდან.

სახელი „მესხეთი", რომელიც საქართველოში დღემდე ცოცხალია, თავის დროზე სწორედ იმ დიდი სამყაროს სახელწოდება იყო, რომელიც დღევანდელი საქართველოს აღმოსავლეთისა და სამხრეთ ნაწილებს, აგრეთვე მცირე აზიის ნაპირებამდე რაიონებს მოიცავდა. ამასთანავე ამ უკანასკნელს სტრაბონი სწორედ მესხეთის (ἡ Μοσχική) სახელით იცნობს.

ისიც ხომ დავინახეთ, რომ შედარებით გვიანაც I, IV, X საუკუნეებში (იოსებ ფლავიუსი, ევსტათი ანტიოქელი, თეოდ. კვირელი, კონსტანტინე პორფიროგენეტი) კარგად იციან, რომ კაპადოკიაში იმ დროს ჯერ კიდევ მესხები ცხოვრობენ.

ანალოგიური სურათი წარმოიდგინება ტაბალ-ტიბარენებისა და აღმოსავლეთ საქართველოს—იბერიისა და იბერიელების მიმართაც.

მუშკ-მოსხების ქვეყანა უძველესი დროიდან მრავალ ტომთა გაერთიანებას წარმოადგენდა. ხოლო პროფ. დიაკონოვის აზრით: „... мосхи... племена, вероятно, родственные позднейшим иберам".[1]

ცნობილი მკვლევარი Reinach-ი, ლაპარაკობს რა იმაზე, რომ ახლად გამეფებულმა მითრიდატე ევპატორმა შემოიარა მცირე აზიის სახელმწიფოები და მხარეები და დარწმუნდა, რომ მისი იქ ბატონება ადვილი იყო,—ამბობს, რომ ამ მხარეთა მიმართ თავისი პრეტენზიის განცხადებისათვის მითრიდატეს სხვადასხვა გარემოება უწყობდა ხელს, და კაპადოკიის მიმართ აღნიშნავს, რომ მის მიმართ პრეტენზიას ჰქვებავდა პონტოს სამეფოსა და კაპადოკიის მოსახლეობის ძველი ერთიანობა[2].

მეორე ადგილას კი წერს იგი, რომ „...კაპადოკიელები მეტისმეტად ნარევი ხალხიაო" და მათში ყველაზე მეტად შერეულად თვლის მოსხებსა და ტიბარენებს.[3]

კაპადოკიელთა რელიგიაც Reinach-ს სხვადასხვა ტომთა და კულტთა შერწყმის ნიადაგზე წარმოშობილად მიაჩნია.[4]

კაპადოკიელებისა და მესხების იგივეობის თეზისის დამადასტურებელი ცნობა ამოიკითხება სტრაბონის მიერ შემონახულ მასალაში.

სტრაბონი თავისი გეოგრაფიის XI წიგნში, ვრცლად ლაპარაკობს რა კოლხეთში პითოდორიდას მიერ თავისი ძალაუფლების გავრცელებაზე, სიტყვას უშუალოდ ასე განაგრძობს: „მოსხების ქვეყანა (Μοσχική), რომელშიაც არის სამლოცველო, სამ ნაწილს შეიცავს: ერთი მისი ნაწილი აქვთ კოლხებს, მეორე იბერებს და მესამე არმენიელებს".[5]

სტრაბონს აქ მხედველობაში აქვს კაპადოკიის სახელწოდებით ცნობილი ტერიტორიის ის ნაწილი, რომელსაც, მისივე ცნობით, აღმოსავლეთით ესაზღვრებოდნენ კოლხეთი და არმენია[6].

---

[1] И. М. Дьяконов, Ассиро-вавилонские источники по истории Урарту, ВДИ, № 2, 1951, გვ. 275, შენ. 1.

[2] ხსენებ. შრ., გვ. 84—85.

[3] იქვე, გვ. 233.

[4] იქვე, გვ. 236.

[5] XI, 2, 18; თ. ყაუხჩიშვილის გამოცემა, გვ. 125.

[6] XII, 1, 1; სტრაბონს სხვაგანაც მოსხები და კოლხები მოსაზღვრედ ჰყავს მოხსენიებული, XI, 2, 14.

ალნიშნულ შემთხვევაში სტრაბონს საუბარი აქვს მესხების ტომის მოსახლეობაზე, რომელიც კაპადოკიად წოდებულ ტერიტორიაზე ცხოვრობდა და მთლიან მასას შეადგენდა. მისი ნაწილები, სტრაბონისავე სიტყვით,[1] მითრიდატეს დამარცხების შემდეგ, იბერიის, არმენიისა და კოლხეთის ქვეშევრდომებად ქცეულა.

სტრაბონის მიერ კაპადოკიის ნაწილისთვის ეს სახელწოდება Μοσχική (მოსხიკე) კარგად ეთანხმება და ეხმაურება, ერთი მხრივ, იმ ცნობებს, რომ ხეთების სახელმწიფოს დაცემის შემდეგ, კაპადოკიაში აღმოცენდა მუსკების (მესხების) ცნობილი სამეფო[2] და, მეორე მხრივ, თვით სტრაბონისავე ცნობას, რომ კაპადოკიის ტერიტორიაზე ერთ ენაზე მოსაუბრე ხალხი ცხოვრობს.[3] ხოლო ამ ხალხს, ძველი წ. XII საუკუნიდან მოკიდებული, საისტორიო მწერლობა იცნობს როგორც მუსკებს (=მესხებს).[4]

VII საუკუნის სომხური გეოგრაფია იცნობს კაპადოკიის სამ ნაწილს, რომელთაგანაც მესამე ნაწილი მესხეთის მთებამდე (τὰ Μοσχικά) გრძელდება და ამ მთებით არის განყოფილი არმენიისაგან[5].

აქაც ჩვენ დადასტურებული გვაქვს კაპადოკიის ნაწილისთვის მესხეთის სახელდება.

---

[1] იხილე იქვე.

[2] იხ. H. Gelzer, Sinope in den Keiltexten. Zeitschrift für Ägypt. Sprache.. 1874, გვ. 118; Fr. Bilabel, Geschichte Vorderasiens und Ägyptens Vom XVI—XI Jahrhundert v. Chr., გვ. 182, 1927.

[3] XII, 1, 1; თ. ყაუხჩიშვილის გამ., გვ. 199.

[4] საჭიროა კვლავ აღინიშნოს, რომ მცირე აზიის მკვლევარნი ყოველთვის როდი უკვირდებიან იმას, რომ ძვ. წ. XI საუკუნიდან, მცირე აზიის მოსახლეობის აღსანიშნავად, პირველწყაროებში გვხვდება ორი ტერმინი პარალელურად: გეოგრაფიული და ეთნიკური. „კაპადოკიელები"—გეოგრაფიული შინაარსის ცნებაა და იგი არასოდეს ეთნიკური მაჩვენებელი არ არის, როგორც ახლო წარსულში „ამიერკავკასიელები" მხოლოდ გეოგრაფიულ მომენტზე მიუთითებდა და არა ეთნიკურზე, ასევე იყო მცირე აზიაშიც, იქ სახელწოდება „კაპადოკიის" განმტკიცების შემდეგ. შეად. А. Хаханов, მოხს. შრ., გვ. 7.

[5] იხ. Армянская география VII в. по Р. Х. Текст и перевод с присовокуплением карт и объяснительных примечаний издал К. П. Патканов, გვ. 35. СПБ, 1877; როგორც ცნობილია, კონსტანტინე პორფიროგენეტიც კაპადოკიის სამ ნაწილს იცნობს. მისი სიტყვით, პირველ კაპადოკიაში მდებარეობს „დედაქალაქი კესარია... რომელსაც წინათ ერქვა მაძაკა, კაპადოკიელთა პირველწინაპრის მოსოხისაგან". De Thematibus, თემა ანატოლიკა; ს. ყაუხჩიშვილი, Georgica, IV, გვ. 292.

როგორც ცნობილია, იოსებ ფლავიუსი დარწმუნებით ამბობს, რომ მესხითჲს მიერ დასახლებული მესხები ეხლა კაპადოკიელებად იწოდებიან.[1]

IV საუკუნის მწერლებიც, როგორც ვნახეთ, აღიარებენ კაპადოკიელებისა და მესხების იგივეობას.

ამგვარად, ცხადი ხდება, რომ სტრაბონის მიერ კაპადოკიის ერთი ნაწილისათვის „მოსხიკეს" სახელწოდება სრულიად კანონზომიერია, იგი კარგად ეხმაურება და ადასტურებს უძველეს ცნობებს აღნიშნულ ტერიტორიაზე მესხური მოსახლეობის შესახებ.

მესხების აღნიშნულ რაიონში ცხოვრებაზე ედ. მაიერი წერს: „... მოსხები (Die Moscher),—რომლებიც ბერძნულ ეპოქაში (in griechischer Zeit) მხოლოდ აღმოსავლეთ მთებში (Gebirge) ცხოვრობდნენ,—მაშინ, როდესაც ასირიელებში მათი სახელის ქვეშ (Muškaja, später Muska) უნდა იგულისხმებოდეს მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთის მთელი მთაგრეხილი".[2]

რ. ლეონჰარდის გამოკვლევით, ძვ. წ. მეორე ათასწლეულის დასასრულს ხეთების მაგიერ კაპადოკიაში ვხედავთ ტიბარენებსა და მოსხებს (Musci).

მისივე თქმით, აქვე არიან ეს ტომები IX—VII საუკუნეებში.[3]

ხოლო გრ. ღაფანციანით: „Мушки преобладали в районах от Пропонтиды в направлении на Мелитену и даже восточнее, вплоть до верхнего Тигра".[4]

ჯერ კიდევ 1890-იან წლებში ალექსანდრე ხახანაშვილი წერდა: „... ტაბალი და მუშკი—ორი უძლიერესი ხალხი, რომელთაც

---

[1] ი. ფლავიუსი ამბობს: „ხოლო მესქენნი მესხითჲს მიერ აღშენებულნი აწ კაპადუკად იწოდებიან და რამეთუ დასაბამითგანისა სახელისა მათისა მერმეცა ნიში იჩუენების. რამეთუ ქალაქი არს მათ შორის და აწცა მაზაკაჲ ცხადმყოფელი გულისჴმის ყოფად შემძლებელთაჲ ესრეთ ოდესმე სახელისდებასა ყოველისა ნათესავისა". ამოღებული ხელნაწერიდან: „იოსებ ფლავიოსი იუდაებრივი სიტყვათმთავრობისა მოთხრობანი". ბერძნულიდან თარგმნილია იოანე პეტრიწის მიერ. მომაწოდა განსვენებულმა მიხეილ კახაძემ, რისთვისაც მადლობით მოვიხსენიებ.

[2] Ed. Meyer, Geschichte d. Alterthums. Erster Band, გვ. 293. Stuttgart, 1884.

[3] R. Leonhard, Paphlagonia... 290, 295; შეად. კაპად. მოსახლ. შესახებ. Kurt Bittel, Grundzüge d. Vor und Frühgeschichte Kleinasiens, გვ. 88, 115.

[4] მოხს. შრ., გვ. 143.

ძვ. წ. XII-დან VII საუკუნემდე ეკავათ მთელი კაპადოკია კილიკიამდე და მდ. ეფრატის სათავეებამდე".[1]

ედ. მაიერის გამოკვლევითაც ტიბარენები (ტაბალები) და მოსხები (მუსკები) ასირიელთა ბატონობის დროს ბინადრობდნენ შემდგომი დროის კაპადოკიაში, ე. ი. იმ ტერიტორიაზე, რომელსაც შემდეგში კაპადოკია ეწოდა.[2]

ამაზე მოგვითხრობს სტრაბონის ცნობაც, რომელშიაც გადმოცემულია მითრიდატე ევპატორის სამფლობელოს გეოგრაფიული საზღვრები და რომელშიაც, სხვათა შორის, ნათქვამია, რომ მითრიდატეს: „ეპყრო ქვეყანა შემოსაზღვრული ჰალისით, ვიდრე ტიბარანებამდე და არმენიელებამდე და ჰალისის შიგნით მდებარე ადგილებით, რომლებიც ვრცელდებიან ამასტრიამდე და პაფლაგონიის ზოგ ნაწილებამდე"[3].

როგორც ცნობილია, ტიბარენების შემდეგ მოსახლეობდნენ კოლხები, რომლებიც აგრეთვე შეუერთა თავის სახელმწიფოს მითრიდატემ, ხოლო ტიბარენების სამხრეთით კი ბინადრობდნენ მესხები, რომელნიც არმენიელებს ესაზღვრებოდნენ.

სტრაბონის მიერ აქ მოხაზული მდ. ჰალისის აღმოსავლეთი ტერიტორია ემთხვევა კაპადოკიის ძირითად ტერიტორიას, რომელიც პონტოს სამეფოს ქვაკუთხედს წარმოადგენდა და რომელიც ძირითადად ხალიბების, ტიბარენებისა და მესხების მიერ იყო დასახლებული. ეს ის გეოგრაფიული არეა, რომელიც, სტრაბონისავე მოწმობით, ერთ ენაზე მეტყველი ხალხით იყო დასახლებული, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ.

მესხური მოსახლეობის სიმძლავრე და მრავალრიცხოვნობა იქიდანაც გამოსჭვივის, რომ, როგორც სტრაბონის ზემოთ მოტანილი ცნობიდან ვხედავთ, მესხების სექტორი მითრიდატეს შემდეგ სამ სახელმწიფოს შორის ყოფილა განაწილებული.

მესხური სამყაროს სიდიადე ამაზე უფრო ადრეულ ხანაშიც ასურული წყაროებიდან ნათლად მოჩანს, რომელთა საფუძველზეც

---

[1] А. С. Хаханов, Древнейшие пределы расселения грузин по Малой Азии, გვ. 2. მითითებული აქვს: Lenormant, Histoire ancienne de l' orient, I, p. 299.

აქვე ალ. ხახანაშვილს სქოლიოში მოტანილი აქვს შემდეგი ცნობა: „В цветущую эпоху Ассирии, говорит Раулинсон, мешехи были господствующим (principal people) народом Северной Сирии, Тавра и Каппадокии.

[2] იხ. Ed. Meyer, Gesch. d. Alterthums, II. გვ. 445.

[3] XIII, 3, 1; თ. ყაუხჩიშვილის გამ., გვ. 200.

ივ. ჯავახიშვილი დაასკვნიდა: „...მუსკები ძლიერი ხალხი ყოფილა და ასურეთის ვერც ერთ წინანდელ მეფეს მათი დამარცხება ვერ მოუხერხებია, პირიქით, თურმე, მესხები იპყრობდნენ ასურეთის მოხარკე ქვეყნებს. ალბათ, მუსკებს დიდი ადგილი სჭერიათ“ [1].

აქვე ივ. ჯავახიშვილი მუსკების—მესხების დასავლეთ საზღვრად ძველი დროისთვის მიიჩნევს ფრიგიას, რომელიც ერთ დროს „მუსკებს უნდა ჰკუთვნებოდათ“ [2].

მაშასადამე, მესხებს აღმოსავლეთით ესაზღვრებიან კოლხები და არმენიელები, დასავლეთით კი—ფრიგიელები, და სტრაბონის მიერ მოხსენებული მოსხიკე ამ ტერიტორიაზეა საგულისხმებელი.

სტრაბონის ცნობაში ყურადღებას იპყრობს ერთი დეტალი. ამ ცნობის კონტექსტი შესაძლებლობას იძლევა იგი ისე გავიგოთ, რომ მესხეთზე ლაპარაკის დროს, სტრაბონს მხედველობაში აქვს არა მთელი მესხეთი, მთელი მესხური სამყარო, არამედ მხოლოდ გარკვეული რაიონი, სახელდობრ, ის ნაწილი, სადაც არის ტაძარი (ლევკოთეასი).

თუ ეს დეტალი მართებულად არის მიგნებული, მაშინ მესხური სამყაროს სიდიადის შესახებ აზრი უფრო განმტკიცდებოდა.

უმნიშვნელო არ არის თვით ტაძრის დასახელება, რომელიც სტრაბონს ცოტა უფრო ადრე აქვს მოხსენებული. [3]

მართალია, სტრაბონს, ბერძნულთან ანალოგიით, ტაძარი ლევკოთეას სახელზე აშენებულად მიაჩნია, მაგრამ უდავოა, რომ იგი ადგილობრივი ქალღმერთის სახელზე იყო აგებული. [4]

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, 1, 1951 წ. თბილისი, გვ. 405.

[2] იქვე. პონტოს სამეფოს ფარგლებში, რომელიც თავდაპირველად მხოლოდ კაპადოკიის ჩრდილოეთ ნაწილსა და იქ მოსახლე ქართველ ტომებს მოიცავდა, დროთა განმავლობაში მოექცა მცირე აზიის მთელი ძველი ქართული სამყარო.

ფრიად მნიშვნელოვანია ამ მხრივ ის გარემოება, რომ მითრიდატე ევპატორის დროს მცირე აზიის ისეთი ცნობილი რაიონები, როგორიც იყო ფრიგია და კაპადოკია, პონტოს სამეფოს შემადგენლობაში ყოფილა და როგორც პირველი წყარო მოწმობს, ეს მხარეები ცოტა ხნის წინათ მითრიდატესთვის წაურთმევიათ რომაელებს. (იხ. აპიანე, 15. პელოპიდეს სიტყვა რომაელ სარდალთა წინაშე).

[3] X. 2, 17.

[4] შდრ. ВДИ, 1947, № 4, გვ. 275, შენ. 7.

აქვე საინტერესოა არა მარტო ის, რომ აღნიშნული ტაძარი მდიდარი ყოფილა, რაც ქვეყნის სიმდიდრესა და სიძლიერეზე მიუთითებს, არამედ ისიც, რომ სტრაბონი ამავე ცნობაში პოლიტიკურ მომენტს ჩააქსოვს: რომ მესხური სამყაროს დაცემამ გამოიწვია მისი სამლოცველოს გაპარტახებაც.

სტრაბონი წერს: „მოსხების ქვეყანაში მდებარეობს ლევკოთეას სამლოცველო... ...ოდესღაც ის მდიდარი იყო, ხოლო ჩვენს დროს იგი ფარნაკეს მიერ და, ცოტა მოგვიანებით, მითრიდატე პერგამონელის მიერ იქნა გაძარცვული".[1] და მერე ერთგვარი გულშემატკივრობით დასძენს სტრაბონი, რომ: „როდესაც ქვეყანა დაუძლურდება", „მაშინო,—ამთავრებს იგი ევრიპიდეს სიტყვებით: „ღმერთთა კუთვნილიც სუსტდება და აღარ უნდათ მისი პატივისცემა".[2]

ძველი მესხეთის რომელ რაიონში, ან რომელ პუნქტში იყო აგებული ეს ტაძარი?

სტრაბონი, სამწუხაროდ, არ ასახელებს ტაძრის ადგილმდებარეობის პუნქტს და ზოგადად ამბობს, რომ ის მესხების ქვეყანაშია.

ჩვენ რომ მოვახერხებდეთ ტაძრის ადგილმდებარეობის დადგენას, ამით ჩვენ ხელთ აღმოჩნდებოდა მესხური სამყაროს პოლიტიკური და ეკონომიურ-კულტურული თვალსაზრისით მომსხო პუნქტი, რადგან ესოდენ მნიშვნელოვანი ტაძარი მხოლოდ რომელიმე ცენტრალურ პუნქტში შეიძლება არსებულიყო. ეს მით უფრო საინტერესო იქნებოდა, რომ, როგორც ამავე სტრაბონიდან ვიცით, ფრიად მნიშვნელოვანი ტაძარი,—როგორც რელიგიური, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით,—მდებარეობდა ე. წ. კაპადოკიის კომანაში, ხოლო კაპადოკიის ეს ტერიტორია აგრეთვე მესხურ სამყაროს სფეროს განეკუთვნება.[3]

თუ გავითვალისწინებთ, რომ კომანასა და ლევკოთეას ტაძრები ერთსა და იმავე მესხურ სამყაროში არის სავარაუდებელი, აქედან ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ ეს სამყარო ვრცელი და დიადი იყო არა მარტო თავისი ფიზიკური მოცულობით, არამედ კულტურული ცხოვრებითაც,—თუკი არსებობდა, თუნდაც, ეს

---

[1] XI, 2, 17.

[2] იქვე.

[3] შეად. ზემოთ საუბარი იმაზე, რომ მაძაკა მესხების მამამთავრის დაარსებულია და რომ მესხური მოსახლეობის გავრცელების რაიონია ეს მხარე.

მხოლოდ ორი მოზრდილი რელიგიური ცენტრი (კომანა და ლევკოთეას ტაძრის ადგილი), რომელთაგანაც პირველს დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა, იყო რა ამ ტაძრის ქურუმი მეფის შემდეგ მეორე პირი[1], ხოლო ლევკოთეას ტაძრის ასეთივე, ალბათ, შედარებით მცირე მასშტაბის, მნიშვნელობა, აშკარად გამოსჭვივის მისი სიმდიდრიდან და იქიდანაც, რომ მის დაცემას სტრაბონი უკავშირებს ამ ქვეყნის დაუძლურებას.

აღსანიშნავია ისიც, რომ კომანასა და ლევკოთეას ტაძართა უმაღლესი ღვთაებანი ერთი და იმავე ღვთაების სხვადასხვა ვარიანტებს წარმოადგენს, რაც მესხური პანთეონის მრავალფეროვანებასა და კულტურის სიმდიდრესა დანაირსახეობაზე მიუთითებს.

ამ მიმართებით მნიშვნელოვანია, რომ კაპადოკიის ტერიტორიაზე არსებობს ორი კომანის ტაძარი: ერთი საკუთრივ — ანუ როგორც მას სტრაბონი უწოდებს — „ზემოკაპადოკიელებში", მეორე კი, პონტოს კაპადოკიაში[2].

ყურადღებას იპყრობს თვით სახელი ქალაქისა კომანა... რათ ეწოდება არსებითად ერთი და იგივე ეთნიკური ელემენტით დასახლებულ, ერთი და იგივე გეოგრაფიული ტერმინით აღნიშნულ (საკუთრივ, ანუ ზემო კაპადოკია და პონტოს კაპადოკია) ტერიტორიაზე მდებარე ორ ქალაქს ერთი და იგივე სახელი?... ეს არ უნდა მომდინარეობდეს გეოგრაფიული სფეროდან. საფიქრებელია, ამ სახელის მნიშვნელობა კულტთან იყოს დაკავშირებული და ამან განაპირობა აქა და იქ ანალოგიური სახელწოდება ქალაქისა.

სტრაბონს სწორედ ამ მიმართულებით უცდია ქალაქის სახელწოდების ახსნა.

როგორც მას ჰგონია, კომანის ტაძარში ორესტსა და მის დას იფიგენიას ტავრის სკვითეთიდან გადმოუტანიათ ტავროპოლის არტემიდას კულტი; აქვე მოუთავსებიათ სამგლოვიარო თმები (χοιμὴ კომე), „საიდანაც წარმოსდგა ქალაქის სახელწოდება". [3]

სტრაბონის ეს ვარაუდი სწორი არ უნდა იყოს, რადგან ეს გეოგრაფიული სახელწოდება ამ რაიონისთვის Kumana-ს სახით იხსენიება ასურულ წარწერებში. [4]

---

[1] XI, 12, 2.

[2] XII, 8, 9.

[3] XII, 2, 3.

[4] Albr. Götze, Kleinasien zur Hethiterzeit, გვ. 5; მითითებ. სერიაში: Orient und Antike, № 1, Heidelberg, 1924.

უმნიშვნელო არ არის ის გარემოება, რომ თვით სტრაბონის მოწმობით, ქ. კომანაში მოსახლეობენ კატაონელები (XII, 2, 3), ხოლო სტრაბონისავე სი-

როგორც ვნახეთ, ქ. კომანა თავისი განთქმული ტაძრით მესხების ქვეყანას ეკუთვნოდა.

ამ ცნობიდან, გარდა იმ ფრიად მნიშვნელოვანი პოლიტიკურ-ეთნიკური ხასიათის დასკვნისა, რაც უკვე აღვნიშნეთ, კიდევ ის დასკვნა გამოიტანება, რომ საჭირო გახდება სათანადო კორექტივის შეტანა მცირე აზიის ეთნოგრაფიული სინამდვილის გაგებაში: ამიერიდან კომანას ტაძრის კუთვნილება, რაზედაც დღემდე ზოგადად და გაურკვევლად იყო ხოლმე ლაპარაკი, როგორც კაპადოკიურ მოვლენაზე,—გამორკვეულად უნდა ჩაითვალოს: კომანას ტაძარი და მასთან დაკავშირებული ეთნოგრაფიული მონაცემები მესხური და საერთოდ (იმდენად, რამდენადაც ორი კომანა იყო ორ კაპადოკიაში) ძველი ქართული სამყაროს კუთვნილებაა.

კომანას ტაძრის ცხოვრება მეტად მიაგავს კახეთის აწყურის თეთრი გიორგის ირგვლივ ცხოვრებას, რაც მკრთალი სახით დღევანდლამდეა შემონახული,[1] და თვით ტაძრის სახელწოდება „თეთრი გიორგი“ თავისთავად მრავალმეტყველია.

აქვე უნდა ისიც აღინიშნოს, რომ კაპადოკიაში საერთო კულტებისა და მათდამი მსახურების გარკვეული სისტემა არსებულა, რაც სტრაბონის მიერ აღნიშნულ ენის ერთიანობასთან ერთად, აქაური ეთნიკური სამყაროს ერთიანობა-იგივეობაზე მიუთითებს.

სტრაბონის მოწმობით, კატაონიაში, იმ კატაონიაში, რომლის მოსახლეობაც ენითა და ზნეჩვეულებით სრულიად არ განსხვავდებოდა კაპადოკიის ერთ ენაზე მეტყველი მოსახლეობისაგან,[2] „არის ტაძარი აპოლონისა, რომელსაც თაყვანსა სცემენ მთელს კაპადოკიაში“.[3]

---

ტყვით, ძველი მწერლები სრულიად უსაფუძვლოდ უპირისპირებდნენ ერთ ენაზე მოლაპარაკე კატაონელებსა და კაპადოკიელებს ერთიმეორეს... კატაონია შეადგენს კაპადოკიის მეათედ ნაწილს და არ შეიმჩნევა რამე განსხვავება ენასა და ზნეჩვეულებებში კატაონელებსა და კაპადოკიელებს შორის (XII, 1, 2).

იმისდა მიხედვით, რაც ჩვენ ვიცით კაპადოკიის აღმნიშვნელი რაიონის ძველი მოსახლეობის შესახებ, მცდარი არ იქნება დასკვნა, რომ კატაონელები მესხურ მოდგმას ეკუთვნოდნენ.

[1] შეად. სტრაბონი XII, 2, 3; აგრეთვე XII, 8, 9 და ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, 1, 1951, თბილისი, გვ. 51—53.

[2] XII, 1, 2.

[3] XII, 2, 5.

ამას გარდა, ქ. მორიმენაში იყო ზევს ვენასელის ტაძარი, სადაც 3.000 ტაძრის მსახური ცხოვრობდა; ტაძრის ქურუმს, კომანის ქურუმის შემდეგ, მეორე ადგილი უჭირავს თავისი ღირსებით.[1]

მესხურ სამყაროს გვერდით, გამომეტყველად მოჩანს პონტოს სამეფოს მოსახლეობის მეორე შემადგენელი ნაწილიც—იბერული სამყარო.

როგორც ცნობილია, პლუტარქეს პომპეუსის ბიოგრაფიაში, სხვათა შორის, ნათქვამი აქვს, რომ პომპეუსი სომხეთიდან: „...მითრიდატეს წინააღმდეგ გაემართა იმ ტომებზე გავლით, რომლებიც კავკასიონის ქედის გარშემო ცხოვრობენ. ამ ტომთა შორის ყველაზე უფრო უდიდესნი ალბანები და იბერები არიან. იბერთა ტომი მოსხურ მთებამდე და პონტომდე აღწევს“.[2]

როგორც ვხედავთ, პლუტარქეს ძალზე მკვეთრი მითითება აქვს იბერთა ტომის დასავლეთით გავრცელებაზე, სახელდობრ, იმ ტერიტორიაზე, რომელიც პონტოს სამეფოს მიწაწყალს შეადგენდა.

პლუტარქეს ამ ცნობას კარგად ეხმაურება შემდგომი დროის ავტორთა ცნობებიც.

საეკლესიო მწერალს ბერძენს გელასი კესარიელს, რომელიც 395 წ. გარდაიცვალა, თავის თხზულებაში გადმოცემული აქვს ცნობა ქართლის მოქცევის შესახებ.

ქართლის მოქცევის შესახებ ცნობას გელასი კესარიელი იწყებს ამ სიტყვებით: „ამავე ხანებში ღმერთის მცნება მიიღეს პონტოს გასწვრივ მდებარე მიწა-წყალზე მცხოვრებმა იბერებმა და ლაზებმა“[3].

ხოლო რომაელ მწერალს რუფინუსს, რომელიც თავის შრომას წერდა 402 წლიდან, გელასი კესარიელის შრომიდან ზემოთ მოტანილი ცნობა, ასე აქვს გადმოცემული: „Iberorum gens quae sub axe Pontico jacet“ („იბერთა ნათესავი, რომელიც პონტოს არეში ბინადრობს“[4]).

მოტანილ ცნობაში აგრეთვე გარკვევით არის მითითებული იბერთა და ლაზთა მოსახლეობის ადგილი: პონტოს არე.

---

[1] XII, 2, 5.

[2] პ ლ უ ტ ა რ ქ ე, პომპეუსი, 34. აკ. ურუშაძის გამოც., გვ. 117.

[3] იხ. ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი,—გელასი კესარიელი ქართლის მოქცევის შესახებ. ჟურნ. „მიმომხილველი“, I, 1926, გვ. 55.

[4] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, 1, თბილისი, 1951, გვ. 205.

აღნიშნულმა ცნობამ ქართველ მეცნიერთა შორის, ქართლის მოქცევის საკითხთან დაკავშირებულ კამათის დროს, თავისებური ინტერპრეტაცია მიიღო.

ეკამათებოდა რა კ. კეკელიძესა და ს. კაკაბაძეს, რომელთაც ტერმინი „იბერია" უმართებულოდ ესმოდათ, ივ. ჯავახიშვილი პირველწყაროთა მითითებას, რომ იბერები პონტოს გასწვრივ ცხოვრობენ, ხსნიდა მათ ავტორთა მიზანდასახულობით, რომელთაც, ივ. ჯავახიშვილის აზრით, სურდათ მკითხველისათვის მიეთითებინათ, რომ აქ საუბარია არა ესპანეთის იბერიაზე, არამედ კავკასიის ქრისტიან იბერებზე.[1]

და რომ მართლაც გელასი კესარიელსაც და რუფინუსსაც აღნიშნული გარემოება უნდა ჰქონოდათ მხედველობაში, ამას ივ. ჯავახიშვილი ამაგრებს აგრეთვე საეკლესიო მწერლის სოკრატეს შრომიდან მოტანილი ფრაზით, სადაც ნათქვამია: „ეს იბერნი პონტოს ზღვასთან ბინადრობენ, ესპანეთის იბერთაგან გადმოსახლებულნი კი არიან".[2]

შესაძლებელია, აღნიშნულ ავტორებს მართლაც სურდათ მიეთითებინათ, თუ რომელ იბერებზე აქვთ საუბარი და მათმა ამ მიზანდასახულობამ აიძულა ისინი გარკვეული გეოგრაფიული შტრიხი შეეტანათ თავიანთ თხზულებაში. მაგრამ, მიუხედავად იმისა, თუ რას ემსახურებოდა აღნიშნული გეოგრაფიული მითითება, იგი ძვირფას წყაროს წარმოადგენს, რომელიც გარკვევით მიუთითებს, რომ ლაზებთან ერთად,—რაც საერთოდ ცნობილია,— ი მ დ რ ო ს პ ო ნ ტ ო შ ი ი ბ ე რ უ ლ ი მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ა ც ა რ ი ს.

განსაკუთრებით მკვეთრია რუფინუსის ნათქვამი, რომ იბერები „პონტოს არეში" ბინადრობენო და სოკრატესი, რომ „იბერნი პონტოს ზღვასთან ბინადრობენ".

---

[1] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, 1, თბილისი, 1951, გვ. 205.

[2] იქვე; მითითებულია: **Historia ecclesiastica**, c. XX. ივ. ჯავახიშვილის კონცეფცია გაიზიარა და პირდაპირ გაიმეორა (თუმცა სათანადო მითითების გარეშე) აკადემიკოსმა კ. კეკელიძემ (იხ. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, VI, 1960, გვ. 12—14).

მანვე, ამასთანავე, აღიარა, რომ „...იბერიული ეთნიკური ელემენტის არსებობა პონტოში არც გეოგრაფიულადაა შეუძლებელი; იბერია პირდაპირ მოსაზღვრე იყო პონტოსი; ჩრდილო-აღმოსავლეთით იბერთა მიწა-წყალი, მესხეთისა და ტაო-კლარჯეთის ხაზით, უშუალოდ პონტოს ეკვროდა" (იქვე, გვ. 14).

პატივცემულ მეცნიერს გამორჩა შეემაგრებინა თავისი ნათქვამი პლუტარქეს ცნობით, რომ იბერთა ტომი მესხეთის მთებამდე და ზღვის სანაპირომდე ვრცელდებოდა.

ფრიად მნიშვნელოვანია, რომ ძველი ქართული ლიტერატურის ერთი პირველმოღვაწეთაგანი ევაგრე (341—399), რომელიც ტომით იბერიელი იყო, საერთაშორისო მწერლობაში ცნობილია პონტოელის სახელით.[1]

აქაც ჩვენ გვაქვს იმის დადასტურება, რომ მაშინდელი იბერული მოსახლეობა პონტომდე აღწევდა.

აღნიშნული მითითებანი, პლუტარქეს ცნობასთან ერთად, ეჭვს გარეშე ხდიან, რომ იბერთა მოსახლეობა პონტოს ზღვამდე აღწევდა და იბერები, მესხებთან, ლაზებთანა და ხალიბებთან ერთად, პონტოს სამეფოს მოსახლეობის ქართულ მასას შეადგენდნენ; იბერები იგივე ტაბალები არიან.

უეჭველია, რომ კაპადოკიის ტერიტორიაზე დიდხანს განაგრძობდნენ ქართველი ტომები ცხოვრებას და სწორედ ამ ტომთა სხვებთან გაერთიანებისაგან შეიქმნა პონტოს სამეფო.[2]

საყურადღებოა კაპადოკიასთან ის ორგანული კავშირი, რომელიც დიდხანს შემორჩა ქართულ ისტორიულ ტრადიციას. საქართველოში მნათობთა თაყვანისცემის მთავარი ღვთაების მთვარის კულტი შეცვალა წმინდა გიორგის კულტმა. ეს მამაცი მხედარი გიორგი კაპადოკიელი იყო.[3]

---

[1] იხ. კ. კეკელიძე, მეოთხე საუკუნის საზღვარგარეთელი ქართველი მოაზროვნე და მოღვაწე; ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, VI, გვ. 5—17.

[2] მითრიდატეს ჯარის მნიშვნელოვანსა და საუკეთესო ნაწილს კაპადოკიელები შეადგენდნენ.

მითრიდატესთან ომის საწარმოებლად იტალიის ძლიერი ჯარით მოსული სულა ეკვეთა პირეუმს, სადაც გამაგრებული იყო არქელაოსი პონტოს ჯარით. სულამ „აქ მრავალი გმირობა ჩაიდინა, მაგრამ ბევრი მარცხიც განიცადა, რადგანაც კაპადოკიელები მამაცად იცავდნენ თავს“ (აპიანე, 30; შეად. აგრეთვე აპიანე, 61).

[3] ვ. ნოზაძე შეცდომად უთვლის ივ. ჯავახიშვილს იმას, რომ იგი „მთვარის ღვთაებას წმიდა გიორგის კულტს უკავშირებს“ (იხ. ვიქტორ ნოზაძე, ვეფხისტყაოსნის ვარსკვლავთმეტყველება, გვ. 60. სანტიაგო დე ჩილი. 1957).

ნოზაძის სიტყვით: „ცნობილია: წმიდა გიორგის კულტი სწორედ მზის თაყვანებასთანაა გადაბმული“ (იქვე).

მაგრამ თავის სხვა ნაშრომში ვ. ნოზაძე წერს: „მთვარე უფრო ადრე იყო ღმერთი. მისი ღმერთობა უწინარეს მზისა აიხსნება მთვარის მნიშვნელობით მწყემსსა და მონადირე ხალხთათვის; იგი განმტკიცდა განსაკუთრებით ცხელ ქვეყნებში, სადაც მზე მავნედაც კი ითვლებოდა. მთვარის ეს უპირატესობა მზესთან შედარებით, გამოიხატა მთვარის სქესითაც,—მთვარე ღმერთი იყო მამაკაცი, ხოლო მზე იმ ხანაში—დედაკაცი.

ქართველთა განმანათლებელი ნინო კაპადოკიელი ქალია.

იბერიის მეფე მირიანს ცოლად ჰყავდა პონტოელი ქალი ნანა.[1]

და არც ამ სახელების: ნინო, გიორგი, ნანა საქართველოში ესოდენ გავრცელება უნდა იყოს უმნიშვნელო საქართველოსა და და კაპადოკიას შორის ორგანიული კავშირის საკითხის განხილვის დროს.[2]

საგულისხმოა, რომ ნანა სვანურში ნიშნავს დედას.[3] ასევე უდურად ნანა აგრეთვე დედას ნიშნავს.[4]

ქართულ დიალექტებში დედა აღინიშნება ნენათი.

ხოლო საინტერესოა, რომ თაბასარანულში ცურს, ჯიქანს ჰქვიან ნანა.[5]

პონტურ-კაპადოკიურ ნანასა და ქართულ ნანა-ნენას შორის ორგანიული კავშირი უდავოა.

---

ამ დებულების მიხედვით, აშკარაა, ქართული მთვარე, რომელიც დღეს მამაკაცად ითვლება, დასახულ იქნა ღმერთ-მამაკაცად იმ ხანაში, როდესაც ქართველნი, ჯერ კიდევ ნადირობისა, მწყემსობისა და სასოფლო მეურნეობის პირველ ხანაში, იმყოფებოდნენ რომელიღაც ცხელ ქვეყანაში.

მზის თაყვანისცემა, უეჭველია, დაიწყო სასოფლო მეურნეობის ხანაში, და ალბათ დარჩა აგრეთვე მთვარის ღმერთობაც (იხ. ვიქტორ ნოზაძე, ვეფხისტყაოსნის მზისმეტყველება, გ. 100, სანტიაგო დე ჩილი, 1957).

ხოლო ამავე ნაშრომის 104 გვ. ნოზაძე წერს, რომ წმ. გიორგი მზისა და არა მთვარის გამოხატულებას წარმოადგენს.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ არ უნდა იყოს გამორიცხული ქართველ ტომებში მთვარის მთავარი კულტის შენარჩუნება, როგორც ამას კლასიკური ხანის (სტრაბონი და სხვა) მწერლები მოგვითხრობენ აღმოსავლეთ საქართველოსთვის. მაგრამ, იმისდა მიუხედავად, იქნება წმ. გიორგი როგორც მთვარის, თუ როგორც მზის კულტის შემცვლელი,—მას ის მნიშვნელობა, რომელიც ენიჭება. კაპადოკიელთა და ქართველთა შორის მჭიდრო კავშირ-ურთიერთობის განსაზღვრაში,—არ დაეკარგებოდა.

[1] იხ. ქართლის ცხოვრება, ანადედოფლისეული ნუსხა, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბილისი, 1942, გვ. 41.

[2] მაგ., სახელების ნინო და ნანას შესახებ—იხ. გ. ჟორდანია— მეხურელნი, გვ. 163—165.

[3] **Н. Марр, Грамматика чанского (лазского) языка, СПБ, 1910,** გვ. 172.

[4] ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბილისი, 1937, გვ. 612.

[5] **Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, Вып. XXXIV,** გვ. 226.

წინააზიურ ღვთაებათა შორის, სადაც ალალე, არალე, ია და სხვები არიან, არის აგრეთვე ნანა.[1]

ნანა—უმაღლესი ღვთაება ადამიანთა მოდგმის გამრავლებისა, აგრეთვე ნაყოფიერების ღვთაება—გავრცელებული იყო მცირე აზიაში, სომხეთში, პონტოში, საქართველოში.[2]

გრ. ღაფანციანის თქმით: „За словом нана прикрепляется значение мать.[3]

შესაძლებელია, ქართულ სამყაროში ნანას ესოდენ გავრცელება მატრიარქატის ეპოქიდან მომდინარეობდეს.

რომ ქართული ნანა, ნენა, აგრეთვე სამღერალნი „ნანა", „იავნანა", ქართული სამყაროსათვის უაღრესად მშობლიური იყო, ამას ამტკიცებს ის გარემოება, რომ იგი ადგილს ჰპოვებდა არა მხოლოდ ყოველდღიურ საერო ცხოვრებაში, არამედ მას გზა გაუკვლევია სარწმუნოებრივ ცხოვრებაშიც და ქრისტიანულ ღვთისმსახურებაშიც დაუმკვიდრებია ადგილი.

საინტერესო ცნობა შემოგვინახა პორფირი უსპენსკიმ,[4] რომელმაც 1845 წ. მოიარა ათონის მთის მონასტრები და სამლოცველოები. უსპენსკის ივერთა ათონის მონასტერში წირვაზე დიდი ალსავლის დროს (Великий ход) ერთი უცნაური გარემოებისათვის მიუქცევია ყურადღება.

იგი წერს:—„А пока длилось их шествие (ლაპარაკია დიდი ალსავლ. ცერემონიაზე) певец левого хора Дохиарский, что есть мочи, пел яко до царя всех подымем—с странными припевами: те-ри-ре ре ку-ку ке-е-на ке-на-то то-то ру-те ри-ре не-а-на, качая головой, притоптывая ногою и выводя верхние и нижние ноты в ряде рулад, вот так и так (მოტანილია ნოტები რვა სტრიქონად).

შემდეგ შენიშნავს: „По учению греческих певцов, эти непонятные слова означают непостижимость Божества и тайны воплощения Сына Божия; а неннена поется по воспоминанию

---

[1] А. Сванидзе, Материалы по истории алародийских племен, 1937, გვ. 40.

[2] იხ. ნ. ჯანაშიას წერილი ჟურნ. „Христианский Восток", IV, 1915, 103; Г. Капанцян, Историко-лингвистические работы, გვ. 290—292.

[3] Капанцян, იქვე, გვ. 292.

[4] ამ ცნობაზე მიმითითა პროფ. ი. ცინცაძემ, რისთვისაც მადლობას მოვახსენებ.

о Богоматери, которая пела это неннена (т. е. Утешение мое) у колыбели Божественного Младенца своего".[1]

უდავოა, რომ აქ ლაპარაკია ძველ ქართულ ეკლესიაში არსებულ ტრადიციის გადმონაშთზე, რომლის მნიშვნელობაც ქართველთა მონასტერში მოკალათებულ ბერძენ ბერებს აღარ ესმოდათ.

ივერთა მონასტრის ბერის საგალობელში ქართული „ნანა", თუ „იავნანა" გაისმოდა...

შესაძლებელია, ეს ერთ-ერთი მაგალითია იმისი, თუ ქრისტიანულ რიტუალში როგორ შემორჩა წარმართული ელემენტი.

როგორც ცნობილია, ნანა ბაბილონურ სამყაროშივე იყო ცნობილი და ამდენად შეიძლება კაპადოკიისათვის ორიგინალურად არ ჩაითვალოს, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, ნანა კაპადოკიურსა და ქართულ სამყაროს შორის ორგანიული კავშირის უეჭველ მაჩვენებლად მაინც მიიჩნევა.[2]

რადგან ნინოს პიროვნების საკითხი არ შეიძლება პრობლემატიური არ იყოს, ამიტომ შეიძლება ისიც ივარაუდოს ადამიანმა, რომ ნინოს (ნანას, ნუნეს) სახით ქართულმა სამყარომ ქრისტიანული რელიგიის აღქმა ძველ წარმართულ სათავეებთან მიიტანა და იქიდან დაიწყო. საქართველოში ხომ ცნობილია რაოდენ თვალსაჩინო იყო ეს პროცესი: წარმართული გზით, ანალოგიით, ქრისტიანულის შეთვისება, რასაც საბოლოო შედეგად ორივეს ელემენტთა შერევა მოჰყვა.

ის გარემოება, რომ საქართველოში ესოდენ თვალსაჩინოა და უხვად არის წარმართული და ქრისტიანული ელემენტი ერთიმეორეში შერწყმული, საინტერესოა არა მხოლოდ როგორც ამ ფაქტის დამადასტურებელი,—არამედ მაჩვენებელია უფრო დიდმნიშვნელოვანი რამისა: რომ ქრისტიანობა საქართველოში მოვიდა სინკრეტიზმის გზით, ისე როგორც სხვა ცივილიზებულ ქვეყნებში; რომ ქრისტიანობა მოვიდა საქართველოში არა ცარიელ ადგილზე, არამედ მას აქ დახვდა მაღალგანვითარებული რელიგიური სისტემა მნათობთა თაყვანისცემის სახით, რელიგია, რომელიც აღმოცენებული იყო გარკვეულ მატერიალურ-ზნეობრივი ცხოვრების

---

[1] Архимандрита Порфирия Успенского, Первое путешествие в Афонские монастыри и скиты в 1845 году, часть 1, გვ. 71.

[2] თუმცა, თუ ნინა, ნანა სუმერულ-ხურიტულად უნდა მივიჩნიოთ (იხ. Капанцян, დას. შრ., გვ. 291), მაშინ ეს ქართული სამყაროსთვის აქედან მომდინარედაც შეიძლება ჩაითვალოს.

განვითარებაზე და რომელიც ქრისტიანობას შეეჯახა და მას წინააღმდეგობას უწევდა ცხოვრების მთელი კომპლექსის შინაარსით...

ქრისტიანობამ საქართველოში, ისე როგორც სხვა ქვეყნებში, მნიშვნელოვნად შესცვალა აქ დამხდური რელიგიის შინაარსი,—ხოლო გარეგნულად, ფორმით კი,—თითონ მას დაექვემდებარა და შეეგუა, რაც პრაქტიკული მიზნებით იყო ნაკარნახევი: ადვილად დაეპყრო პოზიციები, ახლოს მისულიყო ხალხის მასებთან... ბევრ შემთხვევაში ქრისტიანულმა ელემენტმა გამოდევნა წარმართული, მაგრამ ბევრგან ვერ მოახერხა მისი განდევნა და იძულებული გახდა მას შერწყმოდა და მასთან პარალელური არსებობა გაეზიარებინა: თეთრი გიორგი და ვარდისა ღვთისმშობელი კახეთში, ეკლესია თეთროსანი აჭარაში[1] და სხვა ამის თვალსაჩინო მაგალითებია.[2]

კაპადოკიელთა ეროვნული კუთვნილების შესახებ გამოთქმულ მოსაზრებას (Gelzer, Maspero და სხვები), რომ კაპადოკიელები ირანული კოლონისტები არიან (გვ. 14), ედ. მაიერი უპირისპირებს საკუთარ აზრს, რომ კაპადოკიელები ინდოგერმანულ მოდგმას უნდა მიეკუთვნენ (იქვე).

მაგრამ მისი დახასიათებით, ამ ხალხს არაფერი შეუქმნია, გარდა ნაციონალური მდედრობითი სქესის ღვთაებისა და რომ მათში ნაციონალურ შეგნებაზე ლაპარაკი ზედმეტია („Von Nationalgefühl ist in Kappadokien nie die Rede“)[3].

ამგვარად, თუნდაც კაპადოკიელები ცალკე ხალხად მივიჩნიოთ, რისთვისაც სრულიად არავითარი საფუძველი არ არსებობს, მათ ამ მხარის ეკონომიურ, კულტურულსა და პოლიტიკურ ცხოვრებაში არავითარი როლის შესრულება არ შეეძლოთ, იმდენად უმნიშვნელო ელემენტს წარმოადგენდნენ ისინი.

მაშასადამე, როდესაც საისტორიო წყაროებში ამ ქვეყნის მოსახლეობაზეა ლაპარაკი, აქ იგულისხმება არა ეს უმნიშვნელო ელემენტი (თუკი, საერთოდ, არსებობდა ასეთი), არამედ ის ტომები, რომლებიც ქართულ სამყაროს ძირითად ბირთვს წარმოადგენდნენ და რომელნიც იყვნენ ამ მხარის ცხოვრების დემიურგნი.

როგორც დავინახეთ, იმ ტერიტორიებზე, რომლებიც პაფლაგონიისა და კაპადოკიის სახელწოდებით აღინიშნებოდა წყა-

---

[1] Д. Бакрадзе, Краткий очерк Гурия, Чурук—Су и Аджары, გვ. 3.

[2] შეად. ბენო გორდეზიანი, კოლხური ცულები თუ მუშთარის ხატები „საბჭოთა ხელოვნება“, 1958, № 6. გვ. 14—16.

[3] იხ. Gesch. d. Königr. Pontos., გვ. 17.

როებში, ისტორიულ მანძილზე, ყოველთვის ცხოვრობდნენ ქართველი ტომები.

ცნებები პაფლაგონია და კაპადოკია ზოგადი ხასიათისაა, სხვადასხვა ისტორიულ მანძილზე სხვადასხვა კონკრეტული შინაარსისა, და ამ შინაარსში ყოველთვის ქართული ელემენტი ძირითად, წამყვან ფაქტორად იგულისხმება, განსაკუთრებით კაპადოკიაში.

საისტორიო წყაროების თანახმად, კაპადოკიის ძირითად ნაწილში ერთ ენაზე მოლაპარაკე ხალხი ცხოვრობს პირველ საუკუნეში.

ასეთი ერთფეროვანი (ეთნიკური თვალსაზრისით) მოსახლეობა მოქცეულია პაფლაგონიასა და კოლხეთს შორის, კილიკიის ტავრსა და ჰალისის შესართავებს შორის.[1]

სტრაბონი თითონ კაპადოკიის მკვიდრი იყო და ამ ქვეყანას კარგად იცნობდა.

სტრაბონის დროსაც მდ. ჰალისის შესართავთან ცხოვრობს ის ხალხი, რომელიც განუყრელ ნაწილს წარმოადგენს კაპადოკიის ტერიტორიაზე მოსახლე ძირითადი მოდგმისა, იმ ტომისა, რომელიც აქ მუდამ ცხოვრობდა და რომელიც საისტორიო წყაროებში უფრო ადრეულ ხანაში ტაბალ-თუბალებად, ტიბარენებად, მოსხებად, ხალიბებად, ხოლო შემდეგ ჭანებად, სანებად და ლაზებად დანაწევრებულად იხსენება.

ალ. სვანიძე მცირე აზიისა და საქართველოს გეოგრაფიულ სახელწოდებათა შედარებითი შესწავლის საფუძველზე შემდეგ დასკვნამდე მისულა: „...эти географические названия дают основание предполагать, что значительная часть первоначального населения Малой Азии была этнически однородна с грузинскими племенами“.[2]

კოტიორას შემდეგ დასავლეთი რაიონები თვით ქსენოფონტესთვის უცნობი დარჩა. ხოლო კოტიორა, ქსენოფონტესავე მოწმობით, ტიბარენების ქვეყანაში მდებარეობდა.

---

[1] სტრაბონი, გეოგრაფია, წ. XII, თავი 1, თ. ყაუხჩიშვილის გამოცემა, გვ. 199.

[2] А. Сванидзе, Материалы по истории алародийских племен, Тбилиси, 1937.

ანალოგიები, თუ იგივეობანი ძველი კაპადოკიისა და თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე გეოგრაფიული სახელებისა იხ. ბატონიშვილი ვახუშტი—საქართველოს გეოგრაფია. მ. გ. ჯანაშვილის რედაქციით, შესავალი, 1904, გვ. მა.

როგორც ცნობილია, ტაბალ-ტიბარენები კიმერიელთა შემოსევამ აიძულა სამხრეთიდან, კაპადოკიიდან, ჩრდილოეთით. შავი ზღვის სანაპიროსაკენ გავრცელებულიყვნენ.

ქსენოფონტეს დროს ისინი აქ ცხოვრობდნენ.

იგივე ითქმის მეშეხ-მუსკ-მესხებზე.

„Тубал, соответствующий ассир. табал и греч. Тибаренам,[1] народ живущий в южной Каппадокии (см. карту Иеремиаса), в ассирийских текстах упоминается впервые при Салманасаре III (859—825 до н. э.). Позднее, в результате киммерийского нашествия, они были оттеснены на север к берегам Черного моря (на территорию, где позднее образовалось Понтийское царство), где их застал Ксенофонт.

Мешех, соответствует ассир. мушкам и греческим мосхам, народ населяющий центральную часть Малой Азии... Позднее (одновременно с табалами) мушки были оттеснены на север в Колхиду, где они зафиксированы Страбоном и Помпеем".[2]

ამ ძველი ტომების შესახებ გრ. ლაფანციანი ამბობს: „Эти племена несомненно грузинского происхождения".[3]

პირველწყაროთა შესწავლის საფუძველზე ივ. ჯავახიშვილი დაასკვნიდა: „V ს. ქრ. წ. მოსხები, ტიბარენები, კოლხები და დანარჩენი ქართველი ტომები შავის ზღვის ნაპირას და ზღვის მახლობლად ცხოვრობდნენო".[4]

ტიბარენებზე Reinach-ი წერს, რომ ტიბარენები ტაბალის შთამომავალნი არიან[5], ხოლო მესხები და ტიბარენები კი მიაჩნია მას შთამომავლად მუსკებისა და ტაბალებისა, რომელნიც ბიბლიაში მეშეხისა და ტუბალის სახელით არიან მოხსენებული და

---

[1] საყურადღებოა, რომ, როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, უკვე ებრაელი მეცნიერი იოსებ ფლავიოსი ამბობდა, რომ „იბერი" თუბალისაგან არის წარმომდგარიო. ამავე აზრს იმეორებდა ესტატე ანტიოქელი არქიეპისკოპოსი (IV ს. პირველი ნახ.) და თეოდორიტე კვიროელი ეპისკოპოსი (IV საუკ.), რომელნიც ამტკიცებდნენ „თუბალი, ეხლა იბერად იწოდებაო" (ქართვ. ერის ისტორია, 1, გვ. 395).

[2] ВДИ, № 1, 1947, გვ. 266.

[3] ხსენებ. შრ., გვ. 145.

[4] ქართველი ერის ისტორია, წ. I, 1951 წ., გვ. 406.

[5] Die Tibarenen Überreste des alten Volk von Tabal". იხ. დას. შრ., გვ. 229, შეად. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, 1, გვ. 393.

რომლებიც უწინ გაცილებით სამხრეთით ცხოვრობდნენ და ეკავათ ანატოლიის მნიშვნელოვანი ნაწილი კილიკიამდე[1].

კაპადოკიისა და პაფლაგონიის ტერიტორიაზე, ქსენოფონტესა და მის შემდგომ პერიოდში, ხოლო უფრო ადრე ამ ტერიტორიების სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით, ქართველი ტომების ცხოვრების შესახებ მოგვითხრობს ისტორიული წყაროები.

მკვლევართა წარმოდგენით, ეს ტომები ისტორიული ვითარების გავლენით თანდათან იხევენ ჩრდილოეთით, პონტოს ზღვის სანაპიროსაკენ.

ამ ისტორიული მოძრაობის დროს ტომთა განლაგებისა და მათი ურთიერთშორის მეზობლობის სურათი ანალოგიური რჩება.

მაგ. ძვ. წ. 672 წლით დათარიღებულ ურარტუს მეფის რუსა II-ის წარწერის მიხედვით, მუშკების (შემდ. დროის მოსხები, მესხები) ჩრდილოეთით ცხოვრობდა ხალხი, რომლის ქვეყანაც მოხსენებულია ხალიტუს სახელწოდებით. ამ სახელს მკვლევარნი აიგივებენ შემდგომ ხანებში პონტოს სამხრეთ სანაპიროზე მცხოვრებ ხალიბებთან.[2]

ძვ. წ. VII საუკუნეზე გ. მელიქიშვილი ასირიულ წყაროებზე დაყრდნობით წერს: „Особенно большую роль в Малой Азии играют в это время крупные об'единения мушков и Табала, свидетельством чему могут служить не только ассирийские источники, но также факт упоминания этих малоазийских племен в Библии под названием Мешеха и Тубала".[3]

ხოლო მეორე ადგილას წერს: „... в восточной части Малой Азии с XII в. встречаем мы племена мушков, с IX в. же в источниках начинают фигурировать также племена табалов. Судя по их названиям, эти племена, очевидно, являлись племенами грузинского происхождения. Название „мушков" (в произношении возможно „мошки") давно уже справедливо сближают с названием известного грузинского племени мосхов-месхов, также название „табалов" органически сближается с грузинским миром и находит прекрасное объяснение по данным грузинского языка".[4]

---

[1] Einen grossen Teil der anatolischen Landenge bis nach Kilikien hinn inne hatten. იქვე, გვ. 290.

[2] Г. Меликишвили, Наири—Урарту, გვ. 315; И. М. Дьяконов, „Эпиграфика Востока", В.VI, გვ. 111—112.

[3] Г. Меликишвили, Наири-Урарту, გვ. 305.

[4] იქვე, 410.

ძველ ქართველ ტომთა მცირე აზიის სამხრეთ რაიონებიდან ჩრდილოეთისაკენ განდევნა-გადანაცვლების შესახებ წარმოდგენა დაზუსტებას საჭიროებს.

როგორც სინოპეს და ამისოსის მოსახლეობის საკითხის განხილვამ დაგვანახვა, იქ ძალიან ადრე გაჩენილა მოსახლეობა, რომელიც გენეტიკურად ძველ ქართველ ტომებს უკავშირდება. მაშასადამე, აქეთკენ ამ მოსახლეობის მხოლოდ შემდგომში წაწევა-გავრცელებაზე ვარაუდი სწორი არ არის.

თუ შემდგომი დროის წყაროებიდან მკვლევართ ისეთი შთაბეჭდილება ექმნებათ, რომ ქართველი ტომები სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ იდევნებიან, ეს მხოლოდ იმის შედეგია, რომ ეს წყაროები მოგვითხრობს მხოლოდ კაპადოკიის ჩრდილოეთ რაიონებზე და მისი სამხრეთ რაიონის შესახებ მაშინდელი წყაროები არ გაგვაჩნია.

როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, ჰეროდოტეს შემდეგ მხოლოდ ქსენოფონტე შეეხო სამხრეთ რაიონებს ნაწილობრივ, იმ ზოლზე, რომლითაც ბერძნებს შავი ზღვისკენ მგზავრობა უხდებოდათ. ასირიული წყაროების შემდეგ, სამხრეთ რაიონებზე ჩვენ არც ერთი წყარო რაიმე გაბმულ ცნობას არ გვაწვდის.

მცირე აზიისა და, კერძოდ, კაპადოკიის ჩრდილოეთ რაიონებს ეხება ყველა შემდგომი დროის მოგზაურ-აღმწერთა ცნობა. სწორედ ამის გამო იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს გარკვეული ტომები, რომლებიც უწინდელ წყაროებში სამხრეთ რაიონების მოსახლეობად ითვლებოდნენ, ახლა ჩრდილოეთით მოჩანან.

სამხრეთი რაიონების შესახებ ცნობათა ნაკლოვანებას შედეგად არასწორი დასკვნა სდევს თან; სინამდვილეში, ჰელინისტურ ხანაში კაპადოკიის სამხრეთ რაიონებში მოსახლეობის ძირითად მასას ჯერ ისევ უწინდელი ტომები (მოსხ-ტაბალები) შეადგენდნენ.

რომ ქართველ ტომთა მოსახლეობა მუდმივი იყო როგორც ჩრდილოეთის, ისე სამხრეთ რაიონებში, ეს მოჩანს ძველი და აგრეთვე ჩვენი დროის ცნობებიდან.

აპიანეს ცნობით, პონტოს სამეფოსა და რომს შორის მეორე ომი იმით დაიწყო, რომ რომაელთა ჯარის სარდალი მურენა: „კაპადოკიაზე გავლით თავს დაესხა კომანას, ძალიან დიდ დასახლებულ პუნქტს, რომელიც მითრიდატეს ძალაუფლების ქვეშ იმყოფებოდა“.[1]

---

[1] აპიანე, 64.

როგორც დავინახეთ, კაპადოკიაში ქართველი ტომები მოსახლეობდნენ, ხოლო რომ მითრიდატეს სამფლობელოში სწორედ ქართველ ტომთა მიწაწყალზე უნდა შეჭრილიყო რომაელთა ლაშქარი და რომ იმ მიდამოებში იმთავითვე და უკანასკნელ ხანამდე ქართველები ცხოვრობდნენ, ეს არავითარ ეჭვს არ იწვევს.

როგორც განმარტებული იყო, კაპადოკიაში მოსახლე ერთ ენაზე მოლაპარაკე მცხოვრებთა მასაში ძირითადად ქართველი ტომებია საგულისხმებელი, ხოლო მათი მოსახლეობა კი მდ. ჰალისის დასავლეთით ვრცელდებოდა, იმავე სტრაბონის მიერ მოწოდებული ცნობის თანახმად.

ერთხელ კიდევ გავიხსენოთ სტრაბონის ეს ცნობა, სადაც იგი, ლაპარაკობს რა, რომ კაპადოკია დასახლებულია ერთ ენაზე მოლაპარაკე ხალხით, ამასთანავე, მოხაზავს ამ მოსახლეობის გეოგრაფიული გავრცელების საზღვრებს და აღნიშნავს, რომ ისინი: „... შემოსაზღვრულნი არიან... დასავლეთით პაფლაგონელთა ტომით და გალატელთა ტომით, რომელიც ფრიგიაში მოსახლეობს ლიკაონელებამდე და იმ კილიკიელებამდე, რომლებიც კლდოვან კილიკიაში ცხოვრობენ“.[1]

როგორც ვხედავთ, კაპადოკიის ერთ ენაზე მოლაპარკე მოსახლეობა ფრიგიელებისა და კილიკიელების მეზობლად ყოფილა და, მაშასადამე, მურენა, ვიდრე ჰალისამდე მივიდოდა, ესენიც უნდა გაევლო, ხოლო ჰალისის გადალახვის შემდეგ, მათ შუაგულ მხარეში უნდა შეჭრილიყო.

ამასავე გვანიშნებს გვიანდელი ხანის მასალაც.

იგივე სტრაბონი კი კაპადოკიის სამხრეთ ნაწილს ხომ პირდაპირ უწოდებს მესხეთს (η Μοσχική).

1842 წელს ტრაპიზონის ოლქი მოიარა ი. ს. პროსკურიაკოვმა. მან გამოაქვეყნა წერილი სათაურით: „Заметки о Турции“. ამ წერილში იგი ქ. ბაიბურთზე შემდეგსა წერს:[2] „В древние времена описываемый город носил название Испирети, которое есть чисто грузинское и значит город крайнего предела или предельный город между грузинскими владениями и Каппадокией, чему доказательством служит то, что жители нынешнего Бай-

[1] XII, 1. 2; თ. ყაუხჩიშვილის გამოცემა, გვ. 199.

[2] მართალია, ეს ცნობა კაპადოკიის სამხრეთ ნაწილს ეხება და არა იმ ტერიტორიას, რომელზედაც უშუალოდ მიმდინარეობდა საომარი მოქმედება ამჟერად, მაგრამ მაინც ეს ერთი მთლიანი სამყაროა.

бурта, состоящие из грузин, армян и евреев, принявших магометанство в XVI в., до сих пор говорят на своих языках и все вообще на турецком".[1]

ბაიბურთი მეათე საუკუნეში ხალდიის მნიშვნელოვან ციხე-სიმაგრეს წარმოადგენდა.

922 წლის მახლობლად ხალდიაში მოხდა ანტიბიზანტიური აჯანყება ვინმე ხალდი ადრიანეს მეთაურობით.

აჯანყებულთ ხელთ იგდეს ციხე-სიმაგრე პაიპერტი (ბაიბურთი).

ბიზანტიის საუკეთესო სარდალმა კურკუასმა ძალით სძლია აჯანყებულთ და აიღო ციხე[2].

ა. კაჟდანს თემა ხალდია სომხებით დასახლებული ჰგონია[3]. მაგრამ ეს არის მის მიერ სრულიად ზერელედ, დაუსაბუთებლად და მეცნიერული გააზრების გარეშე ნათქვამი. ეს მხოლოდ ზეპირი დილეტანტური განცხადებაა, ყოველგვარ მეცნიერულ ღირებულებას მოკლებული.

აღნიშნულ მიდამოებში ქართველი ტომები მუდამ ცხოვრობდნენ, ისტორიულ პერტურბაციათა ყოველგვარ პირობებში.

ეხება რა სპერის მოსახლეობის საკითხს, ჩვენი ცნობილი მკვლევარი პ. ინგოროყვა წერს: „საისტორიო წყაროებიდან დასტურდება, რომ ზემო სპერში იმ პერიოდის მანძილზე (II—IV საუკ.), როდესაც ეს კუთხე პოლიტიკურად სომხეთთან იყო დაკავშირებული, სომხების ჩამოსახლებას ადგილი არ ჰქონია და არც სომხურ ენას მიუღია გავრცელება. ზემო სპერი მოსახლეობის შემადგენლობასა და აქ გავრცელებული ენის მიხედვით, როგორც თავიდანვე იყო, ისე შემდგომაც დარჩენილა ქართულ მხარედ: მოსახლეობის უმრავლესობას ზემო-სპერში, როგორც ირკვევა, შეადგენდა ქართული ტომი ჭანები".[4]

პ. ინგოროყვასვე სიტყვით: „ხოლო სპერის ქვემო ნაწილში იბერიელები (მესხები) შეადგენდნენ უმრავლესობას".[5]

---

[1] იხ. Записки Кавказского Отдела Императорского Русского Географического общества, Книжка XXV, вып. 1, გვ. 41.

[2] იხ. А. П. Каждан—Крестьянское движение в Византии в X в., журнал „Византийский временник", т. V, გვ. 89.

[3] იქვე, გვ. 94.

[4] პ. ინგოროყვა—გიორგი მერჩულე, გვ. 514, თბილისი, 1954.

[5] იქვე.

მითრიდატემ რომაელთა აგრესიას უპასუხა არა იარაღით, არამედ რომში ელჩების გაგზავნით.

მურენამ კი „ამასობაში გადალახა მდინარე ჰალისი... და სწრაფად გაიარა მითრიდატეს 400 სოფელი". [1]

კომანა და ჰალისის მიდამოები ძველ ქართველ ტომთა სამოსახლო მიდამო იყო...

აკადემიკოსი მარი წერდა: „Раньше население чанских племен обнимало, весьма вероятно, значительно более обширную площадь не только вглубь страны, но и на запад вплоть до реки Кизил-Ирмака, первоначальное название которой Halys об'ясняется по чански, как нарицательное имя, именно река". [2]

ნ. მარის აზრით: „Несомненно, что чаны оттиснуты целиком в тесные пределы современного Лазистана весьма рано, но не сразу". [3]

მარის მოწმობით: „Сами чаны называют себя лишь лазами". [4]

ნ. მარისათვის მის თანმხლებ ლაზს ფავზი-ბეის (Фавзи-бей) უთქვამს, რომ: „В Константинополе Лазами называют всех жителей Турции с берегов Черного моря, даже самсунцев и синопцев; синопцы лазами называют самсунцев; самсунцы лазами называют трапезунтцев". [5]

აქ ნათქვამით დასტურდება ჰომეროსისა და სტრაბონის ცნობები ჰალიზონებისა და ხალიბების შესახებ, რომ ჰალიზონები ზანები—ჭანები იყვნენ.

ჭანების—ლაზების (კოლხების) მოსახლეობა იყო ტრაპიზონის ოლქის ძირითადი მოსახლეობა, რომელიც ტრაპიზონიდან დასავლეთით შორს ვრცელდებოდა.

თუ რამდენად მრავალრიცხოვანი და მძლავრი იყო ეს ტომი, ამას ჩვენი წელთაღრიცხვის VI საუკუნის პირველწყაროთა ცნობები მჭევრმეტყველურად ღაღადებს.

იოანე მალალას 491—578 წ. ცნობით: „თეოდოსის მეფობის დროს (ბიზანტიის იმპერატორი თეოდოსი I მეფობდა 379—395

---

[1] აპიანე, 65.

[2] Н. Марр, Из поездки в Турецкий Лазистан. Изв. Импер. Академии Наук, 1910 г. № 8, გვ. 603.

[3] იქვე, გვ. 548.

[4] იქვე, გვ. 608.

[5] იქვე, გვ. 608.

წლებში), ჭანები შეიჭრნენ კაპადოკიაში, კილიკიაში და სირიაში. შოარბიეს და უკან გაბრუნდნენ“ [1].

საყურადღებოა, რომ მოსე ხორენელის ერთ ცნობაში ამ ჭანების ქვეყანა მოხსენიებულია როგორც ჭანიუკი, ხალტი [2].

სტეფანოზ ბიზანტიელი კი გადმოგვცემს მენიპე პერგამელზე (I საუკ. გეოგრაფოსია) დაყრდნობით, რომ პონტოს სამეფო აღწევს: „...ტიბარენიამდე, ქალდიამდე და სანიკემდე“.

პროკოპი კესარიელის მოწმობით, პონტოს სანაპიროებზე მოსახლე ტომები მის დროს „...არც რომაელთა (ე. ი. ბიზანტიელთა—გ. გ.) და არც ლაზთა მეფის ქვეშევრდომები არ არიან“ [3]. დღემდე ისინი არავითარ გადასახადს არ იხდიან“ [4].

ჭანების ტომი, VI საუკუნეში, იუსტინიანეს მიერ მათ დაპყრობამდე (ჭანების დაპყრობა ბიზანტიელების მიერ. პროფ. ს. ყაუხჩიშვილის აზრით, უნდა მომხდარიყო 528—533 წლებში, იხ. Georgica, II, გვ. 27), სრულიად დამოუკიდებელი იყო.

პროკოპი კესარიელი გადმოგვცემს: „ჭანები ძველთაგანვე თვით-თავადნი იყვნენ და არავის არ ემორჩილებოდნენ“. [5] ამასვე იმეორებს მეორე ადგილას: „...ჭანები ძველად თვით-თავადად ცხოვრობდნენ“-ო [6].

თვით ბიზანტიის იმპერატორი იუსტინიანე თავის 535 წლის იანვარში გამოცემულ ნოველაში სიამაყით აცხადებს, რომ ჭანების დამორჩილება ღმერთმა რომაელებს (ბიზანტიელებს—გ. გ.) მხოლოდ მის მეფობაში მიანიჭა“ [7].

ჭანური მოსახლეობა ტრაპიზონის დასავლეთით შორს იყო მოფენილი.

აკად. ივ. ჯავახიშვილის სიტყვით: „ოდესღაც ლაზების ანუ ჭანების მოსახლეობა ტრაპიზონსაც კი სცილდებოდა და თვით ეს ქალაქი და ოლქი მათ ქვეყანას ეკუთვნოდა“ [8].

---

[1] „ქრონოგრაფია“ XIII, ს. ყაუხჩიშვილი, Georgica, ტომი III, გვ. 262.
[2] ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, იქვე, გვ. 288.
[3] De Bello Gothico, VIII, 1; Georgica, II, 95.
[4] იქვე.
[5] Georgica, II, გვ. 182.
[6] Georgica, II, გვ. 183.
[7] Georgica, II, გვ. 196.
[8] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი — საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული, გვ. 46, ტფილისი, 1914 წ.

ხოლო ჩვენი დროის ცნობილი მკვლევარი, ლენინური პრემიის ლაურეატი, პროფ. გ. მელიქიშვილი წერს: „О значительном распространении западно-грузинских племен в южном направлении в античную эпоху указывает также нахождение в этих районах народа халдов—халибов, повидимому, одного из западно-грузинских племен (как известно, имя халдов органически связывается с западно-грузинским, в частности, с чанским населением, в древнеармянских источниках в качестве вариантов употребляются названия халдов и чанов)" და სხვა[1].

თუ VI საუკუნეში ისეთი მძლავრი იყო ჭანების ტომი[2], როგორც პროკოპი კესარიელი მოწმობს, თავისთავად ცხადია, რომ ეს ტომი ადრევე მრავალრიცხოვანი და მძლავრი იყო და, რაც მთავარია, ასეთი ტომის აქ მოსახლეობა თავიდანვე მომდინარეობს და იგი აქ რომელიმე ერთ მომენტში, მით უმეტეს კლასიკური ეპოქის შემდეგ, გაჩენილი არ შეიძლება იყოს. ჭანების ტომი ასევე ძლიერი და მრავალრიცხოვანია შემდეგშიაც.

VIII საუკუნის დამლევს ბიზანტიელებმა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს რაიონებისაგან შექმნეს თემა ხალდია (ქალდია), რომლის მოსახლეობაც ძველი ტომებისაგან შესდგებოდა.[3]

აკად. თ. უსპენსკის გამოკვლევით: „თემა ხალდია ქალაქ ტრაპიზონის მეთაურობით შეიქმნა ჯერ კიდევ VIII საუკუნეში... იმ ოლქებში, რომლებიც სუსტად იყო კოლონიზებული ელინების მიერ და რომლებიც დასახლებული იყო უცხო შთამომავლობის ხალხების: ლაზების, ქართველების, სომხების მიერ".[4]

ხალდიის თემაში იყო აგრეთვე ქალაქები: ხერიანი, ერზინჯანი, ბაიბურთი.

არაბი გეოგრაფის კოდამას ცნობით, ამავე ხანებში, თემა ხალდიადან 4000 მებრძოლი გამოჰყავდათ.

---

[1] იხ. Г. А. Меликишвили. О происхождении грузинского народа, გვ. 49, Тбилиси, 1952 г.

[2] თუმცა აქ უნდა ითქვას, რომ ამ დროს ტომის ეს სახელწოდება ჭანები— შემკრებელობითი უნდა იყოს და, ალბათ, ეხებოდა ამ ტომის მეთაურობით არსებულ ქართველ სხვადასხვა ტომთა გაერთიანებას.

[3] იხ. H. Gelzer—Die Genesis der byzantinischen Themenverfassung, გვ. 96. Leipzig 1899.

[4] ф. И. Успенский. Очерки по истории Трапез. империи, გვ. 122.

ეს რიცხვი უდრის დანარჩენი თემებიდან თვითეულისათვის სავალდებულო გამოსაყვან მებრძოლთა რიცხვს. მაშასადამე, მოსახლეობის რაოდენობის მხრივ. ხალდია სხვა თემებს არ ჩამორჩებოდა.

ბიზანტიელებს მხოლოდ ანატოლიკისა და კიდევ ორი სხვა თემიდან გამოჰყავდათ თვითეულიდან 10.000 და უფრო მეტი მებრძოლი.

კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობით, ხალდიის მთავარი ქალაქი იყო არგიროკასტრონი, შემდეგში თურქებმა რომ გიუმიშხანე უწოდეს[1]. ეს ის ქალაქია, რომელთანაც არის დაკავშირებული ხალიბთა ქვეყანაში ვერცხლის წარმოების შესახებ უძველეს პირველწყაროთა ცნობები.

გიუმიშხანეს ვერცხლის საბადოებზე ჰამილტონი, რომელმაც აქ 1835 წელს იმოგზაურა, წერს: „გიუმიშხანეს ვერცხლის სარეწაოები უმნიშვნელოვანესია თურქეთის სამფლობელოებში".

ჰამილტონმა კიდევაც ინახულა გიუმიშხანეს სამხრეთ-აღმოსავლეთით 11/2 მილზე მაღარო, სადაც წარმოებდა მადნის ამოღება და მისგან ვერცხლის მოპოვება. აქ 50—60-მდე მუშა იყო საქმეში ჩაბმული.[2]

ორმოცი წლის შემდეგ მადნის წარმოება მიტოვებული ნახა ფრანგმა მოგზაურმა თეოფილ დეიროლმა.

იგი წერს: „დამუშავება ვერცხლისა და ტყვიის მადნებისა, რისგანაც მიიღო ამ მხარემ თავისი სახელი, თითქმის მიტოვებულია. 1810 წელს მთავრობა იღებდა აქედან ყოველთვიურად ოცდაათი ათას პიასტრს, ამჟამად კი მადანს თითქმის არავითარი შემოსავალი არ მოაქვს"[3].

პლინიუსის ცნობით, კაპადოკიაში იღებდნენ რკინას.[4]

მაგრამ კაპადოკია მდიდარი იყო აგრეთვე ვერცხლითაც, რის გამოც რომაელებმა მაძაკაში (კესარიაში) შექმნეს ცენტრი „по чеканке римской монеты, при том серебряной".[5]

რანოვიჩი დასძენს, რომ ეს: „позволяет предполагать, что здесь разрабатывались серебряные руды".[6]

---

[1] Ф. И. Успенский. Очерки по истории Трап. империи, გვ. 88.

[2] W. J. Hamilton — Reisen in Kleinasien, Pontus und Armenien Deutsch von Otto Schomburgk გვ. 162. Leipzig. 1843.

[3] Т. Дейрол—Путешествие в Лазистан и Армению, გვ. 39.

[4] Naturalis Historia, 34.

[5] А. Ранович—Восточные провинции... გვ. 120.

[6] იქვე.

ხალდიის ქალაქი იყო აგრეთვე ბაიბურთი (პაიპერი)[1].

აკად. ივ. ჯავახიშვილის თქმით: „შავი ზღვის ნაპირი, ეხლანდელი ჭანეთი, ანუ ლაზისტანი ეკუთვნოდა ქვეყანასა „ქალდიაჲსა“.[2] მას უწოდებდნენ „ქვეყანასა ხალდისა“[3].

როგორც აბო თბილელის ცხოვრება მოგვითხრობს ხალდიის შესახებ: „ტრაპეზუნტაჲ მუნ არს“[4], ე. ი. ხალდიაშია.

ხოლო სუმბატის ცნობით, ბასილ კეისარმა: „...იზამთრა ქვეყანასა ხალდიასა ქალაქსა ტრაპეზუნთას“[5].

სომეხი მკვლევარი ადონცი თავის ცნობილ გამოკვლევაში „Армения в эпоху Юстиниана“ წერდა: „Цаны одно из многочисленных племен, населяющих страну, известную в более древние времена под именем Халдии. С усилением политического значения цанов в VI стол. вся страна называется Цаникой“[6].

აკად. ივ. ჯავახიშვილის თქმით: „ყველა ქართველი ტომების სამშობლო... ქალდია იყო“[7].

სამეცნიერო ლიტერატურაში ძველი ხალდიის ტერიტორია გაიგივებულია ლაზისტანთან[8].

როგორც გამორკვეულია, ახ. წ. პირველ საუკუნეში შავი ზღვის სანაპიროზე, რომაელთა ბატონობის წინააღმდეგ ანიკეტის მეთაურობით აჯანყებული ტომები, ქართველი ტომები იყვნენ[9].

თუ რამდენად იყო ხალდიის თემი უხვად დასახლებული ლაზურ-ჭანური მოსახლეობით, ჩანს იქიდანაც, რომ რამდენიმე საუკუნის შემდეგ ადგილობრივი დაწინაურებული საგვარეულოები გვევლინებიან ამ თემისა და ტრაპიზონის იმპერიის პოლიტიკური ცხოვრების თვალსაჩინო ხელმძღვანელ ელემენტად.[10]

---

[1] იხ. უსპენსკის დასახ. შრ., გვ. 87.

[2] ც̃ა აბო ტფლ̃აჲ, გვ. 12.

[3] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია. II, გვ. 64.

[4] კ. კეკელიძე—ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, გვ. 66, თბილისი, 1935 წ.

[5] ც̃ა და უწყ̃ბა, გვ. 69.

[6] Н. Адонц, Армения в эпоху Юстиниана, გვ. 65.

[7] ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 424, 1951 წ.

[8] „Nach dem byzantinischen, armenischen und türkischen Nachrichten über dieses spätere Ch. haben wir das alte Gebiet etwa dem heutigen Lazistan gleich zusetzen“. იხ. Paulys Real—Encyclop., ტ. III, გვ. 2069.

[9] გ. გოზალიშვილი—რომის ექსპანსიის წინააღმდეგ შავი ზღვის სანაპიროზე პირველ საუკუნეში ქართველ ტომთა აჯანყების შესახებ. იხ. თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, XXXVII, გვ. 131—151.

[10] იხ. უსპენსკის დას. შრ., გვ. 110—123, გვ. 90, 148.

ტრაპიზონის იმპერიის აღმოცენებისთანავე, მის პოლიტიკურ ცხოვრებაში ხელმძღვანელ როლს ასრულებენ ადგილობრივი დაწინაურებული საგვარეულოები თავიანთი გამოჩენილი წევრების საშუალებით.

ეს საგვარეულოები და მათი წარმომადგენლები, ერთი მხრივ, ებრძვიან ტრაპიზონის იმპერატორებს, ეცილებიან მათ სამეფო ხელისუფლებაში და, მეორე მხრივ, იბრძვიან ურთიერთშორის, უმაღლესი სახელმწიფო-სამოხელეო თანამდებობებისათვის.

ამის მკვეთრი მაგალითია XIV საუკუნის პირველ ნახევარში ტრაპიზონის სახელმწიფოში მიმდინარე ურთიერთშორის დაუნდობელი და სისხლისმღვრელი ბრძოლა, რომელიც ოც წელს გაგრძელდა და რომელმაც ზოგი საგვარეულო მთლიანად იმსხვერპლა და სხვები კი საკმაოდ გააჩანაგა.[1]

ამ ბრძოლის მთავარი მონაწილენი არიან შემდეგი საგვარეულოები: სქოლარიების, მიზიმატების, კავასიტების, ჭანიხიტების, კომახიტების. აღნიშნული საგვარეულოების სახელები ასეა გამოთქმული ბერძნულ წყაროებში, მაგრამ მათში ძნელი არ არის ქართულის გამოცნობა.

თავი რომ დავანებოთ პირველ ორს, უკანასკნელი სამი— დღემდეა საქართველოში გადარჩენილი კავსაძის, ჭანიშვილისა და კომახიძის სახით.

თვითეულ ამ საგვარეულოს ძველ ხალდიაში თვალსაჩინო ადგილი და როლი განეკუთვნებოდა.

კავასიტების გვარი წარმომდგარი უნდა იყოს იმ გეოგრაფიული სახელწოდებიდან, რომელიც დღემდე შემონახულია სამსუნის (ყოფ. ამისოსის) მახლობლად მდებარე სოფ. კავსას სახელწოდებაში.

ამ საგვარეულოს ეკუთვნოდა აგრეთვე ციხე-სიმაგრე ζάγχα (ჭანჭა ?), ანუ შემდეგში გიუმიშხანე, და ხალდიის სხვა მნიშვნელოვანი პუნქტები.

თ. უსპენსკის სიტყვით: „ტრაპიზონიდან არზრუმის მიმართულებით სამხრეთი ოლქები, რომლებიც დაცული იყო მთებითა და ციხე-სიმაგრეებით, კავასიტების ხელთ იყო, რომელთაც ოდითგანვე ეკუთვნოდათ ნახევრად დამოუკიდებელი (полузависимое) მდგომარეობა ხალდიაში".

კავსას საგვარეულო თვალსაჩინო როლს თამაშობდა ტრაპიზონის იმპერიისა და, კერძოდ, ხალდიის ისტორიაში.

---

[1] ამ ბრძოლის შესახებ იხ. უსპენსკის დას. შრ., გვ. 99-დან.

ამ საგვარეულოს წარმომადგენლები ყოფილან თემა ხალდიის დუკად (იხ. უსპენსკის დას. შრ., გვ. 108), ჰქონიათ ტრაპიზონის იმპერიაში დიდი დომესტიკისა და დიდი ლოგოთეტის წოდებანი.

თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ხალდიის დუკას, ეს გამოკვლეული აქვს აკად. უსპენსკის, რომელიც წერს: „... Титул великого дуки... обозначал, собственно, военного и гражданского губернатора фемы Халдии, к которой по старой административной системе причисляется и Трапезунт. Но во все время Трапезунтской империи дука Халдии, столько же по традиции, как и по окрайнему положению этой области, подверженной постоянной опасности от врагов и защищенной многочисленными замками и крепостями, пользовался громадным влиянием и значением и мог держать в своих руках двор и судьбы империи“.[1]

დიდი და გავლენიანი იყო ჭანიხიტების საგვარეულო. მათ ეკუთვნოდათ ხალდიის ციხე-სიმაგრე ჭანიხი, აქედან წარმოსდგა მათი გვარი. ჭანიხიტები აგრეთვე დიდ როლს ასრულებდნენ ტრაპიზონის იმპერიის ცხოვრებაში. მათი საგვარეულო ერთი უძველესთაგანი იყო.

უსპენსკის გამოკვლევით: „Цанихиты вошли в русло политических событий с первых же лет образования Трапезундской империи“.[2]

ჭანიხიტების საგვარეულოს წარმომადგენლებს ჰქონიათ დიდი მეჯინიბეთუხუცესის წოდება. ამავე თანამდებობის პირი იყო იმავე დროს მაცუკას[3] ოლქის ჯარის უფროსი.

ჭანიხიტების გვერდით გავლენიანი და მათთან დანათესავებული იყო კომახიტების საგვარეულო.

მათი იყო ხალდიის ციხე-სიმაგრე კომახა და მათი გვარიც აქედან წარმოსდგა.

ზოგჯერ კემახად და კომახადაც მოხსენიებული ამ ციხე-სიმაგრის ნაშთები დღემდე გადარჩენილია.[4]

---

[1] Ф. Успенский, Очерки..., გვ. 111.
[2] Ф. Успенский, იქვე, გვ. 112.
[3] საინტერესოა აღინიშნოს, რომ ჩვენში არის გვარი მაცუკაშვილი.
[4] უსპენსკი, იქვე, გვ. 90.

ჭანიკის ვილაიეთში ჯერ კიდევ XIX საუკუნის ნახევარში ძალაუფლება ადგილობრივ ჭან წარჩინებულთ ეკუთვნით.[1]

რიტერი იქვე იხსენიებს მეორე ადგილობრივ წარჩინებულს, ხელისუფლების მქონეს Tschapau-Oghli-ს.

მერე ამბობს, რომ ფაშას ტიტულს მხოლოდ Tahir Pascha-ს საგვარეულო ატარებდა, მაგრამ ეს საგვარეულო „...დამოუკიდებელი და პატრიარქალური ხელისუფლების მქონე იყო“.[2]

თვით ლაზისტანშიც XIX საუკუნის 30-იან წლებში თურქთა ძალაუფლებას ფეხი არა ჰქონდა მოკიდებული და მათი ბატონობა ამ ქვეყანაზე უფრო ნომინალური იყო.

მოგზაური კოხი ადარებს უშუალოდ თურქების გამგებლობაში მყოფი ჭანების დაქვეითებულ მდგომარეობას ლაზისტანის კეთილ მდგომარეობასთან და ამბობს, რომ ეს შედეგია იმისი, რომ ლაზისტანში არ არიან თურქი მოხელეებიო.[3]

მოთხრობილის შემდეგ ცხადი უნდა იყოს, რომ იმ მოძრაობაშიც, რომელიც ბიზანტიის წინააღმდეგ აბობოქრდა VIII—IX საუკუნეებში ხალდია-არმენიაკას თემში და რომელიც პავლიკიანთა მოძრაობის სახელით არის ცნობილი,—მთავარ როლს ადგილობრივი ხალდურ-ჭანური მოსახლეობა თამაშობდა და სოციალურსა და რელიგიურ საკითხებთან ერთად, პოლიტიკური მომენტიც ახლდა ამ მოძრაობას.

მოძრაობა ძირითადად ხალდიის თემის რაიონებს მოიცავდა: პაიპერტი (ბაძიბურთი), გაძიურა, კოლონია, აზრუმი.

მართალია, აჯანყება მოედო აგრეთვე ე. წ. თემა არმენიაკას რაიონებსაც, მაგრამ ამ თემის მოსახლეობა ეთნიკურად ხალდიის თემის მოსახლეობის იდენტური იყო.

სახელწოდება არმენიაკა მექანიკურად ჰქონდა მიკუთვნებული ამ რაიონებს და ბიზანტიის ხელისუფლების მიერ, მცირე აზიისა და ზღვის სანაპირო ტერიტორიების უბრალო სამხედრო-ადმინისტრაციული გადამიჯვნის საფუძველზე იყო წარმომდგარი.

ეს კარგად ესმოდა კონსტანტინე პორფიროგენეტს (912—959), რომელიც წერდა, რომ სახელწოდება არმენიაკა ახალი სახელია, მას არ იხსენიებს არც ერთი მწერალი, დაწყებული უძველესი დროიდან და გათავებული ახ. წ. VI საუკუნით.

---

[1] იხ. Ritter—Die Erdkunde. Achtzente Theil. Drittes Buch, გვ. 808, Berlin, 1858.

[2] იქვე, გვ. 808.

[3] K. Koch—Reise im pontischen Gebirge und türkischen Armenien, 1846 წ., გვ. 116.

ეს სახელწოდება მიენიჭა ძველი კაპადოკიის ერთ ნაწილს.

არმენიაკას თემში შედიოდა ამ ძველი მხარის ისეთი ცნობილი პუნქტები, როგორიც: ამასია, ივორა (ანუ იბორა), გაიძურა, სინოპე. [1]

მარტო აღნიშნული მითითება კმარა იმისათვის, რათა ამ თემის სახელწოდებამ ამ რაიონის მოსახლეობის ეთნიკური კუთვნილების შესახებ ყალბი წარმოდგენა არ შექმნას.

მოძრაობის ერთი ძირითადი მიზანი იყო ბიზანტიისაგან ჩამოშორება.

პირველი წყაროს თანახმად, ბიზანტიის იმპერატორის ბასილი I წერილზე, რომლითაც იგი პავლიკიანელთა მეთაურს ხრიზოხირს ზავს სთავაზობდა, ამ უკანასკნელმა ზავის პირობად წამოუყენა იმპერატორს, რათა ბიზანტიას ხელი აეღო აღმოსავლეთის პროვინციებზე. [2]

საინტერესოა, რომ ბიზანტიის წინააღმდეგ მიმართულ თომა სლავიანის აჯანყებაში (831—823) მონაწილე მრავალ ხალხთან ერთად, პირველი წყარო განსაკუთრებით გამოჰყოფს ლაზებს, რომლებიც წყაროს სიტყვით—იზიარებდნენ მანუს შეცდომას. [3]

თვით თომა გაძიურადან იყო, სადაც ლიპშიცის თქმით „...было чрезвычайно распространено павликианское движение“ [4].

ბიზანტიის წინაღმდეგ აჯანყდა ეს მხარე X საუკუნეშიც. 922 წ. ხალდიაში მოხდა აჯანყება. აჯანყებულებმა ხელთ იგდეს ბაიბურთი. ისინი დაამარცხეს ბიზანტიელებმა და მათი მეთაურები დასაჯეს. [5]

X საუკუნეში ხალდიის თემი თავისი განთქმული ციხე არტანუჯით, რომლის სახელიც ჰანურია, [6] დიდ როლს ასრულებს ბიზანტია-საქართველოს ურთიერთობაში, არაბთა წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით [7].

---

[1] იხ. კონსტანტ. პორფიროგენეტი, De Thematibus, თემა არმენიაკა. პროფ. ს. ყაუხჩიშვილის Georgica, IV, გვ. 296—300.

[2] Е. Э. Липшиц, Павликианское движение в Византии в VIII в. и первой половине IX в. Визант. врем. т. V, გვ. 60.

[3] იხ. Genesii Regum, liber, p. 32; ს. ყაუხჩიშვილი, Georgica, II, გვ. 305; Липшиц, ხს. შრ., გვ. 58.

[4] Липшиц, იქვე, გვ. 58.

[5] Липшиц, იქვე, გვ. 89.

[6] იხ. Georgica, IV, ნაკვ. II, გვ. 280.

[7] იხ. კონსტ. პორფიროგენეტი—De administrando imperio, თავი 45. 46; Georgica, IV, ნაკვ. II, გვ. 287.

ხალდურ-ჭანურ-ლაზური მოსახლეობა ტრაპიზონისა და მისი ოლქის ძირითად მასას შეადგენდა იმთავითვე და თვით მეოცე საუკუნემდე.

პ. შუბინსკი 1911 წელს მიუთითებდა, რომ ტრაპიზონის მოსახლეობის ორ მესამედს ლაზები შეადგენენ[1].

ეს მოსახლეობა საუკუნეთა განმავლობაში განიცდიდა ძლიერ ზეგავლენას ჯერ ბერძნებისა და მერე თურქების მხრივ, რომელნიც მრავლად შეერივნენ ადგილობრივ მოსახლეობაში.

მაგრამ ქართული ელემენტი დროთა განმავლობაში იქ მაინც გაბატონებული რჩებოდა, ზოგი ცალკეული პუნქტის გამონაკლისით, თვით უკანასკნელ ხანამდე.

რადგანაც უფრო ახლო ხანის ცნობები უდავოდ ადასტურებს ტრაპიზონის ოლქში ლაზური მოსახლეობის გაბატონებას, თავისთავად ცხადია, რომ ეს მოსახლეობა იქ წინა ხანებშიც იყო, რაც ჩვენთვის ცნობილია კლასიკური ეპოქის ცნობებიდან და ვერავითარ შემთხვევაში იქ იგი შემდეგში ვერ გაჩნდებოდა.

ამ ადგილებში ქართველი ტომებისა და მათი კილოკავების დღემდე შენარჩუნება მხოლოდ მათი იქ ოდითგანვე არსებობის დამადასტურებელია, რადგან, ივ. ჯავახიშვილის სიტყვით რომ ვთქვათ: „VII საუკუნიდან ქრ. წ. მოყოლებული, შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთის ნაპირებსა და მის მოსაზღვრე ქვეყანაში არასდროს, თამარ მეფის ლაშქრობის გარდა, ქართველების ბატონობას ხანგრძლივ ფეხი არ მოუდგავს და არ მოუკიდია. მაშასადამე ქართველებს არ შეეძლოთ, რომ აქ თავიანთი ენა-კილოკავები რაიმე გზით გაევრცელებინათ; პირიქით, სპარსელების, ბერძნებისა, რომაელებისა, ბიზანტიელებისა, სელჯუკებისა და ოსმალების ხანგრძლივ ბატონობას თავისი კვალი უნდა დაეტოვებინა ადგილობრივ მკვიდრთა დედაენაში და მოსალოდნელიც იყო, რომ მათ თავიანთი დედაენა დაევიწყათ. თუ მრავალ უცხოელთა ბატონობისდა მიუხედავად, აქ ლაზურ-ჭანური ლაპარაკი ეხლაც ისმის, ეს მხოლოდ იმის დამამტკიცებელი და მომასწავებელი საბუთია, რომ ლაზურ-ჭანური აქ იმთავითვე სუფევდა, რომ ხალიბები, ტიბარენნი, მოსვინიკები, დრილები და სვანები სწორედ ლაზურ-ჭანურს ლაპარაკობდნენ, რომ ყველანი ისინი ქართულ ეროვნებას ეკუთვნოდნენ“.[2]

---

[1] Шубинский П., Гробница имеретинского царя Соломона в Трапезунде. „Исторический Вестник“, გვ. 278, 1913 г.

[2] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი 1, გვ. 415, თბილისი, 1951 წ.

ახალი წელთაღრიცხვის ჩვენამდე მოღწეული ცნობები (პერიპლუსები, სტრაბონის გეოგრაფია და სხვ.) ძირითადად ადრინდელ მწერალთა მიერ გადმოცემული მოსახლეობის ეთნიკურ სურათს ადასტურებს შავი ზღვის სანაპიროსა და მის სამხრეთ რაიონში. VI საუკუნის ბიზანტიელი მწერლები ამ მხარეთა მოსახლეობის შესახებ ახალს და განსაკუთრებულს არაფერს გვეუბნებიან.

VIII—XI საუკუნეებში არა ჩანს, რომ ამ მხრივ რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება მომხდარიყოს. პირიქით, ამ ქვეყნის მიერ სახელწოდება ხალდიის შენარჩუნება, რა სახელითაც იგი როგორც ბიზანტიის ერთ-ერთი თემი იწოდებოდა, — მიუთითებს იქაური ეთნიკური ელემენტის სტატიკურობაზე.

ამგვარად, ჩვენ ვხედავთ, რომ პირველი წყაროები უძველესი დროიდან მოკიდებული, უკანასკნელ დრომდე, ერთხმად ადასტურებენ შავი ზღვის სანაპიროს გარკვეულ რაიონში, სახელდობრ იმ ტერიტორიაზე, სადაც პონტოს სამეფო ივარაუდება, ჭანურ-ლაზური და საერთოდ ქართველ ტომთა მოსახლეობის უწყვეტ არსებობას.

აქედან ცხადი ხდება, რომ თვით პონტოს სამეფოს მოსახლეობის ძირითად ელემენტს მესხურ-ჭანურ-ლაზური და სხვა ქართველი ტომები შეადგენდნენ, რომ პონტოს სამეფო იყო ქართველ ტომთა სახელმწიფოებრივი გაერთიანება.

საინტერესოა, რომ ჯერ ისევ ძველ დროს ტრაპიზონის მხარეს ორგანიულად უკავშირებდნენ საქართველოს.

ერთ ძველ ქართულ ხელნაწერში, რომელშიაც მოთხრობილია VII საუკუნეში ბიზანტიასა და ირანს შორის ბრძოლაზე, ნათქვამია: „...ერეკლე მეფემან ისწრაფა... და ევქსინის პონტოჲთ... წარემართა... და მიიწია. რაჲ ტრაპეზუნტად სანახებთა სამეგრელოისათა“ და სხვა.[1]

ტრაპიზონისა და მისი ოლქის ძირითად მოსახლეობას ჭანებ-ლაზები შეადგენდნენ XVII საუკუნეშიც.

იხილავს რა XVII საუკუნის თურქი ისტორიკოსისა და ცნობილი მოგზაურის ევლია ჩელების ცნობებს ტრაპიზონის შესახებ, ჩვენი თურქოლოგი ს. ჯიქია დაასკვნის, რომ „...ტრაპიზონის ქვეყნის ეთნიკურად დახასიათებისას, ყურადღების ცენტრში ლაზები არიან. ლაზები ტრაპიზონის მხარეში მნიშვნელოვანი წონის მქო-

---

[1] იხ. Georgica, ტ. IV, ნაკვ. II, გვ. 422.

ნე და დომინანტი ტომია. ევლია ჩელებიც იძულებულია ანგარიში გაუწიოს ამ სინამდვილეს და თავის „აღწერაში“ წარმოადგინოს ლაზები როგორც ტრაპიზონისა და მისი სანახების ძირითადი ბინადარი ტომი“ [1].

როგორც ცნობილია, ტრაპიზონის ოლქის მესამე მაზრას თურქები ეხლაც „ჭანიკეს ეძახიან“ [2].

პროფ. დ. ზავრიევის გამოანგარიშებით, 1872 წელს ტრაპიზონის საფაშოს (пашалык) დაახლოებით 940 ათასამდე მოსახლეობიდან, ლაზების რაოდენობა 600.000 ივარაუდება, ხოლო 1940 წლისთვის კი—298. 300, და ისიც საორიენტაციოდ [3].

ლაზები ჯერ კიდევ ამ ოცდაათი წლის წინათ ტრაპიზონის ოლქის მოსახლეობის ძირითად მასას შეადგენდნენ.

მ. ფრუნზე ლაზებზე ამბობს: „...Это главная масса сельского населения всего юго-восточного турецкого Черноморья... Лазы—это отуречившиеся грузины“ [4].

ძვირფასი ცნობები შემოგვინახა ინგლისის კონსულმა ვ. ჯიფფორდ პალჰერიმ თავის 1868 წლის დაწერილ ინგლისის მთავრობისადმი მოხსენებაში.

ჯიფფორდ პალჰერი მოგვითხრობს: „ტრაპიზონის ვილაეტში, რომელიც შექვეთილიდან იწყება და ყიზილ ირმაყამდის (ძველი ჰალისი) გასტანს, ოფიციალურის ცნობებით 850.000-მდე მცხოვრებია, მათ შორის 56.000 ქრისტიანია... მაჰმადიანები განსაკუთრებით ლაზები არიან, ხოლო თვით ლაზისტანში ლაზების მეტი არავინ ცხოვრობს, თერეკას კაიმაკანში (ოლქში) ქ. კერასუნტისაკენ ერთს მაზრაში (კაზა) განსაკუთრებით ლაზები ცხოვრობენ“ [5].

ჯიფფორდ პალჰერის ცნობით, ტრაპიზონის ვილაეტი ოთხ სანჯაყად (სადროშედ, ოლქად) ყოფილა გაყოფილი. ესენია: 1. ლაზისტანი, 2. ტრაპიზონის ოლქი, 3. ჭანიკი, 4. გიუმიშხანე [6].

---

1 ს. ჟ ი ქ ი ა, ევლია ჩელები ლაზებისა და ლაზურის შესახებ. იხ. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. VI, 1954 წ., გვ. 247.

2 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართვ. ერის ისტორია, 1, გვ. 396.

3 მოხს. შრ., გვ. 181; 180.

4 Ф р у н з е М. В., Собрание сочинений, том 1, გვ. 278. Госиздат М-Л. 1929.

5 იხ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართვ. ერის ისტორია, 1, გვ. 415; შეად. Изв. Кавказ. Отд. Импер. Русск. Географ. общ. 1881 წ., წიგნი VII, № 1 დამატება, გვ. 15, 17.

6 ჯ. პ ა ლ ჰ ე რ ი — Изв. Кавк. Отд. Геогр. общ., გვ. 19.

ტრაპიზონის ვილაეთის მოსახლეობაზე ლაპარაკის დროს პალჰერი შენიშნავს: „Магометанское население происходит главным образом от лазов“.[1]

მეორე ადგილას კი, ლაპარაკობს რა თურქეთის ქვეშევრდომობაში მყოფ ქვემო აჭარაზე, პალჰერი ამბობს: „...Местное население исключительно магометанское, гурийского происхождения“.[2]

მაგრამ ლაზთა ეთნიკური ელემენტი იმალება არა მხოლოდ „მაჰმადიანის“ სახელწოდებაში.

აი რას მოგვითხრობს პალჰერი ქვემო აჭარის მეორე მაზრაზე: „Второй Каим Макамлик называется Архаве. Это настоящий Лазистан, так как население состоит сплошь из лазов... Перепись считает в этом участке 51 селение и 19.551 житель, из коих 18.115 магометан и 1.438 греков. Следует заметить, что так называемые „греки“ суть ничто иное как лазы, в византийском периоде принявшие христианство и с тех пор удерживающие его на свой лад“[3].

პროფ. დ. ზავრიევი, რომელსაც სპეციალურად აქვს შესწავლილი ტრაპიზონის მხარის მოსახლეობის სტატისტიკა, აღნიშნავს, რომ თურქულ წყაროებში, თურქებისა და ქურთების გამოკლებით, სხვა დანარჩენი მაჰმადიანური მოსახლეობა უნდა მიჩნეულ იქნას ქართველ მაჰმადიანებად[4].

მისივე სიტყვით, სტატისტიკური აღწერის დროს, ხშირად სხვადასხვა რაიონისა და, კერძოდ კი, ბათუმის ოლქის ქართველ მაჰმადიანებს, აღრიცხავდნენ როგორც თურქებს[5].

ე. ი. ბერძნებად აქ იწოდება ლაზური მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც გამაჰმადიანებას რაღაცნაირად გადაურჩა, ხოლო თურქებად ის ნაწილი, რომელიც გამაჰმადიანდა.

როგორც ვხედავთ, ერთსა და იმავე ტერიტორიაზე ისტორიულ მანძილზე, ერთი და იგივე ეთნიკური ელემენტი—ლაზები—რელიგიური ნიშნის მიხედვით განკუთვნილი არიან სხვადასხვა ეროვნებისადმი, რაშიაც ამ მხარისა და მისი მოსახლეობის ისტორიის თვალსაჩინო მომენტებია არეკლილი, ისევე, როგორც

---

[1] ჯ. პალჰერი—Изв. Кавк. Отд. Геогр. общ., გვ. 17.
[2] იქვე, გვ. 59.
[3] იქვე, გვ. 59, 60.
[4] მოხს. შრ., გვ. 182.
[5] იქვე, გვ. 180.

ამას ადგილი ჰქონდა ძველი დროის შავი ზღვის სანაპიროსა და მის სამხრეთ რაიონებში მოსახლე ძველ ქართველ ტომთა მიმართ.

პალჰერის ცნობით, ტრაპიზონის მესამე სანჯაყის (ოლქის) ჭანიკის, რომლის საზღვრებშიც მოქცეულია მდ. ჰალისის ძველი მოსახლეობა, მცხოვრებთა რაოდენობა უდრის 1.254.553 სულს.

თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ სახელწოდება ჭანიკი[1] მოსახლეობის ეთნიკური მასიდან მომდინარეობს, ცხადი გახდება, რომ აღნიშნული რიცხვიდან ჭანები მოსახლეობის ძირითად ნაწილს, დიდ უმრავლესობას შეადგენდნენ.

ტრაპიზონის ვილაეთის ოთხივე სანჯაყში მოსახლეობის რაოდენობა, პალჰერის მიერ მოწოდებული ცნობების მიხედვით, უდრიდა მაშინ 2.151.750 სულს.

აქედან სამი მეოთხედი მაინც უთუოდ ჭანები-ლაზები იყვნენ.

ტრაპიზონსა და მის ოლქში ისტორიის მანძილზე ქართველ ტომთა მოსახლეობა ძირითად მასას წარმოადგენდა.

ალექსანდრე სვანიძე დაასკვნიდა: Из того обстоятельства, что все древние писатели около Трапезунта упоминают Макронов и что Макроны соответствуют Занам или Тцанам явствует, что население этого района веками оставалось одним и тем же". (ხსენ. შრ., გვ. 153).

სწორედ ამიტომ თვით ქალდიის თემის უფროსებად ადგილობრივი ჭანები ინიშნებოდნენ.

ევგენიოსის სასწაულმოქმედებათა შესახებ თხზულებაში, რომელიც 1370—90 წ. დაწერილია და ეხება 1200-ანი წლების ამბებს, მოხსენიებულია ხალდიისა და ტრაპიზონის დუკა იოანე ხალდი[2].

ხოლო ზემოთ ჩვენ ვნახეთ, თუ რა დიდ როლს თამაშობდა ტრაპიზონის ოლქის პოლიტიკურ ცხოვრებაში ადგილობრივი გაბრათა საგვარეულო.

ხალდიის დუკა ძალიან ნაკლებად ემორჩილებოდა ბიზანტიის იმპერატორს და სრულიად დამოუკიდებლად იქცეოდა[3].

ბიზანტიის ხელისუფალნი ტრაპიზონის იმპერატორებს არასოდეს ასე არ უწოდებდნენ. ისინი მათ, დაცინვისა და დამცირე-

---

[1] დასახ. შრ., გვ. 153.

[2] С. Пападопуло—Керамевс, Сборник источников по истории Трапезунтской империи, გვ. 57, 97.

[3] Успенский—Очерки.. გვ. 88.

ბის მიზნით, მხოლოდ ლაზთა უფროსებსა და მმართველებს უწოდებდნენ[1].

ამით ბიზანტიელებმა ჩვენ ძვირფასი ცნობა შემოგვინახეს: ტრაპიზონის იმპერიის მმართველებს ბიზანტიელებმა სახელწოდება მისცეს იმ ხალხის მიხედვით, რომელთაც ისინი განაგებდნენ.

ტრაპიზონის სახელმწიფოს ქვეშევრდომნი ძირითადად ლაზები იყვნენ.

ხოლო ისტორიკოსი ლაონიკ ხალკოკონდილი ტრაპიზონის იმპერატორებს „კოლხთა მეფეებს" უწოდებს[2].

ასეთია ვითარება იმ ერთ-ერთი ძირითადი რაიონის მიმართ, რომელზე დაყრდნობითაც მითრიდატე უზარმაზარ ბრძოლას აწარმოებდა.

მეორე ძირითადი რაიონი—კოლხეთი, რომელიც ეთნიკური თვალსაზრისით პრობლემას არ წარმოადგენს, მნიშვნელოვანი იყო მითრიდატეს საქმიანობისათვის თავისი მატერიალური რესურსებით.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მითრიდატესათვის კოლხეთი, როგორც საზღვაო ფლოტის ბაზა, თვით ფლოტსაც აქედანვე იღებდა იგი.

სტრაბონის თქმით, მითრიდატეს კოლხეთიდან მოსდიოდა: „მეტი წილი ძალებისა სანაოსნო სამსახურისათვის"[3].

მრავალი ცნობა მოგვეპოვება აგრეთვე ძველი საქართველოს სამხრეთი რაიონების შესახებ.

ეს ცნობები აქაც ისტორიის მანძილზე მოსახლეობის უცვლელობას ადასტურებს.

არქანჯელო ლამბერტის მოწმობით (1633—1653 წლებში იყო საქართველოში): — ერზრუმის ქალაქის მახლობლად ახლაც ქართული სოფლებია. უწინდელ დროში თვით ამ ქალაქში იჯდა ქართველი ეპისკოპოსი, არზრუმელად წოდებული[4].

---

[1] პროკოპი კესარიელი De Bello Persico, 14; იხ. აგრ. VII საუკ. ბიზანტიელი მწერალი თეოფილაქტე სიმოკატა, Lib. III, cap. 6 და Liber V, cap. 8; აგრეთვე გიორგი პახიმერი—წ. XI, 34. იხ. Георгия Пахимера—История о Михаиле и Андронике Палеологах. Тринадцать книг. Том 1, Царствование Михаила Палеолога 1255—1232. Перевод под редакцией проф. Карпова. СПБ. 1862.

აქ მოხსენიებულია ტრაპიზონის მეფე იოანე როგორც ლაზთა მმართველი (გვ. 480).

[2] IX, p. 461, ed. Bonn.; Успенский, Очерки.. გვ. 128.

[3] გეოგრ. წ. XI, IV, 2; თ. ყაუხჩიშვილის გამოც.. გვ. 125.

[4] „მოამბე", 1900 წ. №4, გვ. 38.

გ. მელიქიშვილი, ძველი აღმოსავლური წყაროების შესწავლის საფუძველზე, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ: „...территорию страны Диаухи нужно искать в юго-западных районах исторической Грузии“[1].

უფრო ზუსტად კი, გ. მელიქიშვილის აზრით: „...район современного города Эрзерума и верховьев реки Зап. Евфрат (совр. Кара-су) представляется территорией страны Диаухи“[2].

გერმანელი მოგზაური კოხი, რომელმაც იმოგზაურა 1830-იან წლებში, პროვინცია ტაოს შესახებ ამბობს: „ტაოს, ჩვეულებრივ, სომხურ პროვინციად სთვლიან, მაგრამ ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ამ მხარის პირვანდელი მოსახლეობა ყოველთვის ქართული იყო“[3].

სომეხი მეცნიერის ადონცის თქმით, „ჭანთა ტომები ძველად ცხოვრობდნენ მდ. ხარშუტის აღმოსავლეთით, არდასისა და გიუმიშხანეს საზღვრებიდან დაწყებული, თვით ხემშინამდე, ეკავათ რა ამგვარად მთელი პარხარის ზეგანი“[4].

ხოლო ერიცოვის ცნობით: „Занимаемое Кисгимом ущелье состоит из двух частей: правый берег соответственно Кисгим, левый же известен под именем Гюрджистана (Хамшен).

Жители состоят тоже из лазов, „турок“ (армяно-грузинского происхождения) и армян.

Турок и лазов дымов 308; 2. 184 души, армян—210; 926 душ“[5].

ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევით: „...ეხლანდელი ყარსის გუბერნიის არტაანისა და ოლთისის ოლქები, რომლებიც ძველად კოლა-არტაანისა და ტაოს ჩრდილოეთს ნაწილს უდრიდნენ, საუკუნეთა განმავლობაში ქართველ მოსახლეობას და ერს ეკუთვნოდა. მხოლოდ XVIII საუკუნითგან მოყოლებული არტაანისა და ოლთისის ოლქში თურქთა 200 წლის ბატონობის და ისლამის წყალობით, ქართველ მაჰმადიანებს ქართული ენა დავიწყებული აქვთ. მოსახლეობა აქ თხელია და 1889 წ. არტაანის ოლქში 65763 სული იყო.... ოლთისის ოლქში 31519“[6].

---

1 Наири—Урарту, გვ. 58.

2 იქვე, გვ. 59.

3 Koch, დას. შრ., გვ. 237.

4 Адонц, Армения в эпоху Юстиниана, გვ. 65.

5 დას. შრ., გვ. 63.

6 არტაანის ოლქის მოსახლეობის აღმნიშვნელ რიცხვს, ივ. ჯავახიშვილი ასეთ შენიშვნას ურთავს: „მხოლოდ ორი ათასამდე მათ შორის არა

ხსენებული რაიონების მოსახლეობის სურათის გასათვალის-წინებლად, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივი რაიონებიდან მოსახლეობა ხშირად ყოფილა იძულებული შიდა თურქეთში გადასახლებულიყო.

მაგ., 1878—81 წლებში ყარსის ოლქიდან თურქეთში გადასახლებულა ძირითადი მოსახლეობის 7874 ოჯახი, ანუ 82. 769 სული [1].

მ. ჯანაშვილის ცნობით, მთელი მესხეთიდან XVII საუკუნეში გადასახლებული იყო ბრუსაში და სამსუნში, აგრეთვე სხვა ადგილებში, ნახევარმილიონამდე კაცი [2].

პროფ. დ. ზავრიევი წერს: „ლაზების განმათავისუფლებელი მოძრაობის შიშით, 1934 წელს თურქები მათ ასახლებდნენ შიდა რაიონებში. ქართველებისა და ლაზების მშობლიური მიწა-წყლიდან თურქეთის შუაგულში მასიურად გადასახლებას ადგილი ჰქონდა მეორე მსოფლიო ომის დროსაც“ [3].

XIX საუკუნის დამლევის ინგლისელი მოგზაური ლინჩი, ეხება რა ბითლისის, ხარშუტის, დიარბექირისა და არზრუმის ვილაიეტების მოსახლეობის საკითხს, აღნიშნავს, რომ: „Среди населения турецких провинций, причисленного к магометанам, существуют большие различия как в национальном, так и в религиозном отношениях“ [4].

მერე დასძენს: „Я склонен думать, что значительное число так называемых турок происходит от широко распространенной грузинской народности“ [5].

ლინჩის მიერ მოტანილ სტატისტიკურ ცნობებში პირველი ადგილი უჭირავს ე. წ. „მაჰმადიანებს“. მათი საერთო რიცხვი უდრის 853. 758 [6]. აქედან მნიშვნელოვანი რაოდენობა, რომელსაც ქართველები შეადგენდნენ, სამას-ოთხასი ათასს უნდა აღემატებოდეს.

---

ქართველი ყოფილა“. ოლთისის ოლქის მოსახლეობაზე კი ამბობს: „სამი ათასი და ცოტა მეტი არა ქართველი ყოფილა“.

[1] Дм. Бакрадзе, Историко-этнографический очерк Карсской области. Изв. Кавк. Отд. Импер. Русск. Геогр. общ., т. VII, 1881 წ., გვ. 197.

[2] М. Джанашвили—Батум и его окрестности. Батум, 1906 წ. ნახე ზავრიევთან, გვ. 176 და 178.

[3] ხსენებ. შრ., გვ. 177.

[4] Х. Ф. Б. Линч — Армения. Путевые очерки и этюды, том. II, გვ. 535, თბილისი, 1910 წ.

[5] იქვე, გვ. 537.

[6] იქვე, გვ. 532.

საინტერესო ცნობას გვაწვდის ამ რაიონების მოსახლეობის შესახებ ერიცოვი 1872 წლისთვის.

არზრუმის სანჯაყის თორთუმის ნახიის შესახებ ამბობს, რომ აქ მოსახლეობენ, ქართული და სომხური შთამომავლობის თურქებს გარდა: ლაზები —2.211 კომლი, ანუ 16.040 სული ორივე სქესისა, სომხები—74 კომლი, ანუ 619 სული, ბერძნები—7 კომლი, ანუ 63 სული[1].

სამწუხაროდ, ერიცოვს თურქთა მოსახლეობის, რომელსაც ის ქართულ და სომხურ შთამომავლობისად თვლის, რიცხვი დასახელებული არა აქვს, მაგრამ მათში, თუნდაც ისეთივე შეფარდება ვივარაუდოთ ქართული და სომხური ელემენტისა, როგორც საერთოდ ამ მხარის მოსახლეობაში,—ლაზური მოსახლეობის სასარგებლოდ მკვეთრ სურათს მივიღებთ.

მოვიტანოთ ერთი ცნობაც იმის ნათელსაყოფად, თუ როგორ ისპობოდა ძველი საქართველოს რაიონებში მოსახლეობა და როგორ ცდილობდა უკანასკნელ ხანებამდე ქართველობა შეენარჩუნებინა თავისი ეროვნული სახე... თუ რამდენად ძნელი იყო ქართველი კაცისთვის დაევიწყნა, რომ ის ქართველი იყო.

1830 წლებში პონტოს მხარეში იმოგზაურა გერმანელმა მეცნიერმა კოხმა, რომელმაც ძვირფასი ცნობები დაგვიტოვა ამ მხარის მოსახლეობაზე. კერძოდ, ართვინის ოლქზე ადასტურებს კოხი (სხვებთან ერთად), რომ იქ ქართველები ცხოვრობდნენ.

კოხი წერს: „ართვინის მცხოვრებნი ქართველები არიან და ქართული ენა არის სასაუბრო ენა მოსახლეობისა, როგორც ქრისტიანებისა, ისე მაჰმადიანებისათ“[2].

პროფ. დ. ზავრიევის მიერ შესწავლილი სტატისტიკური მასალის მიხედვით, ჯერ კიდევ 1916 წ. ქალაქ ართვინში ცხოვრობდა 882 ქართველი, რომელთაგანაც 489 ქრისტიანი, ხოლო 393 მაჰმადიანი იყო.

ართვინის ოლქში კი 25.849 ქართველიდან 698 ქრისტიანი და 25.151 მაჰმადიანი იყო[3].

ზავრიევის თქმით, ბათუმისა და ართვინის ოლქების მოსახლეობის 70 % შეადგენდნენ ქართველები[4].

---

[1] Известия Кавк. Отдела Импер. Русск. Геогр. общества, т. VIII, 1884—1885, Приложения.

[2] Koch—დას. შრ., გვ. 166.

[3] დასახ. შრ., გვ. 182.

[4] იქვე.

აქ არ შეიძლება არ გამოვეხმაუროთ ერთ შემთხვევას, რომელიც ზემოთ მოტანილი ცნობების სინათლეზე,ააშკარავებს ვინმე ლუდშუვეიტის უვიცობას,

შემდეგ კოხი მოუთხრობს, რომ ართვინის ოლქის უფროსმა მურად ალიბეგმა იგი ოჯახში მიიწვია.

კოხი განაცვიფრა მურადის ოჯახში მის მიერ ნახულმა ახოვან ვაჟკაცთა და მშვენიერ ქალთა გარეგნობამ და მათი ყოფა-ცხოვრების პირობებმა.

როდესაც შემდეგში კოხი კახეთს ეწვია, აქ გაიხსენა მან პონტოში ნახული ხალხი და იქაური ცხოვრება და იცნო აქაურისა და იქაურის ნათესაობა.

და მართლაც პლუტარქე გვეუბნება: „იბერთა ტომი მოსხურ მთებამდე და პონტომდე აღწევს“-ო[1].

ამიტომაც პონტოს მეფეს მითრიდატე ევპატორს იბერებში დიდი სიმპათიები ჰქონია დამსახურებული.

იგივე პლუტარქე, ეხება რა იბერთა მიერ კავკასიაში შემოჭრილ რომაელთა ჯარისათვის გაწეულ სასტიკ წინააღმდეგობას, შენიშნავს: „იბერნი... გულადობითაც სხვებზე უფრო მამაცი იყვნენ და ძალიან უნდოდათ მითრიდატესთვის ეამებინათ და პომპეუსი უკუექციათ“-ო[2].

დავუბრუნდეთ ისევ კოხს.

---

რომელიც არის ავტორი წიგნისა „Турция. Экономико-географический очерк“, Москва. 1955.

ამ წიგნის 286-ე გვერდზე მოთავსებულია ფოტოსურათი— ქ. ართვინის ხედი, ასეთი წარწერით: „...старинный армянский город“, ხოლო 287-ე გვერდზე ვკითხულობთ: „Артвин, расположенный на левом берегу Чороха, до 1921 г. принадлежал России... Население города, состоявшее почти сплошь из армян, превышало почти 10 тысяч человек... В настоящее время город насчитывает всего лишь 4—5 тысяч человек,—турок и аджарцев“.

ჩვენ ზემოთ ვნახეთ, რომ უახლოესი მონაცემების მიხედვით, ჯერ კიდევ ოციოდე წლის წინათ, ტრაპიზონის ოლქის მოსახლეობის ძირითად მასას ლაზები შეადგენდნენ. ლუდშუვეიტი კი ტრაპიზონზე წერს: „...Дома в приморской центральной части каменные, большей частью они принадлежали грекам или армянам. В предместьях—обычные для Лазии каркасные деревянные постройки“.

ასევე, რეალურ ისტორიულ მონაცემთა უგულვებელყოფის შედეგად, ლუდშუვეიტს 370-ე გვ. ჩამოთვლილი აქვს ქალაქები ყარსი, ბაიბურთი, ერზინჯანი, ბითლისი, ელვაზი და უწერია: Все это старинные армянские города“.

თუ ლუდშუვეიტმა თავისი თავი მოვალედ ჩასთვალა თურქეთის ზოგიერთი რაიონის ისტორიულად განხილვა, მაშინ იგი კიდევ უნდა ცდილიყო საქმის ვითარებაში სათანადოდ გარკვეულიყო, რათა ისტორიული სინამდვილე არ დაემახინჯებინა.

[1] პლუტარქე, პომპეუსი, 34. აკ. ურუშაძის გამოცემა.

[2] იქვე.

მურად-ალი-ბეგზე კოხი წერს: „...ოლქის უფროსმა მურად-ალი-ბეგმა მიამბო, რომ მისი პაპა ქრისტიანი იყო. ოჯახში ძველებურად ქრისტიანულ ქართულს ლაპარაკობდნენ, და მართლმორწმუნე გამომიტყდა, რომ, მართალია, ცოდვა და დანაშაულია ოჯახურ წრეში გიაურების ენაზე ლაპარაკი, მაგრამ მათ ეს ენა თვით ღმერთის მიერ აქვთ დედის რძესთან ერთად მომადლებული“ [1].

---

[1] იხ. Koch, დასახ. შრ., გვ. 167.

ძველი ქართული სამყაროს მოსპობა-გადაგვარების სავალალო სურათს გვიხატავს ალ. ხახანაშვილი.

ლაპარაკობს რა ახალციხის რაიონისა და მესხეთის ბრწყინვალე კულტურულ წარსულზე, ხახანაშვილი წერს: „Там, где шесть-семь веков тому назад образованность разливалась могучим потоком, затопляя своими ручьями всю Восточную Грузию,—провинция, служившая для всего царства передаточным звеном византийской цивилизации,—представляет плачевную картину разорения, запущения и невежества. Ислам с конца XVII в. привившийся здесь, наложил свою резкую печать на население, обрекши его на умственную ограниченность и на застой в развитии гражданственности. Коренное население Месхетии утрачивает постепенно свой национальный облик, сливаясь и ассимилируясь с магометанским элементом. Куртины и армяне, переселенные сюда гр. Паскевичем Эриванским, имели свое пагубное влияние на туземцев. Последние были вытеснены из многих селений, уступая свои жилища враждебным пришельцам. Об этом свидетельствуют названия деревень, где живут армяне и куртины. Сел. Цхал-Тбила, Идумала, Цхурти (жажда), Схвилиси (толстый) и др., ныне занятые армянами, еще очень недавно были заселены грузинами, которые давали своим поселениям наименования этимологически об'ясняемые лишь с помощью грузинского языка. Нельзя сказать, чтобы эти армяне-католики представляли чистый армянский элемент: в их жилах нередко течет не только грузинская кровь, но они часто считаются армянами-католиками только потому, что мы не хотим признавать, что есть грузины-католики. Однако, мы хорошо знаем историю перехода месхов в католицизм со времени владычества турок, когда прервались сношения с Грузией и установились связи с западом, откуда хлынула масса римских миссионеров, распространяя свою пропаганду на всем Кавказе. Отвергая большею частью национальное происхождение ахалцихских католиков, наши статистики составляют неверные итоги о числе грузин, армян и пр. Нечего говорить, что некоторые из грузин-мусульман, населяющих сел. Хертвиси, Аспиндза, Ахамети, Ацкури, Индуса, Ошора, Елиа-Цминда, Георги-Цминда, Курти, Двири, Кикинети, Джурта-Джвари, Таташиси, Свири, Цниси, Зикили, Чобарети, Сакунети, Ткемлиани, Дчвинта, Вархани, Накурдеви, Орали, Цакания и проч. причисляются татарам, когда принимается за критерием деления не национальность, а вероисповедание“. (А. Ха-

ის პოლიტიკა, რაც ჩვენ დამოწმებული გვაქვს პანთიურქიზმის პოლიტიკაში თურქეთის სახელმწიფო ტერიტორიაზე მოსახლე ეროვნებათა მიმართ და რაც იმაში გამოიხატება, რომ: „Многие органы печати ведут бешеную пантюркистскую агитацию. Среди них особенно выделяется „Илери", заявляющий, что „инородцы должны будут либо слиться с тюркизмом, либо погибнуть",[1] ახალი მოვლენა არ არის. თურქების ხელში ჩავარდნილი ტერიტორიების ქართული მოსახლეობა ზემოაღნიშნულის მსგავს ძალდატანებას მუდამ განიცდიდა[2] და ეს დღესაც გრძელდება: „Турецкая политика по отношению к Лазам никакого исключения из общей национальной политики турок не представляет. Они, вообще, не считают лазов за особый народ, а считают „турками"[3].

და თუ ასეთ ვითარებაში, მეოცე საუკუნისთვის ლაზთა მოსახლეობა თურქეთში რამდენიმე ასეულ ათასს უდრის,[4] აქედან შეიძლება გაითვალისწინოს ადამიანმა, თუ რაოდენ მრავალრიცხოვანი უნდა ყოფილიყო ქართული მოდგმის, თუნდაც ეს ერთი ჭანურ-ლაზური შტო, რომელმაც ჭანიკისა და ლაზისტანის ვილაიეტ-რაიონებს ეს სახელწოდებები, ეთნიკური ნიშნის საფუძველზე, დღემდე შემოუნახა...

---

ханов, Месхи (Этнографический очерк), გვ. 28—29. ეთნ. ჟურნ., „Этнографическое обозрение", 1891 წ., № 3).

ხოლო თურქების ხელში მყოფ აჭარაზე დ. ბაქრაძე გვამცნებს: „... თუმცა აქ ყველა, და დიდი ხანია, თურქულ სახელს ირქმევს, მაგრამ ყველას ახსოვს თავისი ქართული გვარი და ჩურუქ-სუის თვითეულ მოსახლეს შეუძლიან მიუთითოს თავის თანამოგვარეებზე გურიასა და იმერეთში. ყველა ამასთან ერთად, ისლამის გავლენამ უკვე დაადვა მათ თავისი დაღი. ქალებს ველარსად დაინახავთ: ისინი შინ არიან ჩაკეტილნი და გამოჩენას ვერა ჰბედავენ.. ჩურუქ-სუში სრული უვიცობაა გაბატონებული: არც გონებრივი და არც ეკონომიური განვითარების მხრივ აქაურ მოსახლეობას არც ერთი ნაბიჯი წინ არ წაუდგავს. ისინი, როგორც ველურები, ისე ცხოვრობენ. სისხლის აღების წესი უაღრესად მძვინვარებს... მათში არ არსებობს არავითარი სააღმზრდელო დაწესებულება (воспитательных заведений), მეჩეტებთან სრულიად უმნიშვნელო სკოლებს გარდა; ერთი სიტყვით,—განვითარების გზა მათთვის დახშულია. (იხ. Дм. Бакрадзе—Краткий очерк Гурии, Чурук-Су и Аджары, გვ. 3, 1873.

[1] В. Аболтин—Национальный состав Турецкой республики, ჟურნ. „Новый Восток", № 1 (7), 1925 წ., გვ. 128.

[2] შეად. კოხი.

[3] В. Аболтин, დასახ. წერილი, გვ. 123.

[4] იხ. აბოლტინის დასახ. წერილი და სხვ..

მაგრამ წერილობით წყაროებზე არა ნაკლები მჭევრმეტყველებით ღაღადებენ უტყვი ნივთები.

ლაპარაკობს რა ყარსის ოლქში „ჭოროხის ველზე და ტრაპიზონის დასავლეთით 100 კილომეტრის მანძილზე მდებარე ქ. ორდუს (რომელსაც ძველ კოტიორასთან აიგივებენ) მახლობლად აღმოჩენილ არქეოლოგიურ განძებზე, მ. მაქსიმოვა წერს:

„შრომის იარაღებისა და საჭურვლის, — რაც ჩამოთვლილ განძთა ძირითად ნივთებს შეადგენს, — ანალიზმა მათი მკვლევარნი და გამომცემელნი საინტერესო დასკვნებამდე მიიყვანა. ყველა ხსენებული მკვლევარი ერთხმად აღიარებს, რომ ეს ნივთები ამჟღავნებს უახლოეს ნათესაობას კავკასიის და ამიერ-კავკასიის განვითარებული ბრინჯაოს ეპოქის ძეგლებთან, ე. ი. კოლხურ-ყობანური კულტურის ძეგლებთან, და იმავე დროს თითქმის არაფერი აქვთ საერთო შიდა ანატოლიის ბრინჯაოს ნაწარმოებებთან... ამგვარად ირკვევა, რომ რკინის წარმოებას, რითაც ესოდენ განთქმული იყო შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი სანაპირო ძველ საბერძნეთში, წინ უსწრებდა ამ ადგილებში მაღალგანვითარებული ბრინჯაოს წარმოება“ [1].

მერე განაგრძობს იგი: „განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ შრომის იარაღები, ისევე როგორიც საჭურველი, მოხსენებულ სამ განძში, თავის უახლოეს პარალელს ფორმისა და დანიშნულების მხრივ პოულობს კოლხეთში და ამიერ კავკასიის სხვა რაიონებში. ეს მიუთითებს არა მხოლოდ კულტურათა მსგავსებაზე, არამედ სამეურნეო ფორმათა იგივეობაზეც“ [2].

ცნობილი არქეოლოგი ბ. ა. კუფტინი წერდა: „...Несомненная связь грузинских племен иберов и месхов со сперами, тибаренами и мосхами античных авторов заставляет нас обращаться в поисках этих корней на южное побережье Черного моря“ [3].

ქართველ არქეოლოგთა მრავალმხრივი და ნაყოფიერი მუშაობის შედეგად კი გამორკვეულია, რომ: „დღეს უკვე არავითარი საფუძველი არ არსებობს ეჭვის ქვეშ დავაყენოთ ბრინჯაოს იმ კულტურის ეთნიკური სუბიექტის საკითხი, რომელიც წარმოიშვა

---

[1] М. Максимова—Античные города..., გვ. 24.

[2] იქვე, გვ. 25.

[3] იხ. საქართველოს მუზეუმის მოამბე 1944 წ. № XII в, გვ. 291, წერილი—К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии.

და გაიფურჩქნა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ძვ. წ. მეორე ათასწლეულის მეორე ნახევარში და II-I ათასწლეულთა მიჯნაზე. უკვე დამტკიცებულია, რომ ეს ძლიერი, ადგილობრივი ფესვებით მოსაზრდოვე კულტურა, ეკუთვნის მიწათმოქმედებასა და მეტალურგიულ საქმიანობაში დახელოვნებულ კოლხურ შთამომავლობის ტომებს“ [1].

პონტოს სამეფოს ეთნიკური სამყაროს გასარკვევად კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ცნობა მოგვეპოვება.

მკვლევართათვის პონტოს სამეფოს მოსახლეობის საკითხი იმით არის გართულებული, რომ მითრიდატიდების მიერ შექმნილ სახელმწიფოებრივ ორგანიზმს, იმასთან დაკავშირებით, რომ შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროს მნიშვნელოვანი ნაწილი თანდათანობით მის ფარგლებში მოექცა და სანაპირო ქალაქები გადაიქცა მის ცენტრებად, ხოლო ძვ. წ. 183 წლიდან სინოპე მისი დედაქალაქი გახდა,—მას მიეკუთვნა პონტოს სამეფოს სახელწოდება, რაშიაც გამოხატულია ამ სახელმწიფოებრივი ორგანიზმის გეოგრაფიული გავრცელების მომენტი.

ამ სახელწოდებამ დააბნელა მითრიდატიდების სამეფოს ეთნიკური შინაარსი და იგი გაუგებარი გახადა შემდეგი დროის მკვლევართათვის...

მაგრამ საკმარისია ადამიანმა ამ ახალი სახელწოდების (პონტოს) ცოტა უწინარე დროს შეავლოს თვალი, რათა ამ სამყაროს ეთნიკური შინაარსი ნათელი გახდეს.

ერთ-ერთმა ძველმა ავტორმა, ელინისტური ეპოქის ცნობილმა ისტორიკოსმა პოლიბიოსმა (ძვ. წ. 205—125), ჯერ არ იცის ახალი სახელწოდება,—პონტოს სამეფო,—მის დროს იგი იწოდებოდა პონტოსთან მდებარე კაპადოკიად—Καππαδοκία ἡ περὶ τὸν Εὔξεινον [2].

ეს იყო ჩრდილოეთი კაპადოკია.

აქი თვით სტრაბონის დროსაც პაფლაგონელების მერე მოსახლეობენ „...კაპადოკიელთაგან ისინი, რომლებიც პონტოსთან ცხოვრობენ, და მათ შემდეგ ისინი, რომლებიც კოლხიდამდე არიან“ [3].

---

[1] ალ. კალანდაძე—სოხუმის მთის არქეოლოგიური ძეგლები. წინასიტყვაობა. 1953 წ.

[2] პოლიბიოსი, V, 41, 1.

[3] სტრაბონი, გეოგრაფია, წ. XII, თავი III, 2; თ. ყაუხჩიშვილის გამოც., გვ. 201.

იმავე სტრაბონისაგან ვიცით, რომ სპარსელებმა კაპადოკია ორ ნაწილად გაჰყვეს[1].

სტრაბონი ძალზე მკვეთრ ცნობას გვაწვდის იმაზე, რომ **პონტოს სამეფო იყო კაპადოკიის ჩრდილოეთი ნაწილი**. ის მოგვითხრობს: „კაპადოკიას, რომელიც სპარსელების მიერ ორ სატრაპიად იყო გაყოფილი, დაეუფლნენ მაკედონელები და შექმნეს... სამეფოები... ერთ ნაწილს უწოდეს საკუთრივ კაპადოკია, აგრეთვე დიდი კაპადოკია,—მეორეს—**პონტო**, ან **პონტოს კაპადოკია**“[2].

და ამავე დროს სტრაბონი მთელი (ორივე) კაპადოკიის მოსახლეობას ერთიან ეთნიკურ ელემენტად მიიჩნევს.

მაშასადამე, ის სახელმწიფოებრივი გაერთიანება, რომელსაც არ ვიცით როდის — ყოველ შემთხვევაში პოლიბიოსის შემდეგ, — პონტოს სამეფო ეწოდა,—სინამდვილეში წარმოადგენდა კაპადოკიის ჩრდილოეთ ნაწილს, რომელიც, როგორც ცნობილია, დასახლებული იყო ეთნიკურად ერთფეროვანი მასით ჯერ კიდევ სტრაბონის დროსაც. კაპადოკიის ძირითად მოსახლეობას კი, უძველესი დროიდან მოკიდებული, ქართველი ტომები: მესხები, ტაბალები, ხალიბები შეადგენდნენ, როგორც ეს უკვე იყო გარკვეული.

ქართველ ტომთა მცირე აზიის ტერიტორიაზე ოდითგანვე მოსახლეობას ადასტურებს ხეთოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებით მიღებული მონაცემებიც.

იმისდა მიუხედავად, რომ ძველი მცირე აზიის ტერიტორიაზე დღემდე აღმოჩენილი ენობრივი მასალა ჯერჯერობით საკმაოდ შესწავლილი არ არის და: „Пока еще трудно в какой-то мере точно определить территорию распространения отдельных языков в Малой Азии во II и I тысячелетиях до н. э.“,[3] ერთი რამ მაინც უდავოდ მოჩანს: მცირეაზიული ერთ-ერთი უძველესი ენა, ე. წ. ხატური, რომელსაც „პროტოხეთურსაც“ უწოდებენ, **მხოლოდ ქართულთან ამჟღავნებს მჭიდრო ნათესაობას**.

ი. მ. დიაკონოვი მცირე აზიის ენების განხილვიდან დაასკვ-

---

[1] წ. XII, თავი 1, 2.
[2] წ. XII, თავი 1, 4.
[3] И. М. Дунаевская—О характере и связях языков древней Малой Азии. „Вопросы языкознания“, 1954 წ., № 6, გვ. 63.

ნის: „Близким к грузинскому является, повидимому, лишь „протохеттский“ язык“ [1].

ხოლო გ. მელიქიშვილის წიგნზე რეცენზიაში წერს: „...Хаттский язык, связываемый автором преимущественно с черкесскими языками, имеет, повидимому, не мало точек соприкосновения и с грузинскими, занимая, возможно, промежуточное положение между этими двумя группами“ [2].

ი. მ. დუნაევსკაია სპეციალურ წერილში „О характере и связях языков древней Малой Азии“ ადგენს, რომ ხატური ენა ძველი მცირე აზიის არც ერთ ენასთან რამე კავშირს არ ამჟღავნებს და მერე განაგრძობს: „По тому, что нам известно о хаттском, скорее можно ожидать выявления его сходства с картвельскими языками“ [3].

მისივე თქმით, ხატური ენა მთელი რიგი გრამატიკული მოვლენებით ქართულთან ანალოგიას ამჟღავნებს (იქვე, გვ. 76).

აი ზოგი რამ:

„Отношения поссессиальности выражаются при помощи притяжательных на—el (ср. аналогичный грузинский суффикс el“) [4].

„Из местоимений можно, повидимому, пока определить eš/es „он, они“ [для субъекта, а также для объекта; ср. с груз. is(i)] “.

„Глагольная система имеет, повидимому, большое сходство с грузинским... Часть префиксов... вероятно, может быть связана с аналогичными грузинскими префиксами... Указание на объект глагола... дается, возможно, как и в грузинском, специальным элементом“ [5].

აი, ეს, ე. წ. ხატური, რომლის ქართული იერიც გამოსჭვივის ამ ენის, დღემდე მეცნიერებისთვის ხელმისაწვდომი, მასალიდან, ყოფილა მძლავრი, ეთნიკური სამყაროს ენა, რაც იმ დიდი გავლენიდან მოჩანს, მას რომ სხვა ენებზე მოუხდენია.

---

[1] იხ. ВДИ, 1954 წ., № 3, გვ. 88.

[2] იხ. ВДИ, 1956 წ., № 2, გვ. 63.

[3] И. М. Дунаевская, op. c. გვ. 76.

[4] И. М. Дунаевская, op. c, გვ. 77.

[5] იქვე, გვ. 77.

ი. მ. დუნაევსკაიას სიტყვით: „Хаттский язык, несомненно, оказал (как субстрат, или как адстрат, или как то и другое) глубочайшее воздействие на неситский, лувийский, а может быть и на другие языки древней Малой Азии. Не только множество культурных терминов, но вообще более половины неситских слов надо считать хаттскими по происхождению"[1].

მართალია, ხატური ენის ნიმუშების აღმოჩენის ტერიტორიაზე ნაპოვნია აგრეთვე ფრიგიული ენის ნიმუშები, აღმოჩენილია ნესიტური ენის მასალა,—ენისა, რომელიც სცვლის უწინ აქ არსებულ დამწერლობას[2], რაც შედეგია პოლიტიკური პერტურბაციისა, მაგრამ საყურადღებოა, რომ აქ ოდითგანვე არსებული ეთნიკური კერა კვლავ იმდენად მძლავრია, რომ იგი ოფიციალურად ხმარებულ, მოსულთა და დამხდურთა ენების სინთეზის საფუძველზე შექმნილ ახალ (თუკი ნესიტური ასეთად ჩაითვლება), ენაში, ნახევარზე მეტ ადგილს დაიკავებს, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი.

სწორედ ამ ხატურ ანუ პროტოხეთურ ენას ა. ვ. დესნიცკაია უწოდებს მცირე აზიის უძველესი მოსახლეობის ენას[3].

ეს ხატური მოსახლეობა მიაჩნია დესნიცკაიას იმ ძირითად ეთნიკურ ელემენტად, რომელიც ყველაზე თვალსაჩინო იყო ხეთების სახელმწიფოში და რომელმაც მისცა ამ სახელმწიფოს თავისი სახელი.

იგი წერს: „Как указывалось выше, на территории Малой Азии уже с начала II тысячелетия до н. э. письменно зафиксировано существование нескольких языков. Из их числа клинописный хеттский (или неситский) был языком господствующей народности хеттского царства, возникшего как конгломерат племен и народностей, живших своей жизнью и имевших свои языки. В число этих народностей входили как говорившие на индоевропейских языках лувийцы и палайцы, так и древние неиндоевропейские хатты, давшие имя стране и государству"[4].

---

[1] И. М. Дунаевская, op. c. გვ. 77.

[2] op. c. გვ. 76.

[3] А. В. Десницкая—Вопросы изучения древних языков Малой Азии и сравнительная грамматика индоевропейских языков. „Вопросы языкознания", 1952, № 4, გვ. 43.

[4] Вопр. языкозн., 1952 წ., № 4, გვ. 43.

დესნიცკაია აღნიშნავს, რომ ხეთურ-ნესიტური სახელმწიფოს წარმოქმნა მცირე აზიის ცენტრალურ ნაწილში, მდ. ჰალისის რაიონში, რაც შემდეგში ხეთების სამეფოს ძირითად ტერიტორიას წარმოადგენდა, —განეკუთვნება ძვ. წ. II ათასწლეულის დამდეგს, ხოლო ადრე აქ ცხოვრობდნენ მკვიდრი მოსახლენი—ხატები.

ცნობილ კაპადოკიურ ფირფიტებთან დაკავშირებით, რომლებიც ძველ ასურულ ენაზეა დაწერილი და ასურელ ვაჭართა ჩანაწერებს წარმოადგენს, დესნიცკაია წერს: „Неиндоевропейские по своему характеру имена собственных коренных жителей страны, с которыми вступали в деловые отношения представители ассирийских торговых колоний, говорят о том, что это еще было исконное хаттское или протохеттское население"[1].

როგორც ვხედავთ, ხეთების სამეფო შექმნილა მოსულ ინდოევროპულ ხალხებისა და ადგილობრივი ხატური მოსახლეობის შერწყმის შედეგად.

ინდოევროპული ეთნიკური ელემენტის მცირე აზიაში გამოჩენისა და ადგილობრივ ელემენტთან შერწყმის საინტერესო სურათი აქვს დახატული თ. გამყრელიძეს.

მისი აზრით, მცირე აზიაში ინდოევროპული ტომების ჩამოთესლება (проникновение) არ მომხდარა უეცარი შემოსევის გზით, რასაც უნდა წაელეკნა ადგილობრივი, საუკუნეთა მანძილზე ჩამოყალიბებული კულტურულ-ეკონომიური ტრადიციები; ეს ტომები დიდი ხნის მანძილზე თანდათან შეერივნენ მკვიდრი მოსახლეობის მასას, რომელმაც ახალი ეთნიკური ელემენტი ნელნელა შთანთქა და მოახდინა მისი ასიმილირება. ასეთი შეჯვარებისა და შერევის შედეგად, ერთი მხრივ, იმ ტომებისა, რომლებმაც მცირე აზიაში მოიტანეს თავიანთი ენა, ინდოევროპული წყობის ენა, ხოლო, მეორე მხრივ, ადგილობრივ ხატურ ტომთა, რომლებიც მნიშვნელოვნად აღემატებოდნენ მოსულთ რაოდენობრივადაც და კულტურული განვითარების დონითაც,—შეიქმნა ხეტი ხალხი (хеттская народность), რომელმაც ძვ. წ. მეორე ათასწლეულში შექმნა ხეთების ძლიერი სახელმწიფო[2].

---

[1] Вопр. языкозн., 1952, № 4, გვ. 50.

[2] Т. В. Гамкрелидзе—Хеттские языки и вопрос о переселении в Малую Азию индо-европейских племен. ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები, აღმოსავლ. ენათა სერია, II, გვ. 51.

ითვალისწინებს რა ხეთური კულტურის განვითარების უწყვეტელობას ძვ. წ. მესამე ათასწლეულიდან მოკიდებული, თ. გამყრელიძე იმ დასკვნამდე მიდის, რომ ხეთი ხალხის (хеттск. народности) შექმნის პროცესში კულტურული უპირატესობა ხატურ ტომებს ეკუთვნოდა, რომლების კულტურული ტრადიციებიც შეითვისეს ხეთებმა[1].

გამყრელიძის აზრით, ინდოევროპული ტომების ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ასიმილაციის პროცესი მიმდინარეობდა, ბუნებრივად, დიდი ხნის მანძილზე და, ალბათ, რამდენიმე საუკუნეს გაგრძელდა[2].

ასიმილაციის ეს პროცესი უნდა დამთავრებულიყო, ალბათ, ძვ. წ. მეორე ათასწლეულისთვის. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ბოღაზქეოის ლურსმულ წარწერებში ხეთების სამეფოს მოსახლეობის ძირითადი მასა გვევლინება უკვე როგორც ჩამოყალიბებული ხალხი (народность) „ხატი ქვეყნის ხალხის" სახელწოდებით.

ყველა აღნიშნულის გათვალისწინების შემდეგ, უმართებულო უნდა იყოს ხეთური ეროვნებიდან ცალკე, გაბატონებული ფენის „ინდოევროპიელების" გამოყოფა, რომელიც, თითქოს, უპირისპირდებოდა ხეთების სამეფოს მოსახლეობის დანარჩენ მასას. პირველწყაროებში არსად არ არის არც ერთი სიტყვითაც კი ნახსენები ეთნიკურად განსხვავებული რომელიმე განსაკუთრებული ჯგუფი[3].

ადგილობრივი ხატური ენა უკვე მეორე ათასწლეულისთვის საბოლოოდ დავიწყებულ იქნა და ამის შემდეგ იხმარებოდა იგი მხოლოდ როგორც ხატური რელიგიის ენა საკულტო საქმეებში[4].

ხატურ ენაზე მოლაპარაკე ტომები, ამ რაიონის უძველესი მცხოვრებნი, მდ. ჰალისის დინების რაიონში ცხოვრობდნენ.

ხატების მონათესავე ტომები უძველესი დროიდან ცხოვრობდნენ, ონომასტიკური მასალის მიხედვით, მცირე აზიის სხვა ოლქებშიც[5].

ხატური ენა სტრუქტურულად მკვეთრად განსხვავდება ინდოევროპულ და სემიტურ ენათაგან და იჩენს თავისებურ ენობრივ

---

[1] Т. В. Гамкрелидзе, Хеттские языки и вопрос о переселении в Малую Азию индо-европейских племен. ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები. აღმოსავლეთ ენათა სერია, II, გვ. 55.

[2] იქვე, გვ. 54.

[3] იქვე, გვ. 52.

[4] იქვე, გვ. 54.

[5] იქვე, გვ. 45.

ნიშნებს (языковые черты), რითაც ამჟღავნებს ზოგიერთ იბერიულ-კავკასიურ ენასთან მსგავსებას [1].

პროფ. ნემიროვსკი, აჯამებს რა ხეთურ იეროგლიფური ენის შესწავლის შედეგს, წერს: „Ныне хетология устанавливает, что коренное население восточных областей Малой Азии говорило на хаттском языке не индоевропейском, родственном с иберийско-кавказскими языками“ [2].

ენობრივ მონაცემებთან ერთად, ისტორიული მასალაც თვალსაჩინოდ ადასტურებს ზემოაღნიშნულს.

ახალგაზრდა მკვლევარი გ. გიორგაძე, აღნიშნავს რა, რომ: „...მცირე აზიის უძველეს ავტოხტონურ მოსახლეობად პროტოხეთები (ე. ი. ხატები. გ. გ.) უნდა ჩაითვალონ“, [3] დაასკვნის, რომ: „...ხეთების სახელმწიფო მცირე აზიის ადგილობრივი მოსახლეობის სახელმწიფოს ნანგრევებზე აშენდა“-ო [4].

ამ პროტოხეთურმა ტომებმა, როგორც „მცირე აზიის ცენტრალურ ნაწილში წარმოებული არქეოლოგიური გათხრები ამტკიცებენ, ...უძველეს ხანაში შექმნეს თავისი დროისთვის მაღალგანვითარებული კულტურა“ [5].

მერცე საუკუნის შემდეგ „პოლიტიკურად ძლიერი ინდოევროპიელები ავიწროებენ პროტოხეთურ მოსახლეობას, რომელიც კულტურულად უფრო მაღალ საფეხურზე იდგა, ვიდრე ინდოევროპელები“ [6].

ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ პროტოხეთებმა (ანუ ხატებმა) „...მე 17 საუკუნის შუა ხანებში დაკარგეს თავიანთი პოლიტიკური დამოუკიდებლობა“ [7].

ამ დროისათვის „ინდოევროპულმა მოსახლეობამ თითქმის უცვლელად გადაიღო პროტოხეთების მთელი კულტურული მემკვიდრეობა“ [8].

---

[1] იქვე. გვ. 42.

[2] М. Я. Немировский—Очерки из истории изучения хеттского иероглифического языка. იხ. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, IX—X, 1958 წ., გვ. 357.

[3] გ. გ. გიორგაძე—ხეთების სახელმწიფოს ჩრდილოეთითა და ჩრდილო-აღმოსავლეთით მცხოვრები ტომების ისტორიიდან (ქაშქები), 1955 წ., გვ. 4, საკანდ. დისერტაცია.

[4] იქვე, გვ. 178.

[5] იქვე, გვ. 162.

[6] იქვე, გვ. 173.

[7] იქვე.

[8] იქვე, გვ. 174.

ძვ. წ. მე-17 საუკუნისთვის ინდოევროპულ და პროტოხეთურ ენათა შეჯვარების ხანგრძლივი პროცესი დამთავრდა: „ინდოევროპიელთა პოლიტიკურმა ბატონობამ მათივე ენის გამარჯვება გამოიწვია“ [1].

მაგრამ პროტოხეთურის „კვალი ნესიტურში დარჩა“ [2].

ხეთების სახელმწიფოს უდიდესი და საშიში მტერი მცირე აზიის ტერიტორიაზე იყო ქაშქების გაერთიანება, რომელიც მომძლავრდა XVII საუკუნიდან.

გ. გიორგაძის აზრით, ქაშქები პროტოხეთების წარმომადგენლად ივარაუდებიან [3].

ხოლო მეორე ადგილას ამბობს: „...მთელი მეორე ათასწლეულის განმავლობაში... ქაშქები გენეტურ კავშირში უნდა ყოფილიყვნენ მესამე ათასწლეულის შუა ხანებიდან ამავე ტერიტორიაზე მობინადრე ტომებთან“ [4] ე. ი. პროტოხეთებთან, ხატებთან.

ამგვარად, პროტოხეთების, ანუ ხატებსა და ქაშქებს შორის გენეტიკური ნათესაობა სრულიად ბუნებრივი შეიძლება იყო.

მეორე მხრივ, ასევე ბუნებრივად მოჩანს კავშირ-დამოკიდებულება (преемственность) პროტოხეთებსა და ცნობილ ქართველ ტომებს: მესხებს, ტაბალ-ტიბარენებს, ხალიბებს შორის, რაც ენობრივი მასალიდან, როგორც ვნახეთ, აშკარა ხდება.

როგორც ცნობილია, ხეთების სამეფოს განადგურების შემდეგ „ქაშქების არამყარი გაერთიანებაც მთლიანად დაიშალა“ [5].

ამის შემდეგ პირველწყაროებში თავს იჩენს ახალი ეთნიკური ელემენტი, ე. ი. სარბიელზე გამოდიან ახალი ტომები, „რომელთა ნაწილი (მუშქები, ტაბალები) შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ძველიდანვე მცირე აზიაში ცხოვრობდნენ“ [6].

ამ დროისათვის მცირე აზიაში წარმოიშვება რამდენიმე ახალი პოლიტიკური ერთეული, რომელთა შორის „პირველ რიგში აღსანიშნავია მუშქების გაერთიანებანი... მუშქების პირველ მოხსენებას ასურულ წყაროებში ვხვდებით. მათი (ისევე როგორც ურარტული წყაროების) დახმარებით ირკვევა, რომ მუშქების ქვეყანა მცირე აზიის აღმოსავლეთ პერიფერიაზე მდებარეობდა...

---

[1] გ. გ. გ ი ო რ გ ა ძ ე—ხეთების სახელმწიფოს ჩრდილოეთითა და ჩრდილოაღმოსავლეთით მცხოვრები ტომების ისტორიიდან (ქაშქები), 1955 წ., გვ. 173.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 6, 39.

[4] იქვე, გვ. 157.

[5] იქვე, გვ. 257.

[6] იქვე.

მე-8 საუკუნის ბოლოსა და მე-7 საუკუნეში მუშქების დიდმა გაერთიანებამ თავისი ძალაუფლების განვითარება შესძლო მცირე აზიის ცენტრალურ და დასავლეთ ნაწილზე“ [1].

მუშქების ეს გავრცობილი სამეფო ის სამეფოა, რომელსაც ანტიკური ტრადიცია იცნობს „...ფრიგიის სამეფოს, ხოლო მუშქების მეფეს მითას,—მიდასის სახელწოდებით“ [2].

არჩევს რა ფრიგიელებისა და მუშქ-მესხების ნათესაური კავშირისა, თუ ტომობრივი იგივეობის საკითხს, გ. გიორგაძე, თანამედროვე მეცნიერული მონაცემების საფუძველზე ადგენს, რომ მუშქები მცირე აზიის უძველესი მცხოვრებნი არიან და მოსულ, ინდოევროპული მოდგმის ფრიგიელებთან გენეტიკურად არაფერი აკავშირებს მათ.

იგი წერს, რომ მუშკები: „მცირე აზიის უძველეს ტომთა რიცხვს განეკუთვნებიან... უნდა დავუშვათ, რომ ხეთების სახელმწიფოს არსებობის ხანაში მუშქები ცხოვრობდნენ ქართველური ტომების გავრცელების არეში“ [3].

მუშქების გაერთიანების გვერდით, ხეთების სახელმწიფოს დაცემის შემდეგ, აღმოცენდა მეორე ერთეული—თაბალის ანუ ტაბალის ტომთა გაერთიანება.

თაბალების ტომები, როგორც ასურული წყაროები მოწმობს, „მუშქების მეზობლად მოსახლეობდნენ“ [4].

გ. მელიქიშვილი კი წერს: „მე-8 საუკუნის დასასრულისათვის მცირე აზიის დასავლეთ ნაწილში წარმოიშვა რამდენიმე ძლიერი გაერთიანება, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია მუშქებისა და თაბალების გაერთიანებები. მათი სახით ამ დროისთვის ჩვენ საქმე უნდა გვქონდეს სახელმწიფოებრივ ერთეულებთან“ [5].

ფრიად საინტერესო მესამე გაერთიანება, რომელიც აგრეთვე ძველ ქართულ სამყაროს განეკუთვნება და რომელიც, იმისდა მიუხედავად, რომ შედარებით გვიან იჩენს თავს (VII საუკ. ძვ. წ.), მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ძველ სამყაროს კულტურულ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, როგორც თავისი ვრცელი ტერიტორიული მოცულობით, ისე მეტალურგიული ინდუსტრიით.

---

[1] გ. გ ი ო რ გ ა ძ ე—ხეთების სახელმწიფოს ჩრდილოეთითა და ჩრდილო-აღმოსავლეთით მცხოვრები ტომების ისტორიიდან (ქაშქები), 1955 წ., გვ. 258.

[2] გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი — საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხისათვის. თბილისი. 1955 წ., გვ. 82.

[3] გვ. 260.

[4] გვ. 262.

[5] op. c. გვ. 82 და შემდეგ.

ეს იყო ხალიბთა გაერთიანება, რომელიც ურარტულ წყაროებში ხალიტუს სახელით არის ცნობილი.[1]

გრ. გიორგაძეს პირველწყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის საფუძველზე დადგენილი აქვს, რომ ხალიბთა გაერთიანება „მუშქების ქვეყნის ჩრდილოეთით უნდა ყოფილიყო გადაჭიმული“ და რომ „მას საკმაოდ ვრცელი ტერიტორია უნდა ჰქონოდა დაკავებული“.[2]

თუ რაოდენ დიდი სივრცე უნდა ჰკუთვნებოდა ხალიბთა გაერთიანებას, იქიდან ჩანს, რომ მისი საზღვრები სამხრეთით არზრუმამდე აღწევდა, ხოლო მისი ჩრდილოეთი მხარე „ყოველ ეჭვს გარეშე, შავი ზღვის სანაპიროზე იყო გადაჭიმული“.[3]

სხვა ადგილას გრ. გიორგაძე ამბობს, რომ მეშვიდე საუკუნეში ჩამოყალიბებული ხალიბთა „დიდი გაერთიანება, უეჭველია, დიდ როლს ასრულებდა სამხრეთ შავი ზღვის პირეთში წარმოებულ ტომთა კონსოლიდაციის საქმეში, რომ მე-7 საუკ. პირველ ნახევარში ჰეგემონობა ამ ხალიტუს გაერთიანებას აქვს მოპოვებული“.[4]

ხოლო შემდეგ: „უდავოა, მრავალი ტომი შედიოდა ხალიტუს დიდ გაერთიანებაში“.[5]

ხეთების სამეფოს დამხობის შემდეგ მომხდარ პოლიტიკურ-ეთნიკურ ცვლილებათა შედეგად, ქაშქების ჰეგემონობა ჰქრება და მის ადგილს იჭერენ ქართველ ტომთა გაერთიანებანი, იმ ტომთა, რომელნიც ამ მიწა-წყლის ადრინდელი მკვიდრნი იყვნენ.

გრ. გიორგაძემ დაადგინა, რომ: „მცირე აზიის აღმოსავლეთ პერიფერიაზე წარმოქმნილმა მუშქების, თაბალებისა და შემდეგ ხანებში ხალიტუს ქართველური წარმოშობის ტომების გაერთიანებებმა თავისი გავლენის ქვეშ მოაქციეს საკუთრივ ქაშქური ტომები. დაწინაურებული ტომების სახელებმა დაფარეს ქაშქების ტომთა სახელები“.[6]

მაშასადამე, ირკვევა, რომ: ა) მცირე აზიის პირვანდელი მოსახლეობის პროტოხეთების ანუ ხატების ენა ყველაზე უახლოეს კავშირს ქართულ ენასთან ამჟღავნებს. და ეს განსაკუთრებით

---

[1] იხ. გრ. გიორგაძე, ор. с. გვ. 269. „Эпиграфика Востока“, V-I, 1952, ი. მ. დიაკონოვის წერილი, გვ. 111—112.

[2] გვ. 269, 270.

[3] გვ. 270.

[4] გვ. 271.

[5] გვ. 274.

[6] გვ. 272.

იმიტომ უფრო არის საინტერესო და მნიშვნელოვანი, რომ იმ ტომებს, რომელნიც ძველი ქართული სამყაროს ძირითად ელემენტს შეადგენდნენ: მუშქები, თაბალები, ხალიბები,—და ხატებს შორის არა მარტო დროის დიდი მანძილია გამთიშველი, არამედ აგრეთვე ის, რომ ხატების მცირე აზიაში ჰეგემონობასა და იმ ეტაპს შორის, როდესაც ცნობილი ქართველი ტომები მოიპოვებენ აქ ბატონობას,—ერთიმეორისაგან აშორებს ისეთი დიდმნიშვნელოვანი მოვლენები, როგორიც იყო, ერთი მხრივ, ხეთების სამეფოს არსებობა და, მეორე მხრივ, ქაშქების დიდი გაერთიანება, რომელიც დიდხანს ინარჩუნებდა აქაურ გარკვეულ რაიონების მოსახლე ტომებზე ჰეგემონობას... და თუ ამდენი პერტურბაციების შემდეგ, დღესაც კი ხატურსა და ქართულს შორის მაინც მსგავსება დგინდება,—ცხადია, ძველად მათ შორის უფრო მჭიდრო კავშირია საგულისხმებელი და იქნება მათს იგივეობაზეც კი შესაძლებელი გახდეს მომავალში ლაპარაკი.

ბ) ქაშქები პროტოხეთების მონათესავე ტომები უნდა იყვნენ და შემდეგში ქართველ ტომებში შერეულნი.

გ) ხეთების სამეფოს დამხობისა და ქაშქების ტომების დასუსტების შედეგად, მცირე აზიის ტერიტორიაზე ჩნდებიან ახალი გაერთიანებანი: მუშქების, ტაბალებისა და ხალიბებისა, რომელნიც უშუალოდ ქართულ სამყაროს ეკუთვნიან.

აღნიშნულიდან ის დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ, რომ მუშქების, ტაბალებისა და ხალიბების გაერთიანებანი წარმოიშვა იმ ქართველ ტომთა კონსოლიდირების გზით, რომელნიც აქ ცხოვრობდნენ არა მხოლოდ ქაშქების ეპოქაში, არამედ მათზე ადრე და ეგების შედიოდნენ პროტოხეთურ ანუ ხატურ ეთნიკურ სამყაროში, როგორც ამას ამტკიცებს ხატურსა და ქართულ ენებს შორის დღეისთვის შესაძლებელი ახლო კავშირის დადგენა.

აღნიშნულ ქართულ ტომებს დაახლოებით იმავე გეოგრაფიულ გარემოში იცნობს კლასიკური ხანის მწერლობა და აგრეთვე შემდგომი დროის ისტორიოგრაფია.

როგორც დავინახეთ, მცირეაზიულ ოთხ ცნობილ ენათაგან, ხატური უშუალოდ უკავშირდება ქართულს; ცნობილია აგრეთვე ხურიტულის კავშირი ქართულთან; ხოლო ნესიტურის ლექსიკის ნახევარზე მეტი ხატურია და ამ უკანასკნელს უდიდესი გავლენა მოუხდენია ლუვიურზეც.[1]

აღნიშნული გარემოება აგრეთვე აშკარად ღაღადებს იმ სამყაროს სიდიადეზე, რომლის სახმარიც იყო ხატური ენა, ქართუ-

[1] იხ. დ ე ს ნ ი ც კ ა ი ა, ხსენ. შრ., გვ. 77.

ლი ენის წინაპრად რომ მოჩანს. ამ სამყაროდან შეუთვისებია ნესიტურ-ხეთურ სახელმწიფოსა და მოსახლეობას ბევრი რამ და მათ შორის რელიგიური კულტებიც, რაც მეტად დამახასიათებელი მაჩვენებელია.

ა. ვ. დესნიცკაია, ახასიათებს რა ხეთური ენის „словарный состав"-ს, წერს, რომ იგი: „содержит в себе много таких слов, которые явно не имеют индоевропейских этимологий и, видимо, были заимствованы из неиндоевропейских языков Малой Азии. Особенно насыщены подобного рода лексическими элементами ритуальные тексты. Названия многих предметов, употреблявшихся при обрядах, до сих пор еще не переведены. Это обстоятельство связано с тем, что хетты-неситы, видимо, заимствовали религиозные культы у коренных жителей Малой Азии и прилегающих областей—у хаттов и хуритов".[1]

ძველ მცირეაზიულ ეთნიკურ სამყაროდან ყველაზე მჭიდრო ურთიერთობა ბერძნებმა იმ ნაწილთან დაამყარეს, რომელიც ხალიბთა გაერთიანებას ეკუთვნოდა.

ხალიბების შთამომავალნი რომაულ ხანაში ჭანებად და ლაზებად იწოდებიან.[2]

ი. მ. დიაკონოვის თქმით: „...вся масса исторического, археологичекого, этнографического и антропологического материала указывает на генетические связи большинства современных народов Ближнего Востока, в особенности народов Закавказья, с народами Древнего Востока".[3]

ადგილობრივი ელემენტი მცირე აზიაში, ყოველგვარ პერტურბაციათა მიუხედავად, დიდ გამძლეობას იჩენდა და არა თუ ინარჩუნებდა საკუთარ მეობას, არამედ, პირიქით, თითონ ახდენდა ღრმა გავლენას და ტონის მიმცემიც კი ხდებოდა. ამ ასპექტში ბერძნულ-რომაული ეპოქისთვის შესანიშნავ დახასიათებას იძლევა რუსი მკვლევარი ს. ვ. ეშევსკი.

იგი წერს: „Местный элемент Малой Азии упорно сохранился во многих сферах народной жизни, несмотря на сильное

---

[1] „Вопросы языкознания", 1952, № 4, გვ. 53.

[2] იხ. Ed. Meyer, Gesch. d. Altertums. Zweiter Band. Stuttgart. 1893. გვ. 293.

[3] იხ. „Вопросы языкознания, 1954, № 5, О языках древней Передней Азии, გვ. 63—64.

распространение греческого влияния, несмотря на то, что это влияние так давно уже укрепилось в прибрежьи Малой Азии.

Всего заметнее воздействие местного элемента и его соединение с греческим в сфере искусства и в религиозных верованиях. Для нас особенно важно местное влияние в последних, потому что, не ограничиваясь пределами Малой Азии, оно перешло почти во все области римского мира, сохраняя свой первоначальный характер".[1]

მერე: „Таким образом на всем пространстве Малой Азии, от границ Сирии, через Киликию и Каппадокию, до Понта на Черном море и на запад, через Фригию, Мизию, Лидию и Карию, до берегов Эгейского моря, мы находим разнообразные следы общего поклонения одним и тем же божествам, господствующий культ женского божества Ма (Кибела) и мужского Мэна... Малоазийский культ, достигший высшей степени развития в поклонении фригийской матери богов, не только удержался от влияния чуждых племен, эллинского и римского, но имел сам сильное влияние на религиозное сознание Греков и Римлян, распространивших его по всему пространству древнего мира. В этом распространении культа всего яснее выражается сила туземного элемента, не сокрушенного чуждым влиянием".[2]

ცოტა ზემოთ კი აღნიშნავს ეშევსკი, რომ კაპადოკიასა და პონტოში უმთავრესი ღვთაება იყო ქალღმერთი მ ა ანუ მ ე ნ ე. ამ ღვთაების უშესანიშნავესი ტაძრები იყო ორ ქალაქში, რომელთაც ორივეს კომანა ეწოდებოდა. ეს ტაძრები ყველაზე უძველესი იყო... კომანას ღვთაებას ბერძნები არტემიდას, რომაელები კი ბელონას უწოდებდნენ[3].

ზემოაღნიშნულის საფუძველზე გამოიტანება დასკვნა, რომ კაპადოკიის ტერიტორიაზე ისტორიის მანძილზე მოსახლეობის ძირითად, წამყვან ელემენტს ქართველი და მათი მონათესავე ტომები შეადგენდნენ, რომელნიც არსებითად წარმართავდნენ ამ მხარის პოლიტიკურსა და კულტურულ ცხოვრებას.[4]

---

[1] С. В. Ешевский—Центр римского мира и его провинции. იხ. Сочинения С. В. Ешевского, часть первая, Москва, 1870, გვ. 212—213.

[2] იქვე, გვ. 218.

[3] იქვე, გვ. 215.

[4] აქ უადგილო არ იქნება მოვიტანოთ ნ. მ ა რ ი ს შემდეგი ნათქვამი:

„Эти два народа занимают испокон веков Черноморское побережье. С одной стороны это лазы, в древности чаны, с другой мегрелы (минг-

ყველა იმის შემდეგ, რაც ითქვა კაპადოკიისა და პონტოს ისტორიული მოსახლეობის ირგვლივ, შეიძლება ვცადოთ მითრიდატეს ვინაობის საკითხის განხილვაც.

---

рельцы). Это те афетические народы, которые имеют свои этногенетические счеты, независимо от скифского вопроса, с греческим народом, точнее—с племенами, внесшими в эллинский национальный тип племенное течение—ионизм и грецизм. Это те народы, которые позднее, в христианские эпохи, были нераздельно привходящими частьями греческой церковности, греческой христианской культуры и затем ее пропагандистами на кавказском востоке. Их язык, особенно чанский, менее, чем мегрельский, подвергшийся позднейшему влиянию грузинской культуры и грузинской речи, полон грецизмов, ни в каком случае не объясняемых воздействием греческой речи христианских времен, византизмом, но не объяснимых и одним культурно-историческим влиянием античных греков. Языковый материал вскрывает взаимодействие этих яфетических народов с ионийцами на этно-культурной стадии развития, имеющее первостепенное значение для этногенических вопросов, но прежде всего по населенному и населявшемуся чанами и мегрелами краю, а это все Черноморское побережье от Синопа с Halys'ом до Анапы и Пантикапеи. Ныне береговое распространение мегрелов сокращено: на южном берегу они отброшены на восток от Синопа вплоть до Кемера, даже Атины, на восточном берегу на юг от Пантикапеи и Анапы до р. Дгамеш, между Сухумом и Очемчиром". (იხ. проф. Н. Марр—Термин „скиф" Яфетический сборник, I. Петербург. 1922, стр. 104—105).

მეორე განყოფილება

# მითრიდატ ევპატორის ვინაობა და პიროვნება

## 1. მითრიდატეს ვინაობა

იმ თვალსაჩინო ისტორიულ მოღვაწეთა ირგვლივ, რომელთა საქმიანობის სიდიადე აღტაცებასა და ენთუზიაზმს იწვევდა როგორც მის თანამედროვე, ისე შემდგომი დროის საზოგადოებაში, — ხალხი, ჩვეულებრივ, ათასგვარ ლეგენდა-ამბავს ჰქმნიდა.

ამ შენათხზავში უმეტეს წილად ალეგორიულად გადმოცემულია ამა თუ იმ პირის მიერ შესრულებული ესა თუ ის დიდი საგმირო საქმე, ან და არეკლილია ამ პირის დამახასიათებელი უჩვეულო რამ პირადი თვისება. ასეთ გადმოცემებში ფანტასტიკა ხშირად რეალური სინამდვილის მხოლოდ მხატვრულ ანარეკლს წარმოადგენს და, ჩვეულებრივ, post factum არის შეთხზული.

ხშირად ამ გადმოცემებში გადაჭარბებულადაც არის ხოლმე დახასიათებული პიროვნების, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები.

ისტორიის აღნიშნულ ხვედრს ვერ ასცდა მითრიდატ ევპატორის სახელიც[1].

---

[1] მაშინდელი ჩვეულების თანახმად, მითრიდატეს საკუთარ სახელს ერთვოდა ეპითეტები: ევპატორი და დიონისე (აპიანე, მითრიდატეს ომები, 113).

მითრიდატეს ეპითეტი ევპატორი (კეთილშობილი) მისი კეთილშობილი მშობლებისაგან შთამომავლობის აღმნიშვნელი იყო, თუ მისი პირადი ღირსების მაჩვენებელი, ძნელი სათქმელია.

რაც შეეხება მეორე ეპითეტს დიონისეს—იგი მას იმ მხარეების მოსახლეობამ შეარქვა, რომლებსაც იგი მიაჩნდათ რომაელთა ბატონობისაგან განმათავისუფლებლად.

პირველწყაროებში მოთხრობილი ფაქტების საფუძველზე, მითრიდატე რაღაც ველურ ქმნილებად მოსჩანს, მაგრამ საკმარისია ადამიანი გაეცნოს იმ ვითარებას, რომელშიაც მას უჩვეულო სიმკაცრის ჩადენა მოუხდა, რომ მის შესახებ წარმოდგენა შეიცვალოს... მით უმეტეს, რომ მსგავსი მოვლენები მაშინდელი და უფრო გვიანდელი სამყაროსათვისაც, უცხო და უჩვეულო რამ სრულიადაც არ იყო...

ალექსანდრე მაკედონელის მიმართ ცნობილია, რომ მას საკუთარი მამის ფილიპეს მკვლელობაში მონაწილედ მიიჩნევდნენ...

მას ბრალს სდებენ სიყრმის მეგობრის კლიტოს შავის, რომელმაც ალექსანდრე თავისი მოღვაწეობის განთიადზე მდ. გრანიკთან ბრძოლის დროს სიკვდილს გადაარჩინა, მოკვლის გამო; არისტოტელეს ნათესავის ისტორიკოს კალისთენის და სხვათა დახოცვის გამო...

მსგავსი შემთხვევები უცხო არ იყო მითრიდატესა და უშუალოდ მის წინამორბედ, აგრეთვე მომდევნო ხანაში სხვადასხვა სახელმწიფოსათვის. ცნობილია პტოლემაიოსების ამბავი ეგვიპტეში.

მითრიდატეს წინამორბედი თაობის წარმომადგენელმა, ბითინიის მეფე ნიკომედმა, სამეფო ხელისუფლება იმის შედეგად მიიღო, რომ იგი კარგახანს ეწეოდა ინტრიგებს თავისი მამის პრუსიას წინააღმდეგ, რომელიც ჯერ აიძულა ლტოლვილიყო და ზევსის ტაძარს შეჰფარებოდა, მაგრამ მერე აქაც არ დაინდო და მისმა მიგზავნილმა მკვლელებმა მას ყელი გამოსჭრეს[1].

თუმცა უნდა ითქვას, რომ ამ შემთხვევას პოლიტიკური მომენტი ახლდა... ნიკომედი რომაული დიპლომატიის სამოქმედო იარაღი იყო.

განსაკუთრებით დამახასიათებელია მაკედონიის შემთხვევა.

ფილიპესა და ალექსანდრეს დროს მაკედონიის გამოჩენილი მოღვაწის ანტიპატრის, რომელიც ალექსანდრემ თავის მაგიერ დასტოვა მაკედონიაში, როდესაც თვითონ აღმოსავლეთში სალაშქროდ გაემგზავრა — აი, ამ ანტიპატრის შვილის კასანდრის გარდაცვალების (ძვ. წ. 297) შემდეგ, მაკედონიის სამეფო ტახტის მემკვიდრეობის ირგვლივ ცხარე მეტოქეობა გაჩაღდა.

სამეფო ტახტს ერთიმეორეს ეცილებოდა ორი ძმა — კასანდრის ვაჟები: ალექსანდრე და ანტიპატრი. რადგან მათი დედის სიმპათიები ალექსანდრეს მხარეზე იყო, ანტიპატრმა თავისი დედა მოკლა.

---

[1] აპიანე, 7.

მსგავსი მაგალითი არა ერთხელ მოიხსენიება ისტორიაში შემდეგ დროშიც... მაგრამ მათი ყველასი ერთნაირად კვალიფიცირება არ შეიძლება... თვითეული შემთხვევისათვის ცალკე უნდა იყოს გარკვეული ის გარემოებანი, ასეთ საქციელს რომ იწვევდა და მსჯავრი იმის და მიხედვით დაედვას... უნდა გარკვეული იქნას ასეთი საქციელის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოტივები და პირადული ინტერეს-ზრახვანი. და ამ ასპექტში განხილული, მითრიდატეს მიერ ჩადენილი მკაცრი მოქმედებანი, არ იმსახურებს იმ ცალმხრივ უარყოფით დახასიათებას, როგორც ეს ძველ წყაროებშია.

რასაკვირველია, ვინმე რომ თავის მართლებას იმით დაიწყებდეს, ჩემზე უარესი სხვაც არსებობსო, — ეს ვერაფერი ეფექტური იქნებოდა...

ჩვენ სრულიადაც არა გვაქვს განზრახვა მითრიდატეს გამართლება ვცადოთ იმ მოტივით, რომ ისტორიაში მისი მსგავსნი და მასზე უარესიც არა ერთი ყოფილა...

ჩვენ გვინდა მხოლოდ, რომ მითრიდატეს მიმართაც გამოყენებული იყოს იგივე კრიტერიუმი, რაც სხვათა მიმართ იხმარება...

მითრიდატეს ცხოვრებისა და მოღვაწეობის მკვლევართა მიმართ სასაყვედურო ისა გვაქვს, რომ ისინი ადვილად უვლიან გვერდს მის ღირსებასა და დადებით მხარეებს, ხოლო პირველ რიგში აყენებენ მისდამი ტენდენციურად განწყობილ ძველ ავტორთა მონათხრობს. ამასთანავე, — და სწორედ ეს არის მთავარი, — ყველაფერს ამას განიხილავენ მოწყვეტილად, აბსტრაქტულად და არა მთელ იმ ცხოვრების კომპლექსში, რომელშიაც ჩადენილია მითრიდატეს მიერ ესა თუ ის ე. წ. ბოროტმოქმედება, თუნდაც ის სწორედ, მართლაც ისე მომხდარიყოს, როგორც ტენდენციური წყაროები მოგვითხრობს.

პირუთვნელობა მოითხოვს, მითრიდატეს ცხოვრება-მოღვაწეობა განხილული და გაანალიზებული იქნას იმ საშინაო და საგარეო სიტუაციის პრიზმაში, რამაც ძირითადად და არსებითად შეაპირობა და გარკვეული შინაარსი და ხასიათი მისცა მითრიდატეს საქმიანობას.

აქ, რასაკვირველია, დასაგმობიც ბევრი აღმოჩნდება, მაგრამ ჩვენ გვმართებს ობიექტური ვიყოთ პიროვნებისადმი და ისტორიის მიმართაც.

მითრიდატე ევპატორი, რომელიც აპიანეს თქმით: „სპარსეთის მეფის დარიოს ჰისტასპის შთამომავალთა მეთექვსმეტე" თაო-

ბისა იყო[1], დაბადებულია ძვ. წ. 132 წ. ქ. სინოპეში, სადაც იგი თერთმეტი წლის ასაკამდე იზრდებოდა[2].

მითრიდატეს წინაპრებს თავიანთი შთამომავლობა ტრადიციით, ვითომდა ძველი სპარსეთის მეფეების აქემენიდთა საგვარეულოდან გამოჰყავდათ.

მაგრამ მითრიდატიდების სპარსთა მეფეებისაგან შთამომავლობა არც თუ რამე დამაჯერებელ საბუთიანობაზეა დამყარებული.

ჯერ ერთი, ეს ცნობა სხვადასხვა, ერთიმეორის საწინააღმდეგო შინაარსითა და ვარიანტით აქვთ დაცული ძველ წყაროებს.

პოლიბიოსის დროს[3] მიაჩნდათ, რომ მითრიდატიდები შთამომავლობენ რომელიმე სპარსელი მეფისაგან[4].

მერე კი მათ დაუკავშირეს თავიანთი შთამომავლობა კიროსსა და დარიოსს და ამაში ადვილად დააჯერეს უბირი ხალხი.

სახელდობრ მიუთითებდნენ, რომ დარიოსის ვაჟს არტაბაზს, რომელიც მამის სიკვდილის შემდეგ დაბადებულა, ვითომდა შეუქმნია პონტოში აქემენიდთა დინასტია და მისგან მომდინარეობენ მითრიდატიდები[5].

თვით პოლიბიოსი ისეთი ტონითა და ისეთ ასპექტში გადმოგვცემს ხსენებულ ცნობას, რომ აშკარავდება, რომ ჯერ მაშინვე ვერსია მითრიდატიდების აქემენიდთაგან შთამომავლობის შესახებ დაუჯერებლად მოსჩანდა.

პოლიბიოსი, მეფე ანტიოქის შესახებ თხრობაში, ჩაურთავს შემდეგს: „მეფე იმყოფებოდა სელევკიაში, ზევგმატის მახლობლად როა, როდესაც მასთან გამოცხადდა ევქსინის კაბადოკიიდან ფლოტის უფროსი დიოგნეთი, მეფე მითრიდატის ქალიშვილ ლაოდიკესთან ერთად, რომელიც იყო განკუთვნილი მეფის საცოლედ. მითრიდატე იკვეხნიდა, რომ ის შთამომავალია ერთ-ერთი იმ შვიდი სპარსელისა, რომლებმაც მოკლეს მოგვი, და რომ ევქსინის პონტოს ქვეყნებზე მფლობელობა მან მიიღო უწყვეტი თანმიმდევრობით თავის წინაპართაგან, რომელთაც ის ნაბოძები ჰქონდათ დარიოსისაგან“[6].

---

[1] აპიანე, 112.

[2] სტრაბონი, წ. XII, თავი III, 11.

[3] ცხოვრ. 205 — 125 წლ.

[4] Polyb. IV, 43, 2, Reinach – დასახ. შრ., გვ. 9.

[5] Sallust., fr. II, 53.

[6] „...*Μιθριδάτης ηὔχετο μὲν ἀπόγονος εἶναι τῶν ἑπτὰ Περσῶν ἑνὸς τῶν ἐπανελομένων τὸν Μάγον, διετετηρήκει δὲ τὴν δυναστείαν ἀπὸ προγόνων την ἐξ ἀρχῆς αὐτοις διαδοθεῖσαν ὑπὸ Δαρείου παρὰ τὸν Εὔξεινον Πόντον*“ (V, 43, 2).

ამგვარად, ცხადი ხდება, რომ ცნობა მითრიდატიდების აქემენიდური (სპარსული) შთამომავლობის შესახებ დროთა განმავლობაშია ხელოვნურად შექმნილი.

პოლიბიოსის დროს ამ ცნობის მხოლოდ ზოგადი ვარიანტი არსებობს, რომელიც მერე, თვით მითრიდატიდების მცდელობით, უფრო კონკრეტულ სახეს იღებს. მაგრამ მაინც ლეგენდარულ იერს ინარჩუნებს.

ბუნებრივი პირობებისათვის, ე. ი. მითრიდატიდები რომ ნამდვილად სპარსთა მეფეების შთამომავალნი ყოფილიყვნენ, მაშინ ადრევე უფრო მეტი და კონკრეტულად უნდა სცოდნოდათ ამაზე და შემდეგში კი, ზოგი რამ შეიძლებოდა დროთა განმავლობაში დავიწყებას მისცემოდა... აქ კი, პირიქით ხდება: ჯერ ბუნდოვანი წარმოდგენაა, მერე იგი კონკრეტული შინაარსით ივსება...

რამდენადაც ეს ტრადიცია — გამოჩენილი ძალაუფლების ძველ ცნობილ წარმომადგენლებთან საკუთარი ძალაუფლების წარმომავლობის დაკავშირება — მაშინაც და შემდეგაც ცნობილი იყო, ამიტომ მითრიდატიდების სპარსთა მეფეებისაგან შთამომავლობის ამ მქლე ცნობას არ შეიძლება უნდობლობის იერი არ დაჰკრავდეს.

უკვე ახალი წელთაღრიცხვის II საუკუნის ცნობილი ისტორიკოსი აპიანე მოგვითხრობს, რომ ალექსანდრე მაკედონელის ცნობილ სარდალს ანტიგონს თანამებრძოლად ჰყავდა სამეფო სახლის სპარსელი მითრიდატე. რადგან მას ანტიგონის მხრივ სიკვდილის საფრთხე დაემუქრა, იგი ექვსი მხედრის თანხლებით, გაქცეულა და თავი შეუფარებია კაპადოკიაში, სადაც იგი ერთ-ერთ პუნქტში გამაგრებულა.

ლტოლვილ მითრიდატესთან — აპიანეს[1] სიტყვით, — მრავლად მოსულა ხალხი და მან: „ხელთ იგდო არა მხოლოდ კაპადოკია, არამედ პონტოს მხრივ მეზობელი ტომები“[2].

აქ ძალაუნებურად ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ უცხო კაცი, ექვსი მეომრით ლტოლვილი, უცხო ქვეყანაში თავშეფარებული, — იპყრობს არა მხოლოდ ამ ქვეყანას, არამედ მეზობელ ტომებსაც.

ჯერ ერთი, თავისთავად დამაჯერებლობის ელემენტს, თითქოს, სრულიად მოკლებულია ეს ლეგენდარული ხასიათის ცნობა, და მეორეც: შეეძლო ამ ლტოლვილ შვიდ კაცს რამე არსებითი როლი შეესრულებინა კაპადოკიის პოლიტიკურსა და მით უმეტეს,

---

[1] აპიანე, 9.

[2] იქვე, 9.

ეთნიკურ ცხოვრებაში? ამდენად, შეიძლება კი სერიოზულად ლაპარაკი იმაზე, რომ შემდგომი მითრიდატიდები სპარსული სამყაროს განაყოფს წარმოადგენდნენ თავიანთი პოლიტიკური, ეთნიკური და კულტრულ-საყოფაცხოვრებო ტრადიციების მიხედვით?

ვფიქრობთ, ასეთი შეხედულებისათვის არავითარი მეცნიერული დასაყრდენი არ არსებობს.

აქ ჩვენ საქმე უნდა გვქონდეს ჩვეულებრივი ლეგენდარული ხასიათის შენათხზთან, რომლის მსგავსიც ძველსა და შემდგომი დროის სამყაროშიც უცხო არ იყო.

უფრო ბუნებრივი იქნებოდა საქმის ვითარება ისე წარმოგვედგინა, რომ ჩრდილო კაპადოკიასა და პონტოს სანაპიროზე მცხოვრებმა ტომებმა, დიადოხთა შორის ბრძოლის დროს, ისარგებლეს მომენტით და შექმნეს საკუთარი მმართველობა, რომელსაც ადგილობრივი კაცი, ვინმე მითრიდატე, უთუოდ ძალისა და გავლენის მქონე, შესაძლებელია, მეფური შთამომავლობისა, ჩაუდგა სათავეში აქაურ ტომებს და შექმნა მითრიდატიდების დინასტია.

ასეთი ვარაუდი საფუძველს ჰპოვებს იმ ადგილობრივ ვითარებაში, რაც ჩვენთვის პირველწყაროებიდან ცნობილია.

როგორც ცნობილია, ალექსანდრე მაკედონელის გარდაცვალების შემდეგ, მის სარდალთა შორის ალექსანდრეს სამფლობელოთა პირველი განაწილების დროს (ძვ. წ. 323 წ.), კაპადოკია და მცირე აზიის ზოგიერთი ნაწილი წილად ხვდა ალექსანდრეს ყოფილ მდივანს ბერძენ ევმენს, რომელიც მერე გამოჩენილი სარდალი გახდა.

ევმენისთვის განკუთვნილი ტერიტორიები მაკედონელთა მიერ დაპყრობილი არ იყო. მათი დაპყრობა და ევმენისთვის გადაცემა დაევალა ალექსანდრეს ცნობილ სარდლებს ანტიგონსა და ლეონატს, რომელთაც მომიჯნავე ტერიტორიები ხვდათ წილად.

რომაელი ისტორიკოსი კურციუს რუფუსი, რომელსაც ახ. წ. I საუკუნეში უნდა ეცხოვრა და თავის ნაშრომში „ალექსანდრეს ისტორია“ გამოყენებული აქვს ალექსანდრე მაკედონელის დროინდელი ბერძენი ისტორიკოსების შრომები, — მოგვითხრობს, რომ დიადოხთა შორის განაწილებული აღმოსავლეთის სამყაროდან, მ ხ ო ლ ო დ  კ ა პ ა დ ო კ ი ი ს  მ ე ფ ე  ა რ ი ა რ ა თ ე  ე უ რ ჩ ე ბ ო დ ა  დ ი ა დ ო ხ თ ა  ძ ა ლ ა უ ფ ლ ე ბ ა ს.

ამ ცნობაში ნათქვამია: „კაპადოკია პაფლაგონიითურთ მიეცა ევმენს. მას დაევალა დაეცვა ის მხარე ტრაპეზუნდამდე და ეწარ-

შეუბინა ომი არიარათთან[1]. მხოლოდ ეს უკანასკნელი ამბობდა უარს მორჩილებაზე“ [2].

ანტიგონის მიერ ზემოხსენებული დავალების შესრულებაზე უარის თქმა გახდა გარეგნულად საბაბი დიადოხთა შორის დიდი ომის დასაბამისა.

ისიც ცნობილია, რომ ევმენმა მოახერხა თავის სატრაპიაში ძალაუფლების ხელთგდება. მან იქ კაპადოკიელთაგან შექმნა შესანიშნავი ცხენოსანი ლაშქარი, რომლითაც მრავალი ბრძოლა აწარმოვა წარმატებით.

ევმენი ანტიგონის წინააღმდეგ ბრძოლაში დაიღუპა.

ევმენის შემდეგ უნდა იყოს გამოჩენილი ზემოთ ხსენებული მითრიდატე, რომელმაც ალბათ, ანტიგონის მომხრეობის წყალობით, ევმენის ყოფილ სატრაპიაში მიიღო ძალაუფლება.

ანტიგონსა და ამ მითრიდატეს შორის აღმოცენებული კონფლიქტის დროს, მითრიდატემ თავის მშობლიურ მხარეს მიაშურა, სადაც მას მოსახლეობა, ბუნებრივია, კეთილგანწყობილად შეხვდა.

ანტიგონის სიკვდილის შემდეგ კი, მითრიდატემ საკუთარ სამეფოში გარეშე ძალისაგან სრული დამოუკიდებლობა მოიპოვა და გახდა ახლადშექმნილი პონტოს სამეფოს მეთაური, ახალი სამეფოს დინასტიის მამამთავარი.

საქმის ნამდვილი ვითარება ასეა წარმოსადგენი.

მაგრამ მითრიდატეს კაპადოკიის მხოლოდ ერთ ნაწილში მოუხერხებია ძალაუფლების მოპოვება.

შექმნილა ისეთი პოლიტიკური სიტუაცია, რომ კაპადოკია ორად გათიშულა და მის ტერიტორიაზე ორი სამეფო ჩამოყალიბებულა.

სწორედ ეს გარემოებაა გადმოცემული სტრაბონის მონათხრობში, როდესაც იგი ამბობს: „კაპადოკია, რომელიც სპარსელების მიერ ორ სატრაპიად იყო გაყოფილი, დაიკავეს მაკედონელებმა და სატრაპიის მაგიერ, შექმნეს სამეფოები, ნაწილობრივ მოსახლეობის თანხმობით, ნაწილობრივ მოსახლეობის სურვილის წინააღმდეგ. ერთ ნაწილს მათ უწოდეს საკუთრივ კაპადოკია, აგრეთვე დიდი კაპადოკია, მეორეს კი—პონტო, ანუ პონტოს კაპადოკია“ [3].

ამასვე გვამცნებს სრულიად გარკვევით აპიანე.

---

[1] ამ არიარათს სტრაბონი კაპადოკიის პირველ მეფეს უწოდებს. წ. XII, თავი I, 2.

[2] კ უ რ ც ი უ ს რ უ ფ უ ს ი, წ. X, 8—10; გ. გ ო ზ ა ლ ი შ ვ ი ლ ი, ძვ. ისტ. ქრესტომათია, II, გვ. 83.

[3] წ. XII, თავი I, 4.

აპიანე მოგვითხრობს, რომ კაპადოკიისა და პონტოს მეფეებმა, „...დროთა განმავლობაში გაჰყვეს ქვეყანა; ზოგ მათგანმა ხელთ იგდო ბატონობა პონტოზე, მეორეებმა კი — კაპადოკიაზე“ (აპიანე, 9).

ამ ცნობებიდან ცხადი ხდება, რომ პონტოს სამეფო და კაპადოკია ერთი და იმავე სამყაროს ორგანიული ნაწილებია.

კაპადოკიის ტერიტორიაზე შექმნილი ამ ორივე სამეფოს ძირითადი მოსახლეობა ერთსა და იმავე ეთნიკურ ელემენტს — ძველ ქართველ ტომებს ეკუთვნოდა, როგორც ზემოთ დავრწმუნდით.

სწორედ ამიტომ იყო, რომ მითრიდატიდები ენერგიულად ცდილობდნენ ტავრის კაპადოკიაც თავის სამეფოსათვის შემოეერთებინათ, მაგრამ გარეშე ფაქტორი, ჯერ მაკედონელები და მერე რომაელები, — მათ ამაში ხელს უშლიდნენ.

სწორედ ამ ორივე კაპადოკიის მოსახლეობის ეთნიკური ნათესაობა—იგივეობა იყო საფუძველი, რომელზედაც ეყრდნობოდა მითრიდატიდების პრეტენზია ტავრის კაპადოკიის მიმართ, ანუ პონტოს სამეფოს მმართველთა — მთელი კაპადოკიის სამეფოს მიმართ.

თუ ცნობას მითრიდატიდების აქემენიდთაგან ჩამომავლობის შესახებ მერმინდელ შენათხზად მივიჩნევთ და ვფიქრობთ, რომ ეს სწორედ ასეა — მაშინ მარტივად უნდა წარმოვიდგინოთ საქმე იმგვარად, რომ პირველი მითრიდატე შესაძლებელია, იყო შთამომავალი კაპადოკიის მეფე არიარათისა, რომელიც კურციუსის სიტყვით, ერთადერთი ეურჩებოდა დიადოხებს[1].

როგორც უკვე ნათქვამი იყო, არიარატეს დაუკარგავს ძალაუფლება და კაპადოკია ევმენის ხელში გადასულა[2].

დიადოხთა შორის გაჩაღებული ბრძოლის ერთ მომენტში მითრიდატეს მოუხერხებია თავის სამშობლოში მამაპაპეული ხელისუფლების დაბრუნება, კაპადოკიაში გამეფებულა და მისთვის ახალი ტომები და ტერიტორიები შეუერთებია.

სწორედ კაპადოკიის ამ გავრცობილ სახელმწიფოს უწოდებენ ძველი წყაროები პონტოს სამეფოს.

---

[1] პერდიკამ ხელთ იგდო კაპადოკია და არიარატი ჩამოახრჩო. გვ. 84.

[2] როგორც ცნობილია, არიარატის ერთმა შვილმა, რომელიც მამის სიკვდილის შემდეგ სომხეთში გაიქცა აქედან შეესია კაპადოკიას, გააძევა მაკედონიელები და მის სამხრეთ ნაწილში საკუთარი სამეფო შექმნა; ჩრდილოეთშიც ასეთივე რამ უნდა მომხდარიყო (იხ. А. Ранович — Восточн. провинции... გვ. 95).

ძველი სამყაროს ცნობილი მკვლევარი ედ. მაიერი, უდარებს რა ერთიმეორეს ძველწყაროთა ცნობებს პონტოს პირველი მეფის მითრიდატეს სპარსეთის მეფეთაგან შთამომავლობის შესახებ, ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ უფრო ადრინდელი წყაროების მიხედვით, მითრიდატე შთამომავალია ვინმე სპარსელისა, არა სამეფო საგვარეულოდან. შემდგომი დროის წყაროების მიხედვით კი, — იგი უკვე დარიოს I შთამომავლად არის გამოყვანილი [1].

ედ. მაიერი ამ გარემოებას იმით ხსნის, რომ პონტოს მეფეებს სურდათ იქ თავიანთი ბატონობისათვის მოჩვენებითი კანონიერება შეექმნათ და თავიანთი შთამომავლობა ესოდენ ძველსა და სახელმოხვეჭილ საგვარეულოსთან დაეკავშირებინათ. („Es lag offenbar im Jnteresse derselben, Jhrer Herrschaft in Pontos den Schein der Legitimität zu geben, sie in möglichst alte Zeit zurückzuführen und ihrem Geschlecht den Glanz altadliger Abstammung zu verleihen“) [2].

მეორე ადგილზე კი ამბობს, რომ პოლიბიოსისა და მის მომდევნოთა ცნობა მითრიდატიდების სპარსული ჩამომავლობის შესახებ, რაზედაც არაფერი იცის ჰიერონიმემ, სრულიად უსაფუძვლოა („unbegründet“) [3].

მართლაც, ძვ. წ. IV საუკუნის ისტორიკოსმა ჰიერონიმემ, რომელსაც, როგორც პირველი მითრიდატიდების თანამედროვეს, უნდა სცოდნოდა, თუკი ესენი სპარსული შთამომავლობისა იყვნენ, — ამაზე არა იცის რა. ხოლო პოლიბიოსი კი მარტო იმას გვეუბნება, რომ თვით მითრიდატე იკვეხნიდა თავის სპარსულ შთამომავლობასაო. მხოლოდ ამით ამოიწურება პოლიბიოსის, როგორც პირველწყაროს მნიშვნელობა. პოლიბიოსის დროსაც მითრიდატიდების სპარსული შთამომავლობის მაუწყებელი სხვა რამ წყარო არ არსებულა.

პოლიბიოსის გამოთქმა, რომ მითრიდატე იკვეხნიდაო, აშკარად ლაპარაკობს იმაზე, რომ მითრიდატიდების სპარსელ მეფეთაგან შთამომავლობის შესახებ ლეგენდა მხოლოდ თვით მითრიდატიდების მიერ იყო შეთხზული.

ედ. მაიერის მიერ, აზრი პონტოს მეფეების უშუალოდ სპარსელ მეფეთაგან შთამომავლობაზე, როგორც ზემოთ ვნახეთ, საფუძვლიანად უარყოფილია. მაშ სადღაა ნიადაგი იმისათვის, რომ

[1] Ed. Meyer — Gesch. d. Königr. Pontos, გვ. 33.

[2] იქვე, გვ. 32.

[3] იქვე, გვ. 33.

-თგი მათ მაინც დაჟინებით უწოდებს სპარსული შთამომავლობის მეფეებს[1].

ამის საბუთი შესაძლებელია, მოძებნილიყო იმ ვერსიაში, რომელიც პონტოს სამეფოს დაარსებას ეხება და მისი დამაარსებელი მითრიდატე ოდესღაც ქიოსის მფლობელ სატრაპ მითრიდატეს შთამომავლად არის ზოგიერთი წყაროს მიერ ნავარაუდევი. მაგრამ არც ეს ვერსიაა დამაჯერებელი არც სხვებისათვის და არც თვით ედ. მაიერისათვის[2].

ედ. მაიერი პირდაპირ ამბობს, რომ მარმარილოს ზღვაზე მდებარე ქ. კიოსის მმართველ მითრიდატეს შთამომავალნი პონტოს სამეფოში არასოდეს ყოფილან ხელისუფალნი[3].

საისტორიო წყაროებს რომ მყარი დასაყრდენი არა ჰქონდათ, იქიდანაც ჩანს, რომ მათ მონათხრობში ხან ერთი მითრიდატეა პონტოს სამეფოს დამაარსებლად გამოყვანილი ხან, მეორე, ამ სახელის მატარებელთაგან ხან მამაა დამაარსებლად აღიარებული, ხან კი შვილი[4].

ორივე განხილული ვერსიიდან ამ მეორეს პირველის მიმართ არავითარი უპირატესობა არა აქვს, საიმედო წყაროდან მომდინარეობის თვალსაზრისით. ორივე მათგანი თანაბრად დაუჯერებელი და უარსაყოფია.

მაგრამ თუნდაც რომ რომელიმე მათგანი მართალიც იყოს, რაღა უნდა შერჩენოდათ საუკუნეების მანძილზე ამ ობლად მოსული, ვითომდა სპარსული დიდკაცობის შთამომავალი მითრიდატე დამაარსებლის, შვილთა და შვილიშვილიშვილთ სპარსული, ან ბიოლოგიური და ან საზოგადოებრივი ცხოვრების ხაზით....

და ან რით უნდა ყოფილიყო ასე გაადვილებული გადმოხვეწილი კაცის უცხო სამყაროში ასეთი უჩვეულო წარმატება?

ამ მხრივ მეტად გულუბრყვილოდ გამოიყურება და ლეგენდის უკრიტიკოდ განმეორებას წარმოადგენს მაქსიმოვას მონათხრობი, რომ ლტოლვილი მითრიდატე დასახლდა პატარა სოფელ კიმიათაში, სადაც ჩუმჩუმად მოაგროვა თავის ირგვლივ პაფლაგონიისა და კაპადოკიის ტომები და ანტიგონის დაცემის შემდეგ: „... остался вождем объединившихся вокруг него племен, составивших ядро будущего понтийского царства“[5]...

---

[1] Ed. Meyer — Gesch. d. Königr. Pontos, გვ. 62.
[2] იქვე, გვ. 33 — 38.
[3] იქვე, გვ. 35.
[4] იქვე, გვ. 35.
[5] М. И. Максимова — Античные города..., გვ. 172.

მონათხრობის მიხედვით, პაფლაგონია და კაპადოკია უნდა წარმოიდგინოს კაცმა რაღაც უმწეო ტომებით დასახლებული, რომელნიც მზად არიან ყველას მორჩილნი გახდნენ. სინამდვილე ასეთი ვითარების წინააღმდეგ ლაპარაკობს.

ამაზე თვით მაქსიმოვა მოგვითხრობს.

იგი წერს: „Мы уже видели, что какому-то вождю каппадокийцев удалось еще в первой половине V в. захватить Амис и удержать этот город в своих руках, повидимому, в течение довольно длительного времени. Процесс разложения первобытно-общинных отношений зашел в Каппадокии уже весьма далеко, образовался общественный слой местной знати, которая выдвигала из своей среды вождей, под их главенством разрозненные племена объединились и представляли значительную силу. То же самое, согласно Ксенофонту, наблюдалось в 400 г. и в Пафлагонии“ [1].

თუ საუკუნე ნახევრის წინ ასეთი მდგომარეობა იყო აღნიშნულ რაიონებში, რამ დააკნინა და დააბეჩავა იქაური ტომები ისე რიგად, რომ მათზე ლტოლვილი უცხოელი მოიპოვებს ძალაუფლებას.

განა პირველწყაროების მერყევი ცნობის ისეთ ტყვეობაში მოქცევა შეიძლება, რომ მისი გულისათვის რეალური ვითარება უგულვებელვყოთ და ლეგენდარულ ფანტასტიკას უპირატესობა მივცეთ?..

ედ. მაიერისა და მ. მაქსიმოვას კონცეფცია პონტოს ადგილობრივ ტომებზე უცხო წარჩინებულთა გაბატონებისა და საუკუნეთა მანძილზე მათ მიერ იქ თავიანთი ეთნიკური დამახასიათებელი პოლიტიკისა და ყოფაცხოვრების განხორციელება, ადგილობრივი მოსახლეობის ისე ბეჩავად წარმოდგენა, რომ მათ არ გააჩნიათ ეროვნული თვითშეგნება, — სრულიად ეწინააღმდეგება ისტორიულ სინამდვილეს და არაფრით არ მართლდება, გავიხსენოთ თუნდაც კურციუსის ზემოთ მოტანილი ცნობა, რომ გამარჯვებულ მაკედონელებს მხოლოდ კაპადოკიის მეფე არიარათე ეურჩებოდა.

სინამდვილე იმაში მდგომარეობს, რომ ადგილობრივ ტომთა, რომელთაც ადრევე ჰქონდათ საკუთარი მმართველობა, თუნდაც ძველი კაპადოკიის სამეფოს სახით, — ერთი ნაწილის ინიციატივით, დიადოხთა ბრძოლების შედეგად განცდილ პერტურბაციების დროს, მოახერხეს მცირე აზიის გარკვეულ რაიონში კვლავ საკუთარ სა-

[1] М. И. Максимова — Античные города.., 103.

ხელმწიფოებრივ ცხოვრებას დაბრუნებოდნენ. ეს ახალი პოლიტიკური ორგანიზმი შეიქმნა ქვაკუთხედი შემდგომში დიდი სახელმწიფოს შესაქმნელად, რომელმაც უფრო მოგვიანებით პონტოს სამეფოს სახელწოდება მიიღო.

სწორედ ეს იგულისხმება აპიანეს მონათხრობში, როდესაც იგი გადმოგვცემს, რომ „...რადგან მაკედონელები გართული იყვნენ ურთიერთშორის ბრძოლაში, მრავალმა ხალხმა მოიყარა თავი მითრიდატესთან და მან ხელთ იგდო არა მხოლოდ კაპადოკია, არამედ პონტოში მცხოვრები მეზობელი ტომები“[1].

ეს ცნობა ფრიად საინტერესოა იმ მხრივ, რომ პონტოს სამეფოს მოსახლეობის ვინაობაზე მიუთითებს.

ისინი, ვინც მითრიდატეს გარედან მოსულად მიიჩნევენ, ვარაუდობენ, რომ მან აქ გაბატონება მოახერხა მაკედონური ძალებით. სპარსელი მითრიდატესთვის ხომ სპარსული ძალების აქ მოყვანა გამორიცხული იყო, რადგან ამ დროს ასეთი რამ უკვე აღარ არსებობდა — ხოლო მითრიდატე და მისი თანმხლები ექვსი კაცი რომ ძალას არ წარმოადგენდნენ, ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია. აქ მოტანილ ცნობაში კი მაკედონელები არა ჩანან მითრიდატეს გვერდით. მის ირგვლივ ხალხი იყრის თავს. სწორედ ეს არის მნიშვნელოვანი, რომ მაკედონელები ურთიერთშორის იბრძვიან და ამ დროს *ხალხი, ადგილობრივი მოსახლეობა, მითრიდატეს ირგვლივ ირაზმება, ბუნებრივად სავარაუდებელია, თავის თანამემამულის და არა გადმოხვეწილი უცხოელის ირგვლივ.*

მაგრამ საინტერესოა, რომ ძველ სპარსულ სამეფოს ყოფილ ხელისუფლებასთან საკუთარი ხელისუფლების გენეტიკური დაკავშირების ტენდენცია არა მარტო პონტოს სამეფოს მეთაურთ ახასიათებდა „Три династии: Армении, Каппадокии и Понта с гордостью указывают на свое происхождение или от рода персидских царей, или от одного из семи персов, сломивших государство магов; теперь они признаны царями в своих государствах“[2].

როცა მითრიდატე აცხადებს, რომ კაპადოკია მუდამ მის წინაპრებს ეკუთვნოდა, მას მხედველობაში აქვს პონტოს სამეფოს ხალხის ეთნიკური მონათესაობა კაპადოკიის მოსახლეობასთან[3].

[1] აპიანე, 9.

[2] იხ. И. Г. Дройзен — История Эллинизма, т. II. Перевод М. Шелгунова. გვ. 314. Москва, 1893.

[3] ალბათ, იმასაც გულისხმობს, რომ მითრიდატე ძველი კაპადოკიის მეფეთა შთამომავალი იყო და იგი სწორედ ამაზე მიუთითებდა.

შეიძლება უადგილო არ იყოს მიუთითოთ, ერთი შეხედვით, თითქოს მცირე, მაგრამ, შესაძლებელია, არსებითი მნიშვნელობის დეტალზე.

მითრიდატე ევპატორის პირმშოს სახელი იყო მახარე, რაც ქართულის უბრალო მიბაძვით არ უნდა აიხსნებოდეს. ამ სახელში გამოხატულია ის სიხარული და აღტაცება, რომელსაც განიცდიდა მითრიდატეს ოჯახი და სამეფო კარი პირმშოს ძისა და სამეფო ტახტის მემკვიდრის დაბადების გამო. აქ ჩვენ ვეცნობა ქართული ოჯახის ტრადიცია და სულიერი სამყარო, უკანასკნელ დრომდე რომ შემორჩენილი... აღნიშნული დეტალი ფრიად დამახასიათებელი შტრიხია.

ედ. მაიერს არა სჯერა მითრიდატეს სპარსელ მეფეთაგან შთამომავლობა. სპარსელი მეფეების პონტოში ბრძანებლობას იგი ზღაპარს (eine Fabel) უწოდებს[1]. ამისდა მიუხედავად, ედ. მაიერი თავის ნაშრომში პონტოს მეფეებზე ლაპარაკობს მხოლოდ როგორც სპარსელ უფლისწულებსა და წარჩინებულებზე[2].

გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ მითრიდატიდების სპარსელთაგან შთამომავლობას, მეცნიერებისათვის საჭირო დამარწმუნებლობით, ვერც რომელიმე ძველი წყარო და ვერც შემდგომი დროის მკვლევართაგანი, ვერავინ ამტკიცებს.

ამიტომ ედ მაიერის შეხედულებანი, თითქოს ამ სპარსელი შთამომავლობის მეფეთა და მათ ქვეშევრდომ პონტოს ხალხების შესახებ, უცნაურად გამოიყურება.

ედ. მაიერის მიხედვით, პონტოს მეფეები რაღაც განყენებულ ელემენტს წარმოადგენენ, რომელთაც ადგილობრივ ხალხთან, ყოფაცხოვრებასთან საერთო არაფერი აქვთ. ისინი ყველაფერში მხოლოდ სპარსულ ტრადიციებს მისდევენ.

ასეთი ამკარად მექანისტური შეხედულება რომელიმე ხალხის, რომელიმე სახელმწიფოს ცხოვრებაზე, ძნელი დასაჯერებელი უნდა იყოს...

ხომ ცნობილია, რომ მითრიდატეს და მასთან ერთად მოსულ ხუთიოდე კაცს სხვა არავითარი ძალა არ მოჰყოლია, რომლითაც მათ შეეძლოთ საუკუნეთა განმავლობაში ებატონათ პონტოელ ხალხებზე... მოსულთა და ადგილობრივთა შორის საერთო არაფერია. მაშ, როგორ ხერხდებოდა მათი თანაცხოვრება და მძლავრი სახელ-

---

[1] Ed. Meyer — Gesch. d. Königr. Pontos, გვ. 32.
[2] იქვე, გვ. 62.

მწიფოს შექმნა? თუ პონტოელი ტომები არ იყვნენ მომზადებული სახელმწიფოებრივი ცხოვრებისათვის, მაშინ ხომ მოსულ უმნიშვნელო ძალას მით უფრო გაუძნელდებოდა არაორგანიზებული ურდოების დამორჩილება და მათზე ორგანიზებული ბატონობის გავრცელება.

ხოლო, თუ ეს ტომები ცივილიზებული იყვნენ, მაშინ რა უყვეს საკუთარი ეთნიკური ცხოვრების დამახასიათებელი ატრიბუტები, როგორ გაცვალეს ისინი აგრე ადვილად უცხოელთა ბატონობაზე, ვინმესგან ძალდატანების გარეშე...

ედ. მაიერს პონტოელ ტომებზე ახირებული შეხედულება აქვს.

იგი ამბობს, რომ „პონტოს სამეფოში ნაციონალურ შეგნებასა და ნაციონალურ ცხოვრებაზე რამე ლაპარაკიც კი ზედმეტია“ [1].

მისი აზრით, პონტოელი მეფეები არ არიან ადგილობრივი, ნაციონალური მეთაურები, არამედ მათი ძლიერების წყაროა ის მაკედონური გარნიზონი, რომელსაც, ვითომდა, სათავეში ჩაუდგა პონტოს სამეფოს დამაარსებელი მითრიდატე [2].

მაგრამ საკითხავია, რა მაგიური ძალა გააჩნდა ამ მაკედონურ გარნიზონს, რომ იგი საუკუნეების განმავლობაში ხელმძღვანელ როლს ასრულებს უცხო ქვეყანაში. სად იკრებს ეს გარნიზონი ფიზიკურსა თუ მატერიალურ ძალებს, — პონტოს ხალხები ხომ, ედ. მაიერის რწმუნებით, იმ ველურ მდგომარეობაში იყვნენ, რომ ნაციონალური გრძნობა მათთვის უცხო იყო... ან როგორ ხერხდება სპარსელის მიერ მაკედონელების თავის მხარეზე დაყენება... როგორ ამჯობინეს მაკედონელებმა საკუთარ მმართველს გადმოხვეწილი სპარსელი...

ისიც ხომ ცნობილია, რომ მითრიდატესა და მასთან ერთად მოსულ რამდენიმე კაცს სხვა არავითარი ძალა არ მოჰყოლია, რომლითაც შეეძლო საუკუნეთა განმავლობაში ებატონათ პონტოელ ხალხებზე [3]. პირიქით, როგორც ზემოთ ვნახეთ, აპიანე გვამცნობს, რომ მითრიდატეს ირგვლივ ადგილობრივმა ხალხმა მოიყარა თავი.

ან როგორ ახერხებდა აქემენიდთა დინასტიის მე-16-ე თაობის წარმომადგენელი მითრიდატე VI ამ ველურ სამყაროში ესო

---

[1] **Ed. Meyer—Gesch. d. Künigr. Pontos**, გვ. 63.

[2] იქვე, გვ. 63. როგორც ზემოთ ვნახეთ, მითრიდატეს არავითარი მაკედონური გარნიზონი არ მოჰყოლია თან; მის ირგვლივ ადგილობრივი მოსახლეობა დაირაზმა.

[3] აქ ძალაუნებურად გაგვახსენდება რუსეთში საბატონოდ ვარიაგების მოსვლის შესახებ ლეგენდა.

დენ ძალის თავის მოყრას, რომლითაც რომის მსოფლიო სახელმწიფოს ბატონობაში ეჯიბრებოდა?... თუმცა ედ. მაიერის აზრით, მითრიდატე ეომებოდა რომაელებს არა ნაციონალური გრძნობით აღტყინებული, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ მითრიდატე ისწრაფოდა ბატონობისა და დაპყრობა-მითვისებისაკენ[1]. და რომ ვერ ეპატიებინა რომაელებისათვის ის, რომ მათ, მისი მცირე წლოვანების დროს, დიდი ფრიგია წაართვეს[2].

ედ. მაიერის ეს კონცეფცია სრულიად მექანისტური, რეალურ სინამდვილისაგან დაშორებული და აღმოსავლეთის ხალხებისადმი უგულებელყოფითი დამოკიდებულების იმ საერთო შეხედულებიდან მომდინარეობს, რომელიც ჯერ კიდევ აღმოფხვრილი არ არის.

ედ. მაიერის ამ კონცეფციის გადამღერებას წარმოადგენს ლემან ჰაუპტის შეხედულება, რომლის მიხედვითაც ურარტელ ხალხებში გაბატონებულ ნაწილს წარმოადგენდა ინდოევროპული ზედაფენა. ეს ყალბი კონცეფცია საფუძვლიანად გააკრიტიკა და სამართლიანად უკუაგდო გ. მელიქიშვილმა[3].

სამწუხაროდ პონტოს ხალხების შესახებ უმართებულო წარმოდგენის რეციდივს საბჭოთა ისტორიოგრაფიაშიც აქვს ადგილი.

მეცნიერული სერიოზულობისათვის სრულიად შეუფერებლად, აღმოსავლეთ პონტოს მოსახლე ზოგი ტომის შესახებ სტრაბონის ერთ, სათანადო კომენტარის გარეშე, ამოგლეჯილი ცნობაზე დაყრდნობით, ა. რანოვიჩს გამოაქვს დასკვნა, რომ „Понт представлял отсталую страну"[4]. და უფრო მეტიც. მისი აზრით: „...Даже после Митридата VI, за исключением районов прибрежных городов, втянутых в морскую торговлю... Понт представлял еще полуварварскую страну"[5].

დამოუკიდებელი არსებობისათვის მძიმე და ხანგრძლივი ომი, რასაც პონტოს სამეფო რომის წინააღმდეგ აწარმოებდა ესოდენი თავგანწირვით, თურმე, რანოვიჩის აზრით, პონტოს ხალხების საბედნიეროდ, მათი დამარცხებით დამთავრდა, რადგან: „Включение Понта в состав Римской империи, означало для него движение вперед"[6].

---

[1] გვ. 87.
[2] იქვე.
[3] Г. Меликишвили — Наири-Урарту, გვ. 10—12.
[4] დას. შრ. გვ. 11.
[5] გვ. 72.
[6] გვ. 72.

ძნელი სათქმელია, რა უფრო სჭარბობს აქ: კოლონიალიზმის აპოლოგია, თუ უვიცობა...

პროფ. ი. კუსიკიანი, პონტოს სამეფოზე რომის გამარჯვებასთან დაკავშირებით, სამართლიანად დაასკვნიდა, რომ: „Рим надолго затормозил развитие Ближнего Востока“ [1].

როგორც განხილული მასალიდან ჩანს, მითრიდატე ევპატორი უნდა ჩაითვალოს არა სპარსელ შთამომავლად, არამედ ადგილობრივი მოსახლეობის შვილად.

თუ ჩვენამდე არ მოუღწევია რომელიმე პირდაპირ საისტორიო წყაროს, რომელიც მითრიდატიდების ადგილობრივ წარმომავლობას გვაუწყებდეს, — ისევე, მით უმეტს, არ არსებობს რომელიმე პირველწყარო, რომელიც მათ სპარსულ შთამომავლობას გვიდასტურებდეს [2].

სამაგიეროდ, თუ სხვა ყოველგვარი გარემოება და გონივრული დასკვნა-მოსაზრება მითრიდატიდების ადგილობრივ წარმომავლობას გვიკარნახებს, — ისევე ყველა გარემოება და დასკვნა-მოსაზრება მათ სპარსულ შთამომავლობის ვარაუდის წინააღმდეგ მეტყველებს.

## 2. მითრიდატეს დახასიათება

მითრიდატე ევპატორი იყო უფროსი ვაჟი და მემკვიდრე პონტოს მეფის მითრიდატე ევერგეტისა, რომელიც ძველი წელთ-

[1] იხ. მისი რეცენზია მანანდიანის წიგნზე „Тигран Второй и Рим. ВДИ. 1940 წ. № 3 — 4, გვ. 232. რომ რომი არ უწყობდა ხელს მცირე აზიის ეკონომიურსა და კულტურულ განვითარებას (და მაშასადამე, ვერც პონტოს შეუწყობდა ხელს), ამაზე მომზენი წერს: „...მცირე აზიის აყვავება არ იყო შედეგი შორსმჭვრეტელი და ენერგიული მთავრობის საქმიანობისა. მცირე აზიის პოლიტიკური დაწესებულებანი, სამრეწველო და სავაჭრო წამოწყებანი, ლიტერატურული და მხატვრული ინიციატივა მთლიანად მომდინარეობს ძველი თავისუფალი ქალაქებიდან, ან ატალიდებისაგან. ყველაფერი, რაც მისცა რომაულმა ხელისუფლებამ ამ მხარეს, გამოიხატებოდა უმთავრესად ხანგრძლივ ზავში და მცირე აზიის შინაგანი კეთილდღეობის ზრდისადმი ლოიალურ დამოკიდებულებაში“ (Т. Моммзен. История Рима. V. Провинции от Цезаря до Диоклетиана, გვ. 287, Москва, 1949).

ცოტა ქვევით კი ხაზს უსვამს მომზენი, რომ „მცირე აზიაში ფულის მიმოქცევის საფუძველს ადგილობრივი წარმოება შეადგენდა“ (იქვე, გვ. 305).

[2] აპიანეს ცნობას მაშინ ექნებოდა მნიშვნელობა, ის რომ რომელიმე წინამორბედ პირველ წყაროზე იყოს დამყარებული. როგორც ვნახეთ, აპიანემდე არსებულ ისტორიოგრაფიაში ასეთი რამ არ იყო. აპიანეს ცნობა ზეპირსიტყვაობით განმტკიცებული ტრადიციის განმეორებას წარმოადგენს.

აღრიცხვის 120 წელს თავის სატახტო ქალაქში მოკლულ იქნა შეთქმულთაგან.

ამ შეთქმულებისა და მეფის მკვლელობის მიზეზ-მოტივები ცნობილი არ არის.

მითრიდატ VI ჰყავდა ექვსი და, ერთი ძმა, რომელსაც აგრეთვე მითრიდატე ერქვა.

სამეფო ტახტი კანონით ეკუთვნოდა უფროს ძმას. შემდეგში ევპატორად წოდებულ მითრიდატეს, რომელიც მამის გარდაცვალების ჟამს 11 წლისა იყო.

მაგრამ მემკვიდრე მითრიდატემ ტახტი ვერ მიიღო. საფიქრებელია, რომ მითრიდატე V-ის მკვლელობის საქმეში ტახტის მემკვიდრეობის საკითხი რაღაცნაირად უნდა ყოფილიყო გარეული. მაგრამ ეს წყაროებიდან არ ჩანს.

მითრიდატე V-ის მოკვლის შემდეგ, მისი მეუღლე ლაოდიკე (რომელიც სელევკიდების შთამომავალი იყო), პატივმოყვარეობით აღსავსე, თითონ იგდებს ხელთ ძალაუფლებას და ცდილობს გზიდან ჩამოიშოროს ტახტის კანონიერი მემკვიდრე თავისი უფროსი ვაჟი მითრიდატე.

დედის დავალებით შვილს არა ერთი საფრთხე შეამთხვიეს მისთვის მიჩენილმა პირებმა, არა ერთხელ სცადეს მისი მოწამვლა... ეს ღონისძიება ხომ დიდ ხმარებაში იყო სასახლის ინტრიგებში ყველგან.

დედის მიერ მითრიდატეს დევნა უჩვეულო რამ არ იყო იმ დროისათვის.

მითრიდატეს დედას ლაოდიკეას მისაბაძი მაგალითები გააჩნდა. სწორედ ამ დროს კაპადოკიაში არიარათე ფილოპატორის ქვრივმა ნიზამ გამოასალმა სიცოცხლეს თავისი ხუთი წლის ვაჟი, რათა საკუთარი ხელისუფლება გაეგრძელებინა. იმავე ხანში სირიაში დემეტრე II-ის ქვრივმა კლეოპატრამ ერთი თავისი ვაჟი ისრით მოაკვლევინა...

მაგრამ, ჩანს, თვით მეფის კარზე მითრიდატესაც თავისი მფარველ-დამცველები გააჩნდა, რომელთა წყალობითაც ვერავითარი ცდები ამაო გამოდგა და ტახტის ახალგაზრდა მემკვიდრემ ფიზიკური არსებობა შეინარჩუნა. ამასთანავე ჭაბუკს გამოუმუშავდა თავდაცვის ინსტინქტებიც და მან საამისო ხერხ-საშუალებანიც შეიმუშავა. კერძოდ, მითრიდატე ადრიდგანვე მიაჩვიეს, რომ, მოწამვლის საფრთხის თავიდან აცილების მიზნით, ისე არავითარ საზრდოს არ ჩაუშვებდა პირში, თუ მას საწამლავის საწინააღმდეგო საშუალებით არ შეაზავებდა.

ამ ჩვეულების წყალობით, მას, თურმე ძალზე გაუკაჟდა სხეული და არავითარი საწამლავი მასზე აღარ მოქმედებდა... ისე, რომ, როდესაც უკუღმართად შეტრიალებული ბედის შედეგად, იგი იძულებული გახდა, თავის მოკვლის მიზნით, მიეღო საწამლავი, რასაც მუდამ თან ატარებდა, — ამ საშუალებამ არ გასჭრა. საწამლავი მითრიდატეს სხეულს ვერ მოერია..

მშობლიურ ქერქვეშ ასეთმა სახიფათო ცხოვრებამ აიძულა მითრიდატე გასცლოდა საკუთარი ოჯახის კერას.

საისტორიო წყაროების მოწმობით, მითრიდატე ველად გაჭრილა, სადაც თურმე შვიდი წლის განმავლობაში დაეხეტებოდა.

თუ ამ ცნობებს დაუჯერებთ, ამ ხნის განმავლობაში მითრიდატე ნამდვილი გარეული ადამიანის ცხოვრებას ეწეოდა — ტყეებსა და ღრეებში დახეტიალებდა, სადაც დაუღამდებოდა, იქ გაუთენდებოდა, მისი ქვეშაგები დედამიწა იყო, ხოლო სახურავი კი ლაჟვარდი ცის კამარა; იგი მთელ დღეს ნადირობასა და მხეცებთან ხელჩართულ ბრძოლაში ატარებდა, მათთან მარულას ჰმართავდა.

ზემოთქმული ლეგენდარულ იერს ატარებს და უთუოდ მერეა შეთხზული, აღმოცენებულია იმ ფაქტზე, რომ მითრიდატე ერთ ხანს უთუოდ ლტოლვილი, თუ გაძევებული იყო სასახლის კარიდან.

საფიქრებელია, რომ იმ წრეს, რომელიც მითრიდატეს მფარველობდა და ამით სასახლის კარზე მოწინააღმდეგე წრეს უპირისპირდებოდა, მიზანშეწონილად ჩაუთვლია მცირეწლოვანი დევნილი უფლისწული მის მოძულეთა ხელთაგან გამოეგლიჯა, მათ იგი უთუოდ, სადღაც გადაავეწეს, სადაც მისთვის ფიზიკურ არსებობასთან ერთად, ერთგვარი აღზრდაც უზრუნველყოფილი იყო. არ არის გამორიცხული, რომ მითრიდატე მიუვალ მთაგორიან ადგილას შეაფარეს, სადაც ის ბუნებასთან უშუალო სიახლოვეში იმყოფებოდა. აქ უთუოდ ფიზიკურ წვრთნასა და სხეულის გაკაჟებას მიჰმართავდა მითრიდატე, როდესაც მას ხშირად უნდა მოხდენოდა ბუნებრივ წინააღმდეგობათა დაძლევა, გარეული ცხოვრების სიძნელეების გადალახვა და სხვა. ყველაფერმა ამან მითრიდატეს სხეულს შესძინა სიკაჟე, მოქნილობა, ამტანობა — გამძლეობა, რასაც მნახველნი განცვიფრებაში მოჰყავდა.

ვფიქრობთ, ეს გარემოება დაედვა საფუძვლად მითრიდატეს ველად ცხოვრების შესახებ ლეგენდარული იერის ცნობას.

საჭიროა აქვე აღინიშნოს, რომ ჩვენამდე მოღწეული პირველწყაროების ავტორები სწერდნენ რომაული პოზიციებიდან და ზო-

ვიერთი შტრიხი მითრიდატეს დახასიათებაში არ შეიძლება გულწრფელად და მიუდგომლად გადმოცემულად ჩაითვალოს.

სამწუაროდ, მხოლოდ ცალიხრივი ცნობები მოვეპოვება მითრიდატეს ცხოვრება-მოღვაწეობაზე.

ჩვენამდე არ მოუღწევია არც უშუალოდ მითრიდატეს და არც მის სასარგებლოდ განწყობილი წრიდან მომდინარე პიოველწყაროს, რათა დაპირისპირების შედეგად, შეგვძლებოდა ობიექტური მსჯელობა.

ამგვარი ხასიათის ცნობები ძალზე გაამდიდრებდა ჩვენს ცოდნას.

მითრიდატეს დახასიათება არა ერთ კლასიკური ხანის მწერალთან მოიპოვება, მაგრამ არც ერთი მათგანი საჭირო ობიექტურობით არ გამოირჩევა.

საერთოდ, მითრიდატეს შესახებ ჩვენამდე მოღწეული წყაროები 150 — 300 წლის შემდეგ არის შექმნილ-დაწერილი. მართალია, ამ თხზულებათა ავტორებს უფრო ადრინდელი მასალა ჰქონდათ ხელთ, მაგრამ რამდენად სრულად და პირუთვნელად გამოიყენეს იგი, ჩვენ არ ვიცით.

მითრიდატეს წინააღმდეგ მებრძოლი რომაელი ჯარის სარდალთა მოხსენებებში, ბუნებრივად, დამცირებულია მოწინააღმდეგე, ხოლო მისი ძალები, რომლებმაც რომაელებისაგან მარცხი განიცადეს, უზომოდ გაზრდილია.

განსაკუთრებით დაუჯერებელია გამარჯვებულ სარდალთა მიერ ტრიუმფის დროს რომის ფორუმზე წარმოთქმული სიტყვები, რაშიაც პომპეუსმა ყველას გადააჭარბა.

ძველად არსებობდა ისეთი საისტორიო წყაროები, რომლებშიაც არა პრორომაული პოზიციებიდან, შედარებით ობიექტურად იყო მოთხრობილი მითრიდატეზე, მაგრამ ასეთ წყაროებს ჩვენამდე არ მოუღწევია.

ბედნიერმა შემთხვევამ შემოგვინახა აპიანე ალექსანდრიელის ისტორიის ნაწილი, რომელშიაც მითრიდატეს ომებია მოთხრობილი.

ჩვ. წ. II საუკ. მოღვაწე აპიანე თავის შრომას წერდა წინამორბედ ისტორიკოსთა თხზულებებსა და სხვადასხვა სახის ისტორიულ დოკუმენტთა საფუძველზე... მაგრამ ესეც წერდა პრორომაული შეგნებით... თუმცა, მის ხელთ არსებულ ისტორიულ წყაროთა შთაბეჭდილების ქვეშ მყოფმა, შემოგვინახა მითრიდატეს შესახებ ზოგი ძვირფასი ცნობა. ამით აპიანე არსებითად განსხვავდება სხვა ისტორიკოსთაგან...

მაგრამ, შეიძლება ვიფიქროთ, რომ შვიდი წლის განმავლობაში ჭაბუკი მითრიდატეს აღზრდა მხოლოდ იმით იფარგლებოდა, რომ იგი სირბილსა და ნადირობას, მუშტიკრივსა და მოგვერდულს სწავლობდა?

თუ ეს ასე იყო, მაშინ როდის შეიძინა მან ის განათლება, რომელზედაც აგრეთვე მიუთითებს პირველწყაროთა ცნობები; როდის გახდა ის მცოდნე 22 ენისა, რომლებზედაც ის, იმავე ცნობების მოწმობით, თავისუფლად ლაპარაკობდა?

უეჭველია, რომ პონტოს სამეფო კარზე ფენათა შორის ქიშპში მითრიდატე ევპატორი ერთ-ერთი ბანაკის საბრძოლო იარაღია. ეს ბანაკი სრულიადაც სუსტი არ უნდა ყოფილიყო.

ის გარემოება, რომ მითრიდატეს მიმართ მტრულად განწყობილმა წრემ ვერ მოახერხა განეხორციელებინა ბავშვის მიმართ თავისი ვერაგი განზრახვა, აშკარად ხდის იქვე მეორე ფენის არსებობას, რომელიც მითრიდატეს თავს დასტრიალებდა მზრუნველობით. ამ წრემ მითრიდატე არა მხოლოდ უბრალოდ და ფიზიკურად მოსპობისაგან გადაარჩინა. არამედ მისთვის მას გარკვეული მომავალი ჰქონდა ნავარაუდევი. ამიტომ მითრიდატეს მხოლოდ ფიზიკური გაკაჟება საკმარისი არ იქნებოდა, ეს მომავალი მეფის აღზრდის მხოლოდ ერთი მხარე იყო.

მითრიდატეს კეთილმოსურნეებს არ შეეძლოთ არ ეზრუნათ მის სულიერ აღზრდაზე, და ეს, უთუოდ, წარიმართა ცხოვრების იმ პირობების შესაბამისად, რომელშიაც სასახლიდან დევნილი ჭაბუკი მემკვიდრე მოექცა.

რომ მითრიდატეს აღზრდა-მომზადებას პონტოელ მოღვაწეთა გარკვეული წრე ხელმძღვანელობდა და სამეფოდ ამზადებდა, ამის დამადასტურებელი ისიც არის, რომ, როდესაც იგი უკვე ოცი წლის ჭაბუკი სინოპეში დაბრუნდა, მან სულ ადვილად მოახერხა სამეფო ტახტის ხელში ჩაგდება. თავისთავად ცხადია, რომ ამ საქმეში სწორედ იმ წრის ღვაწლი იყო გადამწყვეტი, რომელიც მითრიდატეს ირგვლივ იყო დარაზმული.

მართალია, პონტოს სამეფოში ქვრივი დედოფლის (მითრიდატეს დედის) უკუღმართობით, რის შედეგადაც პონტოს სამეფომ ტერიტორიული დანაკარგი განიცადა და სხვა ზიანიც ნახა, — შინა უკმაყოფილება აღმოცენდა და დედოფლისა და მისი წრის დამხობა უკვე მომზადებული იყო, მაგრამ მითრიდატეს მომხრეთა აქტიური მონაწილეობის გარეშე, ლტოლვილის ასე ადვილად გამეფება ვერ მოხერხდებოდა... „ველურად“ გაზრდილს ამას ვინ აღირსებდა!...

ამ წრეს ეკუთვნოდა პონტოს სამეფოს ჯარის სარდალი დორილაოსი, რომელიც მითრიდატ ევპატორის მამის მიერ საბერძნეთში იყო გაგზავნილი, დაქირავებული ჯარის საშოვნელად.

ახლად გამეფებულმა მითრიდატე ევპატორმა, პირველ ყოვლისა, სწორედ ამ დორილაოსის ნათესავები: მისი ვაჟები და დორილაოსის ძმისწული, რომელსაც აგრეთვე დორილაოსი ერქვა და მისი მეგობარი იყო — დაიახლოვა, თავისი მამის სხვა ყოფილ მეგობრებთან ერთად.

უეჭველია, რომ მითრიდატე ევერგეტის მკვლელთა წრეს სხვა ძლიერი ბანაკი უპირისპირდებოდა.

სწორედ ამ წრის საქმე იყო მითრიდატე ევპატორის გახიზვნა და საფრთხისაგან გადარჩენა, მისი სათანადო აღზრდა-მომზადება და მერე კი ხელისშეწყობა იმისათვის, რომ მას მემკვიდრეობით კუთვნილი მამისეული სამეფო ტახტი დაებრუნებინა.

როგორც ჩანს, ფენათა შორის ბრძოლა ერთბაშად არ დამცხრალა და ევპატორის მოწინააღმდეგე წრე იარაღის ადვილად დაყრას არ აპირებდა.

როდესაც პონტოს სამეფო კარზე ნათლად შეიგნეს, რომ რომაელთა აღმოსავლეთისაკენ ლტოლვა ჰქმნიდა იმის საფრთხეს, რომ პონტოს მეზობელი მხარეები თანდათან რომაელების ხელში მოექცეოდა, რაც ამ უკანასკნელთ, ერთის მხრივ, ძალას შეჰმატებდა, ხოლო, მეორეს ჩხრივ, პონტოს მომიჯნავე გახდებოდნენ და თავის აგრესიას ამის წინააღმდეგაც მიჰმართავდნენ, — შეიმუშავეს აზრი, რომ საჭირო იყო რომის აგრესიას დროზე გადაჰლობებოდნენ წინ და ვიდრე რომაელთა ხელში ჩავარდნილი მეზობელი მხარეები აგრესორის პლაცდარმად გადაიქცეოდნენ, პონტოელებს თვითონ ეგდოთ ხელთ და რომის დასახვედრად სათანადოდ მომზადებულიყვნენ.

საომარ გეგმებში და საერთოდ სიტუაციაში უკეთ გარკვევის მიზნით, მითრიდატე თავის თანამოღვაწე რამდენიმე პირის თანხლებით, საიდუმლოდ გაემგზავრა მეზობელი ქვეყნების შემოსავლელად, ყველაფრის უშუალოდ მოხილვისა და გასაგებად.

ევპატორის სამშობლოს გარეთ ყოფნის ხანს კვლავ გააქტივებულა მოწინააღმდეგე წრე, რომელსაც თავის ინტრიგებში ჩაუთრევია მისი მეუღლე ლაოდიკეა (ეს სახელი, ისე როგორც მითრიდატე, პონტოს სამეფო საგვარეულოში მეტად მიღებული იყო), რომელიც მიუხედავად იმისა, რომ უკვე ტახტის მემკვიდრე შეეძინა, უზნეო ცხოვრებას აჰყვება და ქმარს უდიერი სიტყვებით მოგონებასლა უძღვნიდა.

მაგრამ მითრიდატეს მომხრენიც ფხიზლობდნენ. უთუოდ მათ მიერ მოწოდებული, იგი ისევე მოულოდნელად გამოჩნდა, როგორც ამას წინათ შეუმჩნევლად მიეფარა. მეუღლე მას ზღურბლზე ფიალით შეეგება... ფიალა საწამლავით იყო სავსე.

მეუღლის ვერაგობა ამაო გამოდგა. საფიქრებელია, მომხრეების მიერ, მსახური ქალის საშუალებით გაფრთხილებულმა, მითრიდატემ იმავე საწამლავით მოუსპო სიცოცხლე მოღალატე დედოფალსა და მის ზნედაცემულ თანამყოლთ... და ასეთი დაუსრულებელი ტრაგედია თავიდან ბოლომდე გასდევს მითრიდატეს ცხოვრებას.

მითრიდატე ბუნების მიერ მდიდარი მონაცემებით ყოფილა დაჯილდოვებული. იგი იშვიათი მამაცი და ახოვანი ვაჟკაცი ყოფილა. ბრძოლაში შეუპოვრობა და სიკისკასე ახასიათებდა. ალექსანდრე მაკედონელივით, იგი არა მხოლოდ ხელმძღვანელობდა ბრძოლას, არამედ ყოველთვის პირველი ჩნდებოდა იქ, სადაც ხიფათი შეიქმნებოდა და უჩვეულო ძალღონით სავსე, მტერს მუსრს ავლებდა. ალექსანდრე მაკედონელი მორჩილი ტანისა ყოფილა, მითრიდატე კი ახოვანი, მძლეოსანი იყო; ეს ახოვანება მას ზიანსაც აყენებდა: მებრძოლთა შორის ზეალმართულს მტრისაგან ნატყორცნი იარაღი ადვილად ხვდებოდა. მრავალჯერ იყო იგი ბრძოლის ველზე დაჭრილი, მაგრამ მისი გაკაჟებული სხეული ჭრილობებს ადვილად იშუშებდა და ბრძოლის უნარიანობას, თითქმის არასოდეს ჰკარგავდა.

სომხეთში ლუკულუსის მიერ დამარცხების შემდეგ, მითრიდატე თავისი მცირე ლაშქრით შეუდგა თავისი დაკარგული სამფლობელოების დაბრუნებას.

ერთ-ერთი ცხარე ბრძოლა მოუხდა ქ. ქაბიერთან (ანუ კაბირთან). გაშმაგებული ბრძოლის დროს, მითრიდატეს ცხენი დაუჭრეს. მან ფიცხლავ ისკუპა ცხენიდან და ისეთი სიკისკასითა და გამძაფრებით შეუტია მტერს, ისეთი სიმხნე და სიმამაცე შთაბერა თავისიანებს ვაჟკაცური მოწოდებითა და მოქმედებით, რომ რომაელები შედრკნენ და ბრძოლის ველს ზურგი აქციეს.. მაგრამ მტრის მხრიდან გამოტყორცნილმა ქვამ გააფთრებულ მეფეს მუხლის კვერი ჩაუმტვრია და იგი ბრძოლის ველზე წამოაჩოქა... დაჭრილმა მითრიდატემ საშინელი ტკივილები გულში ჩაიკლა და უმალვე ზეზე წამოიჭრა... უფრო მეტი გამძვინვარებით ეკვეთა იგი მტერს... მაგრამ იმ დღით რაღაც მარცხი აეკვიატა მას, მტრის

ნასროლმა ისარმა მას თვალი გამოსთხარა... მხოლოდ ამის შემდეგ დაეცა მითრიდატე[1].

იგი სასწრაფოდ გამოიყვანეს ბრძოლის ველიდან... ბრძოლაც შეჩერდა...

დაჭრილ მეფეს „უვლიდნენ აგარები, — სკვითების ტომია, — რომლებიც სამკურნალოდ იყენებენ გველის შხამს, და ამიტომ მეფეს მუდამ თან ახლავან"[2].

მითრიდატე რამდენიმე დღეში გამოჯანმრთელდა... მაგრამ ბრძოლის ველზე გასულს კვლავ ხიფათი შეემთხვა.

რომაელებთან სასტიკი შეტაკების დროს, მითრიდატემ „ძლიერი შეტევით თავის უბანზე ბრძოლა გადასწყვიტა, და გაფანტა რა მტერი, მისი ქვეითი ჯარი შეამწყვდია ქაობიან ადგილებში, სადაც ყველანი დაიღუპნენ"[3].

მერე იგი რომაელების ცხენოსან ჯარს გაედევნა, მაგრამ „რომელიღაც რომაელმა ცენტურიონმა, რომელიც მის გვერდით მირბოდა როგორც მონა, ღრმა ჭრილობა მიაყენა მას ბარძაყში"[4].

მითრიდატე ზურგში გაიყვანეს მისმა მახლობლებმა... მებრძოლები შემოეხვივნენ მითრიდატეს და „ხმაურობდნენ, ვიდრე მკურნალმა ტიმოთემ სისხლი არ შეუწყვიტა და იგი მაღლობიდან ჯარს არ დაანახვა... როგორც კი მითრიდატე ფეხზე დადგა, მაშინვე დაუწყო ყვედრება იმათ, ვინც ჯარი ბრძოლის ველიდან უკან გამოიწვია და იმავე დღეს წაიყვანა ჯარი რომაელთა ბანაკზე. მაგრამ შეშინებულმა რომაელებმა უკვე მოასწრეს უკან გაქცევა. როდესაც გადახილეს დახოცილ რომაელთა გვამები, გამოირკვა, რომ მოკლული იყო 24 ტრიბუნი და 150 ცენტურიონი[5], მეთაურთა ასეთი რაოდენობა იშვიათად დაღუპვიათ რომაელებს ერთ ბრძოლაშიო", შენიშნავს აპიანე[6].

ასეთი გაუტეხავი და შეუდრეკელი იყო მითრიდატე ბრძოლის ველზე .. მაგრამ ჩვენ ხომ ამ ორი მაგალითის მეტი არ შემოგვინახეს რომაელმა მწერლებმა...

რომ მითრიდატეს თავისი ხანგრძლივი ბრძოლების დროის მრავალი ჭრილობა უნდა ჰქონოდა მიღებული, ეს თავისთავად სა-

---

[1] სანიკიძე, პონტოს სამეფო, გვ. 164.
[2] აპიანე, 86.
[3] აპიანე, 89.
[4] იქვე.
[5] იქვე.
[6] გვ. 89.

ვარაუდებელია... თუმცა ძველ წყაროებში შემონახული ერთი დეტალი ამ მხრივ მრავალმეტყველია.

პლუტარქე, მოუთხრობს რა, რომ თავისი ვაჟის ფარნაკის ღალატით სასოწარკვეთილმა მოხუცმა მითრიდატემ, თავი მოიკლა, განაგრძობს, რომ ფარნაკმა გარდაცვლილი მამის გვამი, თავისდა სამარცხვინოდ... პომპეუსს გაუგზავნა.

რადგან გვამის შემურვის წესებში შეცდომა იყო დაშვებული — სახელდობრ, შემმურველებს დაჰვიწყებოდათ ამოეღოთ მიცვალებულის თავიდან ტვინი, — ხოლო მითრიდატეს გვამთან ერთად სხვათა ცხედრებიც იყო გაგზავნილი — ამიტომ მითრიდატეს გვამის ახილველნი მის ცნობას, მხოლოდ ნაჭრილობევთა წყალობით ახერხებდნენ..[1].

მითრიდატეს პიროვნებასა, მის თვისებებსა, მის ღირსება-ნაკლოვანებათა შესახებ ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ ანტიკურ მწერალთა მწირი ცნობების მიხედვით, რომლებშიც მოთხრობილია მითრიდატეს ცხოვრება-მოღვაწეობის ესა თუ ის ფაქტი, ესა თუ ის ეპიზოდი.

მაგრამ ეს ცნობები სრულიადაც უტყუარი და სანდო — დასაჯერებელი არ არის. ანტიკური მწერლები მითრიდატეს საქმიანობას შეფასებას აძლევენ იმ განცდების საფუძველზე, რომელთაც იწვევდა ამ ბუმბერაზი გმირის მეთაურობით მცირე აზიის მოსახლეობის ბრძოლა რომაელ დამპყრობთა წინააღმდეგ. ამდენად, თვითეულ ცნობას სათანადო ანალიზი ესაჭიროება, იმ სინამდვილის დაპირისპირებით, რაც ყველას მიერ აღიარებულად ითვლება.

მითრიდატეს ფიზიკურ ძლიერებასთან ერთად ყურადღებას იპყრობს მისი ინტელექტუალური ძლიერებაც.

იმავე ანტიკური მწერლების ცნობით, რომელთაც ვერავინ დასწამებს მითრიდატესადმი კეთილგანწყობით მიკერძოებას, მითრიდატე მცოდნე ყოფილა 22 ენისა.

პირველი საუკუნის მწერალი (24 — 79 წლ.) პლინიუს სეკუნდუსი თავის ცნობილ ნაშრომში „Naturalis historia“ მოგვითხრობს: „მითრიდატე, მეფე ოცდაორი სხვადასხვა ტომისა, აწარმოებდა მართლმსაჯულებას ამდენსავე ენაზე და შეკრებილთ მიმართავდა ხოლმე თვითეულ ტომს მის ენაზე“[2].

---

[1] პლუტარქე, პომპეუსი, გვ. 121, იხ. პლუტარქე, რჩეული პარალელური ბიოგრაფიები 1, თარგმ. აკ. ურუშაძემ, თბილისი, 1957 წ.

[2] N h, წიგნი VII, 88.

პლინიუსი თავისი ნაშრომის მეორე ადგილას მითრიდატეს ფიზიკური ძლიერებისა და სულიერ ავლადიდების ძლიერ საინტერესო სურათს გადმოგვცემს.

იგი წერს: „მითრიდატე, უდიდესი მისი დროის ყველა მეფეთა შორის, პომპეუსის მიერ დამარცხებული, სიცოცხლეს ყველაზე მეტად ებღაუჭებოდა, ვიდრე სხვა რომელიმე მისი წინაპარი; ეს ცნობილია არა მხოლოდ გადმოცემის გზით, არამედ ფაქტებითაც მტკიცდება. მან ერთმა შემოიღო ყოველდღე მომწამლავი საშუალების სმა, იღებდა რა წინასწარ შხამის საწინააღმდეგო წამალს, რათა გამომუშავებული ჩვეულების ძალით, საწამლავი უვნებელი გამხდარიყო. მან პირველმა აღმოაჩინა შხამის საწინააღმდეგო სხვადასხვა საშუალებანი, რომელთაგან ერთს მისი სახელიც კი ეწოდება..[1].

დანამდვილებით ცნობილია, რომ მითრიდატე მხოლოდ ერთი იყო მოკვდავთა შორის 22 ენაზე მოლაპარაკე, და რომ თავისი 56 წლის მეფობის განმავლობაში მას არ დასჭირებია თარჯიმნის დახმარება მის ქვეშევრდომ ტომთა არცერთ მოსახლესთან საუბრის დროს. ამგვარად, მის მაღალ სულიერ ღირსებასთან ერთად, მას გააჩნდა განსაკუთრებული ინტერესი მედიცინის მიმართ, და ჰკრებდა რა სხვადასხვა ცოდნას თავის ყველა ქვეშევრდომთაგან, რომელთაც მთელი მსოფლიოს მნიშვნელოვანი ნაწილი ეჭირათ, დასტოვა თავის საკუჭნაოებში ამგვარი თხზულებები კიდობნებით, რომლებშიაც მოცემულია შხამისა და მის საწინააღმდეგო საშუალებათა ნიმუშები და მათი მოქმედების აღწერილობა. ხოლო პომპეუსმა, — დაეუფლა რა მეფის მთელ ამ საგანძურს, უბრძანა ლიბერტინს ლენეის, ეთარგმნა ყველაფერი ჩვენს ენაზე, და ამგვარად, მისმა სახელოვანმა გამარჯვებამ არა ნაკლები სარგებლობა მოუტანა ადამიანის სიცოცხლეს, ვიდრე სახელმწიფოს"[2].

პლინიუსის თქმისა არ იყოს, ფაქტებით მტკიცდება, რომ მითრიდატეს მართლაც შეუმუშავებია რაღაც საშუალება, რომლის მიმართაც ყოველგვარი შხამ-საწამლავი უძლური ყოფილა.

ცნობილია, რომ როდესაც რომაელებისაგან საბოლოოდ დამარცხებულ მითრიდატეს არ სურდა ცოცხალი ჩავარდნოდა ხელ-

---

[1] მეორე რომაელი მწერალი ავლ გელიუსი ამბობს... დიდად განთქმულია ამ მეფის შხამსაწინააღმდეგო საშუალებანი, რომელსაც ეწოდება „მითრიდატული" (ანტიკური ღამეები, წ. XVII, 16. იხ. აგრეთ. კლავდიუს გალიენი შხამსაწინააღმდეგო საშუალებებზე, წ. 1, 96 და დიონ კასიუსი, რომის ისტორია, XXVII, 13).

[2] N. h. წიგნი XXV, 5.

ში რომაელებს, რათა ტრიუმფში სამარცხვინო მონაწილეობის სირცხვილი თავიდან აეცილებინა, — თავის მოკვლის მიზნით, ბლომად მიიღო საწამლავი, მაგრამ მის სხეულს, რომელსაც შხამის საწინააღმდეგო საშუალება ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი, ვერაფერი დააკლო.

მითრიდატე იძულებული გახდა თავისი ერთი მხლებლისათვის ებრძანებინა, რათა ამ უკანასკნელს მახვილით მოეკლა იგი. მეორე ცნობის თანახმად მან საკუთარი მახვილი იხმარა თავისი გაკაჟებული სხეულის მიმართ [1].

მითრიდატეს მიერ 22 ენის ცოდნაზე ცნობას გვაწვდიან აგრეთვე პირველი საუკუნისვე მწერალი მარკუს ფაბიუს კვინტილიანე და გაიუს იულიუს სოლინი.

ეს საინტერესო ცნობა მითრიდატეს მიმართ, ერთის შეხედვით, შეიძლება, ადამიანს დაუჯერებლად მოეჩვენოს, მაგრამ იგი არც თუ ისე უსაფუძვლო აღმოჩნდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ მითრიდატემ პონტოს სამეფოს ფარგლებში უამრავი ტომები მოაქცია. ამ ტომთა მრავალი კილოკავი მითრიდატესათვის მშობლიური, ბევრი კი პრაქტიკული ცხოვრებიდან ნაცნობი იყო, ხოლო ზოგ მათგანს, ალბათ, საგანგებოდ გაეცნო, თავისი მოღვაწეობის მოთხოვნილებიდან გამომდინარე.

სამხედრო მიზნებთან ერთად, ადგილობრივი ენა-კილოკავების გაცნობა-შესწავლაც ჰქონდა უთუოდ, მითრიდატეს იმ საიდუმლო მოგზაურობას, რომელიც წინ უსწრებდა რომსა და პონტოს სამეფოს დიდი ომიანობის დაწყებას.

მითრიდატეს ინტელექტუალური ცოდნისადმი მიდრეკილება აგრეთვე არა ერთხელ არის აღნიშნული პირველწყაროებში.

მეოთხე საუკუნის ერთი მწერალი ოროზიუსი (დაიბ. 380 წ.) გადმოგვცემს, რომ მითრიდატეს: „მუდამ თან ახლდნენ ფილოსოფოსები და ყველა ხელოვნებაში უაღრესად გამოცდილი ადამიანები“ [2].

ცნობილია მითრიდატეს დიდი სიყვარული და გატაცება ელინური კულტურის მიმართ... „верность и преданность Эллинских городов Митридату представляют сами по себе убедительное доказательство того, что Митридат, действительно, был защитником и покровителем Эллинизма и Эллинских городов“ [3].

---

[1] იხ. აპიანე, III.

[2] წ. VI, 5, 1.

[3] Манандян — Тигран второй и Рим. გვ. 86.

გერმანელი მეცნიერის Streuber-ის აზრით, მითრიდატე სრულიადაც არ იყო ელინური განათლების მტერი; იგი მას კარგად იცნობდა და ელინურ ლიტერატურას ძლიერ ეტანებოდა[1].

ერთი საბჭოთა ისტორიკოსი ათი წლის წინათ წერდა: „მითრიდატეს არ მიუღია სისტემატური განათლება, მაგრამ ამისდა მიუხედავად, იცოდა 22 ენა, იცნობდა თავისი დროის ელინისტური კულტურის საუკეთესო წარმომადგენლებს და თითონ დასწერა თხზულება ბუნების ისტორიაზე, ითვლებოდა მეცნიერებისადა ხელოვნების მფარველად. მაგრამ ამასთან ერთად, ის გამოირჩეოდა ცრუმორწმუნეობით, ვერაგობითა და სისასტიკე შეუბრალებლობით. ეს იყო ტიპიური აზიური დესპოტი. საიდუმლო მკვლელობანი — მათ შორის თვით მითრიდატეს მახლობელი პირებისა, ჩვეულებრივი მოვლენა იყო პონტოს მეფის კარზე[2].

რაც შეეხება ცრუმორწმუნეობას, ეს მითრიდატესათვის იმდენადვე და ისევე იყო დამახასიათებელი, როგორც მისი დროის საზოგადოების თვითეული წევრისათვის, როგორც საერთო მოვლენა, აღმოცენებული მაშინდელი ყოფაცხოვრებისა და ინტელექტუალური განვითარების საერთო დონეზე. რომ მითრიდატე ამ მხრივ რითიმე გამოირჩეოდა სხვებისაგან, პირველწყაროები არაფერს გვეუბნება...

პონტოს სამეფო კარზე მკვლელობანი არ ჩაითვლება ორიგინალურ მოვლენად, არც მხოლოდ ამისათვის დამახასიათებლად. როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, ესეც საყოველთაო მოვლენა იყო. მაგრამ შეიძლება პონტოს სამეფო კარზე და თვით მითრიდატეს ხელში ამ მოვლენამ მკაცრი სახე მიიღო და ამაში, ალბათ მითრიდატეს ინდივიდუალური თვისებების გვერდით, დამნაშავე იყო ის ვითარება, რომელიც დაუსრულებელ ტრაგედიად შეეთხზეოდა მითრიდატეს ცხოვრებას და მოღვაწეობას, მისი ბავშვობიდან, სიკვდილამდე.

სწორედ ის შემთხვევები, როდესაც მითრიდატე იძულებული იყო მის მახლობელთა და სხვათა მიმართ გამოეჩინა ის სიმკაცრე, რომელსაც სახელმწიფოს ინტერესები მას ჰკარნახობდა, აძლევდა და აძლევს საბაბს როგორც ძველი, ისე ახალი დროის ისტორიკოსებს, მითრიდატე სისხლისმსმელ ვერაგად წარმოიდგინონ.

---

[1] „Eupator war keineswegs ein Feind der hellenischen Bildung; er war mit derselben wohl vertraut und logte sich auf hellenische Litteratur" — იხ. ხსენ. შრ., გვ. 89.

[2] Н. А. Машкин — История древнего Рима, გვ. 237 — 238.

ჯერ ისევ აპიანე ამბობდა მითრიდატეზე, რომ: „მას მკვლელობა არ ეზარებოდა და მძვინვარე იყო ყველას მიმართ“ [1].

პროფ. ს. კოვალიოვი მითრიდატეს ასე ახასიათებს: „Это был очень способный, на греческий лад образованный варвар, хитрый и ловкий“ [2].

ხოლო ვინმე И. П. ინიციალებით ხელმოწერილ, მითრიდატეს ერთ დახასიათებაში წერია: „Митридат был самым могущественным человеком, какого выдвигал Восток со времени расцвета Эллинизма, но это был не грек, а варвар, несмотря на греческое образование на покровительство греческому быту и искусству; это был настоящий азиатский деспот по натуре“ [3].

საწყენი და სათაკილოა, რომ ძველი სამყაროს ისეთი დიდი მკვლევარი, როგორიც იყო მომზენი, წინასწარ აკვიატებული აზრით აფასებს მითრიდატეს დროს რომის დამპყრობითი პოლიტიკის წინააღმდეგ აღმოსავლეთის ხალხების მიერ წარმოებულ ნაციონალურ-თავდაცვით ბრძოლას და თვით მითრიდატეს მოღვაწეობას.

იგი ღვარძლიანად შენიშნავს, რომ ეს ბრძოლები „იყო დასაწყისი რომაელთა წინააღმდეგ აჯანყებისა... იყო დასაწყისი აზიელთა რეაქციისა დასავლეთის ხალხების წინააღმდეგ“-ო [4].

მითრიდატეს კი ასე ამკობს მომზენი, — იგი მას სთვლის: „გულქვად, ვერაგად და სრულიად ჩვეულებრივი წყების უსინდისო აღმოსავლეთელად“ [5].

აქ მომზენი არ კმაყოფილდება მხოლოდ მითრიდატეს გალანძღვით, არამედ იგი მიაჩნია ერთ-ერთ ისეთ უარყოფით ტიპად, რომლითაც ჩვეულებრივ დასახლებულია აღმოსავლეთის ქვეყნები. მომზენი მარტო არ არის. მას ბანს აძლევს რაინაკი [6].

განსვენებულმა აკადემიკოსმა მანანდიანმა საკადრისი პასუხი გასცა დასახელებულ, ამ შემთხვევაში არაობიექტურ მეცნიერებს, მაგრამ მითრიდატეს პიროვნების სამართლიანი შეფასების მიზნით, საჭიროა იმ შემთხვევათა გარჩევა, რომელთა მიხედვითაც მითრიდატეს დესპოტისა და ბარბაროსის სახელწოდებითაც ნათლავენ.

---

[1] 112.

[2] С. И. Ковалев — История античного общества. Эллинизм. Рим. გვ. 192.

[3] იხ. Энциклопедический словарь Брокгауз-Ефрона. т. 37, გვ. 463.

[4] Моммзен. История Рима, т. II, Перевод Неведомского, 1887, გვ. 273.

[5] მომზენი, ტ. II, გვ. 272.

[6] იხ. Reinach — Mithridat Eupator, გვ. 299.

ჩვენ ერთ ასეთ შემთხვევაზე უკვე გვქონდა ლაპარაკი, რომლესაც უაღრესად სახელმწიფო მიზნებით მეზობელ ქვეყნებში გამგზავრებულ მითრიდატეს, საკუთარ ოჯახში მოღალატეები გაუჩნდნენ. ამ შემთხვევაში მისი მოქმედება ცოლისა და სხვების მიმართ, მას ამორალურობისა, თუ დესპოტიზმის რაიმე ჩრდილს ვერ მიაყენებს. პირიქით, აქ გამოსჩანს ახალგაზრდა კაცში ნებისყოფის ძლიერება, რომ მას ძალუძს, მისი დიადი მიზნების გზაზე მისთვის დაბრკოლების შემქმნელი, მტკიცე ხელით გაანადგუროს, — ვინც არ უნდა იყოს იგი... დიდ სახელმწიფო მოღვაწეს, თუ ხასიათის, ნებისყოფის სიმტკიცე არა აქვს, ის წარმატებით ვერ განახორციელებს უმაღლეს სახელმწიფო შთანაფიქრს.

დანარჩენი შემთხვევებიც ამ ასპექტში უნდა იყოს განხილულ-შეფასებული.

მითრიდატეს მიმართ, როგორც დესპოტის მიმართ, სამდურავს გამოსთქვამენ იმის გამო, რომ მან მის წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობისათვის, 1600 კაცი დასაჯა სიკვდილით... მაგრამ განა ეს მას დანაშაულად ჩაეთვლება? არ უწევენ ანგარიშს იმას, თუ როდის ხდება ეს შეთქმულება და რას ისახავდა იგი მიზნად.

ჩვენ არ ვიცით პიროვნულად ვინ იყვნენ ამ შეთქმულების ორგანიზატორნი, მაგრამ უდავოა, რომ ესენი იყვნენ მოღალატენი, რომელნიც ცდილობდნენ რომაელ დამპყრობლებისათვის ციხე შიგნიდან გაეღოთ, იყვნენ ის მხდალი ადამიანები, რომლებიც უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ თავგანწირულ გმირულ-ბრძოლას, მხდალად შინ ჯდომას ამჯობინებდნენ და ამით მებრძოლი ქვეყნის შიგნით დეზორგანიზება შეჰქონდათ. მითრიდატე რომ შეთქმულთ ასე საკადრისად არ გასწორებოდა, ეს მისი სისუსტის მაჩვენებელი იქნებოდა, ეს მომასწავებელი იქნებოდა იმისი, რომ მას და მის ქვეყანას უკვე დაკარგული აქვს უნარი კვლავინდებური შეუპოვრობითა და ენერგიით განაგრძოს ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ.

მითრიდატეს ასეთი რადიკალური მოქმედება შეთქმულთა მიმართ მტრისათვის იმის მანიშნებელი იყო, რომ პონტოს სამეფოს ძლიერება ჯერ გატეხილი არ იყო, მას ჯერ შესწევს პოტენცია შინაგანი მტრებიც დათრგუნოს და საგარეო მტერსაც საკადრისად გაუმკლავდეს.

შინა მოღალატეებისათვის რომ საშუალება მიეცა ქვეყნის ბრძოლისუნარიანობისათვის ძირი გამოეთხარათ და იგი მტრების სათარეშოდ გაეხადნათ, სახელმწიფოებრივი დანაშაული იქნებოდა

მითრიდატეს მხრივ, ღალატი იქნებოდა მისი მხრივ იმ დიადი მიზნისადმი, რომლისთვისაც ის თავგანწირულ ბრძოლას აწარმოებდა.

დიდად ჰკიცხავენ მითრიდატეს აგრეთვე შემდეგი შემთხვევის გამო. როდესაც ლუკულუსის მიერ დამარცხებული მითრიდატე იძულებული გახდა სომხეთში ლტოლვილიყო, მაშინ მან რათა მისი ოჯახის წევრები მტერს არ ჩასცვივნოდნენ ხელში, როგორც აპიანე მოგვითხრობს: „თავის სასახლეში გაგზავნა საჭურისი ბაკხი, რათა დაეხოცნა მისი დები, ცოლები და ხასები, რა გზითაც კი ამას მოახერხებდა. და მართლაც, ისინი დაიხოცნენ მახვილით, შხამითა და მარყუჟით"[1].

ამასთანავე აპიანე დასძენს: „—ამის მნახველმა მითრიდატეს გარნიზონების უფროსებმა მასიურად იწყეს ლუკულუსის მხარეზე გადასვლა"[2].

აქ ჯერ ერთი, უნდა შევნიშნოთ, რომ გარნიზონთა უფროსების ლუკულუსის მხარეზე გადასვლა გამოწვეული იყო არა იმით, რომ ვითომდა ისინი შეაშფოთა მითრიდატეს საქციელმა თავისიანების მიმართ. არა, ეს მაშინდელ ცხოვრებაში სრულიადაც უჩვეულო მოვლენა არ იყო. უფროსების გადასვლა რომაელთა მხარეზე ამ ფაქტმა იმ მხრივ გამოიწვია, რომ მითრიდატეს ასეთი უკიდურეს, სასოწარკვეთილ მოქმედებაში მათ აღმოიკითხეს პონტოს სამეფოს განწირული მდგომარეობა, რომ მითრიდატე, შესაძლებელია, უკვე ხელს იღებს რომაელთა წინააღმდეგ ბრძოლაზე და ჯარის უფროსებს უმიზნოდ მიაჩნდათ შემდგომი წინააღმდეგობის გაწევა მტრისათვის, რომელიც ზედიზედ ეუფლებოდა პონტოს ქალაქებს: ამასტრიდას, ჰერაკლეიას და სხვა[3].

აკი თვით აპიანე შენიშნავს, რომ მითრიდატემ თავისიანების მიმართ სასტიკი გადაწყვეტილება იმიტომ მიიღო, რომ მას: „სრულიად დაეკარგა თავისი სამეფოს შენარჩუნების იმედი"[4].

რაც შეეხება მითრიდატეს საქციელის მორალურ მხარეს, აქ შემდეგი უნდა ითქვას.

ყოველი ისტორიული მოვლენა, მომხრე თუ მოწინააღმდეგე... ყოველი ისტორიული მოვლენა, მოვლენა, მომხრე თუ მომცრო უნდა განვიხილოთ და შევაფასოთ მისი დროის მორალის ასპექტში და იმ ვითარების გათვალისწინებით, რომელშიც ის მოხდა.

---

[1] აპიანე, 82.

[2] იქვე.

[3] იქვე.

[4] იქვე.

თავდაცვითი ომის ერთ-ერთი ძირითადი სტიმულია საკუთარი მიწაწყლის, კერისა და ოჯახის დაცვა, რათა ისინი არ გახდეს მტრის ფეხქვეშ სათელად, არ წაიბილწოს სხვისი ხელით, არ აეყაროს პატივი. ყოველი შეგნებული, ამაყი და თავმოყვარე მებრძოლი იმისათვის სწირავს თავს, რათა დაიცვას სიწმინდე და პატივი საკუთარი მამულისა, კერისა, ოჯახისა.

განსაკუთრებით სამარცხვინოდ ითვლებოდა და ითვლება ოჯახის წევრთა, ნამეტნავად ქალების, მტრის ხელში ჩავარდნა... მიაქციეთ ყურადღება, მითრიდატეჰ მხოლოდ მისი ოჯახის წევრ ქალების დახოცვა ბრძანა.

საქმე ის არის, რომ ძველად წარმოებული ომის წესების თანახმად, რაც-კი დამარცხებული ჯარის სარდლის პირად კუთვნილებას შეადგენდა, — ყველაფერი გამარჯვებული სარდლის კუთვნილებად იქცეოდა, რაც კი მას ხელში ჩაუვარდებოდა.

მითრიდატეს სურდა თავიდან აეცდინა ის სირცხვილი, რომელიც შედეგად მოჰყვებოდა ლუკულუსის მიერ მითრიდატეს ოჯახის წევრ ქალთა დატყვევებას.

თვით მითრიდატეს ოჯახის წევრთაც ესმოდათ, თუ რისთვის მოიქცა იგი ასე, თუმცა როგორც მოსალოდნელი იყო, ყველა სათანადო გმირობით ვერ შეხვდრია ამ საქმეს.

პლუტარქე ამ ფაქტთან დაკავშირებით მოგვითხრობს: „მეფის გაუთხოვარ დათაგან ერთმა, როგორც ამბობენ, მითრიდატეს წყევლა-კრულვაში და შეჩვენებაში შესვა საწამლავი, ხოლო მეორეს, სტატირას ერთი საყვედური და შეუფერებელი სიტყვა არ აღმოხდომია გულიდან. პირიქით, სტატირამ ქება-დიდება დაუწყო ძმას იმისათვის, რომ მან საკუთარი განსაცდელის ჟამს არ დაივიწყა ისინი და ყველაფერი გააკეთა, რათა მისი ახლობლები თავისუფალ და ნამუსაუხდელ ქალებად დახოცილიყვნენ“[1]. აქვე ფილისტერულად შენიშნავს პლუტარქე: „ამ ამბავმა ფრიად მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა კეთილსა და კაცთმოყვარე ლუკულუსზე“[2].

თუ რა კეთილშობილი და კაცთმოყვარე იყო ლუკულუსი, ამას ქვევით დავინახავთ.

მითრიდატეს ეს საქციელი იმ დროის მორალის ფარგლებში ეტევა და სრულებითაც გამონაკლისს არ წარმოადგენს. საკუთარი ოჯახის წევრთა პატივის დაცვის ასეთ ვითარებაში კი არა, გა-

---

[1] პლუტარქე, ლუკულუსი, 18.
[2] იქვე.

ცილებით უფრო იოლ პირობებში მომხდარი შემთხვევებიც კი, გაკიცხვის საგნად არ ქცეულა არასოდეს.

პირიქით, თითონ რომაელები ძალიან ამაყობდნენ მათი თანამემამულე ვირგინიუსის საქციელით, როდესაც მან საკუთარი ქალი დანით დაკლა.

ეს ასე მოხდა.

ვირგინიუსის ქალი ვირგინია იყო საცოლე ლუციუს ოცილიუსისა, რომელიც ძვ. წ. 456 წ. იყო რომში სახალხო ტრიბუნად და სენატში გაატარა კანონი რომის ერთ-ერთ ბორცვზე პლებეებისათვის მიწების მიცემის შესახებ.

ოცილიუსმა 449 წ. აამხედრა ხალხი დეცემვირების წინააღმდეგ, რომლებმაც მათი მოღვაწეობისათვის განკუთვნილი ვადის გასვლის შემდეგ, უარი არა სთქვეს თავის უფლებებზე და თვითნებურად განაგრძობდნენ მოღვაწეობას.

ძვ. წ. 451 წ. კონსულად არჩეული აპიუს კლავდიუს კრასუსი ამ უზურპატორ დეცემვირთა რიცხვშიაც იყო არჩეული.

დეცემვირთა უზურპაციის წინააღმდეგ მებრძოლთა მეთაურების მიმართ მტრული მოქმედების ერთ-ერთ აქტს წარმოადგენს კრასუსის მიერ ვირგინიაზე ძალდატანების ცდა.

ერთ დილით, როდესაც ვირგინია სკოლაში მიდიოდა, მას მიესივნენ მოსატაცებლად კრასუსის მიგზავნილი კაცები.

რათა თავისი ქალი შეურაცხყოფისაგან ეხსნა, ვირგინიუსი შევარდა ერთ-ერთ საყასბოში, სტაცა ხელი დანას და ვირგინიას ყელი გამოსჭრა...

მითრიდატესა და ვირგინიუსის საქციელი პრინციპულად ერთიმეორისაგან არ განსხვავდება... მხოლოდ ეს არის, რომ მითრიდატეს თავისი საქციელისათვის უფრო მეტი საბაბი და საფუძველი გააჩნდა, ვიდრე ვირგინიუსს[1].

ზნეობრიობის იმ სფეროდან, რომელიც ზემოთ მოვხაზეთ, გამომდინარეობდა მითრიდატეს ქალების გმირული საქციელი, რომლითაც მათ შეამკეს თავიანთი მამის ტრაგიკულად დამთავრებული სიცოცხლისა და პონტოს სამეფოს უკანასკნელი წუთები.

---

[1] მტრის ხელში ჩავარდნისაგან გადარჩენის მიზნით ცოლშვილის ამოხოცვა ძველი ქართული სამყაროსთვისაც დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო, რაც ახალ ხანამდე შემორჩა. (შეად. ვაჟა-ფშაველას ბალადა „ბაკური", სადაც შემოსეული მტრისაგან დამარცხებული თუში ბაკური არჩევს თავისი ცოლშვილი საკუთარი ხელით დახოცოს, ვიდრე მტრის მონობაში დასტოვოს. იხილე აგრეთვე „ბაკურის" ფოლკლორული წყაროს შესახებ გაზ. „სახალხო განათლება", 1961 წლის 14/VI და 26/VII ნომრებში).

როდესაც, მისი შვილის ფარნაკის მუხანათური ღალატის შედეგად, მითრიდატესა და მის ორ ქალს რომაელთა ხელში ჩავარდნის საფრთხე დაემუქრათ და მითრიდატემ დაუწყო განზავება იმ შხამს, რომელსაც მუდამ თან ატარებდა, — როგორც აპიანე მოგვითხრობს: „მისმა ორმა ქალმა, რომლებიც ჯერ ქალწულები იყვნენ და მამის ოჯახში ცხოვრობდნენ — მითრიდატისი და ნისსა, — რომელთაგანაც ერთი ეგვიპტის მეფეზე და მეორე კვიპროსის მეფეზე იყო დანიშნული, განაცხადეს, რომ ჯერ ისინი დალევდნენ შხამს; ისინი ამას დაჟინებით მოითხოვდნენ და უშლიდნენ მას შხამის დალევას, ვიდრე არ მიიღეს და თვითონ არ დალიეს იგი. შხამმა მათზე დაუყოვნებლივ იმოქმედა..[1].

მითრიდატეს ვაჟი მაჰარე, როგორც მებრძოლი მამის მოღალატე, როგორც სამშობლოს გამყიდველი, რომელმაც მამაშვილური გრძნობა და მოვალეობა, სამშობლოს სიყვარული და კეთილდღეობა ანაცვალა ეგოისტურ პატივმოყვარულ ზრახვებს, — რომელთა განხორციელებაც რომაელთა ხელში ძალიან საეჭვო იყო — მხოლოდ სიკვდილით სასჯელს იმსახურებდა და თუ მართალია, რომ მან საკუთარი ხელით მოიკლა თავი, ერთადერთი ეს ჩაეთვლება მას რასაც შეუძლიან ოდნავ მაინც შეანელოს მისდამი, როგორც გამცემ-მოღალატისადმი, ზიზღი.

მითრიდატე ამ შემთხვევაში თავისი მოწოდების სიმაღლეზე დგას, როგორც სახელმწიფოს მეთაური.

ამავე თვალსაზრისით, აგრეთვე სამართლიანია მითრიდატეს მიერ თავისი მეორე ვაჟის ქსითარას მოკვლა.

ეს ასეთ ვითარებაში მოხდა: „მითრიდატეს ჰქონდა ერთი საიდუმლო გამაგრებული ადგილი, სადაც მიწის ქვეშეთ საკუჭნაოებში მას შენახული ჰქონდა ბლომად ფული, რკინით შეჭედილ სპილენძის კიდობნებში. სტრატონიკამ, მითრიდატეს ერთ-ერთმა ხასამ, თუ ცოლმა, რომელმაც იცოდა ამ სიმაგრის საიდუმლოება და რომელსაც მისი მეთვალყურეობა ჰქონდა დავალებული, ვიდრე მითრიდატე პონტოს ირგვლივ მოგზაურობდა, — ამ სტრატონიკამ ეს სიმაგრე გადასცა პომპეუსს და გაანდო ამ საგანძურის საიდუმლოება, რომელთა შესახებაც არავინ არაფერი იცოდა, — იმ პირობით, რომ პომპეუსი მის შვილს ქსითარას სიცოცხლეს შეუნარჩუნებდა, თუ ვინიცობაა იგი მას ხელში ჩაუვარდებოდა. პომპეუსი დაეუფლა ამ ფულებს, აღუთქვა მას, რომ ქსითარას გადაარჩენდა და ნება მისცა წაეღო საგანძურიდან თავისი საკუთარი ქონება. ეს

[1] აპიანე, 111.

რომ გაიგო მითრიდატემ, მოკლა ქსითარა სროტის ნაპირას, მისი დედის თვალწინ, რომელიც ამას მეორე ნაპირიდან უცქერდა, და მისი გვამი დაუმარხავად გადააგდო"[1].

აპიანე კიცხვით შენიშნავს: „ასე არ დაინდო მან თავისი შვილი ოღონდ კი ტანჯვა მიეყენებინა მის წინაშე შემცოდე ქალისათვის"[2].

მაგრამ აპიანე არ უწევს ანგარიშს, რომ მითრიდატე მეტად რთულ ვითარებაში იმყოფებოდა, რომ რომაელთა წინააღმდეგ პონტოს სამეფოს ბრძოლის ეს უკანასკნელი სტადია იყო, როდესაც მითრიდატე უკანასკნელ ძალებს იკრებდა, რათა კვლავ ეცადნა ბედი ბრძოლის ველზე. ცოლის ვერაგმა საქციელმა მითრიდატეს ომის საწარმოებლად ესოდენ საჭირო ფინანსიური საშუალება ხელიდან გამოჰგლიჯა და ვინ იტყვის, რომ ამ გარემოებამ დიდად არ შეუწყო ხელი მითრიდატეს დამარცხებას... და პომპეუსის გამარჯვებას...

განა აქ დანდობაზე შეიძლება ლაპარაკი?... და თუ ეს ასე უნდა იყოს, მაშინ როგორ უნდა შევფასდეს რომაელთა ცხოვრების არა ერთი ფაქტი, ქებული რომაული პატრიოტიზმის სახელოვან მაგალითად ჩათვლილი... რომელთაგან მხოლოდ ორის გახსენებაც იკმარებდა...

რომიდან გაძევებულმა მეფე ტარკვინიუსმა სცადა კვლავ რომში დაბრუნება, რისთვისაც გააბა კავშირი თავის მომხრეებთან. რომაელთა წარჩინებული წრის ახალგაზრდებმა აღუთქვეს დახმარება, შეადგინეს შეთქმულთა წრე, რომელიც ტარკვინიუსს შიგნიდან გაუღებდა რომის ჭიშკარს. შეთქმულებაში მონაწილეობდნენ პირველი კონსულების იუნიუს ბრუტუსის ორი ვაჟი და კოლატინის ორი ძმისწული.

შეთქმულება გამომჟღავნდა. მონაწილენი გაასამართლეს.

პირველად გაასამართლეს ძმები ბრუტუსები. მათი მსაჯული იყო მათი მამა. მამამ შვილებს სიკვდილი მიუსაჯა, რესპუბლიკის წინააღმდეგ დანაშაულისათვის.

იგი დამშვიდებით უცქერდა ჯერ როგორ გაჯოხეს მისი ბრძანებით ლიქტორებმა მისი შვილები და მერე როგორ მოჰკვეთეს მათ თავები.

თავისი ძმისწულები კოლატინმა გაასამართლა.

მას ბრუტუსის სიმტკიცე არ აღმოაჩნდა: სიკვდილის მაგიერ, ძმისწულებისთვის სასჯელად გაძევება მოითხოვა.

---

[1] აპიანე, 107.

[2] იქვე.

ბრუტუსის დაჟინებით, მათაც სიკვდილის განაჩენი გამოუტანეს, ხოლო კოლატინი, იმის გამო, რომ მან ვერ გამოიჩინა სიმტკიცე სამშობლოს მტრებთან ბრძოლაში, რომიდან გააძევეს[1].

წარჩინებული რომაელის ავლიუს ფულვიუსის ფიზიკური მშვენებითა და მაღალი განათლებით აღსავსე ვაჟი კატილინას მიემხრო.

როდესაც იგი კატილინასთან შესაერთებლად მიემართებოდა, გზაში შემოეყარა მამა, რომელმაც იგი მოკლა და მიაძახა: „მე შენ გშობე და აღგზარდე არა კატილინასათვის, სამშობლოს წინააღმდეგ, არამედ — სამშობლოსათვის, კატილინას წინააღმდეგ"[2].

აღნიშნულ ვითარებაში მითრიდატეს არ შეეძლო დაუსჯელად დაეტოვებინა ისეთი მოვლენები, რაც მისი სახელმწიფოს შინაგან რღვევასა და დასუსტებას უწყობდა ხელს.

ის გასაკიცხი მაშინ იქნებოდა, რომ სისუსტე გამოეჩინა... ის ხომ სამართლიან, განმათავისუფლებელ ომს ეწეოდა, რათა ბოლო მოეღო რომაელთა დამპყრობლური პარპაშისათვის აღმოსავლეთის რაიონებში და მათი შემდგომი ექსპანსიისათვის ჯებირი აღემართნა...

და... თუნდაც მითრიდატეს ბრძოლა რომაელებთან გაგებულ იქნას როგორც ბრძოლა ორ მოქიშპეს შორის, აღმოსავლეთის პროვინციებზე გაბატონებისა და იქაური დოვლათის ხელში ჩაგდების მიზნით, მაშინაც კი, განა სიმართლე მითრიდატეს მხარეზე არ იქნებოდა? განა ვინმე შეუძლიან თქვას, რომ რომაელებისათვის უფრო უპრიანი იყო აღმოსავლეთის რაიონების სიმდიდრეთა ექსპლოატაცია?...

ამასთანავე, უნდა გვახსოვდეს, რომ მსგავსი შემთხვევები მაშინდელ სამყაროში ბლომად იყო.

გავიხსენოთ თუნდაც, როგორ დახოცა თავისი ორი ვაჟი მითრიდატეს სიძემ სომხეთის მეფე ტიგრან მეორემ.

ტიგრანის უფროსმა ვაჟმა ზარიადრემ, მამის ტახტიდან ჩამოგდების მიზნით, შეადგინა შეთქმულება ტიგრანით უკმაყოფილო სომეხ თავადებთან ერთად. შეთქმულება გამომჟღავნდა და მისი მონაწილენი, ზარიადრესთან ერთად, ამოხოცილ იქნენ.

ტიგრანის საშუალო ვაჟსაც (სახელი ცნობილი არ არის) მოუსურვებია მამის ტახტის ხელში ჩაგდება. მამამ ესეც მოაკვლევინა.

---

[1] Рим. Книга для чтения. გვ. 21.

[2] Поль Гиро. Частная и общественная жизнь римлян, გვ. 72.

მესამე ვაჟიც აუმხედრდა მამას და სიკვდილს იმით გადაურჩა, რომ მამასთან ბრძოლაში დამარცხებული, პართიაში გაიქცა [1].

შეიძლება ზედმეტი არ იყოს გავიხსენოთ ერთი შემთხვევა პუნიკური ომებიდან.

რომაელი სარდლის სციპიონის მიერ დამარცხებულმა კართაგენელთა სარდალმა ჰასდრუბალმა სულმოკლეობა გამოიჩინა... იგი ფარულად გაიქცა სციპიონთან და ევედრებოდა შეწყალებას.

ჰასდრუბალის თანამემამულეებმა წარმოსთქვეს მის მიმართ „სასტიკი მრავალნაირი კიცხვა. ცეცხლი წაუკიდეს ტაძარს და მასში ამოიწვნენ. ჰასდრუბალის ცოლმა მას უწოდა სამშობლოს, სიწმინდეთა, მისი შვილების მოღალატე; მან ყელები დასჭრა შვილებს, ჩაყარა ისინი ცეცხლში და შემდეგ თითონაც გადაეშვა ალში“ [2].

ისტორიკოსი დასძენს: „ასეთი იყო, გადმოცემის თანახმად, ჰასდრუბალის ცოლის აღსასრული, რომელიც უფრო შესაფერი თვით ჰასდრუბალისათვის იქნებოდაო“.

მოთხრობილის ფონზე მითრიდატეს მოქმედება სრულიადაც ველურად არ გამოსჩანს.

რაც შეეხება მითრიდატეს მიერ თავისი დისწულის კაპადოკიის მეფეს არიარატის მოკვლას საკუთარი ხელით,— ეს მკვლელობა თავისი ფორმით აღმაშფოთებელი, მზაკვრული გაიძვერობით იყო ჩადენილი: მითრიდატემ მოსალაპარაკებლად მოწვეული, ბიძისადმი მინდობილი ჭაბუკი, წამოსასხამქვეშ დამალული მახვილით მუხანათურად განგმირა.

მითრიდატეს ასეთი საქციელისათვის გამართლების მოძებნა უთუოდ გაძნელდებოდა... მაგრამ მსჯავრის გამოტანის დროს არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მან ეს ჩაიდინა იმ დიად გეგმებთან დაკავშირებით, რომელთა მიხედვითაც ის რომაელებთან მომავალი ბრძოლისათვის აღმოსავლეთში საიმედო პლაცდარმს ამზადებდა. მითრიდატეს მიერ კაპადოკიის პლაცდარმის დაკარგვას, შეეძლო მისი გეგმებისათვის დიდი ზიანი მიეყენებინა და მისი მოწინააღმდეგეებისათვის კი საგრძნობი უპირატესობა მოეტანა. ასეთ ვითარებაში ჩადენილი მკვლელობა, სახელმწიფო მოღვაწისათვის, შეიძლება, იმავე ზომის დანაშაული არ იყოს, როგორც კერძო პირისათვის...

---

[1] **Манандян**, ხსნ. შრ., გვ. 173.

[2] აპიანე, ისტორია, VIII, გვ. 117—132.

მაგრამ ზემო აღნიშნული სახით ჩადენილი, იგი მაინც მძიმე შთაბეჭდილებას ტოვებს.

რასაკვირველია, ყველაფერ ზემოთ თქმულიდან ის არ გამომდინარეობს, რომ ჩვენ ვამართლებდეთ მითრიდატეს მიერ ჩადენილ მკვლელობებს... უთუოდ აჯობებდა, რომ მითრიდატეს მოეხერხებინა ზოგი მათგანი მაინც თავიდან აეცდინა.. და იქნებ, კიდევაც ცდილობდა იგი ამას, მაგრამ არ მოხერხდა... და ან რამდენად სწორეა წყაროების ყველა ცნობა...

ხოლო იმ მკვლელობათა მიმართ, რომლებიც სახელმწიფო ინტერესების თვალსაზრისით გარდაუვალი იყო, არ კმაროდა მარტო უდრეკი ნებისყოფა, მძლავრი მარჯვენა... აქ უთუოდ საჭირო იყო უფრო მეტი სიმკაცრის ელემენტი, რომელიც გარკვეულ ვითარებაში აუცილებელი ხდება და რომელსაც მითრიდატე, სჩანს, მოკლებული არ ყოფილა.

თუ მსჯელობის საგნად გავხდით იმ სასტიკ ღონისძიებებს, რომლებსაც მიმართა მითრიდატემ აზიაში რომაელთა ბატონობის აღმოსაფხვრელად, რასაც შედეგად მოჰყვა მრავალი ათასი რომაელის გაჟლეტა და რამაც, უთუოდ, ათქმევინა რომაელ მწერალ აპიანეს მითრიდატეს მიმართ, რომ მან: „გამოიჩინა თავისი, ძალადობისაკენ მიდრეკილი, ვერაგი ხასიათი-ო“[1].

აქ მითრიდატეს საქციელი იმდენად მისი ბუნებიდან, სურვილიდან, თუ გადაწყვეტილებიდან არ გამომდინარეობდა, რამდენადაც აზიის მოსახლეობაში წლობით დაგროვილ რომაელთადმი ღრმა სიძულვილიდან.

ამას თვით აპიანეც ვერ მალავს.

რომაელების ხოცვა ჟლეტის მოთხრობას იგი ასე ამთავრებს: „ასეთი უბედურება დაატყდათ თავს აზიაში მყოფ რომაელებს და იტალიელებს, ყველას ერთად კაცებსაც და ბავშვებსაც, ქალებსაც, გააზატებულებსაც და მონებსაც, რომლებიც იტალიური შთამომავლობისა იყვნენ. და ამ შემთხვევაში განსაკუთრებით აშკარა იყო, რომ აზიამ არა მითრიდატეს წინაშე შიშით, არამედ უფრო რომაელთადმი სიძულვილის გამო, ჩაიდინა ასეთი საშინელი საქციელი“[2].

---

[1] აპიანე, 23.

[2] აპიანე, 23, რომაელთაგან განდგომის განწყობილება დამახასიათებელი იყო აზიის პროვინციისათვის.

სვეტონიუსი ცეზარის ბიოგრაფიაში წერს, რომ ცეზარი როდოსიდან გადავიდა აზიაში და იქიდან გააძევა მითრიდატეს მიერ იქ დაყენებული მმართველები „და ამით რომს შეუნარჩუნა მოკავშირეები, რომლებიც ყოყმანობდნენ და

აქედან ცხადი ხდება, რომ მითრიდატესადმი სიძულვილი დასავლეთ სამყაროს მხრივ სრულიად უსაფუძვლოა და მითრიდატეს იგი არ დაუმსახურებია.

მაგრამ, იქნება, მითრიდატეს დამოკიდებულება აღმოსავლეთის ხალხების მიმართ, როდესაც ეს უკანასკნელნი მერყეობდნენ და ხან პონტოს, ხან კი რომის მხარეზე იყვნენ, წარმოადგენს რაიმე განსაკუთრებულს, რაც მას, მართლა უჩვეულო სისხლისმსმელ ბოროტმოქმედად წარმოგვიდგენს?

მართალია, მითრიდატეს რამდენჯერმე მოუხდა მკაცრი რეპრესიების ხმარება იმათ მიმართ, ვინც საომარი მოქმედების დროს მას განუდგა და რომაელთა მხარეზე გადავიდა, მაგრამ ამ მხრივ არაფერი ჩაუდენია ისეთი, რაც ასეთ შემთხვევაში მის ადგილზე სხვის მიერ არ იქნებოდა გაკეთებული, ხოლო ამავე საბაბით გამოწვეული რომაელთა მხარის მოქმედება, სრულებითაც ნაკლები სიმკაცრისა არა ყოფილა .. მეტიც... რაკი რომაელთადმი კეთილგანწყობილი წყაროები ამაზე მოგვითხრობს, ცხადია, მასზე გაცილებით მეტი აქვთ მათ ჩადენილი.

აი, რა ჩაიდინა სულამ ათენში, როდესაც მან იქ მითრიდატეს ჯარი დაამარცხა და ქალაქში რომაელი ჯარი შევიდა.

ამას იგივე აპიანე მოგვითხრობს: „...სულა შეიჭრა ქალაქში და ათენში დაიწყო საშინელი და შეუბრალებელი ხოცვა-ჟლეტა... არავინ ინდობდა არც ქალსა და არც ბავშვს — სულამ ბრძანება გასცა ამოეხოცათ ყველანი, ვისაც კი მოაიელებდნენ, რადგან იგი გაბოროტებული იყო მათზე, რომ ისინი ასე აჩქარებულად და მოუფიქრებლად გადავიდნენ ბარბაროსთა მხარეზე და გაღიზიანებული იყო მათგან მიღებული უსაზღვრო შეურაცხყოფით. ბევრი ამ სიტყვების გამგონე, თითონ უვარდებოდა მკვლელებს ხელში, რათა მათ დროზე შეესრულებინათ თავიანთი საქმე... მეორე დღეს სულამ გაყიდა ტყვეები; თავისუფლებს კი, რომელთა დახოცვაც გასულ ღამის განმავლობაში ველარ მოასწრო — ასეთები ძალიან ცოტანი იყვნენ"... და სხვა[1].

თუ გავიხსენებთ იმავე აპიანეს ნათქვამს, რა სიძულვილი არსებობდა რომაელთა მიმართ ამ რაიონებში, რამაც აიძულა ესენი მითრიდატეს მხარეზე გადასულიყვნენ, მაშინ უფრო აღმაშფოთებლად მოგვეჩვენება სულას გაბოროტება.

---

მზად იყვნენ გადადგომოდნენ რომაელებს" (სვეტონიუსი, ღვთაებრივი იულიუსი, 5).

[1] აპიანე, 38.

რომაელთა სარდალმა ფიმბრიამ უარესი ჩაიდინა.

აპიანე მოგვითხრობს: „ფიმბრია კი აზიაში მივიდა და შეუდგა კაპადოკიელთა მომხრეების[1] დასჯას, და იმათ ქვეყნებს, ვინც მას მიღებაზე უარი უთხრეს, იგი აოხრებდა.

ქალაქ „ილიონში“ შესვლისთანავე, იგი შეუდგა ყველას ჟლეტას და ყველაფერი ცეცხლს მისცა... მან არ დაინდო არც ისინი, ვინც ათენას ტაძარში შეიხიზნენ, და დასწვა ისინი ტაძართან ერთად. მან დაანგრია ქალაქის კედლები და მეორე დღეს თითონ შემოუარა ქალაქს, რათა დარწმუნებულიყო, რომ მისგან არაფერი იყო გადარჩენილი... არ გადარჩა დაუნგრეველი არც ერთი საკურთხეველი, არც ერთი სამლოცველო, არც ერთი ქანდაკება“[2].

მეორე სარდალმა ტრიარიუსმა კი ქ. ჰერაკლიას მცხოვრებნი საშინლად ააწიოკა.

აპიანეს გადმოცემით: „მოქალაქეთაგან ერთნი ნებდებოდნენ, მეორენი იღუპებოდნენ, განძეული და ქონება იძარცვებოდა. მხეცური სისასტიკე დაატყდა ხალხს თავს...

ისინი არ ინდობდნენ იმათაც, ვინც ტაძრებისაკენ გარბოდა, არამედ ხოცავდნენ მათ საკურთხევლებთანაც და ქანდაკებებთანაც. ამიტომ, გარდაუვალი სიკვდილის შიშით, ბევრი გარბოდა ქალაქის კედლებს გარეთ და იფანტებოდნენ ყველგან, საითაც მოუხდებოდათ“[3].

პლუტარქე, ეხება რა იმას, რომ შავი ზღვის სანაპიროს ქალაქმა ამისოსმა, რომელიც პონტოს სამეფოს ერთერთ ცენტრს წარმოადგენდა, უდიდესი წინააღმდეგობა გაუწია რომაელებს, როდესაც მათ ლუკულუსის მეთაურობით ქალაქს ალყა შემოარტყეს, რის შედეგადაც ქალაქში ხანძარი გაჩნდა და მრავალი უბედურება დატრიალდა, — ლუკულუსზე ამბობს: „გარიჟრაჟზე, შევიდა თუ არა ქალაქში, თვალაცრემლებულმა ლუკულუსმა მეგობრებს უთხრა: „ყოველთვის ბედნიერ კაცად ვთვლიდი სულას, მაგრამ დღევანდელ დღეს ყველაზე უფრო მეტად მაოცებს მისი ბედნიერება. მას უნდოდა გადაერჩინა ათენი და შესძლო კიდეც ეს. მე მსურდა მიმებაძა მისთვის, მაგრამ რომელიღაც ბოროტმა სულმა მუმიუსის[4] სახელი მარგუნა წილად“[5].

[1] ე. ი. რომაელთა წინააღმდეგ მებრძოლთა მომხრეების.

[2] აპიანე, 53.

[3] ლ. სანიკიძე, გვ. 86.

[4] მუმიუსი რომაელი ჯარის სარდალი იყო, რომელმაც „აქაიის კავშირთან“ ომის დროს, ქ. კორინთო საშინლად აოხრა.

[5] პლუტარქე — ლუკულუსი, 19.

თუ როგორი „ბედნიერი“ იყო სულა და როგორ „გადაარჩინა“ მან ათენი, ზევით უკვე ვნახეთ.

ხოლო ლუკულუსის „გულჩვილობაზე“, პლუტარქეს მიერ შემონახული შემდეგი ცნობა მეტყველებს.

ლუკულუსმა ალყა შემოარტყა ქ. სინოპეს, რომელიც ეკავათ მითრიდატეს მომხრე კილიკიელებს.

ლუკულუსის მიახლოებისთანავე, პლუტარქეს თქმით, კილიკიელებს ბევრი სინოპელი მოუკლავთ, ქალაქისათვის ცეცხლი წაუკიდებიათ და თითონ კი გაქცეულან.

როცა ეს ლუკულუსს გაუგია, იგი, თურმე: „...ქალაქში შევიდა, იქ დარჩენილი რვა ათასი კილიკიელი ააკუწინა“..[1].

საეჭვოა, რომ რვაათასი კაცის აკუწვა ვისიმე კაცთმოყვარეობისა და გულჩვილობის დამადასტურებელ მაგალითად გამოდგეს.

როდესაც (69 წ. ძვ. წ.) რომაელთა ჯარმა სომხეთის დედაქალაქი ტიგრანოკერტი აიღო, ლუკულუსმა: „სამეფო განძეულობა თავისთვის დაიტოვა, ქალაქი კი გასაძარცვად დაუთმო ჯარისკაცებს, რომლებმაც იქ, სხვა ქონებასთან ერთად, რვა ათასი ტალანტი ლითონის ფული ნახეს. ამის გარდა, ლუკულუსმა ყოველ ჯარისკაცს რვაასი დრაქმაც მისცა ნადავლიდან“[2].

რომაელ სარდალთა მიმართ ძველ ავტორთა უნებურად გადარჩენილი ეს ცნობები, აშკარად ლაღადებენ იმ მრავალრიცხოვან ბოროტმოქმედებათა შესახებ, რომლებიც ამავე ავტორებმა დაუმალეს ისტორიას.

აშკარაა ის ტენდენციაც მათ მონათხრობში, რომ მითრიდატეს ისინი ყოველთვის ცუდი მხარით წარმოგვიდგენენ, რომაელთა სარდლებს კი, დაუმსახურებლად აქებენ: მითრიდატეს საქმიანობას, თვითეულ მის საქციელს, რასაც მას სახელმწიფო ინტერესები, ომის წარმოების გარდუვალი კანონი აიძულებდა, — კიცხვის ასპექტში განიხილავენ, ხოლო რომაელ სარდალთა სისასტიკეს — რაღაც ქველმოქმედებად წარმოგვიდგენენ.

დაპყრობილ ხალხებისადმი დამოკიდებულებაშიც მითრიდატე უფრო კეთილშობილი მოჩანს, ვიდრე რომაელთა სარდლები.

დარდანის ზავის VI მუხლის თანახმად, სულა აღუთქვამდა რომის სახელით ამნისტიას აზიისა და ევროპის იმ ქალაქების მიმართ, რომელნიც თავის დროზე მითრიდატეს მხარეზე გადავიდნენ[3].

---

[1] პლუტარქე, ლუკულუსი, 23.

[2] იქვე, 29. მეცნიერთა გამოანგარიშებით, რვა ათასი ტალანტი 17.000.000 ოქროს მანეთს უდრის; რვაასი დრაქმა კი — 280 ოქროს მანეთს. გვ. 134.

[3] **Reinach**, დას. შრ., გვ. 190; მემნონის ცნობაა.

წინააღმდეგ ზავის პირობებისა, სულამ ამ ქალაქებში საშინელი სისხლის ღვრა დაატრიალა [1].

სულას ამ მოქმედებაზე Reinach-ი შენიშნავს: „ასე შეასრულეს რომაელებმა საზავო ხელშეკრულების მეექვსე მუხლი, რომლითაც მხარეებმა მეფის მომხრეებს გამოუკლებლივ ამნისტია აღუთქვეს“ [2].

ცნობა იმის შესახებ, რომ დარდანის ზავის ერთ-ერთი პირობა იყო: რომაელები ცუდად არ უნდა მოპყრობოდნენ იმ ქალაქებს, რომლებიც ომის დროს მითრიდატეს მიემხრნენ, მხოლოდ მემნონს მოეპოვება [3].

თ. მომზენს ეს ცნობა არა სჯერა, რადგან, მისი აზრით, რომი, როგორც გამარჯვებული მხარე, ამაზე არ დათანხმდებოდა [4].

მომზენის ვარაუდი სწორი არ არის. რომი სრულებითაც გამარჯვებული არ იყო. დარდანის ზავი არ იყო დადებული გამარჯვებულსა და დამარცხებულ მხარეთა შორის.

ამაზე ქვემოთ ვრცლად იქნება ლაპარაკი.

სულ სხვაგვარი ვითარება გვაქვს დამოწმებული მითრიდატეს მიმართ საისტორიო მასალის მიერ.

ზემოთ აღნიშნული იყო, რომ მცირე აზიის ბერძნული ქალაქების მოსახლეობამ, რომაელთა ბატონობისაგან მათი განთავისუფლების სამადლობელად, მითრიდატეს დიონისე უწოდა.

მაგრამ როგორც ჩანს, კეთილი დამოკიდებულება ყოფილა მითრიდატესა და ბერძნულ სამყაროს შორის იმაზე ადრე, ვიდრე რომის წინააღმდეგ დიდი ომის შედეგად, მითრიდატე მცირე აზიის ბერძენ მოსახლეობას რომაელთა ბატონობისაგან გაანთავისუფლებდა. ამ ურთიერთობის საუკეთესო გამომხატველია კუნძულ დელოსზე გადარჩენილი ძეგლი.

აღმოჩენილი ნანგრევებისაგან რეკონსტრუირებულია არქიტექტურული ნაგებობა, რომელსაც მეცნიერებაში დაუმკვიდრდა მითრიდატეს ძეგლის სახელი და რომელიც აგებულია ძვ. წ. 102—1 წ.

ნაგებობის შიგნით, უკანა კედლის შუაგულთან იდგა ოთხკუთხედი კვარცხლბეკი, რომელზედაც აღმართული ყოფილა ქანდაკება. კვარცხლბეკის წინა მხარეზე მოთავსებულია შემდეგი წარწერა: „მეფე მითრიდატ ევპატორისა დიონისესი, მეფე მითრიდატ

[1] Reinach, დას. შრ., გვ. 202. მემნონის ცნობაა.

[2] იქვე.

[3] წ. XV, 35.

[4] Моммзен — История Рима. II, გვ. 48.

ევერგეტის ძისა, — ქურუმმა ჰელიანაქსმა, ასკლეპიოდორის ძემ, ათენელმა (აღუშენა) მისი სიმამაცისა და ბერძენი ათენელი ხალხისადმი უცვლელი კეთილგანწყობილებისათვის“[1].

როგორც გადარჩენილი ნაშთების მიხედვით დაასკვნის მ. მაქსიმოვა, მითრიდატე წარმოდგენილი ყოფილა ორ სხვა ღვთაების გვერდით, რომლებსაც მას უთანაბრებდნენ[2].

ამ ძეგლის აღმოჩენა ახალ შუქს ჰფენს როგორც მითრიდატეს პიროვნებას, ისე ბერძნულ სამყაროსადმი მის დამოკიდებულებას. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ რომაელების წინააღმდეგ დიდი ომის სამზადისში, მითრიდატეს გაცხოველებული ურთიერთობა ჰქონდა ბერძნულ სამყაროსთან, ამ უკანასკნელის თავის მხარეზე დაყენების მიზნით.

მაგრამ მითრიდატე ევპატორის პიროვნების სრული დახასიათების მიზნით, უნდა აღინიშნოს მისი სხვა თვისებებიც.

საისტორიო წყაროების თანახმად, მითრიდატე ომში დატყვევებულთ ძალიან ლმობიერად ეპყრობოდა და მათ თავიანთ სამშობლოში აბრუნებდა. აპიანე მოგვითხრობს, რომ ნიკომედეს დამარცხების შემდეგ, მრავალი ტყვე ჩაუვარდა მითრიდატეს ხელში. მან: „ისინი ყველა შეიწყალა, მისცა საგზაო ფული და შინ გაგზავნა, შეიქმნა რა ამით მტრის ქვეყანაშიც მოწყალის სახელი“[3].

ასევე მოიქცა მითრიდატე სხვა შემთხვევაშიაც[4].

მართალია, მითრიდატეს მხრივ ასეთი საქციელი ერთგვარი ტაქტიკა იყო, მაგრამ მარტო ტაქტიკური მოსაზრებითაც არ შეიძლება ეს აიხსნას. კაბირთან (კაბეირასთან) მითრიდატემ დაამარცხა ლუკულუსი და მისი ცხენოსანი ჯარის უფროსი პომპონიუსი ტყვედ ჩაიგდო. მითრიდატესა და პომპონიუსის შეხვედრას აპიანე ასე გადმოგვცემს:

„პომპონიუსი მითრიდატესთან მიიყვანეს. მეფის კითხვაზე: „რით შეგიძლიან სამაგიერო გადამიხადო, სიცოცხლე, რომ შეგინარჩუნოო“, მან უპასუხა: შენ რომ ლუკულუსის მეგობარი იყო, — ძალიან ბევრი რამით; ხოლო, თუ შენ ლუკულუსის მტრად დარჩებოდი, არცკი გირჩევდი რამესო“. ასე უპასუხა პომპონიუსმა. როდესაც ბარბაროსები მის მოკვლას მოითხოვდნენ, მეფემ

---

[1] იხ. Максимова, Античн. города... გვ. 200.

[2] იხ. იქვე, გვ. 207.

[3] აპიანე, 18.

[4] იქვე, 19.

უპასუხა, რომ ის არ იხმარს ძალადობას გაჭირვებაში ჩავარდნილი მამაცის მიმართ“ [1].

მითრიდატეს კეთილშობილური და სულგრძელი ხასიათის მეორე ეპიზოდს აპიანე ასე მოგვითხრობს: „...ვინმე რომაელი სენატორი, სახელად ატილიუსი, სამშობლოდან სასამართლოს წესით გამოძევებული, რომელიც დიდიხანია მოსული იყო მითრიდატესთან და მისგან მეგობრად აღიარებული, შეიპყრეს, რადგანაც ბოროტი განზრახვა ჰქონდა მეფის სიცოცხლის მიმართ. მეფემ იგი დასაჯა, უსამართლოდ მიაჩნდა რა ოდესღაც რომის სენატორად ნამყოფის წამება, მასთან ერთად შეთქმულებაში გარეულნი კი მან სასტიკად აწამა. ხოლო გაანთავისუფლა, თქვა რა, რომ ისინი თავის ბატონს ემსახურებოდნენ“ [2].

ამ ცნობაში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ მითრიდატეს, ამ, ვითომ, „ბარბაროსს“, რამდენი პატივისცემა გამოუჩენია რომაელთა ადათებისა და ყოფაცხოვრებითი ჩვევების მიმართ. რომის მონათმფლობელურ რესპუბლიკაში მიღებული იყო, რომ უმაღლეს წოდებაში და თანამდებობაზე მყოფი რომაელის დასჯა რომის გარეთ არ შეიძლებოდა.

ამ შემთხვევაში მითრიდატეს შეეძლო ატილიუსის მიმართ სურვილისამებრ მოქცეულიყო, რადგან ეს უკანასკნელი რომიდან თვით რომაელების მიერ იყო გაძევებული და მაშასადამე, მისი სენატორული ღირსება გაუქმებული იყო. მაგრამ მითრიდატე იმდენად პატივისცემით იყო გამსჭვალული რომაული წეს-ადათების მიმართ, რომ არ შეურაცხყო ისინი ატილიუსის წამებით... ეს „აზიელი ბარბაროსი“ ამით რომაელებზე მაღლა ამოჩნდა. მეორე საინტერესო მომენტი ამ ცნობაში ის არის, რომ მითრიდატემ მის წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილე ლიბერტინები გაანთავისუფლა, რადგან მათ ამ შემთხვევაში მოქმედების საკუთარი ინიციატივა არ გააჩნდათ და ისინი იმას აკეთებდნენ, რასაც მათგან მათი პატრონი მოითხოვდა [3].

ბარბაროს მითრიდატეს ამ ღირსშესანიშნავ საქციელს, არა მგონია, მოეძებნოს შესატყვისი მაგალითი, არაბარბაროსულ სამყაროში.

---

[1] აპიანე, 79.

[2] აპიანე, 90.

[3] ასევე მოექცა იგი თავისი შვილის მახარეს პირად მეგობრებს, რადგან ისინი მახარესთან ერთად მითრიდატეს წინააღმდეგ მოქმედებდნენ მისი მეგობრობის ნიადაგზე. აპიანე, 102.

როგორც ცნობილია, დამარცხებული და ლტოლვილი მითრიდატე მისმა სიძემ ტიგრან მეორემ თავისთან არ მიუშვა.

სამაგიეროდ, თითონ მითრიდატე აი, როგორ მოეპყრო გასაჭირში ჩავარდნილ ტიგრანს:

როდესაც ლუკულუსისაგან დამარცხებული ტიგრანი ილტვოდა: „მითრიდატემ ტიგრანი, ყველასგან მიტოვებული და სასოწარკვეთილი იხილა, მაგრამ სამაგიერო კი არ გადაუხადა და ამპარტავნულად კი არ მოექცა, არამედ პირიქით, ცხენიდან ჩამოხტა და მასთან ერთად საერთო უბედურება დაიტირა. მერე მას თავისი ამალის მთელი შემადგენლობა დაუთმო და მომავლის იმედით გაამხნევა" [1].

აქ კვლავ მძაფრად გამოსჩანს მითრიდატეს როგორც კეთილშობილება, ისე მისი გაუტეხაობა.

მითრიდატე, მისთვის ჩვეული შეუპოვრობითა და ენერგიით, თავის მიერ გამხნევებულ ტიგრანთან ერთად, კვლავ გამალებით შეუდგა ახალი ბრძოლისათვის ძალთა დარაზმვას და ასეთი ეპიზოდი არა ერთია მის ცხოვრებაში. აპიანეს მოწმობით: „სულით იგი უბედურებაშიც კი დიადი იყო და არ ეძლეოდა სასოწარკვეთილებას" [2].

„ლტოლვილი და უბედურებაში მყოფიც კი, იგი თავის მიმართ პატივისცემას და შიშს იწვევდა" [3].

მითრიდატე „უბედურებაში მყოფიც კი არ წარმოადგენდა უმნიშვნელოსა და საძულველ ადამიანს" [4].

სწორედ ამაზე ამბობდა ციცერონი, რომ მითრიდატე: „...გაძევებული თავის სამეფოდან, მაინც ჯერ ძლიერი იყო ჭკუითა და მიმხიდველობა-მომხიბვლელობით,... ლტოლვილმა და დაღუპვის უფსკრულთან მდგომმა, მან მაინც შეინარჩუნა მეფის ღირსება" [5].

განსაკუთრებით საინტერესოა ის დახასიათება მითრიდატეს შეუპოვარი, მებრძოლი, დაუდეგარი, უდრეკი ხასიათისა, მისი მაღალსულიერი თვისებებისა, რომელიც დიონ კასიუსმა შემოგვინახა.

იგი წერს: „უბედურებათა სიმძიმის ქვეშ მითრიდატე სულით არ ეცემოდა არასოდეს:... იყო რა ბუნებით საქმიანი და მომქმედი და განიცდიდა რა მრავალ მარცხს, მაგრამ აგრეთვე მრავალ

---

[1] პლუტარქე, ლუკულუსი. 29.
[2] აპიანე, 112.
[3] აპიანე, 102.
[4] აპიანე, 109.
[5] Pro Lucio Murena oratio, 15, 32.

წარმატებასაც, ეგონა, რომ მისთვის არა იყო რა მიუღწეველი და უიმედო. ...იგი ამჯობინებდა დაღუპულიყო თავის სამეფოსთან ერთად, ოღონდ კი შეენარჩუნებინა ძველებური სულიერი ღირსება, — ვიდრე სამეფოს დამკარგავს ეცხოვრა დამცირებულსა და უსახელოს.

ამ აზრებით ის ამაგრებდა თავის თავს, რადგან რამდენადაც ფიზიკურად სუსტდებოდა, მით უფრო მეტად უმტკიცდებოდა გონების ძალა, ისე რომ ხორციელი სისუსტე მცირდებოდა მაღალი აზრების წყალობით" [1].

მეორე ადგილას დიონ კასიუსი ამბობს, რომ: „მითრიდატე ყოველთვის გამოირჩეოდა უდიდესი სიბრძნით სამეფო საქმეებში" [2].

განსაკუთრებით განცვიფრების ღირსია მითრიდატეს სიცოცხლის უკანასკნელი ხანის საქმიანობა.

მას შემდეგ, რაც მთელი თავისი სამეფო დაკარგა და სომხეთის საბოლოოდ დამარცხების შემდეგ, ილტოდა, იგი არა თუ სასოწარკვეთილებას არ ეძლევა, არათუ ბრძოლაზე ხელს არ იღებს, არამედ აპიანეს თქმით, იგი: „ებლაუქებოდა არა უმნიშვნელო, ან მისი უბედურებისათვის შესაფერ გეგმებს" [3].

მითრიდატეს გრანდიოზული გეგმა დაუსახავს: ზურგიდან შემოევლო რომაელებისათვის და შეჭრილიყო იტალიაში, ეს გეგმა თავისი გრანდიოზულობით ფანტასტიკურ შთაბეჭდილებას სტოვებს, მაგრამ მითრიდატეს ხელში ის რეალურ საფუძველზე იყო დაძყარებული.

ყველამ იცოდა, რომ მითრიდატე: „სასოწარკვეთილი, მისთვის შესაფერისი უჩვეულო გაბედულების საქმეში სიკვდილს ამჯობინებს, ვიდრე უმოქმედობაში დალიოს უკანასკნელი დღეები" [4].

ანტონ აშიკის დახასიათებით: „Сулла, Лукулл и Помпей, по очереди ратовали с непримиримым Митридатом, хотя побеждаемым, но всегда грозным, потому что неудачи воспламеняли его воинственный дух, усугубляли его ненависть к Римлянам, и развивали неистощимые способности его великого гения" [5].

როდესაც მითრიდატემ პომპეუსთან ელჩები გაგზავნა და შეუთვალა, რომ იგი რომაელებს ხარკს მისცემდა, თუ მას მამაპაპისეულ სამეფოს შეუნარჩუნებდნენ, პომპეუსმა მოითხოვა, რათა

---

[1] დიონ კასიუსი, წ. XXXVII, 11.
[2] იქვე, 12.
[3] აპიანე, 109.
[4] იქვე.
[5] Антон Ашик — Боспорское царство, ч. I, стр. 67.

მითრიდატე ამ საქმეზე თითონ გამოცხადებულიყო მასთან, ისე როგორც ტიგრანი მოიქცა.

მითრიდატემ პომპეუსს სიამაყით შეუთვალა, რომ: „ვიდრე იგი მითრიდატედ დარჩება, არასოდეს ამაზე არ დათანხმდება“ [1].

რათა ჩვენთვის გასაგები გახდეს ამ შენათვალის მნიშვნელობა და თვით მითრიდატეს ხასიათი, მისი ღირსება, საჭიროა ვიცოდეთ, თუ როგორ მოიქცა ტიგრანი და მაშასადამე, საითკენ მოუწოდებდა მას პომპეუსი.

თუ რამდენი დამცირება განიცადა დიდი სომხეთის მეფემ რომაელი ჯარის ბანაკში, — რაც მითრიდატეს მოელოდა, იგი რომ პომპეუსის მოთხოვნას დაჰყოლოდა, პლუტარქე ასე აგვიწერს: „როცა ცხენზე შემართული ტიგრან მეფე მტრის ბანაკს მიუახლოვდა, წინ მას პომპეუსის ორი ლიქტორი შემოეგება, ლიქტორებმა მეფეს უბრძანეს ცხენიდან ჩამოსულიყო და პომპეუსს ქვეითად ჰხლებოდა: რომაული მხედრობის ბანაკში ცხენზე მჯდომი კაცი ჯერ არავის არ უნახავსო. ტიგრანი მყისვე დაჰმორჩილდა ბრძანებას და ამასთან ერთად მან ხმალიც შემოიხსნა და ლიქტორებს გადასცა.

ბოლოს, მივიდა თუ არა პომპეუსთან, თავიდან ჩალმა მოიხადა და უნდოდა, ჩალმაც მის ფერხთ წინ დაედვა და თითონაც, საკუთარი ღირსებისათვის ფრიად სამარცხვინოდ, მიწაზე გართხმულიყო, რათა რომაელთა მხედართმთავარს მუხლებზე მოჰხვეოდა“ [2].

თუ პლუტარქეს დაუჯერებთ, ტიგრანი ამ სირცხვილისაგან თვით პომპეუსმა იხსნა, რომელმაც მას: „დაასწრო, მოჰკიდა ხელი, თავისთან მიიზიდა და გვერდით ახლო დაისვა“ [3].

ამ მაგალითზე უფრო მკვეთრად მოსჩანს მითრიდატეს ამაყი და შეუპოვარი, მებრძოლი სული.

ამის შემდეგ, ადვილი გასაგებია ის სიხარული და ზეიმი, რაც რომაელთა ბანაკში გამოიწვია მითრიდატეს სიკვდილის შესახებ ცნობამ. რომაელმა ჯარმა სასიხარულო ცნობა უხვი მსხვერპლ შეწირვებით აღნიშნა და საყოველთაო ღრეობა გამართა: „თითქოს, — როგორც შენიშნავს პლუტარქე, — მას (რომაელ ჯარს), მითრიდატეს სახით მრავალი ათასი მტერი მოჰკვდომოდა“ [4].

---

[1] ა პ ი ა ნ ე, 107

[2] პ ლ უ ტ ა რ ქ ე, პომპეუსი, გვ. 116.

[3] იქვე.

[4] იქვე, 42.

პლუტარქეს სიტყვით, ხომ მითრიდატე იყო: „ყველაზე უფრო მძვინვარე და საშიში მტერი მეფეთა შორის“ [1].

როგორც ცნობილია, ციცერონი მითრიდატეს ადარებდა ალექსანდრე მაკედონელს.

ციცერონი მეორე ადგილზე მიუთითებს მითრიდატეს ძლიერებაზე, მის დიად საქმიანობაზე, რომ ის იყო ჩინებული ვაჟკაცი და რომ ის უნდა დაყენებული იყოს ყველა იმ მეფეთა სათავეში, რომლებთანაც კი ომი ჰქონია რომაელ ხალხსაო [2].

მითრიდატეს პიროვნების დასახასიათებლად საჭიროა ისიც იყოს გათვალისწინებული, რომ იგი წინდაუხედავად არ იწყებდა საქმეს, არამედ მისთვის სერიოზულად და საფუძვლიანად ემზადებოდა; რომ საქმეთა მსვლელობას იგი გულის ყურით ადევნებდა თვალს და საჭირო ცვლილებებს დროზე მიჰმართავდა, მას ფართე კონცეფციების უნარი ჰქონდა [3].

პირველყოვლისა ყურადღებას იპყრობს ის, რომ აპირებდა რა რომაელთა წინააღმდეგ დიდი ბრძოლის დაწყებას, მითრიდატემ საჭიროდ ჩათვალა უშუალოდ გასცნობოდა იმ ქვეყნებს, რომლებიც მომავალი ბრძოლის პლაცდარმად უნდა შექმნილიყო.

საჭირო იყო მითრიდატეს სცოდნოდა არა მხოლოდ ამ ქვეყნების გეოგრაფიულ-ტოპოგრაფიული პირობები, რომლებიც ესოდენ საჭირო იყო ბრძოლების სწორი ხელმძღვანელობისა და წარმართვის მიზნით, არამედ საჭირო იყო აგრეთვე ამ ქვეყნების ეკონომიკის, საწარმოო ძალთა, მოსახლეობისა და ადგილობრივი ყოფა-ცხოვრების ცოდნა, რაც აგრეთვე უნდა ყოფილიყო გამოყენებული ომის წარმატებით საწარმოებლად, სწორი ტაქტიკის შესამუშავებლად, მოქნილი პოლიტიკის გასატარებლად.

ხელმძღვანელობდა რა აღნიშნულით: „მითრიდატემ გადაწყვიტა წინასწარ შემოევლო მეზობელი სახელმწიფოები, შეესწავლა ყოველი კუთხე და ქვეყანა და ამის საფუძველზე შეედგინა საბრძოლო გეგმა მათი დაპყრობისათვის. ამ მიზნით, ის ერთ დღეს თავისი რამდენიმე უახლოესი მეგობრის თანხლებით, საიდუმლოდ გაუჩინარდა. მოხეტიალე — მოგზაურის ტანსაცმელში გამოწყობილმა მეფემ შემოიარა კაპადოკია, გალატია, პაფლაგონია, ფრიგია, ბითინია და სხვა. ის საკვირველი სიბეჯითით სწავლობდა აზიის მრავალ სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ხალხთა ენებს, მათ

---

[1] პლუტარქე, ლუკულუსი, 3.

[2] Pro Lucio Murena oratio, 15, 32.

[3] აკი დიონ კასიუსი ამბობს, რომ მითრიდატე სამეფო საქმეებში უდიდესი სიბრძნით გამოირჩეოდაო.

ზნეჩვეულებებს, განწყობილებას რომაელთა მიმართ, სწავლობდა ყოველი ქვეყნისა და ქალაქის ადგილმდებარეობას, ბუნებრივ პირობებს, გეოგრაფიულ გარემოს და მათ საერთო მდგომარეობას, უპირველესად სტრატეგიული თვალსაზრისით"[1].

მითრიდატეს დიდი უწოდეს ჯერ ისევ ძველ დროში. მას ამ ეპითეტით მოიხსენიებენ რომის დროინდელი ის წყაროები, რომელთა ავტორები მტრულად უფრო იყვნენ განწყობილი მის მიმართ, ვიდრე მეგობრულად.

რომის სახელმწიფოს ისეთი დიდი მოღვაწე, როგორიც ციცერონი იყო და რომელსაც მითრიდატეს გამარჯვებები რომაელებზე შიშის ზარს სცემდა, მითრიდატეს უდიდეს მეფეს უწოდებდა („Mithridates, rex post Alexandrum Magnus") — „მითრიდატე, ალექსანდრეს (ალექს. მაკედონელი) შემდეგ უდიდესი მეფე"[2].

პლინიუსით: „მითრიდატე, თავისი დროის მეფეთა შორის უდიდესი" („Mithridates maximus sua aetate regum")[3].

ველეი პატერკულის დახასიათებით: „Mithridates vir... bello acerrimus, Virtute eximius, aliquando fortuna, semper animo maximus, consiliis dux, miles manu, odio in Romanos Hannibal" („მითრიდატე, ვაჟკაცი... ომში შეუპოვარი, ხან ბედნიერი, მაგრამ მუდამ სულგრძელი, ბრძენი სარდალი და რომაელთადმი სიძულვილით ჰანიბალი")[4].

სვეტონიუსი პონტოს მეფე ფარნაკზე ამბობს, რომ ის იყო შვილი, „მითრიდატე დიდისა" („Mithridati Magni")[5].

როგორც აპიანე მოწმობს, პომპეუსი იყო აღტაცებული მითრიდატეს „საგმირო საქმეებით და იგი მას თავისი დროის მეფეთა შორის ყველაზე უკეთესად მიაჩნდა"[6].

ყველა ზემოთ თქმულის შედეგად, ჩვენ მითრიდატე აღარ წარმოგვიდგება რაღაც ველურ, სისხლისმსმელ დესპოტად, არამედ მძლე, ენერგიულ, მხნე, სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწედ, შეუპოვარ მებრძოლად, ფართო პოლიტიკური და კულტურული ჰორიზონტის ადამიანად, მიუხედავად იმ ნაკლისა, რომელიც

---

[1] ლ. სანიკიძე, გვ. 29—30.

[2] Academica, 1, 3.

[3] Nat. Hist. XXV, 2, 5.

[4] ველეი პატერკულის Historia Romana, II, 14. ვ. პატერკული ცხოვრობდა ძველი წ. პირველი საუკ. მეორე ნახევარში და ახ. წ. პირველი საუკ. პირველ ნახევარში.

[5] სვეტონიუსი, ცეზარის ბიოგრაფია, 35.

[6] აპიანე, 113; მითრიდატეს დიდს უწოდებს აგრეთვე Justin-ი I, 37.

მითრიდატეს, როგორც ყველა ადამიანს, მეტნაკლებობით ახასიათებდა.

შეიძლება პირველწყაროთა მიერ გადმოცემული მითრიდატეს რომელიმე უარყოფითი შტრიხი სინამდვილესთან ახლოსაც იყოს, მაგრამ ეს მაინც ვერ შექმნიდა საფუძველს მის საერთოდ უარყოფით ტიპად მისაჩნევად. მით უმეტეს, რომ მითრიდატეს შესახებ ობიექტური ცნობები ჩვენ არ მოგვეპოვება.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ჩვენი დროის ისტორიკოსები მითრიდატეს მიმართ წინასწარ აკვიატებული ანტიპატიით არიან განწყობილი.

ყველა ისინი, იმეორებენ რა სრულიად უყოყმანოდ და განუსჯელად მის მიმართ ერთხელ გამოთქმულ უარყოფით შეხედულებას, არც ერთი მათგანი არ ცდილობს ობიექტური თვალით შეხედოს მითრიდატეს თვისებებსა და მის საქმიანობას და, დაე, თუნდაც მისი მართლა საშინელი ხასიათის გვერდით, აღნიშნონ მისი დაე, თუნდაც მკრთალი, მაგრამ დადებითი ადამიანური თვისებები, ურომლისოდაც არც ერთი ადამიანი არ იბადება.

ედ. მაიერს მითრიდატე, თუმცა არ მიაჩნია უნიჭოდ, ოღონდ, მისი აზრით, მას დიდი საქმეებისათვის უნარი არ შესწევდა, მას შეეძლო მხოლოდ ფულების გამოძალვა, ჯარების შეგროვება და ნამდვილი, თუ მოჩვენებითი შეთქმულებების მონაწილეთა დასჯა[1].

მითრიდატეს შეფასებაში გამონაკლისს წარმოადგენს მონტესკიე, რომელიც მითრიდატეზე ამბობს: „სულგრძელი მეფე, უბედურების დროს, ლომის მსგავსად, თავისი ჭრილობების შემხედვარე, უფრო მძვინვარე ხდებოდა“[2].

სხვა რომ არა იყოს რა, მკვლევარნი ვალდებულნი იყვნენ აეხსნათ, თუნდაც ის, თუ როგორ მოახერხა ამ, მათი აზრით, ორფეხა კაციჭამიამ, რომელიც მხოლოდ მახლობელთა მკვლელობებით იყო გართული, — შეექმნა ესოდენ მძლავრი სახელმწიფო, სათავეში სდგომოდა მას 56 წლის განმავლობაში და ეწარმოებინა გრანდიოზული ბრძოლა ისეთ გიგანტთან, როგორიც იყო რომის

---

[1] „Er kannte... nichts als Geld erpressen, Heere sammeln und wirkliche oder angebliche Verschwörungen bestrafen“, —ხსენ. შრ., გვ. 86.

[2] ამოღებულია Reinach-ის წიგნიდან. წინასიტყვ., გვ. IV.

მსოფლიო სახელმწიფო, რომელიც მან ერთი პირობა დამარცხებამდე მიიყვანა.

მითრიდატეს პიროვნება და მისი მოღვაწეობა პირუთვნელ მსჯავრს ჯერ კიდევ ელის.

## საერთო დასკვნები

ამგვარად, ცხადი ხდება, რომ:

1. იმ ტერიტორიაზე, რომლის აღსანიშნავადაც ძვ. წ. VI საუკუნიდან ჩნდება ახალი ტერმინი „კაპადოკია“, ჯერ ისევ ძვ. წ. მეორე ათასწლეულში ცხოვრობდნენ ძირითადი ქართველი ტომები: მოსხები, ტაბალები და ხალდები — ხალიბები, როგორც ამას უძველესი პირველწყაროები ადასტურებს.

2. ძვ. წ. VI საუკუნეში სპარსელებმა, რომლებმაც ამ მხარეზე ბატონობა მოიპოვეს, მას უწოდეს კატპადუკა (კაპადოკია), ე. ი. კარგი ცხენების ქვეყანა.

3. ამ ქვეყანამ ასეთი სახელწოდება მიიღო არა იმის გამო, რომ სპარსელებმა აქ დაასახლეს ხალხი, რომელმაც თავისი ეთნიკური სახელწოდება ქვეყანაზეც გაავრცელა, არამედ ამ ტერმინის წარმოქმნის საფუძველი შეიქმნა ამ ქვეყანაში ჯიშიანი ცხენების მოშენება.

4. ძვ. წ. VI საუკუნიდან მოკიდებული, ძველ წყაროებში ცნება კაპადოკიელები აღნიშნავს იმ რაიონის მკვიდრ მოსახლეობას, რომელსაც აღნიშნულ საფუძველზე ეწოდა კაპადოკია, ხოლო ამ მკვიდრ მოსახლეობას ადრევე და შემდეგშიაც ძირითადად მოსხ-ტაბალები, ხალდები — ხალიბები და სხვა ქართველი ტომები შეადგენდნენ.

5. ზემოაღნიშნული ტომები კაპადოკიად წოდებულ ტერიტორიაზე მოსახლეობენ ძვ. წ. მეორე ათასწლეულიდან მოკიდებული; მათი მოსახლეობა აღწევს შავი ზღვის სანაპირომდე, სადაც მათ მიერ გაშენებული იყო ქალაქები: სინოპე, ამისოსი, კოტიორა, კერასუნტი, ტრაპიზონი და სხვა.

6. ჩამოთვლილ ქალაქებში ადრიდანვე ჩნდება ჯერ ასირიული და მერე ბერძნული მოსახლეობა. ეს მოსული ელემენტი ძირითადად ქალაქებშია თავმოყრილი, და თუმცა, ნაწილობრივ, ქვეყნის შიგნითაც ცხოვრობს, მაგრამ სირიელებიც და ბერძნებიც მხოლოდ უმცირესობას წარმოადგენდნენ და ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში არასოდეს დამოუკიდებელი, რამე მნიშვნელოვანი როლი არ შეუსრულებიათ.

7. ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობის დროს კაპადოკია დამოუკიდებელ სამეფოს წარმოადგენდა, რომელსაც სათავეში მეფე არიარათე ედგა (კურციუსის მოწმობით).

8. დიადოხთა ბრძოლის დასასრულს ვინმე მითრიდატეს (ალბათ ადგილობრივი შთამომავლობის) მეთაურობით, კაპადოკიის ჩრდილოეთ ნაწილში, პონტოს სანაპიროს სამხრეთით, იქმნება ცალკე სახელმწიფოებრივი ერთეული, რომელსაც პოლიბიოსი ჯერ კიდევ იცნობს ევქსინის კაპადოკიად ἡ Καππαδοκία περὶ Εὔξεινον და რომელსაც შემდეგში ეწოდა პონტოს სამეფო.

9. პონტოს სამეფო არის ნაწილი ძველი დიდი ქართული სამყაროსი. მისი მოსახლეობის ძირითად მასას შეადგენენ: მესხები, ტაბალ-ტიბარენები (იბერები), ხალდები, ხალიბები, კოლხები, მოსინიკები და სხვები.

10. პონტოს სამეფოს პირველი მეთაურის მითრიდატეს სპარსული შთამომავლობის შესახებ ვერსია რეალურ სინამდვილეს არ უნდა გადმოსცემდეს, იგი შემდეგში ხელოვნურად არის შეთხზული, გარკვეულ მიზანდასახულებასთან დაკავშირებით.

11. თუნდაც მითრიდატიდების სპარსელთაგან შთამომავლობა მართალიც იყოს, ამ დინასტიის მეთექვსმეტე თაობის წარმომადგენელს მითრიდატ VI-ეს სპარსულ სამყაროსთან არავითარი ორგანული კავშირი არ უნდა ჰქონდეს: იგი ქართული სამყაროს ღვიძლი შვილია.

12. ის სამყარო, რომელიც მითრიდატეს მეთაურობით რომის ექსპანსიის წინააღმდეგ გიგანტურ ბრძოლას აწარმოებდა, — ქართული იყო. მითრიდატეს მეთაურობით წარმოებული ბრძოლა იყო ქართველი ტომების მიერ უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ, საკუთარი თვითარსებობისა და დამოუკიდებლობისათვის წარმოებული სამართლიანი, თავგანწირული, გმირული ბრძოლა, რომლის მნიშვნელობაც ადგილობრივ ჩარჩოებს სცილდებოდა და საერთაშორისო მნიშვნელობას იღებდა.

მითრიდატე პონტოელის დროინდელი პონტოს სამეფოს ძლიერება იყო ფიზიკურ-მატერიალური და კულტურული ძლიერება იმ ქართველი ტომებისა, რომლებიც ამ პოლიტიკური ორგანიზმის სისხლსა და ხორცს წარმოადგენდნენ.

# ომი პონტოს სამეფოსა და რომს შორის

## 1. მდგომარეობა ომის დაწყებამდე

ძველი წელთაღრიცხვის II საუკუნის დასასრულს რომის მონათმფლობელურმა რესპუბლიკამ უდიდეს ძლიერებას მიაღწია, როგორც ეკონომიურად, ისე სამხედრო თვალსაზრისით.

ამ დროისათვის რომმა თავის ხელქვეით მოაქცია დასავლური სამყაროს ფიზიკურად ხელმისაწვდომი უზარმაზარი სივრცე. რომის ძალაუფლების ქვეშ იყო: ელინისტური სახელმწიფოები, სიცილია, თითქმის მთელი პირენეის ნახევარკუნძული, თანამედროვე საფრანგეთის სამხრეთი ნაწილი, ჩრდილოეთ აფრიკა, ბალკანეთის ნახევარკუნძული, ეგეოსის ზღვის კუნძულები და მცირე აზიის ნაწილი. რომის შემდგომი ექსპანსიი აღმოსავლეთისაკენ უნდა წარმართულიყო...

მაგრამ ეს ექსპანსიი აქ წინააღმდეგობას წააწყდა პონტოს სამეფოსა და მისი მესვეურის მითრიდატ VI-ის მიერ შექმნილი მცირე აზიისა და ამიერკავკასიის მოსახლეობისა და სახელმწიფოთა მძლავრი კოალიციის სახით.

პონტოს სამეფო მდებარეობდა მცირე აზიაში შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე და მოქცეული იყო ბითინიის, გალატიის, კაპადოკიისა და მცირე არმენიის შორის.

ძვ. წ. II ს. დამლევისთვის პონტოს მეფეები თავიანთ ძალაუფლებას ზოგიერთ მეზობელ რაიონზეც ავრცელებენ და ამით თავისი სამეფოს ფარგლებსაც და ძლიერებასაც ზრდიან.

პონტოს სამეფო ძალას იკრებდა, რათა ღირსეული წინააღმდეგობა გაეწია იმ აგრესიული ძალისათვის, რომელიც დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ მოიწევდა და გზა და გზა ნთქავდა მთელ რიგ სამეფოებსა და ხალხებს.

საფრთხე მალე უშუალოდ თვით პონტოს სამეფოს უნდა დაჰმუქრებოდა··· აი, ამ საფრთხის წინააღმდეგ პონტოს მეფეები თვით იგდებენ ხელთ სტრატეგიული და ეკონომიური მნიშვნელობის მქონე რაიონებს, რაც მათ უადვილდებათ თვით ამ რაიონებში მიმდინარე ისტორიული პროცესით: აქ მიმდინარეობდა, ერთის მხრივ, ბერძნულ კოლონიებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის ბრძოლა, ხოლო მეორეს მხრივ, სოციალური ხასიათის აჯანყება-მოძრაობები (სავმაკის აჯანყება ბოსფორში 107 წ.).

პონტოს მეფეებმა თანდათან დაუმორჩილეს საკუთარ ძალაუფლებას ხერსონესი, ბოსფორის სამეფო, ოლბია, კოლხეთი და მითრიდატე VI ერთგვარად მოახერხა მთელი შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროს გაერთიანება.

ამით პონტოს სამეფოს ხელში აღმოჩნდა როგორც მატერიალური საშუალებების, ისე ცოცხალი ძალის უამრავი რესურსები.

რასაკვირველია, პონტოს სამეფოს წარმატებას ხელს სხვა გარემოებაც უწყობდა, გარდა საკუთარი ძალებისა,—ეს იყო ის სიძულვილი, რომელიც გულს უწყლავდა მცირე აზიის მოსახლეობას, რომაელ დამპყრობთაგან რომ იყო გამოწვეული.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ გარემოებას, რომ, თვით ე. წ. ბერძნული ქალაქ-კოლონიები ანტირომაულად იყვნენ განწყობილი.

მართალია, ამ ქალაქთა შორის ზოგიერთი რომაული ორიენტაციისაა, მაგრამ ასეთები თითქმის გამონაკლისია. ამასთანავე, მსხვილი ცენტრების დაწინაურებული საზოგადოებრივი წრეები, რომელთა მსხვილი სავაჭრო საქმიანობაც მჭიდროდ იყო დაკავშირებული შავი ზღვის სანაპიროზე მშვიდობიანობის შენარჩუნებასთან, მითრიდატეს ომების მოლოდინში, მერყეობას იჩენდნენ და ხშირად რომაელთა მხარეზე გამოდიოდნენ. ამდენად, აქ ვითარება რთულდებოდა და მყარი მდგომარეობა არ იყო ყველგან და ყოველ დროს.

მაგრამ დასავლეთ პონტოს, ე. წ. ბერძნული ქალაქების მიმართ კი გარკვეულად შეიძლება ჩაითვალოს, რომ ისინი აშკარად რომის წინააღმდეგ იყვნენ[1].

ამ ქალაქების ინტერესები არა რომაულ სამყაროსთან იყო დაკავშირებული, ანუ როგორც ბოროზდინა ამბობს: „...основным фактором их благосостояния было сохранение местных связей с варварской периферией[2]".

---

[1] იხ. Т. В. Бороздина, К истории западно-понтийских городов в 80—40 гг. I в. до нашей эры. ВДИ, 1946 г., №3, გვ. 198, 200.

[2] იქვე, გვ. 203.

რომთან ბრძოლაში მითრიდატეს მოკავშირეები იყვნენ ბარბაროსი ტომები, რომლებიც თავის მხრივ გრძნობდნენ რომაული აგრესიის საფრთხეს.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მითრიდატესათვის შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროს, სადაც მას, ეკონომიური რესურსების გვერდით, უამრავი ცოცხალი ძალის მარაგი ეგულებოდა. სკვითები, ტავრები, სარმატები, თრაკიელები, მეოტები უხვად აწვდიდნენ მითრიდატეს არმიას საჭირო რეზერვებს.

მითრიდატე ამ ბარბაროს ტომთა მოკავშირეობას უპირატესობასაც აძლევდა ზღვისპირა ქალაქების წინაშე[1].

მითრიდატეს რომის საწინააღმდეგო სამზადისის პოლიტიკას ხელს უწყობდა ადგილობრივი ვითარება, რამაც მას საშუალება მისცა თანდათან შემოეერთებინა პონტოს სამეფოსთვის ის რაიონები, რომლებსაც დიდი ეკონომიური და სამხედრო მნიშვნელობა ჰქონდა პონტოს ძლიერების გაზრდის საქმეში.

მითრიდატეს, პირველ ყოვლისა, საბაბი მიეცა ჩარეულიყო იმ საქმეებში, რომელიც ამ დროს ხერსონესისა და ბოსფორის სამეფოს ირგვლივ შეიქმნა, მათ წინააღმდეგ სკვითების აგრესიის წყალობით.

სკვითთა შემოტევის წინაშე უძლურმა ქ. ხერსონესმა დახმარებისათვის ბოსფორის სამეფოს მიმართა, მაგრამ არც ამ უკანასკნელს, რომელიც თავის მხრივ განიცდიდა სკვითთა დარტყმებს, აღმოაჩნდა მათთან ბრძოლისათვის საჭირო ძალები.

მაშინ ხერსონესს სხვა გამოსავალი აღარ დარჩენოდა, იმის მეტი, რომ მითრიდატე ევპატორს სთხოვა სკვითთა წინააღმდეგ დახმარება.

მითრიდატეს სურვილიც ეს იყო და მან ხალისით გაგზავნა იქ თავისი ჯარი ძვ. წ. 110 წ. სარდალ დიოფანტის მეთაურობით.

სტრაბონის მოწმობით, ქ. ხერსონესი „ადრე ავტონომიით სარგებლობდა, მაგრამ ბარბაროსთა თავდასხმებით აოხრებული, იძულებული გახდა თავის მფარველად გაეჩინა მითრიდატე ევპატორი, რომელსაც ჰქონდა სურვილი ბარბაროსებზე ლაშქრობისა... ეს ლაშქრობები იყო რომაელებთან ომის სამზადისი (მომზადება). ამიტომ, ასეთი იმედებით აღტყინებულმა, მან ხალისით გაგზავნა ჯარი ხერსონესში და დაუწყო ბრძოლა სკვითებს"[2].

---

[1] შდრ. Д. Б. Шелов, Античный мир в Северном Причерноморье, გვ. 103, М., 1956.

[2] სტრაბონი, გეოგრაფია, წ. VII, 4,3.

მითრიდატეს ჯარმა უკუაქცია სკვითები და თითონ მტკიცედ მოიკიდა ფეხი ხერსონესში.

მალე ბოსფორის სამეფოც იძულებული გახდა თავისი უკანასკნელი მეფის პერისადის სახით ძალაუფლება მითრიდატესათვის დაეთმო: მან, სტრაბონის სიტყვით, თავისი ნებით გადასცა ძალაუფლება მითრიდატეს[1].

მითრიდატეს ასეთ წარმატებას შავი ზღვის ჩრდილოეთის სანაპიროზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

გაიდუკევიჩის თქმით: „Вмешательство Митридата было продиктовано желанием закрепиться в Северном Причерноморье, что могло дать понтийскому царю важные стратегические преимущества в назревавшей острой военной борьбе с Римом в Малой Азии“[2].

მალე თვით სკვითებმაც, დიოფანტეს მიერ დამარცხებულებმა, პონტოს მეფის ქვეშევრდომობა აღიარეს[3].

მას შემდეგ, რაც 107 წ. ბოსფორში სავმაკის მეთაურობით მოწყობილი აჯანყება პონტოს ძალებით ჩაქრობილი იქნა, ბოსფორი, ხერსონესი და ოლბია პონტოს სამეფოს შემადგენლობაში შევიდნენ.

შავი ზღვის სანაპიროს ქალაქები ხშირად მიმართავდნენ მითრიდატეს დასახმარებლად, რომელიც მათ ფულსა და გარნიზონებს უგზავნიდა და იცავდა მათ, როგორც სკვითებისაგან, ისე რომაელთა თვითნებობისაგან.

ეს ქალაქები: „отнюдь не протестуют против пребывания под властью Митридата“[4].

მითრიდატემ თავის სამეფოს შეუერთა აგრეთვე ძველი კოლხეთის სამეფო, მცირე აზიის სხვა რაიონები და პონტო ამით ძლიერ სამეფოდ აქცია.

ამავე დროს, კარგად ისარგებლა მითრიდატემ იმით, რომ მთელი იმ რაიონების მოსახლეობა, სადაც უნდა წარმართულიყო ბრძოლა პონტოსა და რომს შორის, ანტირომაულად იყო განწყობილი.

ამ განწყობილებას მომზენი ასე ახასიათებს: „რომაელთა მძიმე ბატონობა აზიაში გადაიქცა ისეთ აუტანელ ჩაგვრად, რომ არც მეფის გვირგვინი და არც გლეხის ქოხი არ იყო დაცული

---

[1] სტრაბონი, გეოგრაფია, წ. VII, 4,4.
[2] გაიდუკევიჩის დასახ. შრ., გვ. 303.
[3] В. Ф. Гайдукевич, Боспорское царство, გვ. 301, М.-Л., 1949 г.
[4] Е. С. Голубцова—Северное Причерноморье и Рим на рубеже нашей эры, გვ. 38. Москва, 1951.

კონფისკაციისაგან; რომ ყანის ყოველი თავთავი იზრდებოდა რომაელი ხარკთამკრებისთვის; რომ ყოველი ბავშვი თავისუფალი მშობლებისა, ალბათ, იმიტომ ევლინებოდა ამ ქვეყანას, რათა გამხდარიყო მონებით მოვაჭრეების მსხვერპლი..... და ამ მშვიდობიან მხარეებში... რომ გამოჩენილიყო კაცი, რომელსაც ექნებოდა უნარი მიეცა საერთო აჯანყების სიგნალი,—იქ მოსალოდნელი იყო სრულიად განსაკუთრებული და მეტისმეტად საშიში ამბები“ [1].

თუ რამდენად მერყევი საფუძველი ჰქონდა რომაელთა ბატონობას მცირე აზიის ხალხებზე, ამას ამტკიცებს ის შიში, რომელიც რომაელებს ჰქონდათ, რომ მათ წინააღმდეგ მოსალოდნელი იყო ამ ხალხების ადვილად აჯანყება.

აპიანე მოგვითხრობს, რომ როდესაც რომაელ სარდლებთან მოსალაპარაკებლად მისული მითრიდატეს დელეგატი პელოპიდე თავიანთი ბანაკიდან გამოისტუმრეს,.... თან გააყოლეს გუშაგები, რათა მას გზადაგზა არვინ აემხედრებინა მათ წინააღმდეგ [2].

რომაელების ასეთი განწყობილება გასაგებია, რადგან პლუტარქეს მოწმობით, რომსა და პონტოს შორის ომის დაწყებისთანავე, მითრიდატეს ბითინიის ქალაქები სიხარულით ეგებებოდნენ...

მაგრამ: „არა მარტო ბითინიას, არამედ მთელ აზიას ჰქონდა მოდებული ძველი სენი და მზად იყო განდგომოდა რომს, ვინაიდან რომაელი მევახშეები და გადასახადთა ამკრებნი მეტის-მეტად სტანჯავდნენ მას“ [3].

პონტოს სამეფოს ძლიერების ზრდა რომაელებში შეშფოთებას იწვევდა, ორივე მხარეს შორის ურთიერთობას ამწვავებდა.

სიტუაცია თანდათან რომის საზიანოდ ვითარდებოდა.... „Понтийское царство Митридата было главным препятствием для дальнейшей агрессии римлян на Востоке, а притязания Рима в Малой Азии создавали настоящую угрозу владениям Митридата. Таким образом, столкновение этих двух сил стало неизбежным“ [4].

მითრიდატესა და რომაელებს შორის ომი გარდაუვალი ხდებოდა.

---

[1] Моммзен, Римская история, т. II, перевод Неведомского, Москва, 1887, გვ. 269.

[2] აპიანე, 16.

[3] პლუტარქე, ლუკულუსი, 7.

[4] Д. Б. Шелов—Античный мир в Северном Причерноморье, გვ. 103, Москва, 1956 г.

რომისა და პონტოს სამეფოს შორის წინააღმდეგობა—დაპირისპირება სამეცნიერო ლიტერატურაში ყოველთვის სწორად არ არის გაგებული.

მაგ. რეინაკი თავისი ცნობილი შრომის წინასიტყვაობაში ამბობს, რომ მითრიდატე, თითქოს იმავე მიზნებს ისახავდა, რასაც ალექსანდრე მაკედონელი, ე. ი. ორი სამყაროს (ორი კულტურის) სპარსულისა (Persismus) და ბერძნულის (Hellenismus) შერიგებას [1].

ეს არ არის მართალი. მითრიდატეს ბრძოლის მიზანი იყო რომაული ექსპანსიის წინააღმდეგ ბრძოლა.... მართალია რეინაკი იმაში, რომ ალექსანდრესთვის უცნობი იყო მის ბრძოლაში იმის მსგავსი წინააღმდეგობა—დაბრკოლება (Hindernis) როგორც მითრიდატეს შეხვდა რომის ძლიერების სახით [2].

არც იმაშია მართალი რეინაკი, როდესაც ამბობს, რომ მითრიდატეს მიერ წარმოებულმა ბრძოლამ აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის შუღლი გააღვივა და გააღრმავა და გაამწვავა მათ შორის საუკუნეთა მანძილზე წარმოებული ბრძოლა, ქიშპი [3], რასაც იგი უწოდებს „ნაციონალური ანტაგონიზმისა და ურთიერთ ბრძოლის გაღვივებას აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის“ [4].

რეინაკის ამ შეცდომებიდან გამომდინარეობს მისივე მეორე შეცდომა, როდესაც ის ამბობს, რომ მითრიდატეს აკლდა ის, რაც კაცს დიდის სახელს ანიჭებსო, ე. ი. უმაღლესი იდეალი [5].

აქედან გამომდინარე, რეინაკი ყალბად წარმოიდგენს მითრიდატეს მოღვაწეობისა და მის მიერ წარმოებული ომის მიზანდასახულებას და მიუხედავად იმისა, რომ მას ერთხელ სწორი აზრი აქვს გამოთქმული ამის შესახებ [6]. მას მაინც არა აქვს შეგნებული, თუ რისთვის აწარმოებდა გმირულ ბრძოლას მითრიდატე.

იგი გაკვირვებით კითხულობს, რა იყო მითრიდატეს მიზანი, რას უფრო წინ აყენებდა ის: ჰელინურ კულტურას და თავისუფლებას, თუ აღმოსავლეთის დესპოტიურსა და ფანატიკურ რეაქციას დასავლეთის თავისუფალი აზროვნება-განათლების წინაშე,

---

[1] (იხ. წინასიტყვაობა ამ შრომის გერმანულ გამოცემაში. Mithridates Eupator König von Pontos, von Theodore Reinach; ins deutsche übertragen von A. Goetz,. Leipzig. 1895, გვ. 14).

[2] იქვე, გვ. V.

[3] იქვე, გვ. VII.

[4] იქვე, VIII.

[5] იქვე, 294.

[6] იქვე, 410.

და დასძენს, რომ ამ კითხვაზე პასუხის გაცემა თითონ მითრიდატესაც გაუჭირდებოდა[1].

მითრიდატეს ბრძოლა მცირე აზიის ხალხებისა და რომაელთა მიერ დაპყრობილი ელინების თავისუფლებისათვის, ბრძოლა რომის ექსპანსიის წინააღმდეგ აღმოსავლეთში, რეინაკს მიაჩნია ელინური კულტურისადმი ღალატად.

მითრიდატეს მეთაურობით პონტოს ხალხების ბრძოლაში, საკუთარი სახელმწიფოსა და არსებობის შესანარჩუნებლად, იგი ჰხედავს ბარბაროსულ სიძულვილს არა მხოლოდ რომის დაპყრობათა, არამედ ევროპული კულტურის მიმართ.

რა უგუნური განაჩენია.... რა უტიფარი ცილისწამებაა...

რეინაკის სიტყვით, მითრიდატე „ბარბაროსი გმირი, რომელსაც მხოლოდ გარეგნულად მიუღია კულტურა...იგი თავის შეურიგებელ სიძულვილს ამჟღავნებს არა მხოლოდ რომაულ დაპყრობათა, არამედ აგრეთვე ევროპიული კულტურის წინააღმდეგ“[2].

რომსა და პონტოს შორის ბრძოლის შინაარსი იყო: რომის აგრესიისათვის წინააღმდეგობის გაწევა იმ ხალხების მიერ, რომელთაც ეს აგრესია ემუქრებოდა.

მითრიდატესა და რომაელებს შორის უშუალოდ ომიანობის ატეხის წინ ორივე მხარე ერთიმეორის მიმართ აგრესიულად იყო განწყობილი: მითრიდატეს აშინებდა რომაელების თანდათან მომძლავრება აღმოსავლეთში;

რომაელები იჭვითა და შიშით უცქეროდნენ მითრიდატეს სამფლობელოთა გაფართოებას, გრძნობდნენ, თუ რა პოტენციური ძალა მზადდებოდა აღმოსავლეთში, მათ დასაპირისპირებლად.

ორივე მხარე ცდილობდა ერთიმეორისათვის ხელი შეეშალა იმ საქმის წარმატებაში, რასაც მეორე მხარე თავისთვის საზიანოდ მიიჩნევდა.

ამით აიხსნება ის გარემოება, რომ როგორც კი მითრიდატე ევპატორი შეიქნა პონტოს სამეფოს ტახტის მემკვიდრე, რომაელებმა უბრძანეს მას გასცლოდა კაპადოკიას, რომელიც მისმა მამამ იგდო ხელთ, რადგან, როგორც პირველი წყარო ამბობს, რომაელები: „ეჭვის თვალით უცქეროდნენ მითრიდატეს ქვეშევრდომ მხარეს, რომელიც ძალიან იზრდებოდა და სურდათ ამგვარად იგი დაენაწილებინათ“[3].

---

[1] იქვე. 294.
[2] გვ. 295.
[3] ა პ ი ა ნ ე, მითრიდატეს ომები, 10.

აპიანეს ამ სიტყვებიდან ცხადი ხდება, რომ პონტოს სახელმწიფოსა და მის ძალთა კონსოლიდირების შიშის წინაშე, რომაელები იძულებული არიან ამლაგმავი ზომები იხმარონ.

თავის მხრივ მითრიდატეც ცდილობს ხელი შეუშალოს ყველაფერს იმას, რაც აღმოსავლეთში რომაელების ძლიერებასა და მათი ძალაუფლების გავრცელებას მოასწავებდა.

ამიტომ, როდესაც რომაელებმა სთხოვეს მას დახმარება აღმოეჩინა რომაელ სარდლებისათვის, რომელთაც დავალებული ჰქონდათ დაებრუნებინათ ბითინიასა და კაპადოკიაში იქიდგან გაძევებული და რომს თავშეფარებული ადგილობრივი ხელისუფალნი ნიკომედე და არიობარზანი—მითრიდატემ დახმარებაზე უარი უთხრა.

მითრიდატე სხვანაირად ვერც მოიქცეოდა, რადგან რომაელების განმტკიცება ბითინიაში მითრიდატესათვის მეტად საზიანო იყო.

თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ბითინიის პლაცდარმს რომსა და პონტოს შორის ურთიერთობაში, კარგად აქვს გაგებული Reinach-ს.

იმასთან დაკავშირებით, რომ ძვ. წ. 74 წლის დამლევს გარდაცვლილმა ბითინიის მეფემ ნიკომედე ფილოპატორმა თავისი სამეფო რომს უანდერძა, რეინაკი წერს, რომ: „რომაელების მიერ ბითინიის შეერთება მითრიდატესთვის ნიშნავდა ომის გამოცხადებას... რომი, გახდებოდა რა პონტოს სამეფოს უშუალო მეზობელი და მისი ფლოტი შავ ზღვაში გაჩნდებოდა, ჩაკეტავდა, იგი ამ ზღვას და პონტოს ვაჭრობას ჩაკლავდა. მითრიდატე ამას ვერ შეურიგდებოდა. ეს იმდენად ცხადი იყო რომაელებისათვის, რომ ნიკომედეს გარდაცვალების წინ უშუალოდ, მათ აირჩიეს სარდალი მომავალი ომისთვის“ [1].

რომსა და პონტოს სამეფოს შორის საომარი სიტუაციის ასე სწორად გააზრების შემდეგ, გასაოცარია, რომ რეინაკი, თავისი შრომის მეორე ადგილას წერს: „მურენამ ისარგებლა იმით, რომ სულა წასული იყო, ხოლო რომში ანარქია სუფევდა, და თვითნებურად, ხალხისა და სენატის თანხმობის გარეშე, განაახლა ომი პონტოს წინააღმდეგ“ [2].

Reinach-ს ავიწყდება მებრძოლ მხარეთა შორის არსებული სიტუაცია და ომის განახლებას მურენას თვითნებობას მიაწერს.

---

[1] Reinach, op. cit., გვ. 315.
[2] იქვე, გვ. 297.

მურენას მოქმედება სრულიადაც თვითნებური არ იყო, არამედ რომაელთა აღმოსავლეთში მოქმედების საერთო გეგმასა და ტაქტიკასთან იყო შეწონილი, როგორც ამას ადგილი ჰქონდა პირველი ომის დაწყების წინაც და შემდეგშიაც.

ურთიერთ ხელის შეშლისა და ერთიმეორისათვის პოზიციების ხელიდან გამოგლეჯის ტაქტიკა თანდათან მეტად გამოიყენება ორივე მხარის მიერ ჯერ ისევ ომის დაწყების წინა პერიოდში.

ორივე მათგანისათვის—რომისთვისაც და პონტოს სამეფოსთვისაც—ურთიერთ დაპირისპირებული განწყობილება, რა თქმა უნდა, დაფარული არ იყო. ორივესთვის ცხადი იყო, რომ დღეს თუ ხვალ მათ შორის აშკარა შეტაკება უნდა დაწყებულიყო.

პირველი ს. (ძვ. წ.) 90-იან წლებიდან რომიცა და პონტოს სამეფოც ომისთვის ინტენსიურად ემზადებიან.

სამზადისის გზაზე ერთერთ ნაბიჯს წარმოადგენს მითრიდატეს მიერ არმენიის მეფე ტიგრანთან კავშირის შეკვრა 95 (თუ 94) წელს, რომელიც კიდევაც დაისიძევა მან და ცოლად მიათხოვა თავისი ქალი კლეოპატრა.

განსვ. აკად. მანანდიანი ორი მეფის ამ კავშირს განიხილავს არა როგორც რომის წინააღმდეგ მიმართულს, არამედ ამ კავშირის მიზანი იყო, მისი აზრით,—მხოლოდ კაპადოკიის ხელში ჩაგდება, რომელზედაც ფიზიკურად მითრიდატე გაბატონდებოდა, მოძრავ ქონებას კი, ტიგრანი მიითვისებდა [1].

ამასთანავე, მანანდიანი პირველ წყაროს, რომელიც ამ ცნობას გადმოგვცემს, უწოდებს ტენდენციურსა და დაბნეულს.

მანანდიანისათვის გაურკვეველი დარჩენილა ის სიტუაცია, რომელიც რომსა და პონტოს შორის არსებობდა. ის ვერ მიმხვდარა, რომ კაპადოკიაზე ტიგრანის თავდასხმა, რომელიც ამ ხელშეკრულების ძალით უნდა განხორციელებულიყო, მითრიდატეს მიერ მარჯვედ იყო მოფიქრებული და ეს მას საშუალებას აძლევდა კაპადოკია, რომელსაც მის სამხედრო გეგმებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ხელთ ეგდო ისე, რომ რომაელებს არ ჰქონდათ საფუძველი მისთვის აგრესია ესაყვედურებინათ და მის წინააღმდეგ მოქმედებისათვის რაიმე საბაბი გასჩენოდათ.

---

[1] Акад. Я. А. Манандян, Тигран Второй и Рим, გვ. 29—30. შდრ., О. Севастьянова—Новый труд по древней истории Армении, ВДИ, 1946, № 2, გვ. 116—117.

სწორედ ამიტომ უნდა მოსჩვენებოდა მანანდიანს იუსტინის ცნობა გაუგებრად და ტენდენციურად, რადგან ამ მონათხრობის აზრს თითონ ვერ მიუხვდა.

იუსტინის ცნობაში კი ნათლად არის გადმოცემული მითრიდატეს განზრახვა და სათანადო მიზანშეწონილი მოქმედება.

იგი მოგვითხრობს: „მაშინ არმენიის მეფე იყო ტიგრანი. მითრიდატეს ძალიან სურდა ჰყოლოდა იგი თავის მოკავშირედ რომაელთა წინააღმდეგ, ვის წინააღმდეგაც დიდი ხანია ომს განიზრახავდა. და თუმცა რომაელებს არასოდეს არაფერი უწყენინებიათ ტიგრანისათვის, მითრიდატემ მაინც დაიყოლია იგი—თავს დასხმოდა არიობარზანს, რომელიც ძალიან სუსტი იყო. ხოლო იმისათვის, რათა გაეფანტა რამე იჭვი რომელიმე ეშმაკური ხერხის შესახებ, მან შერთო ტიგრანს თავისი ქალი კლეოპატრა. ტიგრანის პირველივე თავდასხმისთანავე, არიობარზანმა შეკრა მთელი თავისი ქონება და რომში გაიქცა. ტიგრანის საშუალებით—ამგვარად, კაპადოკიაში აღდგენილი იქნა მითრიდატეს ძალაუფლება“ [1].

მერე ლაპარაკია იმაზე, რომ მითრიდატემ ბითინიის მეფე გააძევა და რომაელებმა კაპადოკიისა და ბითინიის მეფეების აღსადგენად, გამოგზავნეს ლეგატები მანლიუს აკვილიუსი და მანლიუს მალტინუსი. „როდესაც ეს გაიგო მითრიდატემ, მან შეჰკრა კავშირი ტიგრანთან, რათა დაეწყოთ ომი რომაელების წინააღმდეგ. ისინი შეთანხმდნენ, რომ ქალაქებსა და მიწაწყალს მითრიდატე დაეუფლებოდა, ხალხს კი და ყველაფერს, რისი გაზიდვაც შეიძლებოდა, ტიგრანი“ [2].

წყარო იჭვს არ სტოვებს, რომ მითრიდატესა და ტიგრანს შორის ერთი ხელშეკრულება დადებული იყო კაპადოკიასა და ბითინიაში დივერსიის შესახებ, ხოლო მეორე რომაელების წინააღმდეგ.

არა თუ სრულიად უსაფუძვლოა მანანდიანის მოსაზრება, თითქოს ძვ. წ. ოთხმოცდაათიან წლებში არც მითრიდატესა და არც ტიგრანს არ შეიძლებოდა ჰქონოდათ რომაელებთან ომის განზრახვა, არამედ მაჩვენებელია იმისა, თუ რამდენად ვერ ჩასწვდა მანანდიანი ეპოქის ვითარებას და ესოდენ დიდი მოვლენა, რომელიც „მითრიდატეს ომების“ სახელწოდებით არის ცნობილი და რომელიც მთელ ეპოქას წარმოადგენს, თითქოს მექანიკურად აღ-

---

[1] Justin, XXXVIII, 3,1—5

[2] იქვე.

მოცენებულად წარმოუდგენია, რომელიც მხოლოდ იმიტომ გაჩაღდა, რომ მანლიუს აკვილიუსმა ამის საბაბი მისცა.

სრულიად სამართლიანად შენიშნავდა ო. სევასტიანოვა, რომ: „Проникновение Рима на Восток в этот период зашло уже настолько далеко, что такие крупные политические деятели, как Митридат и Тигран, не могли не понимать, что в своем стремлении расширить пределы своих государств в Передней Азии, они неизбежно придут в столкновение с Римом“[1].

დიდმნიშვნელოვანი ისტორიული საკითხების ასე მექანისტურად და გამარტივებულად გადაწყვეტა მანანდიანს სჭირია, რათა მოახდინოს ტიგრანის რეაბილიტაცია, რომელსაც როგორც მითრიდატეს მოკავშირეს, ერთგვარი ჩრდილი ადგება თავისი შემდგომი მოქმედებით.

მანანდიანის მცდარობას პირველწყაროები აშკარას ხდის.

აპიანეს, თუ მისი წყაროს ავტორს, კარგად ესმოდა, რომ კაპადოკიის კონფლიქტი მხოლოდ საბაბი იყო, რათა რომაელებსა და მითრიდატეს შორის არსებული წინააღმდეგობანი აშკარად გამოვლინებულიყო. აკი აპიანე ამბობს, რომ კაპადოკიიდან გასვლა იმიტომ უბრძანეს მითრიდატეს რომაელებმა, რომ, შეიძლება ისინი იჭვის თვალით უყურებდნენ მითრიდატეს ქვეშევრდომ მხარეს, რომელიც ძალიან იზრდებოდა, და სურდათ ამგვარად იგი დაენაწილებინათ[2]. სტრაბონი კი ლაკონიურად, მაგრამ მრავალმეტყველად შენიშნავს, რომ მითრიდატეს მიერ ბოსფორისა და ხერსონესის შემოსაერთებლად წარმოებული „ომები წარმოადგენდა რომაელებთან ომის მომზადებას“[3] და რომ მან სწორედ „ამგვარი იმედებით აღტკინებულმა, ხალისით გაგზავნა რა ჯარი ხერსონესში, დაუწყო ბრძოლა სკვითებს, დაიმორჩილა ისინი და გაბატონდა ბოსფორზე“[4]. იუსტინი კი გადაჭრით ამბობს, რომ მითრიდატე რომაელების წინააღმდეგ: „დიდი ხანია ომს განიზრახავდა“ (იქვე).

ხოლო მითრიდატეს წარმომადგენელს პელოპიდსა და ნიკომედის ელჩებს შორის რომაელ ჯარის სარდალთა წინაშე გამართული დიპლომატიური პაექრობის დროს ნიკომედის ელჩები რომაელ სარდლებს მითრიდატეზე ეუბნებიან:... „მაგრამ შეხედეთ, რა

---

[1] Тигран Второй и Рим. ВДИ, 1946 г., № 2, გვ. 117. იხ. მანანდიანი, დას. წ., გვ. 32—34.

[2] აპიანე, 10.

[3] იხ. ქრესტომათია სტრაბონის „გეოგრაფიიდან“, წიგნი VII.

[4] იქვე.

დიდ სამზადისშია იგი[1], თითქოს რომელიმე დიდი და უკვე გამოცხადებული ომისთვის; შეხედეთ მის საკუთარ ჯარს, აგრეთვე მის მოკავშირეებს თრაკიელებისა და სკვითების—აგრეთვე ყველა უახლოეს ტომთა ჯარს. არმენიის მეფესთან მოყვრობით არის დაკავშირებული, ხოლო სირიისა და ეგვიპტის მეფეებს ნიადაგ უგზავნის ელჩებს და ცდილობს მათ მიმხრობას. მათ მოეპოვება სამასი ბაქნიანი გემი და მასთან ერთად კიდევ სხვებსაც ამზადებს, ხოლო მესაჭეების საშოვნელად მან დაგზავნა ხალხი ფინიკიასა და ეგვიპტეში. ყველა ეს სამზადისი, ესოდენ უზარმაზარი, მიმართულია რასაკვირველია, არა ნიკომედის წინააღმდეგ, არამედ თქვენს წინააღმდეგ, რომაელებო, ამზადებს ამას ყველაფერს მითრიდატე, აღვსილი თქვენს მიმართ რისხვით"[2].

პირველწყაროთა ამ ცნობების საფუძველზე ცხადი ხდება, რომ რომსა და პონტოს შორის შეტაკება დიდი ხნის მანძილზე მზადდებოდა და იგი გარდაუვალი იყო. ამის მოლოდინში ორივე მხარე სამზადისშია. მითრიდატეს ტიგრანთან კავშირი და დამოყვრება ამ მოვლენათა ერთ-ერთი რგოლია.

მითრიდატეს მიერ ტიგრანთან მჭიდრო კავშირ-ურთიერთობის დამყარებას საფუძვლად ედვა მითრიდატეს მისწრაფება განეხორციელებინა ზოგიერთი ღონისძიება, რაც მას საჭიროდ მიაჩნდა რომთან მოსალოდნელი დიდი ომის პერსპექტივთან. პირველი ამგვარი ღონისძიებათაგანი კაპადოკიასთან იყო დაკავშირებული და გამოვლინდა იმ ამბებში, კაპადოკიის ირგვლივ რომ დატრიალდა, სიძე-სიმამრს შორის ხელშეკრულების დადების უმალვე.

როგორც უკვე ვთქვით, მითრიდატეს მიზანი იყო ეგდო ხელთ კაპადოკია, ეს უაღრესად მნიშვნელოვანი პლაცდარმი და რესურსებით მდიდარი მხარე, მაგრამ ისე, რომ ამით რომაელებს უშუალოდ არ დაპირისპირებოდა. სწორედ ამ ასპექტში არის განსახილველი სომხეთის აგრესია კაპადოკიის მიმართ.

ეკჰარტის თქმით, 93 წელს ტიგრანმა გააძევა კაპადოკიიდან რომაელების მიერ იქ ცოტახნის წინათ დაყენებული მეფე არიობარზანი, მითრიდატეს შთაგონებით (auf Veranlassung Mithridates)[3].

რომში გაქცეული არიობარზანი, რომის სენატის ბრძანებით, სწრაფად აღადგინა თავის სამეფო ტახტზე კილიკიის პროპრე-

---

[1] ლაპარაკია მითრიდატეზე.

[2] აპიანე, 13.

[3] K. Eckhardt—Die armenische Feldzüge des Lukullus. „Klio" 1911 წ., IX, 4, გვ. 404.

ტორმა სულამ 92 წ., რომელმაც განდევნა კაპადოკიიდან სომხეთის ჯარი[1].

სულ მალე ამას მოჰყვა ერთდროულად სომხეთის ხელმეორე თავდასხმა კაპადოკიაზე და მითრიდატესი—ბითინიაზე.

კაპადოკიიდან არიობარზანი კვლავ გააძევეს და მის ნაცვლად არიარათე დაადგინეს მეფედ.

ბითინიაში უმცროსმა ძმამ სოკრატემ გააძევა თავისი უფროსი ძმა ნიკომედი, მითრიდატეს შემწეობით და იქ თითონ გამეფდა[2].

ამ ლაშქრობის შემდეგ ტიგრანმა იმდენი ტყვე და ნადავლი წაიღო, რამდენიც შეეძლო, ხოლო ქვეყანას ქალაქებითურთ მითრიდატე დაეუფლა.

მესამე ლაშქრობაც უნდა ყოფილიყო, რომლის დროსაც ტიგრანმა კაპადოკიიდან 300.000 კაცი გარეკა, ქალ. ტიგრანოკერტის დასახლების მიზნით[3].

ამასთანავე საინტერესოა, რომ აპიანე პირდაპირ ამბობს: „...მითრიდატემ შეაგულიანა თავისი სიძე ტიგრანი, რათა იგი თავს დასხმოდა კაპადოკიას, ვითომც და საკუთარი ინიციატივით“[4].

მითრიდატეს მისწრაფება კაპადოკიაში გაბატონებისა გამოწვეული იყო იმ დიდი მნიშვნელობით, რომელიც ამ ქვეყანას გააჩნდა მომავალ მებრძოლ მხარეთათვის: რომისა და პონტოსთვის... და რომ ეს ასე იყო, ამას ის მოწმობს, რომ კაპადოკიას თავისი დიდი სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა რომის აღმოსავლეთის პოლიტიკაში შემდგომ ხანაშიც შერჩა.

ო. კუდრიავცევი სამართლიანად აღნიშნავს, რომ „...ჩვ. წ. I საუკუნის მანძილზე განუწყვეტლივ იზრდება მნიშვნელობა კაპადოკიისა, როგორც აღმოსავლური რომაული თავდაცვისა და აგრესიის ერთერთი ძირითადი დასაყრდენი პუნქტისა; კაპადოკია დიდ როლს თამაშობს, კერძოდ, აღნიშნულსა და მომდევნო პერიოდში რომის პოლიტიკაში არმენიის მიმართ“[5].

კაპადოკიის ასეთი მნიშვნელობა აიძულებდა მითრიდატესა და ტიგრანს ეცადნათ, რათა იგი ხელიდან გამოეგლიჯათ რომაელებისათვის, რომლებმაც იქ დიდი ხანი არ არის, რაც ფეხი მოიკიდეს.

---

[1] აპიანე, 57; Livius, Epit. 70; პლუტარქე, სულა, 5.

[2] Iustin. წ., 38, 3,5.

[3] აპიანე, 67, პლუტარქე, ლუკულუსი, 21, სტრაბონი, XII, 2,9.

[4] აპიანე, 67.

[5] О. В. Кудрявцев, Провинция Каппадокия в системе римской восточной политики. ВДИ, 1955, № 2, стр. 48.

მითრიდატეს ომების დაწყების მექანისტური წარმოდგენა გადაჭრით უკუსაგდებია.

რაც შეეხება ტიგრანს, მისი გამართლება სულ სხვა ასპექტში ხდება შესაძლებელი.

ჩვენ არ ვიცით დანამდვილებით, გულისხმობდა თუ არა მითრიდატესა და ტიგრანს შორის დადებული ხელშეკრულება პონტოსა და რომს შორის ომის დაწყებისთანავე, არმენიის მხრივ აქტიურ საომარ მოქმედებაში მონაწილეობის მიღებას; თუ იგი უნდა დაკმაყოფილებულიყო კაპადოკიაში დივერსიის მოხდენით, რაც რომაელთათვის იმ მხრივ უნდა ყოფილიყო გასაგები, რომ ტიგრანიც მათ წინააღმდეგ გამოდის. მაგრამ სიძე-სიმამრს დიპლომატიურად, უთუოდ ისერიგად ჰქონდათ საქმე მოფიქრებული, რომ ყველასათვის დასანახი არ ყოფილიყო მათი ერთობლივი მოქმედება, საქმე ისე უნდა მოეჩვენებინათ, რომ ომი ატყდა არა მათი, არამედ რომაელთა მიზეზით.

ამასთანავე, სომხეთისათვის სასარგებლო იყო ისეთი მდგომარეობა, როდესაც მებრძოლ მხარეთა შორის (რომი და პონტო) ვერც ერთმა ვერ მოიპოვა საგრძნობი უპირატესობა, ვერც ერთი მათგანი ვერ გადაიქცა ისეთ ძალად, რომელსაც შეეძლო უშუალო საფრთხე შეექმნა სომხეთისათვის: მითრიდატე დამარცხებულია, ხოლო რომი, მითრიდატეს შიშით აქტიურ მოქმედებას ადვილად ველარ გაბედავს აღმოსავლეთში.

ასეთი მდგომარეობა სავსებით მისაღები იყო სომხეთისათვის და იგი მას არა მხოლოდ უნდა შერიგებოდა, არამედ ხელიც კი უნდა შეეწყო ამ ვითარების შენარჩუნებისათვის.

ოლგა სევასტიანოვას აზრით: „Кажется более вероятным, что договор Тиграна с Митридатом.... касался не только Каппадокии, но и определял сферу военных захватов царей... Заключая таким образом этот наступательный договор, Тигран и Митридат договаривались фактически о совместных действиях и против римлян, хотя юридически такого пункта в договоре могло и не содержаться“ (იქვე, გვ. 117).

თუ რა პირობებში იყონავარაუდევი ტიგრანის აქტიური გამოსვლა, ჩვენ არც ამაზე ვიცით რამე. მაგრამ ტიგრანის საქციელი მითრიდატეს დამარცხების შემდეგ (პირველ ომში), შესაძლებელია, მართლაც მისი მხრით, როგორც მოკავშირის მხრივ, პირობის შეუსრულებლობას ნიშნავდა. ხოლო მეორეს მხრივ, ტიგრანი უკვე შექმნილ მდგომარეობას უფარდებდა თავის მოქმედებას და საკუთარი სახელმწიფოს ინტერესების შესაბამისად მოქმედებდა.

ტიგრანს უთუოდ, ეგონა, რომ მითრიდატე საბოლოოდ დამარცხდა და მაშასადამე, არა თუ მის მხარეზე მოქმედება, არამედ მხოლოდ მის მიმართ სასტიკი ნეიტრალიტეტია საჭირო, რათა რომაელებთან კონფლიქტი აიცდინოს.

ამგვარად, თუ ტიგრანი არ იყო ვალდებული თავიდანვე აქტიურად ჩაბმულიყო ომში, მისი შემდგომი მოქმედება რომაელებთან კონფლიქტის თავიდან აცდენისა,—შეიძლება მასსა და მითრიდატეს შორის დამოკიდებულების საქმეში ერთგვარ გამართლებას პოულობს შექმნილი ვითარების გამო... თუმცა ამ შემთხვევაში ტიგრანი უშვებდა იმ დიდ პოლიტიკურ შეცდომას, რომლის შეგნება მას მაშინ არ გააჩნდა და რომელშიაც ამხილენ მას წყაროებიცა და შემდგომი დროის მკვლევარნიც.

ტიგრანის შეცდომა ის იყო, რომ ის ვერ ხედავდა, რომ მისთვის რომაელებთან ომი გარდაუვალი იყო, რომაული ექსპანსიის საფრთხე, აღმოსავლეთის სხვა ქვეყნების თანაბრად, სომხეთსაც ემუქრებოდა და მაშასადამე, მისთვის ხელსაყრელი უნდა ყოფილიყო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში განმარტოებული არ აღმოჩენილიყო და ბრძოლა ერთობლივ ეწარმოებინა მითრიდატესთან ერთად. თუ მითრიდატესა და ტიგრანს შორის ერთობლივი მოქმედება იმთავითვე ნავარაუდევი არ იყო და მათ მიერ ეს გარკვეული მოსაზრებით იყო გაკეთებული და ამას, ალბათ, რაღაც გამართლება ჰქონდა,—მათი მთავარი შეცდომა შემდეგში ის იყო, რომ პონტოსა და რომს შორის წარმოებული ომის არც ერთ სტადიაზე არ მოქმედებენ ერთობლივად, ვერ მოახერხეს, რათა გაერთიანებული ძალებით ემოქმედნათ, შემჭიდროებულად მიეტანათ იერიში მტერზე და ეგების, მოახერხებდნენ მტრის შემუსვრას... თუკი მითრიდატემ მარტო საკუთარი ძალებით იმდენი ბრძოლა შესძლო, ორივეს შეერთებული ძალა საკმარისი იქნებოდა, რათა უპირატესობა ამათ მხარეზე ყოფილიყო.

გერმანელი მკვლევარი ეკჰარდტი ჰკიცხავს ტიგრანს იმის გამო, რომ მან არ მიიღო თავისი ლტოლვილი სიმამრი მითრიდატე, როდესაც მდგომარეობა ისეთი იყო, რომ „...ორივე მეფეს შეეძლოთ ადვილად დაებრუნებინათ პონტო", შეეძლოთ რომაელებისთვის საგრძნობი ზიანი მიეყენებინათ. მაგრამ ამის მაგიერ ტიგრანი ცდილობდა სირიასა და ფინიკიაში დაპყრობებით განევრცო თავისი სამეფო [1].

---

[1] Kurt Eckhardt—Die armenische Feldzüge des Lukullus. იხ. „Klio", IX, 1911, Heft. 4, გვ. 402.

შესაძლებელია, როგორც ვთქვით, ომის დასაწყისში ისინი დიპლომატიური, თუ სამხედრო-სტრატეგიული მოსაზრებებით ხელმძღვანელობდნენ, რათა რომაელებისათვის თვალი აეხვიათ და ისე კი არ ეჩვენებინათ, რომ საქმე ეხებოდა რომის აღმოსავლეთისაკენ ექსპანსიის წინააღმდეგ ბრძოლას, არამედ მოეჩვენებინათ რომ, ვითომც ომი გამოიწვია კერძო საკითხმა—ბითვინიის გამო.

იქნება ასეთი ტაქტიკა პირველ ხანს გამართლებულიც ყოფილიყო...

უეჭველია, რომ სიძე-სიმამრი იმასაც უწევდნენ ანგარიშს, რომ რომის წინააღმდეგ ომში ოფიციალურად ჩაბმული სომხეთის მიმართ, პართელები აგრესიის გუნებაზე არ დამდგარიყვნენ.

აღნიშნული მოსაზრებები უგულვებელსაყოფი არ არის. მაგრამ ყველაფერ ამას გამართლება მხოლოდ გარკვეულ დრომდე შეიძლებოდა ჰქონოდა.

პონტოსა და არმენიას შორის ერთობლიობის დარღვევის საქმეში, ალბათ, რომაულ დიპლომატიასაც მიუძღოდა წილი.

მითრიდატესა და ტიგრანს შორის გათიშულობა დამღუპველი იყო ორივე მხარისათვის.

ტიგრანის შეცდომას სასტიკად დასცინა ლუკულუსმა.

პლუტარქეს გადმოცემით: „როცა ლუკულუსმა შეიტყო, რომ მითრიდატე და ტიგრანი მზად არიან აზიაში პირველად შესაღწევად, ლიკაონიისა და კილიკიის ოლქებში მხედრობის გადასაყვანადო, მეტისმეტად გაუკვირდა. მას აოცებდა ის ამბავი, რომ სომეხთა მეფემ, რომელსაც რომაელებთან ომის დაწყება ჰქონდა განზრახული, არ გამოიყენა მითრიდატე მისი სიძლიერის დროს და მის დიდ ძალებს თავისი არ შეუერთა. და ახლა, როცა მან მითრიდატეს ყველაფერი დააკარგვინა და იგი განადგურებამდე მიიყვანა, ფრიად უმწეო იმედებით მოინდომა ომის დაწყება და თავს საფრთხეში იგდებდა იმათთან ერთად, რომელთაც ფეხზე წამოდგომა აღარ შეეძლოთ“ [1].

მანანდიანი პლუტარქეს ამ ცნობას ნაყალბევს უწოდებს [2]. მაგრამ უფრო ადრევე თითონვე აქვს აღიარებული, რომ ტიგრანი თავიდანვე არ ამოუდგა გვერდში მითრიდატეს.

იგი წერს: „После неожиданного нападения Лукулла и открытия военных действий, теперь уже теряли весь смысл как

[1] პლუტარქე, ლუკულუსი, 23.
[2] იხ. დასახ. შრ., გვ. 110.

осторожная и сдержанная политика Тиграна по отношению к Риму, так и его нейтралитет, благодаря которым он думал избегнуть войны. И вполне естественно, что лишь теперь поняв свою политическую ошибку, Тигран почувствовал необходимость в помощи и сотрудничестве Митридата"[1].

საფიქრებელია, რომ ტიგრანის თავშეკავება იმითაც იყო, გამოწვეული, რომ მას აშინებდა პონტოს სამეფოს გაძლიერება. ეს არმენიისათვის ხელსაყრელი არ იქნებოდა, განსაკუთრებით, მას შემდეგ, თუ მითრიდატე რომაელთა ექსპანსიას საზღვარს დაუდებდა და ჰეგემონობას აღმოსავლეთში თითონ აიღებდა.

აკი პლუტარქე გადმოგვცემს, რომ: „იჭვმა და შურიანობამ გათიშა ტიგრანი მითრიდატესაგან ამის აღზევების დროს, ხოლო მისი დაცემის შემდეგ, შეაერთა მასთან, რათა მასთან ერთად დაღუპულიყოო"[2].

ამით უნდა აიხსნებოდეს ტიგრანის პასიურობა მითრიდატეს რომაელებთან ბრძოლის დროს.

მკვლევართა შორის მხოლოდ მანანდიანი აყენებს ეჭვის ქვეშ ტიგრანსა და მითრიდატეს შორის რომაელების წინააღმდეგ ხელშეკრულების დადებას.

იგი წერს: „დიდ გაუგებრობად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე მომზენის, მორგანისა და სხვათა შეხედულება იმის შესახებ, რომ ვითომც ტიგრან II და მითრიდატე ევპატორს შორის დადებული სამოკავშირეო ხელშეკრულება ეხებოდა არა მხოლოდ კაპადოკიას, არამედ, აგრეთვე 88—84 წლების რომსა და პონტოს შორის დიდ ომებს, რაც, მათი წარმოდგენით, წინასწარ და ერთობლივად მოამზადეს მითრიდატემ და ტიგრანმა"[3].

და თავის მხრივ დაასკვნის: „...в конце девяностых годов (до н. э.) ни Митридат, ни Тигран не могли иметь намерения воевать с Римлянами"[4].

ასევე აღიარებულია, რომ, როგორც მანანდიანიც ადასტურებს: „88—84 წლების ომიანობის შესახებ, აგრეთვე გაბატონებულია შეხედულება, ვითომც მითრიდატე ევპატორი დაჟინებით ემზადებოდა ომისათვის და იარაღს ისხამდა რომაელთა წინააღმდეგ,

---

[1] იქვე, გვ. 107.

[2] იხ. „რომაელთა ბედის შესახებ", 11, ВДИ, 1947 წ., № 4, გვ. 289.

[3] იხ. დას. შრ., გვ. 33.

[4] იქვე, გვ. 33.

დასახული ჰქონდა რა მიზნად განდევნა ისინი აზიიდან, რისთვისაც სწორედ დასდო მან წინასწარ ტიგრან მეორესთან კავშირი"[1].

მანანდიანი ცდილობს გააბათილოს ისტორიოგრაფიაში განმტკიცებული პირველწყაროებიდან მომდინარე ეს შეხედულება იმ ფაქტების მოშველიებით, რომ მითრიდატე, ვითომდა რომში აუარებელ ფულსა ხარჯავდა სენატორთა მოსასყიდად, რათა სადავო საკითხები მშვიდობიანი გზით ყოფილიყო მოგვარებული, რომ მითრიდატემ ნიკომედეს თავდასხმას მაშინათვე ომით არ უპასუხა და განაგრძობდა რომთან მოლაპარაკებას[2].

მითრიდატეს ეს ნაბიჯები, როგორც დავინახავთ, დიპლომატიური ხერხი იყო.

თუმცა არ არის გამორიცხული, რომ მითრიდატეს იმ მომენტში, რამე გარემოების გამო, არ სურდა ჯერ დიდი ომის დაწყება...

მაგრამ ეს იმას სრულიადაც არ ნიშნავს, რომ მას რომაელებთან ომი არ ჰქონდა განზრახული.

პირველწყაროების მიხედვით, სავსებით ნათელი ხდება, რომ აღმოსავლეთი სერიოზულად ემზადებოდა რომის ექსპანსიისათვის წინააღმდეგობის გასაწევად. ამ სამზადისს სათავეში ედგა პონტოს სამეფოს ენერგიული და მებრძოლი მეფე მითრიდატე VI ევპატორი.

მითრიდატემ რომაელების წინააღმდეგ ომი კარგად მოამზადა როგორც სამხედრო თვალსაზრისით, ისე დიპლომატიურადაც, და ტიგრანის მიერ მასთან ერთად თავიდანვე მხარდამხარ ბრძოლაზე ხელის აღება,—რა გარემოებითაც არ უნდა იყოს იგი გამოწვეული, ტიგრანის დიდი შეცდომა იყო.

თვით მანანდიანი წერს ტიგრანის შეცდომაზე: „ტიგრანის ამ შეცდომის გამართლება, რა თქმა უნდა, ძალიან ძნელია, რადგანაც მითრიდატე, როგორც წყაროები მოწმობს, აფრთხილებდა მას გაუმაძღარი რომის მხრივ არმენიაზე თავდასხმის აუცილებლობის შესახებ[3]. და მართლაც, ადრე, თუ გვიან რომს ანგარიში უნდა გაესწორებინა ტიგრანისათვის, ამ უკანასკნელის მიერ სირიის დაპყრობისა და კაპადოკიის აოხრების გამო, რომლებიც რომის მოკავშირენი იყვნენ...

---

[1] იქვე, გვ. 35.

[2] იქვე, გვ. 36.

[3] მანანდიანს მხედველობაში აქვს სალუსტის მიერ შემონახული, ტიგრანისადმი მითრიდატეს წერილი, რომელშიაც მკვეთრად არის დახასიათებული რომაელთა მტაცებლური პოლიტიკა.

ამიტომ ტიგრანს, როგორც სრულიად სამართლიანად მიუთითებენ რომაული წყაროები, საკუთარი ინტერესების გულისთვის, არ უნდა დაეშვა პონტოს დაცემა, რომელიც მას ზურგს უმაგრებდა. იგი უკვე ქაბიერასთან ბრძოლამდე უნდა დახმარებოდა თავის სიმამრს მითრიდატეს დამხმარე ჯარების გაგზავნით"[1].

ამგვარად, ირკვევა, რომ მითრიდატესა და ტიგრანს შორის ხელშეკრულების დადება, არა თუ უარსაყოფი არ არის, — არამედ იგი ბუნებრივი ნაწილია იმ დიდი ორგანიზაციული მუშაობისა, რომელიც დაკავშირებული იყო აღმოსავლეთის მხრით რომის ექსპანსიის წინააღმდეგ დიდი ომის სამზადისთან... მითრიდატეს თუ პონტოს სამეფოს ეს განზრახვა-სამზადისი იზოლირებულად არ უნდა წარმოვიდგინოთ... ეს იქნებოდა ისტორიული მოვლენებისადმი პრიმიტიულ-გულუბრყვილო დამოკიდებულება.

რომის ექსპანსიის წინააღმდეგ ნავარაუდევ ბრძოლაში პონტოს სამეფო მარტო არ იყო. ამ ბრძოლის სამზადისში მცირე აზიისა და ამიერკავკასიის მხარეები ჩაბმული იყვნენ, მართალია, სხვადასხვაზომ.

ეს გარემოება კარგად ესმოდათ ძველადვე.

ზემოხსენებული იუსტინი[2] ძვირფას ცნობას გვაწვდის აღმოსავლეთში რომის ექსპანსიის წინააღმდეგ ბრძოლისათვის გაჩაღებულ ფართო სამზადისზე.

იგი წერს: „მითრიდატე, რომელიც რომაელებთან ომის დაწყებას აპირებდა, ჰკრავს კავშირს ტიგრანთან... შემდეგ, შეგნებული ჰქონდა რა, თუ რაოდენ დიდ ომს იწყებდა, ჰგზავნის ელჩებს დახმარების სათხოვნელად კიმვრებთან, გალლო-ბერძნებთან, სარმატებთან და ბასტარნებთან; ყველა ეს ხალხები მან ადრევე გადმოიბირა თავის მხარეზე სხვადასხვა ქველმოქმედებით, განიზრახავდა რა ომს რომაელებთან. ის ბრძანებს აგრეთვე გამოცხადდეს მასთან ჯარი სკვითეთიდან, და **ა ი ა რ ა ღ ე ბ ს რ ო მ ა ე ლ თ ა წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ მ თ ე ლ ა ღ მ ო ს ა ვ ლ ე თ ს**"[3].

აპიანეს ზემოთ მოტანილი ცნობა (პელიპიდეს სიტყვა) და იუსტინის ეს მონათხრობი ნათელ სურათს გვაძლევს მითრიდატეს მიერ აღმოსავლეთში გაჩაღებული გრანდიოზული სამზადისისა.

---

[1] იხ. დას. შრ., გვ. 91—92.

[2] როგორც ცნობილია, იუსტინის Epitome-ში შემონახულია რომაელი ისტორიკოსის პომპეუს ტროგის მოკლე შინაარსი. ტროგს თავისი შრომა დაუმთავრებია ახ. წ. 9 წ. იხ. ВДИ, № 27, გვ. 256.

[3] Justin, XXXVIII, 3, 5—7. ხაზი ჩემია. გ. გ.

ფრიად საინტერესო ცნობას გვაწვდის აგრეთვე პონტოელი ისტორიკოსი მემნონი [1].

იგი მოგვითხრობს, რომ მითრიდატემ: „...მიიმხრო პართელები, მიდიელები, სომხეთის მეფე ტიგრანი, სკვითთა მეფეები და იბერიის მეფე“ [2].

როგორც ვხედავთ, მითრიდატეს მთელი აღმოსავლეთი გაუერთიანებია რომაელთა წინააღმდეგ.

ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმას, რომ იბერიის მეფეც ამ საერთო ფერხულშია ჩაბმული.

ამ ცნობაზე დაყრდნობით, რაინაკი ამბობს: „...მითრიდატემ ტახტზე ასვლისთანავე იბერებთან დასდო მეგობრობისა და ვაჭრობის ხელშეკრულება“ [3].

რომაელები ცდილობენ არ დააცადონ მითრიდატე ევპატორს მომაგრება და ძალთა დარაზმვა.

ამ მიზნით, ისინი ასისიანებენ მის წინააღმდეგ ნიკომედსა და არიობარზანს,—აქეზებენ მათ, რათა თავს დაესხნენ ისინი პონტოს სამფლობელოებს, რითაც რომაელებს საბაბი მიეცემათ მითრიდატეს წინააღმდეგ ამოქმედდნენ.

რომაელების მიერ პროვოცირებული კონფლიქტი საჭირო იყო, რათა რომაელებს თავისი აგრესია მიემართნათ მითრიდატეს წინააღმდეგ, ვიდრე ეს უკანასკნელი მოასწრებდა რომაელთათვის საშიშ ძალად ქცეულიყო.

რომაელებს ამგვარ ტაქტიკას აიძულებდა მთელი ის სიტუაცია, რომელიც აღმოცენდა რომსა და აღმოსავლეთს შორის ურთიერთობაში იმ დროიდან, რაც რომაელებს ემჩნევათ აღმოსავლეთისაკენ მეტი ექსპანსიით ლტოლვა, ხოლო მცირე აზიაში კაჟდება ადგილობრივი ძალა პონტოს სამეფოს მეთაურობით, რომელიც ცდილობს გზა გადაუღობოს რომაელთა აგრესიას აღმოსავლეთში.

## 2. ომის დაწყება. პირველი ომი და მისი შედეგები

რომაელებმა კიდევაც მოასწრეს და როგორც აპიანე გადმოგვცემს: „ნიკომედე... თავისი სურვილის წინააღმდეგ შეიჭრა მითრიდატეს მიწაწყალზე“ [4].

[1] მემნონი ქ. ჰერაკლეიადან იყო. უნდა ეცხოვრა ახ. წ. I საუკ. დასასრ. და II საუკუნის დასაწყისში. მისი შრომა არ შენახულა. ზოგი რამ შემოგვინახა ფოტიუსმა.

[2] მემნონი, *Περὶ Ἡρακλείας*, XV, XXX.

[3] Reinach, op. cit., გვ. 391.

[4] აპიანე, მითრიდ. ომები, 11.

მაგრამ მითრიდატემ, მიუხედავად მზად ყოფნისა, უკან დაიხია, რათა ომის გამოსაცხადებლად დიპლომატიური ნიადაგი მოემზადებინა.

ამით დაედვა დასაბამი რომსა და მითრიდატეს შორის ხანგრძლივ ომს, რომელიც იმ დროის მსოფლიოს და განსაკუთრებით კი აღმოსავლეთის ისტორიის ღირშესანიშნავ ნაკვეთს წარმოადგენს.

ყურადღებას იპყრობს ის სიდინჯე, თავდაჭერა, წინდახედულება და დიპლომატიური სიბრძნე, რომელიც გამოიჩინეს მითრიდატემა და მისი სამეფოს კარის მოღვაწეებმა, კონფლიქტის აღმოცენებისთანავე. ეს მაჩვენებელია არა მხოლოდ თითონ მითრიდატეს პირადი ღირსებისა, მისი სახელმწიფოებრივი პოლიტიკური ნიჭისა და გაბრძნილობისა, არამედ მაჩვენებელია იმისიც, თუ პონტოს სამეფო კარი რაოდენ სრულიადაც ბარბაროსული არ იყო, რომ პონტოს სამეფო ცხოვრობდა დაწინაურებული სახელმწიფოს ცხოვრებით და რომ იგი რომის მეტოქედ გამოდიოდა აღმოსავლეთში არა მხოლოდ საკუთარი სამხედრო და ეკონომიურ სიმძლავრეზე დაყრდნობილი, არამედ კულტურულ-პოლიტიკური თვალსაზრისითაც ეს სამეფო აღზევებული იყო მცირე აზიაში და ამ მხრივაც შეეძლო რომისათვის თვალი გაესწორებინა.

მითრიდატემ, როგორც აპიანე ამბობს „ძალიან კარგად იცოდა“, რომ რომაელი ჯარის სარდლებს „ომი სწყუროდათ მასთან, და ისინი იყვნენ ამ თავდასხმის მიზეზი“[1].

ე. ი. მითრიდატემ იცოდა, რომ რომი ისწრაფვოდა, რაც შეიძლება მალე აელაგმა პონტოს სამეფოს ძლიერების შემდგომი ზრდა, რათა შესუსტებულისთვის მერე ადვილად გაესწორებინა ანგარიში. ეს კონფლიქტი მითრიდატესთვის არა თუ მოულოდნელი არ იყო, არამედ სრულიად კანონზომიერად გამომდინარეობდა რომსა და პონტოს სამეფოს შორის არსებული დაძაბული მდგომარეობიდან, რაც მითრიდატესთვის სავსებით გასაგები იყო.

მითრიდატემ კარგად იცოდა, რომ ეს იყო დასაწყისი იმ დიდი ომისა, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა საკითხი: მოახერხებდა მითრიდატე აღემართნა მძლავრი ჯებირი, რომლითაც რომის ექსპანსიას აღმოსავლეთში მზღვარი დაედებოდა, თუ მითრიდატეს მიერ შეკრული აღმოსავლური ძალები შემუსვრილი იქნებოდა რომაული გამობრძმედილი ლეგიონების მიერ, რის შემდეგაც რომაელები მცირე აზიასა და პონტოს ხალხებზე იარაღით გადა-

---

[1] აპიანე, 12.

ივლიდნენ, რათა თავისი მტაცებლური ხელით აღმოსავლეთის უფრო შორეულ რაიონებს მისწვდომოდნენ.

ეს ყველაფერი კარგად იცოდა მითრიდატემ...

მაგრამ, ჩანს, მნიშვნელობა ჰქონდა იმას, თუ ვინ იქნებოდა აღიარებული რომსა და პონტოს შორის ატეხილი ომის ინიციატორად, წამომწყებად, ვინ დაიმსახურებდა აგრესორის როლს. საფიქრებელია, რომ ამას ჰქონდა მნიშვნელობა მაშინდელ საერთაშორისო ასპექტში... უნდა ჰქონოდა მორალური მნიშვნელობა მითრიდატესთვის, რომელსაც შეეძლო მოეწოდებინა მცირე აზიის ხალხებისთვის თავგანწირული ბრძოლისაკენ, დამპყრობ რომაელების წინააღმდეგ, რომლებმაც იარაღი აღმართეს, ამ ხალხებისთვის თავისუფლებისა და მიწაწყლის წართმევის მიზნით.

ამიტომ მითრიდატემ იმით დაიწყო, რომ სცადა რომაელები და კაპადოკია-ბითინიელები ერთიმეორისაგან გაეთიშნა და რადგან რომაელები ამაზე არ დაეთანხმებოდნენ,—საჭირო იყო მაინც, ეს უკანასკნელნი გამოსულიყვნენ თავდამსხმელის, აგრესორის როლში. ამასთანავე, თავის მხრივ, ჰქმნის დიპლომატიურ ნიადაგს, რათა თითონ ომის გამოცხადების დასაბუთებული საფუძველი შეიქმნას თავისთვის.

მითრიდატემ თავი ისე მოაჩვენა, თითქოს არ ესმოდა რომაელების კავშირი პონტოს სამეფოზე თავდამსხმელებთან და გაგზავნა რომაელ ჯარის სარდლებთან თავისი დიპლომატი პელოპიდი, რომელსაც, პირველ ყოვლისა, უნდა გაეხსენებინა რომაელთათვის მითრიდატესა და მისი მამის მიერ რომაელებთან დადებული სამეგობრო ხელშეკრულებები, რომელთა საპასუხოდაც რომაელებმა მითრიდატეს მიმართ არა ერთი მტრული მოქმედება ჩაიდინეს და არც ეხლა იმაღლებენ ხმას, როდესაც მათი მოკავშირე მტრის თავდასხმას განიცდის.

პელოპიდი ეუბნებოდა რომაელ ჯარის სარდლებს: „...ეხლა კი თქვენ არხეინად უყურებთ იმას, რომ ნიკომედმა ჩაკეტა პონტოში შესავალი, რომ იგი თავს ესხმის ჩვენს მიწა-წყალს... თუმცა მეფე სუსტი არ არის და სავსებით მზად არის თავის დასაცავად, მაგრამ იგი უცდიდა, რათა თქვენ თითონ გამხდარიყავით იმისი მოწმე, რაცა ხდება. ეხლა, რადგან თქვენ თითონ დაესწარით და იცით ყველაფერი, რაც მოხდა, ამიტომ მითრიდატე, თქვენი მეგობარი და მოკავშირე, გთხოვთ თქვენ, თავის მეგობრებსა და მოკავშირეებს (ასე სწერია ხელშეკრულებაში)", დაგვეხმაროთ ჩვენ,

ნიკომედის მიერ შეურაცხყოფილთ, ანდა აუკრძალეთ მას ჩვენთვის შეურაცხყოფის მოყენება"[1].

რა თქმა უნდა, მითრიდატემ იცოდა, რომ რომაელები ასე არ მოიქცეოდნენ, როგორც იგი მათგან მოითხოვდა, მაგრამ რომაელები ამაზე უარის თქმით, აშკარად დაადასტურებდნენ, რომ ნიკომედი მათი წაქეზებით მოქმედებდა. ეს იყო მითრიდატეს შესანიშნავი დიპლომატიური სვლა: რომაელები ხელშეკრულებათა დამრღვევად და პონტოზე თავდამსხმელებად გამოდიოდნენ, რითაც მითრიდატეს ხელში ეძლეოდა casus belli.

მაგრამ არც ხომ რომაელები იყვნენ გამოუცდელი გულუბრყვილოები. პირიქით, მათ მდიდარი გამოცდილება ჰქონდათ ამგვარ საქმეებში.

რომაელები ნიკომედის ელჩების პირით ამხილდნენ მითრიდატეს. ისინი მიუთითებდნენ მითრიდატეს უჩვეულო ფართო სამხედრო სამზადისზე და განუმარტავდნენ, რომ მითრიდატე, რომელსაც ეშინიან რომაელთა „მზარდი ძალისა, ამზადებს თავდასხმას ნიკომედზე, რათა ამით მიეცეს საბაბი თვით რომაელებზე თავდასხმისათვის"[2]...

ამ ნათქვამით რომაელებმა საკუთარი გულის ნადები გამოამჟღავნეს... თავიანთი განწყობა თვითვე ამხილეს...

მითრიდატეს წარმომადგენელმა კვლავ კატეგორიულად მოითხოვა: რომაელები ან დახმარებოდნენ მითრიდატეს, როგორც მათ მოკავშირესა და ნიკომედისაგან შეურაცხყოფილს, ეს ხომ მათ ხელშეკრულებით ევალებოდათ... მაგრამ თუ ეს უმძიმდათ, მაშინ განზე გამდგარიყვნენ.

პელოპიდემ რომაელ ჯარის სარდლებს უთხრა: „...მოგვმართავთ... დაეხმაროთ მითრიდატეს, უსამართლოდ, შეურაცხყოფილს, ანდა, ბოლოს, რომაელი ხალხის წარმომადგენლებო, ხელს ნუ შეუშლით მას თავი დაიცვას და ნუ შეიწუხებთ თავს ან ერთისა ან მეორისათვის მხარის დაჭერით"[3].

პელოპიდემ ეს რამოდენიმეჯერ გაიმეორა.

პონტოელი დიპლომატის მიზანი იყო: ა) გაეთიშა რომაელები და ბითინიელები, გაენაპირებინა ნიკომედი, რომელთანაც ანგარიშის გასწორება ადვილი იყო;

---

[1] აპიანე, 12.
[2] აპიანე, 13.
[3] აპიანე, 14.

ბ) წარმოედგინა რომაელები როგორც პონტოს სამეფოსთან დადებული ხელშეკრულების დამრღვევნი, თუ ისინი ნიკომედისთვის დახმარებაზე უარს არ იტყოდნენ, და

გ) გამოეყვანა რომაელები, როგორც მათი მოკავშირე მითრიდატეს სამეფოზე თავდამსხმელი აგრესორები.

ყველა ამის შედეგად, პონტოს სამეფოს, როგორც უსამართლო აგრესიის მსხვერპლს, სხვა რაღა უნდა დარჩენოდა, თუ არა, თავდაცვის მიზნით, იარაღისათვის მოეკიდნა ხელი.

პელოპიდის ამ დაჟინებითმა მიზანსწრაფვამ ერთგვარი ნაყოფი გამოიღო.

თუმცა, აპიანეს თქმით: „რომაელ სარდლებს უკვე დიდი ხანია გადაწყვეტილი ჰქონდათ ნიკომედისთვის დახმარების აღმოჩენა და მხოლოდ თვალთმაქცურად უსმენდნენ ამ კამათს, მაგრამ მაინც პელოპიდის ნათქვამითა და მითრიდატესთან დადებული სამეგობრო კავშირით,—რაც ძალაში რჩებოდა,—დარცხვენილნი, დიდხანს ყოყმანობდნენ, თუ რა პასუხი გაეცათ“ [1].

პელოპიდემ, როგორც იტყვიან, ნიშანში მოარტყა.

რომაელი სარდლები საგონებელში ჩაცვივდნენ.

მათ მხოლოდ ის მოახერხეს, ორჭოფულად განეცხადებინათ, რომ ისინი ვერ მოითმენენ, რომ მითრიდატეს რაიმე უსიამოვნება შეხვდეს, მაგრამ არც იმას მოითმენენ, რომ მითრიდატემ ნიკომედეს ომი აუტეხოს [2].

პელოპიდემ მყისვე შეუბრუნა სიტყვა და ამხილა ამ განცხადების გაურკვევლობა და ორჭოფობა... მან რომაელები დიპლომატიურ პაექრობაში დაამარცხა...

რომაელმა სარდლებმა მსჯელობის გაგრძელება აღარ მოისურვეს და პელოპიდე ბჭობიდან დაითხოვეს.

აშკარა იყო, რომ რომაელებმა დიპლომატიური მარცხი განიცადეს, პელოპიდე კი დიპლომატიურად გამარჯვებული დაბრუნდა პონტოში.

მითრიდატეს დიპლომატიური სვლის მიზანი გამართლებული იყო: რომაელების აგრესია პონტოს მიმართ მხილებულ იქნა.

მაგრამ მითრიდატე ამით არ დაკმაყოფილდა.

საჭირო იყო მითრიდატეს, ერთის მხრივ, ეჩვენებინა რომაელებისათვის თავისი საკუთარი ძალა, ხოლო, მეორეს მხრივ, ხელთ-

---

[1] აპიანე, 14.

[2] იქვე.

ეგდო საჭირო პოზიციები, მაგრამ ისე, რომ რომაელებისათვის ომი არ გამოეცხადებინა.

ამ მიზნით, მან თავისი ვაჟი არიარატე ჯარით გაგზავნა კაპადოკიაში. არიარატემ გააძევა კაპადოკიის მეფე არიობარზანი და თითონ იგდო ხელთ ძალაუფლება.

ამავე დროს, მითრიდატემ ნაცადი პელოპიდი გაგზავნა იმავ რომაელ სარდლებთან, რათა მას მათთვის დიპლომატიური ბურუსით აეხვია თვალი და თანაც დაერწმუნებინა, რომ პონტოს სამეფოს ირგვლივ დიდი ძალა იყო თავმოყრილი, რომელთან ბრძოლაც რომაელებს სიკეთეს არ უქადდა, იმ გართულებულ პირობებში, რომი რომ განიცდიდა.

პელოპიდის მიერ რომაელ ჯარის სარდლების წინაშე წარმოთქმული სიტყვა მრავალმხრივ არის საინტერესო. ამ სიტყვიდან აშკარა ხდება ის საერთო სიტუაცია, რომელშიაც აღმოცენდა პირველი ომი რომსა და პონტოს შორის.

აშკარა ხდება, თუ მითრიდატე რაოდენ სერიოზულად მოემზადა ამ დიდი ომისთვის, თუ რა უამრავ ძალას მოუყარა მან თავის ხელში თავი.

აშკარა ხდება, თუ რა საშინაო და საგარეო გართულებები ღრღნიდა რომის სამხედრო ძლიერებას.

აშკარა ხდება, რომ მითრიდატე რომაელებს აკისრებს დანაშაულს იმ ომისათვის, რომელიც პონტოსა და რომს შორის უკვე ფაქტია.

აშკარა ხდება, თუ რაოდენ ნათლად ჰქონდა შეგნებული მითრიდატესა და მის სამეფო კარს მთელი ის ვითარება, რომელშიაც მოუხდებოდათ მცირე აზიის ხალხებს ბრძოლა თვითარსებობის შენარჩუნებისათვის, იმ ძალის წინააღმდეგ, რომელიც ლამობდა მთელი ქვეყნის დოვლათის შთანთქმას და რომელსაც აზიის რაიონებში უკვე ფეხი ჰქონდა მოკიდებული.

მიუხედავად მისი სიდიდისა, პელოპიდის ეს სიტყვა, უნდა სრულად მოვიტანოთ, მით უმეტეს, რომ აქედან აპიანეს წყაროების სანდოობაც გამოსჩანს.

რომაელ სარდლებთან ხელმეორედ მისულმა პელოპიდემ უთხრა მათ: „თქვენ უკვე მოისმინეთ, რომაელებო, რა შეურაცხყოფა მიადგა თქვენგან მეფე მითრიდატეს, როდესაც ცოტა ხნის წინათ თქვენ მას წაართვით ფრიგია და კაპადოკია; მეორეს მხრით, რაც ნიკომედემ თქვენს თვალწინ მას ვნება მიაყენა, თქვენ უყურადღებოდ დასტოვეთ. როდესაც ჩვენ შევახსენეთ ჩვენი მეგობრობა და კავშირი, თქვენ გვიპასუხეთ ისე, თითქოს ჩვენ კი არა ვჩიოდით,

არამედ ჩვენ გვიჩიოდნენ, გვითხარით რა, რომ თქვენ რომაელთა საქმისათვის საზიანოდ მიგაჩნიათ, თუ ნიკომედი რამე ზარალს განიცდისო — გეგონება, ის შეურაცხყოფილი ყოფილიყოს. თქვენ გასცემთ პასუხს რომის სენატს, იმისათვის, რაც მოხდა კაპადოკიაში; ხომ იმის გამო, რომ თქვენ ასეთი ზიზღით მოგვეპყარით და ასეთი თვალთმაქცური პასუხი გაგვეცით, მოიქცა მითრიდატე ასე. იგი გაგზავნის თქვენ შესახებ საჩივრით თავის ელჩებს თქვენს სენატში; იგი მოგიწოდებთ თქვენ, რათა თქვენ თავი იმართლოთ სენატის წინაშე თქვენი მოქმედების გამო და იქამდე არ დაიწყოთ ესოდენ დიდი ომი, ვიდრე სენატის ნებასურვილი არ იქნება, მიიღებთ რა მხედველობაში, რომ მითრიდატე მეფობს თავის სამემკვიდრეო ქვეყანაში, რომელიც გადაჭიმულია ოციათასი სტადიონის სიგრძეზე, და ამას გარდა, მან თითონ მოიპოვა მრავალი მოსაზღვრე ქვეყანა: კოლხები — ეს ომიანობისათვის გიჟი ტომი, ხოლო ელინთაგან ისინი, ვინც პონტოს სანაპიროზე ცხოვრობენ, და ბარბაროსები, რომლებიც მათ ჩრდილოეთით ცხოვრობენ. მის მეგობრებად, რომელნიც მზად არიან შეასრულონ, რასაც კი იგი უბრძანებს, არიან: სკვითები, ტავრის მცხოვრებნი (ტავრები), ბასტერნები, თრაკიელები, სარმატები და ყველა ისინი, ვინც ცხოვრობენ ტანაისისა და ისტროსის გასწვრივ, აგრეთვე მეოტიის ტბის ირგვლივ. სომხეთის მეფე ტიგრანი მისი სიძეა, ხოლო პართელთა მეფე, არსაკი — მეგობარი. ხომალდები აუარებელი აქვს, რომელთა ნაწილი მზად არის, ნაწილი კი შენდება, და აღჭურვილობა ყოველმხრივ ყურადღების ღირსი“[1].

„ხავსებით მართალია ისიც, რაც ამას წინათ გითხრეს თქვენ ბითინიელებმა ეგვიპტისა და სირიის მეფეთა შესახებ; სრულიად ბუნებრივია, რომ არა მხოლოდ ისინი შემოგვიერთდებიან, თუ ომი გაჩაღდა, არამედ აგრეთვე თქვენს მიერ ახლად შემოერთებული აზია, ელადა, ლიბია და თვით იტალიის დიდი ნაწილი, რომელსაც ვეღარ აუტანია თქვენი გაუმაძღრობა და ანგარება, უკვე ეხლავე ეწევა თქვენთან შეურიგებელ ომს. არ შეგწევთ რა ძალა ჯერ ის დაასრულოთ, თქვენ ცდილობთ ახალი ომის დაწყებას მითრიდატესთან, ასისიანებთ რა მის წინააღმდეგ ჯერ-ჯერით ნიკომედსა და არიობარზანს. თქვენ ამბობთ, რომ მეგობრები და მოკავშირეები ხართ და ასეთ ნილაბსაც ატარებთ, ხოლო მას კი ეპყრობით როგორც მტერს. მაშ ასე! თუ ეხლაც რამემ გაიძულათ შეცვალოთ თქვენი დამოკიდებულება მომხდარი ამბების მიმართ —

---

[1] ვ ი ა ნ ე, 15.

ან აუკრძალეთ ნიკომედს თქვენი მეგობრების შეურაცხყოფა (და თუ თქვენ ამას იზამთ, მაშინ მე პირობას გაძლევთ, რომ მეფე მითრიდატე ალმოგიჩენთ დახმარებასა და ხელის შეწყობას იტალიელების წინააღმდეგ), ან გასწყვიტეთ ეს თვალთმაქცური მეგობრობა ჩვენთან, ან წარვდგეთ რომში სამსჯავროს წინაშე"[1].

გარდა იმ მნიშვნელობისა, რომელიც აქვს პელოპიდის სიტყვას, როგორც პონტოსა და რომს შორის ომის დაწყების წინ სიტუაციის მაუწყებელს, იგი სხვა ძვირფას ცნობებსაც შეიცავს, რასაც დღემდე ყურადღება არ ექცეოდა.

პირველ ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ პართელთა მეფე არსაკი ამ სიტყვაში გამოცხადებულია მითრიდატეს მეგობრად, რომელიც თურმე, მითრიდატესა და რომაელებს შორის ომის ატეხის შემთხვევაშიც, მის მეგობრადვე დარჩება.

თუ არ არსებობს რაიმე საფუძველი აპიანეს ეს ცნობა ნაყალბევად მივიჩნიოთ, მაშინ ამით საინტერესო მომენტს ვეცნობით[2].

მითრიდატემ რომაელების წინააღმდეგ ომი მოამზადა არა მხოლოდ სამხედრო თვალსაზრისით, არამედ დიპლომატიურადაც. როგორც ჩანს, მას თავის სიძე ტიგრანთან ერთობლივი მოქმედების ხელშეკრულება დაუდვია, ხოლო პართიის მეფესთან კი, თავდაუსხმელობის, თუ ნეიტრალიტეტის შეთანხმება ჰქონია, მეტი რომ არ ვივარაუდოთ „მეგობრობის" გამონათქვამის საფუძველზე.

ამგვარად, ეს ცნობა, ერთის მხრივ, ამდიდრებს ჩვენს ცოდნას მითრიდატეს საქმიანობის შესახებ, აფართოებს მოქმედების არეს და, მეორეს მხრივ, გვაუწყებს, რომ იმ ამბებისაგან, რაც მცირე აზიაში მზადდებოდა, პართიაც შორს არ იდგა, მითრიდატეს მიერ რომის ექსპანსიის წინააღმდეგ დიდი ომის გეგმა პართიისათვის ცნობილი იყო და იგი მზად იყო არ შეეშალა ხელი იმისათვის, რომ რომის ძლიერებას აღმოსავლეთში ფრთა შეჰკვეცოდა, რაც პართიისთვის სასურველი იქნებოდა.

უფრო მნიშვნელოვანია პელოპიდის სიტყვაში მოწოდებული მეორე ცნობა, რომელიც ელინებს ეხება.

პელოპიდი ამბობს, რომ მამაპაპეულ სამფლობელოთა გარდა, მითრიდატემ თვით დაიპყრო სხვა ოლქები და ხალხები და მათ

---

[1] აპიანე, 16.

[2] გავიხსენოთ, რომ მემნონის ცნობითაც, მითრიდატემ: „...მიიმხრო პართელები, მიდიელები"...იხ. 'Περὶ Ἡρακλείας. წ. XV, XXX.

შორის „ელინთაგან ისინი, ვინც პონტოს სანაპიროზე ცხოვრობენო“ [1].

ეს ისეთი ხასიათის ცნობაა, რომელიც ერთგვარად, არა პირდაპირ მიუთითებს პონტოს სამეფოს მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობაზე.

ამ ცნობიდან, პირველ ყოვლისა, ირკვევა, რომ მითრიდატეს სამეფოს მოსახლეობის შემადგენლობაში ბერძნების მხოლოდ ის ნაწილი შედიოდა, რომელიც პონტოს სანაპირო ქალაქებში იყო თავმოყრილი და ისიც იმის შემდეგ, რაც ეს ქალაქები პონტოს სამეფოს დაექვემდებარა მისი ძლიერების დროს.

მაშასადამე, პონტოს სამეფოს ძირითადი მოსახლეობა სხვა ტომებისაგან შესდგებოდა, რომელთა შორისაც ბერძნები არ იყვნენ.

ეს გარემოება ფრიად მნიშვნელოვანია, რადგან მკვლევართ ნათელი წარმოდგენა არა აქვთ პონტოს სამეფოს მოსახლეობაზე, ბერძნული საკუთარი სახლები მათ ყალბ წარმოდგენას უქმნიდა ამ მხრივ.

ლაპარაკობენ რა პონტოს სამეფოზე, ყოველთვის როდი აქვთ მკვლევართ წარმოდგენილი ის ეთნიკური სამყარო, რომლის მოსახლეობაც წარმოადგენდა ძირითად ელემენტს. ისინი მხოლოდ ბუნდოვნად გულისხმობენ რაღაც ტომებს, მაგრამ მათი ნამდვილი სახე და ვინაობა მათთვის გაურკვეველია.

მეცნიერების დღევანდელ სტადიაზე გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ როგორც ზემოთ იყო გამორკვეული, პონტოს სამეფოს ტერიტორია ძირითადად დასახლებული იყო ქართველი ტომებით და მითრიდატე ევპატორი იყო ამ სამყაროს მედროშე, რომელსაც სიცოცხლის უნარს, ამ ტომთა ცხოვრება და შემოქმედება შთაჰბერავდა.

პელოპიდის ენერგიულმა დემარშმა რომაელ სარდლებს თავიანთ განზრახვაზე ხელი ვერ აღებინა და მოლაპარაკების დამთავრებისთანავე: „არ დაუცადეს რა სენატის ან სახალხო კრების გადაწყვეტილებას ესოდენ მნიშვნელოვანი ომის შესახებ, ისინი შეუდგნენ ჯარის შეგროვებას“ [2]...

აპიანეს ეს შენიშვნა, რომ რომაელი სარდლები, თითქოს, თვითნებურად მოქმედებდნენ, რომის უმაღლესი ორგანოების სანქციის მიუღებლად, ძნელი დასაჯერებელია.

---

[1] აპიანე, 15.

[2] აპიანე, 17.

რასაკვირველია, ურჩობისა და თავნება საქციელის ჩადენა ვინმეს მიერ გამორიცხული არ არის. მაგრამ ძნელი წარმოსადგენია ისეთ დისციპლინებულ არმიაში, როგორც რომის არმია იყო, უბრალო ჯარის სარდლებს ასეთს საპასუხისმგებლო უბანზე, როგორიც იყო მცირე აზიის ფრონტი, თავის თავისთვის უპასუხისმგებლო მოქმედების უფლება მიეცათ. საფიქრებელია, რომ მათ უმაღლესი ორგანოებისაგან თუ არა, სათანადო უმაღლეს მოხელეთაგან კი, უნდა ჰქონოდათ ჩუმი თანხმობა მათი მოქმედებისათვის. იმ სიტუაციაში, რომელიც რომსა და პონტოს შორის სამხედრო კონფლიქტს ამზადებდა, რომაელ სათანადო უმაღლეს მოხელეთა ასეთი მისწრაფება არა თუ უადგილო არ იქნებოდა, არამედ სრულიად ბუნებრივი უნდა ყოფილიყო.

ამასთანავე, ძნელი წარმოსადგენია, რომ აღმოსავლეთში ასეთ გართულებულ ვითარებაში, რომის უმაღლეს სახელმწიფოს ხელმძღვანელებს ასე უყურადღებოდ მიეტოვებინათ ეს უბანი და თავისი ჯარის უფროსებისათვის სრულიად უკონტროლო, თვითნებური თარეშის უფლება მიეცათ... რასაც შეიძლებოდა უაღრესად სერიოზული და სახიფათო შედეგები მოჰყოლოდა.

რომაელების მხრივ ასეთი საქციელი ის ტაქტიკური მანევრი იყო, რომელიც მიზნად ისახავდა საქმის ვითარება ისე მოეჩვენებინა, თითქოს მცირე აზიაში მყოფი რომაელი ჯარის ოპერაციები მათი უფროსების თვითნებობიდან გამომდინარეობდა და რომის ხელისუფლებას მასში წილი არ უდევს. ამით რომის ხელისუფლებას სურდა დიდი ომის გზაზე რომაელთა მიერ გადადგმული ნაბიჯები შეძლებისდაგვარად შეუმჩნეველი დარჩენილიყო და ამასთანავე, ომიანობის ატეხის ინიციატორის სახელიც თავიდან აეცდინა.

რომის ხელისუფალნი ფარული გზით უგზავნიდნენ, უთუოდ, თავიანთ სარდლებს დირექტივებს, თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ, ოფიციალურად კი, მათს მოქმედებაში მონაწილეობაზე შეიძლება, ხელსაც იბანდნენ.

რომაელები ხომ ასევე მოიქცნენ მითრიდატესთან მეორე ომის დროს. როდესაც მითრიდატემ რომში ელჩები გაგზავნა და იჩივლა, რომ რომაელთა ჯარის სარდალი არღვევს დარდანის ზავის პირობებს და პონტოს მიმართ აგრესიას ეწევაო, რომიდან მურენასთან,—რომაელთა ჯარის უფროსთან—გამოიგზავნა სპეციალური პირი კალიდიუსი.

თუ რა მისია უნდა შეესრულებინა კალიდიუსს, ამაზე აპიანე საინტერესოდ მოგვითხრობს. იგი ამბობს, რომ მურენას: „კალი-

დიუსმა არ გადასცა რაიმე დადგენილება, მაგრამ შეკრებილი ხალხის წინაშე მან ოფიციალურად უთხრა ტრიბუნიდან, რომ სენატი უბრძანებს მას თავი შეიკავოს მეფეზე თავდასხმისაგან, რადგან მასთან ხელშეკრულებაა დადებულიო. ამის შემდეგ ნახეს კალიდიუსი მურენასთან პირისპირ მოსაუბრე; მურენას არ აუღია არაფერში ხელი თავის განზრახვებზე, პირიქით, ამის შემდეგ დაიძრა მითრიდატეს მიწაწყლისაკენ. მაშინ მითრიდატემ გადაწყვიტა, რომ რომაელები მასთან ომს აწარმოებდნენ"[1].

ეს მაგალითი ნათლად მეტყველებს იმ მეთოდებზე, რომელიც რომაელთა დიპლომატიისთვის დამახასიათებელი იყო.

აქედან გამომდინარე, ადვილი გასაგებია, რომ რომაელები მითრიდატესთან პირველი ომის დაწყების წინაც მათთვის ჩვეულ ხერხსა და მეთოდს იყენებდნენ.

აპიანეს მონათხრობი, რომ რომაელი სარდლები რომის სახელმწიფო ორგანოებისა და უმაღლეს მოხელეთა დაუკითხავად მოქმედებდნენ, ცდაა იმისა, რომ პონტოსა და რომს შორის ომის ატეხის დანაშაული ააცილოს თავიდან რომაელებს და მითრიდატეს გადააბრალოს.

შესაძლებელია, ეს მასალა აპიანემ რომელიმე პრორომაული პირველწყაროდანაც ამოიღო.

რომაელმა სარდლებმა დიდძალ ლაშქარს მოუყარეს თავი, ფლოტით ჩაკეტეს პონტოში შესავალი და სამად გაყოფილი ლაშქრით, სამი სარდლის მეთაურობით, სამ ბანაკად დაეწყვნენ.

რათა წარმოდგენა ვიქონიოთ ამ ომიანობის მასშტაბზე, საჭიროა მოვიტანოთ ცნობები იმ ძალთა რაოდენობაზე, რომელიც ორივე მებრძოლ მხარეს გააჩნდა...

თუმცა შესაძლებელია, პირველწყაროთა ეს ცნობები რამოდენიმედ უნდა გადაჭარბებული იყოს, მითრიდატეს მიმართ მაინც.

დავკმაყოფილდეთ მხოლოდ აპიანეს მიერ მოწვდილი ცნობებით. აპიანეს თქმით, რომის თვითეულ სარდალს თავის განკარგულებაში ჰყავდა: 40 ათასამდე ქვეითი და 4 ათასამდე ცხენოსანი (რაც სამზე გამრავლებული იქნება 120.000 ქვეითი და 12.000 ცხენოსანი). მათთან ერთად იყო ნიკომედიც, რომელსაც ყავდა 50.000 ქვეითი და 6.000 ცხენოსანი.

სულ ერთად რომაელთა მხარეზე იყო 170 ათასი ქვეითი და 18.000 ცხენოსანი.

---

[1] აპიანე, 65.

მითრიდატეს თავისი საკუთარი ჯარი ჰყავდა 250.000 ქვეითი და 40.000 ცხენოსნის რაოდენობით.

ამას გარდა, მითრიდატეს ვაჟმა არკათიმ მცირე სომხეთიდან მოუყვანა მამას 10.000 ცხენოსანი, ხოლო კრატერმა 130 საბრძოლო ეტლი.

მითრიდატეს მომზადებული ჰქონდა სამხედრო ხომალდი დახურული ბაქნით 300, და ორი რიგი ნიჩბებით 100.

მითრიდატეს ჯარის სარდლებად იყვნენ ძმები ნეოპტოლემე და არქელაოსი.

მაგრამ ჯარის უმეტეს ნაწილს მითრიდატე თითონ სარდლობდა.

მითრიდატეს უპირატესობას, გარდა მებრძოლთა რიცხობრივი სიჭარბისა (თუ კი აპიანეს ცნობა ჭეშმარიტია), შეადგენდა მისი ძლიერი ფლოტი და საბრძოლო ეტლები.

მითრიდატეს სამხედრო ნიჭზე მიუთითებს მის მიერ რომაელებთან ბრძოლის მოლოდინში მძლავრი ფლოტის შექმნა.

საქმე ის არის, რომ რომაელებს აღმოსავლეთში სუსტი ფლოტი გააჩნდათ და მაშასადამე, ზღვაზე და კომუნიკაციებზე ბატონობა, რასაც ომის წარმოებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, მითრიდატესთვის უზრუნველყოფილი იყო.

ამას გარდა, ფლოტს უნდა გაეადვილებინა მითრიდატესთვის საომარი ოპერაციების წარმოება, ხელს შეუწყობდა რა ჯარისა და საჭურვლის, აგრეთვე სანოვაგის გადაზიდვას მისი სამეფოს რომელიმე ნაწილიდან სასურველ პუნქტში.

ფლოტი აადვილებდა აგრეთვე კომუნიკაციებს.

ომის დასაწყისშივე, მითრიდატეს მიერ რომაელთა სახმელეთო ჯარზე მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ, პონტოს შესავალში მდგომი რომაული ფლოტის უფროსები შეშინდნენ, „იქიდგან წავიდნენ და გადასცეს მითრიდატეს პონტოს გასაღები და ხომალდები, რაც კი იქა ჰქონდათ“ [1].

ამრიგად, მითრიდატემ, ადვილად მოიპოვა ზღვაზე ბატონობა.

თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მებრძოლ მხარეებისთვის ფლოტსა და ზღვაზე ბატონობას, იქიდანაც ჩანს, რომ პირველი ომის დასასრულს, ზავის ჩამოგდების უპირველეს პირობად, სულამ მოითხოვა მითრიდატესაგან, რათა ამ უკანასკნელს რომაელებისათვის გადაეცა მთელი თავისი ფლოტი [2].

---

[1] აპიანე, 19.

[2] აპიანე, 55.

ომში უპირატესობის მოსაპოვებელი საშუალების — საზღვაო ფლოტის შექმნა, მითრიდატესა და მის სამხედრო თანამოღვაწეთა დიდ მიღწევად და სამხედრო ისტორიაში თვალსაჩინო მოვლენად არის მისაჩნევი.

მითრიდატემ პირველივე შეტევისთანავე დაამარცხა მოწინააღმდეგენი და აპიანეს თქმით: „ამ ერთი ელვისებური შეტევით, ხელთ იგდო ნიკომედის სამეფო“ [1].

გაქცეულ ნიკომედის ბანაკი, უამრავი ფულითა და აუარებელი ტყვეებითურთ, მითრიდატეს ჩაუვარდა ხელში.

ნიკომედისა და რომაელ სარდალთა დამარცხების შედეგად რაც ტყვეები ჩაუვარდა ხელში, მითრიდატემ ყველა გაანთავისუფლა, საგზაო ფული მისცა და შინ გაგზავნა.

მითრიდატეს ეს საქციელი წარმოებული ომის პერსპექტივიდან გამომდინარეობდა.

ტყვეებს მითრიდატე არ საჭიროებდა — ცოცხალი ძალის რესურსები მას ბლომად გააჩნდა, მათი დატოვება მხოლოდ ხარჯებს გაზრდიდა, განთავისუფლებას კი მორალური მნიშვნელობა ჰქონდა — ამით იგი კაცთმოყვარეობის სახელს დაიმსახურებდა.

ამას უნდა სათანადო გამოძახილი ეპოვნა იმ ქვეყნებში, საიდანაც ეს ტყვეები იყვნენ და სადაც, ალბათ, მოუხდებოდა ბრძოლების წარმოება მითრიდატეს. მის ასეთ საქციელს ამ მხარეთა მოსახლეობის გარკვეული ნაწილი მაინც მის სასარგებლოდ უნდა განეწყო.

მითრიდატეს ეს საქციელი ის ღონისძიება იყო, რომლითაც საზოგადოებრივი აზრის მონადირება შეიძლებოდა; ეს საზოგადოებრივ აზრზე ზეგავლენის ეფექტური იარაღი იყო.

აპიანეს შეფასებით, მითრიდატემ: „შეიქმნა ამით მტრის ქვეყანაში მოწყალის სახელი“ [2]. ამით იგი „პოპულარობას იქმნიდა მტრებში“ [3].

მართლაც, მითრიდატემ ამით ბევრს მიაღწია. მისი ასეთი მოქმედება, ტყვეების მიმართ ლმობიერების გამოჩენა, მით უფრო ეფექტური უნდა ყოფილიყო, რომ ამ მხარეების მოსახლეობა უზომოდ იყო შეწუხებული და შეურაცხყოფილი, რომაელთაგან განცდილი ჩაგვრა-შევიწროვებისაგან.

---

[1] აპიანე, 20.
[2] აპიანე, 18.
[3] იქვე, 19.

რათა ნათელი გახდეს მითრიდატეს ამ ტაქტიკის გონივრულობა და მიზანშეწონილობა, თანაც ის ეფექტი, რაც ამან გამოიწვია; რათა ნათელი გახდეს, რომ მითრიდატეს ამ ტაქტიკამ მის სამხედრო ძლიერებასთან ერთად, მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მის წარმატებებს, უნდა კვლავ გავიხსენოთ, თუ რომაელთა ბატონობის ქვეშ მყოფი აღმოსავლეთის რაიონების მოსახლეობა რა რიგ სავალალო მდგომარეობაში იყო.

პონტოსა და რომს შორის დიდი ომის აღმოცენებისა და მიმდინარეობის პერიოდში არსებული სიტუაცია არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ, რათა მოვლენები ჩვენთვის გასაგები იყოს.

პლუტარქე, რომელიც რომაელთა სასარგებლოდ არის განწყობილი და მაშასადამე, იგი არა თუ გადაჭარბებას არ ეცდებოდა, არამედ რომაელთა ბოროტმოქმედებას უფრო მიჩქმალავდა, მაინც რომაელთა ხელში აზიის რაიონების მოსახლეობის მდგომარეობას ასე აგვიწერს. იგი წერს, რომ აზიის: „პროვინცია დიდი ხნის ნაკლებობისაგან დაუჯერებელ და გამოუთქმელ სილატაკეში იყო ჩავარდნილი. ხარკის ამკრებნი და გადამყიდველები აზიის მცხოვრებთ სძარცვავდნენ და მონებად აქცევდნენ. კერძოდ, ისინი იძულებული იყვნენ გაეყიდათ თავიანთი ლამაზი ვაჟები და ქალები, ხოლო საზოგადო საჩუქრებად ტაძრების შესაწირავები, თავიანთი ღმერთების სურათები და წმინდა წამოსასხამები. წამება, რომელიც წინ უსწრებდა მონობას, მონობაზე საშინელი იყო. ხმარებაში იყო წკეპლებით ცემა, ჯურღმულებში ჩაყრა, სიცხე-პაპანაქების დროს მზის პირისპირ დაყენება, სიცივეში ტალახში ჩაფვლა, ან წყალში ჩაყენება, ასე რომ მონობა ბევრისათვის უფრო ადვილი, შემსუბუქება და სიმშვიდე იყო“[1].

ასეთ ვითარებაში მითრიდატეს მიერ სამხედრო ტყვეებისადმი ასეთი ჰუმანური მოპყრობა დიდი შთაბეჭდილების მომხდენი უნდა ყოფილიყო და მისთვის მართლაც კაცთმოყვარის სახელი უნდა გაეთქვა.

მითრიდატეს მიერ ეს გონივრულად იყო მომარჯვებული და მას დიდი შედეგიც მოუტანა. მაშასადამე, საომარ მოქმედებათა დაწყების დღიდანვე, სამხედრო უპირატესობაც და მორალური განწყობილებაც მითრიდატეს მხარეზე იყო.

ამ დასაწყის ბრძოლებში, როდესაც პონტოს ჯარებს მითრიდატე თითონ სარდლობდა, მან გამარჯვება მოიპოვა მტერზე, აპიანეს თქმით: „სარდლებისა და ჯარის სიმამაცის წყალობით“[2].

---

[1] სანიკიძე, პონტოს სამეფო, გვ. 86.

[2] აპიანე, 19.

არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ის მორალური გამარჯვება, რომელიც მოიპოვა მითრიდატემ თავისი ტაქტიკის წყალობით. გააძევა რა რომაელი მოხელენი, მითრიდატემ თავისი მოხელეები დაუნიშნა აზიის ტომებს და მიმოვიდოდა რა მათ შორის, როგორც აპიანე მოწმობს: „მათ მეგობრულად მიიღეს იგი. ხოლო ეფესის მცხოვრებლებმა დაამსხვრიეს მათში მყოფი რომაელთა ქანდაკებები[1]. ეს იყო სასტიკი განაჩენი რომაელთა ბატონობის მიმართ აზიაში. ეს იყო იმავე დროს, მითრიდატეს დიდი წარმატება, რაც შედეგად მოიტანა მის მიერ ვითარების კარგად ცოდნამ—მან ხომ ადრევე საგანგებოდ იმოგზაურა ამ ქვეყანაში, რათა ადგილობრივი ვითარების შესწავლაზე აეგო თავისი პოლიტიკა. მისმა წინდახედულობამ ბრწყინვალე შედეგი გამოიღო.

ასეთივე ხასიათისა იყო და სრულიადაც სოციალური რეფორმის რაიმე განზრახვასთან არ იყო დაკავშირებული, მითრიდატეს მეორე ღონისძიება, რომელსაც მან მიმართა იმ მხარეებში, გამარჯვების შედეგად რომ შემოიერთა.

რათა მეტად გაეღვივებინა რომაელთადმი სიძულვილი და შურისგების ის ცეცხლი, რომელიც რომაულ პროვინციებში უკვე გაჩაღდა, მითრიდატემ ბრძანა ამოეხოცნათ ყველა იტალიელი; რომაელთა მიმართ, რაიმე შებრალებისა და თანაგრძნობის გამოჩენაც სასტიკად უნდა დასჯილიყო.

რათა ეს განკარგულება მთელი სისასტიკით გატარებულიყო, რომ ბოლო მოჰღებოდა რომაელთა ბატონობას აღმოსავლეთის პროვინციებში და აღმოფხვრილიყო მათთვის მომავალში აქ კვლავ ფეხის მოკიდების შესაძლებლობა; მითრიდატე სასჯელით დაემუქრა იმათ, ვინც რომაელებისადმი რაიმე გულჩვილობას გამოიჩენდა, და იმათ კი, ვინც მათს დახოცვაში მონაწილეობას მიიღებდა, მოკლულთა ქონება თანაბრად უნდა გაეყოთ ურთიერთშორის.

ჯილდოს მიიღებდა ისიც, ვინც რომაელთადმი გულშემატკივრობის ფაქტებს ამხელდა, ან მოჰკლავდა გადამალულ რომაელს; ამასთანავე, „აღუთქვა მონებს ბატონების დაბეზღებაში თავისუფლება, დავალიანებულთ, თავიანთი მევალის მიმართ ვალის ნახევარი“[2].

მითრიდატემ სასტიკ ღონისძიებას მიმართა აზიაში რომაელთა ბატონობის აღმოსაფხვრელად და ამ ბატონობის მომავალში განმეორების აღსაკვეთად, მაგრამ ამ სისასტიკეს საფუძველი რომაელთა აზიაში ბატონობის უხამსობაში მოეპოვებოდა.

[1] აპიანე, 21.

[2] აპიანე, 22.

აქ ერთი საჭირო კორექტივი უნდა იქნეს შეტანილი. ისტორიოგრაფიაში გაბატონებულია აზრი მითრიდატეს რაღაც განსაკუთრებული დამოკიდებულების შესახებ მონებთან, თითქოს მისი ასეთი დამოკიდებულება გამომდინარეობდა მისი სოციალური იდეებიდან... ხოლო მანანდიანი მითრიდატეს სოციალური რევოლუციის მოხდენასაც კი მიაწერს[1].

მასვე მითრიდატე მიაჩნია მოსახლეობის ექსპლოატირებული ნაწილის დამცველად[2].

მანანდიანის, ეს სრულიად უსაფუძვლო შეხედულებანი სამართლიანად არის უკუგდებული[3].

მაგრამ ბევრ მეცნიერს რაღაც სოციალური ელემენტი მითრიდატეს მონებისადმი ურთიერთობაში არსებით მომენტად წარმოუდგენია.

ეს მართალი არ არის.

აპიანეს ეს ადგილი მითრიდატეს ღონისძიებაზე მოგვითხრობს არა საერთოდ მონების მიმართ, არამედ იმ რომაელებისა და საერთოდ იტალიკური შთამომავლობის ხალხის მონების მიმართ, რომელნიც მითრიდატეს განკარგულების თანახმად, უნდა ამოეჟლიტათ აღმოსავლეთში.

საკმარისია ადამიანი ჩაუკვირდეს აპიანეს ტექსტს, რომ ეს ნათელი გახდეს.

ცხადია, რომ მითრიდატეს დაპირება მხოლოდ დასასჯელ რომაელთა მონებისა და მოვალეების მიმართ არის ნავარაუდევი და იგი სრულიადაც არ ეხება საერთოდ მონებსა და ბატონებს.

მითრიდატეს ეს ნაბიჯი მიზნად სრულიად კონკრეტულ რამეს ისახავდა: რომ სრულყოფილად შესრულებულიყო მისი განკარგულება რომაელთა ამოხოცვის შესახებ. მაშასადამე, ეს ერთ-ერთი დეტალი, ცალკეული მომენტი იყო, რომელსაც უნდა ხელი შეეწყო კონკრეტული მიზნის მიღწევისათვის.

რადგან მოსალოდნელი იყო, რომ წარჩინებული და მდიდარი რომაელები ყოველმხრივ ეცდებოდნენ თავის გადარჩენას, ამიტომ მითრიდატემ მათ მიუჩინა მათთვის ფიზიკურად ახლო მყოფი პირნი, რომელნიც დააინტერესა, რათა მათ თვალ-ყური ედევნებინათ ამ ხალხისათვის და ყველაფერი გამოემჟღავნებინათ, რის

---

[1] იხ. Манандян, op. cit., გვ. 15.

[2] იქვე, გვ. 39.

[3] Е. С. Голубцова, Северное Причерноморье..., გვ. 49.

სასყიდლადაც მონები თავისუფლებას, დავალიანებულნი კი, ვალის განახევრებას მიიღებდნენ.

სოციალური ზრუნვის ელემენტი სრულიად უცხოა მითრიდატესთვის ამ შემთხვევაში. რაც შეეხება იმას, რომ მითრიდატემ საომარი ოპერაციების დროს მის მიერ დაკავებულ ზოგ რაიონში ხალხი ხუთი წლით გაანთავისუფლა გადასახადებისაგან, ესეც იმ ხასიათის ღონისძიებაა, რომლის მიზანიც იყო მითრიდატეს ხელისუფლების პოპულარიზაცია და ემსახურებოდა მითრიდატეს ადგილობრივ დასაყრდენის მოპოვებას, შემდგომი წარმატებისათვის ხელის შესაწყობად.

აქაც მოქმედების სტიმული მითრიდატესთვის იყო არა სოციალური მომენტი, არამედ სახელმწიფო ინტერესით იყო იგი ნაკარნახევი.

ასეთსავე ასპექტშია განსახილველი მითრიდატეს მოქმედება ეფესსა და სხვა ქალაქებში; სწორედ აქ არის პირდაპირ ნათქვამი მის მიერ მონების განთავისუფლებასა და მეტეკებისთვის სრულუფლებიანობის მინიჭებაზე. ყველაზე მეტად ეს ცნობა ახდენს მკვლევრებზე შთაბეჭდილებას და ჰგონიათ, რომ მითრიდატე ამ შემთხვევაში კი, უეჭველად, როგორც სოციალური რეფორმატორი მოქმედებდა. აღნიშნული ცნობა ასეთი დასკვნის გამოტანის არავითარ საფუძველს არ იძლევა.

გავარკვიოთ რა ვითარებაში მიმართა მითრიდატემ აღნიშნულ ღონისძიებას მონებისა და მეტეკების მიმართ.

ამ ცნობის გადმოცემის წინ, აპიანე მოგვითხრობს, რომ მითრიდატეს ბრძანებით, მისმა სარდალმა ზენობიმ სასტიკად დასაჯა ქიოსის მცხოვრებნი, იმის გამო, რომ ისინი „რომაელებისადმი მიდრეკილებას“ იჩენდნენ[1].

ქიოსელების უბედურებით შეშინებულმა ეფესელებმა თავდასაცავად გამოიღეს ხელი და მოჰკლეს ზენობი, მათ მიჰბაძეს: „ტრალის მცხოვრებლებმა, ჰიპეელებმა, მესოპოლისელებმა, და ზოგიერთმა სხვებმა“[2].

ამხედრებული მოსახლეობის დასასჯელად, მითრიდატემ ჯარი გაგზავნა და „ვინც ხელთ იგდო, საშინელი სისასტიკით მოეპყრო“[3]. და მერე განაგრძობს აპიანე, რომ მითრიდატემ ასე სასტიკად გაუსწორა ანგარიში ამბოხებულთ: „მაგრამ შემდგომისთვის

---

[1] აპიანე, 46—47.
[2] აპიანე, 48.
[3] იქვე.

შეეშინდა რა, მიანიჭა თავისუფლება ბერძნულ ქალაქებს, გამოაცხადა ვალების გაუქმება, მეტეკები ყველა ქალაქში სრულუფლებიან მოქალაქეებად გახადა, მონები კი—გაანთავისუფლა“ (აპიანე, 48).

მითრიდატეს მოქმედების სტიმული ზუსტად და ნიშანდობლივ აქვს გადმოცემული აპიანეს ამ სიტყვებით: „მაგრამ შემდგომისათვის შეეშინდა რა“.

მითრიდატემ გაითვალისწინა, რომ რომაელთა წინააღმდეგ წარმოებული ომის დროს მისთვის დიდად საზიანო იქნებოდა ბერძნულ მოსახლეობიან ქალაქებში მსგავსი მოვლენების განმეორება და ამ საფრთხის თავიდან აცილების მიზნით, გადასწყვიტა დათმობაზე წასულიყო მათ მიმართ. მან შეამსუბუქა სასტიკი სამხედრო რეჟიმი საერთოდ.

ეს ძირითადად მოსახლეობის უმაღლესი წრეების მისამართით იყო გაკეთებული.

მაგრამ, საჭირო იყო მოსახლეობის დაბალი წრეების გულის მოგება, რათა მათი სახით ქალაქების შიგნით მითრიდატეს თავისთვის დასაყრდენი გაეჩინა.

ამასთანავე, ასეთი მოქმედებით ის მოსახლეობის შორის მთლიანობის დარღვევას გამოიწვევდა, მოსახლეობას გასთიშავდა, ერთიმეორეს დაუპირისპირებდა, რითაც საკუთარი ბატონობისთვის ხელსაყრელ პირობას შექმნიდა და მის წინააღმდეგ მოსახლეობის ერთობლივ მოქმედებას შეუძლებელს გახდიდა.

სწორედ ამ მიზნით გააუქმა მან ვალები, მეტეკებსა და მონებს კი უფლებები მიანიჭა.

რომ მითრიდატეს მოქმედების სტიმული მართლაც მხოლოდ ეს იყო, ამას თვით აპიანევე ადასტურებს.

მითრიდატეს აღნიშნულ ღონისძიებას, ე. ი. ვალების გაუქმებასა და უუფლებოთათვის უფლების მინიჭებას, აპიანე ასეთ განმარტებას აძლევს: „მას იმედი ჰქონდა, რომ როგორც სინამდვილეში მართლაც მოხდა, დავალიანებულნი, მეტეკები და მონები მის მხარეზე იქნებოდნენ, რადგანაც ეცოდინებოდათ, რომ მხოლოდ მითრიდატეს ხელისუფლების დროს შერჩებოდათ მათ ბოძებული თავისუფლება“[1].

ამგვარად, ეს ელემენტები ქალაქებში მითრიდატემ თავისი რეჟიმის სადარაჯოზე დააყენა, მათი სახით იქ თავისი აგენტები და დასაყრდენი გაიჩინა.

როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაშიც მითრიდატე მოქმედებდა არა სოციალური რეფორმის რაიმე მისწრაფებით, არამედ

---

[1] აპიანე, იქვე.

უცხო რაიონებში საკუთარი ხელისუფლების განმტკიცების სურვილით.

ყველა ზემოთქმულის მიხედვით, უნდა დავასკვნათ, რომ სოციალური რეფორმიზმის ყოველგვარი ნატამალი მითრიდატეს მოღვაწეობიდან გამორიცხულია და ყოველგვარი ვარაუდი ამ მიმართულებით ყალბი და უმართებულოა.

ის გარემოება, რომ მითრიდატე ბერძნულ მოსახლეობიან ქალაქებში და სხვაგანაც „მეგობრულად მიიღეს“ [1] და მას ღმერთ დიონისეს უწოდებდნენ, გამოწვეული იყო იმ სიხარულით, რომელიც მათში აღძრა მითრიდატეს მიერ ამათთვის საძულველი რომაელთა მხრივ მჩაგვრელობის შემუსვრამ.

მაგრამ ყველა ერთბაშად როდი დადგა მითრიდატეს დროშისქვეშ.

მითრიდატეს მოუხდა დიდი ფლოტის აგება, რითაც მან ილაშქრა როდოსელების წინააღმდეგ.

როდოსელებთან პირველ საზღვაო ბრძოლებსაც მითრიდატე თითონ ხელმძღვანელობდა. პონტოს ფლოტმა გამარჯვება მოიპოვა. მაგრამ პონტოელებს გაუძნელდათ ნავთსადგურში ჩაკეტილ როდოსელებთან ბრძოლა... [2].

აქ კარგა ხანს უშედეგოდ დაყოვნებას ისიც დაერთო რომ, როდესაც „მითრიდატესთან მიცურავდა მისი ქვეითი ჯარი სამგზავრო გემებითა და ტრიერებით, კავნის მხრიდან ამოვარდნილმა მოულოდნელმა ძლიერმა ქარმა ფლოტი როდოსში შეამწყვდია. როდოსელებმა შესაძლებელი სისწრაფით გაცურეს რა ნავთსადგურში, ვიდრე მითრიდატეს ფლოტი ღელვას ებრძოდა და გაფანტული იყო, თავს დაესხნენ მას“ [3].

მითრიდატეს ფლოტმა აქ დამარცხება განიცადა...

საერთოდ ზღვა, ის სტიქიონი, რომელიც ესოდენ მშობლიური იყო მითრიდატესთვის, მას არა სწყალობდა. შეიძლება ითქვას, რომ ის მარცხი, რომელიც ზღვაზე ქარიშხლისაგან განიცადა მითრიდატემ შემდეგში, რის დროსაც კინაღამ თითონაც დაიღუპა და განადგურდა მისი ძირითადი ძალები,—იყო ერთ-ერთი არსებითი მიზეზი მითრიდატეს საბოლოო მარცხისა.

მითრიდატეს სახმელეთო ჯარმა არქელაოსის სარდლობით ელადაში წარმატებით აწარმოვა ბრძოლა, ხელთ იგდო იქ ათენი და სხვა პუნქტები.

---

[1] აპიანე, 21.
[2] აპიანე, 24.
[3] აპიანე, 26.

ამგვარად, ომის დაწყების პირველ პერიოდში მითრიდატემ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია, მაგრამ პონტოს ჯარის გამარჯვებებს მალე ფრთა შეეკვეცა.

რომში გადასწყვიტეს მითრიდატესთან ომის წარმოება ჩაებარებინათ ცნობილ სარდალ ლუციუს კორნელიუს სულასათვის.

სულამ მისთვის ჩვეული ენერგიულობით აწარმოვა ბრძოლა საბერძნეთში არქელაოსის წინააღმდეგ და სასტიკი, სისხლისმღვრელი შეტაკებების შემდეგ, გამარჯვება მოიპოვა.

არქელაოსზე სულას გამარჯვებას ხელი შეუწყო თვით სულას სამხედრო ნიჭმა, რომაელთა არმიის უკეთ შეიარაღებამა და გაწრთვნამ, დიდმა სამხედრო გამოცდილებამ და არქელაოსის მიმართ ღალატმა, იმ პირთა, რომელთა ვინაობაც ისტორიამ არ შემოგვინახა [1].

საბერძნეთში წარმოებული ბრძოლების ერთი მომენტის გაცნობაც წარმოდგენას მოგვცემს ამ ბრძოლების სიმძვინვარეზე.

ათენისა და პირეუმის ირგვლივ გაჩაღებული ბრძოლების ერთ მომენტს აპიანე ასე მოგვითხრობს: „პირეუმში, აამაღლა რა საკმარისად მიწაყრილი, სულა შეუდგა მანქანების მიზიდვას, მაგრამ არქელაოსმა თხრილი გააკეთა მიწაყრილის ქვეშ და დიდი ხნის განმავლობაში შეუმჩნევლად ეზიდებოდა მიწას; მიწაყრილმა უცბად ძირს დაწევა იწყო, რომაელებმა მოახერხეს სწრაფად შეენიშნათ ეს, უკანვე გაათრიეს მანქანები და ამოავსეს ყრილი. ამავე წესით მათ თავისი მხრით შეთხარეს კედლამდე, ისარგებლეს რა მათივე კვალით: და აი, მიწის ქვეშ ისინი ერთიმეორეს ეჯახებოდნენ და იმართებოდა ხელჩართული ბრძოლა ხმლებითა და შუბებით, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო ბნელში. ამასობაში სულა მიწაყრილიდან სხვადასხვა მოწყობილობათა საშუალებით ურტყამდა ტარანებით კედელს, ვიდრე მისი ნაწილი არ ჩამოინგრა; სურდა რა დაეწვა შორიახლოს მდგომი კოშკი, მან დაუშინა მას მრავალი ცეცხლგამჩენი ყუმბარა და ჯარისკაცთაგან, ყველაზე უფრო მამაცნი გაგზავნა კიბეებითურთ.

ორივე მხრით უდიდესი დაჭიმულობის შემდეგ, ბოლოს ცეცხლი წაეკიდა კოშკს და სულამ, დაანგრია რა კედლის ნაწილი, მაშინვე იქ სადარაჯო სიმაგრე დადგა. კედლის ძირგამოთხრილი საძირკველი, რომელიც მხოლოდ ძელებზედა იყო დაყრდნობილი, ცეცხლის ალში გახვიეს მოტანილი ასანთი მასალის საშუალებით. კედლის ნაწილები ერთიმეორეზე ჩამოინგრნენ და თან

---

[1] აპიანე, 31, 34, 35.

გადაიყოლეს ზედმდგომი მებრძოლები. ამ უდიდესმა და უცაბედად ყოველი მხრივ მოვლენილმა არეულობამ შეაშინა კედლის დამცველები, თითქოს ის კედელიც, რომელზედაც ისინი იდგნენ, საცაა დაეცემოდა. ამიტომ ისინი შეწუხებული იყურებოდნენ აქეთ-იქით; შიში აიძულებდა მათ ყველაფრისთვის ეჭვის თვალით შეეხედნათ და ამიტომ ისინი სუსტად იბრძოდნენ მტრის წინააღმდეგ“ [1].

მეორე ასეთი ბრძოლა, მიწისქვეშ, გაიმართა, ქ. თემისკირასთან მდ. თერმოდონტზე.

ამ ბრძოლას აპიანე ასე აგვიწერს: „იმათ, ვინც თემისკირას უტევდნენ, ააგეს მსხვილი კოშკები, გააკეთეს გრძელი თხრილები და ამოთხარეს მიწის ქვეშ ისეთი ღრმა სასვლელები, რომ მათში მიწის ქვეშ ერთიმეორეს ხელჩართულ ბრძოლას უმართავდნენ დიდი რაზმები. ხოლო თემისკირის მცხოვრებლებმა ამ სასვლელების ზემოთ ამოთხარეს საჭვრეტელი ორმოები და იქიდან უშვებდნენ იქ მომუშავეთა წინააღმდეგ დათვებსა და სხვა გარეულ მხეცებს, აგრეთვე ფუტკრის ჟოლს“ [2].

ამასთან ერთად, ზედმეტი არ იქნება გავეცნოთ ქალაქისათვის ალყის შემორტყმისა და იერიშისა, აგრეთვე ალყაში მოქცეულთა ბრძოლისა და თავდაცვის სურათს.

ერთ ასეთ ეპიზოდს აპიანე ასე გადმოგვცემს, მითრიდატე, „ნაგებობებით, რომლებიც მას ალყისთვის ჰქონდა მომზადებული, თავს დაესხა კიზიკს, ფიქრობდა რა, რომ ამით ერთსა და იმავე დროს თავის ცუდ პოზიციასაც გაიუმჯობესებდა და სანოვაგის სიმცირესაც შეანელებდა. რადგანაც მას, მისი ჯარის სიმრავლის გამო, ხალხი ჭარბად ჰყავდა, ამიტომ ქალაქს თავს ესხმოდა ყოველგვარი საშუალებით, გამოთიშა რა ნავსადგური ორმაგი კედლით და შემოარტყა რა ქალაქის დანარჩენ ნაწილებს ირგვლივ თხრილი. მან გააკეთა დიდი მიწაყრილები, ააგო მრავალი საიერიშო მანქანა, კოშკი და „კუ“ ტარანებისათვის, აღმართა მნგრეველი მანქანა ასი წყრთის სიმაღლისა, რომელზედაც დადგმული იყო მეორე კოშკი კატაპულტებით, რითაც ქალაქში ქვებს და სხვა სატყორცნ ნივთებს ისროდნენ. ნავთსადგურში ერთიმეორეზე გადაბმულ ორ პენტერს მიჰქონდა კიდევ კოშკი, რომლიდანაც გადმოუშვებდნენ ხოლმე ხიდს საგანგებო მოწყობილობის საშუალებით, როდესაც კედლებს მიუახლოვდებოდნენ“ [3].

---

[1] აპიანე, 36.
[2] აპიანე, 78.
[3] აპიანე, 73.

როდესაც ერთ დღეს მითრიდატეს ჯარებმა მესამეჯერ მიიტანეს იერიში კიზიკზე, დასძრეს რა მათ წინააღმდეგ ერთდროულად ყველა საიერიშო მოწყობილობანი: „კიზიკელები დიდ გაჭირვებაში ჩაცვივდნენ, რადგან ერთი ადგილიდან მეორეზე გადარბოდნენ, ეხმარებოდნენ რა იმ ადგილებს, სადაც სახიფათო მდგომარეობა შეიქმნებოდა. ტარანების ძელებს ისინი ქვებით ლეწდნენ, ისხლტუნებდნენ მათ, ანდა ლასტებით ანელებდნენ ძალას; გამონატყორცნ ცეცხლგამჩენ იარაღებს ისინი ხვდებოდნენ წყლითა და ძმრით, სხვებს კი უხვედრებდნენ ტანისამოსს ან გაუქმავ ქსოვილების ნაჭრებს და ამით აჩერებდნენ მათ; საერთოდ მათ ყველაფერი გამოიყენეს, რაც კი მამაც ვაჟკაცისათვის ხელმისაწვდომია; თუმცა ისინი ყველა ამ უშედურებას წინ აღუდგნენ დიდი სიმტკიცით, მაგრამ მტერმა მაინც მათი კედლის ნაწილი დაწვა და იგი საღამოს ჩამოინგრა. მაგრამ ცეცხლწაკიდებულ ნანგრევებზე ვერავინ შესძლო გადარბენა, ღამით კი კიზიკელებმა მყისვე აღადგინეს კედელი, ხოლო იმავე დღეს ამოვარდნილმა ქარიშხალმა დაამსხვრია მეფის დანარჩენი მოწყობილობანიც"[1].

სულას მოსვლისთანავე საბერძნეთში სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლები გაჩაღდა პონტოსა და რომაელთა ჯარებს შორის.

განსაკუთრებით მძიმე დამარცხება განიცადა არქელაოსმა ქერონეასთან ბრძოლაში. 86 წ. სულამ სძლია არქელაოსს, მაგრამ რომაელებს ძალიან ძვირად უჯდებოდათ თვითეული გამარჯვება. სწორედ აქ მოუხდა სულას იშვიათი სიმამაცის ჩადენა, რაც რომაელთა სამხედრო ისტორიაში საამაყო ეპიზოდად არის ჩათვლილი.

მეორე დიდი ბრძოლა სულასა და არქელაოსს შორის, რომელსაც მითრიდატემ 80.000 ახალი ჯარი გაუგზავნა, მოხდა ორქომენის მახლობლად.

არქელაოსის ცხენოსანი ჯარის მიერ დაშინებული რომაელები სიმხდალემ მოიცვა და სუსტად იბრძოდნენ. სულამ შეგონებითა და საჩუქრების აღთქმით სცადა გაემხნევებინა თავისი ჯარისკაცები, მაგრამ ამაოდ.

მაშინ სულა: „ჩამოხტა ცხენიდან, სტაცა ხელი დროშას და თავისი მცველი რაზმით ორივე ჯარის შუაში შეიჭრა მახვილით: „თუ ვინმემ გკითხოთ, რომაელებო, სად უღალატეთ თქვენს წინამძღოლს სულას, უთხარით: როდესაც ის ორქომენთან იბრძოდა თქო"[2].

---

[1] აპიანე, 74.

[2] აპიანე, 49.

მიუხედავად პირველი წარმატებებისა, რაც შედეგი იყო როგორც სამხედრო ძლიერებისა, ისე აღმოსავლეთის რაიონების მოსახლეობის ანტირომაული განწყობილებისა და თვით რომში არსებულ ვითარების გამო რომაელთა შედარებით სისუსტისა,—მითრიდატეს გამარჯვება ეფემერული გამოდგა.

მითრიდატეს მეთაურობით აზვირთებულ აღმოსავლეთის ხალხთა ბობოქარ ტალღას რომაელებმა დაუპირისპირეს დინჯი, ნაცადი პოზიციური ბრძოლა.

აღმოსავლეთის არმიის აღტყინება და მათი სარდლების ენთუზიაზმი უძლური აღმოჩნდა დისციპლინებული, წესრიგს მიჩვეული, მრავალ ხალხზე მრავალი გამარჯვების მომპოვებელი ჯარისა და ტაქტიკური ცოდნით შეიარაღებული რომაელი სარდლების ნაცადი წესის მიხედვით წარმოებულ შეტევასა და თავდაცვის მეთოდების წინაშე.

მაგრამ არც ბრძოლებში გამარჯვებული სულა იმკიდა მნიშვნელოვან ნაყოფს. მითრიდატეს არმიის მიერ რამდენიმე ბრძოლის წაგება, არ ნიშნავდა მითრიდატეს დამარცხებას. აღმოსავლეთში ომის დასრულებაზე რამე სერიოზული ფიქრი ჯერჯერობით ნაადრევი იყო. რომს არ შეეძლო შექმნილ ვითარებაში დიდხანს ჰყოლოდა აღმოსავლეთში ძლიერი არმია. რომაელთა ძალების შესუსტებას კი, მითრიდატეს მხრით, ახალი იერიშები შეიძლებოდა მოყოლოდა.

მაშასადამე, ერთი მხარე, მიუხედავად განცდილი მარცხისა, დამარცხებულად ვერ ჩაითვლებოდა, მეორე მხარე კი—მოპოვებული წარმატებისდა მიუხედავად,—საბოლოო გამარჯვებას ვერ დაიქადნებდა.

ასეთ პირობებში, როდესაც ერთ მხარეს აქტიური თავდაცვა უძნელდებოდა, მეორეს კი გადამწყვეტი შეტევისათვის ძალა აღარ შესწევდა, ორივე მხარისთვის სასურველი და საჭიროც იყო დაზავება. მაგრამ ორივე მხარე სდუმდა და ერთიმეორეზე აგდებდა პირველი ნაბიჯის გადადგმის ინიციატივას, რათა თითონ ხელსაყრელ პირობებში აღმოჩენილიყო, რომლისთვისაც უნდა შეეთავაზნათ საზავო პირობები.

ინიციატივა მოსალოდნელი იყო სულას მხრით, რომელიც რომში ხალხის მტრად გამოაცხადეს მისმა პოლიტიკურმა მოწინააღმდეგეებმა და მისი სახლ-კარიც დაარბიეს.

სულას, თითქმის ფეხქვეშ ნიადაგი ჰქონდა გამოცლილი და მისთვის ომის შემდგომი წარმოება შეუძლებლად მოჩანდა...

მაგრამ საზავო მოლაპარაკების ინიციატივა მაინც მითრიდატემ იკისრა. რატომ?...რამ აიძულა მითრიდატე ასე მოქცეულიყო. ნუთუ მან არ იცოდა რაც ხდებოდა რომში, რა მდგომარეობაში იყო სულა?

საეჭვოა, რომ მითრიდატე სათანადოდ არა ყოფილიყო ინფორმირებული. მას კონტაქტი ჰქონდა დამყარებული სერტორიუსთან შორეულ ესპანეთში, მისი ელჩები მიმოვიდოდნენ რომში, მასთან იყვნენ რომიდან ლტოლვილი პოლიტიკური მოღვაწენი, მას არ შეიძლება არ ჰყოლოდა სპეციალური პირები, რომელთაც ომის წარმოებასთან დაკავშირებული საჭირო ცნობების შეკრება-მოპოვება ექნებოდათ დავალებული.

ამისდა მიუხედავად, მითრიდატემ პირველმა გადასწყვიტა დაეწყო საზავო მოლაპარაკება და ამას, უთუოდ, ჰქონდა სერიოზული საფუძველი: მითრიდატე, უთუოდ, სერიოზული მოსაზრებებით ხელმძღვანელობდა.

რომ არც თვითონ მითრიდატეს, როგორც ომის მწარმოებელ მთავარ პერსონას. ჰქონდა ენერგია და გატაცება დაშრეტილი, რომ არც მისი სამეფოს უხვი რეზერვები ჯერ არ იყო ამოწურული, ამაზე მჭევრმეტყველურად ლაპარაკობს ის ფაქტი, რომ მითრიდატე, სულასთან დაზავების შემდეგ, არა თუ იარაღს არა ჰყრის, არამედ განაგრძობს შეუპოვარ ბრძოლას, რომლის დროსაც მან თვითონ სამაგალითო ენთუზიაზმი, ხოლო მისმა სამეფომ განსაცვიფრებელი გამძლეობა და ღონე გამოიჩინა. 85 წლიდან 63 წლამდე მითრიდატე და მისი ქვეყანა შეუსვენებლივ იყო შებმული რომაელებთან ბრძოლაში და არ იყო გამორიცხული, რომ პონტოს სამეფო შესძლებდა შეემუსრა რომაელთა ძლიერება აღმოსავლეთში და აქ ჰეგემონი თვითონ გახდებოდა.

რომაელებთან წარმოებული ბრძოლის პირველ ეტაპს მითრიდატე, მაშასადამე, გადამწყვეტად და საბოლოოდ სრულიადაც არა სთვლიდა, მით უმეტეს, რომაელებთან წარმოებული დიდი ომი მას დასრულებულად არ შეეძლო წარმოედგინა და არც თავისი თავი დამარცხებულად ეცნო.

მაშასადამე, სტიმული მისი მხრით საზავო მოლაპარაკების ინიციატივისა, მითრიდატესთვის საკუთარ ძალთა სისუსტისა და დამარცხებულის უმწეობის შეგნებიდან მომდინარე არ უნდა ყოფილიყო. მართალია, როგორც ზევითაც ვთქვით, მითრიდატეს არმიამ რომაელთაგან დიდი ზიანი განიცადა, თვით საკუთარ სამეფო კარზე, მშვიდობა არ იყო და ძველი ინტრიგები გრძელდე-

ბოდა, რასაც უთუოდ, ხელს უწყობდა რომაელთა დიპლომატიის აქტივობა, რომაელთა, განცდილი მარცხის შემდეგ მებრძოლ ქალაქებში მითრიდატესადმი ერთგულება ძლიერ შეირყა, განსაკუთრებით რომაელთაგან მათ მიმართ მიღებული სასტიკი რეპრესიების წყალობით, და ამგვარად, მოვლენათა მთელი კომპლექსი უარყოფით მხარეს აჩვენებდა მითრიდატესათვის, მაგრამ მითრიდატეს საქმე წაგებულად არ მიაჩნდა.

გადაჭარბებულად გვეჩვენება დოც. ლ. სანიკიძის მოსაზრება, რომ: „მითრიდატეს ძლიერების დაქვეითების ერთ-ერთ ძირითად მიზეზად მის წინააღმდეგ ადგილობრივი, აზიელი წარჩინებული მოქალაქეებისა და მდიდარი მონათმფლობელების ამხედრებაც უნდა ჩაითვალოს"-ო [1].

აქ ის კი არ არის სადავო, რომ აღმოსავლეთის რაიონების მოსახლეობის, რომელიც ომის დასაწყისში მითრიდატეს როგორც თავის მხსნელს მიესალმა და „მეგობრულად მიიღო"— მითრიდატესადმი დამოკიდებულებაში ცვლილება მოხდა, არამედ ამ ცვლილების ასპექტია სადავო.

სანიკიძის სიტყვიდან უკვე ჩანს, რომ მითრიდატესადმი დამოკიდებულების ცვლილებას იგი ხედავს მოსახლეობის მხოლოდ პრივილეგირებულ ნაწილში და რომ ეს სხვანაირად ვერც წარმოუდგენია, რადგან იგი ფიქრობს, რომ მოსახლეობის უკმაყოფილება ამ რაიონებში შედეგი იყო მითრიდატეს იმ ღონისძიებათა, რომელსაც აქ იგი მიმართავდა მონებისა და დავალიანებულთა მიმართ.

სანიკიძე წერს: „ევპატორის პოლიტიკა, რომელიც ძირითადად რომაელთა ძლიერების განადგურების მიზანს ემსახურებოდა, მძაფრ სოციალურ კრიზისს უწყობდა ხელს. მითრიდატე ათიათასობით მონებს ათავისუფლებდა და რომაელთა წინააღმდეგ ბრძოლაში აბამდა, მონათმფლობელთა და მდიდარ ფინანსისტთა კაბალაში ჩაფლულ გაღარიბებულ მოსახლეობას ვალებისაგან ათავისუფლებდა და საბრძოლველად ერეკებოდა. ამიტომ აზიელი მდიდარი ფენები უკმაყოფილონი იყვნენ და მითრიდატეს წინააღმდეგ პირველ რიგში ისინი გამოდიოდნენ. ისინი თავიანთი დაკარგული ეკონომიური მდგომარეობის აღდგენას რომაელებთან შეთანხმებით ცდილობდნენ, და ამ საქმის მოსაგვარებლად, აზიის „საუკეთესო მოქალაქენი" რომის პატრიციატის პირველ კაცთან— სულასთან გარბოდნენ" [2].

---

[1] ლ. სანიკიძე, პონტოს სამეფო, გვ. 70.

[2] იქვე, 70.

ისე გამოდის, რომ ადგილობრივ პრივილეგირებული მოსახლეობის მითრიდატეს მიმართ უკმაყოფილებას იწვევდა მისი დამოკიდებულება მოსახლეობის დაბალი ფენებისადმი.

რა თქმა უნდა, მონების წართმევას მხოლოდ უკმაყოფილება შეეძლო გამოეწვია მონათმფლობელებში და სხვანაირად არც იყო მოსალოდნელი. ეს გარემოება იყო ერთ-ერთი მომენტი, რომელიც ემატებოდა საერთო უკმაყოფილებას, მაგრამ იგი არ შეიძლება გადამწყვეტი ყოფილიყო, რადგან, ჯერ ერთი, მონების დაკარგვის მხრივ ზიანს მონათმფლობელნი არა მხოლოდ მითრიდატესაგან განიცდიდნენ, არამედ, ალბათ, არა ნაკლებად და შეიძლება კი უფრო მეტადაც, რომაელებისაგანაც: პლუტარქეს მოწმობით, ლუკულუსმა მარტო ერთ ქალაქ მიტილენადან უთვალავ ნადავლთან ერთად „თან წამოიყვანა ექვსი ათასი მონა“[1].

ამას გარდა, ჩვენ ზევით ვილაპარაკეთ მითრიდატეს დამოკიდებულებაზე მოსახლეობის დაბალი ფენების მიმართ და ვიცით, რომ ამ მხრივ ეს არ სცილდებოდა ჩვეულებრივ ტაქტიკურ ღონისძიებებს. ამიტომ მისთვის გადამწყვეტი ფაქტორის მნიშვნელობის მინიჭება უსაფუძვლოა.

მითრიდატეს მიერ თავის ხელქვეით მოქცეულ ბერძნულ მოსახლეობიან ქალაქებში რომაელთა და პონტოელთა შორის ბრძოლის დროს, მაქსიმოვასაც სოციალური ბრძოლა ეგულვება[2].

სინამდვილეში, ბრძოლა აზიის რაიონების მოსახლეობაში აღმოცენდებოდა ხოლმე ომის მწარმოებელ, ე. ი. რომსა და პონტოს შორის, წარმატება-მარცხის შედეგად.

ამ ბრძოლას ჰქონდა არა კლასობრივი, სოციალური ხასიათი, არამედ იგი იყო პოლიტიკურ-ტაქტიკური შინაარსისა.

ვ. დიაკოვი სამართლიანად შენიშნავს, რომ მითრიდატესა და პონტოს სანაპირო ქალაქებს შორის ურთიერთობის საკითხის გადაწყვეტა უნდა ვეძიოთ: „არა იმაში, რომ მითრიდატემ შეცვალა თავისი დამოკიდებულება მონებთანა და ბარბაროსებთან, არამედ, მის მიერ რომთან წარმოებულ გაჭიანურებულ უიმედო ბრძოლაში, რაც აბრკოლებდა ჩრდილოეთ სანაპირო სავაჭრო ურთიერთობის განვითარებას“ (В. Н. Дьяков, Пути римского проникновения в Северное Причерноморье. ВДИ, 1940, № 3—4, გვ. 73, შენ. 3).

---

[1] პლუტარქე, ლუკულუსი, 4.

[2] М. Максимова, Античн. города..., გვ. 262.

ცნობილია, თუ რა სიხარულით მიიღეს მითრიდატე აზიის მცხოვრებლებმა, რა დიდი სიძულვილით მიჰყვეს ხელი რომაელებისა და საერთოდ იტალიელების ჟლეტას.

მაგრამ აზიელები მალე დარწმუნდნენ, რომ მითრიდატეს წყალობით მოპოვებული რომაელთა მჩაგვრელობისაგან თავისუფლება, მალე გაჰქრა და იგი შესცვალა ახალმა შევიწროვებამ, რომელსაც მოსახლეობა ეხლა უკვე პონტოელთა მხრით განიცდიდა... მითრიდატე, ხომ პონტოს სამეფოს პრივილეგირებული მოსახლეობის ინტერესებისათვის მებრძოლიც იყო.

მართალია ლ. სანიკიძე, როდესაც დაასკვნის, რომ მითრიდატეს პოლიტიკამ, მისმა რეჟიმმა აღმოსავლეთის რაიონებში შეაშფოთა და მის წინააღმდეგ აამხედრა მისი მბრძანებლობის ქვეშ მყოფი ოლქები[1].

გარკვეული ხნიდან ამ რაიონებში უკვე რომაელთა და პონტოელთადმი მსგავსი დამოკიდებულება არსებობდა; მოსახლეობას უკვე აღარაფერი აიძულებდა რომელიმე მხარის მიმართ რაიმე შინაგანი სიმპათიები, მისწრაფება და ინტერესი ჰქონოდა. ადგილობრივი მოსახლეობის კეთილსასურველ განწყობილებას უკვე განსაზღვრავდა მხოლოდ ფიზიკური ძალა.

ურთიერთშორის მოქიშპე რომაელებსა და პონტოელებს შორის მოქცეული მოსახლეობა იმასღა ცდილობდა, ადრე აეღო ალღო და იმის მხარეზე დამდგარიყო, რომელსაც იმ ჯერად უპირატესობა ჰქონდა. ადგილობრივ მოსახლეობას ასეთი განწყობილება ახასიათებდა, როგორც ამას საისტორიო წყაროები ადასტურებს, სულას პირველი გამარჯვებებიდანვე მოკიდებული, მთელი ომიანობის დასასრულამდე[2].

რომ ბრძოლის შეწყვეტა ორივეს მხრივ სასურველი იყო შექმნილი ვითარებით და ეს სრულიადაც არ ნიშნავდა ომის დამთავრებას, ორივე მათგანს კარგად ესმოდა.

რომ ეს ასე იყო, ამას, პირველ ყოვლისა, რომაელთა მხარის საქციელი ამტკიცებს.

მიუხედავად რომაელთათვის ძალზე ხელსაყრელი პირობებისა მითრიდატემ თითქმის ყველაფერი შეასრულა, რაც სულამ მოსთხოვა,—საზავო პირობები წერილობით დაფიქსირებული არა ყოფილა და თვით რომში საგანგებო ელჩების გაგზავნა მითრიდატეს მხრივ, რათა რომაელთაგან წერილობითი და ოფიციალური აღიარება მიეღო ზავისა, უქმი გამოდგა. რომაელებს არ

[1] ლ. სანიკიძე, პონტოს სამეფო, გვ. 70.

[2] შეად. **Голубцова**, op. cit., გვ. 38.

სურდათ ოფიციალური საბუთით და აღიარებით შეეზღუდათ საკუთარი თავი, საჭირო იყო მომავალში მოქმედებისათვის ხელები გახსნილი ჰქონოდათ.

როდესაც სულას გარდაცვალების შემდეგ კონსულებად ლუკულუსი და მარკუს კოტა აირჩიეს[1], პლუტარქეს თქმით: „რომაელთა უმრავლესობა ამ დროს მითრიდატესთან ომის განახლებას მოითხოვდა. თვითონ მარკუსიც ამბობდა: ეს ომი კი არ დამთავრდა, არამედ ცოტა ხნით შეწყდაო“[2].

ამის ერთი მკვეთრი მაგალითი გადმოცემულია მემნონთან.

იგი მოგვითხრობს, რომ მეორე ომის დაწყებისთანავე, მურენაცა და მითრიდატეც თავთავის მხრივ უგზავნიან ელჩებს ქ. ჰერაკლეის მცხოვრებთ და ცდილობენ ისინი თავიანთ მოკავშირეობაზე დაიყოლიონ[3].

მაგრამ,—განაგრძობს მემნონი, მათ: „წარმოედგინათ რა რომაელთა საშინელი ძალა, ეშინოდათ მითრიდატეს მეზობლობისაც“[4].

ამიტომ მათ უპასუხეს ელჩებს, რომ: „...ესოდენ მძვინვარე ომიანობაში საკუთარი მიწაწყლის დაცვაც ძნელია, არა თუ სხვას დავეხმარნეთ-ო“[5].

ამ მაგალითიდან აშკარა ხდება, რომ ზღვის სანაპირო ქალაქების მოსახლეობის მომხრეობას მებრძოლ მხარეთა მიმართ განსაზღვრავდა შექმნილი სიტუაცია.

მითრიდატეს მცდელობაც, მიეღო რომაელთაგან ზავის ოფიციალურად აღიარების იურიდიული საბუთი, დიპლომატიური მოსაზრებებით იყო გამოწვეული: მას, ერთის მხრივ, სურდა დაეჯერებინა რომაელები, რომ მითრიდატე მართლა ფიქრობდა ომის დამთავრებას და ამით ყურადღება ჩამოეშორებინა მისი მომავალი სამზადისისაგან; ხოლო, მეორეს მხრივ, შეეზღუდნა რომაელთა აგრესიული განზრახვები პონტოს სამეფოს მიმართ, და, რათა ადვილი ყოფილიყო ომის დამნაშავედ რომაელთა გამოცხადება, როგორც ზავის დამრღვევთა.

მაშ რაღამ გამოიწვია, რომ მითრიდატე თვითონ გამოვიდა ზავის ჩამოგდების მსურველად?

---

[1] ძვ. წ. 73—72 წ.

[2] პლუტარქე, ლუკულუსი, 5.

[3] მემნონი, ჰერაკლეის შესახებ, წ. XV, თავი 36, 2.

[4] იქვე.

[5] იქვე.

აქ იმავე მომენტს მივადგებით, რომ მითრიდატე არა ფიქრობდა ომის დამთავრებას, არამედ მას სურდა მხოლოდ მისი დროებითი შეწყვეტა.

მითრიდატეს პირველი ცდა აღმოსავლეთის რაიონებიდან რომაელთა გაძევებისა, რათა იქ თითონ გაბატონებულიყო, მარცხით დამთავრდა.

ეს მარცხი არ ნიშნავდა იმას, რომ მითრიდატეს თავის ძირითად მისწრაფებაზე ხელი უნდა აეღო.

მითრიდატე ასე ადვილად ვერ დაიხევდა უკან, რადგან მას მისი სამეფოს პოტენცია დასახული მიზნისაკენ მიაქანებდა. მითრიდატეს ხელში გაერთიანებული სამყარო კიდეც აყენებდა მოთხოვნას, რათა რომაელები განდევნილნი ყოფილიყვნენ, და მას საამისო ძალაც არ აკლდა.

მითრიდატემ და იმ წრემ, რომელიც მაშინ პონტოს სამეფოს საქმეებს მართავდა, დაინახეს რომ რომაელებმა ბრძოლის ველზე უპირატესობა მხოლოდ თავიანთი სამხედრო ტექნიკით, წყობით, ტაქტიკითა და დისციპლინით მოიპოვეს პონტოელთა მრავალი სხვადასხვა ხალხისაგან შემდგარ შეიარაღებულსა და ნაკლებად გაწვრთნილი ჯარის მიმართ.

ასეთ პირობებში ბრძოლის გაგრძელება პონტოელთა მხრივ უგუნურება იქნებოდა.

საჭირო იყო ომის დროებით შეწყვეტა, რათა მოწინააღმდეგისათვის ღირსეული არმიის დაპირისპირების საზრუნავს შესდგომოდნენ.

ომის შეწყვეტა მითრიდატეს იმისათვის უნდოდა, რათა უკეთ მომზადებულიყო შემდგომი ბრძოლისათვის, რის საშუალებასაც მას მისი სამეფოს უხვი რესურსები აძლევდა.

რომ პონტოს სამეფოს ჯერ ძალა შესწევდა ეწარმოებინა ხანგრძლივი და ეფექტური ომი, ეს დაამტკიცა მითრიდატეს მიერ წარმოებულმა ორმა ომმა, და რომ ამის შემდეგაც არსებობდა რეალური შესაძლებლობა რომის წინააღმდეგ ბრძოლისა, ამას მოწმობს მამის მოღალატე ფარნაკის აჯანყება რომაელთა წინააღმდეგ. მართალია, აჯანყება ადვილად დაამარცხეს რომაელებმა, მაგრამ ეს აიხსნება არა პონტოს სამეფოს უძლურებით, არამედ სამხედრო ხელმძღვანელთა სისუსტით.

ეკჰარდტი, დარდანის ზავთან დაკავშირებით, მითრიდატეზე ამბობს, რომ დაზავების პერიოდი (Friedenszeit) მისთვის იყო დრო მზადებისა და აღჭურვისა ახალი ბრძოლისათვის და რო-

გორც კი თავი მომზადებულად იგრძნო, კიდეც დაიწყო ახალი გადამწყვეტი ბრძოლაო (Entscheidungskampf) [1].

მნიშვნელოვან ცნობას გვაწვდის პლუტარქე.

ამ ცნობიდან ნათელი ხდება მითრიდატეს მოღვაწეობის შინაარსი. პლუტარქე წერს: „მითრიდატე როგორც ეს სოფისტებს სჩვევიათ ხოლმე თავდაპირველად დიდი ზვაობითა და მედიდურობით აღსდგა რომაელთა წინააღმდეგ და მათ გარეგნულად ბრწყინვალე და სანაქებო, სინამდვილეში კი სრულიად გამოფიტული მხედრობა დაუპირისპირა. მაშინ იგი სასაცილოდ დამარცხდა, მაგრამ, სამაგიეროდ, ჭკუა ისწავლა და როცა რომაელებთან მეორე ომის გადახდა დასჭირდა, თავისი ძალების მართლაც ჭეშმარიტსა და საქმიან მომზადებას შეუდგა. მან თავიდან მოიცილა მეტისმეტად ჭრელი ლაშქარი, მრავალ ენაზე მეტყველი და საშიშ ბარბაროსებისაგან რომ შესდგებოდა, და აკრძალა ოქროსი და ძვირფასი თვლებით იარაღის შემკობა, ვინაიდან ასეთი იარაღი გამარჯვებული მტრისათვის სანუკვარი ნადავლი იქნებოდა, პატრონისათვის კი მას არავითარი სარგებლობის მოტანა არ შეეძლო. ასეთი იარაღის სანაცვლოდ მითრიდატემ რომაული ყაიდის ხმლები გამოაჭედინა და მძიმე ფარებიც დაამზადებინა. მერე მან თავი მოუყარა ცხენებს, რომლებიც უფრო მეტად გაწრთვნილი იყვნენ, ვიდრე მოსართავებით შემკულნი, ფეხზე დააყენა რომაულ წყობას შეთვისებული ასოციათასი მეომრისაგან შემდგარი ქვეითი ჯარი და გარდა ასი ოთხცხენიანი საომარი ეტლისა, რომელთა თვლებზეც ბასრი ცელები იყო დამაგრებული, თექვსმეტი ათასი ცხენოსანიც მოაგროვა. საბრძოლოდ მოამზადა მითრიდატემ ხომალდებიც. მათზე უკვე აღარ იყო ოქროთი გადახურული კარვები, ხასებისათვის განკუთვნილი საბაზანოები და მდიდრული სამეფო ჰარამხანები. თავისი ფლოტი მითრიდატემ ახალი იარაღით, ისრებითა და ფულით აავსო“ [2].

როგორც ვხედავთ, მითრიდატეს თავისი შეიარაღებული ძალების სრული რეორგანიზაცია მოუხდენია.

შეიძლება გარკვევით ითქვას, რომ მითრიდატეს მისწრაფება ზავის შეკვრისაკენ სწორედ ტაქტიკური მოსაზრებით იყო ნაკარნახევი. ეს იყო ტაქტიკური ნაბიჯი, მომავლის პერსპექტივით გასხივოსნებული ღრმა რწმენა, რომ რომაელებთან მომავალში შეიძლებოდა წარმატებით ბრძოლა მათივე მსგავსი იარაღით,—მით-

---

[1] დასახ. შრ., გვ. 401.

[2] პლუტარქე, ლუკულუსი, 7.

რიდატეს ეს იმედით ალავსებდა და ახალი საქმიანობისაკენ მოუწოდებდა.

ასეთ ვითარებაში მითრიდატეს ბრძანებით, მისმა სარდალმა არქელაოსმა დაიწყო სულასთან საზავო მოლაპარაკება, რათა შეეკრა ზავი, როგორც აპიანე ამბობს: „რამდენადაც შეიძლებოდა ხელსაყრელ პირობებში"[1].

წინასწარი მოლაპარაკების შემდეგ სულა და მითრიდატე შეიყარნენ ქ. დარდანში.

„ისინი ორივენი გავიდნენ ველზე მცირე ამალის თანხლებით, ორივე ჯარის თვალწინ"[2].

პირველი სიტყვა მითრიდატემ წარმოსთქვა. მან კვლავ აღნიშნა ის ფაქტები, რომლითაც რომაელებმა მას შეურაცხყოფა მიაყენეს, როგორც მაგ., არიობარზანის კაპადოკიაში დაბრუნება, ფრიგიის ჩამორთმევა, ნიკომედეს წაქეზება; ამხილა რომაელების ანგარება და გაიმეორა, რომ „იგი იძულებული იყო იარაღისათვის მოეკიდა ხელი „თავდაცვის მიზნით"[3].

სულამ შეუბრუნა სიტყვა და სხვათა შორის, უთხრა მითრიდატეს: „შენ გააღვივე ეს ომი. შენ ეს დიდი ხანია გადაწყვეტილი გქონდა-ო" (აპიანე, 57).

სულამ ამხილა მითრიდატეს მისწრაფება მთელს ქვეყანაზე გაბატონებულიყო, თუკი რომაელებს დაამარცხებდა[4]. ამასთანავე, უსაყვედურა, რომ მითრიდატემ ომი მაშინ დაიწყო რომაელთა წინააღმდეგ. როდესაც ამათ შინა და გარეთ მრავალი გასაჭირი ადგათ კარს, სულამ ბოლოს აღნიშნა, რომ რომაელები: „მხოლოდ თავს ვიცავდით და დავიცავთ ბოლომდისო"[5].

ამ პაექრობას ორივეს მხრით ის მიზანი ჰქონდა, რაც შეიძლება, ზავის პირობები თავისთვის ხელსაყრელი გაეხადა.

შეთანხმებას მაინც მიაღწიეს, მაგრამ, რასაკვირველია, არა იმის გამო, რომ, ვითომც როგორც აპიანე ამბობს, მითრიდატემ „იგრძნო შიში"[6], არამედ იმიტომ, რომ ორივე მხარე ზავს მოწადინებული იყო.

ზავის შედეგად პონტოს სამეფომ გადასცა რომს 70 ხომალდი და 2000 ტალანტი; მითრიდატე ხელს იღებდა აზიაში იმ რაი-

---

[1] აპიანე, 54.
[2] აპიანე, 56.
[3] აპიანე, 56.
[4] აპიანე 57.
[5] აპიანე, 58.
[6] იქვე.

ონებზე, რომლებიც ომის პერიოდში ხელთ იგდო, იგი რჩებოდა მბრძანებლად „მამისეულ წინანდელ სამეფოში“ [1].

ზავის პირობები, ერთი შეხედვით, მითრიდატესთვის მძიმე და დამამცირებელი მოჩანს, მაგრამ ეს მაინც არ ნიშნავს, რომ იგი დამარცხებულია. ომი დამთავრდა თითქმის status quo. ისე, რომ პონტოს სამეფოს ტერიტორიული დანაკლისი არ განუცდია.

არც რომი მოსჩანს გამარჯვებული. სასტიკ ომში გამარჯვებული მხარე ასეთ ლმობიერ ზავს არ დასდებდა ისეთ პოტენციურ მტერთან, რომელიც ამ მხარის რწმენით მსოფლიო ბატონობას ლამობდა. ის გარემოება, რომ რომაელებმა ვერ შესძლეს მითრიდატესათვის შინ, მის საკუთარ ტერიტორიაზე, მიეყენებინათ რაიმე ზიანი, იმაზე მიუთითებს, რომ მითრიდატე დამარცხებული არ იყო. ე. ი. რომმა ვერ შესძლო მითრიდატეს, როგორც ანტირომაული პოტენციური ძალის შემუსვრა, და ის შედეგები, რასაც რომაელებმა მასთან ბრძოლის დროს მიაღწიეს, მხოლოდ დროებითი წარმატება იყო და არა გამარჯვება.

აკი ციცერონი ერთ თავის სიტყვაში აღნიშნავდა: „...რა რიგად არ იბრძოდნენ ჩვენი სარდლები ამ მეფესთან, მაგრამ დღემდე მოახერხეს მხოლოდ ტროფეების მიღება და ვერ ეღირსნენ გამარჯვებას“ (De imperio Pompei, III 8).

დარდანის ზავის პირობების მიხედვით, არცერთი მხარე ჩაითვლება საბოლოოდ დამარცხებულად და არც მეორე—გამარჯვებულად. ამდენად, წარმოებულმა ომმა ვერ გადასჭრა პრობლემა და მებრძოლ მხარეთა შორის ისევ თივე დაპირისპირებული ურთიერთობა დარჩა, როგორც ომამდე იყო. ოთხი წლის დაუცხრომელმა ომმა, რომელსაც ორივე მხარემ უთვალავი ძალღონე შეალია, არც ერთს მათგანს მისცა გადამწყვეტი უპირატესობა და არც მეორე გამოფიტა. საქმე ეხებოდა იმას, თუ ვის დარჩებოდა ბატონობა აღმოსავლეთში: რომსა თუ პონტოს. ომმა ეს საკითხი ვერ გადასჭრა [2].

საქმეს თავისი გადაწყვეტა კვლავ ბრძოლის ველზე უნდა ეპოვნა.

დარდანის ზავის შესახებ რეინაკი იმ აზრისაა, რომ სულას არ უნდა დაედვა ეს ზავი, რადგან ეს ეწინააღმდეგებოდა რომაულ ტრადიციას: რომაელები ზავს სდებდნენ მხოლოდ საბოლოოდ დამარცხებულ მტერთან, ამ უკანასკნელის კაპიტულაციის შემდეგ.

---

[1] აპიანე, 58.

[2] შეად. О. И. Севастьянова, Новый труд по древней истории Армении, ВДИ, 1946, № 2, გვ. 117.

მაგრამ რეინაკი, ითვალისწინებს რა სიტუაციასა და თვით სულას მდგომარეობას, სულას ამ ნაბიჯს სრულიად სამართლიანად მიიჩნევს[1].

მეორე ადგილას იგი შენიშნავს, რომ ყველას კარგად ესმოდა, რომ ამით რომს აღმოსავლეთის საფრთხე არ სცილდებოდა, ვიდრე მითრიდატე ცოცხალი იყო[2].

რომ დარდანის ზავი არ იყო დადებული რომაელების მხრივ, როგორც გამარჯვებულების მხრივ, არამედ გამოწვეული იყო თვით რომის საშინაო მდგომარეობით, ამას ციცერონიც ადასტურებს.

იგი ერთ თავის სიტყვაში, ამბობს რა, რომ რომაელი სარდლები არ არიან გასამტყუნარი იმის გამო, რომ მათ არ დაამთავრეს მითრიდატესთან ომი, განმარტავს, რომ ბრძოლის სარბიელიდან სულა იტალიის მდგომარეობამ გამოიწვია, მურენა კი თვით სულამ[3].

ციცერონზე დაყრდნობით, ი. როსტოვცევი მიიჩნევს, რომ „Волнения в Италии заставили Суллу заключить мир на таких условиях, на которых при других обстоятельствах он никогда бы не согласился"[4].

ასე დამთავრდა პირველი მძლავრი შერკინება მაშინდელ ორ უძლიერეს სამეფოს: რომსა და პონტოს შორის.

## 3. მდგომარეობა დარდანის ზავის შემდეგ. ომის განახლება პონტოს სამეფოსა და რომს შორის

ჩვენ დავინახეთ, რომ დარდანის ზავი არ იყო იმის მაჩვენებელი, რომ ერთი მხარე გამარჯვებული, მეორე—კი დამარცხებული იყო. ორივე მხარეს ეს ზავი დროებითად მიაჩნდა. დარდანის ზავი რომსა და პონტოს შორის ომიანობის დასასრულს არა ნიშნავდა,...იგი ამ ომიანობის მხოლოდ ერთ-ერთი,—ჩვენი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი და არსებითად, გადამწყვეტი ეტაპი იყო.

მაგრამ რომელიმე მხარეს მისცა თუ არა წარმოებულმა ომმა რამე რეალური შედეგი, რამე უპირატესობა სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით?

---

[1] დასახ. შრ., გვ. 191—192.

[2] იქვე, გვ. 200.

[3] „... ab eo bello Sullam in Italiam Republica, Murenam Sulla revocavit". De imperio Cn. Pompei, ad Qirites oratio, III, 8.

[4] И. Ростовцев, О назначении Кнея Помпея полководцем. Киев, 1862, გვ. 10.

ვფიქრობთ, რომ ომმა უპირატესობა მისცა რომაულ მხარეს. ეს უპირატესობა, პირველ ყოვლისა, იმაში მდგომარეობდა, რომ რომმა, მიუხედავად საშინაო და საგარეო სერიოზული გართულებებისა; მიუხედავად მითრიდატეს პირველი უჩვეულო წარმატებებისა, მაინც მოახერხა აღმოსავლეთში თავისი პოზიციების არა მხოლოდ შენარჩუნება, არამედ ერთგვარად განმტკიცებაც კი.

მითრიდატეს მიერ დაკავებული რაიონების განთავისუფლება და უკან დახევა, იმის დადასტურება იყო, რომ არ არსებობდა ძალა, რომელსაც შეეძლო შეემუსრა რომაელთა ძლიერება აღმოსავლეთში. ეს კი მრისხანე გაფრთხილება იყო იმათთვის, ვინც მსგავს ზრახვებს შესტრფოდა. მითრიდატეს უკან დახევა რომაელთათვის დიდ პოლიტიკურ-მორალურ წარმატებას ნიშნავდა: ამიერიდან მითრიდატე ადვილად ვეღარ მოახერხებდა ამ რაიონებში ანტირომაული განწყობილება გამოეწვია...უფრო მეტიც... მითრიდატეს თვით საკუთრივ მის სამფლობელოებში დაეკარგა ნდობა, წარმატების მოუპოვებლობის გამო... ამიერიდგან მის ყოველგვარ საქმიანობას ამ მიმართულებით ენთუზიაზმის მაგიერ, ეჭვი და უნდობლობა უნდა გამოეწვია, ეს კი საუკეთესო სარბიელს ქმნიდა რომაული დიპლომატიისათვის, რათა ათასნაირი ხრიკებით რღვევა შეეტანა მითრიდატეს ქვეყნის შიგნით.

ნათელი იყო, რომ მითრიდატეს წარუმატებლობა არა მხოლოდ რომაელთა მხრივ სამხედრო ძალთა უკეთესი ორგანიზაციით იყო გამოწვეული.

თუ ყველა ამ მომენტს გავითვალისწინებთ, არ შეიძლება არ აღვიაროთ, რომ წარმოებულმა ომმა გამოამჟღავნა მითრიდატესთვის რომაელთა წინააღმდეგ ბრძოლის სუსტი მხარეები, დიდი სიძნელე და დაადასტურა რომაელთა მხარეზე უპირატესობა.

როგორც უკვე ითქვა, მებრძოლი მხარეები არა ფიქრობდნენ ომის დასრულებაზე, არამედ ეს დაზავება იყო და თვითეული საკუთარი ზრახვებით იყო აღსავსე. და მართლაც, ორი წელიც არ გავიდა, რომ პონტოსა და რომს შორის კვლავ გაჩაღდა ომი, რომელიც მითრიდატესთან მეორე ომის სახელით არის ცნობილი.

ეს მეორე ომი, პირველსა და მესამე ომს შორის, რომელთაგანაც პირველმა აშკარა გახადა რომის საერთო უპირატესობა და პონტოს სამეფოს რომთან ბრძოლის პერსპექტივა, უკვე საკმაოდ საეჭვოდ აქცია, ხოლო მესამე ომმა ამ დიდ ჭიდილში გამარჯვების სასწორი საბოლოოდ რომაელთა მხარეზე გადახარა,—შედარებით მცირე ეპიზოდი იყო.

წყაროებიც ცოტაა ამ ომზე.

ომის დაწყების საკითხი პირველწყაროებში (ძირითადად აპიანე) პირველი ომის ანალოგიურად არის წარმოდგენილი, იმ დამახასიათებელი ტენდენციით, რომ ომის ატეხის დამნაშავედ რომი არ გამოვიდეს. მოღწეული ცნობებიდან მაინც ირკვევა, რომ იმისდა მიუხედავად, რომ ორივე მხარეს ომის განახლება გარდუვალად მიაჩნდა, და ამისთვის სათანადოდ ემზადებოდა, ამავე დროს, თვითეული მხარე ცდილობდა თავისი მოქმედება შეძლებისდაგვარად შეენიღბა...

ამავე დროს, ისინი ერთიმეორეს ფხიზლად ადევნებდნენ თვალს... მაგრამ ეს უფრო ძნელი იყო მითრიდატესთვის, რომლის სამოქმედო სარბიელიც ძლიერ დაშორებული იყო რომის ცენტრსა და ძირითად სამფლობელოებს და იქ მას ძნელად მიუწვდებოდა თვალიცა და სმენაც, ხოლო ადვილი იყო ეს რომაელთათვის, რომელნიც პონტოს სამეფოს უშუალო მახლობლად იმყოფებოდნენ.

დარდანის ზავის შემდეგ მითრიდატემ უმალ მიჰმართა პონტოს და აპიანეს თქმით: „ომს აწარმოებდა კოლხებთანა და ბოსფორის მცხოვრებლებთან, რომლებიც მას განუდგნენ“ [1].

როგორც ზევით იყო აღნიშნული, მითრიდატეს პირველ ომში წარუმატებლობას უნდა გამოეწვია მის სამეფოს შიგნით რყევა. მართლაც, კოლხეთსა და ბოსფორში დაიწყო სეპარატისტული მოძრაობა.

კოლხელებისვე მოთხოვნით მითრიდატეს მიერ კოლხეთის მმართველად დანიშნულ მის შვილს განუზრახავს მამის სამფლობელოებისგან ჩამოშორებით, დამოუკიდებელი მმართველი გამხდარიყო კოლხეთში. ურჩი მემკვიდრე მითრიდატემ ერთხანს ოქროს ბორკილებგაყრილი ამყოფა, მერე სიკვდილით დასაჯა.

ამის შემდეგ, როგორც აპიანე მოგვითხრობს, მითრიდატე შეუდგა ბოსფორის მცხოვრებთა წინააღმდეგ: „დიდი ფლოტის აგებასა და უამრავი ჯარის მომზადებას, ამასთანავე ამ სამზადისის გაქანებამ უმალ ცხადყო, რომ ყველაფერი ეს მზადდებოდა არა ბოსფორელების, არამედ რომაელთა წინააღმდეგ“ [2].

აპიანეს ნათქვამი განმარტებას არ საჭიროებს.

რომაელებს კარგად ესმოდათ, რომ: „სანამ მითრიდატე ცოცხალი იყო, მათ აღმოსავლეთის პროვინციებში მშვიდი ძილის საშუალება არ ექნებოდათ... მითრიდატე დაბრუნდა თავის სამე-

---

[1] აპიანე, 64.

[2] აპიანე, 64.

ფოში, როგორც ბრძოლაში დაჭრილი ნადირი თავის ბუნაგში ჭრილობების მოსაშუშებლად, და ახალი, უფრო მძლავრი ნახტომისთვის სამზადისს შეუდგა"[1].

რომაელებს არ შეეძლოთ ფხიზელი ყურადღებით არ ყოფილიყვნენ მითრიდატეს მიმართ, რათა არა მხოლოდ არ გამოეპარვოდათ რომაელთა საზიანო რომელიმე მისი ნაბიჯი, არამედ, უდავოა, რომაელებმა მითრიდატეს საწინააღმდეგო ფარული მოქმედებათა ქსელიც გააბეს. მათ კიდევაც მოუხერხებიათ და თავიანთ ძირგამომთხრელ მუშაობაში ჩაურევიათ მითრიდატეს უშუალო, პასუხსაგები საქმიანობის ხელმძღვანელი თანამშრომელნი.

შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ აპიანე მითრიდატეს სამზადისის მოთხრობას უშუალოდ მიაყოლებს შემდეგ ცნობას: „მან (ე. ი. მითრიდატემ. გ. გ.) ეჭვით დაუწყო ცქერა არქელაოსსაც, იმისათვის რომ მან ელადაში მოლაპარაკების დროს სულას გაცილებით მეტი დაუთმო, ვიდრე საჭირო იყო. შენიშნა რა ეს, შეშინებული არქელაოსი მურენასთან გაიქცა და, აქეზებდა რა მას, დაარწმუნა იგი თითონ პირველი დასხმოდა მითრიდატეს"[2].

ეს მოხდა ძვ. წ. 83 წელს.

აპიანეს ეს ცნობა მრავალმხრივ არის საინტერესო, განსაკუთრებით კი იმ მხრივ, რომ, როგორც ჩანს, არქელაოსი ადრევე აღარ იყო მითრიდატეს ერთგული და იმ მხრივაც, რომ ეს ცნობა გვაძლევს მეორე ომის დასაწყისის გარემოებათა ერთგვარ გასაღებს, რომ მითრიდატესა და არქელაოსს შორის კონფლიქტი ახალი არ არის და მით უმეტეს, იგი მხოლოდ მითრიდატეს უბრალო იჭვზე არ უნდა იყოს აღმოცენებული, ამ ცნობიდან აშკარად მოჩანს.

როგორც ეტყობა, რომაელებს დარდანის ზავის ირგვლივ მოლაპარაკების დროს, შეიძლება უფრო ადრეც, მოუხერხებიათ არქელაოსის თავიანთ მხარეზე გადაბირება. არქელაოსის სახით რომს პონტოს უმაღლეს ხელმძღვანელ წრეში თავისი სარწმუნო კაცი ჰყავდა.

მითრიდატესთვის არქელაოსის მხრივ მოღალატეობა ცნობილი გამხდარა. მითრიდატე რომ მხოლოდ იჭვით ყოფილიყო შეპყრობილი და რეალური საფუძველი არა ჰქონოდა მის უკმაყოფილებას, მაშინ არქელაოსი, მოსალოდნელი იყო, ეცდებოდა დაერწმუნებინა მეფე თავის უდანაშაულობაში... და თუ ამას მაინც ვერ

---

[1] ლ. სანიკიძე, პონტოს სამეფო, გვ. 79.
[2] აპიანე, 61.

მოახერხებდა, მაშინაც კი საკუთარ უდანაშაულობაში დარწმუნებულისთვის, განა სხვა გზა არ არსებობდა, თუ არა მტრის ბანაკში გადარბენა და მოღალატეობრივი საქმიანობის გაჩაღება?

ან განა მურენა ასე ადვილად დაიჯერებდა არქელაოსის გადაქცევას მოღალატედ? და ბოლოს პატიოსანი ადამიანისათვის, თუნდაც საკუთარი სიცოცხლის გადარჩენის მიზნით ლტოლვილისთვის, განა სავალდებულოა საკუთარი ქვეყნის წინაშე მოღალატურმუხანათური როლი?! რომაელთა ბანაკში მისული არქელაოსი ურჩევს, აქეზებს და უმალ კიდეც დააწყებინებს რომაელთა ჯარის სარდალს პონტოს სამეფოს წინააღმდეგ ბრძოლას.

რასაკვირველია, მითრიდატეს ჯარის სარდალს შეეძლო თავისი ქვეყნის მტრებისთვის ძვირფასი რჩევაცა და ცნობებიც მიეცა.

თავისთავად ცხადი ხდება, რომ მითრიდატეს ეჭვი არქელაოსის მოღალატეობაზე უსაფუძვლო არ იყო, რომ იგი რომაელებისაგან მოსყიდული იყო და ამ ფაქტის, შეიძლება ნაადრევმა გამომჟღავნებამ, დააჩქარა მეორე ომის დაწყების გარემოებანი.

ეს ცნობა მეორე მხრივ აგრეთვე ძლიერ საინტერესოა. პირველ წყაროებში საქმე ისეა წარმოდგენილი, რომ ომის დაწყება არც ერთ მხარეს ჯერჯერობით არა სწადდა, ამასთანავე ტენდენციურად ისეა მასალა მოწოდებული, რომ რომაული მხარე აგრესორად არ გამოჩნდეს.

მართალია ის, რომ იმჯერად არც რომაელებს და არც მითრიდატეს ომის დაწყება არ სურდათ. სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მითრიდატემ მის სამფლობელოებში შესეულ რომის ჯარის სარდალ მურენასთან გაგზავნა კაცი და მიუთითა რა მხარეთა შორის არსებულ ზავზე, მოითხოვა მისგან საომარი მოქმედების შეწყვეტა.

მურენამ ის მოიმიზეზა, რომ ზავის პირობები წერილობით არ არსებობდა და თავისი განაგრძო.

მითრიდატემ ელჩები თვით რომში გაგზავნა სენატსა და სულასთან... მაგრამ რომიც ორჭოფულად მოიქცა: ოფიციალურად, თითქოს არ აძლევდა სენატი მურენას ომის წარმოების უფლებას, მაგრამ არც უკრძალავდა მას. რომის ორჭოფობა იმით აიხსნება, რომ რომაელებს ჯერ მდგომარეობა არ აძლევდა ნებას ოფიციალურად, აშკარად გამოეცხადებინათ მითრიდატესთან ომი, მაგრამ არქელაოსის საშუალებით მიღებული ცნობებისა და რჩევის საფუძველზე, მიზანშეწონილად სთვლიდნენ წვრილი თავდასხმებით ხელი შეეშალათ მითრიდატეს მიერ წარმოებული დიდი ომის სამზადისისათვის.

მითრიდატე თავის მხრივ იმიტომ ცდილობდა საომარ მოქმედებათა შეჩერებას, რომ, როგორც ჩანს, მას საჭირო სამზადისი ჯერ დასრულებული არა ჰქონდა... ამასთანავე, მას უნდა მოეხდინა თავის ძალთა ერთგვარი გადაჯგუფება, თუ გადაადგილება, რათა აებნია რომაელთა ის ვარაუდები, რაც მათ შეადგინეს არქელაოსისაგან მიღებული ინფორმაციისა და რჩევის საფუძველზე.

მაგრამ მითრიდატემ, როგორც აპიანე ამბობს, მალე „გადასწყვიტა რომ რომაელები მასთან ომს აწარმოებდნენ“[1] და თითონაც საპასუხო მოქმედებას შეუდგა.

აი, ასეთ ვითარებაში დაიწყო მეორე ომი.

ომის მიზეზი აქ გარკვეული არ არის, მაგრამ ის იგივეა, რაც პირველ ომში იყო: აღმოსავლეთში რომისა და პონტოს მეტოქეობა-დაპირისპირება. ეს მეორე ომი მიზეზობრიობითაც და ტექნიკურადაც პირველი ომის ვითარებიდან გამომდინარეობს. ეს მეორე ომი უფრო მეტად ლაპარაკობს აღმოსავლეთში რომსა და პონტოს შორის საომარი სიტუაციის არსებობაზე. ამდენად საფუძველს მოკლებულია მოსაზრება, თითქოს მხარეები — განსაკუთრებით მითრიდატე, არ ემზადებოდაო ომისათვის და იგი ატყდა რომაელ ჯარის სარდალთა თვითნებური საქციელის გამო.

ომი იმით დაიწყო, რომ არქელაოსის მიერ წაქეზებული მურენა ჯარით თავს დაესხა მითრიდატეს ძალაუფლების ქვეშ მყოფ დიდ დასახლებულ პუნქტს კომანას, სადაც სხვათა შორის, უმდიდრესი ტაძარი გაძარცვა.

ვიდრე მითრიდატე ცდილობდა მოლაპარაკების გზით თავიდან აეცდინა ომის დაწყება, რომაელებმა პონტოს სამეფოს 400 სოფელი დაიკავეს. მოწინააღმდეგეთა ძალებს შორის მსხვილი შეტაკება მოხდა მდ. ჰალისის პირას. მითრიდატემ სასტიკად დაამარცხა რომაელები და მურენამ დიდი გაჭირვებით ძლივს მოასწრო მთებზე გავლით ფრიგიაში გაქცეულიყო[2].

მითრიდატეს ამ ბრწყინვალე გამარჯვებამ კვლავ მრავალი მომხრე შესძინა მას აღმოსავლეთის რაიონებში. მან კაპადოკიიდან გააძევა რომაელთა ყველა გარნიზონი.

მითრიდატეს გამარჯვების რეზონანსმა ძლიერ შეაფიქრიანა რომის უმაღლესი ხელისუფლება... რომი ხომ ჯერ მზად არ იყო ომისათვის, ასევე როგორც არ იყო მზად მითრიდატე.

---

[1] აპიანე, 65.

[2] აპიანე, 65.

სულამ სასწრაფოდ გაგზავნა ავლი გაბინიუსი ბრძანებით, რათა მურენას შეეწყვიტა ომი მითრიდატესთან და თანაც მოეგვარებინა ურთიერთობა მითრიდატესა და კაპადოკიის მეფის არიობარზანს შორის.

ამ მორიგების შედეგი ის იყო, რომ მითრიდატეს გამგებლობაში დარჩენოდა კაპადოკიის ის ნაწილი, რომელიც მის ხელში იმყოფებოდა, და ამას გარდა, ამ ქვეყნის სხვა ნაწილებიც მიითვისა[1].

ამგვარად, ამ მეორე ომიდან მითრიდატე გამარჯვებული გამოვიდა, მან შეინარჩუნა კაპადოკიის ტერიტორიის ნაწილი, რომელიც ბრძოლით იგდო ხელში.

როგორც ვთქვით, მეორე ომი მხოლოდ ეპიზოდური და არაარსებითი ხასიათისა იყო, და ამდენად მას რაიმე მნიშვნელოვანი ხასიათის ცვლილების შეტანა მხარეთა მდგომარეობასა და მათ შორის ურთიერთობაში არ შეეძლო. ამ ომმა ერთგვარი პოზიციური გაუმჯობესება მოუტანა მითრიდატეს, და მორალურადაც ხელსაყრელი ვითარება შეუქმნა მას.

ომი შეწყდა აპიანეს თქმით: „დაახლოებით მესამე წელს“[2], ე. ი. ძვ. წ. 81 წელს.

ჩვენ არა ერთხელ აღვნიშნეთ, რომ პონტოსა და რომს შორის ომიანობა და შეხლა-შემოხლა შემთხვევითი კი არ იყო, არამედ გამომდინარეობდა იმ მთავარი მოვლენიდან, რომელიც იმაში გამოიხატებოდა, რომ ეს ორი სახელმწიფო ერთიმეორეს ემეტოქებოდა აღმოსავლეთის რაიონებში ბატონობისათვის. ამ ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობის ყველა მომენტს განსაზღვრავდა ეს მთავარი ხაზი.

მითრიდატე, როგორც ზევით გავარკვიეთ, რომაელებთან პირველი ომის დამთავრების შემდეგ, აქტიურად ემზადებოდა კვლავ სერიოზული ბრძოლისათვის.

მეორე ომი ერთგვარი გარდამავალი ეტაპი იყო მესამე და უკანასკნელი ომისაკენ.

მეორე ომის დასრულებისთანავე, მითრიდატემ ხელი მიჰყო აღედგინა თავის სამეფოში წინანდელი სტაბილური მდგომარეობა.

რათა ბოსფორელების მხრივ განდგომის შიში აღარ ჰქონოდა და იქ საიმედო მდგომარეობა ჰგულებოდა, მითრიდატე, როგორც აპიანე გადმოგვცემს: „შეეცადა დაუფლებოდა ბოსფორს და დაუნიშნა ბოსფორელებს ერთ-ერთი თავისი ვაჟი სახელად მახარე“[3].

---

[1] აპიანე, 66.

[2] აპიანე, 66.

[3] აპიანე, 67.

ამასთან ერთად, თავს დაესხა „კოლხების ჩრდილოეთით მცხოვრებ აქეელებს“ [1], მაგრამ მარცხი განიცადა.

სამხედრო-პოლიტიკური ხასიათის მოქმედებასთან ერთად, მითრიდატე დიპლომატიურ ნაბიჯსაც დგამს, რათა ერთის მხრივ რომაელებს მოაჩვენოს, რომ ის მხოლოდ მშვიდობაზე ფიქრობს და ამ მიზნით რომში გზავნის ელჩებს (ძვ. წ. 79 და 78 წლებში), სულასთან დადებული საზავო პირობების წერილობით ხელშეკრულებაზე ხელის მოსაწერად, ხოლო მეორე მხრივ აახლებს კავშირ-ურთიერთობას თავის სიძესთან სომხეთის მეფე ტიგრანთან.

რადგან რომში ხელშეკრულების წერილობით გაფორმება არ მოხერხდა (რასაც სხვათა შორის, სულას გარდაცვალებამაც შეუწყო ხელი) და პირიქით, მითრიდატე იძულებული იყო, რომაელთა მოთხოვნით, კაპადოკია არიობარზანისთვის „მიეცა“, მითრიდატემ: „შეაგულიანა თავისი სიძე ტიგრანი, რათა იგი თავს დასხმოდა კაპადოკიას, ვითომც და საკუთარი ინიციატივით“ [2], მოგვითხრობს აპიანე.

როგორც ჩანს, მითრიდატე დათანხმებულა რომაელთა მოთხოვნაზე არიობარზანისთვის კაპადოკიის გარკვეული ნაწილის გადაცემაზე, მაგრამ სრულიადაც არ სურდა ეს საჭირო პლაცდარმი ხელიდან გაეშვა. თავისი თანხმობით რომაელები დაარწმუნა, რომ მას თითქოს აგრესიული ზრახვები არა აქვს, მაგრამ აამოქმედა თავისი მოკავშირე ტიგრანი. რა თქმა უნდა, მითრიდატეს „ეს ეშმაკობა რომაელებისათვის დაფარული არ დარჩა“ [3].

მესამე ომის დაწყების წინ მითრიდატეს კვლავ ერთი ხელსაყრელი გარემოება გამოუჩნდა. მითრიდატემ კონტაქტი დაამყარა იბერიაში (ესპანეთი) მყოფ სერტორიუსთან, რომელიც თავის მხრით რომის ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლას აწარმოებდა [4].

სერტორიუსმა ხელსაყრელად მიიჩნია მითრიდატესთან სამხედრო თანამშრომლობა, რადგან ეს მას შესაძლებლობას მისცემს: „ერიში მიიტანოს აღმოსავლეთიდანაც და დასავლეთიდანაც“ [5] რომაელებზე.

სერტორიუსი აღუთქვამდა მითრიდატეს, რომ „იგი მას გადასცემდა აზიას, ბითინიას, პაფლაგონიას, კაპადოკიასა და გალატიას“ [6].

---

[1] აპიანე, 67.
[2] აპიანე, 67
[3] აპიანე, 67.
[4] ძვ. წ. 73 წ.
[5] აპიანე, 68.
[6] პლუტარქე — სერტორიუსი, XXIV.

ამასთანავე მან გაუგზავნა მითრიდატეს მრჩევლებად ლუციუსები მაგიუსი და ფარნიუსი, ხოლო მთავარსარდლად მარკუს ვარიუსი[1].

შინაც კარგად მოემზადა რომაელებთან დიდი ომის საწარმოებლად მითრიდატე.

ზევით უკვე იყო მოტანილი პლუტარქეს ცნობა იმის შესახებ, თუ როგორ „ისწავლა ჭკუა" მითრიდატემ, რომაელებთან ომში, როგორ შეუდგა იგი ჭეშმარიტსა და საქმიან მოქმედებას, თუ როგორ გარდაქმნა მან თავისი საბრძოლო ძალები[2].

მითრიდატემ იცოდა, რომ ამჯერად რომაელებთან შერკინება მკაცრი და შეიძლება, გადამწყვეტიც იქნებოდა. ამიტომ მან იზრუნა, რათა მისი ლაშქარი საჭირო კონტინგენტით, აღჭურვილობითა და სურსათ-სანოვაგით სათანადოდ ყოფილიყო უზრუნველყოფილი.

ის მასშტაბი და გაქანება, რაც მითრიდატეს ამ მესამე ომისათვის სამზადისს ახასიათებდა, ერთხელ კიდევ ცხადჰყოფს მითრიდატეს უჩვეულო შემოქმედების უნარსა და უზომო ენთუზიაზმს; ცხადჰყოფს, რომ მას კარგად ესმოდა ვითარება და მოვლენათა ხასიათი და ბუნება.

მითრიდატე ჭეშმარიტად დიდ შემოქმედად მოსჩანს.

რათა წარმოდგენა ვიქონიოთ, როგორც მითრიდატეს საქმიანობის სიდიადეზე, ისე იმ მოვლენების გრანდიოზულობაზე, რომლებიც მესამე ომთან არის დაკავშირებული, საჭიროა მოვუსმინოთ პირველ წყაროს.

აპიანე მოგვითხრობს: „მითრიდატემ რომაელებთან ბრძოლის დროს მიღებული გამოცდილებით უკვე იცოდა, რომ მის მიერ ყოვლად უსაბაბოდ და ასე ჩქარა დაწყებული ომი[3], ამჯერადაც განსაკუთრებით დაუნდობელი იქნებოდა; ამიტომ მან იზრუნა ყოველგვარ სამზადისზე, ფიქრობდა რა, რომ შეტაკება ეხლა უკვე გადამწყვეტი იქნებოდა. ზაფხულის დარჩენილ ნაწილსა და მთელი ზამთრის განმავლობაში იგი ამზადებდა ხე-ტყეს; აგებდა ხომალდებს და აგროვებდა იარაღს, და სანაპიროს სხვადასხვა ადგილებში მოკრიბა 2.000.000 მედიმნამდე პური. მოკავშირეები მას შეუერთდნენ, წინანდელ ჯარის გარდა, ხალიბები,

[1] მითრიდატესგან კი სერტორიუსს უნდა მიეღო „სამი ათასი ტალანტი და ორმოც ხომალდიანი ესკადრა", პლუტარქე, სერტორიუსი, XXIV.

[2] იხ. პლუტარქე, ლუკულუსი, 7.

[3] როგორც უკვე აღვნიშნეთ, რომაული წყაროები ომის ატეხას ტენდენციურად მითრიდატეს აბრალებენ.

არმენიელები, სკვითები, ტავრები, აქეელები, ჰენიოხები, ლევკოსირები და ისინი, რომლებიც ცხოვრობენ ეგრეთწოდებული ამაზონების მიწებზე, მდინარე თერმოდონტის მახლობლად. ასეთი ძალები შეუერთდა მის წინანდელ ჯარებს აზიიდან, ხოლო როდესაც ის ევროპაში გადავიდა, მაშინ მას შეუერთდნენ, ეგრეთ წოდებული, მეფის სავრომატები და იაზიგები, კორალები, ხოლო თრაკიელთაგან ის ტომები, რომლებიც ცხოვრობენ ისტრზე როდონისა და გემის მთებში, აგრეთვე ბასტარნები, მათგან ყველაზე უძლიერესი ტომი. ასეთი ძალები მიიღო მაშინ მითრიდატემ ევროპიდან და თავი მოიყარა მასთან სულ მებრძოლმა ძალებმა 140.000 მდე ქვეითმა ჯარმა, ხოლო 16.000-მდე ცხენოსნებმა. ამას გარდა, მათ უკან მისდევდნენ ვეებერთელა ბრბოდ გამცილებლები, ბარგის მზიდავნი და ვაჭრები“[1].

თუ აპიანეს ამ მონათხრობთან ერთად გავიხსენებთ პლუტარქეს ზემოთ მოტანილ ცნობასაც, მაშინ ნათელი გახდება, თუ რა უზარმაზარ საქმეს ედგა სათავეში დაუცხრომელი მითრიდატე.

რომშიც ის განწყობილება სუფევდა, რომ მითრიდატესთან ომი დღეს თუ ხვალ უნდა განახლებულიყო და 74 წელს არჩეულ კონსულებს ლუკულუსსა და კოტას დაავალეს ამ ომის წარმოება.

მას შემდეგ, რაც რომაელებმა (ძვ. წ. 74 წ.) ხელთ იგდეს პონტოს სამეფოს მეზობელი ბითინია (რომელიც გარდაცვლილმა მეფე ნიკომედმა უანდერძა მათ) და ამით მის საშიშ მეზობლებად იქცნენ,— მითრიდატეს უკვე დამშვიდებული ცხოვრება აღარ შეეძლო. სხვა ზიანთან ერთად, რომაელებს შეეძლოთ შავი ზღვის სრუტეების გადაკეტვით უდიდესი ეკონომიური ზარალი მიეყენებინათ პონტოს სამეფოსთვის.

ბითინიის, ამ ეკონომიურად მდიდარ და სტრატეგიულად უდიდესი მნიშვნელობის მქონე მხარის, რომაელების მიერ ხელში ჩაგდება, ძალზე ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა რომაელებს აღმოსავლეთში და დიდად ემუქრებოდა მითრიდატეს.

ეს გარემოება გახდა პონტოსა და რომს შორის აქტიური საომარი მოქმედების წყაროდ.

ამით დაიწყო მითრიდატეს „მესამე და უკანასკნელი ომი რომაელებთან“[2].

ეს უკანასკნელი ომი მითრიდატესა და პონტოს სამეფოსთვის კატასტროფით დამთავრდა, მაგრამ ამ ომმა ერთხელ კიდევ ცხად-

---

[1] აპიანე, 69.
[2] აპიანე, 68.

ყო მითრიდატეს სიმამაცე და გმირობა, მისი შეუპოვრობა და გაუტეხაობა; ცხადჰყო პონტოს სამყაროს ეკონომიური და სამხედრო პოტენცია, აქაური მოსახლეობის მტკიცე ნებისყოფა—თავიდან აეცილებინათ რომაელთა ბატონობა.

როგორც ვთქვით, რომაელების დამკვიდრება ბითინიაში პონტოს სამეფოსთვის საზიანო პერსპექტივებს ქმნიდა, საზიანო იყო იგი განსაკუთრებით მომავალი ომის ასპექტში.

ამიტომ მითრიდატეს მდგომარეობის სწორი შეგნება და ალღო უკარნახებდა დაეჩქარებინა მოქმედება, ვიდრე მდომარეობა უფრო მეტად შეიქმნებოდა არახელსაყრელი.

ძვ. წ. 73 წლის გაზაფხულზე მითრიდატემ: „მოახდინა რა გამოცდა თავისი ფლოტისა“[1] და შესწირა რა ომისა და ზღვის ღმერთებს („ამ უკანასკნელის სამსხვერპლოდ მან ზღვაში ჩააგდო წყვილი თეთრი ცხენი“,) სათანადო მსხვერპლი, იგი გაეშურა პაფლაგონიისაკენ.

აქ მან თავისი ჯარის წინაშე სიტყვა წარმოსთქვა.

ეს სიტყვა წარმოადგენს მითრიდატეს, როგორც დიდ პოლიტიკოსს, სტრატეგს, სარდალს, რომელსაც კარგად ესმის არა მხოლოდ არსებული პოლიტიკური და სამხედრო სიტუაცია, არამედ ისიც კარგად იცის, რომ საჭიროა ჯარის ფსიქოლოგიურად მომზადება დამუშავება, საჭიროა მათ განუმარტოს ომის მიზეზი და მიზანი, მიუთითოს იმ უპირატესობაზე, რომელიც მას გააჩნია მოწინააღმდეგის წინაშე, რათა ჯარი გამარჯვების იმედით აღფრთოვანდეს და სიმამაცე შეემატოს, გამარჯვების რწმენა განუმტკიცოს—მორალურ მომენტს ხომ განუზომელი მნიშვნელობა აქვს ბრძოლის ველზე.

მითრიდატემ ჯერ მიუთითა თავისი წინაპრებისა და მის მიერ შექმნილ დიდსა და ძლიერ სახელმწიფოზე, აღნიშნა, რომ ის „პირადად არასოდეს ყოფილა დამარცხებული რომაელთაგან“[2] და ამით განამხნევა, იმედი შთაუნერგა თავის მებრძოლთ.

შემდეგ ბრალი დასდო რომაელებს ანგარებასა და სიხარბეში, რომ არ სურთ მათ გააფორმონ წერილობით მასთან დადებული ხელშეკრულებები: „და ელიან ხელსაყრელ მომენტს, რათა განაახლონ იათზე თავდასხმა“[3].

ე. ი. ამით მითრიდატემ თავის ჯარს უთხრა: პონტოს სამეფო რომაელთაგან თავდასხმის საფრთხის წინაშე დგას. მაშასა-

---

[1] აპიანე, 70.
[2] აპიანე, 70.
[3] იქვე.

 დამე, მითრიდატე იძულებულია იარაღს მოჰკიდოს ხელი, ვიდრე რომაელები თავიანთ ვერაგ ზრახვებს განახორციელებენ. ამით მან მარჯვედ რომაელებს: „დააკისრა რა ბრალი ამ ომის დაწყების საქმეში, აღნიშნა თავისი ჯარისა და მისი შეიარაღების ძლიერება“ [1].

მითრიდატემ განუმარტა ჯარს, რომ თითონ ძლიერნი არიან რომაელებზე.

მაგრამ ესეც არ კმარა. პონტოს ჯარისთვის გამარჯვება უზრუნველყოფილია იმითაც, რომ რომაელთა შორის ერთიანობა არ არის, რომ ისინი: „ეხლა გართული არიან იბერიაში სერტორიუსთან სერიოზულ ბრძოლაში, ხოლო იტალიაში სამოქალაქო ომი წარმოებს“ [2].

ასეთი გართულებული მდგომარეობის გამო, რომაელები ვერ: „აქცევენ ყურადღებას ზღვასაც, რომელიც უკვე დიდი ხანია ზღვის მეკობრეთა ხელშია, არა ჰყავთ მათ არც არავითარი მოკავშირე და არც არავინ არის ნებაყოფლობით მათი ქვეშ ვრდომი. განა ვერა ხედავთ, თქვა მან, მიუთითებდა რა ვარიუსსა და ორივე ლუციუსებზე, რომ მათგან ყველაზე უკეთესნი სამშობლოს მტრები და ჩვენი მოკავშირეები არიან“ [3].

მითრიდატეს ამ სიტყვაში ყველა ელემენტია იმისათვის, რათა ჯარი აღფრთოვანებულიყო.

მართლაც, როგორც აპიანე ამბობს: „თქვა რა ესა და ალაგზნო თავისი ჯარი, მითრიდატე შეესია ბითინიას“ [4].

მითრიდატეს საქმიანობა ამ მესამე ომში ჭეშმარიტად გმირის ღირსი საქმიანობაა.

მითრიდატემ ბითინია სწრაფად იგდო ხელთ და ქალქედონში მიუხდა იქ გაქცეულ ბითინიის რომაელ მმართველ ავრელიუს კოტას.

მითრიდატეს პირველი წარმატებისთანავე, აღმოსავლეთის რაიონებში ძველი ამბავი განმეორდა. პლუტარქეს მოწმობით: „ბითინიის ქალაქები სიხარულით ეგებებოდნენ მას, არა მარტო ბითინიას, არამედ მთელ აზიას ჰქონდა მოდებული ძველი სენი და მზად იყო განდგომოდა რომს“ [5].

---

[1] აპიანე, 70.
[2] იქვე.
[3] აპიანე, 70.
[4] აპიანე, 71.
[5] პლუტარქე, ლუკულუსი, 7.

ამგვარად, ეს მომენტიც,—რომაელთადმი სიძულვილი მითრიდატეს სასარგებლო ფაქტორი იყო, იგი უთუოდ ადრევე ჰქონდა ნავარაუდევი მას და კარგადაც იყენებდა.

მითრიდატემ ქალკედონზე ხმელეთითა და ზღვით მიიტანა იერიში. კოტას უხეირო სარდლობის წყალობით, მითრიდატემ ადვილად სძლია მტერი. მან დასწვა მტრის ოთხი ხომალდი, დანარჩენი სამ ცი კი, თან წაიყვანა.

ამგვარად, რომაელებმა ამ პირველსავე შეტაკებაში თავისი სამხედრო ფლოტი დაკარგეს.

საერთოდ ამ ბრძოლაში რომაელებს დაეღუპათ სამი ათასამდე კაცი, მათ შორის ერთი სენატოოი ლუციუს მარიუსი. მითრიდატეს ჯარს მხოლოდ 20 კაცი დააკლდა, ესენიც ის ბასტარნები იყვნენ, რომლებიც შეიჭრნენ ნავსადგურში[1].

ასეთი ბრწყინვალე იყო მითრიდატესთვის მისი მესამე ომის პირველი აქტი...

მაგრამ რამდენადაც ბრწყინვალედ დაიწყო ომი, იმდენად სავალალო დასასრული ჰქონდა მას...მაგრამ ამაში მითრიდატე ძალიან ნაკლებად იყო დამნაშავე.

უთუოდ ძნელია წარმოიდგინოს ადამიანს მოთხოვნილება, ყველაფერში წარმატებული იყოს, მაშინ, როდესაც ადამიანებიც და ბუნებაც მას ხელს უშლიან საქმიანობაში.

მართალია, ქალკედონთან მითრიდატემ რომაელთა ერთი სარდალი დაამარცხა, იგი ქალკედონის ციხე-სიმაგრეში ჩაკეტა, მაგრამ მის გამოსახსნელად გამოეშურა მეორე სარდალი ლუციუს ლუკულუსი, რომელსაც სხვათა შორის, თან ახლდა მოღალატე არქელაოსი.

ამის გაგებისთანავე, მითრიდატემ მოხსნა ქალკედონს ალყა და მიაშურა ქალაქ კიზიკს პროპონტიდაში (მარმარილოს ზღვაში).

შესაძლებელია, მითრიდატემ სამხედრო თვალსაზრისით დაუშვა შეცდომა, როგორც ამას ფიქრობს ლ. სანიკიძე[2]. შეიძლება მითრიდატე უნდა შებრძოლებოდა ლუკულუსს მაშინათვე და ეგების მოეპოვებინა გამარჯვება; რომ მას არ უნდა მოეხსნა ქალკედონისთვის ალყა და არ წასულიყო კიზიკისკენ. მაგრამ მითრიდატეს მოქმედება ეხლა შეიძლება შეცდომად ადვილად მოეჩვენოს ადამიანს, მას შემდეგ, რაც მითრიდატემ კიზიკთან მარცხი განიცადა, მარცხი, რომელიც ძირითადად ღალატისა

---

[1] აპიანე, 71.

[2] იხ. პონტოს სამეფო, გვ. 100.

და ბუნების მოულოდნელი მკაცრი მოვლენის წყალობით იყო გამოწვეული.

მაგრამ ვიდრე მითრიდატეს მოქმედებას მსჯავრს დავდებდეთ, საჭიროა გულდასმით აწონდაწონა ყველა გარემოებისა. მითრიდატეს მიერ ქალ ედ ონის მიტოვება და კიზიკისკენ წასვლა ხომ ფრიად სერიოზული მოტივებით იყო გამოწვეული და თუ მითრიდატეს მარცხი არ შემთხვეოდა აღნიშნული გარემოების წყალობით, რის გათვალისწინებაც მას, რა თქმა უნდა, არ შეეძლო,—თუ მითრიდატე თავის განაზრახს შეასრულებდა, მაშინ საქმე სულ სხვანაირად დატრიალდებოდა და, ალბათ, საკითხი მითრიდატეს შეცდომის შესახებ არც აღმოცენდებოდა.

კიზიკის მნიშვნელობა და მითრიდატეს ზრახვები ისე კარგად აქვს გადმოცემული თითონ ლევან სანიკიძეს, რომ სასარგებლო იქნება მისი გაცნობა, ზემოთ აღძრულ საკითხთან დაკავშირებით.

ლ. სანიკიძე ჯერ აღნიშნავს, რომ: „მითრიდატემ მაინც არ აიღო ხელი მტრისათვის ზურგიდან შემოვლის გეგმაზე. ამიტომ ის კიდევ უფრო დასავლეთით გაეშურა“ [1], ე. ი. ქ. კიზიკისაკენ.

ხოლო მეორე წერს: „ქალაქი კიზიკი მდებარეობდა კუნძულ კიზიკზე პროპონტიდის (მარმარილოს ზღვის) სამხრეთ სანაპიროსთან და მცირე აზიის კონტინენტურ ნაწილს ორი ხიდით უკავშირდებოდა. სამხრეთ აღმოსავლეთიდან კიზიკს თავს დასცქეროდა ადრასტის მთა, ხოლო თითონ კუნძულზე, ქალაქის ერთი ნაწილი განლაგებული იყო არკტონისა და დინდიმის მაღლობებზე. მითრიდატეს კარგად ჰქონდა შეგნებული კიზიკის სტრატეგიული მნიშვნელობა. ეს ქალაქი ჩრდილოეთიდან ყოფილი პერგამოსის სამეფოს კარიბჭეს წარმოადგენდა, და თუ კი მას დაეუფლებოდა, მაშინ რომაელთა სამფლობელოებისაკენ გზა გაეხსნებოდა. თითონ მითრიდატე უწოდებდა კიზიკს „აზიის კარებს“, რომლის დამსხვრევით მას საშუალება ეძლეოდა შეჭრილიყო პურით მდიდარ რომაულ პროვინციაში და თავი დაეღწია მოსალოდნელი შიმშილისაგან. ამავე დროს კიზიკის აღებით მას შეეძლო შეეფერხებინა ხმელთაშუა ზღვიდან მტრის დამამარე ნაწილების გადმოსხმა და დაეჩქარებინა ლუკულუსის ლაშქრის მარწუხში მოქცევა“ [2].

სწორედ კიზიკის ასეთი მნიშვნელობის გამო მიაპყრო მითრიდატემ მას ყურადღება და გადასწყვიტა ხელთ ეგდო იგი, ვიდრე რომაელები მის ორგანიზებულ დაცვას მოახერხებდნენ. მით-

---

[1] გვ. 98.
[2] იხ. პონტოს სამეფო, გვ. 98.

რიდატემ ამჯობინა ამ ფრიად მნიშვნელოვანი პუნქტის ხელთგდება, ვიდრე ქალკედონთან დარჩენით, ორივე მიოით მტრის მიერ შემორტყმული აღმოჩენილიყო.

მითრიდატეს განაზრახი შეესაბამებოდა მდგომარეობას და ამ განზრახვას იმის და მიხედვით არ უნდა დავდვათ ბრალი, რომ იგი ვერ განხორციელდა, რასაც როგორც დავინახავთ, მითრიდატესაგან დამოუკიდებელმა გარემოებებმა შეუწყო არსებითად ხელი...

მითრიდატემ წვიმიან გარიჟრაჟზე მიატოვა ქალკედონი და კიზიკისკენ გაემართა თავისი ჯარით.

იმ დროს, როდესაც მითრიდატე კიზიკის ალყას ახორციელებდა, მოხდა რამდენიმე გარემოება, რამაც საქმე სრულიად დაცარა და ბოლოს კიდეც დაღუპა

პირველი მახვილი მუხანათურად ჩასცა მითრიდატეს საქმიანობას მისთვის სერტორიუსის მიერ მრჩევლად გამოგზავნილმა მაგიუსმა. როგორც კი ესპანეთში სერტორიუსმა მარცხი განიცადა, საკუთარი სიცოცხლის გადარჩენა ლუციუს მაგიუსმა, გადაწყვიტა მითრიდატესთვის ღალატით.

მან საიდუმლო ჯაშუშური კავშირი გააბა ლუკულუსთან, ამ უკანასკნელისაგან მიიღო ხელუხლებლობის აღთქმა, თუ კი იგი ხელს შეუწყობდა მითრიდატეს დაღუპვას...[1].

მაგიუსმა ვერაგულად მოატყუა მითრიდატე, რომ მზად იყო ამის მაარეზე გადმოსულიყო რომაელთა ორი ლეგიონი ფიმბრიას მეთაურობით, რომელიც სულას შემდეგ იყო აღმოსავლეთში და არა სურდა ლუკულუსს დაჰქმორჩილებოდა.

მითრიდატემ თავის მრჩეველს დაუჯერა, საბედისწეროდ.

ამის შედეგი ის იყო, რომ რომაელებს მნიშვნელოვანი პოზიცია—ადრასტის მთისკენ მიმავალი ბილიკი, ჩაუვარდათ ხელში, რომელზედაც მაგიუსმა მითრიდატეს ხელი აალებინა.

ამ ნაბიჯმა საბედისწერო როლი შეასრულა, რადგან ლუკულუსის ხელში მეტად ბასრი იარაღი აღმოჩნდა მითრიდატეს დასამარცხებლად: ლუკულუსმა დაუხშო მითრიდატეს ჯარის სურსათსანოვაგით მოსამარაგებელი გზა.

მითრიდატეს ჯარმა მალე იგრძნო ამის შედეგი. ჯარში შიმშილი გაჩნდა, რასაც სარდლები დიდხანს უმალავდნენ მითრიდატეს[2].

---

[1] აპიანე, 72.

[2] პლუტარქე, ლუკულუსი, 11.

ლუკულუსს თან ახლდა და ძვირფასი რჩევითა და ცნობების მოწოდებით დიდად ეხმარებოდა მას „მითრიდატეს ყოფილი სარდალი არქელაოსი, რომელიც მეფეს განუდგა და რომაელებთან ერთად ლაშქრობდა“ [1].

ამგვარად, მითრიდატეს მრჩეველი მას აიძულებს დამღუპველი ნაბიჯი გადადგას, არქელაოსი კი, ხელს უწყობს ლუკულუსს.

მითრიდატემ, რომელსაც ხელთ ჰქონდა უძრავი საალყო საშუალებანი [2], მის ირგვლივ შექმნილი მძიმე პირობებით გული არ გაიტეხა და კიზიკზე დიდი იერიში მიიტანა. არქელაოსის რჩევით ლუკულუსმა მოახერხა ალყაში მყოფ კიზიკელებთან კონტაქტის დამყარება, რამაც მათი წინააღმდეგობის ძალა გაზარდა.

პონტოელთა საშინელ იერიშებს კიზიკელები ძლივს იგერიებდნენ. მაგრამ მათ ბუნებაც დაეხმარა... ამოვარდნილმა საშინელმა ქარიშხალმა დაამსხვრია მითრიდატეს საიერიშო მოწყობილობანი [3].

კიზიკის ასაღებ ღონისძიებათა შორის აღსანიშნავია მითრიდატეს მიერ მთა დინდიმიდან სვრელის გაყვანა, მაგრამ უშედეგოდ, რადგან კიზიკის მცხოვრებლებმა დაუნგრიეს [4].

კიზიკის ალყის უშედეგობა დიდი მარცხი იყო მითრიდატესთვის. იგი იძულებული გახდა არა მხოლოდ ხელი აეღო კიზიკის აღების განზრახვაზე, არამედ გაქცეულიყო იქიდან.

უკან დახევის დროსაც კვლავ უწია უბედობამ მითრიდატეს: არისტონიკეს დავალებული ჰქონდა ფლოტით ზღვაში გასულიყო [5].

ამოვარდნილმა ქარიშხალმა დიდი ზიანი მიაყენა მითრიდატეს ფლოტს.

შემდეგ ლუკულუსი ამარცხებს მითრიდატეს ჯარის ნაწილს ლემნოსთან.

მაშინ კი მითრიდატე იძულებული გახდა პონტოსკენ ებრუნებინა პირი.

მაგრამ აკვიატებული მარცხი მას კვალდაკვალ სდევდა... როდესაც ის პონტოსკენ მიცურავდა: „მას საშინელმა ქარიშხალმა მოუსწრო, მისგან მას დაეღუპა ათიათასამდე კაცი და საოცამდე ხომალდი; დანარჩენები გაიფანტნენ იქ, ვინც საით გადაისროლა ქარიშხალმა“ [6].

---

[1] პლუტარქე, იქვე, 8.
[2] აპიანე, 73.
[3] აპიანე, 74.
[4] აპიანე, 96.
[5] პლუტარქე, ლუკულუსი, 11.
[6] აპიანე, 78.

„ზღვის მთელი სანაპირო მრავალი დღის განმავლობაში ტალღების მიერ გამორიყულ ხომალდთა ნამსხვრევებით იყო მოფენილი. თითონ მითრიდატე საბარგო ხომალდით მიცურავდა. მისმა მესაჭეებმა ეს ხომალდი თავისი სიდიდის გამო ვერც ნაპირზე გაიყვანეს ასეთ საშინელ მღელვარებასა და შავ ზვირთებში მომწყვდეული და, რაკი მეტად მძიმე იყო, და უკვე წყალიც შესდიოდა, ვერც ზღვაში გააჩერეს. მაშინ მითრიდატე მეკობრეთა მსუბუქ ხომალდზე გადაჯდა და თავისი ბედი ზღვის ყაჩაღებს მიანდო“[1].

ქალკედონთან და კიზიკთან წარმოებულ საომარ ოპერაციებს სამხედრო ისტორიის სპეციალისტის ანალიზი ესაჭიროება, რათა სისწორით იყოს გარკვეული მებრძოლ მხარეთა შეცდომა-სიმარჯვენი... მაგრამ ერთი რამ ყველასათვის ცხადია, რომ მითრიდატეს საზიანოდ როგორც ღალატმა, ისე ბუნებამ დიდი წვლილი გაიღო.

განცდილი მარცხისა და ზარალის მიუხედავად, მითრიდატე არა თუ ომს ჯერ სრულიადაც წაგებულად არა სთვლიდა, არამედ, როგორც ჩანს, იგი ახალ შეტევითს გეგმებს სახავდა.

განცდილი მარცხი მან უთუოდ, შეაფასა, როგორც ცალკეული საბრძოლო ეპიზოდები და რომ ომის ბედი ჯერ გადაწყვეტილი არ იყო.

თუ რა ფართო გეგმების დასახვა სჩვეოდა მითრიდატეს, თუნდაც იქიდან ჩანს, რომ ქალკედონ-კიზიკის ოპერაციების მარცხით დამთავრების შემდეგ, მან თავისი 50 სამხედრო ხომალდით 10.000 იანი ჯარი ეგეოსის ზღვისაკენ გაისტუმრა.

საისტორიო წყაროები სდუმს მითრიდატეს ამ ნაბიჯის მიზანდასახულობის შესახებ, მაგრამ უეჭველია, მითრიდატე რაღაც სერიოზულ ზრახვებს აკავშირებდა მასთან.

მისაღებია მხედველობაში, რომ როგორც ლ. სანიკიძე ფიქრობს, ეს ერთის მხრივ, მანევრი იყო, რათა მითრიდატეს ჩამოეშორებინა რომაელთა ყურადღება და თითონ ადვილად შესძლებოდა შავ ზღვაში შეეღწია და ამით თავი გადაერჩინა, ან ის, რომ მას კონტაქტი დაემყარებინა ხმელთაშუა ზღვაზე გაბატონებულ მეკობრეებთან და ამით გაეძლიერებინა ანტირომაული ძალები[2].

ფრიად სერიოზული ყურადღების ღირსია მომზენის აზრი იმის შესახებ, რომ მითრიდატეს სურდა აღნიშნული ძალებით შეეღწია იტალიის ტერიტორიაზე და იქ სპარტაკის დასახმარებლად ხელი შეეწყო საჭირო მოძრაობისათვის.

[1] პლუტარქე, ლუკულუსი, 13.
[2] იქვე, გვ. 104.

აქ კიდევ ისიც შეიძლება დაემატოს, რომ მითრიდატეს სურდა რომაელები აღარ გაეშვა ზღვის გზით აღმოსავლეთისაკენ: რომ აღარ მიეცა რომაელთათვის საშუალება არც სახმელეთო ჯარის კონტინგენტიდან გამოეგზავნათ და არც ფლოტი მოეშველებინათ ლუკულუსისთვის, ლუკულუსს ხომ ქალკედონის შემდეგ არც ერთი ხომალდი აღარ გააჩნდა.

ამით მითრიდატეს სურდა მოეწყვიტნა აზიაში მოქმედი რომაული არმია მისი ზურგისთვის, გაენაპირებინა იგი და მერე ადვილად მოახერხებდა მის დამარცხებას.

აქ გამოთქმულ მოსაზრებათაგან არა თუ არც ერთი მათგანი არ არის უსაფუძვლო და უარსაყოფი, არამედ, საფიქრებელია, რომ სწორედ ამ მოსაზრებათა კომპლექსმა გამოიწვია მითრიდატეს ნაბიჯი... ამდენად, ეს მაჩვენებელია მის განზრახვათა და მოქმედების რეალურობისა და სიდიადისა.

მაგრამ აქაც მას, როგორც დავინახეთ, წინ ულმობელი სტიქიონი გადაეღობა... თუ არა ქარიშხალი, რომელმაც მითრიდატეს მასთან მყოფი ძალები მთლიანად გაუნადგურა,—ეგების, ეგეოსის ზღვისაკენ გაგზავნილი ხომალდების მოქმედებას რამე ეფექტი მოჰყოლოდა, მითრიდატეს მიერ პონტოს მხრით წარმოებულ მოქმედებასთან ერთად, რაც უთუოდ მას განზრახული ჰქონდა და რისთვისაც მიემართებოდა იქეთკენ.

და თუ მას შემდეგ, რაც გააფთრებულმა სტიქიონმა, მითრიდატეს თვალწინ მიუმსხვრია 60 ხომალდი და დაუხრჩო 10,000 მეომარი; მას შემდეგ, რაც თითონ ძლივს გაუსხლტა ხელიდან აბობოქრებულ ტალღებს,—მითრიდატე მაინც არა თუ არა ცხრება, არამედ კვლავ ახალი ენერგიითა და გატაცებით იწყებს ახალ სამხედრო ძალების შექმნას,—ეს მაჩვენებელია არა მხოლოდ მისი დაუშრეტელი ენერგიისა და ჩაუქრობელი მებრძოლი ბუნებისა, არამედ, და სწორედ ეს არის ყველაზე მეტად საინტერესო,— ეს მაჩვენებელია იმ რესურსთა სიუხვისა, რომელიც პონტოს სამყაროს გააჩნდა... ამდენად, ეგეოსის ზღვაში ექსპედიციის გაგზავნას აზრი და რეალური მნიშვნელობა ჰქონდა.

ზღვის კატასტროფას გადარჩენილმა მითრიდატემ ნიკომედიამდე ძლივს მიაღწია და იქ შეაფარა თავი.

რომაელთა ჯარის ორმა სარდალმა კოტამ და ტრიარიუსმა თავიანთი ჯარით ნიკომედიას ორი მხრით ალყა შემოარტყეს. ნიკომედიაში მითრიდატეს მოუვიდა ცნობა ეგეოსის ზღვაში მისი ფლოტის დაღუპვისა.

იგი მარჯვედ გაუსხლტა მტერს ხელიდან. მან ღამით მიატოვა ნიკომედია და ბოსფორის სრუტის გავლით შავ ზღვაში შესცურა...

მაგრამ არც ამ მისმა მშობლიურმა ზღვამ დააყარა მას ხეირი... ზღვის სტიქიონი მითრიდატეს არა სწყალობდა... მის მიერ ლაშქრობის დაწყების წინ ზღვათა სამყაროს მბრძანებელ პოსეიდონისთვის შეწირული ორი თეთრი რაში ამაო გამოდგა... ღვთაება, მადლის მაგიერ, ყოველ წამს მრისხანებას ავლენდა მითრიდატეს თავს.

შავ ზღვაში შესვლისთანავე, ქარიშხალმა ის მცირედი ფლოტიც დაუზიანა მითრიდატეს, რომელიც მას თან ახლდა. მან ძლივს მიაღწია ქ. ჰერაკლეას, იქ დაბინავდა იგი ზამთრის გასატარებლად.

ჰერაკლეადან მითრიდატე სინოპეში ჩავიდა იქიდან კი ამისოსში მივიდა.

თავის მიერ განცდილი მარცხის შემდეგ მითრიდატემ სამართლიანად ივარაუდა, რომ პონტოს სამეფოს საბოლოო დამარცხებით რომი გადალახავდა იმ უდიდეს ჯებირს, რომელიც მას დღემდე ხელს უშლიდა თავისი ბატონობა აძიერკავკასიასა და პართიის სამეფოს სამფლობელოებზეც გაევრცელებინა. იგი ფიქრობდა, რომ ამ საფრთხეს აღნიშნული ქვეყნების მესვეურნი ნათლად შეიგნებდნენ. ამიტომ, მისი აზრით, დადგა დრო ამ ქვეყნების პონტოს სამეფოს ძალებთან გაერთიანებისა, რათა მოზღვავებულ რომაელთა ტალღას გზა გადაუღობონ.

მითრიდატემ გაგზავნა ელჩები და მოუწოდებდა მათ გაერთიანებულიყვნენ, ვიდრე რომაელები მათ ცალ-ცალკე დაამარცხებდნენ...

მაგრამ ისინი, ვისაც მითრიდატე მიჰმართავდა, ვერ აღმოჩნდნენ სათანადო შეგნების სიმაღლეზე.

სომხეთის მეფე ტიგრანი თავისი სიმამრის მოწოდებას დუმილით შეხვდა.

მითრიდატეს სრულიად რეალური იმედი ჩაეფუშა.

ტიგრან მეორემ უხეში პოლიტიკური შეცდომა ჩაიდინა, რის შემდეგიც მწარედ იწვნია.

მითრიდატეს სხვა მხრივაც ელოდა მარცხი.

მისმა შვილმა მახარემ, რომელიც მამის მიერ ბოსფორის მმართველად იყო დადგენილი, არა თუ არ მიაშველა გაჭირვებაში

მყოფ მამას, რათა მას მხარში ამოსდგომოდა, არამედ მის მოწოდებას დახმარების შესახებ, საშინელი ღალატით უპასუხა [1].

მითრიდატეს უღალატა აგრეთვე ერთმა მისმა მახლობელმა— დიოკლმა, რომელსაც მან: „უბრიანა წაღო ოქრო და მრავალი ძღვენი ლუკულუსის გადმოსაბირებლად, ხოლო დიოკლი ამ ძღვენითა და ოქროთი ერთად, გადავიდა ლუკულუსის მხარეზე“ [2].

მიუხედავად მის ირგვლივ შექმნილი ესოდენ არახელსაყრელი ვითარებისა, მითრიდატე, ამისოსიდან გაქცეული, ქ. კაბირში ანუ ქაბიერში კვლავ საგრძნობ ძალებს უყრის თავს. აქ მან მოაგროვა 40.000 ქვეითი და 4.000 ცხენოსანი [3].

იმ მარცხშიც, რომელიც მითრიდატემ ქაბიერასთან განიცადა, დიდი ბრალი მიუძღვის ერთის მხრივ ღალატს, მეორეს მხრივ მისი ჯარის უფროსთა უხეირობას და მესამე მხრივ, მისი ჯარის ისევ და ისევ ორგანიზაციულ სისუსტეს.

ლუკულუსის ჯარისთვის წინააღმდეგობის გასაწევად და მისი მოახლოვების საცნობებლად ცეცხლის ანთების საშუალებით, მითრიდატეს დაყენებული ჰყავდა მოწინავე რაზმები, ვინმე სამეფო გვარის კაცის ფენიქსის მეთაურობით.

როდესაც ლუკულუსი თავისი ჯარით გამოჩნდა, როგორც აპიანე ამბობს: „მართალია, მან აცნობა მითრიდატეს ცეცხლით ნიშნის მიცემით, მაგრამ თითონ მთელი თავისი ძალებით ლუკულუსის მხარეზე გადავიდა“ [4].

იშვიათია ისტორიაში, რომ ერთსა და იმავე პირის მიმართ ასეთ გაუთავებელ ღალატსა და სტიქიურ უბედურებას ერთად მოეყაროს თავი!...

ლუკულუსისა და მითრიდატეს ცხენოსანი ჯარის ბრძოლის დროს მითრიდატემ დაამარცხა ლუკულუსი და აიძულა იგი კვლავ მთებს შეჰფარებოდა [5]. ხოლო, როდესაც კვლავ ღალატის წყალობით, ლუკულუსი ისევ ბარში გაჩნდა, მითრიდატემ გადასწყვიტა ლუკულუსისათვის მოესპო კაპადოკიიდან სურსათის მიწოდების შესაძლებლობა. მაგრამ მისი ეს შესანიშნავი განზრახვა ამაოდ იქცა მისი ჯარის უფროსთა უხეირო და მხდალი მოქმედების შედეგად.

---

[1] აპიანე, 78.
[2] აპიანე, 78.
[3] აპიანე, 78.
[4] აპიანე, 79.
[5] აპიანე, 79.

როგორც აპიანე გადმოგვცემს, მითრიდატემ: „რომაელებს ისეთი შიშის ზარი დასცა, რომ ისინი ზევით ძეგბში გაიქცნენ, ველარ გრძნობდნენ რა, რომ მტრები შორს დარჩნენ ძირს, არამედ თვითეული ფიქრობდა, რომ ის, ვინც მასთან ერთად გარბოდა, ან უკან მისდევდა, მტერი იყო, ასე ძალიან იყვნენ ისინი შეშინებული“ [1].

რაკი მითრიდატემ თავისი განაზრახი,—მოესპო ლუკულუსისათვის სურსათის მიწოდება,—ვერ განახორციელა, და პირიქით, მისი უხეირო სარდლების ძეოხებით, მისმა ცხენოსანმა მარცხი განიცადა.. ხოლო ლუკულუსს კი ყველაზე მეტად სწორედ მითრიდატეს ცხენოსანი ჯარისა ეშინოდა, ამიტომ ქაბიერაში დარჩენა მითრიდატემ უმიზნოდაც და თავისთვის საშიფადოდაც მიიჩნია. მან გადასწყვიტა მიეტოვებინა ბანაკი.

აქ ერთხელ კიდევ გამოჩნდა ის ნაკლი, რომელიც პონტოს სამეფოს არმიას რომის არმიისაგან განასხვავებდა.

ჩვენ დავინახეთ, რომ პირველ ომში მიღებული გამოცდილების შემდეგ მითრიდატემ თავისი არმია რომაული წესების მიხედვით გარდაქმნა. მაგრამ ბედმა მას იგი არ შეანარჩუნა, მისი უდიდესი ნაწილი ულმობელმა სტიქიონმა იმსხვერალა.

ჯარი, რომელიც მითრიდატეს ქაბიეასთან ჰყავდა, სხელდახელოდ იყო მოკრებილი და მოკლებული იყო გაწვრთნასა და ორგანიზაციულ წესრიგს, ამასთანავე, უთუოდ თავიდან არ იყო აცილებული ეთნიკური სიჭრელეც. ამ ჯარის დიდი ნაკლი იყო ჯარის უფროსთა მომზადებული კადრის უყოლობა. აპიანე ასე აგვიწერს პონტოს ჯარის ბანაკში დატრიალებულ უწესრიგობას.

როდესაც მითრიდატემ ბანაკის მიტოვების განზრახვა: „უთხრა მასთან ბანაკში მყოფ თავის მეგობრებს, მათ, ვიდრე რაიმე ბრძანება იქნებოდა გაცემული, ღამით საჩქაროდ იყუეს თავიანთი ბარგის გაგზავნა ბანაკიდან. ჭიშკართან თავი მოიყარა აუარებელმა საკიდევარმა საქონელმა; ჯარმა დაინახა ეს და გაიგო ვინა ჰგზავნიდა ბარგს; ჯარისკაცებმა იფიქრეს, რომ რაღაც უფრო მეტი უბედურება იყო მომხდარი, და განრისხებული და შეშინებულნი, რომ მათ არავინ რას ეუბნება, ეცნენ ბანაკის სიმაგრეებს, დაანგრიეს ისინი და დაიწყეს ველზე აქეთ-იქით სირბილი უწესრიგოდ, ვისაც საით შეეძლო, სარდლის, ან უშუალო უფროსის ყოველგვარი განკარგულების გარეშე. მითრიდატემ დაინახა რა, რომ სწრაფად და უწესრიგოდ გარბოდნენ, გამოვარდა თავისი

[1] აპიანე, 80.

კარავიდან და ცდილობდა რაღაც ეთქვა მათთვის, მაგრამ უკვე აღარავინ უსმენდა, იგი წაიქცა ბრბოს მიერ წალეკილი. მაშინ მოახტა იგი ცხენს და მცირერიცხოვან თანმხლებლებითურთ მთებისკენ გაიქცა“[1].

შეიძლება თვით მითრიდატეს მიერ იყო დაშვებული რამე ორგანიზაციულ-განკარგულებითი ხასიათის შეცდომა, რამაც აღნიშნული კატასტროფა გამოიწვია; შეიძლება მითრიდატეს ნამდვილად უძნელდებოდა უდისციპლინო მასაზე სამხედრო წესების მიხედვით ბრძანებლობა. მაგრამ, როგორც ჩანს, დიდი ბრალი მიუძღვით ამ მომხდარ ამბავში მითრიდატეს მახლობელ პირთ ჯარის უფროსთ, რომელთაც საკუთარი ქონების გადარჩენაზე უფრო იზრუნეს, ვიდრე ჯარის გადარჩენაზე.

მტერს უამრავი სიმდიდრე ჩაუვარდა ხელში. სწორედ ამ სიმდიდრემ, რომლის დატაცებასაც შეუდგნენ რომაელები, გადაარჩინა განადგურებისაგან მითრიდატეს ჯარი და თვით მითრიდატეს საშუალება მისცა მისულიყო ქ. კომანაში. ხოლო: „იქიდან კი, ორი ათასი მხედრითურთ იგი გაიქცა ტიგრანთან“[2].

ეს უდავოდ დიდი ტრაგედია იყო მითრიდატესათვის. მან საკუთარ სამფლობელოებში ფეხი ვეღარ მოიკიდა და იძულებული გახდა ლტოლვილიყო.

სხვისთვის ეს საკმარისი იქნებოდა, რათა იგი კაპიტულაციის გუნებაზე დამდგარიყო.

მაგრამ მითრიდატეს არ სჩვეოდა გულის გატეხა, სასოწარკვეთა, ქედის მოხრა, უკან დახევა, საქმეზე ხელის აღება...

მის მდგომარეობაში მყოფი კაცისთვის, მითრიდატეს მოღვაწეობა უეჭველად განმაცვიფრებელია...

და ეხლაც, მითრიდატე ილტვის არა როგორც დამარცხებული, რომელმაც ფარხმალი დაყარა, არამედ მას ახალი გეგმები ესახებოდა.

პირველი, რაც მას აღმოსავლეთისაკენ მიაქანებდა, უეჭველია, იყო განზრახვა პირადად დაერწმუნებინა თავისი სიძე ტიგრანი, რათა მას საქმისათვის ხელი მოეკიდა, ვიდრე ომი ჯერ წაგებული არ იყო...

მაგრამ ტიგრანი, ჩანს, ჯერ კიდევ ყოყმანობდა, საბედისწეროდ.

რომ მითრიდატე ლტოლვილ-დამარცხებული კი არ იყო, არამედ რომთან ბრძოლის ახალ გეგმებს სახავდა, ეს კარგად იცოდა ლუკულუსმაც.

[1] აპიანე, 81.
[2] აპიანე, 82.

უფრო მეტიც... ლუკულუსმა ისიც იცოდა, რომ მითრიდატე ტიგრანთან წავიდა სწორედ იმისთვის, რომ იგი რომაელების წინააღმდეგ აქტიურ ომში ჩაება.

ლუკულუსს ასეთი პერსპექტივი ადრევე ჰქონდა გათვალისწინებული. ქაბიერთან ბრძოლის წინ თავისი ჯარის წინაშე წარმოთქმულ სიტყვაში ლუკულუსი ამბობდა: „სომხეთის ტახტზე ზის მეფეთა მეფე ტიგრანი. მას დიდძალი მხედრობა ჰყავს...

...ეს ტიგრანი მითრიდატეს ახლობელია, მისი სიძეა. მითრიდატემ რომ მას დახმარება სთხოვოს, იგი უარს არ ეტყვის და ჩვენს წინააღმდეგ ომს დაიწყებს... ტიგრანი უკვე დიდი ხანია ჩვენს წინააღმდეგ ომის საბაბს ეძებს და იმაზე უკეთესს მიზეზს, რომ გასაჭირში მყოფ მახლობელ კაცს, და ისიც მეფეს, დაეხმაროს, იგი ვერასოდეს ვერ იპოვის“ [1].

დიახ, რომაელებისათვის უკვე დიდი ხანია ცნობილი იყო, რომ პონტოსა და რომს შორის წარმოებულ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში სომხეთი ვერ დარჩებოდა გულხელდაკრეფილი, მას საკუთარი არსებობის შენარჩუნების სტიმული აიძულებდა მითრიდატეს მხარეზე ჩაბმულიყო ომში.

მაგრამ, როგორც ვთქვით, ტიგრანი, რაღაც მიზეზის გამო, აყოვნებდა. სწორედ ამიტომ გამოსთქვა თავისი განცვიფრება ლუკულუსმა და როგორც სამხედრო სტრატეგმა კიდევაც გაჰკიცხა ტიგრანი, როდესაც ეს უკანასკნელი იძულებული გახდა ომში ჩაბმულიყო. ლუკულუსს აკვირვებდა, რომ: „სომეხმა მეფემ, რომელსაც რომაელებთან ომის დაწყება ჰქონდა განზრახული“ [2], ამდენხანს იცადა. რომ ომში მაშინ კი არ ჩაება, როცა მითრიდატე ძლიერი იყო და მათი გაერთიანებული ძალა მრისხანე იქნებოდა მოწინააღმდეგისათვის, არამედ მხოლოდ ეხლაღა იქცევა ასე, როდესაც მითრიდატემ უკვე ყველაფერი დაკარგა [3].

ზევით თავის ადგილზე განვიხილეთ ეს საკითხი. აქ მხოლოდ სინანული შეგვიძლიან გამოვთქვათ, რომ მითრიდატემ და ტიგრანმა ვერ მოახერხეს თავიანთი და საერთოდ შესაძლებელი ანტირომაული ძალების გაერთიანება, რის შედეგადაც, შესაძლებელია, ამიერკავკასიის ისტორია და თვით რომის ისტორიაც ცოტა სხვა შინაარსით წარიმართებოდა.

---

[1] პლუტარქე, ლუკულუსი, 14.
[2] იქვე, 23.
[3] იქვე.

ხელმძღვანელობდა რა, სიფრთხილით, თუ იმ მოსაზრებით, რომ, როგორც აქამდე, ისე ეხლაც განზე დარჩენილიყო პონტოსა და რომს შორის ომიანობიდან, ტიგრანმა საისტორიო წყაროს თანახმად, თუმცა თავის ლტოლვილ სიმამრს თავშესაფარი მისცა, მაგრამ უშუალო სამეფო კარზე მიღებაზე უარი უთხრა [1].

ეს ნაბიჯი ტიგრანის მხრით წინდაუხედავად არ უნდა ჩაითვალოს. იგი, უთუოდ, თავისი გზავნილების საშუალებით ირკვევდა მითრიდატეს მდგომარეობას: იყო იგი საბოლოოდ დამარცხებული, თუ ბრძოლის გაგრძელების პერსპექტივი კვლავ გაჩნდა. ტიგრანს ამისდა მიხედვით უნდა ემოქმედნა.

მითრიდატეს ლტოლვის შემდეგ უკვე აშკარად წამოიჭრა ტიგრანის წინაშე რომაელების საფრთხე სომხეთისთვის. ამიტომ საჭირო იყო სიტუაციის ზუსტი ცოდნა: თუ მითრიდატეს ბრძოლის უნარი აღარ შესწევდა, მაშინ ტიგრანს შეიძლებოდა მშვიდობიანი გზით ეცადნა რომაელთა ექსპანსიის თავიდან აცილება. მაგრამ თუ მითრიდატე კვლავ ძალას წამოადგენდა, მაშინ შეიძლებოდა მასთან ერთად იარაღით ხელში წინააღმდეგობა რომაელებისათვის.

რომ ეს ასე იყო, რომ ტიგრანი უკვე ადრე ასეთი ზრახვებით იყო შეპყრობილი, რომ მისთვის პონტოსა და რომს შორის ომის ამ ეტაპზე უკვე არსებითად იდგა საკითხი ომში აქტიურად ჩარევისა, ეს ზევით ლუკულუსის სიტყვებიდანაც დავინახეთ. მაგრამ ყველაზე უკეთ ამას ის გარემოება ამტკიცებს, რომ ტიგრანმა ლუკულუსის კატეგორიულ მოთხოვნაზე გაეცა მითრიდატე—წინააღმდეგ შემთხვევაში რომაელები სომხეთთან ომს დაიწყებდნენ,—ასეთივე კატეგორიულობით უპასუხა, რომ: „იგი მითრიდატეს არ გასცემს, მაგრამ თუ რომაელები ომს დაუწყებენ, თავს დაიცავს" [2].

არც რომაელების მხრივ იყო ომის გამოცხადებაზე ლაპარაკი შემთხვევითი და ნაუცბათევი და არც ტიგრანის თავდაცვის, ე. ი. ომში ჩაბმის გადაწყვეტილება იყო უცაბედად მოფიქრებული. ორივე მხარის მიერ ეს პრობლემა კარგა ხანია მსჯელობის საგნად იყო ქცეული.

უეჭველია, ომის გამოცხადების მუქარით, ლუკულუსს სურდა ხელი შეეშალა მითრიდატეს და ტიგრანის შეკავშირებისათვის, გაეთიშა ისინი, რაც მისი ლაშქრობის წარმატებისათვის

---

[1] პლუტარქე, ლუკულუსი, 22.
[2] პლუტარქე, ლუკულუსი 21.

ესოდენ ხელსაყრელი იქნებოდა. მაგრამ ტიგრანმა უკვე მოასწრო სიტუაციაში გარკვეულიყო და გადასწყვიტა, თუმცა ძალიან დაგვიანებით, მითრიდატესთან ერთად წინააღდგომოდა რომაელებს.

სწორედ ამით აიხსნება, რომ, როგორც კი ლუკულუსის ელჩი აპიუსი უარით გაისტუმრა, ტიგრანმა უკვე შესაძლებლად სცნო მითრიდატესთან უშუალო შეხვედრა. დასამალი აქ უკვე აღარაფერი იყო. მან იგი სასახლეში მიიწვია. მითრიდატესა და ტიგრანს შორის სომხეთის მეფის სასახლეში „გამართულ საიდუმლო თათბირზე...ტიგრანმა და მითრიდატემ ურთიერთ შორის არსებულ ეჭვსა და უნდობლობას ბოლო მოუღეს“ [1].

ზევით თავის ადგილზე აღნიშნული იყო, რომ შესაძლებელია, ტიგრანი იჭვის თვალით უცქერდა მითრიდატეს გაძლიერებას და სხვა გარემოებებთან ერთად, ამითაც იყო გამოწვეული მისი მხრით მითრიდატეს მხარეზე რომაელების წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლისაგან თავის შეკავება.

ახლა კი, როდესაც ერთის მხრივ, მითრიდატე დასუსტებული იყო და ვეღარ შესძლებდა დაჰმუქრებოდა სომხეთის სამეფოს, ხოლო მეორეს მხრივ, წამოიჭრა უშუალო საფრთხე სომხეთისათვის რომაელების მხრივ და ეს საფრთხე მით უფრო რეალური და საშიში შეიქნებოდა, მითრიდატეს საბოლოო დამარცხებისა და მისი გზიდან ჩამოშორების შემდეგ,—ტიგრანმა სასარგებლოდ მიიჩნია მითრიდატესთან ერთობლივი მოქმედება.

მოხსენებულ ასპექტში, მითრიდატესა და ტიგრანს შორის ურთიერთობა უსაფუძვლოდ ხდის ტიგრანის მიმართ მოუფიქრებელ ბრალდებებს და მას წარმოგვიდგენს პოლიტიკური და სამხედრო სიტუაციიდან გამომდინარედ...

მაგრამ ამ დასკვნამდე მივიდა ტიგრანი მხოლოდ მაშინ, როდესაც ლუკულუსი თავისი არმიით უკვე სომხეთის დედაქალაქს ტიგრანოკერტს გარს შემოადგა.

ამგვარად, მითრიდატემ სომხეთში თავისი საქმე სასურველად მოაგვარა.

მაგრამ მისმა ღვიძლმა შვილმა მას ზურგიდან ჩასცა მახვილი. „მითრიდატეს შვილმა მახარემ, რომელსაც ბოსფორის სამეფო ეკავა, ლუკულუსს ათას ოქროდ ღირებული გვირგვინი გამოუგზავნა და სთხოვა, იგი რომაელთა მეგობრად და მოკავშირედ მიეღო“ [2].

---

[1] პლუტარქე, ლუკულუსი, 21.
[2] პლუტარქე, ლუკულუსი, 24.

აპიანეს თქმით კი მახარემ ლუკულუსს, ოქროს გვირგვინი გამოუგზავნა[1].

მახარეს ეს მოქმედება, უთუოდ უნდა ემთხვეოდეს იმ მომენტს, როდესაც ლტოლვილი მითრიდატე ჯერ სომხეთის კარზე არ იყო მიღებული და ტიგრანსა და მას შორის მოლაპარაკება იყო გაბართული.

მითრიდატეს გაურკვეველი მდგომარეობით კარგად ისარგებლეს მითრიდატეს წინააღმდეგ განწყობილმა ძალებმა როგორც პონტოში, ისე ბოსფორში.

შექმნილი ვითარება კარგად გამოიყენეს, უთუოდ რომაელებმაც და მათმა მოხერხებულმა დიპლომატებმა ადვილად შესძლეს, რათა მახარე გაჰმიჯნოდა თავის მამას, ბოსფორში საკუთარი მეფობის შენარჩუნების პერსპექტივით.

რასაკვირველია, მახარეს საქციელის გამართლება ძნელია, მაგრამ იგი ზემოაღნიშნულ გარემოებათა წიაღში წარმოიშვა.

მითრიდატეს და ტიგრანს უთუოდ უნდა შეედგინათ მტრის წინააღმდეგ მოქმედების ერთიანი გეგმა. პირველ ყოვლისა, საჭირო იყო მითრიდატეს დაებრუნებინა ძალაუფლება საკუთარ სამეფოში, რათა აქ ახალი ძალები მოეკრიბნა და ტიგრანის ძალებთან ერთად რომაელების წინააღმდეგ კვლავ ბრძოლის ველზე გასულიყო.

ამ გეგმის თაობაზე ჩვენ დაწვრილებით არა ვიცით რა, მაგრამ იგი დაახლოებით ასეთი უნდა ყოფილიყო:

მითრიდატე უნდა წასულიყო პონტოში... კვლავ ფეხზე დაეყენებინა პონტო და რომაელთაგან დამორჩილებული სხვა პროვინციები, ხოლო შემდეგ შემობრუნებოდა სომხეთში შეჭრილ ლუკულუსს და ზურგიდან ჩაეცა მახვილი მისთვის,—სანამ კი ტიგრანი თითონ გაუმკლავდებოდა მას თავის ქვეყანაში. მითრიდატეს მთავარი აზრი ის იყო, რომ ტიგრანს არ დაეჩქარებინა ლუკულუსთან გენერალური ბრძოლა, სანამ მითრიდატე პონტოდან არ მოეშველებოდა[2].

მართლაც, მითრიდატესა და ტიგრანის შეთანხმებას, მათს სტრატეგიულ გეგმას მხოლოდ აზრი შეიძლებოდა ჰქონოდა, რომ მათ ერთობლივად უნდა ემოქმედნათ გაერთიანებული ძალებით.

---

[1] აპიანე, 83.

[2] სანიკიძე. პონტოს სამეფო. გვ. 137.

რომაელების წინააღმდეგ ბრძოლას რაიმე პერსპექტივი შეიძლებოდა ჰქონოდა, მხოლოდ პონტოსა და არმენიის გაერთიანებული ძალების დაპირისპირებით.

მითრიდატე რომ პონტოში გაემგზავრა, თავისი ერთი სარდალთაგანი ტაქსილე ტიგრანს დაუტოვა მრჩევლად.

ვიდრე მითრიდატე პონტოში რომაელებთან ახალი ბრძოლის დიდ სამზადისში იყო გართული, სომხეთში მწიფდებოდა ტიგრანისა და ლუკულუსის ჯარებს შორის შეტაკება...

მითრიდატე ჯერ მზად არ იყო და ტიგრანსაც ურჩევდა დაეცადნა.

პლუტარქეს მოწმობით: „მითრიდატე წამდაუწუმ შიკრიკებსა და წერილებს უგზავნიდა ტიგრანს და ურჩევდა ბრძოლაში არ ჩაბმულიყო და ცხენოსანი ჯარით მტრისათვის სურსათის მისაზიდი გზა გადაეჭრა. ასევე დაჟინებით სთხოვდა მეფეს, გაფრთხილებულიყო და რომაელთა დაუძლეველ იარაღს მოჰრიდებოდა, მასთან მითრიდატეს მიერ მიგზავნილი ტაქსილე"[1].

თუ ზევით ჩვენ ვცდილობდით ტიგრანის მითრიდატესთან დამოკიდებულება პირველი ომიდან დაწყებული,— პოლიტიკური მოსაზრებით გაგვემართლებინა და საამისო საფუძველი გამორიცხული არც არის,—მისი მოქმედება ლუკულუსთან შეტაკების დროს, ვერავითარ გამართლებას ვერ პოულობს და გაოცებასა და სინანულს იწვევს.

თუმცა, უთუოდ, მას იმედი ჰქონდა რომაელებს უმითრიდატოდ დაამარცხებდა და ამის შემდეგ მითრიდატე მისთვის საჭირო აღარ იქნებოდა... იგი კვლავ საკუთარ პოლიტიკას დაუბრუნდებოდა...

მართალია, მას თითქოს, საკუთარი არმიის მრავალრიცხოვანობისა და კარგი აღჭურვილობის იმედი ჰქონია[2], მაგრამ, თუ ეს ასე იყო, მით უფრო უნდა დაეცადნა მითრიდატესთვის, რომელიც საკუთარი ძალებით მის დასახმარებლად მიემართებოდა, რათა შეერთებული ძალებით საბოლოოდ მოესპოთ ლუკულუსის არმია.

ადამიანს უძნელდება დაიჯეროს, რომ ტიგრანმა, რომელმაც შექმნა სომხეთის დიდი სახელმწიფო და დიდი მეფის სახელი დაიმსახურა, ასეთი ზერელე ფუქსავატობა გამოიჩინა ამ ფრიად სერიოზულ საქმეში. პლუტარქე მოგვითხრობს, რომ ტაქსილეს,

---

[1] პ ლ უ ტ ა რ ქ ე, ლუკულუსი, 26.

[2] იხ. პ ლ უ ტ ა რ ქ ე, ლუკულუსი, 26.

რომელიც წინაალმდეგი იყო ლუკულუსთან ბრძოლის დაწყებისა, ტიგრანთან საფრთხე დაემუქრა.

„ტიგრანს ეჭვი ჰქონდა, რომ მითრიდატე შურიანობის გამო ცდილობდა აეცდინა იგი ბრძოლიდან, რომელიც მას დიდი წარმატების მიღწევას უქადდა.

ამის გამო ტიგრანმა მითრიდატეს აღარ დაუცადა. მას არ უნდოდა მითრიდატესაც ჰქონოდა წილი დიდი გამარჯვების სახელში და მთელი თავისი მხედრობით რომაელთა წინააღმდეგ გაემართა. როგორც ამბობენ, მან მაშინ მეგობრებს ჩივილით უთხრა თურმე, რომ მას, სამწუხაროდ, ბრძოლა მოუწევს მარტოოდენ ლუკულუსთან და არა რომაელთა ყველა სარდალთან ერთად“...[1].

მართალია, პლუტარქესვე მოწმობით: ტიგრანის გამბედაობა სრულიადაც არ იყო უგუნური და უაზრო[2], რადგან მას დიდძალი ლაშქარი ჰყავდათ. მაგრამ საეჭვოა, რომ ტიგრანის საქციელს სამხედრო ტაქტიკური თვალსაზრისით სერიოზული გამართლება მოეძებნებოდეს. ტიგრანმა თავისი საქციელით დაღუპა არა მხოლოდ თავისი, არამედ მითრიდატესიც და ყველა იმათი საქმეც, ვინც აღმოსავლეთში რომაელთა ექსპანსიის წინააღმდეგ იბრძოდა.

მითრიდატეს შიში გამართლდა და როგორც პლუტარქე ამბობს, მოწინააღმდეგეთა პირველივე შეხებისთანავე: „ტიგრანის მრავალ ათასიანი მხედრობა ბრძოლისა და სისხლის ღვრის გარეშე დამარცხდა“[3].

ხოლო: „ტიგრანი ჯერ კიდევ დასაწყისშივე გაიქცა რამდენიმე კაცის თანხლებით“[4].

თუ პლუტარქეს დავუჯერებთ, ტიგრანის არმიამ ამ ბრძოლაში: „ასი ათასზე მეტი ქვეითი მეომარი დაჰკარგა, ხოლო მის ცხენოსანთაგან თითქმის არავინ გადარჩენილა“[5].

სომხეთის არმიის მარცხი დიდი კატასტროფა იყო რომაელთა წინააღმდეგ ბრძოლის საქმისათვის და მითრიდატესთვის.

სომხეთის დამარცხებით—დამარცხდა ის ძალა, რომელზე დაყრდნობითაც მითრიდატე ფიქრობდა კვლავ განევრცო ბრძოლა რომაელების წინააღმდეგ. გარეთ მარცხი და შინ ღალატი... წინ წყალი, უკან მეწყერი... ასეთ მდგომარეობაში იყო მითრიდატე.

---

[1] პლუტარქე, ლუკულუსი 26.
[2] იქვე.
[3] პლუტარქე, ლუკულუსი, 28.
[4] იქვე.
[5] იქვე.

თითქოს, ეხლა მაინც უნდა შემდრკალიყო ეს დაუდეგარი ლომკაცი... მაგრამ მითრიდატეს ეს არა სჩვეოდა.

ტიგრანის ჯარიდან ლტოლვილებმა შეატყობინეს მითრიდატეს ტიგრანის დამარცხება და იგი მაშინვე ტიგრანის ძებნას შეუდგა [1].

მითრიდატემ ტიგრანთან ერთად: „საერთო უბედურება დაიტირა; მერე მას მთელი თავისი ამალა დაუთმო და მომავლის იმედით გაამხნევა. ამის შემდეგ მითრიდატემ და ტიგრანმა კვლავ ახალი ძალების შემოკრება დაიწყეს" [2].

ისინი თითონ მიმოვიდოდნენ სომხეთის სახელმწიფოს ოლქებში ჯარის ახალი კონტინგენტის მოსაგროვებლად.

ახლად შექმნილ ლაშქარს სათავეში მითრიდატე უნდა ჩადგომოდა, რადგან, როგორც აპიანე ამბობს: „ტიგრანი ფიქრობდა, რომ მის მიერ განცდილი უბედურება კმაროდა მისთვის ჭკუის სასწავლებლად" [3].

მითრიდატე მისთვის ჩვეული დაუღალავობით შეუდგა სომხეთში ახალი ლაშქრის შედგენას.

„მითრიდატე ამზადებდა იარაღს ყოველ ქალაქში და იარაღქვეშ დააყენა თითქმის ყველა სომეხი, გამოარჩია რა მათგან საუკეთესონი, 70.000-მდე ქვეითი და ამისი ნახევარი ცხენოსანი, მან დანარჩენები დაითხოვა, ესენი კი გაანაწილა რაზმებად და კოჰორტებად, თითქმის ისევე, როგორც იტალიური ლაშქარი და გადასცა ისინი გასაწვრთნელად პონტოელ მასწავლებლებს" [4].

მითრიდატეს აღმაფრენამ კვლავ გაინავარდა და მის იმედს კვლავ ფრთები შეესხა...

მაგრამ მითრიდატე მხოლოდ საბრძოლო ძალების მომზადებით არ კმაყოფილდებოდა.

იგი ეხლა უფრო ენერგიულად ცდილობს მოახერხოს აღმოსავლეთში ანტირომაული ძალების ამხედრება.

ამ მიზნით, იგი ეხმაურება პართიის მეფეს. თუმცა პართიასა და სომხეთს შორის მტრობა იყო, მაგრამ მითრიდატეს აზრით, ეს მტრობა უნდა დავიწყებული ყოფილიყო საერთო საფრთხის— რომაელთა ექსპანსიის—წინაშე. აპიანე გვამცნებს, რომ მითრიდატემ და ტიგრანმა „...პართელთა მეფესთანაც გაგზავნეს ხალხი და მოუწოდებდნენ თავიანთკენ დასახმარებლად" [5].

---

[1] პლუტარქე, ლუკულუსი, 29.
[2] იქვე.
[3] აპიანე, 87.
[4] აპიანე, 87.
[5] აპიანე, 87.

ისტორიული თვალსაზრისით, აქ საინტერესოა თვით ფაქტი მითრიდატეს მცდელობისა, თავი მოუყაროს რომის წინააღმდეგ აღმოსავლურ ძალებს.

პართიის მეფის ჩაბმა რომის საწინააღმდეგო ბრძოლაში მაშინდელ ვითარებაში ძნელი საქმე იყო.

ამ საკითხზე საისტორიო ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებებს ისიც უნდა დაემატოს, რომ პართიისათვის ადვილი გადასაწყვეტი არ იყო შერიგებოდა თვით პონტოს სამეფოს გაძლიერებას, რაც შედეგად უნდა მოჰყოლოდა აღმოსავლეთში რომის დამარცხებას. პართიის სამეფოს ხელმძღვანელთ პონტოს სამეფოს სიძლიერე არანაკლებ აშინებდათ, ვიდრე რომის ექსპანსია.

თვით მითრიდატეს, უთუოდ, კარგად ესმოდა ეს, მაგრამ მაინც თავისი სცადა.

მითრიდატე და ტიგრანი იძულებული იყვნენ კვლავ მხოლოდ საკუთარი ძალებით შებრძოლებოდნენ რომაელებს [1].

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მითრიდატესა და ტიგრანის ჯარი 100.000-მდე აღწევდა, რაც შეიძლება გადაჭარბებული იყოს.

საყურადღებო ის არის, რომ მითრიდატეს მეთაურობით რომაელების წინააღმდეგ წარმოებული დიდი ომის ამ უკანასკნელ ეტაპზე, რომაელთა წინააღმდეგ ბრძოლაში ერთად მონაწილეობენ ამიერკავკასიის სხვა ხალხებიც.

პლუტარქეს მოწმობით: „ლუკულუსის წინააღმდეგ მტრის რჩეული და მრავალრიცხოვანი მხედრობა იყო ჩამწკრივებული. ამ მხედრობის წინ ცხენოსანი მშვილდოსნები მარდები [2] და შუბოსანი იბერები იდგნენ. უცხო მეომართა შორის ყველაზე უფრო დიდ ნდობას, როგორც საუკეთესო მებრძოლებს, ტიგრანი სწორედ ამათ უცხადებდა“ [3].

68 წლის ზაფხულში მოხდა მოწინააღმდეგეთა შეხვედრა.

მიუხედავად იმისა, რომ ლუკულუსის, როგორც მთავარსარდლის, მდგომარეობა შეირყა [4]. და რომაულ ჯარში ნაწილობრივ უდისციპლინობამ იჩინა თავი, რასაც ამ ჯარის ბრძოლის უნარიანობის დაქვეითება უნდა მოჰყოლოდა, ჩანს რომაული დისციპლინა და წესრიგიანობა იმდენად ქმედითი ფაქტორი იყო, რომ აღ-

---

[1] იხ. ამაზე სანიკიძე, გვ. 146; Манандян, op. cit. გვ. 141.

[2] მარდები, იხ. ურუშაძე, გვ. 304.

[3] იხ. სანიკიძე, გვ. 149—154.

[4] პლუტარქე, ლუკულუსი, 31.

ნიშნულმა გარემოებამ ვერ შეუშალა ხელი ლუკულუსს, რათა მას წარმატებით ეწარმოებინა ბრძოლა.

ეს იშვიათი დისციპლინა და წესრიგიანობა, რაც რომაელი ჯარისათვის ესოდენ დამახასიათებელი იყო და რასაც აღმოსავლური არმიები მოკლებული იყვნენ, წარმოადგენდა ერთერთ იმ არსებით ფაქტორს, რომელმაც ხელი შეუწყო მითრიდატეს ომების ძირითადად რომაელთა სასარგებლოდ დამთავრებას.

სომხეთში წარმოებული ბრძოლა რომაელთათვის მძიმე უნდა ყოფილიყო, თუმცა პირველი წყაროები ამაზე დუმს [1].

აპიანე მოკლედ მოგვითხრობს: „როდესაც ლუკულუსი მიუახლოვდა, მითრიდატემ მთელი ქვეითი ჯარი და ცხენოსანთა უმეტესი ნაწილი დააყენა ბორცვზე; დანარჩენი ცხენოსნებით კი ტიგრანი თავს დაესხა რომაელებს, რომლებიც სანოვაგის შეგროვებით იყვნენ გართულნი, მაგრამ მათ მიერ დამარცხებულ იქნა. ამის გამო რომაელებმა უფრო უშიშრად იწყეს სურსათის შეგროვება თვით მითრიდატეს ბანაკის მახლობლად და იქვე დაიბანაკეს. ანაზდეულად კვლავ მტვრის ღრუბელი წამოვიდა, რადგან ახლოვდებოდა ტიგრანი. მათი გეგმა ისეთი იყო, რათა ლუკულუსი მათ ორივეს შორის მომწყვდეულიყო. შენიშნა, რა ლუკულუსმა, თავისი ცხენოსნის საუკეთესო ნაწილი გაგზავნა, რათა რაც შეიძლება შორს შებრძოლებოდნენ ტიგრანს და ხელი შეეშალნათ მისთვის, დაეწყო ჯარი საბრძოლო წესზე, ხოლო თვითონ, იწვევდა რა მითრიდატეს ბრძოლაში, შემოავლო ბანაკს თხრილი; ამასობაში ზამთარმა აიძულა ისინი შეეწყვიტათ სამარი მოქმედება.

და აი, ტიგრანი შუა არმენიისაკენ წავიდა, მითრიდატე კი პონტოსაკენ გაეშურა, სადაც მისი სამეფოს ნაშთები იყო, ჰყავდა რა მას თავისი ჯარი 4000 და ამდენიც ტიგრანს გამოართვა“ [2].

მითრიდატემ კვლავ მარცხი განიცადა. კვლავ იჩინა თავი პონტოს არმიის ორგანიზაციულმა სისუსტემ...

თავი იჩინა ანტირომაული ძალების სათანადოდ შეუკავშირებლობამ. ...მაგრამ მითრიდატეს მარცხი მაინც ძირითადად ზღვის სტიქიონმა განაპირობა... თუ არა პონტოს ფლოტის მიერ ზღვაზე განცდილი კატასტროფა, ეგების რომაელები ვერ ეღირსებოდნენ მითრიდატეზე გამარჯვებას და პირიქით, თვითონ აღმოჩნდებოდნენ მისგან ძლეულნი... ეს სრულებითაც გამორიცხული არ არის.

---

[1] აპიანე, 87.

[2] აპიანე, 86. ლუკულუსის სომხეთში ბრძოლებზე იხ. Манандян, op. cit. გვ. 143 და შემდ. სანიკიძე, გვ. 154 და შემდ.

## 4. პონტოს სამეფოსა და რომს შორის ომიანობის უკანასკნელი პერიოდი მითრიდატეს დამარცხების მიზეზები

წყაროების, განსაკუთრებული სიმწირისა და ტენდენციურობის გამო, მოკლებული ვართ საშუალებას ვიმსჯელოთ იმ სამხედრო საქმიანობაზე, რომელიც გასწია მითრიდატემ სომხეთში ლუკულუსის წინააღმდეგ.

საყურადღებო ცნობას გვაწვდის ციცერონი, რომელიც ამბობს, რომ: „გაძევებული, დაბოლოს თავის სამეფოდან, მითრიდატე მაინც იმდენად ძლიერი იყო ჭკუითა და მიმზიდველობით, რომ შეუერთდა რა არმენიის მეფეს, კვლავ აღადგინა თავისი საშუალებანი და ლაშქარიო"[1].

ჩვენ დანამდვილებით არ შეგვიძლიან მივუთითოთ იმ ფაქტორებსა და გარემოებებზე, რომლებმაც განაპირობა მითრიდატესა და ტიგრანის მარცხი... მაგრამ ერთი რამ უეჭველია, რომ პლუტარქე, რომელიც საერთოდ ლუკულუსს ძალიან აქებს, არ უნდა იყოს მართალი, როდესაც ამბობს: „ლუკულუსის წინააღმდეგ ამხედრებულ სამ მეფეთაგან, როგორც ამბობენ, ყველაზე უფრო სამარცხვინოდ მითრიდატე პონტოელი გაიქცა. მან თურმე რომაელთა საომარ ყიჟინასაც კი ვერ გაუძლო"[2].

მითრიდატე რომ მხდალი არ იყო, ამას პირველწყაროები ერთხმად ადასტურებს: ის რომ მართლა ისეთი ყოფილიყო, რომ იგი რომაელთა ჯარის ყიჟინას დაეფრთხო, ვერ შესძლებდა რომაელთა წინააღმდეგ ეწარმოებინა ესოდენ ხანგრძლივი და შეუპოვარი ბრძოლა, რომლის დროსაც მითრიდატეს არა ერთი ბრწყინვალე გამარჯვება მოუპოვებია, არა ერთი სასახელო საგმირო საქმე ჩაუდენია და რომაელები გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩაუყენებია.

ისიც ხომ ფაქტია, რომ ასეთი „მხდალი" და ბრძოლის ველიდან „სამარცხვინოდ გაქცეული" მითრიდატე, მომდევნო ბრძოლებში არა ერთხელ იმარჯვებს რომაელებზე და, როგორც თვით პლუტარქე მოწმობს, ერთ-ერთ ასეთ: „...ბრძოლაში შვიდი ათასზე მეტი რომაელი დაეცა"[3].

მითრიდატეს სამხედრო სიმამაცისა და გმირობის შესახებ ერთხმად და უხვად მომთხრობელ პირველწყაროთა ნაკადში ისე

---

[1] ციცერონი, Pro Lucio Murena oratio, 15,33.
[2] პლუტარქე, ლუკულუსი, 31.
[3] პლუტარქე, ლუკულუსი, 35.

მღვრიედ მოტივტივებს პლუტარქეს ზემოაღნიშნული ცნობა მითრიდატეს, ვითომდა, სიმხდალის შესახებ, რომ მისი სიყალბე და ტენდენციურობა ძალზე აშკარაა...

ჩანს თვით პლუტარქესაც ძალზე უხერხულად ეჩვენებოდა ეს და ამიტომ იგი ცდილობს დაარწმუნოს მკითხველი, რომ ამ ცნობის შემთხზველი თითონ იგი არ არის. ის იშველიებს ფრაზას, „როგორც ამბობენ"-ო და ამით პასუხისმგებლობას იხსნის..

მაგრამ, შეიძლება ეს დამახინჯებული ცნობა აღმოცენებული იყოს იმ ფაქტზე, რომ ლუკულუსთან შეტაკების დროს, მითრიდატემ, როგორც გამოცდილმა სარდალმა, უმალ გაითვალისწინა ამაო სისხლის ღვრის უპერსპექტივობა და დიდი სარდლისთვის ჩვეული მოქმედებით, უკან დაიხია... მით უმეტეს, რომ მითრიდატესა და ტიგრანს ბრძოლის გაჭიანურება ჰქონდათ მიზნად...

ლუკულუსთან ბრძოლის ტაქტიკას ახასიათებდა მცირე ბრძოლების წარმოება, გადამწყვეტი ბრძოლისათვის თავის არიდება. მითრიდატეს და ტიგრანის ამ ტაქტიკიდან გამომდინარეობდა მითრიდატეს მიერ ბრძოლის ველის სწრაფად მიტოვება, რაც პლუტარქეს მიერ გადმოცემულ ცნობაში მონათლულია მითრიდატეს სიმხდალედ. და მართლაც ამის შემდეგ, მითრიდატე პონტოსაკენ მიემგზავრება. ბრძოლაში მითრიდატე უდიდეს აქტივობას იჩენს და კიდეც იმარჯვებს.

მითრიდატემ ენერგიული საქმიანობა გააჩაღა და რომაელებს ზედიზედ დამარცხება აგემა.

იგი 80000 მეომრით შეიჭრა მცირე არმენიაში.

მან მოსახლეობას მოწოდებით მიჰმართა და კვლავ თავის მხარეზე დააყენა.

მითრიდატე მალე ქ. ქაბეირასთან გაჩნდა.

აქ მან დაამარცხა რომაელთა ჯარი, რომელსაც მეთაურობდა ლუკულუსის მიერ „აქ მთავარსარდლად დატოვებული"[1] მარკუს ფაბიუს ადრიანე.

მითრიდატემ მოუკლა ფაბიუსს 500 კაცი და გააქცია იგი[2]. მაგრამ: „ფაბიუსმა გაათავისუფლა მის ბანაკში მყოფი ყველა მონა და მთელი დღის განმავლობაში კვლავ იბრძოდა მითრიდატესთან; ბრძოლა ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა, ვიდრე მითრიდატე სასწრაფოდ არ გაიყვანეს ბრძოლის ველიდან, რომელსაც ქვა ჰქონდა კოჭში მოხვედრილი და ისარი თვალში შერჭმული"[3].

---

[1] აპიანე, 88.

[2] იქვე.

[3] იქვე.

პონტოელებმა, რომლებიც დააფიქრა მეფის ჯანმრთელობამ და რომაელებმა, რომლებიც შეაშინა დაჭრილთა რაოდენობამ,— თავთავისი მხრით ბრძოლა შეწყვიტეს[1].

მითრიდატეს საგანგებო დოსტაქარნი მკურნალობდნენ. აპიანეს გადმოცემით, მას: „ეულიდნენ აგარები — სკვითების ტომია,— რომლებიც სამკურნალოდ იყენებდნენ გველის შხამს, და ამიტომ მეფეს მუდამ თან ახლავან“[2].

დამარცხებული ფაბიუსის დასახმარებლად გამოეშურა მეორე რომაელი სარდალი ტრიარიუსი.

პონტოელთა და რომაელთა ჯარები აპირებდნენ შებმას, მაგრამ ამოვარდნილმა უჩვეულო ძლიერმა ქარიშხალმა ორივე ბანაკი ააფორიაქა, კარვები დაუნგრია, ხალხი და საქონელი ბლომად დაუზიანა.

„მაშინ“, როგორც აპიანე ამბობს: „მათ ერთი მეორეს თავი დაანებეს“[3].

ლუკულუსი შეაშფოთა რომაელთა დამარცხებამ, რაც მათ დიდ საფრთხეს უქმნიდა და თითონ გამოეშურა მდგომარეობის გამოსასწორებლად.

სარდალმა ტრიარიუსმა არ დაუცადა ლუკულუსს და მარტო შეება მითრიდატეს. აქ მითრიდატემ ერთი ბრწყინვალე ბრძოლა გადაიხადა.

აპიანე ცოცხლად აგვიწერს ამ ბრძოლას, იგი, თითქოს აღტაცებულია მითრიდატეს მოქმედებით. იგი მოგვითხრობს: „ბრძოლის ბედი დიდხანს მერყეობდა; მაშინ მეფემ ძლიერი შეტევით თავის უბანზე ბრძოლა გადაწყვიტა და, გაფანტა რა მტერი, მისი ქვეითი ჯარი შეამწყვდია ჭაობიან ადგილში, სადაც ყველანი დაიღუპნენ, რადგანაც, ფეხის მოსაკიდებლად ადგილი არა ჰქონდათ. ხოლო ცხენოსან ჯარს გაედევნა ველზე და ენერგიულად ცდილობდა ესარგებლნა ბედის საკეთილოდ შემობრუნებით, ვიდრე რომელიღაც რომაელმა ცენტურიონმა, რომელიც მის გვერდით მიობოდა, როგორც მონა, ღრმა ჭრილობა არ მიაყენა მას მახვილით ბარძაყში. მითრიდატეს მახლობლებმა მაშინვე მოკლეს იგი, მითრიდატე კი ზურგში გაიყვანეს და მისმა მეგობრებმა ჯარი სასწრაფოდ უკან გამოიწვიეს, მიუხედავად ასეთი ბრწყინვალე გამარჯვებისა“[4].

---

[1] ა პ ი ა ნ ე, 88.
[2] იქვე.
[3] ა პ ი ა ნ ე, 88.
[4] ა პ ი ა ნ ე, 89.

პონტოელთა ჯარში არეულობა შეიჭრა.

„...ჯარისკაცები შემოეხვივნენ მითრიდატეს ველზე და ხმაურობდნენ, ვიდრე, მკურნალმა ტიმოთემ სისხლი არ შეუწყვიტა და იგი მაღლობიდან ჯარს არ დაანახვა"[1].

ფეხზე დამდგარმა მითრიდატემ დააყვედრა იმათ, ვინც ჯარი ბრძოლის ველიდან უკან გამოიწვია. მან კვლავ შეუტია მაშინვე რომაელებს.

მაგრამ, როგორც აპიანე ამბობს: „რომაელებმა უკვე მოასწრეს უკან გაქცევა".

რომაელებს ძვირად დაუჯდათ, ეს ბრძოლა. აღმოჩნდა, რომ: „მოკლული იყო 24 ტრიბუნი[2] და 150 ცენტურიონი". „მეთაურთა ასეთი რაოდენობა—დასძენს აპიანე—იშვიათად დაღუპვიათ რომაელებს ერთ ბრძოლაში"[3].

ამგვარად, კვლავ ბედის სიმუხთლე, თუ რომაელ ცენტურიონის თავგანწირვა, იყო დამნაშავე იმაში, რომ ასე ბრწყინვალედ წარმოებული ბრძოლა, ასევე ბრწყინვალე დასასრულამდე ვერ მიიყვანა მითრიდატემ...

მას მტერი ხელიდან გაუსხლტა.

აქ ერთხელ კიდევ იჩინა თავი მითრიდატეს ჯარის ნაკლებ გაწვრთნილობამ, ეგების, უდისციპლინობამაც და რაც მთავარია, მის სარდალთა ნაკლებ მომზადებულობამ დიდი ბრძოლების საწარმოებლად...

ძნელი წარმოსადგენია, რომ რომაელი ჯარის სარდლის ანალოგიურ მარცხს, ანალოგიურივე შედეგი მოჰყოლოდა, რომ ჯარის უფროსებს ვერ მოეხერხებინათ განეგრძოთ ესოდენ წარმატებით წარმოებული ბრძოლა.

ეს ბრძოლა მოხდა ძვ. წ. 67 წ. მდ. ირისთან.

რამდენიმე დღის შემდეგ აქ მოსულ ლუკულუსთან ბრძოლას მითრიდატემ თავი აარიდა და არმენიისაკენ გაიჭრა[4].

მითრიდატემ და ტიგრანმა რომაელთა წინააღმდეგ წარმატებით აწარმოეს ბრძოლა, რასაც, სხვათა შორის, ლუკულუსის არმიაში მის საწინააღმდეგო განწყობილებამაც შეუწყო ხელი.

---

[1] აპიანე, იქვე.

[2] იქვე.

[3] აპიანე, 89; რომაელებმა რომ აქ მძიმე და სამარცხვინო მარცხი განიცადეს, ამაზე ლაპარაკობს ციცერონი თავის სიტყვაში De imperio Gnei Pompei, IX, 25.

[4] აპიანე, 90.

67 წელს მითრიდატემ მოახერხა რომაელები მთლად გაედევნა თავისი სამფლობელოებიდან.

ამგვარად, მითრიდატესა და რომაელებს შორის წარმოებული ომის ეს შვიდწლიანი ეტაპი რომაელების დამარცხებით დამთავრდა.

მდგომარეობას რაინაკი ასე აფასებს: „შვიდი წლის გამძვინვარებული ომის შემდეგ, ლუკულუსის საქმე აშკარად მის დასაწყის მდგომარეობისკენ გადაიხარა, მისი გრანდიოზული გამარჯვებები სიზმარივით გაქრა. რომაული არწივები ეფრატის სანაპიროდან კვლავ ტავრსა და ჰალისზე დაბრუნდნენ ისეთივე სისწრაფით, როგორც აქამდე წინ მიდიოდნენ.

კაპადოკია უკვე დაკარგული იყო, ბითინია დანაწევრებული იყო და „პროვინცია აზიას" საფრთხე ემუქრებოდა"[1].

პონტოსა და რომს შორის წარმოებული გიგანტური ბრძოლის სასწორი, თითქოს პონტოსკენ გადაიხარა, თითქოს შორს აღარ იყო რომაელების აღმოსავლეთის სარბიელიდან განდევნის პერსპექტივი...მით უმეტეს, რომ თვით რომი შინაგან შერყევას განიცდიდა...

მაგრამ მომდევნო ამბებმა ცხადჰყო, რომ ერთის მხრივ, წარმატების მქონე პონტოს სამეფოს წინანდელი ენერგია აღარ შესწევდა, იგი ხანგრძლივი სასტიკი ომის შედეგად მოქანცული იყო და წარმატების შენარჩუნება ვერ მოახერხა; ამასთანავე აშკარა იყო, რომ ბრძოლის მოცემულ სტადიაზე პონტოს სამეფოს წარმატება უზრუნველჰყო ბრძოლის სარბიელის აღმოსავლეთ რაიონებში გადმონაცვლებამ და განსაკუთრებით კი სომხეთთან ერთად მოქმედებამ...

რომ სამეფოს დასავლეთი ნაწილები სერიოზული ბრძოლების დასაყრდენად ნაკლებ გამოსადეგი იყო...

მეორეს მხრივ, ცხადი გახდა, რომ რომის ბუმბერაზმა სახელმწიფომ მოახერხა შინაგანი და საგარეო წინააღმდეგობა—დაბრკოლებათა დაძლევა და კვლავ შესძლო დაერაზმნა თავისი ძალები მითრიდატესთან საბრძოლველად და გამარჯვებაც მოიპოვა.

მაგრამ დისციპლინა მოიკოჭლებდა არა მხოლოდ მითრიდატეს ჯარში...

როგორც მის სამეფო კარზე, ისე მის ბანაკში მერყეობასა და ღალატს საკმაოდ ფართოდ ჰქონდა გზა გაკვლეული.

მითრიდატეს ამ გამარჯვებათა ჯაჭვში კვლავ ახალი ღალატის რგოლი შეიჭრა.

[1] Reinach—Mithridate Eupator, გვ. 378.

მეფის ბანაკში იმყოფებოდა, როგორც აპიანე ამბობს: „ვინმე რომაელი სენატორი, სახელად ატიდიუსი, სამშობლოდან სასამართლოს წესით გამოძევებული, რომელიც დიდი ხანია იყო მოსული მითრიდატესთან და მისგან მეგობრად აღიარებული“ [1].

აი, ამ მეგობრად აღიარებულ კაცს მოუწყვია შეთქმულება, რომელსაც: „ბოროტი განზრახვა ჰქონდა მეფის სიცოცხლის მიმართ“ [2].

ჩვენ არ ვიცით, ვინ იყვნენ ისინი, ვინც ამ „ოდესღაც რომის სენატორად ნამყოფის“ მიერ მოწყობილ შეთქმულებაში მონაწილეობდნენ, უეჭველია, მათ შორის რომაელებიცა და პონტოელებიც იყვნენ.

ჩვენ არ ვიცით რა პირობებში აღმოცენდა მითრიდატეს მოკვლის განზრახვა, მაგრამ უდავოა, რომ ამ საქმეში რომაული დიპლომატიის ვერაგი ხელი ერია. რომაელებმა, უთუოდ ადვილად მოახერხეს სამშობლოდან გაძევებულ თავიანთ თანამემამულესთან კონტაქტის დამყარება და მისთვის სასარგებლო აღთქმა-დაპირებებით დაიყოლიეს იგი მოღალატურ განზრახვაზე.

მაგრამ ატიდიუსს ამ ბოროტ ზრახვაში ხელს უწყობდნენ პონტოელებიც, რომელთა ვინაობა და საზოგადოებრივი მდგომარეობა ჩვენთვის ცნობილი არ არის... თუმცა ისინი ალბათ, მითრიდატესთან დაახლოვებული პირნი უნდა ყოფილიყვნენ...

მითრიდატეს უხდებოდა არა მხოლოდ საომარი ოპერაციების წარმოება, არამედ იგი იძულებული იყო სისტემატიური ბრძოლა ეწარმოებინა ღალატისა და გამცემლობის წინააღმდეგ, რამაც არა უკანასკნელი როლი შეასრულა პონტოს სამეფოს დამარცხებაში.

რომაელთა წინააღმდეგ მითრიდატეს მეთაურობით წარმატებით წარმოებული ბრძოლების შედეგად, რომისთვის აღმოსავლეთში კატასტროფიული მდგომარეობა შეიქმნა.

Provincia Asia-ს დაკარგვის საფრთხესთან ერთად, შეიქმნა საშიშროება მითრიდატეს შეჭრისა რომის სამფლობელოებში.

მითრიდატეს წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლის საჭიროება იმპერატიულად აღიმართა რომის სახელმწიფოს ხელმძღვანელთა წინაშე.

---

[1] აპიანე, 90.

[2] იქვე.

რომის სენატმა მითრიდატესთან ომის გაგრძელება მიანდო გნეიუს პომპეუსს, რომელსაც ამ დროს უკვე ჰქონდა მოხვეჭილი სახელი ზღვის მეკობრეებთან ბრძოლაში.

თუ რა განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევდნენ რომაელები მითრიდატესთან ბრძოლას, სჩანს იქიდან, რომ სენატმა პომპეუსი საგანგებო და შეუზღუდავი უფლებებით აღჭურვა.

აპიანე მოგვითხრობს: „...რომაელებმა, რომლებსაც ქებით ცაში აჰყავდათ პომპეუსი[1], როდესაც ის ჯერ ისევ კილიკიაში იყო,—ამოირჩიეს იგი მითრიდატესთან ომის სარდლად იმავე უფლებებით,—რომ მას, როგორც შეუზღუდავ მეთაურს, შეეძლებოდა ეომნა და ზავი შეეკრა, სადაც სურდა და მიეჩნია, ვინც სურდა რომაელი ხალხის მეგობრებად, თუ მტრებად. მას მისცეს უფლება თავის ნებაზე გამოეყენებია იტალიის გარეთ მყოფი მთელი ჯარი. არავის აქამდე არასოდეს არა ჰქონია ამდენი უფლება მიცემული“[2].

როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, რომაელების წინააღმდეგ ბრძოლის წარმატებას ხელი შეუწყო მითრიდატესა და ტიგრანის ერთობლივმა მოქმედებამ და აღმოსავლეთის ერთიანმა, ანტირომაულმა ფრონტმა. რომაელებს ეს კარგად შეუგნიათ და მათ თავიანთი პირველი ღონისძიებანი სწორედ აქეთკენ მიმართეს.

აღმოჩნდა რა უძლური რომაული იარაღი ბრძოლის ველზე, რომაელებმა ხელი მიჰყვეს ნაცად დიპლომატიურ იარაღს და პირველ ყოვლისა, დაარღვიეს აღმოსავლეთის მთლიანობა.

„პომპეუსმა ბრძოლის დაწყებამდე ცბიერ რომაულ დიპლომატიას მიმართა და სცადა ისედაც გათიშული და ურთიერთ მოქიშპე აზიელი გვირგვინოსნები ერთიმეორის წინააღმდეგ კიდევ უფრო აემხედრებინა“[3].

პომპეუსმა ადვილად შესძლო პართიის მეფის რომაელთა მხარეზე დაყენება.

ამავე დროს, სომხეთის სამეფო კარზე თავს იჩენს შინაგანი ბრძოლა, ინტრიგები, შეთქმულებები, რაშიაც უთუოდ, რომაელების ხელი ერია და რასაც, სხვათა შორის, მიზნად ჰქონდა დასახული პონტოსა და არმენიის შორის, მითრიდატესა და ტიგრანს შორის გათიშვა.

და აკი მოხერხდა ეს კიდეც.

მითრიდატე განმარტოებული აღმოჩნდა.

---

[1] მეკობრეობის მოსპობის გამო.

[2] აპიანე, 97.

[3] ლ. ს ა ნ ი კ ი ძ ე, პონტოს სამეფო, გვ. 181.

პომპეუსმა მოაგროვა 50.000-მდე ჯარი (იხ. Манандян, 174) და ემზადებოდა მითრიდატესთან შესაბრძოლებლად, ჩააბარა რა სანაპიროების დარაჯობა და სახმელეთო ჯარისთვის დახმარების აღმოჩენა 270 რომაელს[1].

მითრიდატეს ჰყავდა „რჩეული ადგილობრივი ჯარი 30.000 ქვეითი და 3.000 ცხენოსანი, ამ ჯარით მან დაიჭირა პოზიცია თავისი ქვეყნის შიგნით“[2].

მაგრამ მითრიდატეს მდგომარეობა მეტად რთული იყო.

მას აღმოსავლეთში მოკავშირეები აღარ ჰყავდა და რაც მთავარია, ტიგრანი, არა თუ ჩამოშორდა მას, არამედ უკვე მის წინააღმდეგ არის განწყობილი.

მითრიდატესა და ტიგრანს შორის დამოკიდებულების გამწვავება ძირითადად გამოწვეული იყო რასაკვირველია, არა იმით, რომ მითრიდატეს ქალის კლეოპატრასაგან ნაშობი შვილები აუმხედრდნენ ტიგრანს[3].

შესაძლებელია, მითრიდატე მართლაც ცდილობდა ტიგრანის ჩამოშორებას და სომხეთში თავისი შვილისშვილის გამეფებას, რითაც მისი აზრით, მისთვის უზრუნველყოფილი იქნებოდა სომხეთის მარივ ერთგულება და მხარდაჭერა.

მაგრამ აქ უნდა გვახსოვდეს, რომ როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, მითრიდატესა და ტიგრანს შორის არ არსებობდა მტკიცე გულწრფელი ერთიანობა, რადგან ტიგრანს არ შეეძლო უყოყმანოდ შერიგებოდა პონტოს სამეფოს ძლიერების გაზრდას, არ იცოდა, რას უქადდა ეს მის საკუთარ სამეფოს.

ეს შინაგანი წინააღმდეგობა თავიდანვე ახასიათებდა მითრიდატეს და ტიგრანს შორის დამოკიდებულებას და ბოლომდე გაჰყვა იგი.

ეს შინაგანი წინააღმდეგობა იყო, რაც ხელს უშლიდა იმას, რომ პონტოსა და სომხეთის სამეფოებს შეთანხმებულად დაერაზმათ თავიანთი ძალები რომის ექსპანსიის წინააღმდეგ აღმოსავლეთში.

ეს შინაგანი წინააღმდეგობა იყო ერთ-ერთი ის ფაქტორი, რომელმაც ხელი შეუშალა აღმოსავლეთის ხალხების წარმატებას უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში, და რომელმაც დი-

---

[1] ეს ხდება ძვ. წ. 66 წლის გაზაფხულზე.
[2] აპიანე, 97.
[3] აპიანე, 104.

დად შეუწყო ხელი რომაელებს მათს გამარჯვებაში, ამ ხალხებზე გასაბატონებლად.

ეს შინაგანი წინააღმდეგობა იყო ის გარემოება, რამაც ხელი შეუწყო იმას, რომ რომაელებმა ადვილად გააბეს კავშირი ტიგრანთან და მოახერხეს მისი გადაბირება, რამაც მითრიდატეს ფრთა მოსტეხა.

მითრიდატეს ჯარის სუსტი მხარე იყო ყოველთვის სურსათით მომარაგება. ის ადგილი, სადაც მითრიდატემ დაიბანაკა „აოხრებული იყო ლუკულუსის მიერ“ [1].

რადგან სურსათით მომარაგება ჭირდა, მითრიდატეს ჯარიდან გადარბოდნენ მტრის მხარეზე. მითრიდატე მათ სასტიკად სჯიდა, მაგრამ ამით საქმეს არ ეშველა.

ასეთ ვითარებაში, მითრიდატეს არა ჰქონდა იმედი, რომ მცირერიცხოვანი ჯარით გაუმკლავდებოდა მტერს და ამიტომ დაზავება განუზრახავს.

როგორც აპიანე მოგვითხრობს, მითრიდატემ: „გაგზავნა პომპეუსთან ელჩები, რათა გაეგო, თუ რა პირობებში შეიძლებოდა ომის დამთავრება. პომპეუსმა უთხრა: „თუ გადმოგვცემ მოღალატეებს და თითონაც დაგვნებდებიო“ [2].

მითრიდატემ გადაჭრით უკუაგდო ეს პირობა.

მცირე შეტაკების შემდეგ, „სურსათის ნაკლებობით შევიწროვებული მეფე, იძულებული გახდა უკან დაეხია და პომპეუსს შესაძლებლობა მისცა მის სამეფოში შესულიყო, იმედი ჰქონდა რა, რომ ამ განადგურებულ მხარეში გაჭირებული პომპეუსი ისეთივე გაჭირვებაში ჩავარდებოდა“ [3].

მითრიდატეს უკან დახევას, როგორც ვხედავთ, სერიოზული ტაქტიკური მოსაზრება ედვა საფუძვლად, მაგრამ მისი ვარაუდი არ გამართლდა... რომაელები მაინც ახერხებდნენ ჯარის მომარაგებას, თითონ კი კვლავ განიცდიდა სურსათის ნაკლებობას [4]. ამ ეპიზოდური შეტაკებებიდან, რომელიც მითრიდატესა და პომპეუსს შორის ხდებოდა, — ეპიზოდური მეთქი იმიტომ ვამბობ, რომ მითრიდატე თავს არიდებდა მტერთან სერიოზულ ბრძოლაში ჩაბმას და კმაყოფილდებოდა პარტიზანული ხასიათის თავდასხმებითა და ხანმოკლე შეტაკებებით, რასაც მას მისი

---

[1] აპიანე, 97.
[2] აპიანე, 98.
[3] აპიანე, 99.
[4] იქვე.

მდგომარეობა უკარნახებდა—აღსანიშნავია ციხე-სიმაგრე დასტეირას მახლობლად სიმაღლეზე მომხდარი ამბავი[1].

იმის გასათვალისწინებლად, თუ რა მძიმე პირობებში უხდებოდა თავდაცვითი ბრძოლა და უკან დახევა მითრიდატეს,—მეორეს მხრივ, თუ რაოდენ წინდახედულობასა და სიმტკიცეს იჩენდა მითრიდატე ამ შეუპოვარ ბრძოლაში, საჭიროა მოვიტანოთ პირველწყაროს თხრობა დასტეირას მახლობლად მდებარე მაღლობზე მომხდარი სამხედრო ეპიზოდისა.

აპიანე მოგვითხრობს: „მეფეს არ მოუხდენია პომპეუსზე თავდასხმა, ვიდრე იგი მას გზებს უჭრიდა, არ ვიცი შიშისა, თუ დაუდევრობის გამო, როგორც ეს ემართება იმათ, ვისაც უბედურება დაემუქრება ხოლმე; განიცდიდა რა იგი კვლავ სურსათის ნაკლებობას, უბრძანა დაეხოცათ ბარგის მზიდავი საქონელი, გარდა ცხენებისა. მაგრამ ამით საქმის დასასრული ძლივს მხოლოდ 50 დღით გაჭიანურდა, და ბოლოს, იგი გაიქცა იქიდან სრულიად უხმაუროდ გაუვალი გზებით. ხოლო, როდესაც პომპეუსი გათენებისასლა წამოეწია მის უკანა რაზმებს, მაშინაც, მიუხედავად მეგობრების დაჟინებითი რჩევისა, შებმოდა იგი პომპეუსს,—მან ბრძოლას თავი აარიდა, მოიგერია რა მხოლოდ ცხენოსანი ჯარით მტრები, რომლებიც ძალიან მიუახლოვდებოდნენ ხოლმე, საღამოს დაიბანაკა ხშირ ტყეში. მეორე დღეს მან დაიჭირა ადგილი, რომელიც ყოველმხრივ ციცაბო იყო, მხოლოდ ერთი გზით შეიძლებოდა ასვლა და ამ გზას ოთხი რაზმი იცავდა, რომაელებიც თავისი მხრით უდარაჯებდნენ მას, რათა მითრიდატე არ გაქცეულიყო"[2].

აპიანე განცვიფრებას გამოსთქვამს, რომ მითრიდატე ასე დაჟინებით არიდებდა თავს პომპეუსთან შებრძოლებას. აპიანეს არ ესმის, რომ მითრიდატესთვის შეუძლებელიც იყო პომპეუსის ჭარბ ძალებთან შებრძოლება და უმიზნოც.

მითრიდატეს მიზანი იყო წასულიყო მტერს ხელიდან, მისულიყო თავისი სამეფოს შიდა რაიონებში, სადაც ის ეცდებოდა შემოსეული მტრის დასახვედრად ჯეროვნად მომზადებულიყო.

ეს უკანდახევითი მანევრები მითრიდატემ ბრწყინვალედ შეასრულა და ის მარცხი, რომელიც მან მეორე დღეს განიცადა, მისი ჯარის ნაწილების თავდაუჭერლობისა და მავნე სიფიცხის წყალობით იყო გამოწვეული.

---

[1] დასტეირას მდებარეობის შესახებ იხ. **Манандян**, გვ. 179.

[2] აპიანე, 99.

ამ ეპიზოდს აპიანე ასე აგვიწერს: „გათენებისთანავე სარდლებმა დაიწყეს თავიანთი ჯარების შეიარაღება, ხოლო მოწინავე რაზმები ერთიმეორეს არ ასვენებდნენ, ებმოდნენ რა ურთიერთ ბრძოლაში ბორცვის კალთებზე. და მითრიდატეს ზოგიერთმა ცხენოსნებმა, ბრძანების მიუღებლად, დაიქვეითეს და მიეშველნენ თავიანთ მოწინავე რაზმებს. ხოლო, როდესაც მათ რომაელთა ბევრი ცხენოსანი მიესია, მაშინ უცხენოდ გასული მითრიდატეს მხედრები ჯგუფად გაიქცნენ ბანაკისაკენ, რათა ცხენებზე შემსხდარიყვნენ და რომაელებთან თანასწორ ბრძოლაში გასულიყვნენ. იმათ, ვინც ჯერ იარაღის ასხმაში იყვნენ გართული, დაინახეს, რა რომ ესენი ყვირილით გარბოდნენ, —რადგანაც არ იცოდნენ რა მოხდა,—ეგონათ, რომ ისინი დამარცხებული იყვნენ და მათი ბანაკი ორივე მხრივ აღებული იყო, ამიტომ ხელი უშვეს იარაღს და დაიწყეს გაქცევ-გამოქცევა. რადგანაც ამ ადგილს გასავალი არსაით ჰქონოდა, ამიტომ ისინი ერთიმეორეს ეჯახებოდნენ და აქეთ-იქით აწყდებოდნენ, ვიდრე კლდე-ღრეში არ ჩაიჩეხნენ. ასე, მითრიდატეს ჯარი, იმათი სიფიცხისა და წინდაუხედაობის წყალობით, რომლებმაც ბრძანების მიუღებლად მოისურვეს დახმარებოდნენ მოწინავე რაზმებს, აირ-დაირია და დაიღუპა. დანარჩენი საქმე ძნელი აღარ იყო პომპეუსისათვის, იგი იპყრობდა და ხოცავდა ჯერ კიდევ შეუიარაღებელთ, რომლებიც ირგვლივ ციცაბო კლდეებით შემოზღუდულნი, ადგილზე იყვნენ მიჯაჭვული: მოკლული და ტყვედ წაყვანილი იყო 10.000-მდე და მას ხელში ჩაუვარდა მთელი ბანაკი ალალითურთ“[1].

ამ ბრძოლას პლუტარქეც გადმოგვცემს და პონტოელ მეომართა მოქმედებას, რამაც მარცხი გამოიწვია, იმით ხსნის, რომ ისინი შეაცდინა მთვარის შუქმა.

პლუტარქე ამბობს, რომ პონტოელებისკენ: „მიმავალ რომაელებს მთვარე ზურგიდან უყურებდა. რადგან მნათობი უკვე ღრმად იყო ჩამჯდარი დასავალზე, პომპეუსის მეომრების სხეულთა ჩრდილი ფრიად გრძლად ეფინებოდა წინ და მტრის ჯარისკაცებამდე აღწევდა, რომელთაც პომპეუსის მხედრობასა და მათ შორის მდებარე მანძილის ზუსტად განსაზღვრა აღარ შეეძლოთ. იმათ იფიქრეს, რომაელები საკმაოდ ახლოს არიანო და ოროლების ტყორცნა დაიწყეს, მაგრამ ამაოდ, აქედან გამოტყორცნილი ოროლი არც ერთ რომაელს არ მოხვედრია.

---

[1] აპიანე, 100.

ეს რომ დაინახეს, რომაელები ყვირილით გაცვივდნენ წინ და მხნეობა დაკარგულ, თავზარდაცემულსა და უკუქცეულ მტერს ისე დაერივნენ, რომ ათი ათასზე მეტი კაცი გამოასალმეს სიცოცხლეს, და ბანაკი აიღეს"[1].

ამგვარად, ცხადი ხდება, რომ პონტოელ ჯარისკაცთა უდისციპლინობას ხელი შეუწყო ბუნებრივმა მოვლენამ, რომელმაც ისინი შეცდომაში შეიყვანა...მაგრამ ეს მათ მაინც არ ამართლებს... ისევე, როგორც არ ამართლებს არც მითრიდატეს ჯარის უფროსთ და არც თვით მითრიდატეს, რომელთაც შექმნილ სიტუაციაში მეტი ყურადღება და ჯარისკაცებისადმი კონტროლი მოეთხოვებოდათ.

პლუტარქე თვით მითრიდატეზე ამბობს: „რაც შეეხება მითრიდატეს, მან რვაასი მხედრის თანხლებით, ჯერ კიდევ ბრძოლის დასაწყისში გაჰკვეთა რომაელები და მათ რიგებში გაიჭრა, მაგრამ სულ მალე შემოეფანტა მთელი ამალა და სამი მხლებლის ამარაღა დარჩა"[2].

ჩვენ ზემოთ მივუთითებდით, რომ პონტოს წინააღმდეგ რომაელთა წარმატებას არსებითად უწყობდა ხელს ის წესრიგი და დისციპლინა, რაც რომაული არმიისათვის დამახასიათებელი იყო.

ზემოაღნიშნული ეპიზოდის მსგავსი რამ, რომელმაც გამოიწვია მითრიდატეს ჯარის მარცხი და რომაელთა წარმატება,— რომაულ არმიაში არ შეიძლებოდა მომხდარიყო.

ამგვარად, მითრიდატეს კვლავ შეემთხვა დაუმსახურებელი მარცხი, ხოლო პომპეუსს გაურჯელად ხვდა წარმატება...

მაგრამ მითრიდატე თვით უკიდურეს კატასტროფის დროსაც არა ჰკარგავდა სიმხნეს. მან მოახერხა თითონ უვნებლად გასცლოდა ამ უბედურების ადგილს და თან წაიღო კვლავ გრანდიოზული განზრახვები შემდგომი ბრძოლისთვის.

ციცერონი ამბობდა: „როდესაც მითრიდატემ თავი დააღწია ამ ბრძოლას და გაიქცა ბოსფორისაკენ, რომელიც ჩვენი ჯარისთვის მიუწვდომელი იყო, მან, ლტოლვილმაც კი და დაღუპვის კარზე მდგომმა, მაინც შეინარჩუნა მეფის ღირსება (ტიტული)"[3].

აპიანეს თქმით: „მხოლოდ თავის პირად მცველებთან ერთად კლდის პირას მიმწყვდეული მითრიდატე, სამი ათასი ქვეითი ჯარითურთ, რომლებიც მას დაუყოვნებლივ გაჰყვნენ თან, აღმოჩნდა

---

[1] პლუტარქე, პომპეუსი, 32.

[2] იქვე.

[3] Pro Lucio Murena oratio, 16,34.

ციხე-სიმაგრე სინორეგში[1], სადაც მას ბლომად ფული ჰქონდა შენახული. მან დაურიგა საჩუქრები და ერთი წლის ჯამაგირი იმათ, ვინც მასთან ერთად გამოიქცა. წაიღო 6000 ტალანტი და გაეშურა ეფრატის სათავეებისაკენ, რათა იქ კოლხებთან გადასულიყო“[2].

როგორც პლუტარქე მოგვითხრობს, მითრიდატე სინორიიდან: „სომხეთისაკენ გაემართა ტიგრანთან, მაგრამ ტიგრანმა იგი არ მიიღო და თანაც ასი ტალანტი ჯილდოდ შეჰპირდა იმას, ვინც მის თავს მოუტანდა, ამიტომ მითრიდატემ ეფრატის სათავეს გზა აუქცია და კოლხეთში გაიქცა“[3].

ტიგრანის საქციელი ერთი შეხედვით ძალზე გასაკიცხია...

მაგრამ ამის შესაფასებლად მაშინდელი ისტორიული სიტუაციის გათვალისწინებაა საჭირო.

სომხეთს უკვე რეალურად ემუქრებოდა აგრესია პართიის მხრივ, რასაც აიძულებდა და აქეზებდა რომი... და ეს დიდხანს აღარც დაყოვნებულა.

რომის მიერ უთუოდ მიღწეული იყო შეთანხმება ტიგრანის მითრიდატესაგან ჩამოშორების შესახებ... ყოველ შემთხვევაში, არსებულ ვითარებაში, ტიგრანს აღარც შესაძლებლობა ჰქონდა და აღარც სურვილი, მითრიდატეს გაჰყოლოდა შემდგომი მოქმედებისათვის.

ასეთ მდგომარეობაში ტიგრანს არ შეეძლო მითრიდატესთვის თავშესაფარის მიცემით რომაელთა რისხვა გამოეწვია და თავისი ქვეყნის მდგომარეობა უფრო მეტად გაერთულებინა.

ამასთანავე, ტიგრანი, უთუოდ, გაღიზიანებული იყო — ვინ იცის რამდენად სანდო, — ინფორმაციით, რომ მისი ვაჟების მის წინააღმდეგ აჯანყებას, ვითომდა მითრიდატე ხელმძღვანელობდა და აქეზებდა.

ამგვარად, ტიგრანი, სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე და პირადი უკმაყოფილებით აღსავსე, ლტოლვილ თავის სიმამრს არა მხოლოდ არ ისტუმრებს, არამედ მის მკვლელს ჯილდოსაც უნიშნავს... მაგრამ ტიგრანის დანაშაული ეს კი არ არის, არამედ ის არის, რომ მან თავის დროზე ვერ შეიგნო პონტოს სამეფოსა და არმენიის ერთიანობის მნიშვნელობა მათი საერთო საქმისათვის: რომაელთა ექსპანსიის წინააღმდეგ ბრძოლისთვის.

---

[1] სხვა წყაროები მას სინორიად იხსენიებენ. ამაზე. იხ. Манандян, op. cit., გვ. 179-დან.

[2] ა პ ი ა ნ ე, 101.

[3] ლ უ კ უ ლ უ ს ი, 32. ურუშაძის გამ. გვ. 116.

ეს კიდევ ერთი დიდი მარცხი იყო მითრიდატეს ცხოვრებისა და მოღვაწეობის გზაზე...

თუმცა, საფიქრებელია, მითრიდატე ტიგრანთან დიდხანს გაჩერებას, ალბათ, არც განიზრახავდა, მას უთუოდ ცოტა ხნით შესვენება ესაჭიროებოდა.

არ არის გამორიცხული, რასაკვირველია, რომ ტიგრანთან ახლოს მყოფი, მითრიდატე კვლავ ეცდებოდა ჩაეთრია იგი თავის შემდგომ გეგმებში.

სიძისგან ხელაქნეულმა მითრიდატემ კოლხეთს მიაშურა. მან გაიარა ოლთისისა და ართვინის ოლქები და დიოსკურიაში (სუხუმში) მივიდა.

პომპეუსმა ერთხანს სდია მითრიდატეს, მაგრამ როდესაც ამ უკანასკნელმა მიატოვა კოლხეთიც, პომპეუსმა ეს პონტოს მეფის საბოლოო დამარცხებად ჩათვალა და მასთან ომიც დამთავრებულად მიიჩნია.

მან მითრიდატესთან უკანასკნელი ბრძოლის ადგილას დააარსა ქალაქი ნიკოპოლისი.

როგორც აპიანე გადმოგვცემს, მითრიდატემ, ჯერ ისევ დიოსკურიაში მყოფმა: „...განიზრახა არა მცირე საქმე და არა ისეთი, რომელიც ადვილი გასაბედი იყო ლტოლვილი კაცისათვის: მან განიზრახა შემოევლო ირგვლივ პონტოსათვის და პროპონტიდის სკვითებისთვის, და მეოტიის ტბაზე გადასვლით, თავს დასხმოდა ბოსფორს, ჩამოერთმია ეს ქვეყანა მის მმართველ მახარესათვის, რომელიც მისი ვაჟი იყო და მის მიმართ უმადური აღმოჩნდა, — ამით იგი კვლავ რომაელთა პირისპირ დადგებოდა და იბრძოლებდა მათთან უკვე ევროპიდან, მაშინ, როდესაც ისინი აზიაში იქნებოდნენ“ [1].

ბოსფორის სამეფო მითრიდატემ რომაელებთან დიდი ომის დაწყების წინ დაიპყრო, რადგან მას დიდი სტრატეგიული და ეკონომიური მნიშვნელობა ჰქონდა [2] და იგი სამმართველოდ თავის ვაჟს მახარეს ჩააბარა.

მაშინ, როდესაც მითრიდატე რომაელებთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას ეწეოდა, მისმა შვილმა მახარემ, დაამარების მაგიერ, მამას უღალატა და რომაელებთან დაამყარა კონტაქტი.

მითრიდატე განიზრახავდა კვლავ ხელთ ეგდო ბოსფორის სამეფო და გადაექცია იგი თავისი შემდგომი მოქმედების ბაზად.

---

[1] აპიანე, 101.

[2] იხ. Гайдукевич, Боспорское царство, 298-დან.

სომხეთში დამარცხებული მითრიდატე საქმეს სრულიადაც წაგებულად არ სთვლიდა და რომაელების წინააღმდეგ ბრძოლის შეწყვეტას სრულიადაც არ აპირებდა.

პირიქით... ის ისეთ გეგმებს სთხზავს, რომ ადამიანს ფანტასტიკურად ეჩვენება... მაგრამ მითრიდატე, უთუოდ, რაღაც რეალურ ვითარებაზე ამყარებდა ამ თავის განსაცვიფრებელ ზრახვებს.

ის გარემოება, რომ ესოდენ ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ, დიდ მარცხს განცდილი მითრიდატე, რომაელთა წინააღმდეგ კიდევ დიდი ბრძოლის წარმოებას აპირებდა, მიუთითებს იმ სამყაროს მატერიალური ცხოვრების სიმძლავრეზე, რომელსაც მითრიდატე მეთაურობდა... მითრიდატეს უკანასკნელი გეგმების წარმოშობა ამ გარემოებით უნდა აიხსნას და არა მითრიდატეს ფუქსავატური ფანტაზიორობით. და მართლაც, თუნდაც იმის შემდეგაც, რაც მითრიდატემ ვერ მოახერხა მის მიერ რომაელთა წინააღმდეგ სომხეთთან შეკრული კავშირის შენარჩუნება, — მის საკუთარ სამფლობელოებში რომ მას შინაგანი ერთიანობა და სიმტკიცე ჰგულვებოდა, იგი უთუოდ კვლავ დიდხანს მოახერხებდა რომაელებთან ბრძოლას.

მაგრამ ამაზე უარესი რა შეიძლებოდა ყოფილიყო, რომ მეფე-წულნი ურცხვად ღალატობენ მამას და საბოლოოდ იგი თვითმკვლელობამდე მიიყვანეს.

მითრიდატე შეუდგა თავისი განზრახვის შესრულებას და ძვ. წ. 65 წლ. დასაწყისში გასწია ყირიმისაკენ.

რადგან ზღვა რომაელების მიერ იყო ჩაკეტილი, ამიტომ ის ხმელეთით გაემგზავრა.

აქ ისევ ვამჯობინებთ პირველწყარო ვალაპარაკოთ.

აპიანე მოგვითხრობს: „თუმცა ფანტასტიკური იყო გეგმა, რომელსაც მითრიდატე წამოეჭიდა, მაგრამ იგი დიდად ცდილობდა მის შესრულებას. მან შემოიარა სკვითთა ტომები, რომლებიც კარგი მეომრები იყვნენ და მტრულად იყვნენ განწყობილი: ნაწილობრივ სიტყვით, ნაწილობრივ ძალით, მოიბირა ისინი; ასე, ლტოლვილი და უბედურებაში მყოფიც კი, იგი თავის მიმართ პატივისცემასა და შიშს იწვევდა. მან ახლოს ჩაუარა ჰენიოხებს, რომლებმაც იგი მეგობრულად მიიღეს, ხოლო აქეელები აიძულა გაქცეულიყვნენ და სდია მათ.. როდესაც მითრიდატე მეოტიის მხარეში შევიდა, სადაც მრავალი მმართველია, ყველა მათ იგი მეგობრულად მიიღეს, მისი სახელგანთქმულობისა და საქმეების გამო, აგრეთვე სამეფო ხელისუფლების გამო, და ჯერ სამხედრო ძალაც, რომელიც მას თან ახლდა, მნიშვნელოვანი იყო; მათ იგი

გაატარეს თავის ქვეყანაზე და ურთიერთს საჩუქრები უძღვნეს. მითრიდატემ მათთან კავშირი შეკრა, განიზრახავდა რა უფრო საკვირველ საქმეს: წასულიყო თრაკიითა და მაკედონიით, მაკედონიიდან პეონიით, და შემდეგ შეჭრილიყო იტალიაში, გადალახავდა რა ალპის მთებს. ამ კავშირის განსამტკიცებლად, მან თავისი ქალები მიათხოვა ცოლად მათგან ყველაზე უფრო ძლიერებს. როდესაც მისჰა ვაჟმა მახარემ გაიგო, რომ მან განვლო ამოდენა გზა ესოდენ მცირე ხანში, და გაიარა ამდენი ველური ტომები და ეგრეთ წოდებული, „სკვითური საკეტი", რომელიც აქამდე ყველასათვის გაუვალად ითვლებოდა, მან გაგზავნა მასთან ელჩები, რათა თავი ემართლებია მის წინაშე, რომ, ვითომც იგი გარემოებათაგან იძულებული იყო რომაელებისათვის სამსახური გაეწია; მაგრამ გაიგო რა, რომ მითრიდატე მეტად განრისხებული იყო, იგი გაიქცა პონტოში მყოფ კონცხზე (ხერსონესში), დასწვა რა ხომალდები, რათა მამა არ გამოსდევნებოდა მას, ხოლო, როდესაც მითრიდატემ მას სხვა ხომალდები დაადევნა, მან დაასწრო და თითონვე მოიკლა თავი. ყველა მისი მეგობარი, რომელიც მან თითონ გააყოლა, როდესაც იგი ამ მხარის მმართველად გაგზავნა, მითრიდატემ ახლა სიკვდილით დასაჯა, თავისი ვაჟის მახლობელთაგან კი ისინი, რომლებიც მას ემსახურებოდნენ, როგორც პირად მეგობარს, მან უვნებლად დატოვა"[1].

მითრიდატეს ეს გრანდიოზული ზრახვები პომპეუსისათვის უცნობი იყო.

პომპეუსი დარწმუნებული იყო, რომ: „ლტოლვილი მითრიდატე ველარ გაბედავდა რომელიმე დიდი ოპერაციის დაწყებას"[2].

პომპეუსმა კოლხეთი ბეჯითად დაათვალიერა და მერე სომხეთში დაბრუნდა.

მითრიდატეს განაზრახი საინტერესოა არა მხოლოდ იმ მხრივ, რომ იგი ადასტურებს მითრიდატეს უჩვეულო შეუპოვარ ბუნებას, მის უსაზღვრო ენერგიასა და გაქანებას, არამედ იმითაც არის საინტერესო, რომ მითრიდატეს მეთაურობით რომის ექსპანსიის წინააღმდეგ ამოძრავებულ ძველ ქართულ სამყაროს ჯერ კიდევ ჰქონდა სურვილი და ძალაც შესწევდა, განეგრძო ბრძოლა რომაელთა წინააღმდეგ... და ეს ბრძოლა ეწარმოებინა თვით იტალიის ტერიტორიაზე.

---

[1] აპიანე, 102.
[2] აპიანე, 103.

მითრიდატეს ეს გრანდიოზული გეგმა ჩვენს წინაშე აყენებს არა მხოლოდ მითრიდატეს რთული ფსიქოლოგიური პიროვნების პრობლემას, არამედ აგრეთვე იმ სამყაროს უფრო ახლოს გაცნობისა და შესწავლის პრობლემას, რომელსაც ეყრდნობოდა მითრიდატე.

მითრიდატე დაუცხრომელი ენერგიით შეუდგა რომაელთა წინააღმდეგ ახალი ომების სამზადისს...

მაგრამ ღალატი და შინა გამცემლობა, — ეს საშინელი მტერი, მითრიდატეს მთელი სიცოცხლის განმავლობაში სდევდა და მის დაუღალავ საქმიანობას აქარწყლებდა.

მითრიდატემ უკვე შემოიარა მთელი პონტო, ხელთ იგდო პანტიკაპეია, ეს უმნიშვნელოვანესი სავაჭრო პორტი და ქმნიდა პირობებს რომაელთა წინააღმდეგ წარმატებითი ბრძოლის საწარმოებლად თავისი გეგმის მიხედვით.

პანტიკაპეიაში მას მოუხდა საშინელი საქმის ჩადენა. აპიანეს გადმოცემით: „მითრიდატეს ჰქონდა ერთი საიდუმლო გამაგრებული ადგილი, სადაც მიწის ქვეშეთ საკუჭნაოებში მას შენახული ჰქონდა ბლომად ფული, რკინით მოჭედილ სპილენძის კიდობნებში. სტრატონიკამ, მითრიდატეს ერთმა ხასამ, თუ ცოლმა, რომელმაც იცოდა ამ სიმაგრის საიდუმლოება და რომელსაც მისი მეთვალყურეობა ჰქონდა დავალებული, ვიდრე მითრიდატე პონტოს ირგვლივ მოგზაურობდა, — ამ სტრატონიკამ ეს სიმაგრე გადასცა პომპეუსს და გაანდო ამ საგანძურთა საიდუმლოება, რომელთა შესახებ არავინ არაფერი არ იცოდა, — იმ პირობით, რომ პომპეუსი მის, სტრატონიკას, შვილს ქსითარას სიცოცხლეს შეუნარჩუნებდა, — თუ ვინიცობაა, იგი მას ხელში ჩაუვარდებოდა. პომპეუსი დაეუფლა ამ ფულებს, აღუთქვა მას, რომ ქსითარას გადაარჩენდა და ნება მისცა წაეღო საგანძურიდან საკუთარი ქონება. ეს რომ გაიგო მითრიდატემ, მოკლა ქსითარა სრუტის ნაპირას დედის თვალწინ, რომელიც ამას მეორე ნაპირიდან უცქეროდა, და მისი გვამი დაუმარხავად გადააგდო“[1].

ამ ამბავმა, ეტყობა, იმოქმედა მითრიდატეზე, მას გული გაუტეხა და ბრძოლის ცეცხლი გაუნელა. მას პომპეუსთან ელჩები გაუგზავნია და აღუთქვამს, რომ: „იგი ხარკს მისცემდა რომაელებს თავის მამა-პაპეული სამეფოსათვის“[2].

ე. ი. მითრიდატე მოითხოვდა დაენებებინათ მისთვის მისი სამემკვიდრეო სამფლობელო, იღებდა რა ხელს მის მიერ დაპყრო-

---

[1] აპიანე, 107.
[2] აპიანე, 107.

ბილ მხარეებზე და კისრულობდა რომის სახელმწიფოს წინაშე მოხარკეობას.

თუ აპიანეს ცნობა სინამდვილეს შეეფერება, ადვილი წარმოსადგენია რა ტრაგიკულ მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო ეს ამაყი და შეუპოვარი მებრძოლი მეფე, რომელიც შინა გამცემლობამ იმ სასოწარკვეთილებამდე მიიყვანა, რომ მზად იყო რომის მოხარკედ გამხდარიყო...

მის საქმიანობას რომ ღალატის მაგიერ მხარდაჭერა ეპოვნა, — მაშინ მითრიდატე რომაელებთან სულ სხვანაირად ილაპარაკებდა...

პომპეუსის შემონათვალზე, რომ მითრიდატე თითონ გამოცხადებულიყო მასთან, ტიგრანის მსგავსად, — მითრიდატემ კვლავ ჩვეული სიამაყით უპასუხა, რომ: „ვიდრე იგი მითრიდატედ დარჩება, არასოდეს ამაზე არ დათანხმდება"[1].

დარწმუნდა რა მითრიდატე, რომ რომაელებთან შერიგებას კარგი პირი არ უჩანდა, კვლავ „სასწრაფოდ შეუდგა ჯარის შეკრებას თავისუფალთა და მონათაგან. მოამზადა მრავალი იარაღი, შუბები და სამხედრო მანქანები, არ ზოგავდა რა არც ხე-ტყეს, არც მუშა-ხარებს ძარღვების დასამზადებლად (მათი ძარღვებიდან) და ყველას დაადვა გადასახადი, თვით უკიდურეს ღარიბებს"[2].

აქ მოტანილი ცნობა მოწმობს იმას, თუ რა თავგანწირვით აპირებდა მითრიდატე რომაელთა წინააღმდეგ უკანასკნელ ბრძოლას.

პირველწყაროც მოწმობს და ადვილი წარმოსადგენიც არის, რომ გადასახადის ამკრებნი ავიწროვებდნენ ხალხს. მითრიდატემ ამაზე არა იცოდა რა, რადგან რაღაც დაავადებით იყო შეპყრობილი — (სახეზე მუწუკები ეყარა)[3].

მითრიდატე რომ გამოჯანმრთელდა, მის განკარგულებაში აღმოჩნდა უკვე „60 რჩეული რაზმი, თვითეული 600 კაცით და მრავალი სხვა ლაშქარი, აგრეთვე ხომალდები და გამაგრებული ადგილები, რომლებიც მისი ავადმყოფობის დროს მისმა სარდლებმა აიღეს"[4].

ამგვარად, მითრიდატეს ხელში კვლავ საგრძნობმა ძალამ მოიყარა თავი და ახლა, საომარ მოქმედებათა დაწყების წინ, საჭირო იყო სტრატეგიული და ეკონომიურად მნიშვნელოვანი პუნქტების დაჭერა. ამიტომ: „მან თავისი ჯარის ნაწილი გაგზავნა

---

[1] აპიანე, 107.
[2] აპიანე, იქვე.
[3] აპიანე, იქვე.
[4] აპიანე, 108.

ფანაგორელთა წინააღმდეგ შესართავის მახლობლად მეორე საფაჩრო პუნქტში, რათა ერთიცა და მეორე მხრითაც შესავალი თავის ხელში ჰქონოდა“ [1].

მაგრამ მითრიდატეს წარმატების შესაძლებლობა რომაელებთან ბრძოლაში, უკვე ეჭვს იწვევდა შინაც და გარეთაც.

მახლობლების ღალატ-გამცემლობას, მოჰყვა მითრიდატეს მიერ ომის დასაწყისში შემომტკიცებული მხარეების განდგომა. ფანაგორელებმა წინააღმდეგობა გაუწიეს მითრიდატეს ჯარს და ქალაქში მყოფი მისი ოჯახის წევრები ხელთ იგდეს, გარდა კლეოპატრასი, რომლის გმირული სულით აღტაცებულმა მამამ, მაინც გამოჰგლიჯა მტერს ხელიდან [2].

ფანაგორელთა საქციელი მითრიდატესათვის დიდი მარცხი იყო.

მაგრამ მარცხი ამით არ დამთავრდა.

აპიანეს მოთხრობით: „მახლობლად მდებარე ის ციხეებიც, რომლებიც ცოტა ხნის წინათ ხელთ იგდო მითრიდატემ, ფანაგორელთა ასეთი გაბედული საქციელის გავლენით, განუდგნენ მითრიდატეს, სახელდობრ კი: ქერსონესი, თეოდოსია, ნიმფეი და პონტოს სანაპიროზე ყველა სხვა, სამხედრო თვალსაზრისით ძლიერ მოხერხებული, პუნქტები“ [3].

ეს უკვე მაჩვენებელი იყო იმისა, რომ მითრიდატეს დასაყრდენი ეცლებოდა. მას უკვე არ შესწევდა ძალა ორ ფრონტზე ბრძოლისათვის.

მითრიდატე მიხვდა, რომ მის სამფლობელოში საიმედო მდგომარეობა აღარ ჰქონდა. მან სცადა მისთვის საჭირო ძალების სხვაგან შოვნა.

ამ მიზნით: „მან თავისი საჭურისების საშუალებით თავისი ქალები ცოლებად გაუგზავნა სკვითების წინამძღოლებს, სთხოვდა რა მათ სასწრაფოდ მოსულიყვნენ მასთან ჯარით“ [4]. მაგრამ მარცხს მარცხი მოჰყვა.

ქალების გამცილებლებად გაგზავნილმა მითრიდატეს 500 ჯარისკაცმა, გასცდნენ თუ არა მითრიდატეს სამფლობელოებს, დახოცეს ქალების თანმხლები საჭურისები და მითრიდატეს ქალები პომპეუსთან წაიყვანეს [5].

---

[1] აპიანე, 108.

[2] აპიანე, 108.

[3] აპიანე, 108.

[4] აპიანე, 108.

[5] იქვე.

ეს კიდევ ერთი მაჩვენებელი იყო მითრიდატეს ძალთა შინაგანი რღვევისა.

მითრიდატე ყველაფერს ამას კარგად ხედავდა, მაგრამ მას გულის გატეხვა და უკან დახევა არა სჩვეოდა, პირიქით, რაც უფრო მეტად რთულდებოდა მდგომარეობა, მით უფრო გრანდიოზული გეგმები წარმოისახებოდა მის წინაშე.

ადამიანს ეგონება, რომ ეს შედეგი იყო საღი მსჯელობის უნარდაკარგული, დაძაბუნებული და გულგატეხილი მოხუცის მანიაკური ფანტაზიისა... მაგრამ თვით პირველწყარო მოგვიწოდებს შორს ვიყოთ ასეთი მოსაზრებიდან.... რომ მითრიდატეს გეგმები რეალურ საფუძველზე იყო აღმოცენებული....

აპიანე აღტაცებული მოგვითხრობს: „ამდენი შვილებისა და ციხე-სიმაგრეების დამკარგავი, რომელსაც თითქოს მთელი სამეფო ხელიდან ჰქონდა გამოცლილი და სრულიად ბრძოლის უნარდაკარგული იყო, და აღარც სკვითებთან კავშირის დადების იმედი ჰქონდა, მითრიდატე მაინც ებღაუჭებოდა არა უმნიშვნელო ან მისი უბედურებისათვის შესაფერის გეგმებს: მან განიზრახა კელტების ქვეყანაზე გავლით, რომლებთანაც ამ მიზნით დიდი ხანია დამყარებული ჰქონდა კავშირი და მეგობრობა, — მათთან ერთად შეჭრილიყო იტალიაში, იმედოვნებდა რა, რომ თითონ იტალიიდან მას ბევრნი მიემხრობოდნენ რომაელთადმი სიძულვილის გამო; მან იცოდა, რომ ჰანიბალიც ასევე მოიქცა, როდესაც იგი ესპანეთში იბრძოდა, და ამის გამო იგი განსაკუთრებით საშიში იყო რომაელთათვის; მან იცოდა, რომ ცოტა ხნის წინათაც განუდგა იტალია რომაელებს მათდამი სიძულვილის გამო და ხანგრძლივსა და მძაფრ ბრძოლას აწარმოებდა მათთან და შეუკავშირდა მათ წინააღმდეგ სპარტაკს — გლადიატორს, კაცს სრულიად უმნიშვნელოს. ვარაუდობდა რა ყველაფერს ამას, იგი განიზრახავდა კელტების ქვეყანაში შესვლას. მაგრამ ეს გეგმა, თუმცა შეიძლება მისთვის სასარგებლოც გამომდგარიყო, — მაგრამ მისი ჯარი ყოყმანობდა ამ წამოწყების სიდიადის გამო უმთავრესად; არ სურდათ მათ აგრეთვე გამგზავრება შორეულსა და ხანგრძლივ ლაშქრობაში უცხო ქვეყანაში იმ ხალხის წინააღმდეგ, ვისი დამარცხებაც მათ თავიანთ ძიწაწყალზე ვერ მოახერხეს. თითონ მითრიდატეზე ფიქრობდნენ, რომ იგი სასოწარკვეთილი, მეფის შესაფერისი უჩვეულო გაბედულობის საქმეში სიკვდილს ამჯობინებდა, ვიდრე უმოქმედობაში დალიოს უკანასკნელი დღეები. მაგრამ ისინი ჯერჯერობით მასთან რჩებოდნენ და მშვიდად იყვნენ, რადგანაც

მეფე, უბედურებაში მყოფიც კი, არ წარმოადგენდა უმნიშვნელოსა და საძულველ ადამიანს“ [1].

როგორც პირველწყარო მოწმობს, მითრიდატეს გეგმა რეალურ შესაძლებლობათა გათვალისწინების საფუძველზე აღმოცენებულა.

აპიანეს, უთუოდ, ხელთ ჰქონდა მითრიდატესთან ახლომდგომ წრიდან გამოსული პირველწყარო, სადაც უფრო დაწვრილებით უნდა ყოფილიყო აღწერილი ყველა გარემოება, ამ გეგმასთან დაკავშირებული.

ყურადღებას იპყრობს აპიანეს გადმონაცემი იმაზე, თუ რა კარგად უნდა ყოფილიყო მითრიდატე და ის წრე, რომელიც მასთან ერთად იღვწოდა, ინფორმირებული რომში არსებული ვითარების შესახებ.

უეჭველია, რომ მითრიდატეს გარს ეხვია მასებრ თავგანწირულ მებრძოლ-მოღვაწეთა მთელი წყება. ისინი მასთან ერთად იყვნენ და მოქმედებდნენ, მათთან ერთად იქნა შემუშავებული მოქმედების ეს უკანასკნელი გრანდიოზული გეგმა.

პირველწყაროებმა მოგვაწოდეს მითრიდატეს საქმის გამცემმოღალატეთა სახელები, მაგრამ არ შემოგვინახეს ამ დიადი საქმისათვის ერთგულთა და თავდადებულთა სახელები... სამწუხაროდ...

მითრიდატეს უკანასკნელი გრანდიოზული გეგმა Reinach-ს მიაჩნია არც თუ ისე ძნელად შესასრულებლად. იგი, უპასუხებს რა იმ ავტორებს, რომლებიც საეჭვოდ მიიჩნევდნენ ხსენებული გეგმის რეალურობას, წერს: „... საკითხავია, ამასთანავე, იყო მართლა ესოდენ უგუნური (wahnsinnig) ეს წამოწყება, როგორც იგი შორიდან მოჩანს? ორმოცი წლის წინათ კიმვრებმა დაამტკიცეს, რომ ალპების ქედის გადალახვა ძნელი არ იყო. და მოახერხებდა კი მაშინ მარიუსი ასე ადვილად გასწორებოდა გერმანელ ურდოებს, მათ რომ სათავეში ისეთი წინამძღოლი ჰყოლოდათ, როგორც მითრიდატე იყო? სარმატების, ბასტარნებისა და კელტების მომხრობის იმედი სრულიადაც უაზრო არ იყო. მითრიდატეს ხომ დიდი ხანია დიპლომატიური ურთიერთობა ჰქონდა დამყარებული ამ ხალხებთან და მათგან ათასობით მამაცი მებრძოლი ჰყავდა თავისთან. ისინი იცნობენ მოხუც მეფეს და მის მიერ სინორიიდან წამოღებული ოქრო საკმარისი იყო იმისათვის, რათა ისინი, იტალიის აოხრების მიზნით, მას თან გაჰყოლოდნენ. დაბოლოს, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ: ...მითრიდატეს შესევა

[1] აპიანე, 109.

უნდა მომხდარიყო იმ დროს, როდესაც რომს ემუქრებოდა ძლიერ განშტოებული (mächtig verzweigten) შეთქმულება, რომელსაც უნდა მოჰყოლოდა სახელმწიფო გადატრიალება, ნგრევა და აოხრება, როდესაც მარიუსელთა ძველმა ბანდებმა (die alten marianistischen Banden) ეტრურიაში აჯანყების და სამოქალაქო ომის ალამი ააფრიალეს. ვის შეუძლიან გაზომოს ის შედეგები, რაც ამ გაჭირვების დროს აღმოცენდებოდა, მოულოდნელად რომ ალპების კალთებთან გაჩენილიყო 100.000 ბარბაროსი ცივილიზებული მეფის მეთაურობით? ვის შეუძლიან თქვას, რომ მაშინ რომს არ ეწვეოდა ის ბედი, რაც მას ხუთი საუკუნით გვიან ალარიხმა, გაიზერიხმა და ტოტილამ მოუმზადეს?“ [1].

აპიანე, როგორც ზემოთ უკვე იყო ნათქვამი, უთუოდ ძველ წყაროებზე დამყარებით, სადაც უფრო ვრცელი ცნობები უნდა ყოფილიყო მითრიდატეს განზრახვებზე, — დაასკვნის, რომ ეს გეგმა შეიძლება სასარგებლო გამომდგარიყო, მაგრამ მებრძოლთა მასა შეაშინა მისმა სიდიადემ [2].

რასაკვირველია, მითრიდატესეული სწრაფვა-გაქანება ყველასათვის არ იყო დამახასიათებელი...

ვიდრე მითრიდატე თავის წარმტაც გეგმებსა და ზრახვებში იყო გართული, პომპეუსი შორს, სირიაში იმყოფებოდა...

მაგრამ რომაელთა ხელი მითრიდატეს სამეფოში ფარულად მოქმედებდა.

ის აჯანყება, რომელიც მითრიდატეს საყვარელმა ვაჟმა, მამას რომ თავის მემკვიდრედ ეგულებოდა, ფარნაკმა მოაწყო მამის წინააღმდეგ, — მომზადებული იყო პირველყოვლისა, მითრიდატეს საერთოდ რთული მდგომარეობით.

მართლაც ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ მითრიდატე, რომელმაც საკუთარ მიწა-წყალზე რომაელთაგან დამარცხება განიცადა, — შესძლებდა თავისი უჩვეულო გეგმის შესრულებას და წარმატებას მიაღწევდა.

უეჭველია რომ ქვეყნის შიგნით მრავალი ადამიანი ამ საქმეს დიდი ეჭვით უცქერდა.

პონტოს სამეფოს ბედი ბევრს აფიქრებდა და ბევრი იმ აზრისა იყო, რომ უნდა ხელი აეღოთ მითრიდატეს, ერთი შეხედვით, ავანტიურულ გეგმაზე.

სწორედ ამ განწყობილებამ წარმოშვა ფარნაკის აჯანყების იდეა და შესაძლებლობა...

---

[1] Reinach, op. cit., გერმან. თარგმ., გვ. 403.
[2] აპიანე, 109.

მაგრამ ამ შინაგან მიზეზს ემატებოდა რომის დიპლომატიის მოქმედება.

ამ მხრივ უმნიშვნელო არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ ფარნაკმა თავის მამას, პირველ ყოვლისა, ჩამოაშორა მასთან მყოფი, სამშობლოდან ლტოლვილი რომაელები, რომლებსაც რომი მრავალ დაპირებებს აღუთქვამდა.

მითრიდატეს იმ ხანში, როდესაც იგი თავისი დიდი გეგმის განხორციელებას აპირებდა, ახალი უბედურება დაატყდა თავს, მემკვიდრე ვაჟიშვილის აჯანყების სახით.

ფარნაკის საქციელის მიზეზი პირველწყაროსათვის გაურკვეველია.

აპიანე წერს: „ეს შეთქმულება მან იმის გამო მოაწყო, რომ შეეშინდა ამ ლაშქრობისა და ხელისუფლების დაკარგვის შესაძლებლობისა, — ფიქრობდა რა, რომ ეხლავე შეიძლებოდა რომაელთაგან პატიების მიღება. — თუ იმის გამო, რომ მას სხვა საბაბი და მოსაზრებები ჰქონდა, ძნელი სათქმელია“-ო [1].

აპიანეს პირველი ვარაუდი სწორია, ხოლო სხვა საბაბს რომის დიპლომატიის ხრიკები წარმოადგენდა.

რომაული დიპლომატიის წარმატება ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორი იყო ფარნაკის აჯანყებაში.

ეს კარგად აქვს გადმოცემული რომაელ ისტორიკოსს ველეი პატერკულს [2].

იგი პომპეუსზე წერს: „მან გაიარა მიდია, ალბანია, იბერია და ყველგან გამარჯვებას პოულობდა; შემდეგ თავის ძლევამოსილ ლაშქარს წარუძღვა იმ ხალხებისაკენ, რომელნიც მოსახლეობენ სანაპიროზე და პონტოს მარჯვენა მხარეზე, — სახელდობრ: კოლხებისაკენ, ჰენიოხებისაკენ და აქეელებისაკენ, და აიძულა ფარნაკი ღალატით დაეღუპნა თავისი მამა, რომაელთაგან დამოუკიდებელი უკანასკნელი მეფე“ [3].

შეთქმულება გამომჟღავნდა და ფარნაკის თანამონაწილენი დასაჯეს.

მახლობელთა რჩევით, მითრიდატემ ფარნაკს დანაშაული აპატია...

თუმცა ეს პატიება, უთუოდ იმ ბანაკის სიმძლავრისათვის ანგარიშის გაწევა იყო, რომელიც ფარნაკის მეთაურობით მითრიდატეს უპირისპირდებოდა.

[1] აპიანე, 110.

[2] ცხოვრობდა ძველი წელთაღრიცხვის I საუკ. მეორე ნახევარში და ახალი წელთაღრიცხვის I საუკ. პირველ ნახევარში.

[3] წ. II, თავი 27.

მაგრამ ამით საქმე უფრო გართულდა. ფარნაკი, მამის შომავალი რისხვით შეშინებული, უფრო აქტიურ მოქმედებას იწყებს იმ წრეებზე დაყრდნობით, რომლებიც აპიანეს თქმით: „მოწადინებული იყვნენ ცვლილებებს“[1].

ფარნაკმა ჯერ გადმოიბირა მითრიდატესთან მყოფი რომაელები, რომლებმაც გათენებისთანავე დასცეს ყიჟინა, მათ მიემხრნენ ჯარის სხვა ნაწილები და თვით ფლოტიც. მაგრამ სჯობია აქ სიტყვა ისევ პირველწყაროს დავუთმოთ.

„...ხმაურზე გამოღვიძებულმა მითრიდატემ გაგზავნა, რათა გამოეკვლიათ, თუ რა სურდათ მათ. მათ დაუფარავად განაცხადეს: „გვსურს, რათა მეფედ იყოს მისი ვაჟი, ახალგაზრდა, მაგივრად მოხუცისა, რომელიც საჭურისების ნებასურვილს მისდევს და რომელმაც მრავლად დახოცა თავისი შვილები, წინამძღოლები და მეგობრები“[2].

„ეს რომ გაიგო, მითრიდატე გამოვიდა მათთან მოსალაპარაკებლად. მისი პირადი გვარდიის დიდი ნაწილი გადავიდა რომაელი მოღალატეების მხარეზე. მათ უარი უთხრეს მიღებაზე, ვიდრე ისინი თავიანთი ერთგულების დასამტკიცებლად, არ ჩაიდენდნენ რასმე გამოუსწორებელს, გულისხმაში აგდებდნენ რა მათ მითრიდატეს მიმართ. და, აი, მათ მოასწრეს მითრიდატეს ცხენის მოკვლა, როდესაც იგი გაქცევას აპირებდა, და სთვლიდნენ რა ისინი თავს უკვე გამარჯვებულად, ფარნაკი მეფედ გამოაცხადეს; ვიღაცამ ტაძრიდან გამოიტანა ბრტყელი ღერო და გვირგვინის მაგიერ იმით შეამკეს ფარნაკი. ყველაფერს ამას ხედავდა მითრიდატე მაღალი ღია ადგილიდან და გზავნიდა ფარნაკთან ერთიმეორეზე კაცებს, მოითხოვდა რა თავისთვის თავისუფალ და უვნებლად წასვლის უფლებას. რადგანაც გაგზავნილთაგან უკან არავინ ბრუნდებოდა, მას შეეშინდა არ გადაეცათ იგი რომაელთათვის, და შეაქო რა თავისი პირადი· მცველები და მეგობრები, რომლებიც ჯერ კიდევ მასთან იყვნენ — გაუშვა ისინი ახალ მეფესთან; ზოგი მათგანი ჯარმა დახოცა გაუგებრობის ნიადაგზე. თითონ მითრიდატემ გახსნა ის შხამი, რომელსაც მუდამ თან ატარებდა ხმალ-ქარქაშთან და დაუწყო განზავება. მაშინ მისმა ორმა ქალმა, რომლებიც ჯერ ქალწულები· იყვნენ და მასთან ერთად ცხოვრობდნენ მითრიდატისი და ნისა, რომელთაგანაც ერთი ეგ-

---

[1] აპიანე, 110.

[2] იქვე.

ვიპტის მეფეზე და მეორე კვიპროსის მეფეზე იყო დანიშნული, განაცხადეს, რომ ჯერ ისინი დალევდნენ შხამს, ისინი ამას დაჟინებით მოითხოვდნენ და უშლიდნენ მას შხამის დალევას, ვიდრე არ მიიღეს და თითონ არ დალიეს იგი. შხამმა დაუყოვნებლივ იმოქმედა მათზე, მაგრამ მითრიდატეზე კი, მიუხედავად იმისა, რომ იგი განგებ განუწყვეტლივ დადიოდა წინ და უკან, შხამი არ მოქმედებდა, რადგან მიჩვეული იყო და მუდამ იღებდა შხამის საწინააღმდეგო საშუალებას, როგორც მოწამვლის წინააღმდეგ დამცველს; მას ახლაც „მითრიდატეს საშუალება" ეწოდება.

მითრიდატემ დაინახა ვინმე ბიტოიტი, გალების ჯარის უფროსი და უთხრა მას: „დიდ დახმარებას მიწევდა შენი მკლავი ომის საქმეში, მაგრამ ყველაზე დიდი დახმარება იქნება ჩემთვის, თუ ახლა შენ მე სიცოცხლეს მომისპობ; მე ხომ მელის საფრთხე, რომ ტრიუმფის საზეიმო სვლაში გამატარებენ, მე, რომელიც ასე დიდხანს ვიყავი ამ ქვეყნის თვითმპყრობელი მეფე; მე ვერა მკლავს შხამი იმის გამო, რომ მე უგუნური, თავის დაზღვევის მიზნით, წინასწარ ვიღებდი თავის დაცვის საშუალებებს სხვადასხვა საწამლავთა სახით. ხოლო ყველაზე საშინელი და მეფეთა ცხოვრებაში ესოდენ ჩვეულებრივი საწამლავი — ჯარის, შვილებისა და მეგობრების ღალატი — მე ვერ გავითვალისწინე, მე რომელმაც გავითვალისწინე ყოველგვარი შხამსაწამლავი საჭმლის მიღების დროს და მოვახერხე მათგან თავის დაცვა".

ბიტოიტს შეებრალა მეფე, რომელიც ასეთ შველას საჭიროებდა და შეუსრულა თხოვნა"[1].

ასე ტრაგიკულად დაასრულა ძვ. წ. 63 წელს თავისი მშფოთვარე, გოლიათური, უდიდესი წარმატებებითა და მარცხით აღსავსე ცხოვრება მითრიდატემ, რომლის ცხოვრების თვით დასაწყისიც არა ნაკლებ ტრაგიკული იყო.

მითრიდატეს შესახებ უკანასკნელი სიტყვა ისევ აპიანეს უნდა მივცეთ.

აპიანე, შემაღლებული ტონით, მითრიდატესადმი თანაგრძნობით გამსჭვალული, გვეუბნება: „ასე მოკვდა მითრიდატე. მან იცოცხლა 68 თუ 69 წელი, ამათგან 57 წელი იგი მეფედ იყო. ძალაუფლება მან მიიღო ობოლმა. მან დაიპყრო მეზობელი ბარბაროსი ხალხები და სკვითთაგანაც მას ბევრნი ემორჩილებოდნენ; რომაელებთან ის 40 წლის განმავლობაში აწარმოებდა ომს, რომლის დროსაც იგი ხშირად დაეუფლებოდა ბითინიასა და კაპადოკიას,

---

[1] აპიანე, 111.

იგი შეიჭრა აზიაში, ფრიგიაში, პაფლაგონიაში, გალატიასა და მაკედონიაში; შეესია რა ელადას, მრავალი საგმირო საქმე ჩაიდინა. ზღვაზე იგი ბატონობდა კილიკიიდან იონიის ზღვამდე, ვიდრე, ბოლოს, სულამ არ ჩაჰკეტა იგი მის მამა-პაპეულ სამეფოში, მას შემდეგ, რაც მითრიდატეს დაეღუპა 160.000 ჯარი. ესოდენ მძიმე დამარცხების შემდეგაც კი, იგი სულ ადვილად მოემზადა ომისათვის. იგი უმართავდა ბრძოლებს რჩეულ სარდლებს. თუმცა იგი დაამარცხეს სულამ, ლუკულუსმა და პომპეუსმა, მაგრამ მას ხშირად მათ მიმართაც ჰქონია უპირატესობა და კიდევაც გაუმარჯვნია მათზე. ლუციუს კასიუსი, კვინტუს ოპიუსი და მანიუს აკვილიუსი მან ტყვედ წაიყვანა და თან დაჰყავდა სხვადასხვა ქალაქებში, ვიდრე, ბოლოს, პირველი არ დასაჯა სიკვდილით, რადგანაც იგი იყო ომის მიზეზი, — ორი უკანასკნელი კი, — სულას დაუბრუნა. მან დაამარცხა ფიმბრია, მურენა, კონსული კოტა, ფაბიუსი და ტრიარიუსი. სულით იგი უბედურებაშიც კი დიდი იყო და არ ეძლეოდა სასოწარკვეთილებას. მას არ დაუტოვებია არც ერთი გზა, რომ არ ეცადნა იქიდან რომაელებზე თავდასხმა, მაშინაც კი, როცა დამარცხებული იყო. იგი უთანხმდებოდა სამნიტებსა და კელტებს, გზავნიდა ელჩებს სერტორიუსთანაც იბერიაში. ხშირად დაჭრილი მტერთაგან ან რომელიმე ბოროტ განმზრახველისაგან, იგი ასეთ შემთხვევაშიაც კი საქმეს არ შეაჩერებდა, თუმცა უკვე მოხუცებული იყო. მართლაც, არც ერთი შეთქმულება მას არ გამოჰპარვია, თვით უკანასკნელიც კი, მაგრამ თავისივე სურვილით მან იგი უყურადღებოდ დასტოვა და კიდეც დაიღუპა მისგან: ასეა, სულმდაბალი რომ პატიებას მიიღებს, უმადური გამოდგება. მას მკვლელობა არ ეზარებოდა და მძვინვარე იყო ყველას მიმართ, მან დახოცა თავისი დედა და ძმა და თავის შვილთაგან სამი ვაჟი და სამი ქალი. სხეულით იგი ახოვანი იყო, როგორც ჩანს იმ იარაღიდან, რომელიც ნემეიასა და დელფოში გაგზავნა. იმდენად ძლიერი (ღონიერი) იყო, რომ სიკვდილამდე შეეძლო ცხენის ჭენება, შუბის ტყორცნა და ცხენით ან ეტლით დღეში ათასი სტადიუმის გავლა, გარკვეულ მანძილზე ცხენების გამოცვლით. იგი, მართავდა ეტლს, რომელშიაც თექვსმეტი ცხენი იყო შებმული. მას უყვარდა ელინური კულტურა, ამიტომაც, იცნობდა რა მას, კიდევაც ასრულებდა ელინურ ადათებს, უყვარდა აგრეთვე მუსიკა. მის, ესოდენ კეთილგონიერისა და ამტანის, ერთადერთ სუსტ მხარეს შეადგენდა ქალებთან განცხრომის უსაზღვრო მისწრაფება“ [1].

[1] აპიანე, 112.

მითრიდატეს სიკვდილის შესახებ პირველწყაროთა სამი ვარიანტი არსებობს.

ამათში ყველაზე ვრცელია აპიანეს ცნობა[1]. ავლგელიუსისა და კლავდიუს გალიენის მიხედვით, რაკი საწამლავმა არ იმოქმედა, მითრიდატემ საკუთარი მახვილით მოიკლა თავი.

საინტერესო, ორიგინალურ ცნობას გვაწვდის დიონ კასიუსი (150 — 235 დაახლ.).

დიონ კასიუსის ცნობაში აშკარად გამოკრთის ის სიდიადე, რომელიც ჰმოსავდა მითრიდატეს სახელს და რომელიც ჯერ კიდევ არ გამქრალიყო მაშინდელი ადამიანების მეხსიერებაში.

დიონ კასიუსი მოგვითხრობს: „მითრიდატემ სცადა თავის მოკვლა და წინასწარ დახოცა რა საწამლავით თავისი ცოლები და დანარჩენი შვილები, დანარჩენი თითონ დალია, მაგრამ ვერ მოახერხა თავის მოკვლა ვერც ამითა და ვერც საკუთარი მახვილით: შხამი,თუმცა მომაკვდინებელი იყო, მაგრამ მასზე ვერ იმოქმედა, რადგან მისი სხეული გაკაჟებული იყო იმით, რომ იგი ყოველდღე იღებდა შხამსაწინააღმდეგო საშუალებებს, ხოლო მახვილის დარტყმა სუსტი აღმოჩნდა იმის გამო, რომ მისი მარჯვენა დაუძლურებული იყო მოხუცებულობითაც, განცდილ-უბედურებათაგანაც და შხამითაც. მაშ, როდესაც მან ვერ მოახერხა თავის მოკვლა და ძალიან დიდხანს დაუგვიანდა, მას ეცნენ ისინი, ვინც თავისი შვილის წინააღმდეგ ჰყავდა გაგზავნილი და თავიანთი მახვილებითა და შუბებით დააჩქარეს მისი დაღუპვა. ამგვარად, მითრიდატემ, რომელსაც თავს გადახდა თავისი დიდი ბედიღბლის მრავალთა უმრავლესი უკუღმართობა, თავისი სიცოცხლეც დაასრულა არაჩვეულებრივი გზით. ის თავისი სურვილის გარეშე, იძულებული იყო მომკვდარიყო და სცადა რა თვითმკვლელობა, ვერ მოახერხა იგი შეესრულებინა, მაგრამ ნაწილობრივ შხამითა და ნაწილობრივ კი მახვილით თავის მკვლელი შეიქმნა და იმავე დროს მოკლულ იქნა მტერთაგან“[2].

მოთხრობილიდან ცხადი ხდება, რომ მითრიდატეს მიერ მოკვლის მიზნით მიღებული საწამლავი მის გაკაჟებულ სხეულს ვერ მოერია, მაგრამ იმდენად კი შეასუსტა, რომ საკუთარ მარჯვენას ძალა აღარ ეყო საკუთარი მკერდის გასაგმირად... სწორედ ამის გამო გახდა მითრიდატე იძულებული, ის ლომგული

---

[1] აპიანე, 111.

[2] „Historia Romana“, წ. XXXVII, 13.

მკერდი, რომელიც მრავალჯერ თავგანწირულად შეუგებებია მტრის იარაღისათვის, ახლა თავისი მოკეთის მახვილზე წამოეგო...

სრულიად არა მართლებურად გვეჩვენება ლ. სანიკიძის რიტორიკული იერის მქონე სიტყვები მითრიდატეს უკანასკნელ წუთებზე, როდესაც წერს რომ: „აღმოსავლეთის ჰანიბალმა" თვითმკვლელობაც ჰანიბალივით სცადა, მაგრამ ბრძოლაში გულადობით შეუდარებელი ტიტანი თავისი სიცოცხლის უკანასკნელი წუთების გასანადგურებლად იძულებული გახდა, გაიუს გრაკხის მსგავსად, გაბედულებას თავის ერთგულ მსახურს დასესხებოდა-ო"[1].

არა მგონია, მითრიდატესათვის სიმხდალის დაწამება, თუნდაც სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში, რითიმე იყოს გამართლებული.

მითრიდატეს სიკვდილმა რომაელებში დიდი სიხარული გამოიწვია.

აპიანეს თქმით, მათ: „დიდი ზეიმით იდღესასწაულეს ეს ამბავი, მიიჩნევდნენ რა, რომ ისინი მეტად საშიში მტრისაგან განთავისუფლდნენ"[2].

რომაელთა სიხარულზე უფრო ვრცლად მოგვითხრობს პლუტარქე. ლაპარაკობს რა იმაზე, რომ პომპეუსმა მიატოვა მითრიდატეს დევნა, პლუტარქე განაგრძობს: „... იგი სხვა საქმეებს აკეთებდა, რომლებიც, ასე თუ ისე, მითრიდატეს ომთან იყვნენ დაკავშირებულნი და დროს აჭიანურებდა.

ამ საკმაოდ უხერხული მდგომარეობიდან პომპეუსი ბედმა დაიხსნა"-ო[3] დასძენს პლუტარქე.

პომპეუსი ჯარის ვარჯიშით იყო გართული, როდესაც პონტოდან მასთან შიკრიკები მოვიდნენ.

ფარნაკის წერილი, რომლითაც იგი მას თავისი მამის სიკვდილს აუწყებდა, პომპეუსმა ჯარს საჯაროდ წაუკითხა.

პლუტარქე განაგრძობს: „ამ ამბის გამო სიხარულით აღფრთოვანებული მხედრობა, რაღა თქმა უნდა, მსხვერპლშეწირვების გამართვასა და საყოველთაო ქეიფ-ნადიმებს მიეცა, თითქოს მას მითრიდატეს სახით მრავალი ათასი მტერი მოჰკვდომოდა"[4].

ასე მოულოდნელად გაბედნიერებული პომპეუსი სირიიდან სასწრაფოდ გაეშურა პონტოსაკენ.

---

[1] ლ. სანიკიძე — პონტოს სამეფო, გვ. 208 — 209.
[2] აპიანე, 113.
[3] პლუტარქე, პომპეუსი, 41.
[4] იქვე, 42.

ქ. ამისოსში მოსულმა „... პომპეუსმა მიიღო ფარნაკის მიერ გამოგზავნილი ურიცხვი საჩუქარი, და აგრეთვე სამეფო გვარის კაცთა მრავალი ცხედარი, რომელთა შორის მითრიდატეს გვამიც იყო“...[1] რომელსაც მხოლოდ ნაჭრილობევთა საშუალებითღა სცნობდნენ...

მითრიდატეს გვამი პომპეუსმა დასაკრძალავად სინოპეში, პონტოს სამეფოს ცენტრში გაგზავნა.

„პომპეუსმა მითრიდატეს გვამის ბრწყინვალე დასაფლავება მოაწყო და დაავალა მის მსახურთ დაემარხათ იგი სამეფო საკრძალავში, ჩაასვენებდნენ რა სინოპეში მეფის სამარხში, — ასე იყო აღტაცებული პომპეუსი მისი საგმირო საქმეებით და იგი მას თავისი დროის მეფეთა შორის ყველაზე უკეთესად მიაჩნდა“-ო[2], გვამცნობს აპიანე.

ფარნაკი მიჩნეულ იქნა რომაელთა მეგობრად და მოკავშირედ, რადგან მან: „იხსნა იტალია უდიდეს სიძნელეთაგან“[3].

აი, რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რომაელთათვის ფარნაკის მუხანათურ ღალატს, ესოდენ დიდი და განთქმული მშობლის მიმართ.

პომპეუსი თურმე, განაცვიფრა, აგრეთვე მითრიდატეს: „ტანსაცმლისა და იარაღის სიდიადემ და სიბრწყინვალემ“[4]. ასე მოულოდნელად ხვდათ ბედნიერება რომაელებს და ის კაცი, რომელთანაც ორმოცი წლის განმავლობაში ბრძოლით ვერაფერს გახდნენ, შეიძლება ითქვას, საკუთარი ვაჟის ხელით მოკლული, უსახელოდ ჩაუვარდათ ხელში... რომაულ იარაღს, რომელიც უძლური აღმოჩნდა მითრიდატეს წინააღმდეგ, მოღალატის მუხანათურმა ხელმა უსაზღვრო სამსახური გაუწია.

ორმოცი წლის განმავლობაში აღმოსავლეთის სარბიელზე წარმოებული ბრძოლა აგრესორ რომაელებსა და ადგილობრივ ხალხებს შორის, ბრძოლა, რომელშიაც ერთი მხარე მიზნად ისახავდა აღმოსავლეთის ხალხთა დაპყრობით საექსპლოატაციო ობიექტების გამრავლებას, ხოლო მეორე მხარე ცდილობდა თავიდან აეცდინა დამპყრობელთა მძიმე უღელი, აგრესორის გამარჯვებით დამთავრდა.

სად უნდა ვეძიოთ მითრიდატეს ესოდენ მამაცი და თავგანწირული ბრძოლის ასე კატასტროფულად დამთავრების მიზეზი?

---

[1] პ ლ უ ტ ა რ ქ ე, პომპეუსი, 42.
[2] ა პ ი ა ნ ე, 113.
[3] ა პ ი ა ნ ე, იქვე.
[4] პ ლ უ ტ ა რ ქ ე, პომპეუსი, 42.

მითრიდატესა და იმ სამყაროს მარცხი, რომელსაც ის რომაელების წინააღმდეგ ბრძოლაში მეთაურობდა, მრავალი გარემოებით აიხსნება.

აქ ჩვენ უნდა გავარჩიოთ საგარეო და საშინაო ფაქტორები.

პირველყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმ შერყევისა, რომელსაც განიცდიდა რომის მსოფლიო იმპერია იმჟამად მონათმფლობელური ფორმაციის კრიზისის გამო, რაზედაც აღმოცენებული იყო სისხლისმღვრელი სამოქალაქო ომები, სახელმწიფოს ძლიერებას რომ არყევდა;

მიუხედავად რომის საზოგადოების შიგნით გაჩაღებული მძაფრი კლასობრივი ბრძოლებისა, რაც საზოგადოების მთლიანობას არღვევდა, ფიზიკურად ასუსტებდა მას და მორალურად სთიშავდა;

მიუხედავად იმისა, რომ ჩრდილოეთიდან რომს უკვე ემუქრებოდა ბარბაროსთა შემოსევა, რაც რომის მდგომარეობას მეტად ართულებდა, — რომის სახელმწიფო სამმართველო აპარატი სიმტკიცეს ინარჩუნებდა. განსაკუთრებით ურყევი იყო სამხედრო დისციპლინა;

მიუხედავად რომში გაჩაღებული სამოქალაქო-კლასობრივი დაუნდობელი ბრძოლებისა, არ ყოფილა შემთხვევა, რომ ბრძოლის ველზე გასულ რომაელთა ჯარში მსგავსი რამ მოძრაობა ყოფილიყო, თუ არ ჩავთვლით, ჯარის იმ უკმაყოფილებას, რომელსაც ჯარი ხანდახან თავისი სარდლის მიმართ გამოსთქვამდა, როგორც ამას ადგილი ჰქონდა, მაგალითად, ლუკულუსისა და სხვა მეთაურთა მიმართ, მითრიდატესთან ომის დროს.

რომის არმია, მიუხედავად საშინაო და საგარეო გართულებებისა, ინარჩუნებდა ძველებურ დისციპლინასა და სიმტკიცეს, რაც ხელს უწყობდა რომის სახელმწიფოს სამხედრო ძლევამოსილების შენარჩუნებას.

რომის სახელმწიფოს ძლიერება ისტორიულად მისი არმიის ძლიერებაში მდგომარეობდა.

რომის არმიას სხვების მიმართ ახასიათებდა სამაგალითო წესრიგიანობა და დისციპლინა, რასაც ემატებოდა მისი შეიარაღების უპირატესობა და ეს უზრუნველყოფდა რომაელთა მრავალ წარმატებას ბრძოლის ველზე.

რომაული არმია იყო თავისი ქვეყნის გარეშე დიდი და ხანგრძლივი ბრძოლების წარმოებას ჩვეული და დიდი ტრადიციის მქონე.

რომაული სამხედრო ხელოვნება და ტექნიკა დიდი წარსულისა და გამოცდილების მქონე იყო, რაც სარდალთა ხელში მძლავრ იარაღს წარმოადგენდა.

სამხედრო ძლიერებისა და უპირატესობის გვერდით, რომაელები უხვად იყენებდნენ დიპლომატიურ ხერხებს, რომლებიც ხშირად გაცილებით უფრო ეფექტიური იყო, ვიდრე რომაული არმიის უძლეველი იარაღი.

ამ მხრივ რომაელებს სრული უპირატესობა ჰქონდათ და მათ ამ საქმეში ცალი და ბადალი არავინა ჰყოლიათ.

რომაელები, თავიანთი დახლართული დიპლომატიური ქსელის, სამხედრო და ეკონომიური ზეგავლენის გზით, ადვილად ახერხებდენ მოწინააღმდეგე ძალთა გათიშვას, მათს ურთიერთ დაპირისპირებასაც კი და ამით გამარჯვებისაკენ გზას უხსნიდნენ თავიანთ სამხედრო ძალებს.

სამხედრო ტაქტიკა და დიპლომატია რომაელთა ხელში წარმოადგენდა იმ მძლავრ ბერკეტს, რომელიც მათთვის წარმატებას უზრუნველყოფდა და რასაც მათი მოწინააღმდეგენი მოკლებული იყვნენ.

ამას გარდა, რომაელთა ლაშქრობანი ძარცვასა და ნადავლის შოვას ემსახურებოდა, რაშიც უშუალოდ დაინტერესებული იყვნენ ჯარისკაცები... და ეს გარემოება მათ სიმხნესა და ბრძოლის სტიმულს ჰმატებდა.

აი, როგორ სამყაროსთან უხდებოდა ბრძოლა პონტოს სამეფოს.

რას წარმოადგენდა ის სამხედრო ძალა, რომელიც მითრიდატეს ჰყავდა?

მითრიდატეს ჯარი შესდგებოდა იმ მრავალი ხალხებისაგან, რომლებიც მისი ხელისუფლების ქვეშ იყვნენ გაერთიანებული.

შავი ზღვის სანაპიროს ეთნიკური სიჭრელე საყოველთაოდ ცნობილია.

გარდა იმისა, რომ ამ, სხვადასხვა კუთხეში მოკრებილ, კონტინგენტს, არ გააჩნდა შინაგანი რამ შემაკავშირებელ-გამაერთიანებელი ფაქტორი, შეიძლება, გარდა იმისა, თუ კი მოახერხა მითრიდატემ შთაეგონებინა მათთვის, რომ ისინი იბრძვიან უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ მათ არ აერთიანებდა არც საერთო სამხედრო წვრთნა და ტრადიციები, არც იარაღისა და ბრძოლის წარმოების საშუალებათა ერთფეროვნება, რათა მთელი არმიის მასა გეგმაშეწონილად, საჭირო მიმართულებითა და მიზნით ყოფილიყო გამოყენებული..., ამ არმიას ერთიანი ხელმძღვანელობაც არა ჰქონდა და ამდენად იგი კომპაქტურ ძალას არ წარმოადგენდა.

მაშასადამე, პონტოს არმია თავისი სამხედრო ტაქტიკით, საბრძოლო ტექნიკითა და ტრადიციებით დიდად ჩამორჩებოდა რომის არმიას.

ტაქტიკური ბრძოლების წარმოების უუნარობა პონტოს არმიისა ცხადი გახდა ორქომენასა, ქერონეასა და ათენთან წარმოებულ ბრძოლებში, რასაც მითრიდატეს ჯარების სასტიკი მარცხი მოჰყვა... და არსებითად აქ გატყდა წელში პონტოს არმია, მისი ძლიერება...

ვიდრე მითრიდატეს ჯარს რომაელებთან ხანგრძლივი პოზიციური ტაქტიკური ბრძოლები მოუხდებოდა, მითრიდატემ საქმეები წარმატებით დაიპყრო მთელი რიგი მხარეები.

ეს შედეგი იყო იმისა, რომ პონტოელთა არმიას არ აკლდა მამაცობა და მტერთან შებმისას სიკისკასეს იჩენდა. მაგრამ ეს გრძელდებოდა იქამდე, ვიდრე ბრძოლებს ცალკეული ეპიზოდების ხასიათი ჰქონდა, სადაც წარმატება პირად გმირობაზეა დამოკიდებული. მაგრამ როგორც კი საქმის ვითარება შეიცვალა და საჭირო გახდა მეთოდიკური, საომარ წესებზე დამყარებული, ტაქტიკური ომების წარმოება, პონტოს არმიის სისუსტე უმალ გამომჟღავნდა და თავისი დამღუპველი შედეგებიც გამოიღო.

მითრიდატესა და იმ წრის, რომელიც მას მხარში ედგა, შეცდომა ის არის, რომ ის მატერიალური და ცოცხალი ძალები, რომლითაც რომს ებრძოდნენ, მათ არ აიყვანეს სამხედრო ხელოვნების იმ დონეზე, საიდანაც ისინი რომის არმიის ღირსეული მეტოქენი შეიძლება გამხდარიყვნენ.

ეს, რომაელების წინააღმდეგ გრანდიოზული ბრძოლის სამზადისში, პონტოს სამეფოს ხელმძღვანელთა არსებითი ხასიათის სერიოზული შეცდომა იყო.

მითრიდატემ მხოლოდ პონტოელთა არმიის მძიმე დამარცხების შემდეგ, როდესაც ორ მეტოქეს შორის ბრძოლის ძირითადი მომენტი უკვე განვლილი იყო, სცადა არსებული ნაკლის გამოსწორება.

როგორც ზემოთ მოტანილი საისტორიო წყაროები მოწმობს, მითრიდატემ თავისი ახალი არმია რომაული ტიპის იარაღით აღჭურვა და რომაულსავე წესზე წვრთნიდა მას... მაგრამ ეს უკვე დაგვიანებული იყო.

ის უპირატესობა, რომელიც მითრიდატეს არმიას გააჩნდა რომაელთა მიმართ თავისი ძლიერი საზღვაო ფლოტით, ომიანობის პირველ პერიოდში მან კარგად გამოიყენა და რომაელებს საზღვაო გზები გადაუკეტა საომარი ოპერაციებისაკენ.

მაგრამ როდესაც რომაელებმა თავიანთი ჯარის ეს ხარვეზი გამოასწორეს საკუთარი ფლოტის შექმნით, მითრიდატემ ადვილად დასთმო ზღვის სივრცეები და უპირატესობა მტრებს დაანება.

ეს დიდი დანაკლისი იყო მითრიდატესათვის, დიდი მონაპოვარი რომაელებისათვის.

ზღვაზე პოზიციების შესუსტებამ გააძნელა მსხვილ სასიცოცხლო ცენტრებთან დაუბრკოლებელი ურთიერთობა, რაც მითრიდატეს საქმიანობას დიდ ზიანს აყენებდა.

განსაკუთრებით სუსტი იყო პონტოელთა არმიაში მებრძოლთა სურსათით მომარაგების ორგანიზაცია, რაც როგორც ჩანს, აქ ჯერ ახალი პრობლემა იყო მაშინ, როდესაც რომში დიდი გამოცდილება ჰქონდათ რეგულარული არმიის მომარაგების საქმეში.

მეორე მიზეზი, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი პონტოს დამარცხებას, იყო ის, რომ მითრიდატემ და მისმა შესაძლებელმა მოკავშირეებმა ვერ მოახერხეს თავიდანვე დაეპირისპირებინათ რომაელთათვის მტკიცე დარაზმულობა და ნება მისცეს მტერს მათი ძალები ცალცალკე დაემარცხებინა.

მათ ვერ შესძლეს შეექმნათ ვერც სამხედრო და ვერც პოლიტიკური ერთიანობა და რომმა ადვილად მოახერხა მათი გათიშვა და დასუსტება.

რომის მოქნილი დიპლომატიის დასაპირისპირებლად, მითრიდატესა და მის მომხრეებს სათანადო რამ ინსტრუმენტი არ აღმოაჩნდათ.

პონტოს სამეფოს დამარცხების შემდეგი მიზეზი იყო მის მიერ ომიანობის დასაწყისში შემომტკიცებული შავი ზღვის სანაპიროს, სტრატეგიული და ეკონომიური თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი ცენტრების განდგომა.

რამდენადაც პონტოსა და რომს შორის ომის ატეხის პირველ ხანებში ზემოაღნიშნული პუნქტების მოსახლეობა აქტიურად დადგა პონტოს მხარეზე და ამ გარემოებამ უზრუნველჰყო ამ უკანასკნელის წარმატება მაშინ, — იმდენად ამ პუნქტების მოსახლეობის განდგომამ არსებითად შეუწყო ხელი პონტოს საბოლოო დამარცხებას.

თუ ამ ქალაქების მოსახლეობამ თავდაპირველად მითრიდატე აღფრთოვანებით მიიღო, როგორც რომაელთა ბატონობისაგან მათი მხსნელი, ომიანობის გაჭიანურებამ და მითრიდატეს მიერ განცდილმა არა ერთმა მარცხმა შესცვალა ამ მოსახლეობის განწყობილება.

ომის გაჭიანურებამ და რომაელების მიერ ზღვაზე უპირატესობის მოპოვებამ, ერთის მხრივ შეარყია და მეორეს მხრივ, რომაელებისაგან დამოკიდებული გახადა მსხვილი პუნქტების ეკონომიურად მძლავრი ფენების მატერიალური ინტერესები და საქმიანობა.

მითრიდატეს მდგომარეობა მათ იმედს აღარ შთააგონებდა. ამიტომ ამჯობინეს დროზე ამორჩიათ გზა უძლიერესისაკენ[1]. ამას კი, მითრიდატეს საქმისათვის საბედისწერო მნიშვნელობა ჰქონდა.

განდგომილთ მაშინ ჩასცეს მითრიდატეს ზურგიდან მახვილი: „როდესაც მითრიდატე მომძლავრდა და ამზადებდა ხომალდებს და სხვა ჯარს და თავის ხელთა ჰქონდა გამაგრებული პუნქტები"[2].

შემდგომი გარემოება, რამაც ხელი შეუწყო პონტოს დამარცხებას იყო ის, რომ მითრიდატემ ვერ მოახერხა შექმნა რომაელთა წინააღმდეგ აღმოსავლეთში ერთიანი ფრონტი ყველა ანტირომაული ძალებისა.

მითრიდატეს მცდელობის მიუხედავად, ისიც კი ვერ მოხერხდა, რომ პონტოსა და არმენიას ერთობლივ ემოქმედნათ და ვერ მოხერხდა ეს იმ თვალსაჩინო წარმატების შემდეგაც, რომელიც მოიპოვეს მითრიდატემ და ტიგრანმა ლუკულუსის წინააღმდეგ ბრძოლაში... თუმცა სრული შეთანხმებული მოქმედება არც ამ დროს ხორციელდებოდა.

მითრიდატეს სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი შეგნებულად ისწრაფოდა გვერდში ჰყოლოდა რომის წინააღმდეგ ბრძოლაში ძლიერი მეზობელი სახელმწიფო არმენია, მაგრამ იგი მიზანს ვერ აღწევდა, მისგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო.

რომის ექსპანსიის წინააღმდეგ მებრძოლ აღმოსავლეთის პოტენციალურ ძალთა გათიშულობა იყო ის ერთ-ერთი სერიოზული მიზეზი, რამაც ამ ძალების მარცხი გამოიწვია.

პონტოს სამეფოს მარცხის მიზეზთა შორის თვალსაჩინო ადგილი განეკუთვნება მითრიდატეს სამეფოს კარზე აღმოცენებულ შეთქმულება-ღალატთა ჯაჭვს, რაც, გარდა პირადული ზრახვებისა, შედეგი იყო, პონტოს სამეფოს უმაღლეს წრეებში არსებული წინააღმდეგობა - დაპირისპირებათა.

განცვიფრებას იწვევს მითრიდატეს ის მორალური სიმტკიცე, რომელსაც იგი იჩენდა მახლობელთა გაუთავებელი ღალატგამცემლობის რკალში.

---

[1] ამ საკითხზე იხილე **Е. С. Голубцова**, Северное Причерноморье и Рим на рубеже нашей эры, Москва, 1951, გვ. 38 — 39.
[2] აპიანე, 113.

რომსა და პონტოს სამეფოს შორის წარმოებული გიგანტური ბრძოლა უკანასკნელის დამარცხებით დამთავრდა...

თუ რაოდენ მნიშვნელოვანი იყო ის ბრძოლა, რომელსაც აღმოსავლეთის ხალხები პონტოს მეთაურობით რომის წინააღმდეგ აწარმოებდნენ, სჩანს იმ შედეგებიდან, რომელიც მოჰყვა ამ ბრძოლაში პონტოს დამარცხებას.

განცდილი მარცხის შედეგად, პონტოს სამეფო დაიშალა, რითაც მოიშალა ის ცენტრი, რომლის ირგვლივაც რომაული ექსპანსიის საწინააღმდეგო ძალთა კონცენტრირება იყო შესაძლებელი. პონტოს სამეფოს უდიდესი სამხედრო და პოლიტიკური პოტენციალი, რაც რომის აღმოსავლეთის ექსპანსიის გზაზე დიდ დაბრკოლებას წარმოადგენდა, — გაქრა.

რომაელებს ამიერიდან აღმოსავლეთში დაუბრკოლებლივ შეეძლოთ წინსვლა...

პონტოს სამეფოს მსგავსივე ბედი ეწვია მეორე მძლავრ ერთეულს!— დიდ არმენიას.

ამ ორი ჯებირის დანგრევამ გზა გაუხსნა რომაელთა ექსპანსიის ღვართქაფს აღმოსავლეთში.

ეს იყო დიდმნიშვნელოვანი მოვლენა: ამან გადაარჩინა რომი დაღუპვას. აღმოსავლეთის რესურსებმა რომის სახელმწიფოს რამდენიმე საუკუნით სიცოცხლე გაუხანგრძლივა.

პონტოსა და რომს შორის ბრძოლაში რომ სხვანაირად დატრიალებულიყო საქმე, ეს ბრძოლა რომ სხვანაირი შედეგებით დამთავრებულიყო, მას რომ პონტოსა და სომხეთის სამეფოს შემუსვრა არ მოჰყოლოდა, — შესაძლებელია, რომის ისტორიაც, მცირე და წინა აზიის ხალხთა ისტორიაც და თვით მსოფლიო ისტორიის მსვლელობაც სხვა სახესა და შინაარსს მიიღებდა, ვიდრე ეს მოჰყვა რომის აღმოსავლეთის სარბიელზე გამარჯვებას.

---

## МИТРИДАТ ПОНТИЙСКИЙ

(Резюме)

В исторической литературе довольно распространенной является неправильная концепция, согласно которой, Каппадокию в древности населяли т. н. «Каппадокийцы», которых первоисточники именуют также сирийцами или левкосирийцами.

В результате тщательного анализа разноречивых сообщений первоисточников, в данной монографии автору удалось установить, что: 1. Сирийцы не являются коренными обитателями Каппадокии; в сообщениях первоисточников они локализуются только в определенных районах Малой Азии, а именно: по соседству с Пафлагонией (Геродот) или в предместьях городов Синопы и Амиса (Геродот, Страбон); сирийское население в Малой Азии и Каппадокии возникло, как население ассирийских торговых колоний.

2. Этническое наименование «левкосирийцы» (белосирийцы) появляется в первоисточниках только с IV в. до н. э., причем, оно применяется не ко всему малоазийскому сирийскому населению, а только части этого населения, обитавшей главным образом в районах городов Синопы и Амиса, и употребляется для обозначения различия между коренными обитателями собственно Сирии и сирийцами, проживающими в Каппадокии.

3. «Каппадокийцы» — понятие географического, а не этнографического характера. Под этим термином обозначается в первоисточниках все население одного из районов Малой Азии, которому завоеватели персы в VI в. до н. э. присвоили наименование «Каппадокии». «Каппадокийцы» обозначает не какой-либо отдельный, конкретный этнический элемент, а обнимает всю совокупность разноплеменного населения территории, известной под именем Каппадокии.

4. В первоисточниках, когда речь идет конкретно об этническом составе населения Каппадокии, то ни сирийцы (тем бо-

лее ни левкосирийцы), ни т. н. «каппадокийцы» не фигурируют как более или менее значительный элемент; в качестве основных коренных обитателей Каппадокии первоисточники называют: мосхов, табалов (тибаренов), халибов (халдов, цанов), моссинойков и некоторых других, которые и составляли искони население Малой Азии и в частности, Каппадокии.

5. Понтийское царство было организовано в северной части Каппадокии, население которой было аналогичным с остальной Каппадокией.

Основателей Понтийского царства Митридатидов следует считать не потомками Ахеменидов, а Каппадокийских царей, или, во всяком случае, выходцами из местного населения.

Во второй части монографии уточнены причины возникновения конфликта между Римом и Понтийским царством, а также обстоятельства, при которых началась война между двумя государствами. При этом, подчеркивается, что это была борьба за мировое господство между могучими державами.

Давая краткий обзор военных действий и разбирая попутно основные вопросы политических отношений между Понтийским царством и внешним миром, автор в конце книги дает подробный анализ причин, обусловивших поражение Митридата, среди которых видное место отводится неустойчивому внутреннему положению Понтийского царства.

## საკუთარ სახელთა საძიებელი


აბაზგები 122
აბოლტინი ვ. 214
აგარები, სკვითების ტომი 365
ადონცი ნ. 198, 209
ადრასტის მთა 345
ადრიანე, ვინმე ხალდი 193
ავლ გაბინიუსი, სარდალი 338
ავლ გელიუსი 254, 389
ავლიუს ფულვიუსი 264
ავგუსტ კოსტერი (August Köster) **146**
ავრელიუს კოტა 327, 341, 344, 349, 388
ავტოლიკე 12, 13
აზია 306
აზიელი სკვითები 122, 142
ათენი, ქალაქი საბერძნეთში 267, 268, **318.**
ათენი ქალაქი შავი ზღვის სანაპიროზე 99
ათინა, მდინარე 99
ათონის მთა 185
ალბანია 385
ალბანები 181
ალალე, ღვთაება 185
ალარიხი 384
ალექსანდრე მაკედონელი 18, 19, 88, 231, 234, 235, 276, 277, 280, 286
ალექსი კომნენი 89
ალიბები, ალიბების მხარე 39, 46, 48, 64, 77
ალპის მთები 378, 383, 384
ალძი 170
ამასია 7, 39, 88, 146, 156, 202
ამასტრია 38, 41, 176, 259
ამაძ[ზ]ონები 53, 55, 56, 103, 120, 127, 341
ამაძონელი ქალი 58
ამიერკავკასია 10, 85, 129, 130, 215, 227, 350
ამისოსი 7, 10, 15, 18, 27—30, 37, 43, 55, 62, 64, 65, 71, 75, 80, 84—91, 94, 95, 103, 104, 113, 115—117, 119—121, 126, 129, 139, 156, 191, 199, 240, 268, 279, 350, 351, 391
ანაპა 84, 95, 229
ანატოლია 190, 197 215
ანდრონ ტეიუსი (Andron Teyus) **126**
ანიკეტი 198
ანტიგონი 88, 234, 236, 239
ანტიოქი, მეფე 233
ანტიპატრი 231
აპიანე 177, 191, 232, 234, 236, 237, 241, 242, 245, 248, 255, 257, 258, 263, 265—267, 271—273, 277, 285, 287, 288, 291, 293, 300—301, 304, 307, 308, 310, 312, 313, 315—

317, 319—321, 330, 331, 334, 335, 337, 338, 340—342, 352, 353, 357, 360, 361, 362, 365, 366, 368, 369, 371—373, 378—387, 389
აპიუს კლავდიუს კრასუსი 260
აპიუსი, ლუკულუსის ელჩი 356
აპოლონი 56—59, 180
აპოლონიოს როდოსელი 57, 59, 64, 72, 74, 119, 126, 145, 152, 155
არალე, ღვთაება 185
არგიროკასტრონი 47, 197
არგონავტები 120
არდისი 209
არზრუმი 75, 199, 201, 208, 225
არზრუმის ვილაიეტი 210, 211
ართვინი 211, 212
ართვინის ოლქი 211, 212, 376
არიანე 14, 19
არიარათე, კაპადოკიის მეფე 235—237, 240, 265
არიარათე ფილოპატორი 246
არიარატე, მითრიდატეს ვაჟი 305
არიობარზანი, კაპადოკიის მეფე 290, 292, 293, 300, 305, 306, 330, 338, 339
არისტაგორა 107
არისტონიკე, პონტოს ფლოტის უფროსი 347
არკათი, მითრიდატეს ვაჟი 111
არმენია, სომხეთი 145, 157, 241, 258, 274, 281, 289, 290, 292—294, 296, 356—360, 362, 366, 369, 370, 375, 377, 396, 397
არმენიელები, არმენები, სომხები 41, 43, 117, 171, 173, 174, 176, 177, 193, 196, 209, 211—213
არმენიაკას თემი 201, 202
არსაკი, პართიის მეფე 306, 307
არტაანის ოლქი 209
არტაბაზი, დარიოსის ვაჟი 233
არტანუჯი 202
არტემიდა 228
არქაბე 206
არქანჯელო ლამბერტი 208
არქელაოსი, კაპადოკიის მეფე 16, 17
არქელაოსი, მითრიდატეს ჯარის უფროსი 183, 311, 318, 319, 321, 330, 335, 336, 337, 344, 347
ასოპის ასული 56, 57
ასპინძა 213
ასურეთი 177
ატიდიუსი, რომაელი სენატორი 272, 368
აქეელები 49, 121, 339, 341, 377, 385
აშიკი ა. 274
აწყური 213
აწყური კახეთისა 180
აჭარელები 212
ახალციხე 213
ახამეთი, სოფელი 213

ბაბილონი 49
ბათუმი 86, 87, 206, 211
ბაიბურთი 192, 193, 196, 198, 201
ბაკური, თუში 261
ბაკხი, საჭურისი 259
ბასილ კეისარი 198, 202
ბასტარნები 229, 306, 341, 383
ბაქრაძე დიმ. 137, 214
ბელონა 226
ბერიძე ვ. 47
ბერძნები 8, 10—13, 15, 17—20, 23—27, 31, 35, 48—50, 55, 56, 65, 66, 70, 81, 85, 94, 96, 97, 107, 108, 126, 128, 129, 131, 133, 153, 191, 203, 206, 211, 228, 271, 279
ბეპისტუნი 145
ბიზანტიელები 86, 162, 195—197, 202, 208
ბითინია 281, 285, 288, 293, 296, 339, 341, 342, 369, 387
ბითინიელები 41, 45, 114, 169, 303
ბითინიის მეფე 290
ბითლისის ვილაიეტი 210
ბილაბელი ფრ. (Fr. Bilabel) 19, 51, 60, 76, 77, 104, 128—133, 141
ბიტელი კ. (K. Bittel) 50, 135, 148
ბიტოიტი, გალთა ჯარის უფროსი 387
ბიჭვინთა 97

ბლაუ ო. (O. Blau) 18, 20. 21, 23, 60, 97
ბოროზდინა ტ. (Т. Бороздина) 282
ბოსფორელები 338
ბოსფორი 283, 284, 291, 334, 374
ბოსფორის სამეფო 291, 374, 376
ბოსფორის სრუტე 350
ბოლაზგეკოი 221
ბრუსა 210
ბრუტუსი იუნიუს 263, 264

გაბრა გრიგოლი 89
გაბრა კონსტანტინე 89
გაბრა თეოდორე 89
გაზა 57
გაიდუკევიჩი ვ. (В. Гайдукевич) 97, 284, 376
გაიზერიხი 384
გაიუს გრაკხი 389
გალატელები 91, 192
გალატია 92, 281, 339, 338
გალო-ბერძნები 299
გამყრელიძე თ. 220, 221
გაძიურა 7, 156, 201
გელასი კესარიელი 181, 182
გელცერი ჰ. (H. Gelzer) 23, 106, 128, 144, 147. 149, 151, 156, 157, 161, 168, 196
გემის მთა 341
გენეტი 9, 24, 25, 45
გრორგაძე გრიგოლ 74, 75, 133, 134, 222, 224, 225
გიორგი კაპადოკიელი 143, 146
გიორგი პახიმერი 208
გიორგი წმინდა, სოფელი 213
გიუმიშხანე 79, 87, 91, 197, 199, 205, 209
გლავკოსი, მისანი 72
გოლუბცოვა ე. (Е. Голубцова) 315, 326
გორდეზიანი ბ. 187
გრანიკე 231
გრუპე ო. 47
გურია 214
გურჯისტანი (Хамшен) 209

დავით აღმაშენებელი 89
დამასკელი ნიკოლოზ 109
დარდანი 330—332, 334
დარიოს პირველი 159, 238
დარიოს ჰისტასპი 232, 233
დასავლეთი საქართველო 86
დასტეირა, ციხე-სიმაგრე 372
დეიროლი თ. 197
დელოსი 270
დემეტრე II, სირიის მეფე 246
დემეში, მდ. 229
დესნიცკაია ა. (А. Десницкая) 135, 219, 220, 227
დვირი, სოფელი 213
დიაკოვი ვ. (В. Дьяков) 325
დიაკონოვი ი. (И. М. Дьяконов) 69, 78, 79, 169, 217, 218, 170, 173
დიარბექირის ვილაიეტი 210
დიაუხები 209
დიოგნეთი, პონტოს სამეფოს ფლოტის უფროსი 233
დიოკლი, მითრიდატეს მახლობელი პირი 351
დიონ კასიუსი 273, 274, 389
დიონისე (იმპერ. ადრიანეს დროს ცხოვრობდა) 119
დიოსკურია, დიოსკურიადა 24, 27, 276
დიოფანტე 283
დიტენბერგერი ვ. (W. Dittenberger) 17
დორილაოსი, პონტოს ჯარის სარდალი 250
დოხიარსკი, ბერი 185
დრილები 6, 203
დროიზენი თ. 241
დუნაევსკაია ი. (И. Дунаевская) 217—219
Dschapan-Oghlı, ლაზისტანის მმართველი 201

ეგეოსის ზღვა 348, 349
ეგვიპტე 292, 306
ევაგრე პონტოელი 183
ევგენიოს სასწაულთმოქმედი 207

ევლია ჩელები 100, 101, 204, 205
ევმენი 146, 235, 236
ევრიპიდე 178
ევროპა 341
ევსტათე არქიეპისკოპოსი 164, 165, 172, 189
ევქსინის პონტო 204
ეკჰარდტი კ. (K. Eckhardt) 292 295, 328
ელადა 306, 318, 335, 388
ელია წმინდა, სოფელი 213
ელინები 306—308
ეპისტროფე, ეპისტროფოსი 39, 42, 47
ერეკლე კეისარი 204
ერზინჯანი 196
ერიცოვი (Эрицов) 211
ესკი ტრაპიზონი 99
ესპანეთი 382
ეტრურია 384
ეუარქოსი, მდ. 42
ეფორე 43—45, 113, 114, 121, 122, 125, 142, 153, 158
ეფრატი 176, 209, 367, 375
ექვთიმე მთაწმინდელი 166, 167
ეშევსკი ს. (С. Ешевский) 103, 227, 228

ვაკა ფშაველა 260
ვარხანი, სოფელი 213
ვახუშტი ბატონიშვილი 81
ველეი პატერკული 277, 385
ვინკლერი 129, 130
ვირგინია 261
ვირგინიუსი 261

ზავრიევი დ. (Д. Завриев) 90, 91, 205, 206, 210, 211
ზანები 77, 98, 101, 102, 207
ზარიადრე, ტიგრანის ვაჟი 264
ზევგმატი, ადგილი 233
ზევსი 57, 58
ზენობი, მითრიდატეს სარდალი 316
ზეფირიუსი 25
ზიკილი, სოფ. 213

თეთრი გიორგი 180, 187
თემისკირა 126, 139, 320
Themisonium 101
თეოდორიტე ეპისკოპოსი 166, 172
თეოდოსე იმპერატორი 194
თეოდოსია, ციხე-სიმაგრე 361
თეოფილაკტე სიმოკატა 208
თერეკას ოლქი 205
თერმოდონტი (თერმოდონი) 9, 27, 31, 44, 45, 65, 73, 75, 90, 103, 112, 119, 139, 320
თესალიელები 11
თობელები 164
თომა სლავიანი 202
თორთუმის ნახია 211
თრაკია 378
თრაკიელები 36, 61, 283, 292, 306, 341
თურქები 90, 97, 98, 156, 162, 197, 201, 203, 206, 209, 210, 211, 213
თურქეთი 192, 194

ია, ღვთაება 185
იაზიგები 341
იბერია, იბერები 164—166, 170—173, 181—183, 193, 212, 215, 280, 300, 361, 385
იბერია ესპანეთისა 182, 343, 388
იბერიის მეფე 300
იდუმალა, სოფ. 213
ივორა 202
ილიონი 268
იმერეთი 214
ინგოროყვა პ. 193
იოანე, ლაზთა მმართველი 208
იოანე მალალა 194
იოანე პეტრიწი 175
იოანე ცეცი (XII საუკ.) 122, 141
იოანე ხალდი 207
იონიის ზღვა 388
იპოლიტე პორტელი 167
ირანი 68, 69, 70
ირისი, მდ. 31, 119
ისაია წინასწარმეტყველი 166
ისპირეთი, ქალაქი 192
ისტრი, მდ. 306, 341

იტალია 124, 183, 274, 306, 348, 369, 378, 382, 383, 391
იულიუს ჰონორიუსი (ახ. წ. V საუკ.) 120
იუსტინი 290, 299
იუსტინიანე I 163, 195, 198
იფიგენია 179
**Iarabasan 101**
**Iarbasan 101**

კავასიტები 199, 200
კავკასია 10, 85, 213, 215
კავკასიონის ქედი 181
კავსა, სოფელი 199
კაკაბაძე ს. 182
კალანდაძე ალ. 216
კალიდიუსი 309, 310
კალისთენი 231
კალისტოვი 8, 60
კაპადოკია 1, 16, 26—30, 33, 37, 38, 42, 48, 49, 51, 59, 60, 71, 80—82, 84, 85, 87, 88, 90—93, 95, 103, 105, 108—119, 121—126, 128—131, 135, 137, 138, 140, 142—217, 228, 229, 233—241, 244, 246, 265, 279, 280, 281, 287—295, 297, 305, 330, 339, 367, 387
კაპადოკიელები 40—42, 62, 71, 72, 91, 92, 104—106, 108, 109, 113, 114, 116—118, 120, 121, 129—131, 138, 140, 142—216, 236, 268
კაჟდანი ა. (А.Каждан) 193
კარდუხები 70
კარია 228
კარიელები 114
კასანდრი 231
კასპიის ზღვა 120, 158
კატაონია 180
კატაონები, კატაონელები 179, 180
კატილინა 157, 264
კახაძე შ. 175
კახეთი 212
კვინტუს ოპიუსი 388
კეკელიძე კ. 14, 143, 182, 183, 198
კელტები 383, 388
კელტების ქვეყანა 382
კემერი 229
კერასუნტი 23, 65, 83, 87, 205, 279
კესარია 48, 167, 174, 197
კეტები 170
კიზიკი 320, 321, 344—348
კიკინეთი, სოფელი 213
კილიკია 85, 124, 176, 188, 190, 195, 228, 296, 369, 388
კილიკიელები 61, 91, 114, 192, 269
კიმერიელები 47, 55, 148, 169, 189
კიმრები 299, 383
კიმიათა, სოფელი, მთა 239
კისგომი 209
კიპერტი 93
კიროსი 150
კლავდიუს გალიენი 254, 389
კლეოპატრა, მითრიდატეს ასული, ტიგრანის მეუღლე 289, 290
კლეოპატრა, მითრიდატეს ასული 370, 381
კლეოპატრა, სირიის მეფის ქვრივი 246
კლიტოს შავი 231
კოდამა 196
კოვალიოვი ს. 257
კოლა-ორტაანი 209
კოლატინი 263, 264
კოლხები 6, 70, 81, 112, 121, 122, 142, 155, 156, 158, 161, 167, 173, 174, 176, 177, 194, 280, 306, 334, 339, 375, 376, 385
კოლხეთი, კოლხიდა 13, 26, 41, 49, 81, 85, 115, 117, 153, 155, 157, 161, 171, 173, 188, 215, 216, 375, 378
კოლხეთის სამეფო 284
კოლხეთის ციხე-სიმაგრე 89, 201
კომანა 85, 178, 179, 180, 181, 191, 194, 228, 337, 353
კომახა, ციხე-სიმაგრე 200
კომახიტები 199, 200
კონსტანტინე პორფიროგენეტი 34, 167, 171, 172, 174, 197, 201
კონსტანტინეპოლი 89, 91
კოოსი 55, 128
კორალები 341
კორილა 33, 35—37

კოტიორა 10, 11, 20, 23, 31, 32, 34, 37, 65, 70, 80, 83, 85, 87, 188, 215, 279
კრაპე ჰ. (H. Krappe) 59, 122, 123, 125, 127, 137, 138
კრეზი 33, 40, 60, 63, 71, 107, 108, 113
კრეტინე 55
კუდრიავცევი ო. (О. Кудрявцев) 146, 293
Kumana 179
კუმუხის ქვეყანა 170
კურკუასი, ბიზანტ. სარდალი 193
კურციუს რუფუსი 120, 235, 237, 280
კუსიკიანი 245
კუფტინი ბ. (Б. Куфтин) 215

ლაზები 9, 62, 78, 86, 90, 91, 98—100, 103, 121, 127, 149, 181, 195, 202—206, 208, 209, 211—214, 229
ლაზეთი, ლაზიკა, ლაზისტანი 91, 94, 98, 100, 102, 156, 194, 196, 201, 205, 206, 210, 212, 213
ლაოდიკეა, მითრიდატეს ასული 233
ლაოდიკეა, მითრიდატეს დედა 246
ლაოდიკეა, მითრიდატეს ცოლი 250
ლაონიკ ხანკოკონდილი 208
ლატიშევი ვ. (В. В. Латышев) 10 12
ლევკოთეა, ქალღმერთი 177—179
ლენორმანი 93
ლეონატი 235
ლეონჰარდი რ. (R. Leonhard) 9, 14, 18, 25, 35, 46—50, 63, 77, 141, 148, 169, 175
ლენეი, ლიბერტინი 254
ლიბია 306
ლიდია 150
ლიდიელები 61, 169
ლიკაონია 296
ლიკაონელები 91, 192
ლიკიელები 61, 114, 169
ლიკოფრონი 36—38, 46, 65, 72, 79, 121, 158, 162
ლიკოფრონის სქოლიასტი 36—38, 46 65, 79, 162
ლინჩი 200
ლიპშიცი 202
ლომიძე ზ. 27
ლომოური ნ. 7
ლორთქიფანიძე ო. 7
ლუდშუვეიტი (Лудшувейт) 211, 212
ლუკულუსი 259, 260, 268, 269, 273, 274, 296, 327, 341, 344—347, 349, 351, 352, 354—359, 361—363, 365, 366, 371, 388, 396
ლუციუს კასიუსი 388
ლუციუს მაგიუსი, წარჩინებ. რომაელი 346
ლუციუს მარიუსი, სენატორი 344
ლუციუს ოცილიუსი 261

მა, კიბელა, ღვთაება 228
მაგიუსი, წარჩინ. რომაელი 340
მაზიმიტემი 199
მაიერი ედ. (Ed. Meyer) 8, 9, 35, 48, 70, 93, 104, 131, 151, 152, 164, 170, 171, 175, 176, 187, 227, 238—242, 278
მაინეკე 57
მაკალათია ს. 14
მაკამლიკი 206
მაკედონია 378, 388
მაკედონელები 217
მაკრონები 6, 36, 70, 92, 112, 115, 158—160, 207
მანანდიანი ი. (Я. Манандян) 245, 255, 257, 265, 289—291, 296—298, 315, 362, 370, 372
მანლიუს აკვილიუსი 290, 291, 388
მანლიუს მალტინუსი 290
მანუ 202
მარდები 361
მარები 36, 115, 159
მარი ნ. 26, 27, 84, 85, 87,91, 94, 99, 194, 228, 229
მარიანდინები 36, 41, 61, 69, 109, 114, 115

მარიუსი 383
მარკვარტი (Marquart) 14
მარკიანე 42
მარკუს ვარიუსი 340
მარკუს ფაბიუს ადრიანე 364, 365
მაქსიმე აღმსარებელი 167
მაქსიმოვა მ. (М. Максимова) 9—18, 21—23, 28—30, 34—36, 38, 51—58, 61, 64, 67—70, 75, 77, 79, 80, 83—85, 87, 95, 96, 98, 99, 104, 118, 124, 138, 150, 215, 239, 240, 325
მაშკინი ნ. (Н. Машкин) 256
მაძ[ზ]აკა 48, 118, 157, 165, 166, 171, 174, 175, 197
მახარე 241, 242, 262, 272, 338, 350, 356, 357, 376, 378
მევრელები 84, 94, 98, 125, 167, 229
მედეა 24
მელიქიშვილი გ. 7, 37, 66, 69, 74, 76—78, 85, 86, 124, 161, 169, 190, 196, 209, 218, 224, 244
მელიტენა 157, 175
მენ, ღვთაება 14, 228
მემნონი, ისტორიკოსი 270, 300, 307, 327
მენიპე 42, 92, 155
მეოტები 283
მეოტიის მხარე 377
მეოტიის ტბა 306, 376
მესხია შ. 7
მესხები, მოსხები, მუსკები, მუშქები 1, 36, 50, 69, 77, 79, 92, 93, 114, 118, 127, 129, 130, 135, 136, 145, 147, 148, 150, 151, 156—158, 160, 164—178, 180, 181, 188—190, 191, 193, 203, 204, 215, 223—226, 279, 280
მესხეთი, მოსხიკე (*Μοσχική*) 171—178, 192, 213, 225
მეფის საგრომატები 341
მიდია 385
მიდიელები 138, 161
მიზიელები, 39, 40, 45, 61, 69, 73, 114
მითრიდატე პონტოელი, ევპატორი 1, 5, 16, 38, 41, 80—82, 117, 118, 121, 173, 174, 176, 177, 181—183, 191, 192, 194, 208, 212, 229—281, 283—287, 288—396
მითრიდატე, ანტიგონის თანამებრძოლი 234, 236, 237, 239, 241, 280
მითრიდატე, ქიოსის მფლობელი 239
მითრიდატე ევერგეტი 245, 246, 250
მითრიდატე მეორე 88
მითრიდატე პერგამონელი 178
მითრიდატისი 262, 386
მილეტელები 19, 26, 49, 50, 55
მირიან მეფე 184
მიქელაძე თ. 127
მიტრა 14
მიტილენა 325
მიულერი კ. (K. Müller) 52, 93, 55, 57, 119—121
მიშჩენკო თ. (Ф. Мищенко) 67
მომზენი თ. (Th. Mommsen) 49, 245, 257, 270, 284, 285, 348
მონტესკიე 278
მორიმენა, ქალაქი 181
მოსინიკები 6, 25, 36, 65, 68, 70, 75, 87, 92, 115, 119, 120, 151, 158—160, 167, 203, 280
მოსე ხორენელი 195
მოსხური მთები 181
Movers 60
მუმიუსი 268
მურად ალიბეგი 212, 213
მურენა 191, 192, 194, 288, 289, 327, 332, 335—338, 388
მუშთარი 187
მუშქები 74
მუშქების სამეფო 223, 224
მცირე აზია 5, 46, 47, 79—81, 85, 86, 98, 103, 124, 126—128, 130, 134, 136, 138, 139, 142, 144, 147, 160, 167, 169, 170, 173—175, 177, 185, 188, 190, 191, 217—228, 235, 245, 270, 285, 301, 308
მცირე არმენია 364
მცხეთა 82

ნანა, ღვთაება 184, 185, 186
ნანა დედოფალი 184
ნაქურდევი, სოფ. 213
ნემიროვსკი მ. (М. Немировский) 222
ნენა, ღვთაება 184
ნეოპტოლემე, მითრიდატეს ჯარის უფროსი 311
ნიზა 246
ნიკომედე, ბითინიის მეფე 231, 288, 290, 298, 300, 302—307, 312, 341
ნიკომედია 349, 350
ნიკოპოლისი 376
ნიმფეი, ციხე-სიმაგრე 381
ნინო 143, 184
ნიოლდეკე თ. (Th. Nöldeke) 19, 42, 50, 51, 57, 126
ნისსა 262, 386
ნოზაძე ვ. 183, 184

ობელი 164
ოდიოსი (ჰოდიუსი) 39, 42, 47
ოლთისის ოლქი 209, 376
ორალი, სოფ. 213
ორდუ 85, 88, 91, 215
ორესტი 179
ოროზიუსი 225
ორქომენი 321
ომორა, სოფ. 213
ოჩემჩირე 95, 229

პალჰერი (პალგრევი) ჯიფფორდ 100, 205, 206, 207
პამფილიელები 114
პანტიკაპეია 27, 95, 229, 379
Пападопуло-Керамевс 207
პართენიოსი, მდ. 40, 80, 112, 118, 119
პართელები 296, 300
პართია 307, 361, 369
პართიის მეფე 360, 361
პართიის სამეფო 350
პარხარის ზეგანი 209
პასკევიჩ-ერივანსკი 213
პაფლაგონია, პაფლაგონელები 27—30, 32—43, 60, 61, 65, 67, 69, 71, 72, 80, 81, 90—93, 106—109, 114, 115, 137, 153, 155, 157, 160, 161, 163, 167, 176, 187, 188, 190, 192, 216, 235, 239, 240, 339, 388
პელოპიდი 285, 291, 299, 302—305, 307, 308, 310
პეონია 378
პერდიკა 237
პერიკლე 20
პითოდორიდა 173
პილემენე 43
პინდარე 126, 139
პიოტროვსკი 78
პირეუმი 319
პისიდიელები 45, 114
პლინიუსი 197, 253, 254, 277
პლუტარქე 13, 20, 56, 57, 82, 181—183, 212, 253, 260, 268, 269, 275, 285, 296, 297, 299, 313, 325, 327, 329, 340, 342, 356, 358, 359, 363, 364, 373, 374, 375, 389
პოლიბიოსი 152, 216, 217, 233, 234, 238, 280
პოლიფემე 72
პომპეუსი 181, 184, 212, 248, 253, 254, 262, 274, 275, 277, 369, 370, 372, 373, 374, 376, 378—381, 384, 385, 388, 390, 391
პომპონიუს მელა 27—30, 38, 44, 46, 51, 55, 59, 62, 65, 75, 76, 79, 84, 90, 103, 128, 132, 158, 162
პომპონიუსი, რომის ჯარის სარდალი 271
პონტო, პონტოს სამყარო 49, 50, 60, 81, 82, 99, 103, 110—112, 114, 125, 126, 136, 144, 153, 154, 168, 181—183, 185, 211, 212, 217, 228, 229, 233—235, 237, 241, 244, 259, 280, 281, 285, 286, 288, 289, 304, 308, 310, 311, 325, 326, 342, 347, 374, 376, 378, 379, 381, 385, 390
პონტოს სამეფო 1, 5, 6, 7, 14, 15, 80, 88, 117, 152, 155—157, 162, 164, 168, 172, 173, 176, 177, 191, 195, 204, 216, 217, 236, 237, 239, 241, 242, 244, 245, 249, 250, 255, 256, 258, 280, 282, 286, 288, 289, 292,

294—311, 322, 323, 325—335, 337, 338, 341, 343, 349, 350, 352, 355, 357, 358, 361—363, 370, 384, 391, 393, 394—397
პოსიდონიოს აპამეელი (ანუ როდოსელი) 154
პროვინცია აზია (Provincia Asia) 367, 368
პროკოპი კესარიელი 64, 92, 195, 196
პროპონტიდა 175, 344, 345
პროსკურიაკოვი ი. (И. Проскуряков) 192
პროტოხეთები (ხატები) 222, 223, 225—227
პტერია 37, 71, 72, 107—109, 118

ჟორდანია გ. 166, 167, 184

რავლინსონი 93, 176
რაინაკი თ. (Th. Reinach) 194, 173, 189, 269, 270, 286—288, 300, 331, 332, 367, 382
რანოვიჩი ა. (А. Ранович) 17, 18, 82, 146, 197, 244
Robinson 141
როდონის მთა 341
როდოსელები 318
როდოსი 318
რიზეს ვილაიეტი 91
რიტერი (Ritter) 22, 70, 162, 163, 201
რომაელები 49. 228, 234, 250—252, 254, 255. 260. 264, 266—268, 270. 274—277, 285. 287—289, 291, 294, 295, 297, 298, 300—329, 334—337. 340, 342, 343, 346, 349, 350, 354. 356—359, 362—371, 373, 374, 376—380, 382, 384—389, 391—396
რომი, რომის სახელმწიფო 1, 5, 16, 177, 191, 194, 244, 245, 277, 278, 280, 283, 285, 286, 289—292, 294, 295, 297—311, 321, 323, 332—334, 336, 338, 341, 350, 354, 355, 361, 363, 367—370, 378, 380, 383—385, 392—394, 396, 397
როსტოვცევი ი. 332
Ruge 141, 146, 164
რუსა II 79, 190
რუფინუსი 181, 182

საბერძნეთი 319
სავმაკი 282, 284
საკუნეთი, სოფ. 213
სალუსტი 298
სამეგრელო 204
სამნიტები 388
სამსუნი 86—88, 90, 91, 94, 199, 200
სანები 78, 81, 117, 188
სანიკიძე ლ. 6, 90, 252, 268, 277, 324, 326, 335, 344, 345, 348, 369
სარგონ II 108, 128, 135, 144
სარმატები 283, 299, 306, 383
სასპეირები 158, 161
სევასტიანოვა ო. (О. Севастьянова) 289, 291, 294, 331
სერტორიუსი 339, 340, 343, 346, 388
სვანები 203
სვანიძე ალ. (А. Сванидзе) 81, 98, 101, 185, 188, 207
სვეტონიუსი 266, 277
სვირი, სოფ. 213
სელევკია 233
სინი, ღვთაება 97
სინოპე, ქალ. 7, 10—15, 17—23, 26—34, 36, 38, 42—45, 50—60, 62, 65, 70—73, 75, 80—84, 90—92, 94—98, 103, 104, 107—109, 115, 126, 128, 129, 131—133, 151, 156, 158, 162, 191, 202, 216, 229, 232, 249, 269, 279, 350, 391
სინოპე, ასოპის ასული 56, 57, 58, 121
სინორეგი, ციხე-სიმაგრე 375
სინორია, ციხე-სიმაგრე 375, 383
სირები, სირიელები, ასირიელები, ლევკოსირიელები (თეთრი სირიელები) 11, 12, 15, 18, 19, 22, 23, 36, 40, 49, 50—53, 55—58, 60, 69, 71, 72, 82, 85, 103—144, 147, 149, 150, 151, 154—156, 158—161, 163,

166, 175, 176, 189, 217, 220, 223, 279, 341
სირია 195, 228, 292, 295, 306, 384
სისინი, კაპადოკიის მეფე 16
სკვიდროთემი, სინოპეს ტირანი 21
სკვითები 283, 284, 291, 292, 306, 341, 376, 377, 381, 382, 387
სკვითეთი 299, 300
სკილაქს კარიანდელი 8, 23, 24, 25, 45, 50, 60, 118, 119, 125
სოკრატე 182
სოკრატე, ბითინიის მეფის ძმა 293
სოფოკლე 69
სოხუმი 27, 95, 216, 229
სპარსები, სპარსელები 138, 145, 147, 148—150, 152, 153, 160, 161, 163, 166, 217, 279
სპარტაკი 348, 382
სპერები 215
სპერი 161, 193
Sprunner 93
სტამენ[ე]ა 24, 25, 45
სტატირა, მითრიდატეს ასული 260
სტრაბონი 12, 25, 26, 37—39, 41—48, 59, 60, 62, 71, 72, 77—79, 89, 91—94, 104, 108, 110—115, 125—127, 138—142, 145, 146, 153, 154, 157, 158, 162, 168, 172—178, 180, 184, 188, 192, 194, 204, 208, 216, 217, 236, 244, 283, 284, 291
სტრატონიკა, მითრიდატეს ხასა, თუ ცოლი 379
სტრატონიკა, მითრიდატეს ასული 262
სტეფანოზ ბიზანტიელი 22, 25, 117 120, 125, 126, 155, 195
სტრუვე ვ. (В. В. Струве) 60
სულა 183, 267—270, 274, 293, 319, 321—323, 326, 327, 330, 332, 335—337, 339, 346, 388
სუმბატი, ისტორიკოსი 198
სულხან-საბა ორბელიანი 96
სუპილულიუმა 76
სქოლარიები 199
სციპიონი 265
სხვილოსი, სოფ. 213
ტაბალები, ტაბალი, თობალი 1, 50, 92—94, 105, 129, 130, 135, 136, 145, 147—152, 155, 157, 158, 160, 165, 168, 169, 171, 172, 175, 176, 188—191, 217, 223—226, 279, 280
ტავრები 283
ტავრი, ტავრის მთა 46, 93, 110—112, 125, 136, 157, 188, 306, 341, 367
ტამტრა, ტრამტრა 99
ტანაისი 306
ტარაბუზან 101
Taraposan 101
ტარკვინიუსი 263
ტაო 209
ტაო-კლარჯეთი 182
ტაოხები 6, 66, 68—70
ტაქსილე, ტიგრანის პონტოელი მხედრთმთავარი 358
ტატაშენი, სოფ. 213
ტაციტი 21, 119
Tachir Pascha 201
ტეირია, ქალ. 125
ტიბარენები 68, 36, 41, 70, 81, 92—94, 105, 115, 117, 129, 145, 147, 151, 155, 156, 158, 159, 167, 168, 171—173, 175, 176, 188, 189, 203, 215, 223, 280
ტიბერიუსი, იმპერ. 16
ტიგლატ პილესარი 128, 157, 170, 171
ტიგრან II 264, 273, 275, 289—299, 306, 307, 339, 350, 353—362, 364, 366, 369, 371, 375, 376, 380, 396
ტიგრანოკერტი 269, 293, 356
ტიგრი, მდ. 123, 168, 175
ტიმეზილეოსი, სინოპეს ტირანი 20, 21
ტიმოთე, მკურნალი 366
ტირიბაზი 66
ტობელები 165, 166
ტოპადა 98
ტოტილა 384
ტრაპიზონი 7, 13, 14, 23, 25, 26, 79, 83, 87, 89, 91, 93, 98—103, 156, 163, 171, 194—196
ტრაპიზონის ოლქი 198, 203—207, 212, 215, 235, 279

ტრაპიზონის იმპერია 86, 90, 93, 156, 199, 208
ტრიარიუსი 268, 349, 365, 388
ტროელები 114
ტყემლიანი, სოფ. 213

უნიე 64
ურარტუ 69, 161
უსპენსკი პ. (П. Успенский) 185, 186
უსპენსკი თ. (Ф. Успенский) 86, 87, 89, 196, 198—200, 207
ურუშაძე აკ. 73, 145, 212, 253, 357, 389

ფაბიუსი 388
ფაზისი, მდ. 24, 26, 122
ფაზისი, ქალაქი 25, 26, 49, 97, 161
ფავზი ბეი, ლაზი 194
ფალმერაიერი (Jac. Ph. Fallmereyer) 89
ფანაგორიელები 381
ფარნაკე 178, 253, 262, 278, 328, 384—386, 390, 391
ფარნიუსი 340
ფენიქსი, პონტოს სამეფო გვარის კაცი 351
ფიმბრია 268, 346, 388
ფინიკია 292, 295
ფლაბიუსი ი. 165, 166, 172, 175, 189
ფორტუნა, მდ. 99
ფრიგია 91, 92, 150, 177, 192, 224, 228, 244, 305, 337, 388
ფრიგიელები 36, 39, 45, 61, 106—109, 114, 136, 169, 170, 177, 224
ფრუნზე მ. (М. Фрунзе) 205
ფსევდო-სკილაქსი 24, 162
ფსევდო-სკიმნი 11, 12, 15, 51—57, 61, 65, 71, 72, 75, 79, 120, 121, 162, 171

Philipp 141

ქაბირა 251, 271, 299, 351, 352, 364
ქალდია 117, 155, 193, 196, 197, 199, 200, 201, 207
ქალკედონი 344, 348
ქაშქები 223, 225, 226
ქერონეა 321
ქიზიყი 99
ქიოსელები 316
ქსენოფონტე 10, 20, 23, 31—37, 40, 65—70, 79, 80, 83, 113, 125, 137, 149, 150, 152, 155, 163, 164, 188——191, 240
ქსერქსე 158
ქსითარა 262, 263, 379
ქურთები 20, 213
ქურჩი, სოფ. 213

ღაფანციანი გრ. (Гр. Капанцян) 101, 164, 169, 171, 175, 185, 186, 189

ყარსი 215
ყარსის ოლქი 209, 210
ყაუხჩიშვილი თ. 26, 37, 38, 41, 43—45, 63, 65, 72, 91, 153, 157, 168, 192, 208
ყაუხჩიშვილი ს. 34, 39, 40, 102, 155, 195
ყირიმი 377
ყიფშიძე ი. 99

შავი ზღვა 158
შავი ზღვის სანაპირო 6—9, 11, 15, 17—19, 21, 23—26, 52, 66, 70, 77—80, 85, 88, 91, 94, 96, 97, 103, 120, 129, 133, 134, 151, 154, 156, 162, 163, 169, 189, 190, 194, 201, 203, 205, 207, 216, 225, 229, 268, 274, 281, 283, 284, 308, 327, 348, 377, 381, 385, 393, 395
შანიძე აკ. 98
შეკვეთილი, სოფ. 205
შელოვი დ. (Д. Шелов) 283, 285
შტეინი 54
შტროიბერი (Streuber) 13, 18—22, 60, 97, 128, 256
შუბინსკი პ. (П. Шубинский) 208

ჩობარეთი, სოფ. 213
ჩუბინაშვილი დ. 142, 171
ჩურუქ-სუ 214

ცინცაძე ი. 185
ციცერონი 273, 276, 277, 331, 332, 363, 374

წინა აზია 185, 291, 397
წერეთელი მ. 124
წერეთელი კ. 170
წმინდა გიორგი 183, 184
წმინდა ნინო 184, 186
წნისი, სოფ. 213
წყალთბილა, სოფ. 213

ჭანები 62, 70, 79, 81, 84, 86—90, 92, 94, 98, 125, 147, 149, 156, 163, 171, 188, 193, 194, 195, 196, 198, 201, 203, 204, 207, 229
ჭანეთი, ჭანიკა 49, 86, 88—91, 94, 117, 155, 162, 163, 195, 205, 207, 209
ჭანიკის ოლქი, ვილაიეტი 156, 162, 201, 205, 207, 214
ჭანიხის ციხე-სიმაგრე 200
ჭანიხიტები 199, 200
ჭვინტა, სოფ. 213
ჭოროხი, მდ. 64, 161, 168, 215
ჭოროხის ვილაიეტი 91

ხალისია 125, 126
ხალდიის თემი 79, 86, 89, 93, 162, 198
ხალიბები 1, 6, 9, 22—25, 27, 29, 30, 34, 36—40, 42—51, 55, 58—62, 64, 65—80, 87, 88, 90, 92, 105, 114, 119, 120, 121, 127, 129, 130, 145, 147, 150, 151, 156, 158, 167, 172, 176, 188, 190, 194, 196, 203, 217, 223, 225, 226, 279, 280, 340
ხალიტუ 69, 74, 75, 78, 92, 190, 195, 198, 225
ხარშუტი 209
ხარშუტის ვილაიეტი 210
ხახანაშვილი ა. (А. Хаханашвили) 91, 93, 94, 147, 170, 175, 176, 213
ხახუტაშვილი დ. 6, 78
ხეირადია 25
ხემშინი 209
ხერთვისი, სოფ. 213
ხერიანი, ქალ. 196
ხერსონესი 283, 291, 278, 381
ხმელთაშუა ზღვა 345
ხრიზოხორი 202
ხურიტები 227
Chaldia 47, 90
ჯავახიშვილი ივ. 79, 95—97, 152, 177, 180, 182—184, 189, 195, 198, 203, 209
ჯანაშია ს. 91
ჯანაშვილი მ. 81, 188, 210
ჯიქია ს. 100, 101, 204
ჯურთა ჯვარი, სოფ. 213

ჰაბრონდა 55
ჰაიდ კლარკი (Hyde Klarke) 103
ჰალივა 76, 79
ჰალისი (ყიზილ ირმაყი) 27, 31, 35, 37—46, 49, 50—51, 53, 57—63, 65, 67, 71—75, 77, 79, 80, 87, 90—95, 101, 102, 106—107, 109, 114, 116, 119, 123, 148, 154, 156—158, 162, 163, 168, 172, 178, 188, 192, 194, 205, 207, 220, 221, 229, 337, 367
ჰალიძონები 39, 42, 43, 45—48, 72, 79, 101, 127, 194
ჰამილტონი ვ. (W. Hamilton) 63, 64, 70, 88, 162, 197
ჰანიბალი 382, 389
ჰასდრუბალი 265
ჰელესპონტელები 36
ჰელიანაქსი (ქურუმი) 271
ჰენიოხები 121, 341, 377, 385
ჰეკატე მილეტელი 24, 25, 28, 45, 57, 73, 125, 126, 165
ჰეკატონიმე 31—34
ჰერაკლეა 32, 38, 65, 259, 268, 350
ჰერაკლიდე პლატონიკოსი 38
ჰერნი 167
ჰეროდოტე 33, 36, 40, 42, 46, 54, 61—63, 65—71, 74, 77, 79, 104—119, 125, 129, 136, 138, 139, 142, 148—150, 153, 158—164, 191
ჰიერონიმე 238
ჰომელი ფრ. (Fr. Hommel) 59
ჰომეროსი 39, 43, 45, 46, 50, 61, 65, 71, 72, 79, 94, 101, 127, 162, 194

# შინაარსი

წინასიტყვაობა . . . . . . . . . 3

## ნაწილი პირველი

პირველი განყოფილება. მითრიდატე პონტოელი და ძველი ქართული სამყარო
- 1. შესავალი . . . . . . . . 5
- 2. ბერძნული კოლონიზაცია და შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს ქალაქების მოსახლეობის საკითხი . . . . 7
- 3. სინოპესა და ამისოსის მოსახლეობის საკითხი . . . . . 15
- 4. სირიელების (სირების) და ლევკოსირიელების საკითხი . . 103
- 5. კაპადოკიის ძველი მოსახლეობა და „კაპადოკიელთა“ ვინაობა . 144

მეორე განყოფილება. მითრიდატე ევპატორის ვინაობა და პიროვნება
- 1. მითრიდატეს ვინაობა . . . . . . . . 230
- 2. მითრიდატეს დახასიათება . . . . . . . 245
- საერთო დასკვნები . . . . . . . . 279

## ნაწილი მეორე

ომი პონტოს სამეფოსა და რომს შორის
- 1. მდგომარეობა ომის დაწყებამდე . . . . . . . 281
- 2. ომის დაწყება. პირველი ომი და მისი შედეგები . . . . 300
- 3. მდგომარეობა დარდანის ზავის შემდეგ. ომის განახლება პონტოს სამეფოსა და რომს შორის . . . . . . 332
- 4. პონტოს სამეფოსა და რომს შორის ომიანობის უკანასკნელი პერიოდი. მითრიდატეს დამარცხების მიზეზები . . . 363

**Митридат Понтийский (резюме)** . . . . . . . 399

საკუთარ სახელთა საძიებელი . . . . . . . . 401

რედაქტორი ს. ყაუხჩიშვილი

გამომცემლობის რედაქტორი მ. ინასარიძე

ტექრედაქტორი ნ. ბერიძე

კონტროლიორ-კორექტორი ა. სტურუა

გადაეცა წარმოებას 27/X 61 წ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 17/II 62 წ.

ანაწყობის ზომა 6×10.

ქაღალდის ზომა 60×92.

საბეჭდ თაბახთა რაოდენობა 26,0.

სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახთა რაოდენობა 24,19.

შეკვეთის № 1551 უე 02426 ტირაჟი 2000

ფასი 1 მან. 92 კაპ.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობის სტამბა,
თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 1.

Типография Издательства Тбилисского университета.
Тбилиси, проспект И. Чавчавадзе, 1.

## კორექტურულ შეცდომათა გასწორება

| გვერდი | სტრიქონი ზემოდან | სტრიქონი ქვემოდან | დაბეჭდილია | უნდა იყოს |
|---|---|---|---|---|
| 17 | 19 | | რომლებმაც | რომელმაც |
| 41 | 5 | | შიგნითაც | შიგნითად |
| 73 | 2 | | *χαλόσων* | *χαλύβων* |
| 73 | 2 | | *ενάπειρονι* | *῎εν ἀπείρονι* |
| 94 | 15 | | ეწერა | უწერია |
| 102 | | 15, 19 | ნოტაცია | ნოტიცია |
| 123 | 1 | | ხალხი | ხალხია |
| 148 | | 11 | ამა თუ ქვეყანაში | ამა თუ იმ ქვეყანაში |
| 167 | 15 | | Geurationis | Generationis |
| 169 | | 5 | ხსენ. შრ | ხსენ. შრ., გვ. 92 |
| 233 | | 1 | *῎Ευξεινον* | *῎Ευξεινον* |
| . | | 2 | *ξὲ* | *῎εξ* |
| 256 | | 3 | logte | legte |
| 265 | 20 | | მეფეს | მეფის |
| 324 | 2 | | აქტივობა, რომაელთა, განცდილი | აქტივობა, განცდილი |
| 328 | 19 | | შემდგარ შეიარაღებულსა | შემდგარ, მდარედ შეიარაღებულსა |
| 335 | 9 | | ჩაურევვიათ | ჩაუთრევვიათ |
| 342 | 17 | | წარმოადგენს | წარმოაჩენს |
| 349 | 4 | | კონტინგენტიდან | კონტინგენტილა |
| 357 | | 5 | მხოლოდ აზრი | მხოლოდ ის აზრი |

326 გვ-ზე 26 სტრიქონის შემდეგ უნდა იკითხებოდეს ტექსტი 327 გვ-დან მე-9 სტრიქონიდან, დაწყებული სიტყვებით: „ამის ერთი მკვეთრი მაგალითი"... 21-ე სტრიქონამდე ჩათვლით, გათავებული სიტყვებით: „საზღვრავდა შექმნილი სიტუაცია".

*Георгий Константинович Говалишвили*

**МИТРИДАТ ПОНТИЙСКИЙ**

(На грузинском языке)

Издательство ТГУ

Тбилиси — 1962